თენგიზ გიორგაძე

ქართული ჯაჭვრაკის მატიანე

სამ წიგნად

წიგნი
მესამე

„მეცნიერება"
2000

ამ წიგნით მთავრდება თენგიზ გიორგაძის ისტორიულ-პუბლიცისტური ნაშრომის — "ქართული ჭადრაკის მატიანეს" სამტომეულის გამოცემა. პირველი წიგნი გამოვიდა 1995 წელს, მეორე — 1997 წელს. მესამე წიგნში იბეჭდება ქართული ჭადრაკის წარსულისა და აწმყოსადმი მიძღვნილი წერილები, ნარკვევები, გამოკვლევები და მოგონებები.

რედაქტორი —

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ALEXANDRE CHIKVAIDZE

რეცენზენტები —

AVTANDIL CIBAADZE,
პედაგოგიკურ მეცნ. ; ;ებათა დოქტორი, პროფესორი.

GIORGI MACHARASHVILI,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატი.

$\text{გ}\frac{2503010400}{M607(06)2000}$

© „მეცნიერება“ 2000.

წინასიტყვაობა

"ქართული ჭადრაკის მატიანეს" სამტომეულის ბოლო, მესამე წიგნი ეძღვნება ქართული ჭადრაკის წარსულისა და აწმყოს მრავალ საინტერესო საკითხს, ისტორიულ მოვლენას, ერის საამაყო ადამიანების ჭადრაკით გატაცებას, ამაგდარ საჭადრაკო მოღვაწეებს და ბევრ სხვას. რა თქმა უნდა, ამით არ ამოიწურება საქართველოში ჭადრაკის მდიდარი ისტორია. იგი კვლავაც მოელის თავის მკვლევარს.

ბევრისმეტყველი ფაქტია ფიდე-ს მიერ საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის და აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის ქართული ჭადრაკის საკეთილდღეოდ გაწეული ღვაწლის ფიდე-ს უმაღლესი ჯილდოთი — "დიდოსტატთა ლეგიონის კომანდორის ორდენით" აღნიშვნა. მსგავსი დაფასებით ვერ მოიწონებს თავს მრავალი საჭადრაკო ქვეყნის წინამძღოლი.

თითქმის ცამეტი საუკუნეა ჭადრაკი ამშვენებს ქართველი ერის სულიერ კულტურას. მისი საუკეთესო დიდოსტატები ერთ-ერთი პირველი არიან XX საუკუნის მსოფლიოს მოჭადრაკეთა შორის. ეს თვალნათლივ ჩანს თუნდაც ბოლო ოცი წლის "რეიტინგ-ლისტებში". იგი ახალ მიღწევებს გვპირდება XXI საუკუნეში.

XX საუკუნის მიწურულს, 1997 წელს დიდი ისტორიული მოვლენა იყო მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ახალი ჯილდოს "ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასის" დაწესება. იგი ფიდე-მ შემოიღო ოლიმპიადის იმ მონაწილე ქვეყნისთვის, რომლის ვაჟთა და ქალთა გუნდები ქულათა ჯამით პირველ ადგილს დაიკავებდნენ. ბოლო ორ ოლიმპიადაზე (1998, 2000 წწ.) ნონას თასს რუსეთის მოჭადრაკეები დაეუფლნენ.

ახალმა თასმა ხელი შეუწყო მსოფლიოში ჭადრაკის განვითარებას და მოჭადრაკეთა მეგობრობის განმტკიცებას. მან დიდებით შემოსა ქართული ჭადრაკი და სიცოცხლეშივე უკვდავყო ნონა გაფრინდაშვილის სახელი.

წიგნში განხილულ საკითხთა შორის უთუოდ ყურადღებას მიიქცევს საქართველოს რეგიონების საჭადრაკო ცხოვრებისა და ქართული საჭადრაკო

პრესის ისტორიის მცირე გამოკვლევები. ორივე საკითხი შემდგომ უფრო ვრცელ კვლევა-ძიებას მოითხოვს. მაგრამ მოძიებულიც მოწმობს, რომ ჭადრაკი ათადან-ბაბადან იყო გავრცელებული საქართველოში, კერძოდ მის რეგიონებში. მას ქართველი კაცის გულისკენ უანგაროდ უკაფავდნენ გზას ნამდვილი ენთუზიასტები. მათი ღვაწლი დაუფასებელი არ უნდა დარჩეს. ასეთი ადამიანები დღესაც არიან.

ქართულ საჭადრაკო ჟურნალისტიკას სათავე დაედო XX საუკუნის 20-იან წლებში, თუმცა საჭადრაკო ინფორმაცია ქართულ პრესაში უფრო ადრე, XIX საუკუნის დამდეგს გაჩნდა. ჟურნალ-გაზეთების "ჭადრაკის კუთხეებმა" დიდად შეუწყვეს ხელი ქართული საჭადრაკო ჟურნალისტიკის განვითარებას. 60-იან წლებში დაარსდა პირველი ქართული საჭადრაკო გაზეთი "მერანი" (გაზეთ "ლელოს" დამატება). მანამდე რამდენიმე წელი გამოდიოდა ალმანახის მსგავსი მეთოდური ბიულეტენი "ჭადრაკი", ხოლო 90-იანი წლების მიწურულს შეიქმნა პირველი ქართული საჭადრაკო ჟურნალი "ჭადრაკის სამყარო", რომლის გამოცემა, სამწუხაროდ, შეჩერდა უსახსრობის გამო. ამჟამად (უკვე ხუთი წელია) გამოდის საჭადრაკო გაზეთი "ლაზიერი" (გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" დამატება). აქაც არ უნდა დავივიწყოთ პირველი საჭადრაკო ჟურნალისტები, რომელთა გამოცდილებამ საუცხოო ტრადიციები შექმნა.

XX საუკუნესთან გამოთხოვების ჟამს ბუნებრივია ვიკითხოთ: რა მოგვცა განვლილმა საუკუნემ, როგორი საგზლით ვხვდებით ახალი ათასწლეულის XXI საუკუნეს? ძნელია ვუპასუხოთ ამ შეკითხვას ერთი ან ორი წინადადებით. ჩემი აზრით, პასუხი "ქართული ჭადრაკის მატიანეს" სამტომეულში ამოიკითხება. ამ წიგნებში ასახულია ჩვენი განვლილი საჭადრაკო ცხოვრება თავისი სიხარულით და ტკივილით, მიღწევებით და წარუმატებლობით.

მთავარი მაინც ისაა, რომ XX საუკუნეში საქართველოს მოჭადარაკეებმა, უპირატესად დიდოსტატმა ქალებმა, მრავალი სასახელო ფურცელი ჩაწერეს ჭადრაკის მსოფლიო ისტორიაში თავიანთი შთამბეჭდავი გამარჯვებებით მსოფლიო პირველობებსა და საჭადარაკო ოლიმპიადებში. მათი მიღწევები მუდამ ექნება საამაყოდ ქართველ ერს.

და ბოლოს, არ გამოვრიცხავთ, რომ ამ სქელტანიან წიგნში აღმოჩნდეს რაიმე უზუსტობა ან შეცდომა. ამიტომ მადლიერების გრძნობით მივიღებთ ყველა საქმიან შენიშვნას.

7. 12. 2000 წ.

ღვაწლის დაფასება

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ასლან აბაშიძე

1997 წლის 10 ნოემბერს ქ. ტუნისში ფიდე-ს საპრეზიდენტო საბჭომ ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ფიდე-ს უმაღლესი ჯილდოთი — "დიდოსტატთა ლეგიონის დიდი კომანდორის ორდენით" საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დააჯილდოვა.

ეს გახლდათ იმის დიდი აღიარება, რაც ქართულმა ჭადრაკმა შეიტანა მსოფლიო საჭადრაკო ცხოვრების განვითარებაში და საქართველოს პრეზიდენტმა ქართული ჭადრაკის გადარჩენის საქმეში ჩვენი ქვეყნის უახლოესი ისტორიის უმძიმეს პერიოდში.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დღესაც ზრუნავს ქართული ჭადრაკის საამაყო ტრადიციების შენარჩუნება-განვითარებაზე.

1999 წლის 28 ნოემბერს ბათუმში ევროპის გუნდური პირველობის საზეიმო გახსნაზე ფიდე-ს პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა განსაკუთრებით აღნიშნა აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის დიდი ძალისხმევა ბათუმის მშვენიერი ჭადრაკის სასახლის აგებასა და ევროპის მოჭადრაკეთა დიდი ფორუმის საუცხოო ორგანიზაციაში.

კირსან ილუმჟინოვმა დამსწრეთ გააცნო ფიდე-ს საპრეზიდენტო საბჭოს დადგენილება ასლან აბაშიძისათვის ფიდე-ს უმაღლესი ჯილდოთი — "დიდოსტატთა ლეგიონის დიდი კომანდორის ორდენით" დაჯილდოების შესახებ და იგი იქვე გადასცა მას, რასაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

მანამდე ფიდე-ს უმაღლესი ორდენით დაჯილდოებული იყვნენ საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი, რომის პაპი იოანე პავლე II და ფილიპინების პრეზიდენტი ფიდელ რამოსი.

XX საუკუნის საუკეთესონი

1999 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ (პრეზიდენტი ე. ბერიშვილი) თბილისის ფილარმონიის დიდ დარბაზში საზეიმო ვითარებაში შეაჯამა "XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელებისა და საზოგადო მოღვაწეების გამოსავლენი რეფერენდუმი".

ჟიურიმ გულდასმით შეისწავლა ასოციაციის 51 წევრისგან შემოსული წინადადება-ბარათები და თითოეულ ნომინაციაში სამ-სამი გამარჯვებული დაასახელა.

რეფერენდუმში წარმოდგენილი იყო ყველა ცნობილი ქართველი მოჭადრაკე. თავიანთ ნომინაციებში გამარჯვებულებად დასახელდნენ:

სპორტსმენ ქალთა შორის – ნონა გაფრინდაშვილი,

მწვრთნელთა შორის – ვახტანგ ქარსელაძე,

გუნდებს შორის მეორე ნომრად – საქართველოს ქალთა ოლიმპიური ნაკრები (ნ. გაფრინდაშვილი, მ. ჩიბურდანიძე, ნ. ალექსანდრია, ნ. იოსელიანი, ქ. არახამია, ნ. გურიელი),

საზოგადო მოღვაწეთა შორის მესამედ – ვიქტორ გოგლიძე.

ნამდვილად ყველას გაუკვირდა, რომ მაია ჩიბურდანიძე მხოლოდ მეოთხე აღმოჩნდა საუკეთესო სპორტსმენ ქალთა შორის, როცა მას

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გორგასლის მეორე ხარისხის ორდენს გადასცემს ნონა გაფრინდაშვილს.

სხვებზე ნაკლები მიღწევები რ ოდი ჰქონდა.

რეფერენდუმის ლაურეატების დაჯილდოებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. მან მთავრობის სახელით გორგასლის მეორე და მესამე ხარისხის საბრძოლო ორდენები გადასცა დაჯილდოებულებს, ხოლო შემდგომ სიტყვით მიმართა დარბაზში შეკრებილ ორი ათასამდე გულშემატკივარს. პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაჯილდოებულებმა გმირობა ჩაიდინეს სპორტულ სარბიელზე დედასამშობლოს, საქართველოს სადიდებლად!

თავი I

საქართველოს მოჭადრაკეთა გვარდია

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია აღიარებულია ფიდე-ს ერთ-ერთ ღირსეულ წევრად. საქართველოს მოჭადრაკეები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო საჭადრაკო ცხოვრების ფერხულში.

აი, ვინ (გვარი, სახელი, დაბადების თარიღი) წარმოადგენდა ქართულ ჭადრაკს 2000 წლის 15 ნოემბრისთვის:

საერთაშორისო დიდოსტატები

აზმაიფარაშვილი ზურაბ	16.03.1960
ბალათუროვი გიორგი	28.11.1964
გიორგაძე გიორგი	10.10.1964
გიორგაძე თამაზ	09.01.1947
გელაშვილი თამაზ	08.04.1978
(რუსთავი)	
გურგენიძე ბუხუტი	13.11.1933
დგებუაძე ალექსანდრე	21.05.1971
ზაიჩიკი გენადი	11.02.1957
კეკელიძე მიხეილ	14.09.1974
სტურუა ზურაბ	08.06.1959
უბილავა ელიზბარ	27.08.1950
ყაჭეიშვილი გიორგი	10.02.1977
ჯანჯღავა ლაშა	05.05.1970

საერთაშორისო დიდოსტატი ქალები

ალექსანდრია ნანა	13.10.1949
არახამია ქეთევან	19.07.1968
გაფრინდაშვილი ნონა	03.05.1941
გოლეთიანი რუსუდან	08.02.1980
(სოხუმი)	
გურიელი ნინო	07.12.1961
დარჩია დიანა (ბათუმი)	18.10.1977
ეკგვერაძე ნატალია	23.07.1975
იოსელიანი ნანა	12.02.1962
ლომინეიშვილი მაია	11.11.1977
ტყეშელაშვილი სოფიო	23.10.1979
ჩიბურდანიძე მაია	17.01.1961
ხმიადაშვილი თამარ	27.11.1944
ხურციძე ნინო	28.09.1975

საერთაშორისო ოსტატები

ბახტაძე გიორგი	02.02.1980
გაფრინდაშვილი ვალერიან	16.01.1982
იაშვილი აკაკი	04.03.1973
იზორია ზვიად (ხონი)	06.01.1984
ლობჟანიძე დავით	15.10.1968
მანაგაძე ნიკოლოზ	07.06.1969
(ქუთაისი)	
მჭედლიშვილი მიხეილ	04.06.1979
სიჭინავა რომან (სენაკი)	13.11.1973
სუპატაშვილი ხვიჩა	31.03.1969
(ქუთაისი)	
ტაბატაძე თამაზ	30.03.1968
ტყებუჩავა ზურაბ	28.07.1978
ყაშაშვილი ალექსანდრე	02.09.1975
შალამბერიძე აკაკი	04.12.1969
შენგელია დავით	06.03.1980
ჩიბუხჩიანი არტურ	06.10.1979
ჯობავა ბაადურ (გალი)	26.11.1983

საერთაშორისო ოსტატი ქალები

მათნაძე ანა	20.02.1983
ნიკოლაძე სოფიო	02.12.1973

ქასოშვილი ციალა (გორი) 01.09.1963
ჩაიკოვსკაია ალა 21.06.1934
ხორავა მირანდა 19.11.1977
ხურცილავა ინგა 17.04.1975
ხუხაშვილი სოფიო 04.01.1985
ჯანჯღავა ნათია 16.12.1972
ჯავახიშვილი ლელა 23.04.1984
(თელავი)

ფიდე-ს ოსტატები

ვეფხვიშვილი ვარლამ 15.03.1953
ჩიქოვანი იური 05.01.1937
ხეცურიანი ბესარიონ 01.01.1961
(ქუთაისი)

ფიდე-ს ოსტატი ქალები

აფხაიძე ნათია (ქუთაისი) 19.08.1978
მაისურაძე ნინო 13.06.1982
ძაგნიძე ნანა (ქუთაისი) 01.01.1987
ცალულელაშვილი ლილე 28.09.1979

ეროვნული ოსტატები

არჩვაძე მერაბ 22.03.1944
(სამტრედია)
ბიბილაშვილი გიორგი 22.04.1946
(რუსთავი)
ბერძენიშვილი ამირან 24.03.1961
(ჩოხატაური)
ბოკუჩავა ალექსანდრე 12.06.1947
გამრეკელი გივი 30.09.1932
გერსამია ედუარდ 15.06.1936
გიორგაძე თენგიზ 01.04.1925
გოგიჩაიშვილი გიორგი 23.11.1966
ელიოზიშვილი ოთარ 02.10.1927
თორია გოჩა (ზუგდიდი) 19.12.1964
თურქაძე გურამ 12.08.1937
(ზესტაფონი)
თურქესტანიშვილი ოთარ 04.06.1924
თხელიძე მერაბ 18.07.1939
იაელიანი მისაქ (სოხუმი) 12.03.1964
იგრიაშვილი ზურაბ 08.02.1973
(რუსთავი)

კაკაბაძე რევაზ 19.09.1967
კვირიაშვილი იოსებ 01.07.1973
კიკიანი თამაზ 14.08.1936
მაჭარაშვილი გიორგი 16.07.1955
მაჭავარიანი გურამ 27.11.1937
მახარაძე ჯამბულ 05.06.1972
(ბათუმი)
მეგრელიშვილი სულიკო 04.07.1940
მიქაძე ზურაბ 08.02.1947
მიქაელიანი ემილ 20.03.1935
ნეურონოვი ლეონიდ 28.02.1950
(ბათუმი)
ტყებუჩავა გოჩა (სენაკი) 29.04.1961
ჩიგოგიძე კახა 01.02.1953
ციხელაშვილი გიორგი 19.10.1948
ცქიტიშვილი გიორგი 17.03.1953
ცქიტიშვილი ირაკლი 17.03.1953
ჭანტურია გურამ 17.04.1936
(ბათუმი)
ჭიპაშვილი მიხეილ 11.07.1953
ჭურღულია გიზო 10.02.1969
(ზუგდიდი)
ხოფერია ზაზა 10.04.1968
ჯაკობია არჩილ 09.09.1917
ჯანოევი დავით 22.11.1938

ეროვნული ოსტატი ქალები

ბუცხრიკიძე გულნარა 17.01.1941
გვეტაძე სოფიო 15.11.1983
თანდაშვილი მარგალიტა 19.11.1958
კახაბრიშვილი ციცინო 14.11.1946
კობაიძე ციური 01.01.1950
კალანდარიშვილი
სვეტლანა 10.12.1937

კაჭარავა თამარ	20.09.1953
კოროშინაძე ლალი	20.05.1949
ლოლიშვილი მზია	15.04.1937
მელაშვილი ქეთევან	29.08.1960
მელაშვილი ნინო	04.10.1961
მერეკლიშვილი ცირა	30.01.1969
მესხი თამილა (ქუთაისი)	24.03.1963
ნაჭყებია ლეილა	14.03.1930
სადუნიშვილი ლია	16.03.1964
ტერელაძე სოფიო	06.09.1972
ტოგონიძე მანანა	29.05.1937
ჩიქობავა ნათელა	14.06.1961
ჩხაიძე ნანა	31.08.1959
წერეთელი მზია	17.10.1957
(ოზურგეთი)	
ჭარხალაშვილი ინგა	23.04.1983
(ქუთაისი)	
ხანთაძე მაყვალა	14.01.1957
ხაჭაპურიძე ლიანა	12.06.1934
ხუბულური ნინო	27.06.1951
ჯაფარიძე მარიკა	20.01.1980

საერთაშორისო არბიტრები

ალექსანდრია ნანა	13.10.1949
გიორგაძე თენგიზ	01.04.1925
ვეფხვიშვილი ვარლამ	15.03.1953
თანდაშვილი მარგალიტა	19.11.1958
ქარქაშაშვილი არჩილ	01.04.1933
მელიქსეთ-ბეგი ევგენი	21.02.1936
წეროძე ლილი	25.09.1923
ფამილიანტი გიორგი	09.12.1927

ეროვნული კატეგორიის მსაჯები

ალხანიშვილი ოთარ	24.12.1924
ბერძენიშვილი ამირან	24.03.1961
(ჩოხატაური)	
გაფრინდაშვილი ნონა	03.05.1941
გეგიძე რუსუდან	25.12.1960
გელენავა ნოდარ	04.04.1959
(სოხუმი)	
გრიგალაშვილი მაია	14.10.1974
გურგენიძე დავით	26.09.1953
დიდიმამიშვილი შაქრო	13.10.1946
(ახალციხე)	
დოლიძე ოთარ (გორი)	25.06.1950
თანდაშვილი მარგალიტა	19.11.1958
კაჭარავა ვლადიმერ	03.02.1937
კიკიანი თამაზ	14.08.1936
მაჩიტიძე ანზორ	14.03.1939
(სამტრედია)	
მენაბდე გიორგი (ქუთაისი)	01.02.1958
მეგრელიშვილი სულიკო	04.07.1940
მეხტიევი რაფაელ	03.08.1935
მიქავა ზურაბ (წალენჯიხა)	24.08.1951
ნაჭყებია ლეილა	14.03.1930
ნეურონოვი ლეონიდ	28.02.1950
(ბათუმი)	
სამსონია ცირა	27.05.1944
ჩაჩუა ზურაბ	26.07.1927
წერეთელი არჩილ	19.07.1930
ჭანტურია გურამ	14.04.1936
(ბათუმი)	
ხარლამიდი თენგიზ	03.01.1949
(ქუთაისი)	
ხმიადაშვილი თამარ	23.11.1944
ჯაკობია არჩილ	09.09.1917
ჯაფარიძე დავით	28.05.1951
ჯაფარიძე მარიკა	20.01.1980
ჩიქოვანი იური	05.01.1937
სერჟანოვი გიორგი	03.07.1939
(ქუთაისი)	
ჩაიკოვსკაია ალა	21.06.1934
ხანთაძე მაყვალა	14.01.1957

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები

ალხანიშვილი ოთარ	24.12.1924
ბოკუჩავა ალექსანდრე	27.12.1947
ბურკაძე ზურაბ	20.01.1947
(ქუთაისი)	

გაფრინდაშვილი ნონა	03.05.1941
გიორგაძე თამაზ	09.01.1947
ველენავა ნოდარ (სოხუმი)	04.04.1959
გურგენიძე ბუხუტი	13.11.1933
თურქესტანიშვილი ოთარ	04.06.1924
კაზარიანი გიორგი	05.03.1922
მაჭარაშვილი გიორგი	16.07.1955
მეგრელიშვილი სულიკო	04.07.1940
მენაბდე გიორგი (ქუთაისი)	01.02.1958
უბილავა ელიზბარ	29.08.1950
ჩიქოვანი იური	05.01.1937
წეროძე ლილი	25.09.1923
ჭანტურია გურამ (ბათუმი)	14.04.1936
ჭედია რენცო (ოჩამჩირე)	10.09.1941
ფამილიანტი გიორგი	09.12.1927
ფხაკაძე ელგუჯა	20.02.1950
ქანთარია გიორგი (ქუთაისი)	14.12.1934
ხარლამიდი თენგიზ (ქუთაისი)	03.01.1949
ხმიადაშვილი თამარ	23.11.1944
ხომერიკი გიორგი	26.06.1961
ხურციძე ნელი	15.02.1927
ჯანოევი დავით	22.11.1938

საჭადრაკო კომპოზიციაში

საერთაშორისო დიდოსტატი

გურგენიძე დავით	26.09.1953

საერთაშორისო ოსტატები

კალანდაძე ველიმირ	10.05.1935
ნეიძე ვაჟა	08.03.1937

ეროვნული ოსტატები

გოგბერაშვილი მერაბ	05.01.1959
მახათაძე ჯემალ (ზესტაფონი)	12.08.1935
მოსიაშვილი გივი (რუსთავი)	01.05.1948
სუხიტაშვილი შერგილ (გორი)	04.08.1936
ყოჩიაშვილი მიხეილ (რუსთავი)	10.02.1982

საერთაშორისო არბიტრები

აკობია იური	20.06.1937
გურგენიძე დავით	26.09.1953
კალანდაძე ველიმერ	10.05.1935
ნეიძე ვაჟა	08.03.1937

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწენი:

ნონა გაფრინდაშვილი, თენგიზ გიორგაძე (ორიეკეს მიენიჭა 1981 წ.), **ლილი წეროძე** (1987 წ.) **და ნანა ალექსანდრია** (1999 წ.).

თავი II

ჭადრაკის ფედერაციის თავკაცები

1948 წლის მარტში ვიქტორ გოგლიძის წარდგინებით სრულიად ახალგაზრდა ამირჩიეს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრად. მერეც მიცხადებდნენ ნდობას და მეც აქტიურად ვმონაწილეობდი ჩვენი საჭადრაკო ცხოვრების ფერხულში. ასე რომ, მქონდა ბედნიერება 52 წლის მანძილზე მემუშავა ფედერაციის ყველა პრეზიდენტთან (1992 წლამდე მათ ფედერაციის თავმჯდომარე ერქვათ).

1936 წლის 19 დეკემბერს თბილისში, შოთა რუსთაველის პროსპექტის №48 სახლში გაიხსნა ჭადრაკის კლუბი, რომელიც ჭადრაკის სასახლეში გადასვლამდე (1973 წლის 14 აპრილამდე) ჩვენი საჭადრაკო მოძრაობის ეპიცენტრი გახლდათ. სწორედ მაშინ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის (მაშინ მას სექციას უწოდებდნენ) თავმჯდომარედ პირველი ქართველი ოსტატი ვიქტორ გოგლიძე (1905-1964 წწ.) აირჩიეს. სხვათა შორის, 1998 წლამდე პრეზიდენტებიდან მხოლოდ იგი იყო პროფესიონალი მოჭადრაკე.

ძნელია გაიხსენო ყველაფერი, რაც გაუკეთებია ქართული ჭადრაკისათვის ჩვენს ნიჭიერ თავკაცს. მას მაღალი თანამდებობა ეკავა რესპუბლიკის პარტიულ იერარქიაში, რაც ჭადრაკსაც წაადგა. საკმარისია ითქვას, რომ 1948 წელს ვ. გოგლიძის თაოსნობით ზემდგომმა ორგანოებმა საგანგებო დადგენილება მიიღეს საქართველოში ჭადრაკის შემდგომი განვითარებისათვის. საინტერესოა, რომ ვიქტორ გოგლიძის რჩევით ჩვენი ჭადრაკის სასახლე ვერეს პარკში აიგო.

1954-1956 წლებში ფედერაციას უძღვებოდა ცნობილი ჟურნალისტი, გაზეთ "ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორი მიხეილ კაკაბაძე (1921-1983 წწ.). იგი დიდ ყურადღებას უთმობდა პრესაში საჭადრაკო მოვლენების, ნიჭიერ მოჭადრაკეთა მიღწევების გაშუქებას. მისი თაოსნობით ჯერ "ლელოში", სადაც მანამდე რედაქტორობდა, მერე "ახალგაზრდა კომუნისტში" სისტემატურად ცხადდებოდა საკავშირო კონკურსები საჭადრაკო კომპოზიციაში. მოგვიანებით, 60-იან და 70-იან წლებში თბილისში დიდი ტურნირების დროს მ. კაკაბაძის რედაქტორობით გამოდიოდა სპეციალური საჭადრაკო ბიულეტენები მასობრივი ტირაჟით.

ფედერაციის მესამე თავმჯდომარე გახლდათ პროფესორი გიორგი ჯაბუა

(1911-1990 წწ.), რომელიც ფედერაციის ხელმძღვანელობის დროს (1956-1960 წწ.) საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო. მან ხელი შეუწყო საქართველოს ქალთა საერთაშორისო ტურნირების ტრადიციის შემოღებას, აგრეთვე მისი მხარდაჭერით არქიტექტორებს დაევალათ თბილისში ჭადრაკის სასახლის მშენებლობის პროექტის მომზადება.

არჩილ ჭირაქაძეც (1917-1972 წწ.) სახელმწიფო მოღვაწე იყო: ჯერ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი, მერე ფინანსთა მინისტრი. მან, როგორც ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარემ (1960-1972 წწ.) დიდი ენერგია შეალია ჭადრაკის სასახლის მშენებლობას. არჩილ ჭირაქაძე უშუალოდ მონაწილეობდა მოსკოვში, თბილისსა და რიგაში ნონა გაფრინდაშვილის მონაწილეობით ქალთა მსოფლიო პირველობის მატჩების ორგანიზებაში. იგი იყო 60-იანი წლების თბილისში ყველა დიდი შეჯიბრების (სსრ კავშირის ჩემპიონატების, საერთაშორისო ტურნირების და მატჩების) მთავარი ორგანიზატორი და კეთილი მასპინძელი.

1972-1978 წლებში ფედერაციას თავკაცობდა ჭადრაკის დიდი თაყვანისმცემელი, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტის აღზრდილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე ჩიკვაიძე (დაიბ. 1932 წ.), საქართველოს საგარეო საქმეთა მომავალი მინისტრი. იგი შესანიშნავად უძღვებოდა თბილისში მსოფლიო პირველობის მატჩების, სსრ კავშირის და საქართველოს ჩემპიონატების, საერთაშორისო ტურნირების ორგანიზაციას, საზოგადოებრივ საჭადრაკო ცხოვრებას.

1978 წელს ა. ჩიკვაიძე გადაიყვანეს დიპლომატიურ სამუშაოზე მოსკოვში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ (1992 წ.) იგი ისევ აირჩიეს თავმჯდომარედ, მაგრამ მალე (1994 წ.) კვლავ გააგზავნეს სამუშაოდ საზღვარგარეთ.

1978-1988 წლებში ფედერაციის თავმჯდომარე იყო გაზეთ "კომუნისტის" რედაქტორი გიორგი ბედინეიშვილი (1928-1988 წწ.), ხოლო 1988-1991 წლებში საქართველოს პროფკავშირების თავმჯდომარე, იურისტი პეტრე ჩხეიძე (დაიბ. 1941 წ.), რომელიც მერე საქართველოს წარმომადგენელი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

1991-1992 წლებში ფედერაციას თავმჯდომარეობდა იმდროინდელი ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე (დაიბ. 1952 წ.).

1994-1998 წლებში ფედერაციას უძღვებოდა ვაჟა შუბლაძე (დაიბ. 1947 წ.), რომელიც მანამდე რამდენიმე წელი საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და სპორტსაზოგადოება "შევარდენის" თავმჯდომარე იყო. მრავალი სიკეთე მოუტანა მისმა

საუბრობენ ნონა გაფრინდაშვილი და ალექსანდრე ნიკვაიძე (თბილისი, 17 მაისი 1992 წ.).

მუშაობამ ქაროულ ჭადრაკს. იყო გამარჯვებები მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადებში, ევროპის გუნდურ პირველობაში, სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატებში. მომრავლდნენ მაღალი კვალიფიკაციის მოჭადრაკეები. მისი ყველაზე დიდი დამსახურებაა მოჭადრაკეთა ოლიმპიურ მოძრაობაში ნონა გაფრინდაშვილის სახელობის საერთაშორისო თასის შემოღება. მას დაუფასდა ამაგი: იგი "ღირსების ორდენით" დაჯილდოვდა.

1998 წლის თებერვალში სრულიად საქართველოს მოჭადრაკეთა ყრილობამ ახალ პრეზიდენტად აირჩია დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი.

2000 წლის გაზაფხულზე ფედერაციის პრეზიდიუმმა (გამგეობამ) რიგგარეშე ყრილობა მოიწვია. ზ. აზმაიფარაშვილის მოხსენების და ნ. ალექსანდრიას თანამოხსენების შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ ყრილობის დელეგატები. მათ მკაცრი შეფასება მისცეს ფედერაციის განვლილ მუშაობას.

დელეგატებმა ახალ პრეზიდენტად ნონა გაფრინდაშვილი აირჩიეს. მისი სახით პირველად ჩვენს ფედერაციას პრეზიდენტად მანდილოსანი მოევლინა.

ყრილობამ თანაპრეზიდენტად დატოვა ზ. აზმაიფარაშვილი, რომელსაც დაევალა ფედერაციის ურთიერთობა ფიდე-სთან და დიდი ტურნირების ორგანიზაცია.

დღეს, როგორც არასდროს, ფედერაციას მეტი ძალისხმევა სჭირდება საჭადრაკო ცხოვრების წარმართვისათვის. ეს კარგად იციან ფედერაციის მესვეურებმა და დიდი მონდომებით იღვწიან.

თავი III

რეგიონების ჭადრაკის ისტორიიდან

ეს ქართული ჭადრაკის ისტორიის ახალი თემაა. დღემდე არავის გაუხდია იგი კვლევის საგნად. არადა მისგან შედგება ჩვენში ჭადრაკის წარსული – "მკვიდრი საფუძველი აწმყოსი, როგორც აწმყო მერმისისა".

ჩვენს მცირე მიმოხილვებს არა აქვს პრეტენზია ამოწურავს საქართველოს ყველა რეგიონის ჭადრაკის წარსული. ეს შეუძლებელიცაა ერთი კაცისაგან. იგი მიზნად ისახავს მხოლოდ წარმოაჩინოს რამდენიმე რეგიონის მნიშვნელოვანი საჭადრაკო მოვლენები და ის მოღვაწე ადამიანები (მოჭადრაკეები, მწვრთნელები, მსაჯები, ორგანიზატორები), რომელთა თაოსნობით და მუხლჩაუხრელი მეცადინეობით ჭადრაკმა ჰპოვა გავრცელება და პოპულარობა მათ მხარეში. მათი ღვაწლი არ უნდა დაიკარგოს.

იმედი გვაქვს, რომ ქვემოთ მონათხრობი მავანს აღუძრავს სურვილს თავად შეისწავლოს და გამოამზეუროს მშობლიური რეგიონის (ქალაქის, რაიონის, სოფლის) ჭადრაკის ისტორია.

წერილებში მოტანილი მრავალი ფაქტისა და ამბის მოწმეა თვითონ ამ სტრიქონების ავტორი. შესაძლოა, რომ გამოგვრჩა (ცოდვად ნუ ჩაგვითვლით, უბრალოდ არ ვიცოდით) ბევრი სხვა არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენა, ანდა სრულად ვერ ავსახეთ დამსახურებული მოღვაწის საქმიანობა. ამიტომ, ცხადია, რომ მომავალი მკვლევარი არ უნდა დაკმაყოფილდეს ჩვენს წერილებში მოცემულით, თუ სურს სრულად აღადგინოს თავისი რეგიონის ჭადრაკის წარსული.

და ბოლოს, მადლობით მივიღებთ საქმიან შენიშვნებს, დამატებით ცნობებს ამა თუ იმ რეგიონის საჭადრაკო ცხოვრებიდან.

აჭარა

საქართველოს ძირძველ მხარეში, აჭარაში ყოველთვის დიდ პატივს მიაგებდნენ ჭადრაკს. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა XX საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს. ალბათ შემთხვევითი არ იყო, რომ ბათუმელი ვლადიმერ მედვედევი საქართველოს ვაჟთა I ჩემპიონატში (1928 წ.) საასპარეზოდ მიიწვიეს.

ფანი კაცმაც ასახელა ბათუმი,

როცა ზედიზედ ორჯერ (1935, 1936 წწ.) საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. 1936 წლის ჩემპიონატში აჭარას ევა შიოშვილიც წარმოადგენდა. მერეც, 1957 წლამდე იგი ყოველთვის მონაწილეობდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ფორუმში.

ღვაწლმოსილ მოჭადრაკესა და მწვრთნელს ე. შიოშვილს (1904-1980 წწ.) დიდი ამაგი მიუძღვის აჭარაში, კერძოდ ბათუმში, ნიჭიერ მოჭადრაკე გოგო-ბიჭების გამოვლენა-აღზრდაში. მისმა მოწაფეებმა, ოსტატებმა გ. ჭანტურიამ და ლ. ნეურონოვმა სასახელოდ განაგრძეს მასწავლებლის კეთილშობილური საქმიანობა.

ყველა გაახარა აჭარის ვაჟთა 1938 წლის ჩემპიონატში ყმაწვილი ტანიმანიდის გამარჯვებამ. მაგრამ გადატანილმა დიდმა ომმა მის წინსვლას დაღი დაასვა.

დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის კოლმეურნე მოჭადრაკეთა ჩემპიონატმა (მოსკოვი, 1939 წ.), რომლის ათ მონაწილეს შორის იყო საქართველოს კოლმეურნე მოჭადრაკეთა ჩემპიონი ზია წულუკიძე (ხულოს რაიონი, სოფ. დიდაჭარა). მისი დებიუტი დიდ სარბიელზე მეცხრე ადგილით აღინიშნა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბათუმში გამოჩდნენ ნიჭიერი მოჭადრაკეები პ. მორჩილაძე, ბ. აბრამიძე და სხვ. მაშინ მრავალი ტურნირი და სამატჩო შეხვედრა ეწყობოდა. 1946 წელს ბათუმის ნაკრები

შეხვედრა ხულოს რაიონის ხოფელ დიდაჭარის მოჭადრაკეთან (24 აგვისტო 1973 წ) ოსტატები ა. ბოკუჩავა და ხ. მეგრელიშვილი ერთდროულად თამაშის ხვანსს აკარებენ აქვე (ცენტრში) არიან გ. გამრეკელი, თენგიზ გოთრუაძე და გ. ჭანტურია.

შეხვდა თბილისის უნივერსიტეტის გუნდს. 1948 და 1950 წლებში პ. მორჩილაძემ მონაწილეობა მიიღო საქართველოს ჩემპიონატებში.

ბათუმელების მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩა საქართველოს მოსწავლეთა 1953 წლის სპარტაკიადა. საქმე ისაა, რომ მაშინ პირველად გაიელვა 12 წლის ნონა გაფრინდაშვილის განუმეორებელმა ტალანტმა.

შესანიშნავმა ბუნებამ, სათამაშო პირობებმა და ბათუმელთა გულთბილმა მასპინძლობამ ფართოდ გაუღო კარი დიდ ტურნირებს.

1958 წლის ზაფხულში ბათუმის ზღვისპირა საკონცერტო დარბაზში გაიმართა სსრ კავშირის ქალთა XVII ჩემპიონატის ნახევარფინალი. მას დიდძალი მაყურებელი ესწრებოდა. უნდა გენახათ მათი სიხარული, როცა პირველ პრიზს ნონა გაფრინდაშვილი, ხოლო მესამეს — ბათუმელი, 24 წლის ალა ჩაიკოვსკაია დაეუფლა.

1961 წლის გაზაფხულზე ბათუმში საქართველოს ქალთა II საერთაშორისო ტურნირის ფინიში მოეწყო. აქაც პირველი ნონა გაფრინდაშვილი იყო. მეორე კი ა. ჩაიკოვსკაია. ამ წარმატებისთვის ა. ჩაიკოვსკაიას, პირველს ბათუმელთაგან, სპორტის ოსტატის წოდება მიეკუთვნა.

ბათუმელებს საქართველოს ჩემპიონატებისთვისაც უმასპინძლიათ: 1960 წელს გაიმართა ვაჟთა მე-20, 1973 წელს — ქალთა 30-ე ჩემპიონატი, რომლებშიც უძლიერესის სახელი ბ. გურგენიძემ და ც. კახაბრიშვილმა დაისაკუთრეს.

1991 წლის დეკემბერში ჭადრაკის დიდ ზეიმად იქცა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის მემედ აბაშიძის (1873-1941 წწ.) ხსოვნისადმი მიძღვნილი I საერთაშორისო ტურნირი. ბრძოლაში ხუთი ქვეყნის 12 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა, მათ შორის იყვნენ გ. გიორგაძე, ზ. სტურუა, ლ. ჯანჯღავა და გ. ზაიჩიკი. მთავარი პრიზი ლიტველმა ა. კვეინისმა მოიპოვა.

მ. აბაშიძის II მემორიალი მხოლოდ 1999 წლის მიწურულს გაიმართა. ტურნირში, რომელიც შვეიცარიული სისტემით 9 ტურად მოეწყო, 66 მოჭადრაკე მონაწილეობდა. I პრიზი 7½ ქულით ჭაბუკმა ოსტატმა, 17 წლის ბაადურ ჯობავამ დაისაკუთრა. მეორე-მეხუთე ადგილები გაიყვეს თ. გელაშვილმ., მ. საზიანმა (ერევანი), გ. ბახტაძემ და გ. გოგიჩაიშვილმა — 7-7.

როგორც ითქვა, ბათუმში ე. შიოშვილის და მისი მოწაფეების გარჯა-შრომით მრავალი ნიჭიერი მოჭადრაკე აღიზარდა. მათ დიდად უწყობდა ხელს ბათუმის პიონერთა პარკის ხელმძღვანელობა (დირექტორი რევაზ ბოლქვაძე). სწორედ ამ ზრუნვა-ყურადღებაში ამოანათა დიანა დარჩიას დიდმა ნიჭმა. ზედიზედ



დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატი გურამ ჭანტურია და საერთაშორისო დიდოსტატი დიანა დარჩია (1999წ.).

ორჯერ, 1990 და 1991 წლებში, პატარა დიანამ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული 12 და 14 წლის გოგონებს შორის. მას ფიდე-ს ოსტატის წოდება, ხოლო მის მწვრთნელს გურამ ჭანტურიას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება მიანიჭეს.

შემდეგომ დიანა დარჩიამ თვალსაჩინო სპორტულ-შემოქმედებით წარმატებებს მიაღწია. 1997 წელს მან საერთაშორისო ოსტატის, ხოლო 1998 წელს საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მოიპოვა. მისი გვარი ფიდე-ს 1999 წლის რეიტინგლისტში მე-16 იყო. დიანა დარჩია პირველი დიდოსტატია აჭარაში.

აჭარის უძლიერესი მოჭადრაკეები (პ. მორჩილაძე, გ. ჭანტურია, ლ. ნეურონოვი) ხშირად მონაწილეობდნენ საქართველოს ჩემპიონატში. ერთხელაც, 1987 წელს ბათუმში სამხედრო სამსახურში მყოფმა მ. კრასენკოვმა საქართველოს ჩემპიონის სახელი მოიპოვა. ახლა იგი ცნობილი დიდოსტატია და პოლონეთში ცხოვრობს.

90-იან წლებში ბათუმის სახელით ახალგაზრდა ოსტატი ჯამბულ მახარაძე თამაშობდა.

მოზარდთა აღზრდის ტრადიციას წარმატებით აგრძელებს საჭადრაკო სკოლა "კაისა" (დირექტორი დავით ქანთარია). 1999 წლის გაზაფხულზე სკოლამ უმასპინძლა ღირსსახსოვარ შეჯიბრებას — საქართველოს 10 წლამდე ყმაწვილების ჩემპიონატს. პატარები გაახარა საზოგადოებრიობის ყურადღებამ და პრიზებით უხვად დასაჩუქრებამ.

აჭარას ჰყავს ჩინებული საჭადრაკო კომპოზიტორი, პრობლემისტი ფერად კაკაბაძე, რომელიც ჯერ კიდევ 70-იან წლებში ხშირად იბეჭდებოდა ჟურნალ "შახმატში" (რიგა, ლატვია).

მაგრამ ბათუმის ჭადრაკის ისტორიაში ყველაზე ღირსსახსოვარი დღეა 1999 წლის 27 ნოემბერი. ამ დღეს ქალაქის შემოსასვლელში საზეიმოდ გაიხსნა ჭადრაკის სასახლის დიდებული შენობა. მან დაამშვენა ისედაც კოპწია ბათუმი.

ჭადრაკის სასახლე აიგო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღ-



ბათუმის ჭადრაკის სასახლე (1999 წ.)

ლესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის თაოსნობით. როცა მან შეიტყო, რომ ევროპის გუნდური პირველობის მასპინძლობისთვის გამართულ კონკურსში ბათუმმა გაიმარჯვა, გადაწყვიტა მოჭადრაკეთაოვის უმშვენიერესი საჩუქარი დაეხვედრებინა. სასახლე წარმოუდგენლად სწრაფად, შვიდ თვეში აშენდა.

სასახლის პროექტი არქიტექტორ თემურ ახვლედიანთან ერთად შეადგინა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის იმ დროს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა – მიხეილ ქანთარიამ, რომელიც თავად ხელმძღვანელობდა მშენებლობას შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს "ჟანგბადის" ფინანსური ხელშეწყობით.

სამსართულიანი სასახლის მეორე და მესამე სართულზეა ორი დარბაზი, თითოეული 400 კვ. მეტრის, არის 30-ადგილიანი სასტუმრო, სამეცადინეო ოთახები, რაც მთავარია სასახლე დახურული გადასასვლელით შეერთებულია იქვე აგებულ საჭადრაკო სკოლა "კაისასთან".

საინტერესოა, რომ სასახლე საუცხოო ავეჯით არის გაწყობილი. ხის ავეჯი იქვე ბათუმში ხის დამმუშავებელ კომბინატში დამზადდა. საორგანიზაციო კომიტეტმა რბილი ავეჯი თურქეთში შეიძინა, ელექტრომოწყობილობა ლონდონიდან ჩამოიტანა.

აი, ასე შეხვდა ჭადრაკის სასახლე თავის პირველ სტუმრებს – ევროპის გუნდური პირველობის ასობით მონაწილეს. 2000 წლის

გაზაფხულზე სასახლე ჩინებულად გაუმასპინძლდა ევროპის მოჭადრაკე ქალთა I ჩემპიონატს.

ბათუმის ჭადრაკის სასახლეს დიდი მომავალი აქვს.

●

უკვე რამდენიმე წელია **ქობულეთში** ტრადიციად იქცა საქართველოს ფიზაღზრდისა და სპორტის აკადემიის კურსდამთავრებულის, მწვრთნელისა და ოსტატის ამირან ბერძენიშვილის თაოსნობით მოსწავლეთა სხვადასხვა ფესტივალისა და საერთაშორისო ტურნირების გამართვა. ამ კეთილშობილურ საქმეში დაუცხრომელ ა. ბერძენიშვილს ხელს უწყობს ბევრი ორგანიზაცია, რა თქმა უნდა, უპირველესად ქობულეთის გამგეობა და ჭადრაკის ფედერაცია (თავმჯდომარე იოსებ მჟავანაძე).

აღსანიშნავია, რომ 1997-1999 წლებში ქობულეთის ფესტივალმა თერთმეტ საერთაშორისო და ოცდათერთმეტ საშინაო პირველობას უმასპინძლა, რაც თავისებური რეკორდია მოსწავლეთა ფორუმებისათვის. ალბათ, ამ ტურნირების ისტორია პატარა წიგნში მაინც იქნება დაფიქსირებული.

აფხაზეთი

ჩვენ არ ვიცით როგორი იყო 20-იან წლებში აფხაზეთში ჭადრაკის ტრადიციები. ცნობილია მხოლოდ, რომ საქართველოს ვაჟთა I ჩემპიონატში (თბილისი, 1928 წ.) აფხაზეთს წარმოადგენდა ვ. კომაროვი (იხ. "მატიანე", I, გვ. 275). ჩანს, იმ დროს სოხუმში ძლიერი მოჭადრაკეები ცხოვრობდნენ.

გაზეთი "ზარია ვოსტოკა" (1928 წ) იტყობინება, რომ ოქტომბრის დღესასწაულებზე სოხუმში მოჭადრაკეთა შეხვედრებიც მოეწყო. საქართველოს ჩემპიონმა ნ. სოროკინმა რამდენიმე ერთდროული თამაშის სეანსი გამართა (+34-4=2). მერე ორდღიან მატჩში შეხვდა სოხუმელთა უძლიერეს მოჭადრაკეს რილცინს. პირველ დღეს გაიმარჯვა მასპინძელმა – 3:1, მეორე დღეს – ნ. სოროკინმა – 2:0.

1934 წლის დამდეგს გაზეთმა "საბჭოთა აფხაზეთმა" თავის ფურცლებზე ჭადრაკის კუთხე შემოიღო. მარტში კი აფხაზთის ვაჟთა I ჩემპიონატი მოეწყო (I. ვ. რუდნევი). მერე აფხაზეთის ჭადრაკისა და შაშის კომიტეტმა ამოცანებისა და ეტიუდების შედგენის კონკურსი გამოაცხადა. მთავარ მსაჯად ცნობილი საჭადრაკო კომპოზიტორი ჰ. კასპარიანი მიიწვია.



აფხაზეთის 1959 წლის პირველობის მონაწილენი და მსაჯები (მარცხნიდან) სხედან: ვ. რუდნევი (ხოხელი), ვ. ჯობავა (ცალი), ნ. ხორიკანი (მთ. მსაჯი), ვ. სადოვსკი, გ. ფხაკაძე (ორივე – ხოხელი); დგანან: ა. კაკარაია (მსაჯი), ლ. ქუსილაია (თბილისელ), თ. კიკიანი (თბილისი), ვ. ტოლსტოუსოვი (ტუალეთი), რ. კიკალიშვილი, ი. რადჩენკო (ორივე – ხოხელი), თენ. გიორგაძე, ა. ბრეიტმანი (ტყვარჩელი), ო. ცირდაია, ვ. მიდლიანოვსკი (ორივე – ფოთელი), ა. ბალანდინსკი (მსაჯი), ა. თეკუჩაია (ხოხელი), რ. ტოპოლიანი, დ. ხორდია, ი. ბერეზინი, ა. დმიტრიევი, ი. შუანდერი (ტყელა – ხოხელი). (ხოხელი, 29 მარტი 1959 წ.)

აფხაზეთის ჩემპიონატების გამართვა მერეც გაგრძელდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ შედეგებს ვერ მივაკვლიეთ, თუმცა გადმოცემით ჩემპიონები, ისიც არა ერთხელ, ყოფილან ვ. რუდნევი, გ. ფხაკაძე, ა. გაბელაია, ი. შუანდერი და ა. ბრეიტმანი.

შეგვიძლია გავიხსენოთ 1959 წლის ჩემპიონატი, რომლის მონაწილე ამ სტრიქონების ავტორი გახლდათ. ამ ტურნირს საქართველოს ჩემპიონატის ნახევარფინალის სტატუსი ჰქონდა, ამიტომ ვმონაწილეობდით ორი თბილისელი მოჭადრაკე (თ. კიკიანი, თენ. გიორგაძე). ჩემპიონი ა. ბრეიტმანი (ტყვარჩელი) გახდა.

ამ ჩემპიონატის სამახსოვრო ფოტოსურათზე აღბეჭდილი არიან აფხაზეთის იმდროინდელი უძლიერესი მოჭადრაკეები და საჭადრაკო ცხოვრების წარმმართველნი. საინტერესოა, რომ მათგან მხოლოდ გ. ფხაკაძეს მიუღია მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონატში (1947, 1948 წწ.). შემდეგომ აფხაზეთის წარმომადგენლები ჩემპიონატში ა. ბრეიტმანი (1959 წ.) და მ. ჩაგუნავა (1962 წ.) იყვნენ.

აფხაზეთის ლამაზი ბუნება მუდამ იზიდავდა მოჭადრაკეებს. ამიტომ სოხუმი, განსაკუთრებით 50-60-იან წლებში, მრავალჯერ იყო დიდმნიშვნელოვანი ტურნირების მასპინძელი.

ამ პერიოდში სოხუმში მართლაც რამდენიმე შესანიშნავი ტურნირი გაიმართა, როგორც მაგალითად, 1955 წელს სსრ კავშირის ქალთა XV ჩემპიონატი (მთ. მსაჯი ქ. გოგიავა), 1964 წელს – საქართველოს ქალთა ტრადიციული, IV საერთოშორისო და ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირები.

სტუმარი-მოჭადრაკეები აღნიშნავდნენ აფხაზეთის ჭადრაკის ფედერაციის (თავმჯდომარე რ. კაკიაშვილი) უნარიან მუშაობას და გულშემატკივარ-მაყურებელთა მაღალ საჭადრაკო კულტურას. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა 1963 წელს სოხუმში "დიდ საჭადრაკო ფესტივალზე". ამ დღესასწაულში მონაწილეობა მიიღეს ვ. სმისლოვმა, პ. კერესმა, ვ. კორჩნოიმ და სხვ.

50-იან წლებში სოხუმში სპორტსკოლასთან მუშაობა დაიწყო ჭადრაკის წრემ გამოცდილი მოჭადრაკისა და მწვრთნელის სანდრო არონიშიძის ხელმძღვანელობით (ამჟამად 90 წლის აღმზრდელი ცხოვრობს პეტერბურგში, რომლის დაცვაში მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომის დროს). თითქმის ხუთი ათეული წელი იგი ზრდიდა ახალგაზრდა მოჭადრაკეებს. მისი აღზრდილები არიან ეროვნული ოსტატი რევაზ დადიანი, ოსტატობის კანდიდატები რამინ ხოჭავა, მურთაზ ჩაგუნავა, ავთანდილ გიორგაძე, ბაკურ მისაბიშვილი, ელიშაკოვი და სხვა. მრავალი მათგანი შემდგომ აფხაზეთის ჩემპიონიც იყო. მაგალითად, რ. დადიანმა ათი ჩემპიონატი მოიგო.

ჭადრაკის არნახულ პოპულარობას დიდად შეუწყო ხელი 60-იან წლებში სოხუმში გამართულმა დიდმა ტურნირებმა და მატჩებმა (მაგალითად, ბ. სპასკი – ე. გელერის შეხვედრა) და აგრეთვე ნ. გაფრინდაშვილის, მ. ბოტვინიკის, ვ. სმისლოვის, ს. ფლორის, ა. ლილიენტალის და სხვა კორიფეთა ხშირმა სტუმრობამ. ამ დროს სოხუმში საცხოვრებლად გადმოვიდა ა. ტუზოვსკი, "დინამოს" ჭადრაკის კლუბში ნორჩებს ამეცადინებდა მოჭადრაკე ქალი ლუიზა ნაგელი (ახლა ცხოვრობს ავსტრიაში), სპორტსკოლაში – ელიშაკოვი, ხოლო გულრიფშის რაიონში – ს. არონიშიძე.

80-იან წლებში სამწვრთნელო – პედაგოგიურ. სარბიელზე ახალი კადრები გამოჩდა: სოხუმში ნოდარ გელენავა, რომელმაც ჭადრაკის სპეციალობით დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, რევაზ დადიანი და გიორგი ბარამ-

იძე, ოჩამჩირეში – რენცო ჭედია (ქეთევან არახამიას აღმზრდელი), გუდაუთაში – ევგენი მარტიროსიანი, გალში – ოთარ ბჟანია, გულრიფშში – ომარ ბერულავა და სხვა.

1982 წლიდან სოხუმში რამდენჯერმე მოეწყო სპორტსაზოგადოება "სპარტაკის" საკავშირო ჩემპიონატი. მონაწილეთა შორის სოხუმელებიც იყვნენ – ნ. გელენავა, მ. იაელიანი, ო. ბერულავა და ო. ბაღათურია.

1988 წელს კურორტმა ეშერამ უმასპინძლა მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების მოჭადრაკეთა სიმპოზიუმს. ხუთ კონტინენტს 30-მდე მოჭადრაკე წარმოადგენდა. სიმპოზიუმს ფიდე-ს პრეზიდენტი ფ. კამპომანესიც ესწრებოდა. მისი დამთავრების შემდეგ გაიმართა ამხანაგური მატჩი 21 დაფაზე "მსოფლიოს" და აფხაზეთის ნაკრებებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა – 13½:7½.

ამ დროიდან აფხაზეთის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარეა ნოდარ გელენავა. (რ. კაკიაშვილმა ფედარაციას 1962-1989 წლებში უთავკაცა). ახალგაზრდა ხელმძღვანელი უნარიანად უძღვება ფედერაციის საქმიანობას, თუმცა მწვრთნელადაც მუშაობს.

1989 წელს სოხუმში შეიქმნა საჭადრაკო კოოპერატივი "გამბიტი" (დამფუძნებლები ნ. გელენავა, მ. იაელიანი, რ. დადიანი). იმავე ზაფხულს სოხუმში საერთაშორისო გუნდური ტურნირი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ავსტრიის, გერმანიის, პოლონეთის, რუმინეთისა და ვიეტნამის გუნდებმა. "გამბიტმა" მეორე ადგილი დაიკავა. მერე ვიეტნამელებმა ხანოიში ორკვიარიან შეკრებაზე მიიწვიეს მწვრთნელები ნ. გელენავა, მ. იაელიანი და ე. მარტიროსიანი მსოფლიო პირველობისათვის ვიეტნამის ნაკრების მოსამზადებლად (რის შემდეგ ვიეტნამელებმა მესამე ადგილი დაიკავეს).

"გამბიტის" ნაკრებმა (დ. ზაქარაია, პ. კინტერაია, ბ. დარასელია, ლ. ლეჟავა, ო. ხურხუმალი, რ. გოლეთიანი, ც. ზაქარაია) მონაწილეობა მიიღო რუმინეთის (ქ. ტიმიშოარა), პოლონეთის (ქ. ვარშავა) და იუგოსლავიის (ქ. ინჯია) საერთაშორისო ტურნირებში.

ეს ყველაფერი იყო, ვიდრე აფხაზეთში არ დაირღვა პოლიტიკური სტაბილურობა. 90-იან წლებში ლტოლვილი სოხუმელი მოჭადრაკეები ნაკლებად ჩანდნენ დიდ სარბიელზე.

დიდ წარმატებებს მიაღწია რუსუდან გოლეთიანმა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა 14, 16 და 18 წლის გოგონათა მსოფლიო პირველობებში. შარშან რუსუდანმა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიიღო. მან ქალთა 2000 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საგზურიც მოიპოვა. მის მწვრთნელს ნ. გელენავას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიეკუთვნა.

30-იანი წლებიდან მოყოლებული **ოზურგეთის** საჭადრაკო ცხოვრება ცნობილი მასწავლებლისა და მოჭადრაკის გრიგოლ კალანდარიშვილის (დაიბ. 1912 წ) სახელთან არის დაკავშირებული.

მუხლჩაუხრელი მოღვაწე 20 წელზე მეტხანს ოზურგეთის საჭადრაკო სექციას თავკაცობდა. იგი 12-ჯერ იყო რაიონის ჩემპიონი და ორჯერ, 1939 და 1940 წლებში, განათლების სამინისტროს მუშაკთა ჩემპიონატის მეორე პრიზიორი. 1935 წელს სრულიად საქართველოს მოჭადრაკეთა ტურნირში მიიღო მონაწილეობა. იგი საჭადრაკო კომპოზიციითაც იყო გატაცებული. მისი ამოცანები გაზეთებში იბეჭდებოდა.

ცხადია, ოზურგეთში ყველა შეჯიბრების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი გ. კალანდარიშვილი გახლდათ. თანამებრძოლებმა და მოწაფეებმა მას მოფერებით "გურულების ბოტვინიკი" შეარქვეს.

ასე იყო დიდი ომის შემდეგაც. 1946 წელს სასტუმრო "გურიის" პირველ სართულზე ჭადრაკის კლუბი გაიხსნა. მაშინვე რაიონის ტრადიციული პირველობა გაიმართა. ჩემპიონობა არავის დაუთმო გ. კალანდარიშვილმა.

გრიგოლ კალანდარიშვილი

მომდევნო ადგილებზე გავიდნენ უძლიერესებად აღიარებულნი — პ. თენიეშვილი, გ. ლომაძე, ა. კალანდაძე (მომდევნო, 1947 წლის ჩემპიონი) და ი. ანთელიძე.

იმ წელს რაიონის მოსწავლეთა შორის ჩემპიონობა მოიპოვა შოთა ინწკირველმა. ძლიერი თამაშით გამოირჩეოდა თამაზ სალუქვაძე, შემდგომში ცნობილი ჟურნალისტი.

ოზურგეთის საჭადრაკო მოძრაობაში თავიანთი მოღვაწეობით გამოირჩეოდნენ სიმონ გუგუნავა, ბენია ტოროტაძე, პანტელეიმონ თენიეშვილი, ყმაწვილი გიორგი მახარაძე, შემდგომში ცნობილი ინჟინერი, პოლკოვნიკი და ჭადრაკზე საინტერესო წიგნების ავტორი. გან-

საკუთრებით აღსანიშნავია მისი წიგნი "მამაკაცთა პირისპირ" (თბილისი, 1982 წ.), რომელიც ერთადერთია საჭადრაკო ლიტერატურაში მოჭადრაკე ქალების კოლეგა-ვაჟებთან დაპირისპირების საკითხში. აგრეთვე საქართველოს სპორტსაზოგადოება "კოლმეურნეს" ჩემპიონები ოლღა შათირიშვილი (სოფ. ღაშე) და რევაზ ჭყონია.

ოზურგეთში ახლაც იზრდებიან ნიჭიერი გოგო-ბიჭები. უკვე რამდენიმე წელია მათ აკვალიანებთ ცნობილი ოსტატი მზია წერეთელი და მისი ბავშვთა სკოლა. მაგალითად, ნორჩი ჩემპიონი ლანა ლომაძე ჭადრაკის უმაღლეს ცოდნას ეუფლება საქართველოს ფიზაღზრდისა და სპორტის აკადემიაში.

ოზურგეთში დღემდე არ შენელებულა ჭადრაკისადმი ლტოლვა.

●

ჭადრაკს **ლანჩხუთშიც** მრავალი ერთგული მოყვარული ჰყავდა. მაგალითად გიორგი იმნაძე, გერმანე ებრალიძე და სხვ. საასპარეზოდ ისინი ოზურგეთშიც ჩადიოდნენ.

მრავალი წელია რაიონის სპორტსკოლასთან დიდი მონდომებით მუშაობენ ცნობილი მწვრთნელები ტარიელ ხუხუნეიშვილი და ნუგზარ გვარჯალაძე. მათი ერთ-ერთი მოწაფე — რუსუდან ჭკუასელი სწავლობს საქართველოს ფიზაღზრდის და სპორტის აკადემიის ჭადრაკის სპეციალობაზე.

●

როდიდან გავრცელდა ჭადრაკი **ჩოხატაურში,** ვერ დავადგინეთ. მაგრამ 1959-1960 წლებში მას რომ დიდად მფარველობდა კოხნარის საშუალო სკოლის დირექტორი დავით ჯურგენიძე, ამის მოწმე თავად ვარო.

1960 წლის იანვარში მან ახალგაზრდობასთან შესახვედრად მიიწვია ჩოხატაურში ახალგაზრდა ოსტატი, 19 წლის ნონა გაფრინდაშვილი, აჭარის ჩემპიონი ალა ჩაიკოვსკაია და ამ სტრიქონების ავტორი. სტუმრებმა საჭადრაკო ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებზე ისაუბრეს და ერთდროული თამაშის სეანსები გამართეს.

აი, მაშინ გავეცანით სოფლების კოხნარის, ნაბელლავის, შუა განახლების ნორჩ მოჭადრაკეებს. შევიტყვეთ, რომ სკოლებში გახსნილი ჰქონდათ ჭადრაკის შემსწავლელი წრეები, აწყობდნენ სასკოლო პირველობებს, ხოლო ე მარჯვებულები მერე რაიონის ჩემპიონატში მონაწილეობდნენ.

სტუმარ-მასპინძელთა საინტერესო შეხვედრა სპორტსკოლაში ფართოდ გააშუქა ჩოხატაურის გაზეთმა "ბრძოლის დროშამ" (1960 წ., №20).

დიდად გამოცოცხლდა საჭადრაკო ცხოვრება რაიონში ამირან ბერძენიშვილის მეოხებით. ამირანს

ბავშვობიდან იტაცებდა ბრძენთა თამაში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭადრაკის სპეციალიზაციაზე. 1982 წელს ახალგაზრდა სპეციალისტი მშობლიურ კერას დაუბრუნდა და რაიონის მესვეურთა თანადგომით ჩოხატაურში ჭადრაკის კლუბი გახსნა. აამუშავა ნორჩ მოჭადრაკეთა ჯგუფები. მისი აღსაზრდელები ხშირად იყვნენ საასპარეზოდ ბულგარეთში, რუმინეთში, რუსეთში და სხვა.

ა. ბერძენიშვილის ძალისხმევით კლუბი კვლავ არსებობს, თუმცა იგი ავბედით წლებში რამდენჯერმე გაიძარცვა. ენერგიულმა მწვრთნელმა საკუთარ ზრდახეც იზრუნა: გახდა ეროვნული კატეგორიის მსაჯი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ა. ბერძენიშვილის, როგორც ქობულეთის საჭადრაკო ფესტივალების ერთ-ერთი ორგანიზატორის მოღვაწეობა. უკვე 10 წელია ფესტივალში მონაწილეობენ რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ლიტვის და სხვა ქვეყნების ნორჩი მოჭადრაკეები. რა თქმა უნდა, მათ შორის ყოველთვის ჩოხატაურელებიც არიან.

სამეგრელო

ჭადრაკს სამეგრელოში შორეული წარსული აქვს. ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ცნობილი იტალიელი მისიონერი ა. ლამბერტი წერდა, რომ "საკუთრივ სამეგრელოში გავრცელებულია ჭადრაკი". "მას უფრო ქალები ეტანებიან და ისე მარდად და ხელოვნურად თამაშობენ, რომ საუცხოო სანახავიაო".

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მეფურ თამაშს დიდ პატივს მიაგებდნენ სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის ოჯახში. სამეგრელოს დედოფალმა ეკატერინე ჭავჭავაძემ მას უმცროსი ვაჟი ანდრია აზიარა.

ანდრია დადიანი იყო პირველი ქართველი მოჭადრაკე, რომელიც ჭადრაკის სამყარომ გაიცნო. იმდროინდელი ევროპის საჭადრაკო ჟურნალებში ხშირად იბეჭდებოდა მისი პარტიები. ინგლისურმა ჟურნალმა "ჩესს მანსლიმ" (1892 წ.). მთლიანად მიუძღვნა დადიანის შემოქმედებას ერთი ნომერი.

ცხადია, რომ XIX საუკუნისდროინდელი ქართველი ინტელიგენცია ინტერესით ადევნებდა თვალს ცნობილი მამულიშვილის საჭადრაკო მოღვაწეობას. ქომაგები სამეგრელოშიც, კერძოდ **ზუგდიდში** იყვნენ.

მკვლევარის შ. ჩაგუნავას ცნობით XX საუკუნის დასაწყისში ზუგდიდში ჭადრაკის მიმდევარ-მოამაგენი იყვნენ: მწერალი იონა მეუნარგია, მოურავი ვ. ალშიბაია, კალისტრატე კობახიძე (მსახიობ პიერ კობახიძის მამა), მომრიგებელ-შუამავლები ოტია ჩიქოვანი, მიშა დადიანი, პედაგოგი-პუბლიცისტი ოლღა აბაშიძე (ფ. ჟორდანიას მეუღლე), ნაფიცი ვექილი ნ. დავითაია, ექიმი ა. პაჭკორია, მასწავლებლები ა. ნადარეიშვილი (ეტიუდისტ გ. ნადარეიშვილის მამა) და ვ. ოსაძე.

ჭადრაკს არც შემდგომ, 20-50-იან წლებში დაკლებია ყურადღება და პატივი. მას კვლავაც მრავალი მიმდევარი ჰყავდა, მაგალითად, ექიმები ა. მეუნარგია, კ. ბუკია, ვექილები შ. შენგელია, შ. გოგოხია, ხ. შონია, პედაგოგები თამარ ღურწკაია, დოდო გიგანი, ვ. ხასია და სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ზუგდიდის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე კარლო ხორავა, რომელმაც მრავალ მოჭადრაკეს, უპირველესად ნ. გაფრინდაშვილს, მ. დემურიას, თ. კიკიანს და სხვებს ხელი შეუწყო დიდ სარბიელზე გასვლაში.

ყველაზე მეტად საჭადრაკო ცხოვრების მაჯისცემა 60-იან წლებში იგრძნობიდა. რა თქმა უნდა, იგი მეტწილად განაპირობა 1962 წელს ნონა გაფრინდაშვილის მიერ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებამ. ზუგდიდელებმა ზარ-ზეიმით აღნიშნეს თანაქალაქელის საამაყო მიღწევა. ნონას ყოველი შემდეგომი გამარჯვება ახალ სტიმულს აძლევდა კოლხეთის უძველესი ქალაქის ახალგაზრდობას. მადლიერმა გულშემატკივრებმა 1987 წელს ნონა ზუგდიდის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

დიდად გამოაცოცხლა საჭადრაკო მუშაობა ზუგდიდში 1957 წელს ჭადრაკის კლუბის გახსნამ. მისმა ენერგიულმა გამგემ ჯ. გაფრინდაშვილმა საერთო ფერხულში ჩააბა ვეტერანი და ახალგაზრდა მოჭადრაკეები — ა. გოგია, ჯ. ჯინორია, გ. შოგირაძე, აზა ბაძაღუა, ნონა ებრალიძე და სხვ. მერე საზოგადოებრივ საწყისებზე ბავშვთა საჭადრაკო სკოლაც ამუშავდა (6 ჯგუფი. 120 მოსწავლე).

შემდგომში კლუბს წარუძღვა ვ. ბაძაღუა. მან სკოლაში მწვრთნელებად მიიწვია მ. დემურია, კ. ხორავა, კ. სორდია, პ. ჭითანავა, რ. კიკიანი, ა. გოგია და სხვა.

კლუბი სისტემატიურად აწყობდა რაიონის სხვადასხვა პირველობას. მაგალითად, 1962 წელს მასწავლებელთა რაიონულ პირველობაში გაიმარჯვა სასაოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელმა ვ. ხასიამ.

ზუგდიდმა ორჯერ უმასპინძლა

ოსტატი მურმან დემურია

დიდ ტურნირს: 1959 წელს საქართველოს ქალთა მე-18 ჩემპიონატს (I. ნ. გაფრინდაშვილი) და 1962 წელს – საქართველოს ვაჟთა 23-ე ჩემპიონატს (I. ბ. გურგენიძე). ამ უკანასკნელი ტურნირის მთავარი მსაჯი იყო ზუგდიდელი ა. კუჭავა (შემდგომში ცნობილი საკავშირო კატეგორიის მსაჯი). ჩემპიონატში ნონაც მონაწილეობდა. იგი ე. ბიკოვასთან მატჩის სათამაშოდ ემზადებოდა მაშინ.

80-90-იან წლებში ზუგდიდელთა მიღწევები დაკავშირებულია მურმან დემურიას მოღვაწეობასთან. იგი წლების მანძილზე იყო საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, თავკაცობდა ზუგდიდის ჭადრაკის ფედერაციას. მურმანი იყო რაინდული ბუნების, კოლორიტული პიროვნება, ოსტატი ჭადრაკში და საქართველოს მრავალი ჩემპიონატის მონაწილე. მეგობრებმა ვიცოდით ჭადრაკისადმი მისი გაუნელებელი სიყვარული და ერთგულება, ამიტომაც მისმა გარდაცვალებამ (15. 12. 1999) ყველას დიდი ტკივილი და სინანული გაგვაცდევინა.

ზუგდიდელებმა ჭადრაკის ფედერაციის ახალ თავმჯდომარედ აირჩიეს ახალგაზრდა ოსტატი გიზო ჭურღულია. იგი მიეკუთვნება 80-იან წლებში დაწინაურებულ ნიჭიერ თაობას. გიზომ წარმატებით დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი ჭადრაკის სპეციალობით.

მის თაობას მიეკუთვნება ზუგდიდში ცნობილი ოსტატი და მწვრთნელი გოჩა თორია. მასაც უმაღლესი საჭადრაკო განათლება აქვს მიღებული (დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი), რასაც წარმატებით ავლენს სამწვრთნელო მუშაობაში. მასთან კარგა ხანს მეცადინეობდა სანდრო დგებუაძე, რომელსაც ამას წინათ საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭა. გოჩა თორიას აღსაზრდელები სისტემატურად მონაწილეობენ მოსწავლეთა საქართველოს პირველობებში. ამიტომ როდია გასაკვირი, რომ ერუდირებული მწვრთნელი საქართველოს ათ საუკეთესო მწვრთნელთა შორის დასახელდა.

●

ცნობილ მწერალსა და სახალხო არტისტს შალვა დადიანს უამბია ჩემთვის (1957 წ.), რომ **მარტვილის** რაიონის სოფელ ბანძაში ცხოვრობდა მისი ბიცოლა, შესანიშნავი მოჭადრაკე ნატალია ფაღავა. მას ძლიერი მეტოქეებიც ჰყავდა.

მარტვილის რაიონის სოფელ გორდის დადიანების საგვარეულო მონასტერში მშობლებსა და წინაპრებთან ერთად განისვენებს პირველი ქართველი მოჭადრაკე ანდრია დადიანი (1850-1910 წწ.).

60-იან წლებში მარტვილის რაიონში საჭადრაკო მუშაობას უძღვებოდა ნიჭიერი მოჭადრაკე კარლენ გვალია. მერე, როგორც იტყვიან, "ბეჟუტავს" იქაური საჭადრაკო ცხოვრება.

●

გადმოცემით, წარსულში **სენაკში** ყოფილან ჭადრაკის ტრფიალნი, მაგრამ მათი სახელები არ შემოუნახავს მეისტორიეს.

პირველი ცნობები სენაკის საჭადრაკო ცხოვრებაზე 1928 წელს მიეკუთვნება. ამ წელს სენაკში საჭადრაკო სექცია შეიქმნა. პირველი, რაც გააკეთეს ორგანიზატორებმა, იყო ის, რომ აღრიცხვაზე აიყვანეს ყველა მოჭადრაკე. მათი თანრიგების გასარკვევად პირველი საკვალიფიკაციო ტურნირი გამართეს. ბრძოლაში 17 მოჭადრაკე ჩაება. ტურნირი რომ დამთავრდა, პირველთანრიგოსნებად დასახელდნენ: ა. იმედაძე, ვ. სოლტანი, ს. ადამია, ი. ადამია და ა. არუთინოვი.

მაშინვე მოეწყო სენაკის პირველი ჩემპიონატიც. პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს: ა. იმედაძემ და ვ. სოლტანმა. მატჩში გაიმარჯვა ა. იმედაძემ – 6:1.

30-იანი წლების სენაკში ტურნირებს ახალგაზრდა ინტელიგენცია აწყობდა, ექიმი ვია (ვიაჩესლავ) კეშელავა, პედაგოგი ოთარ თვალთვაძე და სხვები.

1938 წელს სენაკის ჩემპიონი გახდა 17 წლის გია ნადარეიშვილი. იგი მაჯის საათით დააჯილდოვეს (გაზეთი "ფიზკულტურელი", 1938 წ. №34).

ერთხელ ვ. კეშელავამ გაიხსენა, რომ იგი ხშირად შეხვედრია ნიჭიერ თბილისელ მოჭადრაკეს სერგო კანკავას, რომელიც ზაფხულობით ჩამოდიოდა სენაკში ნათესავებთან. მაშინ სერგო გაიცნო გ. ნადარეიშვილმა. იგი მოიხიბლა ეტიუდებით, რომლებიც კანკავამ უჩვენა მას. ამას გვიამბობს გია წიგნში "სილამაზის ძიებაში" (თბილისი, 1986წ.).

ომის შემდგომ წლებში ჭადრაკს სენაკში ახალი მიმდევრები გაუჩნდა. ახალგაზრდობა გატაცებით მონაწილეობდა ტურნირებში. ზოგი საჭადრაკო კომპოზიციით დაინტერესდა. მაგალითად, ახალგაზრდა

ზეინკლის იური შოსტის ორსვლიანი ამოცანები 50-იან წლებში ჟურნალ "შახმატი ვ სსსრ"-შიც იბეჭდებოდა. საჭადრაკო კომპოზიციაში საქართველოს I ჩემპიონატში (1957 წ) ი. შოსტმა ვერცხლის მედლები მოიპოვა ორ და სამსვლიანი ამოცანების შედგენაში. არცაა გასაკვირი, რომ II ჩემპიონატში (1974 წ.) ახალგაზრდა პრობლემისტი საქართველოს ჩემპიონი გახდა ორსვლიან ამოცანებში.

1957 წელს გ. ნადარეიშვილის წინადადებით სენაკის გაზეთმა "ავანგარდმა" გამართა I რესპუბლიკური კონკურსი ეტიუდებისა და ამოცანების შედგენაში. კონკურსის შედეგები შეაჯამეს ჰ. კასპარიანმა (ერევანი), ვ. ქარსელაძემ და ვ. კეშელავამ. კონკურსში პირველ პრიზებს დაეუფლნენ გ. ნადარეიშვილი და ი. კრიხელი (იხ. "მატიანე", I გვ. 212).

1956 წელს სენაკში საცხოვრებლად ჩამოვიდა მიხეილ ქურდოვანიძე (1916-1992წწ.). მანამდე იგი მოღვაწეობდა ყვარელში, როგორც ინჟინერ-ტექნოლოგი. ორიოდე წელი ბატონი მიხეილი მასწავლებლად მუშაობდა სენაკის სკოლა-ინტერნატსა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. იგი მუდამ ეტრფოდა ჭადრაკს. ბოლოს, გაუსაძლისი სიყვარულის წყალობით მთლიანად დაუკავშირა მას თავისი ცხოვრება.

1962 წელს მ.ქურდოვანიძის

მიხეილ ქურდოვანიძე

მონდომებით სენაკში ჭადრაკის კლუბი "მხედრული" დააარსდა. ამ დღიდან იგი აქ ოცდაათი წელი მუშაობდა მწვრთნელად.

"მხედრულში" უამრავმა შეიყვარა ბრძენთა თამაში. ზოგჯერ 200-მდე ბავშვი მეცადინეობდა. გ. ქურდოვანიძემ გამოავლინა ნიჭიერი გოგო-ბიჭები, რომლებსაც ხელი შეუწყო შემდგომ დაოსტატებაში. ამ მოწაფეებიდან გამორჩეულებმა — გოჩა ტყებუჩავამ, და-ძმა მედეა და დავით ჩაჩიბაიებმა დაამთავრეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი ჭადრაკის სპეციალობით. გოჩამ სპორტის ოსტატის წოდებაც მოიპოვა. იგი დაბრუნდა სენაკში და ღვაწლმოსილ მასწავლებელს მხარში ამოუდგა. მათი ერთობლივი მუშაობა ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა.

იზრდებოდნენ საიმედო ახალგაზ-

რდები. საინტერესოა, რომ საქართველოს მოსწავლეთა IX სპარტაკიადაში სენაკის ნაკრებმა (ეკა შონია, გოჩა ტყებუჩავა, დავით ჩაჩიბაია, თენგიზ ქურდიანი, რომან სიჭინავა) მეორე ადგილი დაიკავა თბილისის გუნდის შემდეგ.

კლუბ "მხედრულის" (დირექტორი ო. თვალთვაძე) მონდომებული მუშაობით მრავალი მნიშვნელოვარი ტურნირი გამართულა. უნდა ითქვას, კლუბს შეფობას უწევდა გ. ნადარეიშვილი. კლუბში ლექცია და ერთდროული თამაშის სეანსი გაუმართავთ მ. ბოტვინიკს, ს. ფლორს და ა. ლილენტალს.

1971 წელს "მხედრულმა" უმასპინძლა საქართველოს ქალთა 28-ე ჩემპიონატს, რომელშიც 10 წლის მაია ჩიბურდანიძის დებიუტი შედგა. ტურნირის მთავარი მსაჯი მ. ქურდოვანიძე გახლდათ.

მეორედ ასეთ ჩემპიონატს "მხედრულმა" მასპინძლობა გაუწია 1981 წელს. ამჯერად დებიუტანტი 12 წლის ქეთევან არახამია იყო.

1987 წელს ამაგდარ მ. ქურდოვანიძეს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. აღსანიშნავია, რომ ბატონი მიხეილი წლების მანძილზე მეზობელი ხობის რაიონის პატარებსაც ასწავლიდა ჭადრაკს. მისი ამაგი დღესაც ახსოვთ მადლიერ ხობელებს. ამას წინაო მისი გახსენების საღამო გამართეს.

ბოლო წლებში "მხედრულში" თავგამოდებით საქმიანობს გ. ტყებუჩავა. მისი აღზრდილები თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ. დიდად გაითქვა სახელი საერთაშორისო ოსტატმა რომან სიჭინავამ. საკმარისია ითქვას, რომ 1996 წელს იგი ახალგაზრდა მოჭადრაკეთა ოლიმპიური (გუნდურ ჩათვლაში) ჩემპიონი გახდა. ალბათ ისიც სათქმელია, რომ რომანმა მოჭადრაკეთა ოჯახი შექმნა: ცოლად შეირთო საერთაშორისო დიდოსტატი, ბათუმელი დიანა დარჩია.

1998 წელს საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა გოჩა ტყებუჩავას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიაკუთვნა.

სენაკში ამჟამადაც დუღს საჭადრაკო ცხოვრება, თუმცა დღეს არც ისე ადვილია მისი წარმართვა.

●

ალბათ **ჩხოროწყუშიც** იქნებოდნენ ჭადრაკის მოყვარულები, მაგრამ არაფერი შემონახულა. სამაგიეროდ, 50-იანი წლებიდან იქ მოღვაწეობდა მამა-პაპათა თამაშის უერთგულესი კაცი ტარიელ ლემონჯავა (1936-1991 წწ.).

ჩხოროწყუში იგი დამკვიდრდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ. ტარიელ ლემონჯავას ღრმად ესმოდა ჭადრაკის არსი და

ტარიელ ლემონჯავა

მისი მნიშვნელობა. ამიტომაც "ულალატა" პროფესიას და ჭადრაკის პროპაგანდა-სწავლებას მიჰყო ხელი.

გახსნა ჭადრაკის კლუბი, შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდობა. "ვინ იცის ჩვენამდე და ჩვენს შემდეგ რამდენი თაობა დაიფრთიანა, რამდენს ჩაუნერგა ჭადრაკისადმი სიყვარული, უსაზღვრო, სწორედ ისეთი, მან რომ იცოდა. მას წაგებამოგებაზე მეტად რაღაც სხვა ძალა, ძიება, ბრძოლა, თავისუფალი აზროვნება, ხელოვნებისა და პოეზიის შეგრძნება, იზიდავდა" – წერდნენ მისი მოწაფეები შორენა ახალაია, გიგლა გობეჩია, აბესალომ თოლორდავა, გრიგოლ მამფორია და რობერტ წურწუმია.

ტარიელ ლემონჯავა ჩხოროწყუში მოღვაწეობის თითქმის ორმოცი წლის მანძილზე საგანგებო დღიურს წერდა, ფიქრით და განსჯით ავსებდა რვეულებს. მას არაფერი ავიწყდებოდა. სწორედ ამ ჩანაწერებს უნდა გაეცნოს, მომავალი მემატიანე, ჩხოროწყუში ჭადრაკის წარსული რომ აღწეროს.

ბევრისმეტყველია წერილი, რომელიც ტარიელ ლემონჯავამ გაუგზავნა გაზეთ "ლელოს" რედაქციას 1972 წელს ნონა გაფრინდაშვილის მიერ ალა კუშნირთან მსოფლიო პირველობის მესამე მატჩის მოგების შემდეგ. იგი წერდა: "მე და ჩემს მეუღლეს, მედეა ლომიძეს 1972 წლის 8 მაისს სანუკვარი ოცნება აგვიხდა. სამი ვაჟის მერე, ერთის მაგივრ ტყუპი ქალიშვილი შეგვეძინა. მათ ჩვენი ქვეყნის საამაყო მოჭადრაკეების ნონას და ნანას სახელები დავარქვით".

ტ. ლემონჯავას აწყობილ საჭადრაკო ცხოვრებას მისი აღზრდილები უძღვებიან. ერთ-ერთი მათგანია მარინა გოგუა, რომელმაც უმაღლესი საჭადრაკო განათლება მიიღო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში. 1992 წლიდან იგი მწვრთნელად მუშაობს მშობლიურ რაიონში. მისმა აღზრდილებმა უკვე მონაწილეობა მიიღეს თბილისში სხვადასხვა ასაკის იუნიორთა საქართველოს ჩემპიონატებში.

ჩხოროწყუს სახელი გაუთქვეს ძმებმა ეტიუდისტებმა რომანოზ და შაქრო წურწუმიებმა სოფელ ლეწურწუმედან. მათმა კოლექტიურმა ეტიუდებმა საერთაშორისო კონკურსებშიც მიიქციეს ყურადღება.

●

ფოთელებს საამაყოდ აქვთ, რომ მათ ქალაქში დაირწა ცნობილი

ქართველი მოჭადრაკეების არჩილ ებრალიძის და ნანა ალექსანდრიას აკვანი. კმაყოფილმა მოქალაქეებმა 1997 წელს ნანას სახელი შეარქვეს ფოთის ჭადრაკის კლუბს. ახლაც შავი ზღვისპირელები დიდ პატივს სცემენ ჭადრაკის ქურუმებს.

ცხადია, ჭადრაკისადმი ფოთში ასეთი ინტერესი არ იქნებოდა დიდი მწერლისა და პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძის ფოთის ქალაქისთავად ყოფნისას, თუმცა თავად დიდ კალმოსანს ძალიან უყვარდა ჭადრაკის თამაში. იმ დროს ფოთელები პირველ ქართულ ფეხბურთელებად აღიარეს.

ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები თუ რამდენად იყო ჭადრაკი პოპულარული ფოთში. 1938 წლის გაზეთ "ახალგაზრდა კომუნისტში" წავაწყდით ცნობას, რომ ფოთში საინტერესოდ მიმდინარეობდა მოსწავლეთა საქალაქო პირველობა. 30-ყმაწვილიან ტურნირში გაიმარჯვა 15 წლის ირაკლი ლოლუამ. მეორე იყო შოთა მჟავანაძე, მესამე – ირაკლი ხუხუა.

ფოთში ჭადრაკს ჭეშმარიტი ქომაგები 50-იან წლებში გაუჩნდნენ, როცა სწავლა-განათლება მიღებული ირაკლი ლოლუა (1923-1987 წწ.) დაბრუნდა თბილისიდან. ირაკლი გამოჩენილი ლოტბარის ძუკუ ლოლუას ვაჟი გახლდათ.

ირაკლის მეც ვიცნობდი. 40-იან წლებში, ორივე სტუდენტი, ერთად ვმონაწილეობდით თბილისის ტურნირებში. ბუნებამ ირაკლი მრავალი ნიჭით დააჯილდოვა. იგი ხატავდა, წერდა ლექსებს, გატაცებული იყო მათემატიკით, კრივით და, რა თქმა უნდა, ჭადრაკით.

ი. ლოლუა სხვადასხვა დროს თბილისის რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა. ერთხანს ვახტანგ ქარსელაძეს ეხმარებოდა პიონერთა სასახლეში ნორჩი მოჭადრაკეების ვარჯიშში, მსაჯობდა ტურნირებს.

შინ დაბრუნებულმა ირაკლიმ ააწყო საჭადრაკო ცხოვრება. სპორტსკოლაში გახსნა ბავშვთა ჯგუფები, ატარებდა ტურნირებს, ერთდროული თამაშის სეანსებს. პარალელურად განაგრძობდა ცოდნის შეძენას და დიდ ტურნირებში მონაწილეობას.

მან ოთხჯერ (1951,1958, 1962, 1964 წწ.) ითამაშა საქართველოს ჩემპიონატში. ერთხელ, 1962 წელს მონაწილეობდა თავის მოწაფეებთან ერთად – პაატა გუგუშვილთან და ნუგზარ ფარღალავასთან.

ი. ლოლუას მეგობარი, დიდოსტატი ბ. გურგენიძე წერს: "რაინდული ბუნების ირაკლი ეროვნული სპორტის ნამდვილი ქომაგი იყო. ნანა ალექსანდრიასა და ირინა ლევიტინას პრეტენდენტთა ფინალური მატჩის დროს (1975 წ.), როდესაც ინიციატივა ხელიდან ხელში გადადიოდა და ტაიმ-აუტი ავიღეთ, ჩვენდა სასიხარულოდ, ირაკლი ჩამოფრინდა მოსკოვში და

ირაკლი ლოლუა და ბუხუტი გურგენიძე (1966 წ.).

ჩვენი არსენალი ახალი ოპტიმისტური ენერგიით შეავსო.

იგი მშობლიურ ფოთშიც დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა. ზღვისპირა ქალაქში ბევრს ახსოვს სახალხო დღესასწაული "ფაზისობა". ამ გრანდიოზული სანახაობის სცენარის ავტორიც და დამდგმელიც ირაკლი იყო. როგორ ფანტაზიას და სიყვარულს ავლენდა, როგორ იწვოდა იგი ამ საქმისათვის. საერთოდ მრავალმხრიობა მისი ბუნება იყო, ხოლო სრულყოფა — შინაგანი მოთხოვნილება." ("მერანი" №6, 1987 წ.).

ირაკლი ლოლუასთან ერთად საჭადრაკო საზოგადოებას უძღვებოდნენ პროფესორი ა. მოწერელია და დიდი ენთუზიასტი, ახალგაზრდა ომარ ხუხუნი. სწორედ მათი მონდომებით 1970 წლის გაზაფხულზე ფოთმა უმასპინძლა საქართველოს ვაჟთა 31-ე ჩამპიონატს, რომლის მონაწილეთა შორის იყო მსოფლიოს ექსჩემპიონი მ. ტალი. ჩემპიონატის მთავარი მსაჯი ი. ლოლუა გახდლათ.

ფოთელები თვალის ჩინივით უფრთხილდებიან ტრადიციებს.

1990 წლის აგვისტოში ფოთში შეიქმნა სპორტული მომსახურების კოოპერატივი "იმედი" (თავმჯდომარე გელა ღვამბერია), რომელმაც მიზნად დაისახა ქალაქში ჭადრაკის პოპულარიზაცია, რესპუბლიკური და საერთაშორისო ტურნირების ჩატარება. იმ წელს "იმედმა" საკავშირო ფესტივალი მოაწყო.

1991 წელს "იმედის" ხელმძღვანელობას საერთაშორისო ტურნირის გამართვა ჰქონდა გათვალისწინებული. მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს ინგლისის, პოლონეთის, ჰოლანდიის, სინგაპურის და სსრ კავშირის სხვადახვა ქალაქის მოჭადრაკეებმა, მაგრამ ქვეყანაში პოლი-

ტიკური სიტუაციის გარეულების გამო, ტურნირი მხოლოდ რესპუბლიკური აღმოჩნდა.

შეჯიბრებაში (შეკეცარული სისტემა, 9 ტური) 127 ნორჩი მოჭადრაკე ჩაება. ჭაბუკთა შორის პირველი პრიზი ხვდა წილად ალექსანდრე ყაშაშვილს (ქუთაისი), გოგონათა შორის – ინგა ხურცილავას. 12 წლამდე ბიჭებს შორის პირველი იყო ირაკლი მეჟავანაძე (ქობულეთი), გოგონათა შორის – რუსუდან გოლეთიანი (სოხუმი). ამ ტურნირში ყველას თავი მოაწონა 7 წლის ბაადურ ჯობავამ (გალი).

1991 წლის შემოდგომაზე ფოთში გაიმართა საქართველოს ვაჟთა 51-ე ჩემპიონატი ახალგაზრდების მონაწილეობით. ამან სტიმული მისცა ფოთის საჭადრაკო ცხოვრებას.

რამდენიმე წლის წინათ ჭადრაკის კლუბში, დღეს რომ ნანა ალექსანდრიას სახელს ატარებს, დიდი მუშაობა გააჩაღეს ახალგაზრდა მწვრთნელებმა იკა ღვამიჩავამ და დავით კოდუამ, რა თქმა უნდა, ვეტერანი მოჭადრაკეების თანადგომით. სხვათა შორის, ი. ღვამიჩავამ 1992 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი ჭადრაკის სპეციალობით. საინტერესოა, რომ ახალგაზრდა მწვრთნელების აღზრდილები უკვე მონაწილეობენ იუნიორთა მსოფლიოსა და ევროპის პირველობების შესარჩევ ტურნირებში.

სასიამოვნოა, რომ ფოთში ძალუმად სჩქეფს საჭადრაკო ცხოვრება.

●

ჭადრაკს **წალენჯიხაში** გზა გაუხსნეს 60-იან წლებში თავგამოდებულმა მოყვარულებმა – რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ვარლამ ბელქანიამ, სკოლის დირექტორმა აკაკი შანავამ, მასწავლებელმა შაქრო ლემონჯავამ და სხვებმა. მათი მონდომებით მოჭადრაკეებს ერთი ოთახი გამოეყო რაიონული გაზეთის რედაქციის გვერდით. 1962-66 წლებში ამ კლუბში აღმზრდელობით საქმიანობას ახალგაზრდა ჟორა მზარელუა (1940-2000 წწ.) ეწეოდა, რომელმაც შემდგომ (1971 წ.) მოსკოვის ცენტრალური ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა ჭადრაკის სპეციალობით. შინ რომ დაბრუნდა, ახალგაზრდა სპეციალისტი თავდადებით იღვწოდა წალენჯიხასა და ზუგდიდში ჭადრაკის სწავლებისა და პოპულარიზაციისთვის.

ოფიციალურად წალენჯიხის ჭადრაკის კლუბი 1972 წელს გაიხსნა მონკავშირის შენობის პირველ სართულზე. მას "ნონა" ერქვეს. ყმაწვილებს მწვრთნელი გულადი გვაჯავა ამეცადინებდა. ის იყო კლუბმა შემოიკრიბა ჭადრაკის მოყვარულები, რომ 1978 წელს დაიხურა იგი. მაგრამ განათლების განყოფილების მეცადინეობით კლუბი კვლავ ამოქმედდა 1983 წელს. ამჯერად მწვრთნელებად ვახტანგ ჟვანია და ოთარ თოლორდავა მიიწვიეს.

ძლიერი მოჭადრაკეები მუშაობ-

დნენ ჯვარში – ოსტატობის კანდიდატები ამირან სუბელიანი, ლეონტი ქუხილავა და ომარ კირთაძე. ამ უკანასკნელის თავკაცობით 1992 წელს კლუბი დაარსდა, მაგრამ მალე გაუქმდა მისი დამაარსებლის მოულოდნელი გარდაცვალების გამო.

1991 წლიდან წალენჯიხაში საჭადრაკო ცხოვრებას (კლუბის და სკოლის მუშაობას) გამოცდილი მწვრთნელები ზურაბ მიქავა და ბესიკ კაჭარავა უძღვებიან. მათთან მუშაობდა გარდაცვალებამდე ჟორ. მზარელუა. ამ მონდომებული მოღვაწეების დამსახურებაა, რომ რაიონის ახლანდელი ნორჩი მოჭადრაკეები თამამად და არცთუ წარუმატებლად მონაწილეობენ იუნიორთა მსოფლიო და ევროპის პირველობების შესარჩევ ტურნირებში.

წალენჯიხაში ჭადრაკს უთუოდ ნათელი მომავალი აქვს.

იმერეთი

ქუთაისში ჭადრაკს საინტერესო წარსული აქვს. მის შესწავლა-გამომზიურებას საკმაო დრო მოანდომა ცნობილმა ქუთაისელმა მწვრთნელმა დავით ჩირაძემ. მაგრამ მან მხოლოდ დიდი მსოფლიო ომის დაწყებამდე პერიოდის მასალების გამოქვეყნება მოასწრო.

გთავაზობთ მცირე შემოკლებით დ. ჩირაძის წერილს "დიდი ხნის მეგობარი", რომელიც გაზეთ "მერანის" 1986 წლის 19 სექტემბრის ნომერში (№18) დაიბეჭდა.

„XIX საუკუნის მეორე ნახევარში იმ ოჯახებში, სადაც ლიტერატურული სალონები იყო, ჭადრაკსაც თამაშობდნენ. გენერალ გრიგოლ დადიანის (კოლხიდელი) სალონში თავს იყრიდა მაშინდელი ქუთაისის მოწინავე ინტელიგენცია.

ქუთაისში ჭადრაკის პოპულარობას ხელს უწყობდა ქალაქში გახსნილი ე. წ. "გასართობი", სადაც ჭადრაკსაც თამაშობდნენ... "გასართობში" არ ტარდებოდა ტურნირები, ლექციები, ერთდროული თამაშის სეანსები.

20-იან წლებში ქუთაისის კლუბებში ჭადრაკის წრეც გაიხსნა. ცნობილი ქუთაისელი ვეტერანი მოჭადრაკე, ექიმი გრიგოლ კირკიტაძე იგონებს, რომ მესამე ინტერნაციონალის სახელობის კლუბში ერთი ოთახი მოჭადრაკეებისათვის ჰქონდათ გამოყოფილი, მაგრამ ჭადრაკის კომპლექტები არ ყოფნიდათ და მოთამაშეებს რიგში დგომა უხდებოდათ.

საქართველოს საჭადრაკო ცხოვრების ფერხულში ქუთაისელი მოჭადრაკეებიც ჩაებნენ. 1928 წელს საქართველოს ვაჟთა I ჩემპიონატში ქუთაისის სახელით ა. ოგანეზოვი მონაწილეობდა. ტურნირში კი უნდა

ეთამაშა ქუთაისის 1928 წლის ჩემპიონატში გამარჯვებულ ცაგარეიშვილს (4 ქულა 5-იდან). მაგრამ რატომღაც იგი შეცვალა ოგანეზ ოვმა, რომელმაც მეორე-მესამე ადგილები გაიყო ზახაროვთან.

30-იანი წლების დასაწყისიდან შესამჩნევად იმატა ჭადრაკისადმი ქუთაისელთა ინტერესმა. 1930 წლის ივნისში გაზეთი "ლენინის გზით" იტყობინებოდა, რომ ქუთაისში ჩატარდა მასობრივი შეჯიბრება, სულ მონაწილეობდა 36 მოჭადრაკე. საბოლოოდ ფინალში 11 შესაძლებლიდან 10½ ქულით I ადგილზე გავიდა ა. შათირიშვილი, II ადგილი 9½ ქულით დაიკავა გრ. კირკიტაძემ.

1934 წლის 16 აგვისტოს გაზეთი "მუშა და კოლმეურნე" აქვეყნებს გრ. კირკიტაძის წერილს "რატომ მიივიწყეს ჭადრაკი?" ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ "ქუთაისელ მოჭადრაკეებს არავინ ხელმძღვანელობს". წერილში მოყვანილია ასეთი ფაქტი: "1927 წელს თბილისის საჭადრაკო სექციიდან ქუთაისში ჩამოვიდა ამხ. ლ. კარლინსკი საჭადრაკო ბაზის დასაარსებლად. ამ საკითხთან დაკავშირებულ სპეციალურ თათბირზე მიიღეს გადაწყვეტილება ქუთაისის საჭადრაკო ბაზის გამოსანახავად, მაგრამ დადგენილება ქაღალდზე დარჩა".

გრიგოლ კირკიტაძის გამოსვლამ ნაყოფი გამოიღო. 1934 წლის 30 სექტემბრის გაზეთმა "სტალინელმა" აუწყა ქუთათურებს: "დღეს იხსნება საჭადრაკო კლუბი". როგორც ირკვევა, კლუბი გაიხსნა რიონჰესის სამმართველოს შენობის ქვედა სართულში. ეს სახლი მდებარეობდა ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის უკან, ახლანდელ ცენტრალურ მოედანზე, საქალაქო ბაღის მხარეზე.

კლუბმა გამოაცოცხლა ქალაქის საჭადრაკო ცხოვრება. კლუბი აწყობდა ერთდროული თამაშის სეანსებს და სხვადასხვა შეჯიბრებას.

1935 წელს ქუთაისის ჩემპიონატი გაიმართა ინდუსტრიული ტექნიკუმის (დღევანდელი I საშუალო სკოლა) სააქტო დარბაზში. შეჯიბრებაში 19 მოჭადრაკე მონაწილეობდა. 5 აპრილს დაწყებული ტურნირი თითქმის 7 კვირას გაგრძელდა. რადგან მონაწილენი წარმოებისგან მოუწყვეტლივ თამაშობდნენ. ხშირად სამსახურის საქმეებით დატვირთულნი შეჯიბრებაზე ვერ ცხადდებოდნენ. ჩემპიონის სახელი მოიპოვა ინჟინერმა ლ. ოთხმეზურმა (18-დან 15½ ქულა).

ჩემპიონატმა გააღვიძა ინტერესი ჭადრაკისადმი. იმატა გულშემატკივართა რიცხვმა. გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა ცნობები კლუბსა და საწარმო-დაწესებულებებში ერთდროული თამაშის სეანსების გამართვის თაობაზე. ამ დროს კლუბის

დირექციამ ქალთათვის მოსამზადებელი კურსები გახსნა.

1935 წლის დეკემბერს პ. დამნიაშვილი გულისტკივილით წერდა საქალაქო გაზეთში: "მთავარი, რაც აფერხებს საჭადრაკო საქმის გაშლა-განვითარებას, მდგომარეობს იმაში, რომ საჭადრაკო კლუბი არაა უზრუნველყოფილი ფინანსურად, ამას ემატება ისიც, რომ საჭადრაკო კლუბს მუდმივი ბინა არ გააჩნია". მართლაც, ხანმოკლე გამოდგა ჭადრაკის მოყვარულთა სიხარული, კლუბი გამოასახლეს და დროებით ბინად მიუჩინეს ახლანდელი პოლიტგანათლების მე-2 სართული, სადაც ამჟამად ბიბლიოთეკა მდებარეობს.

ამ პერიოდიდან (1936 წ.) აღსანიშნავია ქუთაისში თბილისელი მოჭადრაკეების ე. ტალვიკისა და ა. ფალავანდიშვილის ჩამოსვლა ერთდროული თამაშის სეანსების გასამართავად და აგრეთვე თბილისელ მოჭადრაკე-მოშაშეთა 5-კაციანი მოლაშქრეთა ჯგუფის (გ. ოსიპოვი, ხელმძღვანელი, ნ. სოროკინი, ე. ნერსესოვი, ვ. ჯობავა, მ. დრონოვი, ბ. ვეიზერი) სტუმრობა. მოხალისე მოჭადრაკეები ქვეითად მიდიოდნენ თბილისიდან ბათუმში. მათი მიზანი იყო რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საჭადრაკო-საშაშო მუშაობის ორგანიზაცია.

ნამდვილ დღესასწაულად იქცა შეხვედრა ლაშქრობის მონაწილეებთან. ნ. სოროკინმა ილაპარაკა ნოტინჰემის საერთაშორისო ტურნირზე და გააანალიზა მ. ბოტვინიკის პარტიები ს. ტარტაკოვერსა და ა. ალიოხინთან. ლექციის შემდეგ ბ. ვეიზერმა გამართა სეანსი 14 დაფაზე (მან 10 პარტია მოიგო და 4 წააგო. მოიგეს ვ. ქარსელაძემ, ლ. ზაიჩიკმა, ვ. მაჭავარიანმა და წითლიძემ). მეორე დღეს ნ. სოროკინმა ჩაატარა სეანსი 18 დაფაზე (+14-2=2).

1937 წელს პირველად მოეწყო ქუთაისის საშუალო სკოლების გუნდური პირველობა. თითოეულ გუნდში მხოლოდ ორი ჭაბუკი იყო. ჩემპიონები გახდნენ მე-5 სკოლის მოსწავლეები. 1938 წელს კი პირველად გაიმართა ქუთაისის მოსწავლეთა პირველობა. I ადგილი დ. ჩირაძემ დაიკავა. II-III ადგილები გაიყვეს ლ. ზაიჩიკმა (დიდოსტატ გ. ზაიჩიკის მამა) და ვ. მაჭავარიანმა. შემდეგ დ. ჩირაძემ და ლ. ზაიჩიკმა მონაწილეობა მიიღეს სოხუმში მოსწავლეთა პირველ რესპუბლიკურ ჩემპიონატში. I და II ადგილები გაინაწილეს დ. ჩირაძემ და ბათუმელმა ტანიმანიდიმ. ჩემპიონის სახელისათვის გამართულ დამატებით მატჩში გაიმარჯვა ტანიმანიდიმ.

სწორედ ამ დროიდან გახშირდა ქუთაისში ტურნირები, სასკოლო გუნდების შეჯიბრებები, რამაც პრესაშიც ჰპოვა ასახვა.

1938 წლის მიწურულს ჩატარ-

და ქუთაისის მოჭადრაკე ქალთა პირველობა. ჩემპიონის სახელი მოიპოვა ელენე ტერ-აბრამოვამ. მეორე იყო ელ. ჩარექოვა. III და IV ადგილები გაიყვეს მ. ჟორჟოლაძემ და თ. კოსტავამ.

1939 წლის ზამთრის არდადეგების დროს ჩატარდა მოსწავლეთა მასობრივი საქალაქო პირველობა. მას უმასპინძლა ახალგახსნილმა პიონერთა და მოსწავლეთა სახლმა. შემდეგ ამ სახლმა დიდი როლი შეასრულა ნიჭიერ ნორჩ მოჭადრაკეთა გამოვლენა-აღზრდაში. ჩემპიონატში I ადგილი დაიკავა ლ. ზაიჩიკმა, II-III ადგილები გაიყვეს დ. ჩირაძემ და ბ. მამრიკიშვილმა. გოგონათა შორის ჩემპიონი გახდა 24-ე სკოლის მოსწავლე ლ. ძოძუაშვილი. მეორე იყო ლ. კოღუაშვილი, მესამე – ს. ცაციაშვილი. ივნისში ლ. ძოძუაშვილმა კვლავ ისახელა თავი და გაიმარჯვა მოსწავლე გოგონათა რესპუბლიკურ ჩემპიონატში. იგი იყო საქართველოს პირველი ჩემპიონი ქუთაისიდან.

ლილი ძოძუაშვილს ჭადრაკის თამაში მამამ ასწავლა. კარგად თამაშობდა მისი ოთხი ძმაც. ასე რომ, ძოძუაშვილების ოჯახში ხშირად იმართებოდა შინაური შეჯიბრება. მაგრამ ნიჭიერი გოგონა ჭადრაკს არ გაჰყვა. ამჟამად ქალბატონი ლილი პროფესიით ინჟინერი, მუშაობს საპროექტო ინსტიტუტ "საქქალაქმშენსახპროექტის" ქუთაისის ფილიალში.

1939 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ქუთაისმა საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატს უმასპინძლა. შეჯიბრება გაიმართა მაშინდელი პედსასწავლებლის, ამჟამად სამთო ტექნიკუმის დარბაზში (შედეგები იხ. "მატიანე", I გვ. 80). ჩემპიონატის მიმდინარეობა რეგულარულად შუქდებოდა ქუთაისის და, საერთოდ, რესპუბლიკის პრესაში.

თეთრ ხიდთან საჭადრაკო კლუბმა 1963 წლამდე იარსება. აქედან იგი გადაიტანეს წერეთლის ქუჩის დასაწყისში მდებარე ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე, სადაც მანამდე რკინიგზის ბილეთების სალარო იყო მოთავსებული.

1940 წლის ზამთრის არდადეგების პერიოდში გამართულ მოსწავლეთა საქალაქო პირველობაში გაიმარჯვა ლ. ზაიჩიკმა. II ადგილზე გავიდა ო. ესაიაშვილი, მესამე იყო კ. დუდუჩავა.

გოგონათა ჩემპიონატში I-II ადგილები გაიყვეს ლ. ძოძუაშვილმა და ლ. ბაღათურიამ. მესამე ადგილზე გავიდა მ. ქუთათელაძე.

1941 წელს სამამულო ომი დაიწყო. აგვისტოში ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის ბრძანებით საჭადრაკო კლუბის გამგის შტატი გაუქმდა და კლუბის მუშაობაც შეწყდა".

როგორც ვიუწყებოდით, დ. ჩირაძემ ველარ გააგრძელა ომისშემდგომი ქუთაისის ჭადრაკის ისტორია გარდაცვალების გამო.

ომი რომ დამთავრდა, 1947 წელს ქუთაისის განათლების განყოფილების მიწვევით დ. ჩირაძემ მუშაობა დაიწყო პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ახალგახსნილ ჭადრაკის კაბინეტის გამგე-მწვრთნელად. იგი მთელი სიცოცხლე ერთგულად ემსახურა ქუთაისელ მოჭადრაკეთა ახალი თაობების აღზრდის საქმეს. ზუსტად 40 წელი არწევდა იგი ამ აკვანს. მადლიერმა საზოგადოებამ სახლის ჭადრაკის კაბინეტს დ. ჩირაძის სახელი მიაკუთვნა, რითაც უკვდავყო მისი მოღვაწეობა.

დ. ჩირაძის მრავალმა აღზრდილმა ცხოვრების სარბიელად ჭადრაკი გაიხადა. მაია ჩიბურდანიძემ, თამაზ და გია გიორგაძეებმა დიდ სპორტულ წარმატებებს მიაღწიეს. ხოლო თ. ხარლამიდიმ, ზ. ბურკაძემ, ა. რაზოვსკიმ და გ. მენაბდემ მწვრთნელის კეთილშობილური საქმე აირჩიეს და მშობლიურ ქუთაისს ნიჭიერი გოგო-ბიჭები აღუზარდეს.

50-იან წლებში ქუთასიში გახშირდა მოსწავლეთა პირველობები, მისვლა-მოსვლა სხვადასხვა ქალაქში ამხანაგური მატჩების გასამართავად.

ქუთაისელი მოჭადრაკეები საქართველოს ჩემპიონატებშიც გამოჩნდნენ. მაგალითად, 1950 წლის ჩემპიონატში – გრ. კირკიტაძე, 1951 და 1952 წწ. – დ. ჩირაძე, 1954 წ. – ლ. ჯახუა. ქალთა 1950 და 1954 წლების ჩემპიონატებში ნინო ნანიკაშვილი მონაწილეობდა. მერე ზედიზედ ოთხ ჩემპიონატში (1955-1958 წწ.) გულნარა ბუცხრიკიძემ ითამაშა. ცხადია, შემდგომში ქუთაისი უფრო მეტად იყო წარმოდგენილი ჩემპიონატებში (იხ. "მატიანე", I. გვ. 94-103).

1960 წელს თვითონ ქუთაისმა უმასპინძლა საქართველოს ქალთა მე-19 ჩემპიონატს, რომელშიც ნორჩმა ქუთაისელებმა გ. ბებიავამ და ც. გედენიძემ მიიღეს მონაწილეობა.

ტრადიციად იქცა ქუთაისის პირველობების გამართვა. სამწუხაროდ, ძნელი აღმოჩნდა მათი შედეგების (სატურნირო ცხრილების) მოძიება. სხვათა შორის, თავად ვმონაწილეობდი 1953 წლის პირველობაში უკონკურსოდ. იმ დროს უცვლელი ჩემპიონი დ. ჩირაძე გახლდათ. ტურნირში 12 მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის იყვნენ დ. ჩირაძე, ზ. გოგოლაშვილი, ა. რაზოვსკი, ლ. ჯახუა, ზ. ესაიაშვილი, შ. ჟვანია, ჯ. რობაქიძე და სხვები. შედეგები: I. თენ. გიორგაძე 8, II. დ. ჩირაძე 7½, III. ა.რაზოვსკი 7.

ქუთაისში საჭადრაკო ცხოვრება რომ მომძლავრდა, იგი დიდი ტურნირების მასპინძელი ვახდა.

მომავალი დიდოსტატები – ქუთაისელები 9 წლის მაია ნიბურდანიძე, 10 წლის გია გიორგაძე და 12 წლის თამაზ გიორგაძე.

1977 წელს ქუთაისის სამთო ტექნიკუმის დარბაზში, როგორც 28 წლის წინათ, საქართველოს ვაჟთა 38-ე ჩემპიონატი გაიმართა, მასში ყმაწვილი, 13 წლის გ. გიორგაძეც მონაწილეობდა.

1978-1988 წლებში ქუთაისში ვ. ქარსელაძის V-VII მემორიალები ჩატარდა.

საერთად, ქუთაისში ჭადრაკის პოპულარიზაციას დიდად უწყობდა ხელს ცნობილი დიდოსტატების სტუმრობა. მაგალითად, ს. ფლორისა და ა. ლილიენტალის ლექციები და ერთდროული თამაშის სეანსები. 1963 წლის ოქტომბრის დასაწყისში ქუთაისს მ. ბოტვინიკი ეწვია. 6 ოქტომბერს მასწავლებელთა სახლში მან ერთდროული თამაშის სეანსი გამართა 20 დაფაზე: მოიგო 14, დამარცხდა ა. მიქაბერიძესთან, ყაიმზე შეუთანხმდა – თამ. გიორგაძეს, გ. გურგენიძეს, ბ. ბანძელაძეს, ა. ბეჟუაშვილსა და მ. ხანანაშვილს. მერე ესაუბრა იმდროინდელი ქუთაისის წამყვან მოჭადრაკეებს.

1964 წლის შემოდგომაზე ათდღიანი შეხვედრები ჰქონდა ნონა გაფრინდაშვილს ქუთაისის საწარმო-დაწესებულებების ჭადრაკის მოყვარულებთან.

80-90-იან წლებში ქუთაისში ჩქეფს საჭადრაკო ცხოვრება. 1980 წელს სსრ კავშირის გოგონათა ჩემპიონატში გაიმარჯვა თამილა მესხმა. სხვათა შორის, სსრ კავშირის გოგონათა 1954 წლის ჩემპიონატში ქუთაისელმა გულნარა ბუცხრიკიძემ III ადგილი დაიკავა. "თეთრი ეტლის" საკავშირო გათამაშებაში აქტიურად ჩაება ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის გუნდი (მწვრთნელი თ. ხარლამიდი), რომელიც 1987 წელს მე-2 იყო, ხოლო 1988 წელს ჩემპიონი გახდა.

კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო პატარა ქუთათურების გამოსვლა

იუნიორთა მსოფლიოსა და ევროპის პირველობებში. სხვადასხვა ასაკში ჩემპიონები გახდნენ ნ. აფხაიძე, ს. ტყეშელაშვილი, ნ. ძაგნიძე, წარმატებით თამაშობდნენ ი. ჭარხალაშვილი, ქ. ვასილცევა და სხვ. აქვე აღვნიშნავთ, რომ საამაყო მიღწევები აქვს სოფიკო ტყეშელაშვილს, რომელსაც ახლახან საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭა. აგრეთვე ოსტატ ინგა ჭარხალაშვილს, რომელმაც ევროპის გუნდურ პირველობაში თავის დაფაზე პირველი პრიზი მოიპოვა.

90-იან წლებში გამოირჩევა საერთაშორისო ოსტატის ხვიჩა სუპატაშვილის გამოსვლები საქართველოს ჩემპონატებში. 1992 წელს იგი ჩემპიონი გახდა, 1994 და 1996 წლებში მეორე პრიზიორი იყო, 1993 წელს – მესამე. იყო მსოფლიო ჩემპიონი (გუნდური) ახალგაზრდებს შორის (1994 წ.). უკვე რამდენიმე წელია იგი მაია ჩიბურდანიძის მწვრთნელია. ცალკე აღსანიშნავია ის, რომ ნიჭიერი ოსტატი სამჯერ მონაწილეობდა მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაში (1994, 1996 და 1998 წწ), როგორც საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

დიდი ძალისხმევით მუშაობს ახალარჩეული იმერეთის მხარის ჭადრაკის ფედერაცია (თავმჯდომარე გოგი ქელბაქიანი, აღმასრულებელი მდივანი ალეკო არსენიძე), პირველი რაც გააკეთეს მესვეურებმა ააწყვეს ნორჩ მოჭადრაკეთა სწავლების საქმე.

ამჟამად მთელი დატვირთვით მუშაობენ სპორტული ლიცეუმი (მწვრთნელები ალეკო არსენიძე, მარინე კლიმჩუკი, გია მენაბდე, სერგო გაბუნია), მოსწავლეთა სახლის დ. ჩირაძის სახელობის ჭადრაკის კაბინეტი (მწვრთნელები მერაბ მეტრეველი, ირინა ქლიბაძე), კომპლექსური სკოლა (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გიორგი ქანთარია, სოსო სირბილაძე, ლერი ესაძე, თემურ მასხარაშვილი, თამილა მესხი და ნანა ჭეფხოძე), საჭადრაკო კლუბი "მაია" (ხათუნა გუბელაძე, ნინო ვარდოსანიძე) და ქალაქის საჭადრაკო-საშაშო კლუბი (ბადრი კლიმჩუკი).

ამ სკოლების აღსაზრდელები სისტემატურად მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებაში, მათ შორის ქობულეთის საჭადრაკო ფესტივალებში და იუნიორთა მსოფლიოსა და ევროპის პირველობების შესარჩევ ტურნირებში.

●

საქვეყნოდ განთქმული ქალაქი-კურორტი **წყალტუბო** 1988 წლის იანვარ-თებერვალს პირველად შეუერთდა მსოფლიოს იმ კურორტებს (კარლსბადს, ბლედს, პალმა-დე-მალიორკას და სხვ.), რომლებიც

დიდი საერთაშორისო ტურნირების მასპინძლები ყოფილან.

წყალტუბომ სარბიელი მიუჩინა ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირს, რომლის მონაწილეთა შორის იყვნენ ჩვენი დიდოსტატებიც – ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, ნ. იოსელიანი და ქ. არახამია.

წყალტუბოს მესვეურნი საგანგებოდ მოემზადნენ სახელოვანი სტუმრების მისაღებად. მათ კეთილმოწყობილი კოტეჯები და სასტუმრო-ინტურისტი "წყალტუბო" დაუთმეს. საასპარეზოდ კურორტის ცენტრში 1100-ადგილიანი კინოსაკონცერტო დარბაზი "ივერია" გამოყვეს.

უსაზღვრო იყო წყალტუბოელთა სიხარული. თამაშზე დასასწრებად ჩამოდიოდნენ ქუთაისის, სამტრედიის, ხონის, ზესტაფონის და სხვა მეზობელი ქალაქების მოჭადრაკეები.

ამ დროს ჭადრაკი წყალტუბოში ფეხმოკიდებული იყო. ქალაქის მესვეურთა (გ. აბზიანიძე) ძალისხმევით გაიხსნა ჭადრაკის კლუბი "მერანი". ლამაზად გამართულ კლუბში მუშაობდა ბავშვთა საჭადრაკო სკოლა, რომლის განკარგულებაში იყო მდიდარი ბიბლიოთეკა და საგანგებოდ შედგენილი კარტოთეკა. კლუბის ხალხმრავალ დარბაზებში ტურნირები ეწყობოდა.

ამ ფრიად საინტერესო საქმიანობას მიუძღვოდა იმჟამად დასავლეთ საქართველოში ერთადერთი სპორტის ოსტატი ჯემალ ბერაძე (1936-1993 წწ.). იგი თავდადებულად ემსახურებოდა საყვარელ საქმეს. მისი თაოსნობით ჭადრაკის საღამოები სოფლებშიც ეწყობოდა. მა-

ოსტატი ჯემალ ბერაძე ბავშვთა ატარებს.

გალითად, სოფელ ჩუნეშში მან ჭადრაკის კლუბიც დააარსა.

სხვათა შორის, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩუნეშში იყვნენ ჭადრაკის მოყვარულები. ჰოდა, ერთ-ერთმა მათგანმა, ვინმე ჭუმბურიძემ, ჭადრაკის ფიგურების კომპლექტი გამოჩარხა და პატივის ნიშნად საჩუქრად მიართვა გამოჩენილ თანასოფლელს – დასავლეთ საქართველოს მომრიგებელ-მოსამართლეს მერაბ ლორთქიფანიძეს, შემდგომში ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის მამას.

წყალტუბოს საჭადრაკო აქტივმა ვ. ბერაძის თავკაცობით რამდენიმე მნიშვნელოვან ტურნირს უმასპინძლა: 1967 წელს საქართველოს ვაჟთა 28-ე ჩემპიონატს (I. რ. ჯინჯიხაშვილი), 1985 წელს საქართველოს ქალთა 42-ე (I. ჰ. ლაგვილავა) და 1991 წელს ქალთა 47-ე ჩემპიონატს (I. ი. ხურცილავა).

დიდი ინტერესით სარგებლობდა 1981 წელს წყალტუბოს საქალაქო ბიბლიოთეკაში მიმდინარე ვ. ქარსელაძის VI მემორიალი. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან წყალტუბოს მოჭადრაკეებს მიეცათ საშუალება დასწრებოდნენ ნ. გაფრინდაშვილის, ბ. გურგენიძის, ე. ვასიუკოვის, ა. გიპსლისის და სხვა ცნობილი მოჭადრაკეების თამაშს.

დავუბრუნდეთ პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირს. დიდი იყო ენებათაღელვა, მაგრამ გამარჯვებული მაინც არ გამოვლინდა. პირველი-მეორე ადგილები ნანა იოსელიანმა და ელენა ახმილოვსკაიამ გაიყვეს. საჭირო შეიქნა დამატებითი მატჩის გამართვა. წყალტუბოელებს გაუგრძელდათ სიამოვნება. ერთკვირიანი ორთაბრძოლა ნანა იოსელიანმა მოიგო და მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძესთან მატჩის თამაშის უფლებაც მოიპოვა.

●

სამტრედიაში საჭადრაკო ცხოვრება 60-იან წლებში აეწყო, როცა ენთუზიასტები (ა. მაჩიტიძე, მ. არჩვაძე) რაიონში ჭადრაკის გავრცელებით დაინტერესდნენ. ენერგიული ორგანიზატორები ბევჯითად შეუდგნენ საქმეს.

ტრადიციად იქცა სამტრედიის ჩემპიონატები. სხვადასხვა დროს ჩემპიონები იყვნენ შოთა ტაბიძე, როდიკო ჟორჟოლიანი, მერაბ არჩვაძე (10-გზის), ანზორ მაჩიტიძე (8-გზის) და სხვ.

1983 წლის ივნისში სამტრედიაში გაიმართა საქართველოს ქალთა მე-40 ჩემპიონატი (I. ქ. არახამია). დეკემბერში კი თავად ჩაატარეს დიდი ქართველი მეცნიერის და სპორტსმენის, პროფესორ გიორგი ნიკოლაძისადმი მიძღვნილი პირველი რესპუბლიკური ტურნირი. მემორიალში I-II ადგილები გაიყვეს გ. თორიამ (ზუგდიდი) და კ. შავგულიძემ (ქუთაისი).

სამტრედიელი მწვრთნელი ანზორ მახიტაძე თავის აღსაზრდელებთან.

ჭადრაკის ზეიმად იქცა "თეთრი ეტლის" 1985 წლის საკავშირო გათამაშების ფინალი. ჭადრაკის კლუბმა (დირექტორი ბეჟან ჩხაიძე) წარმატებით გაართვა თავი შეჯიბრებას. სამტრედიელმა ორგანიზატორებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს. ამიტომ მერე საკუთარი ძალებით უმასპინძლეს საქართველოს ქალთა 43-ე ჩემპიონატს, რომელმაც დიდად გაახარათ. ჩემპიონის სახელი სამტრედიელმა მოსწავლემ, 13 წლის სოფიკო ტერელაძემ მოიპოვა. მერე ნიჭიერ გოგონას სპორტის ოსტატის წოდება მიეკუთვნა. ასე გაჩნდა სამტრედიაში პირველი საკუთარი ოსტატი.

დაახლოებით ამ პერიოდში სამტრედიას ეწვია გამოჩენილი მოსკოველი დიდოსტატი დ. ბრონშტეინი, რომლის საუბრებმა და ერთდროული თამაშის სეანსებმა მასპინძლებს სარგებლობა მოუტანა.

ენერგიული ორგანიზატორისა და მწვრთნელის ა. მახიტაძის თაოსნობით პროფკავშირთა საზოგადოების სამტრედიის რაისაბჭოსთან ჩამოყალიბდა საჭადრაკო სკოლა-კოოპერატივი "როქი". "როქმა" თავის თავზე აიღო შიდასასკოლო და საკვალიფიკაციო ტურნირების პარალელურად მოსწავლეთა რესპუბლიკური და საკავშირო ფესტივალების გამართვა.

"როქის" ნაკრები ხშირად მონაწილეობდა სხვადასხვა შეჯიბრებაში

ვოლგოგრადში, მოსკოვის ქალაქ ფრიაზინოში, ლენინგრადსა და ხარკოვში, სადაც გუნდმა I ადგილი დაიკავა.

ფრიაზინოში სამტრედიელთა პირველმა გუნდმა თორმეტთა შორის მეორე ადგილი დაიკავა. წარმატებით გამოვიდნენ ინგა ბოცვაძე და სოფიკო დარჯანია.

ლენინგრადში დიდი მოწონება ხვდა წილად 13 წლის გოჩა ჩაჩუას. ოსტატების მონაწილეობით დიდ ტურნირში მან მეორე ადგილი დაიკავა ყმაწვილებს შორის. ხარკოვში საკავშირო ტურნირში მაკა მაჩიტიძე მეოთხე იყო.

"როქის" ნაკრები ორჯერ გახლდათ ბულგარეთში, სადაც ორ საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა. "პავლიკენ-89"-ში "როქის" მწვრთნელებმა ინგა ნინუამ და ინგა სალდაძემ 5 და 4½ ქულა (9-დან) დააგროვეს. გოჩა ჩაჩუამაც 4½ ქულა მოაგროვა. სოფიის საერთაშორისო ტურნირში კარგად გამოვიდნენ მამა-შვილი რევაზ და ვახტანგ შანიძეები.

1990 წელს "როქის" მესვეურებმა კურორტ სამტრედიის ბაზაზე საერთაშორისო ტურნირი "როქი- 90" გამართეს.

"როქი" საწარმოო საქმიანობასაც ეწეოდა (სადემონსტრაციო დაფებს, მოჭადრაკის რვეულებს და სხვა საქონელს უშვებდა).

სამტრედიაში ახლაც დუღს საჭადრაკო ცხოვრება. იზრდებიან პერსპექტიული გოგო-ბიჭები. ბოლო დროს საერთო ყურადღება მიიქცია 10 წლის დათო ჯოჯუამ (მწვრთნელი ა. მაჩიტიძე), რომელიც წარმატებით მონაწილეობდა იუნიორთა ევროპის პირველობაში.

●

მეზობელ **ვანში** ჭადრაკით 80-იან წლებში დაინტერესდნენ. ვანელ ორგანიზატორებს ემზარ მაღლაკელიძეს და ჯონი ჩხეიძეს ქმედითი დახმარება გაუწია გამოცდილმა ა. მაჩიტიძემ. მისი თაოსნობით 1984 წელს ვანში მოეწყო საკავშირო ფესტივალი დევიზით: "ჩვენ ვეძებთ ოქროს საწმისს ჭადრაკში". შეჯიბრებაში მოანაწილეობა მიიღო თბილისის, ქუთაისის, მოსკოვის, ლენინგრადის, ლიპეცკის და სხვა ქალაქის 16 გუნდმა (I. ასტრახანი).

ვანის თაკკაცების ხელმძღვანელობით (ნ. ანდრიაძე) 1984 და 1985 წლებში მოაწყო გამოჩენილი ქართველი პოეტების გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების ხსოვნისადმი მიძღვნილი I და II რესპუბლიკური ტურნირი. პირველში გამარჯვება გაიყვეს ზ. აზმაიფარაშვილმა და ზ. სტურუამ. მეორეში პირველი ზ. აზმაიფარაშვილი იყო.

1986 წელს ვანმა უმასპინძლა ვ. ქარსელაძის მემორიალს, რომელშიც მონაწილეობდნენ დიდოსტატე-

ბი ბ. გურგენიძე, ზ. აზმაიფარაშვილი, ზ. სტურუა, ნ. გურიელი და სხვ. პირველი ადგილი დაიკავა ზ. აზმაიფარაშვილმა.

1986-1991 წლებში ვანის საჭადრაკო კლუბ "არგოს" და ბავშვთა საჭადრაკო სკოლას უძღვებოდა ცნობილი თბილისელი მოჭადრაკე გურამ მაჭავარიანი. "არგომ" ფილიალები გახსნა სოფლებში: ტობანიერში, შუამთაში, ბზვანში, ისრითში, ზეინდარში და სხვ. მართალია, ორგანიზატორები მრავალ სიძნელეს წააწყდნენ (ერთ-ერთი მწვრთნელების უკმარისობა), მაგრამ შეძლებისამებრ აწყობდნენ ტურნირებს, შეხვედრებს. მთავარია, რომ სოფლების ახალგაზრდობა დაინტერესდა მამა-პაპათა თამაშით. შემდგომ წინსვლას, როგორც სხვაგან, ვანშიც 90-იანი წლების შეჭირვებულმა ცხოვრებამ შეუშალა ხელი.

●

80-იან წლებში საერთო ყურადღება **ხონმა** მიიქცია. 1980 და 1983 წლებში მან უმასპინძლა საქართველოს ქალთა 37-ე და 39-ე ჩემპიონატებს. ამას მოჰყვა ჭადრაკის კლუბის გახსნა. ახლა იქ მწვრთნელად მუშაობს უმაღლესი საჭადრაკო განათლების მქონე მურმან ესაძე.

ამ ჩემპიონატებმა მრავალი ხონელი დაინტერესა ბრძნული თამაშით. მაიგან თვალსაჩინოდ დაწინაურდა ინგა ხურციდავა. ნიჭიერმა მოჭადრაკემ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა ჭადრაკის სპეციალობით და საერთაშორისო ოსტატის წოდებაც მოიპოვა. იყო საქართველოს (1991 წ.) ჩემპიონიც. როგორც ზონალური ტურნირის ერთ-ერთი გამარჯვებული შიწვეულია ქალთა 2000 წლის მსოფლიო პირველობის ფინალში.

●

ძნელია იმის თქმა როდიდანაა **ზესტაფონში** პოპულარული ჭადრაკი. მაგრამ ნამდვილად 1935 წელს ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის ამუშავების დროიდან ჭადრაკს, როგორც სპორტის სხვა სახეობებს, რაიონში დიდძალი მოყვარული და მიმდევარი გაუჩნდა. ქარხნის კლუბში მოჭადრაკეებსაც გამოუყვეს ოთახი.

მეორე მსოფლიო ომამდე ქარხნის მოჭადრაკეები აწყობდნენ თავიანთ პირველობებს, ამხანაგურ მატჩებს მეზობელი ქალაქების გუნდებთან. მაშინ ქარხნის ძლიერ მოჭადრაკეებად ითვლებოდნენ ახალგაზრდა ინჟინრები გ. შათირიშვილი, ვ. საყვარელიძე. გ. ცირეკიძე, ს. სააკიანი, დ. ჩიქაშუა და სხვები.

იმედია, კადნიერებაში არ ჩამომართმევთ, ქარხნის 1938 წლის პირველობაში მეც, 13 წლის ბიჭუნა ვღებულობდი მონაწილეობას. ამ პირველობის თაობაზე წერდა გ.

ფხაკაძე გაზეთ "ფიზკულტურელ-ში" (22.02.1938. №16).

ცხადია, ზესტაფონის რაიონის მოსწავლეთა პირველობებიც ტარ-დებოდა. სხვათა შორის, 1940 წლის პირველობაში რომ გავიმარჯვე, თბი-ლისში გამომგზავნეს საქართვე-ლოს ჩემპიონატზე. აქაც პირველი ვიყავი, რაც, რა თქმა უნდა, დღესაც ძალიან მეამაყება.

ქარხნის კლუბში მერეც ძალუ-ძად სჩქეფდა საჭადრაკო ცხოვრება. მას მეტალურგთა თავკაცებიც უწყობ-დნენ ხელს. 60-იან წლებში ინჟინ-ერ-მეტალურგმა გურამ თურქაძემ მრავალჯერ ასახელა ზესტაფო-ნელი კოლეგები. ეს დაუფასდა მას, როცა ორიოდე წლის წინ ეროვ-ნული ოსტატის წოდება მიანიჭეს.

ქარხანაში ჭადრაკს ახლაც ჰყავს ჭირისუფლები. ტრადიციები არ უნდა დაიკარგოს.

ზესტაფონში არასოდეს შენელე-ბულა ჭადრაკისადმი ინტერესი. 70-იან წლებში ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში ჭადრაკის კლუბი ამუშავდა. მას სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა ინჟინერი ჯემალ მახათაძე და ტრადიციად აქცია ტურნირების, მატჩების და ერთდროული თამაშების სეანსების გამართვა.

ნიჭიერი მოჭადრაკე-ორგანიზა-ტორი სერიოზულად იყო დაინტერ-ესებული საჭადრაკო კომპოზიცი-ით. გულმოდგინე მუშაობიით მან თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია ამ დარგში. მისი ამოცანები და ეტიუდები ახლაც ქვეყნდება საერ-თაშორისო საჭადრაკო პრესაში და მაღალი პრიზებით აღინიშნება. დიდი გამოხმაურება მოჰყვა გაზეთ "ზე-სტაფონის მოამბის" და ჭადრაკის კლუბის მიერ გამოცხადებულ შემდ-გენელთა I რესპუბლიკურ კონკურსს — "აკაკი-150". რომელიც დიდი პოეტის ა. წერეთლის იუბილეს მიეძღვნა. საინტერესოა, რომ ეს გახლდათ ეტიუდისტთა პირველი კონკურსი მსოფლიოში, სადაც ცალ-ცალკე ფასდებოდა ეტიუდები მოგე-ბასა და ყაიმზე.

ჯ. მახათაძეს თანამოაზრენიც გაუჩნდნენ. ერთ-ერთი მათგანი ნ. გავაშელაშვილი თხზავს ამოცანებს და კონკურსებშიც მონაწილეობს.

საჭადრაკო კომპოზიციაში დიდი მიღწევებისთვის ჯემალ მახათაძეს 1997 წელს ეროვნული ოსტატის წოდება მიეკუთვნა.

●

ჭადრაკს **თერჯოლაშიც** დიდი ქომაგები ჰყავს. საქვეყნოდ ცნო-ბილია თერჯოლელი ეტიუდისტი ემზარ ჭუმბურიძე. მისმა ერთ-ერთ-მა ეტიუდმა პირველი პრიზი მოიპო-ვა გაზეთ "სოფლის ცხოვრების" რედაქციის საკავშირო კონკურსში 1980 წელს.

რაიონის სპორტსკოლასთან მუ-

შაობენ ნორჩ მოჭადრაკეთა ჯგუფები, რომელთაც უძღვებიან ე. ჭუმბურიძე და მერი ჩაფიჩაძე. თერჯოლის ერთ-ერთი წამყვანი მოჭადრაკე ალეკო ჩაფიჩაძე ამჟამად თბილისში (საქართველოს ფიზიკურზრდისა და სპორტის აკადემია) უმაღლეს საჭადრაკო განათლებას ეუფლება. მას სურს, იმერეთში თერჯოლაც ჭადრაკის ქალაქი გახდეს.

●

ჭიათურაში ჭადრაკის წარსული შეისწავლეს და გამოამზეურეს ადგილობრივმა ჟურნალისტებმა რ. თურმანდოვმა და თ. შიმშილაშვილმა. (იხ. გაზეთი "მერანი", №13. 1985 წ.).

20-30-იან წლებში ჭიათურაში კულტურის კერად იქცა მუშათა ცენტრალური კლუბი, სადაც ძირითადად თეატრალები საქმიანობდნენ, მაგრამ აქ გახსნილი იყო ჭადრაკის შემსწავლელთა წრე, ეწყობოდა სხვადასხვა შეჯიბრება. ჟურნალისტები წერენ:

"შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ სწორედ ჭიათურის მუშათა კლუბში პირველად ეზიარა ჭადრაკს შემდგომში ცნობილი მწვრთნელი ვ. ქარსელაძე. 1923 წელს, სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ, ჭიათურაში ოჯახით ჩამოდის ვახტანგის მამა – ილია ქარსელაძე. იგი მუშათა კლუბში აყალიბებს სასულე ორკესტრს. ქარსელაძეების ოჯახი კლუბში ცხოვრობდა და პატარა ვახტანგი ხშირი სტუმარი იყო აქ არსებული წრისა, სადაც ისწავლა კიდეც თამაში."

ნამდვილი საჭადრაკი ციებ-ცხელება დაიწყო ჭიათურაში 1934 წელს, როცა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ქალაქის საავადმყოფოს თვალის სნეულებათა განყოფილების გამგედ დანიშნა ცნობილი ექიმი გიორგი ტარსაიძე (1897-1971 წწ.). განთქმული ოკულისტი ჭადრაკის დიდი ტრფიალი იყო. მან მალე შემოიკრიბა გარშემო ჭადრაკის მოყვარულები და გახშირდა ტურნირების გამართვა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ იმავე 1934 წელს ჭიათურაში, ნინოშვილის ქუჩაზე, სპორტდარბაზის გვერდით გაიხსნა ჭადრაკის კლუბი. კლუბი რაიონის და ქალაქის პირველობების, ბლიც-ტურნირების სარბიელად გადაიქცა. მოუცლელობის მიუხედავად გ. ტარსაიძე ხშირად აწყობდა ბლიც-ტურნირებს, რომლებშიც ჭიათურის მკვიდრნი – რ. ფხალაძე, გელიაშვილი, ჩაჩუა და გ. შეყილაძე მონაწილეობდნენ. დაუცხრომელი ექიმი არ გამოტოვებდა ტურნირს, თუნდაც თბილისში ყოფილიყო წასასვლელი. მაგალითად. მან ორჯერ, 1941 და 1945 წლებში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ჩემპიონატში.

ჭიათურის მოწინავე მოჭადრაკეები გ. ტარსაიძე, შ. ციციშვილი, რ. ფხალაძე და გ. შეყილაძე ოსეთი ნ. სოროკინთან (შუაში) ერთად. (1946 წ.)

გ. ტარსაიძის მეტოქე-მეგობრებიდან გამოირჩეოდა რევაზ ფხალაძე (1918-1974 წწ.). იგი აქტიურად იყო ჩაბმული ჭიათურის საჭადრაკო ცხოვრებაში. ძლიერადაც თამაშობდა. ჭიათურის 1936 წლის ჩემპიონატში მესამე პრიზიორი იყო. შემდგომ მეგობარ ექიმს ჩემპიონობაშიც ეცილებოდა.

საინტერესოა, რომ საქართველოს 1945 წლის ჩემპიონატში ორივემ მიიღო მონაწილეობა. გ. ტარსაიძემ 6½ ქულით მე-12, ხოლო რ. ფხალაძემ 5 ქულით მე-14 ადგილი დაიკავა. პირად შეხვედრაში ფხალაძემ გაიმარჯვა. სხვათა შორის, იმავე პირველობის ნახევარფინალში ფხალაძემ სძლია მომავალ მსოფლიო ჩემპიონს ტ. პეტროსიანს.

გ. ტარსაიძე და რ. ფხალაძე ჭიათურის საჭადრაკო ცხოვრების თავკაცები იყვნენ. მათ ირგვლივ იკრიბებოდნენ ახალგაზრდა მოჭადრაკეები. იმხანად ჭიათურაში საინტერესო ტურნირები და მატჩები იმართებოდა. მაგალითად, 1947 წელს ესტუმრად ოსტატი ა. ებრალიძე. მან მონაწილეობა მიიღო ბლიც-ტურნირში, რომელშიც პირველი იყო ფხალაძე. მეორე — ებრალიძე და მესამე — ტარსაიძე. ეს არ იყო ა. ებრალიძის პირველი სტუმრობა. 1945-1946 წლებში ნ. სო-

როკინთან ერთად ჩამოსულა ჭადრაკის პოპულარიზაციის მიზნით.

იმ ხანებში ტრადიცია ყოფილა საქალაქთაშორისო მატჩების გამართვა. ჭიათურელები ეწვივნენ ზესტაფონსა და ბათუმს. მათ გაიმარჯვეს (8:2) ზესტაფონის ფეროშენადნობია ქარხნის გუნდთან, ბათუმელებთან პირველი შეხვედრა რომ მოიგეს (4:1), მეორე წააგეს (2:3).

1964 წლის ოქტომბრის დამლევს გაზეთ "ნორჩი ლენინელის" საჭადრაკო კლუბმა "64"-მა მოაწყო მაღაროელთა ქალაქში პირველი შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილთან. ნონას ახლდნენ მამა, ძმა მურადი, გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი გურამ ბახტაძე და ამ სტრიქონების ავტორი. შეხვედრა თეატრის შენობაში მოეწყო. საღამოს დასასრულს მსოფლიო ჩემპიონმა ერთდროული თამაშის სეანსი გამართა 22 დაფაზე. მან 17 პარტია მოიგო, ერთი წააგო (გ. ძინძიბაძესთან) და 4 ყაიმით დაამთავრა.

ნონა და მისი ახლობლები ეწვივნენ მამის მშობლიურ სოფელ შუქრუთს, სადაც ამაღელვებელი შეხვედრის დასასრულს ნონა ერთდროული თამაშის სეანსში თხუთმეტ გაფრინდაშვილს ეთამაშა.

სამწუხაროდ, ბოლო 30 წელი ჭიათურაში აღარ იკრძნობა საჭადრაკო ცხოვრების მაჯისცემა. ეს აღბაათ იმით უნდა აიხსნას, რომ მაღაროელთა ქალაქს აღარ ჰყავს ჭადრაკის ერთგული ადამიანები, ლიდერები. დასანანია, რომ ჭიათურამ დაკარგა შესანიშნავი ტრადიციები.

●

ტყიბულში ყოველთვის იყვნენ ჭადრაკის თაყვანისმცემლები. იმართებოდა ტურნირები. 50-იან წლებში გაზეთ "ლელოში" იბეჭდებოდა ტყიბულელი პრობლემისტის დ. სახვაძის ამოცანები. 80-იან წლებში რაიონში შესამჩნევად გამოცოცხლდა საჭადრაკო ცხოვრება. იგი დაკავშირებული იყო ცნობილი მწვრთნელისა და ორგანიზატორის ოთარ კობახიძის სახელთან.

ტყიბულის იმდროინდელი თავკაცის თამაზ ყუბლაშვილის და რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ვაჟა მერკვილაძის თანადგომით ქალაქში ჭადრაკის კლუბი გაიხსნა. მისმა დირექტორმა გულიკო ყიფიანმა კეთილმოაწყო იგი. კედლები გაალამაზა დიდი მოჭადრაკეების ფოტოსურათებით, მნიშვნელოვანი ტურნირების ცხრილებით და სხვ. რაც მთავარია, კლუბი არა მარტო რაიონის, არამედ რესპუბლიკური მასშტაბის ტურნირების სარბიელად იქცა.

1983, 1984, 1985 და 1990 წლებში ტყიბულის კლუბმა ოთარ კობახიძის "დირიჟორობით" (იგი

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯია) საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატების პირველი ლიგის ტურნირებს უმასპინძლა. ამ თავმოსაწონ შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ მომავალი დიდოსტატები გ. ბაღათუროვი, ლ. ჯანჯღავა, საერთაშორისო ოსტატები, კ. შალამბერიძე, ნ. მანაგაძე, თ. ტაბატაძე და სხვა.

როგორც წესი, კლუბში მუდამ ეწყობოდა მოსწავლეთა პირველობები, ტურნირები. მუშაობდა სასწავლო ჯგუფები, რომლებშიც ათობით გოგო-ბიჭი იყო გაწევრიანებული.

შეჭირვებულ წლებში ტყიბულშიც მინელდა მოჭადრაკეთა აქტივობა, ალბათ დროებით.

ᲨᲘᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘ

ᲒᲝᲠᲘᲡ მშვენებაა ი. სტალინის სახელობის პროსპექტი. სწორედ აქ მდებარეობს ქალაქის ჭადრაკის კლუბი. ბევრს შეშურდება მისი ვრცელი დარბაზი, რომლის კედლებს ამშვენებს მსოფლიო ჩემპიონების, პრეტენდენტების და საქართველოს ცნობილი მოჭადრაკეების ფოტოსურათები, აგრეთვე გორელთა სისხლსავსე საჭადრაკო ცხოვრების ამსახველი ცხრილები და სხვ.

დიდი ხანია კლუბს სათავეში უდგას ცნობილი მოჭადრაკე, ინჟინერი გურამ მუკნიაშვილი. მისი და ერთგული გულშემატკივრების ძალისხმევით კლუბი გადაურჩა "გაღატაკებას" ავადსახსენებელ შეჭირვებულ წლებში. დღეს გ. მუკნიაშვილი გორის საქალაქო ფედერაციის თავმჯდომარეცაა.

გორს მრავალჯერ უმასპინძლია თვალსაჩინო ტურნირისთვის. საკმარისია გავიხსენოთ: 1968 წელს ვამართული ვ. ქარსელაძის I მემორიალი. 1969 წელს – სსრ კავშირის ქალთა 29-ე ჩემპიონატი, 1970 წელს – საქართველოს ქალთა VI საეროთაშორისო ტურნირი, 1990 წელს – საქართველოს ვაჟთა 51-ე ჩემპიონატი და ვ. გოგლიძის IX მემორიალი.

გორში ყოველთვის იყვნენ და არიან ჭადრაკის გულანთებული მოღვაწენი. მაგალითად, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი შალვა თოთლაძე (1931-1997 წწ.), რომელმაც მრავალი ნიჭიერი გოგო-ბიჭი დააკვალიანა. მისი მოწაფე იყო საქართველოს სამგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ციალა ქასოშვილი. თავად შ. თოთლაძე საქართველოს მასწავლებელთა შორის სამგზის (1965-1967 წწ.) ჩემპიონი იყო.

გორელები ამაყობენ, რომ მათი თანაქალაქელი იოსებ კრიხელი სახელგანთქმული საერთაშორისო დიდოსტატი გახლდათ საჭადრაკო

კომპოზიციაში. 1990 წელს მის ხსოვნას საერთაშორისო კონკურსი მიუძღვნეს საჭადრაკო კომპოზიციების შედგენაში.

გორს თავიანთი საჭადრაკო მოღვაწეობით ამშვენებენ ეროვნული ოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში შერგილ სუხიტაშვილი, მწვრთნელი ოთარ დოლიძე, ცნობილი მწერლები ვაჟა დადიანიძე და ჯემალ ინჯია. სწორედ მათი თაოსნობით გორში 1992 წელს გამოდიოდა (№1-4) პირველი ქართული ჟურნალი საჭადრაკო კომპოზიციაში "შამათი". მისი გამოცემა უსახსრობის გამო შეწყდა.

ვეტერან მოჭადრაკეს, ექიმ ვასილ კასრაძეს უამბია ჩემთვის:

— არაფერი ვიცით გორის არამც თუ შორეული წარსულის, არამედ ჩვენი საუკუნის დასაწყისის ამბების თაობაზე. იგი კვლევას მოითხოვს. მანამდე, ჩემი აზრით, გორის ჭადრაკის ისტორიის დასაწყისად 1936 წელი უნდა მივიჩნიოთ. მაშინ გაიმართა გორის პირველი ჩემპიონატი, რომელიც ლევან ხარატიშვილმა მოიგო.

შემდგომ ლ. ხარატიშვილი მუშაობდა გორის მრეწველობის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად და იყო გორის ჭადრაკის საქალაქო ფედერაციის თავმჯდომარე. სწორედ მასთან ინსტიტუტში მუშაობდა ი. კრიხელი.

ამჟამადაც ძალუმად სჩქეფს საჭადრაკო ცხოვრება გორში. მასზე ზრუნავს შიდა ქართლის ჭადრაკის ფედერაცია, მისი თავმჯდომარე საერთაშორისო ოსტატი ციალა ქასოშვილი და მისი თანამდგომნი. ყველაფერი კეთდება ახალი თაობის მოჭადრაკეთა აღსაზრდელად. მათგან ბოლოს გორელები ასახელა 12 წლის დათო მაღალაშვილმა, რომელმაც გაიმარჯვა მოსკოვში თანატოლთა საერთაშორისო ტურნირში.

●

ბორჯომის ულამაზესი ხეობა, მისი აგარაკები მრავალჯერ ყოფილა მოჭადრაკეთა კეთილი მასპინძელი. მაგალითად, 1938 წლის ზაფხულს ბაკურიანში საქართველოს ახალგაზრდა მოჭადრაკეების (მ. შიშოვი, ა. ფირცხალავა, კ. ღამბარაშვილი, ო. კაკაბაძე, თ. მელიქიძე და სხვ.) შეკრება მოეწყო ა. ფალავანდიშვილის თავკაცობით.

მანამდე, 1926 წელს ბორჯომში ისვენებდნენ და ვარჯიშობდნენ ოსტატები — სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი პ. რომანოვსკი და გ. ლევენფიში (შემდეგომში სსრ კავშირის ჩემპიონი და დიდოსტატი). პ. რომანოვსკიმ დასვენება რომ დაამთავრა, ლაშქრობა მოიწყო — ფეხით ჩამოვიდა თბილისში. გ. ლევენფიშმა ორი წლით გაიგრძელა "დასვენება": მან, პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგმა, მუშაობა დაიწყო ბორჯომის ჩამოსასხმელ ქარხანაში. ამ პერი-

ოდში იგი გაზეთ "ზარია ვოსტოკას" ჭადრაკის კუთხეს უძღვებოდა.

მაშინ საჭადრაკო მოღვაწეობას იწყებდა ა. დობორჯგინიძე, რომელიც აბასთუმანში ცხოვრობდა. იგი ცდილობდა ჭადრაკი საზოგადოების ინტერესის სფეროში ყოფილიყო. აწყობდა ტურნირებს, სამატჩო შეხვედრებს. ერთდროული თამაშის სეანსების გასამართავად ეპატიჟებოდა ცნობილ ოსტატებს თ. დუზხოტიმირსკის, ა. ილინ-ჟენევსკის და სხვ. მაგრამ თავად გატაცებით ეუფლებოდა საჭადრაკო კომპოზიციას. ადგენდა ამოცანებსა და ეტიუდებს. 1928 წელს ა. დობორჯგინიძემ პრესაში თავისი პირველი ამოცანა გამოაქვეყნა.

1928 წელს აბასთუმანში შეიქმნა საჭადრაკო-საშაშო სექცია. მისმა წევრებმა ა. დობორჯგინიძის ინიციატივით 1930 წელს გამოაცხადეს ამოცანების შედგენის საკავშირო კონკურსი. მსაჯად მოიწვიეს სახელგანთქმული პრობლემისტი ლ. კუბელი (პეტერბურგი). მსაჯი ორგანიზატორი ა. დობორჯგინიძე იყო. კონკურსის შედეგებს კარგი გამოხმაურება რომ მოჰყვა, სექციამ 1933 წელს კვლავ გამოაცხადა კონკურსი. ისევ ლ. კუბელმა შეაჯამა შედეგები. (იხ. "მატიანე", I, გვ. 219-220).

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს გახლდათ პირველი საკავშირო კონკურსები საქართველოში. ეს ტრადიცია განაგრძო "ლელოშ" 1951 წელს, როცა ეტიუდების შედგენაში I საკავშირო კონკურსი გამოაცხადა.

დამსვენებელთათვის ბორჯომში სეზონურად იხსნებოდა ჭადრაკის სათამაშო პავილიონი. მხოლოდ 80-იან წლებში მუდმივად მუშაობდა ჭადრაკის კლუბი.

ამ დროს ბორჯომი ჭადრაკის სამყაროს ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. 1981 წლის შემოდგომაზე ლიკანის დიდ საკონცერტო დარბაზში შედგა მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის მ. ჩიბურდანიძე – ნ. ალექსანდრიას მატჩის პირველი ნახევარი (მეორე თბილისში გაიმართა), ხოლო 1986 წელს მ. ჩიბურდანიძე – ე. ახმილოვსკაიას მატჩის მეორე ნახევარი (პირველი ქ. სოფიაში მოეწყო).

1984 წელს ქალაქ-კურორტმა სსრ კავშირის ვაჟთა 52-ე ჩემპიონატის შერჩევით ტურნირს უმასპინძლა. მონაწილეთა შორის ქართველი მოჭადრაკეებიც იყვნენ (ბ. გურგენიძე, ზ. სტურუა, ზ. აზმაიფარაშვილი, გ. ზაიჩიკი).

მაშინ ბორჯომში საჭადრაკო ცხოვრებას წარმართავდნენ ჭადრაკის უანგარო ტრფიალნი – მხატვარი ომაზ ჩხეიძე, ჟურნალისტი ოთარ სტაჟაძე, სპორტის თავკაცი ნუგზარ გოქაძე და სხვები.

ბორჯომის ზღაპრული ბუნება ყოველთვის მიიზიდავს დიდი ტურნირების ორგანიზატორებს, ქალაქ-კურორტს XXI საუკუნეშიც დიდი საჭადრაკო მომავალი აქვს.

მეტალურგთა ქალაქის **რუსთავის** საჭადრაკო ცხოვრება 50-იან წლებში იღებს სათავეს, როცა დამთავრდა მისი მშენებლობა.

სამწუხაროდ, მწირია იმდროინდელი რუსთავის საჭადრაკო ცხოვრების ამსახველი ცნობები. ვიცით, მაგალითად, რომ 1953 წელს დასაბამი მიეცა რუსთავის ვაჟთა ჩემპიონატს. სხვადასხვა დროს ჩემპიონები იყვნენ ბაადურ ჭარელაშვილი, ალექსანდრე სირაძე, სურენ საკიანი, ვ.ემალ მამაცაშვილი, გივი ძინძიბაძე, გიორგი ბიბილაშვილი (იგი 10-გზის ჩემპიონია) და სხვ.

1954 წელს საქართველოს ქალთა მე-13 ჩემპიონატში რუსთავის სახელით ითამაშა ცნობილმა თბილისელმა მოჭადრაკემ ვ. სამარკინამ. იგი მედდად მუშაობდა რუსთავში.

1976 წლის ჩემპიონატში რუსთავს წარმოადგენდა ხათუნა გურგენიძე, 1979 წლის ჩემპიონატში ლია აგბაბიშვილი.

ცხადია, რუსთავში ეწყობოდა ტურნირები და მატჩები. უძლიერესნი რესპუბლიკურ შეჯიბრებებშიც მონაწილეობდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ რუსთავის ჭადრაკის მესვეურნი შეეცდებიან აღადგინონ ქალაქის საჭადრაკო წარსული, მისი მნიშვნელოვანი მოვლენები.

ჩვენ მოკლედ შეეხებით მხოლოდ უახლოეს პერიოდს, საიდანაც რუსთავში ჭადრაკის ჭეშმარიტი აღორძინება დაიწყო. ეს მოხდა 1995 წლის 21 თებერვალს. ამ დღეს გაიმართა ქვემო ქართლის ჭადრაკის ფედერაციის დამფუძნებელი კონფერენცია. დელეგატებმა ფედერაციის თავმჯდომარედ გენადი უჩუმბეგაშვილი აირჩიეს, მის მოადგილეებად თეიმურაზ მეტრეველი და რუსთავის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე დავით ტიკურიშვილი.

ახალმა მესვეურებმა ახალი სული შთაბერეს რუსთავის და საერთოდ ქვემო ქართლის საჭადრაკო ცხოვრებას. პირველი, რაც მათ გააკეთეს, ქვემო ქართლის ექვსივე რაიონში ჩავიდნენ, რათა შეესწავლათ საჭადრაკო მუშაობის გაშლის პირობები. ზოგან ფედერაციაც შეიქმნა – მარნეულში (თავმჯდომარე ემზარ ნიკოლაძე) და წალკაში (ჰერაკლე ბაიაზოვი).

გაზაფხულზე პირველად გაიმართა ქვემო ქართლის ვაჟთა პირადგუნდური ჩემპიონატი. მასში რეგიონის ყველა რაიონის 28 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი მოიპოვა გ. ბიბილაშვილმა. შემდეგ ჩემპიონები გახდნენ: თამაზ გელაშვილი (1996 წ.), თამაზ მგელაძე (1997 წ.), კობა ფანიაშვილი (1998 წ.)...

(მარცხნიდან) სხედან – დიდოსტატი თამაზ გელაშვილი, ოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში მიხეილ ყოჩიაშვილი, დგანან – ჟურნალისტი კახაბერ ძინძიბაძე და მწვრთნელი დავით ტიკურიშვილი (რუსთავი, 1995წ.)

მაშინვე იასპარეზეს გივი ძინძიბაძის სახელობის საჭადრაკო სკოლის აღსაზრდელებმა. სასწავლებლის ღია ჩემპიონატში 114 ნორჩი მოჭადრაკე მონაწილეობდა. ისინი მწვრთნელების გ. ბიბილაშვილის, დ. ტიკურიშვილის, ხ. გურგენიძის, კ. ფანიაშვილის, ვ. გელაშვილის და ე. გველესიანის მოწაფეები იყვნენ.

იმ წელს ისახელა თავი რუსთავის გუნდმა "ქვემო ქართლიმ", რომელმაც გაიმარჯვა საქართველოს საკლუბო გუნდების ჩემპიონატში, მაგრამ უსახსრობის გამო ვეღარ გაემგზავრა ევროპის პირველობაზე.

შედგა რუსთავის ვაჟთა ტრადიციული, 42-ე ჩემპიონატიც, რომელიც 17 წლის თამაზ გელაშვილმა მოიგო. მოსწავლე მიხეილ ყოჩიაშვილმა საქართველოს ჩემპიონის სახელი მოიპოვა საჭადრაკო კომპოზიციის ამომხსნელთა შეჯიბრებაში. ამ წარმატებისთვის ყმაწვილ მოჭადრაკეს ეროვნული ოსტატის წოდება მიენიჭა საჭადრაკო კომპოზიციაში.

მესვეურთა კიდევ ერთი საინტერესო ინიციატივა იყო – მოყვარულთა შორის რუსთავის ღია პირველობის შემოღება. ჩემპიონი ხვიჩა ფოლადაშვილი გახდა. მალე მოყვარულთა საქართველოს პირველი ღია ჩემპიონატიც მოეწყო. შეჯიბრებაში თბილისელებმაც მიიღეს მონაწილეობა (I. ა. თეიმურაზიანი, II. ოსტატი გ. ცქიტიშვილი, III. დ. ტიკურიშვილი).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ 1995 წელს ფედარეციის

თაოსნობით გაზეთმა "ქვემო ქართლი" სპორტული დამატება "ჭადრაკი" დააარსა. მსგავსი გაზეთი არასოდეს გამოუციათ საქართველოს რეგიონებში. დამატებას უძღვებოდა ფედერაციის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი კახაბერ ძინძიბაძე. ახალგაზრდა ჟურნალისტი საქმის ცოდნით აშუქებდა ქვემო ქართლის და, საეროოდ, მსოფლიო საჭადრაკო ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს, აცნობდა მკითხველს ჭადრაკის წარსულსა და აწმყოს.

"ჭადრაკი" მხოლოდ 1995 და 1996 წლებში გამოდიოდა (წელიწადში ოთხი ნომერი). მაგრამ, როცა შეწყდა მისი არსებობა, კ. ძინძიბაძე განაგრძობდა წერას "ქვემო ქართლში" რუსთავის საჭადრაკო ცხოვრების მტკივნეულ პრობლემებზე.

რუსთავის ჭადრაკის მესვეურნი მაქსიმალურად ცდილობენ არ უღალატონ ტრადიციებს. კვლავაც აწყობენ ტურნირებს, მატჩებს.

უკვე რამდენიმე წელია რუსთავის კლასიკურ გიმნაზიაში ექსპერიმენტის სახით ასწავლიან ჭადრაკის სიბრძნეს. მას უძღვება მწვრთნელი თეიმურაზ მეტრეველი, რომელიც 1997 წლიდან ქვემო ქართლის ჭადრაკის ფედერაციას თავკაცობს.

აღსანიშნავია ისიც, რომ რუსთავში ცხოვრობს და მოღვაწეობს ცნობილი საჭადარკო კომპოზიტორი (პრობლემისტი), ეროვნული ოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში გივი მოსიაშვილი. მის შემოქმედებას ამშვენებს მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურიატობა.

დღეს რუსთავის ძლიერი მოჭადრაკეების კოჰორტა ჰყავს: დიდოსტატი თამაზ გელაშვილი, ოსტატი გიორგი ბიბილაშვილი, თამაზ მგელაძე, ფრიდონ ყალაგაშვილი, დავით ტიკურიშვილი და სხვები.

დიდი სახელი და აღიარება დაიმსახურა 22 წლის თამაზ გელაშვილმა, რომელიც ბავშვობიდან გამოირჩეოდა ნიჭითა და სიბეჯითით. უკვე მაშინ იგი წარმატებით მონაწილეობდა საქართველოს, ევროპისა და მსოფლიოს იუნიორთა პირველობებში. მან ოჯახთან ერთად ორი წელი დაჰყო საბერძნეთში, სადაც დიდი ძალისხმევით ჯერ საერთაშორისო ოსტატის, მერე საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მოიპოვა.

სამშობლოში დაბრუნებულმა, საქართველოს 2000 წლის ჩემპიონატში რუსთავის სახელით მიიღო მონაწილეობა. უძნელეს სპორტულ ჭიდილში მან ჩემპიონის სახელი მოიპოვა. ამ და სხვა მიღწევების გათვალისწინებით ნიჭიერი დიდოსტატი საქართველოს ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში მიიწვიეს. შემოდგომაზე იგი მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს ვაჟთა 34-ე საჭადრაკო ოლიმპიადაში სტამბულში.

საიმედოა რუსთავის საჭადრაკო მომავალი, ვიდრე მას ერთგული ჭირისუფლები ეყოლება.

თელავი უძველესი ქართული ქალაქია. მას II საუკუნეში მოიხსენიებს ბერძენი ისტორიკოსი პტოლმეოსი. ამ ძირძველ ქალაქს მდიდარი კულტურული წარსული აქვს, რომელიც ჭადრაკსაც უკავშირდება. ჭადრაკის სიბრძნის თაყვანისმცემლები იყვნენ კახეთის მამულიშვილები. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ მეფე-პოეტი თეიმურაზ მეორე, რომელმაც ქართული საჭადრაკო ტერმინები შემოგვინახა. ჭადრაკს მეფეების ვახტანგ VI და ერეკლე II კარზეც თამაშობდნენ. რელიკვიად დაგვრჩა ერეკლე მეფის ოჯახის ნაქონი ჭადრაკის ძვირფასი დაფა, რომელიც ახლა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

ისიც უნდა ითქვას, რომ თელავის მკვიდრი გახლდათ პირველი ქართული სახელმძღვანელოს "ჭადრაკის" შემდგენელი, ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ საყვარელიძე.

სამწუხაროდ, თელავის სპორტულ მატიანეს არ შემორჩა ჭადრაკის არამც თუ შორეული, არამედ XX საუკუნის დამდეგის ამბები. ამიტომ ბევრისმეტყველია ის, რომ 1940 წელს თელავმა საქართველოს ვაჟთა მე-4 ჩემპიონატის ერთ-ერთ ნახევარფინალს უმასპინძლა.

40-იან წლებში სარბიელზე გამოჩნდნენ თელაველი მოჭადრაკეები პეტრე მჭედლიშვილი (ფოსტის გამგე), ვლადიმერ ბალასანიანი (ექიმი), აკაკი ლომიძე, გია იმერლიშვილი და ძმები – გიორგი და ოთარ ელიოზიშვილები. თელავის 1946 წლის ჩემპიონატში 18 წლის ოთარ ელიოზიშვილმა გაიმარჯვა.

შემდგომ ოთარ ელიოზიშვილი წარმატებით გამოდიოდა სპორტსაზოგადოება "კოლმეურნის" ჩემპიონატებში. 1950 წელს კოლმეურნე მოჭადრაკეთა საკავშირო ჩემპიონატში პრიზიორებში მოხვდა, ამ დროიდან იგი საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატებშიც თამაშობს. მისი ყველაზე საუკეთესო შედეგია საქართველოს 1953 წლის ჩემპიონატში III-V ადგილების გაყოფა. სწორედ ამ ტურნირში მისგან მარცხი იწვნიეს ვ. გოგლიძემ და ბ. გურგენიძემ (იხ. "მატიანე",II, გვ. 106).

გ. ელიოზიშვილმა თავიდანვე აირჩია მწვრთნელად მუშაობა. მან საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა. ახალგაზრდა მწვრთნელმა მრავალ თელაველ ყმაწვილს შეაყვარა მამა-პაპათა თამაში.

60-იანი წლების დამდეგს გ. ელიოზიშვილის მოწაფემ, 16 წლის თამარ ხმიადაშვილმა (მაშინ იგი

ხუგაშვილის გვარით გამოდიოდა) საქართველოს ქალთა მე-20 ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა (ნ. გაფრინდაშვილისა და ა. ჩაიკოვსკაიას შემდეგ). ამ მიღწევისათვის საქართველოს ქალთა II საერთაშორისო ტურნირში მიიწვიეს. ახალბედა თელაველმა კვლავ ისახელა თავი. თ. ხმიადაშვილის შემდგომ საჭადრაკო მიღწევებზე ნაამბობია წერილში "მას ოცნება გზას უნათებდა" (გვ. 350).

ღვაწლმოსილმა მწვრთნელმა 80-იან წლებში დააკვალიანა ნიჭიერი თელაველები ანა მათნაძე და ლელა ჯავახიშვილი. მომძღავრდნენ თუ არა გოგონები, გოგი მასწავლებელმა ისინი თბილისში გადაულოცა თავის საყვარელ მოწაფეს, დიდოსტატსა და მწვრთნელს თამარ ხმიადაშვილს. რამდენიმე წლის მერე გოგონებმა მეცადინეობა გააგრძელეს – ა. მათნაძემ ნ. გაფრინდაშვილთან, ხოლო ლ. ჯავახიშვილმა – ნ. ალექსანდრიასთან. ნორჩმა თელაველებმა ყველა იმედი გაამართლეს: დღეს ისინი ცნობილი საერთაშორისო ოსტატები და მრავალი თავმოსაწონი პრიზის მფლობელები არიან.

თელავის ჭადრაკის მატიანეში დიდ მოვლენად დარჩა 1988 წელს თელავში გამართული მსოფლიო პირველობის მატჩი მ. ჩიბურდანიძესა და ნ. იოსელიანს შორის. მათ "ბრძოლის ველად" თელავის დრამის თეატრი დაეთმო. ორთაბრძოლამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია, რაც დაწვრილებით მოთხრობილია თენ. გიორგაძის წიგნში "საჭადრაკო შემოდგომა თელავში" (თბილისი, 1989 წ.).

გიორგი ელიოზიშვილი და დიდოსტატი თამარ ხმიადაშვილი (თელავი, 1988 წ.)

უფრო ადრე, 1982 წელს ძველი კახეთის სატახტო ქალაქმა სსრ კავშირის ვაჟთა 50-ე ჩემპიონატის პირველი ლიგის ტურნირს უმასპინძლა.

თელავში დღესაც ფუნქციონირებს ჭადრაკის კლუბი (დირექტორი გ. ელიოზიშვილი), სადაც ათობით პატარა ეუფლება "ჭადრაკის სიბრძნეს".

რა თქმა უნდა, თელავშიც მრავალი სოციალური სიძნელეა, რაც საერთოდ ახასიათებს 90-იანი წლების შეჭირვებულ დროს. ამ უმძიმეს პირობებში, როგორც ყოველთვის ადრე, მოჭადრაკეებს თელავის გამგე-

ბელის მედეა მეზვრიშვილის ოანადგომა აქვთ. ამ ზრუნვის ერთ-ერთი შედეგია ა. მათნაძისა და ლ. ჯავახიშვილის საამაყო მიღწევები.

●

საგარეჯოს საჭადრაკო ცხოერება ფაქტობრივად 70-იან წლებში აეწყო, როცა 1973 წელს მშობლიურ რაიონში დაბრუნდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, გზის ინჟინერი, დავით გურგენიძე. ამ დროს იგი უკვე ცნობილი საჭადრაკო კომპოზიტორი და მოჭადრაკე გახლდათ.

ცხადია, დავით გურგენიძე ცარიელ სარბიელზე არ მოსულა. მანამდე საგარეჯოში იყვნენ თავგადაკლული მოჭადრაკეები. მაგალითად, გოგი გილაშვილი, ივანე მჭედლიშვილი, ვახტანგ შიოშვილი, შოთა ზუკაკიშვილი და სხვები. უფრო ადრე საგარეჯოელ მოჭადრაკედ იცნობდნენ სოფელ გომბორის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს ი. ვაისმანს. მას შერჩევით ტურნირში საქართველოს 1955 წლის ჩემპიონატის საზგური მოუპოვებია.

სპორტსკოლის მწვრთნელებს მრავალი საგარეჯოელი ყმაწვილი უზიარებია ჭადრაკს. ბავშვები ხალისით მონაწილეობდნენ რაიონის პირველობებში. სწორედ ასეთ პირველობებში გამარჯვებულ დათო გურგენიძეს სეკუნდანტად გაჰყვა თბილისში მასწავლებელი ვახტანგ შიოშვილი.

ახალგაზრდა დავით გურგენიძე ენერგიულად შეუდგა საგარეჯოში საჭადრაკო ცხოვრების აწყობას. მას დიდად დაეხმარა რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელობა. გაუჩნდა მოწაფეები. ჭადრაკმა თითქმის მთლიანად შთანთქა მისი დრო და იგი იძულებული შეიქნა თავი დაენებებინა ძირითადი პროფესიისთვის.

საგარეჯოს მესვეურებმა, პირადად ქალბატონმა მედეა მეზვრიშვილმა, საჩუქარი გაუკეთეს უკვე გამოჩენილ ეტიუდისტს დავით გურგენიძეს და ნორჩ საგარეჯოელებს: აუშენეს ჭადრაკის კლუბი. 1983 წლის მაისში მის პრეზენტაციას დაესწრნენ ცნობილი მოჭადრაკეები — ნ. გაფრინდაშვილი, ნ. იოსელიანი, ი. ავერბახი (მოსკოვი) და სხვები. ეს დაუვიწყარი ცერემონიალი აღიბეჭდა ჟურნალ "შახმატი ვ სსსრ"-ის ფურცლებზეც (1983 წ. №8).

ახალმა კლუბმა ხელი შეუწყო საგარეჯოში ჭადრაკის დანერგვა-განვითარებას. გახშირდა რაიონული და რესპუბლიკური ტურნირების გამართვა. მოეწყო კონკურსები საჭადრაკო კომპოზიციაში. დიდ ინტერესს იწვევდა დღესასწაულ გარეჯობისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები.

მართალია, 1992 წელს ყველასათვის მოულოდნელად და გულ-

საგარეჯოს ჭადრაკის კლუბის გახსნა (31 მაისი 1983 წ.). ლენტს ჭრის ნონა გაფრინდაშვილი გამოჩენილი ქართველი მოჭიდავის ლეკან იედიაშვილის "დახმარებით".

სატკენად დაიწვა კლუბის შენობა. მაგრამ საჭადრაკო ცხოვრების მაჯისცემა არ შენელებულა.

საგარეჯოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარის თენგიზ კობიაშვილის მუყაითობით კვლავაც ეწყობა ტურნირები. მწვრთნელებად მუშაობენ აკაკი შიოშვილი, საქართველოს ფიზიკურზრდისა და სპორტის აკადემიის კურსდამთავრებული ელენე ფარესიშვილი, ეკა ტაბატაძე, ირაკლი ქვლივიძე და სხვები. დღესაც აქტუალურ საკითხად ჭადრაკის სახლის აღდგენა რჩება. 1989 წლიდან დავით გურგენიძე თბილისში მოღვაწეობს. იგი დიდოსტატი და მსოფლიო ჩემპიონიც გახდა საჭადრაკო კომბინაციაში. ამით გულგახარებულმა საგარეჯოელებმა ორჯერ მოუწყვეს მას შეხვედრა.

საგარეჯოელები იმედიანად შეჰყურებენ მომავალს.მათ უყვართ ჭადრაკი.

● გურჯაანში

გურჯაანში რომ უყვართ ჭადრაკი, იქიდანაც ჩანს, რომ ადგილობრივი ტელევიზიით უწევენ მას პროპაგანდას. საუბრობენ ისტორიაზე, დიდ ტურნირებზე და, რაც მთავარია, ასწავლიან ჭადრაკს.

გურჯაანელებს ჰყავთ თავიანთი ლიდერი გია ქიტესაშვილის სახით. ჯარში სავალდებულო სამსახურის შემდეგ, შინ დაბრუნებულმა ჭადრაკის დიდმა თაყვანისმცემელმა ითავა რაიონში საყვარელი თამაშის პოპულარიზაცია. მას განათლების მუშაკებმა აუბეს მხარი და ბავშვთა საჭადრაკო სკოლა გახსნა. ეს ადვილი საქმე

როდი იყო. ის, რომ სკოლა დღესაც მუშაობს, ენერგიული მწვრთნელისა და მისი მეგობრების დამსახურებაა. სკოლის აღზრდილმა იოსებ კვირიაშვილმა დაამთავრა საქართველოს ფიზაღზრდისა და სპორტის აკადემია ჭადრაკის სპეციალიზაციით. ვიდრე შინ დაბრუნდებოდა იგი ხშირად მონაწილეობდა დიდ ტურნირებში. წარმატებამ ეროვნული ოსტატის წოდება მოუტანა. ახალგაზრდა ოსტატი კარგა ხანს ეხმარებოდა თავის ამაგდარ მწვრთნელს. ახლა თბილისში მუშაობს.

ნორჩი გურჯაანელი 10 წლის მაკა ფურცელაძე თავისი ასაკის გოგონათა შორის საქართველოს ჩემპიონი გახდა. მერე თანატოლთა შორის მსოფლიო პირველობაშიც მიიღო მონაწილეობა.

— მრავალი სიძნელე გვაქვს, რასაც მონდომებით ვუპირისპირდებით და ლელოც ასე გაგვაქვს, — ამბობს გია ქიტესაშვილი. მას საიმედოდ უდგანან მხარში ენერგიული გია ზარდიაშვილი და სხვა თანამოაზრენი.

გურჯაანს ასახელებს აგრეთვე ცნობილი საჭადრაკო კომპოზიტორი თემურ ჩხეტიანი. მისი ზღაპრული ჭადრაკის ამოცანები ხშირად იბეჭდება მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საჭადრაკო გამოცემებში. თემური ჩინებული პოეტიცაა და წიგნის ავტორიც.

სამცხე-ჯავახეთი

ახალციხეში დიდად პოპულარულია ჭადრაკი. რეგულარულად ეწყობა სამცხე-ჯავახეთის ჩემპიონატი, მ. იაძის მემორიალი და ახალციხის რაიონის პირველობა. ნორჩი მოჭადრაკეები აქტიურად მონაწილეობენ თითქმის ყველა რესპუბლიკურ ტურნირში.

ყველაფერ ამას უძღვება სამცხე-ჯავახეთის მხარის ჭადრაკის ფედერაცია, რომელიც 1996 წელს მხარის მოჭადრაკეთა ყრილობამ დააფუძნა. 1998 წლიდან ფედერაციას თავმჯდომარეობს მესხეთის ელექტროქსელების საწარმოს დირექტორი როინ თაქთაქიძე. მისი მოადგილეა ცნობილი ახალციხელი მწვრთნელი და არბიტრი შაქრო დიდიმამიშვილი.

მხოლოდ ნახევარ საუკუნეს ითვლის ახალციხის ჭადრაკის ისტორია, იგი ჭადრაკის დიდი ენთუზიასტის გიორგი ნიკოშვილის სახელს უკავშირდება. მისი თაოსნობით რაიონის პირველი ჩემპიონატი 1949 წელს გაიმართა. პირველი ჩემპიონიც თავად გახდა, მას მონაწილეობა მიუღია საქართველოს 1955 წლის ჩემპიონატში.

დიდი ამაგი დასდო ჭადრაკის

განვითარებას რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ აწ განსვენებულმა მიხეილ იაძემ. მის დროს, 1972 წელს ახალციხეში გაიხსნა ჭადრაკის კლუბი, რომელსაც ცნობილი მსაჯი და ორგანიზატორი ვილი დათებაშვილი ჩაუდგა სათავეში. კლუბში იმართებოდა სხვადასხვა ტურნირი, პირველობა, მეცადინეობდნენ ნორჩი მოჭადრაკეები. სწორედ ამ დროს დაწინაურდნენ ნიჭიერი ყმაწვილები ბონდო გოგოლაძე, შაქრო დიდიმამიშვილი, ორი რევაზი — მანჯგალაძე და კილასონიძე. სამწუხაროდ, 1982 წელს კლუბი დაინგრა, მაგრამ საჭადრაკო ცხოვრება კვლავინდებურად გრძელდებოდა.

1980 წელს გ. ნიკოშვილი რუსეთს რომ გადასახლდა, ახალციხეში ჭადრაკს ახალგაზრდებმა უჭირისუფლეს. მათგან უპირველესად შაქრო დიდიმამიშვილმა, რომელიც მაშინაც მწვრთნელად მუშაობდა სპორტსკოლაში.

მომდევნო წლების საჭადრაკო ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ენერგიული მწვრთნელის აღზრდილები. მაგალითად, 1986 წელს დავით სამსონიძემ გაიმარჯვა ქუთაისის პიონერთა სახლის ღია პირველობაში, ნაკრებმა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა "თეთრი ეტლის" რესპუბლიკურ გათამაშებაში. 1988 წელს საკავშირო ფესტივალში, რომელიც აგარაკ ურეკში გაიმართა, ნორჩმა ახალციხელებმა მესამე ადგილი დაისაკუთრეს.

ახალციხელ მოჭადრაკეებს 90-იანი წლებიც კარგად აეწყოთ. 1991 წელს ახალციხის ნაკრებმა "სამცხემ" მონაწილეობა მიიღო ბულგარეთის ქალაქ ტეტევენეს ფესტივალში. წარმატებას მიაღწია ნინო მერაბიშვილმა, მან გოგონათა შორის მეორე-მესამე ადგილები გაიყო. რაიონულმა გაზეთმა "წითელმა დროშამ" ამ მიღწევას მაღალი შეფასება მისცა.

აღსანიშნავია ნორჩი მოჭადრაკეების დავით სამსონიძის, ზაზა პეტრიაშვილის, ილია ბერიძის, ნანა ქურდაძის, დები კარენ და სათენიკ ალთუნაშვილების წარმატებები ახალციხის მხარის და რაიონის პირველობებში.

როგორც წესი, შ. დიდიმამიშვილის აღსაზრდელები სისტემატურად მონაწილეობენ ქობულეთის ტრადიციულ ფესტივალებში, გუნდურ ტურნირებში, რაც მათი შემდგომი წინსვლის ნაღდი საწინდარია.

●

1971 წელს **ახალქალაქმა** საქართველოს ვაჟთა 32-ე ჩემპიონატს უმასპინძლა. ტურნირს დიდი გამოხმაურება მოჰყა. ახალქალაქელები დიდი ინტერესით ესწრებოდნენ ყოველ ტურს. ბოლოს ჩემპიონატის დახურვას იმდროინდელი მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი დაესწრო.

სამწუხაროდ, ახალქალაქის სპორტის მესვეურთა ამ ინიციატივას გაგრძელება არ მოჰყოლია.

თავი IV

ჭადრაკის დიდი ტრფიალნი

საქართველოში ჭადრაკს ყოველთვის ჰყავდა ერთგული მეგობრები. მას სიამოვნებით უთმობდნენ თავისუფალ დროს XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი. ბევრ მათგანზე საუბარია ჩვენს წიგნებში „ჭადრაკს გამიჯნურებულნი" (1967 წ.) და „მათ უყვარდათ ჭადრაკი" (1989 წ.). ზოგს კვლავ გავიხსენებთ ამ წიგნში და მონათხრობს ახალი მასალებით შევავსებთ.

ილია ჭავჭავაძე

(1837-1907 წწ.)

— კარგი მოჭადრაკე რომ გახდე, დიდი ილიასავით დინჯი და აუღელვებელი უნდა იყო, — ამბობდა ვალაკტიონი, როცა ჭადრაკზე ჩამოვარდებოდა სიტყვა.

ვისაც ბედნიერება ჰქონდა, ეხილა ჩვენი სულიერი მოძღვარი ჭადრაკის დაფასთან, ერთხმად აღნიშნავდნენ მის თავგამოდებას საჭადრაკო ბრძოლისადმი. არტურ ლაისტი ამის შესახებ წერდა: "მე მოწმე ვიყავი, როცა ილია კოტე მესხთან ერთად მთელი კვირის განმავლობაში განუწყვეტლივ თამაშობდა ჭადრაკს".

ეს საგურამოში ხდებოდა. იმდროინდელი ჭადრაკი ახლაც ინახება დიდი მწერლის სახლ-მუზეუმში.

ილია მუდამ მზად იყო შებმოდა ღირსეულ მეტოქეს. იგი ადვილად არ გაეცლებოდა მოპირდაპირეს, დროც თუ ხელს უწყობდა.

ერთხელ ახლო მეგობრის, ცნობილ საზოგადო მოღვაწის ნიკო ხიზანიშვილის ოჯახში დავით კასრაძე შესწრებია ილია ჭავჭავაძის საჭადრაკო პაექრობას. ახალგაზრდა მწერალს სწორედ აქ უნახავს პირველად ბრძენი ილია. დავით კასრაძე შემდეგ წერდა:

"მასპინძელმა ნიკო ხიზანიშვილმა ასეთი სიტყვებით დაურღვია ილიას იდილიური სამყარო:

— ბატონო ილია, კოტე ჭადრაკში გიწვევთ! — და ყიფიანზე მიუთითა.

კოტე ყიფიანი ჭადრაკის დაფას მისჯდომოდა, სვლებს აკეთებდა და თავისთვის ვარჯიშობდა.

ილია დინჯად მივიდა მაგიდასთან,

სკამზე დაბრძანდა. ფიგურები სათითაოდ გაასწორა და ჩაფიქრდა.

მე ჭადრაკი ბავშვობიდან მიყვარდა და მიტაცებდა. შორიდან მოკრძალებით ვუმზერდი მათ თამაშს.

კოტემ მორიდებით ჰკადრა:

— ბატონო ილია, იმდღევანდელის სამაგიეროს გადახდას ხომ არ ინებებთ?

ილიამ არაფერი უპასუხა. პირველი ხუთი სვლა მშვიდობიანად წარიმართა. ილია მძიმედ ირჯებოდა, უბრალო სვლებს დიდ დროს ანდომებდა. დაახლოებით ოცდამეათე სვლაზე ყიფიანმა დააშამათა.

— ჩვენ ყიფიანები ვართ, ყოფილი იტალიელები! აბა, რას გახდებით ჩემთან, თავადო! — დაიწყო ოხუნჯობა კოტე ყიფიანმა.

ილიამ სიტყვის შეუბრუნებლად აკრიფა თეთრი ფიგურები, დაალაგა დაფაზე და პირველი სვლა გააკეთა. თამაშის დროს, სვლებში გაჯავრება ეტყობოდა... ეს პარტია უფრო მალე წააგო, ვიდრე პირველი, რაც დიდად ითაკილა. ის იყო მესამედაც უნდა დაეწყო თამაში, რომ თამამმა დიასახლისმა — ლიზამ დაფაზე ფიგურები აურია და ხელში აიტაცა. ილიამ თამაში დათმო. გაშლილი სუფრა უცდიდა სტუმრებს".

ეს თამამი დიასახლისი გახლდათ ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი ელისაბედ ჩერქეზიშვილი. და აი, მისი მეტად საინტერესო მოგონება ილია ჭავჭავაძეზე, როგორც მოჭადრაკეზე. ის ერთგან წერდა:

"...ილია აივანზე ჭადრაკს თამაშობდა კოტე მესხთან, ჩვენს გამოჩენილ მსახიობთან. სტუმრები უყურებდნენ მათ თამაშს. ამ დროს უცბად ცა მოიღუშა, მოიღრუბლა, ნისლი შავად ჩამოწვა. გაიელვა, დაიჭექა. ილია კი გაშტერებული ჭადრაკს თვალს არ აშორებდა. არც ადგილიდან დაძრულა".

დიდი ილია დარბაისლურად თამაშობდა ჭადრაკს. უყვარდა ძლიერ მეტოქესთან შებმა. ერთ-ერთი ასეთი მოწინააღმდეგე იყო ვანო მაჩაბლის ძმა ვასო მაჩაბელი. ვასო მაჩაბელი სასიქადულო ქართველ მოჭადრაკეს ანდრია დადიანსაც კი შეხვედრია.

1873 წელს საბანკო საქმეებზე პეტერბურგში ყოფნისას, როდესაც ილია და ვანო მაჩაბელი ერთად თარგმნიდნენ "მეფე ლირს", დიდი პოეტი და ვანოს ძმა ხშირად თამაშობდნენ ჭადრაკს. ამის სამახსოვროდ მათ გადაუღიათ ფოტოსურათი ჭადრაკის დაფასთან.

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძე თბილისში საკუთარ სახლში ხუთშაბათობით წვეულებას მართავდა. იგი გულუხვ მასპინძლობას უწევდა მეგობრებს — ქართული კულტურის მოღვაწეებს. ილიას უახლოესი თანამშრომელი, ქართვე-

ილია ჭავჭავაძე (მარცხნივ) და ვექილი ვასილ მაჩაბელი.
(პეტერბურგი, 1873 წ.)

ლთა შორის წერა-კითხვის გამავრ-ცელებელი საზოგადოების მოლარე-ბულალტერი ვასო ედილაშვილი იგონებს:

— სტუმრები ჩვეულებრივ ბან-ქოს ან ნარდის თამაშით ერთობოდ-ნენ. თუ აღმოჩნდებოდა მის სტუმ-რებს შორის ჭადრაკის მოყვარული, მაშინ კი ყველაფერს ანაცვალებდა და დაიწყებდა გატაცებით თამაშს. მახსოვს ერთხელ დაპატიჟებული ჰყავდა: ნიკო ხიზანიშვილი, გიგო ყიფშიძე, ანტონ ფურცელაძე, კოტე ყიფიანი, ვასილ მაჩაბელი და სხვე-ბი. ვიდრე ნადიმი დაიწყებოდა, ილიამ ჭადრაკის თამაში დაიწყო კოტე ყიფიანთან და სულ რამდენიმე სვლის შემდეგ შამათი გაუკეთა. ყიფიანი შეცვალა ვასილ მაჩაბელმა — აქ კი თამაში გაგრძელდა და ბოლოს ყაიმზე შეთანხმდნენ.

პროფესორ რუსუდან ნიკოლაძ-

ეს უამბნია ამ სტრიქონების ავტორისათვის, რომ მას ხშირად უნახავს ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის საჭადრაკო პაექრობა.

— მამას უყვარდა ილიასთან თამაში, — ამბობდა ქალბატონი რუსუდანი. — ისინი მშვიდად თამაშობდნენ, ხან შეაჩერებდნენ სვლებს და საუბრობდნენ ახალ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე, პოლიტიკურ ამბებზე.

ამ პაექრობა-საუბრებს ხშირად დასწრებიან აკაკი წერეთელი და ვანო მაჩაბელი.

ილია ჭავჭავაძე დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს იმდროინდელ საჭადრაკო ცხოვრებას, ბრძოლას მსოფლიო პირველობისათვის. 1893 წელს პეტერბურგში გაიმართა მატჩი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მთავარ მაძიებელთა — მიხეილ ჩიგორინსა (რუსეთი) და ზიგბერტ ტარაშს (გერმანია) შორის. შეხვედრას, რომელიც ბოლოს ყაიმით დამთავრდა, დიდი რეზონანსი ჰქონდა.

ილიაც თავის "ივერიაში" ყოველდღიურად აქვეყნებდა ცნობებს ამ მატჩის მსვლელობის შესახებ. ბოლოს ვრცელი, ხელმოუწერელი მიმოხილვა მიუძღვნა მატჩის შედეგებს ("ჭადრაკის მეფენი", "ივერია", 1893 წ., №239). მკვლევართა აზრით, იგი თავად დიდმა ილიამ დაწერა. ამ წერილს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული საჭადრაკო ჟურნალისტიკის ისტორიისთვის, რადგან XIX საუკუნის ჟურნალ-გაზეთებში მსგავსი რამ არაფერი დაბეჭდილა.

ქართულ ჭადრაკს საამაყოდ აქვს დიდი ილიას სიყვარული მამა-პაპათა ბრძნული თამაშისადმი.

აკაკი წერეთელი

(1840 - 1915 წწ.)

ვინც ახლოს იცნობდა აკაკი წერეთელს, ყველამ იცოდა, როგორ უყვარდა მას ჭადრაკი. ამიტომ, სადაც კი მისი წრის ჭადრაკის ქომაგები შეიკრიბებოდნენ, დიდ მგოსანსაც თხოვდნენ შეხვედრაში მონაწილეობას. აკაკი სიამოვნებით იღებდა მიწვევას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება დიდი სახლის წევრის გიორგი წერეთლის სადარბაზო ბარათი, რომელიც მას პოეტისათვის გაუგზავნია. ბარათში ვკითხულობთ: "ძვირფასო ძმაო აკაკი! დღეს ვთხოვე მოჭადრაკეებს მთელი დღით ჩემთან ყოფნა, გთხოვთ, როგორც მოჭადრაკეს, მიიღოთ მონაწილეობა და მობრძანდეთ. თან, ერთად ვისადილოთ. გელით სულით და გულით ორი საათისათვის". სამწუხაროდ, ეს ბარათი დათარიღებული არ არის.

თბილისში აკაკი წერეთელს ბევრი მეგობარი ოჯახი ჰყავდა, სადაც მის გამოჩენას სიხარულით ხვდებოდნენ.

უფრო ხშირად იგი ვანო მაჩაბლის სტუმარი იყო. მასპინძელი მუდამ გულითადად ხვდებოდა მას. ვანო მაჩაბლის ოჯახში ხშირად იყრიდნენ თავს მეგობრები: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ხიზანიშვილი და სხვები. ისინი საუბრობდნენ პოლიტიკასა და ლიტერატურაზე, თეატრსა და ქართული ბანკის საქმეებზე, კითხულობდნენ თავიანთ ახალ ნაწარმოებებს, მართავდნენ მძაფრ საჭადრაკო ორთაბრძოლებსაც. აკაკი წერეთელი ხალისით მონაწილეობდა მეგობრების ამ შეხვედრებში.

დიდ პოეტს უყვარდა სტუმრობა ცნობილი ჟურნალისტის დავით მიქელაძის ოჯახშიც, სადაც ყოველთვის სითბოსა და ყურადღებას გრძნობდა.

დავით მიქელაძე XIX საუკუნის მეორე ნახევრის აქტიური საზოგადო მოღვაწე და ბრწყინვალე ჟურნალისტი იყო. საზოგადოებრიობა მას "მეველეს" ფსევდონიმით იცნობდა. იგი ჯერ "დროებას", მერე კი "ივერიის" თანამშრომელი იყო.

დავით მიქელაძის სტუმართმოყვარე ოჯახში ყველას მიუხაროდა. აქ მუდამ დიდი მოწიწებით ხვდებოდნენ ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს, ნიკო ნიკოლაძეს, ფილიმონ ქორიძეს და სხვებს. ზოგჯერ საინტერესო საუბარს საჭადრაკო პაექრობაც

მოჰყვებოდა ხოლმე.

სტუმრების საერთო სიყვარულით სარგებლობდა დავით მიქელაძის ვაჟი — პატარა ივერი. სწორედ ამ ბიჭუნას უძღვნა აკაკი წერეთელმა ცნობილი ლექსი:

ჭრელი პეპელა დაეთრო
და გაბრუა იმა,
მას მიეპარა ივერი
დაიჭირა და იმა.

შემდეგ "ივერი" "ყმაწვილით" შეიცვალა.

ერთხელ აკაკისა და პატარა ივერს ჭადრაკიც უთამაშიათ.

— მამას ძალიან უყვარდა ჭადრაკი, — გაიხსენა დავით მიქელაძის ქალიშვილმა ნინომ, როცა მას შინ ვეწვიე. — ხშირად ეპაექრებოდა სტუმრებს. ერთხელ მან აკაკი წერეთელს მოუგო. მგოსანმა სათამაშოდ ექვსი წლის ივერი გამოიწვია, მაგრამ მასთანაც წააგო. მაშინ აკაკიმ ჩვეული იუმორით თქვა: მამამ მომიგო, ძემ მომიგო, სულიწმინდაღა დარჩაო.

აკაკი წერეთელთან პატარა ივერის წარმატების ამბავი სწრაფად გავრცელდა ოჯახის მეგობრებში. ერთხელ დავით მიქელაძეს ტყიბულში (იგი ქვანახშირის დამმუშავებელი ამხანაგობის "ნახშირის" წევრი იყო) ესტუმრა ცნობილი მხატვარი, ნიკო ნიკოლაძის ცოლისძმა, დავით გურამიშვილი. ნასადილევს სტუმარმა ივერს შესთავაზა ჭადრაკი ვითამაშოთო. ბიჭუნამ ამჯერადაც იყოჩაღა. ბავშვის თამაშით აღფრთოვანებულმა სტუმარმა მასთან სამახსოვრო ფოტოსურათი გადაიღო.

— ივერი ჭადრაკს შემდეგაც თამაშობდა, თუმცა სერიოზულად მისთვის ხელი არასოდეს მოუკიდია, — გვიამბობდა ქალბატონი ნინო. — გიმნაზიაში სწავლის დროს იგი ამხანაგებს ერთდროული თამაშის სეანსებს უტარებდა დაფაზე დაუხედავად. ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სრული კურსის მოსმენის შემდეგ ივერი ვექილობდა. გარდაიცვალა 1930 წელს.

აკაკი წერეთელს სიამოვნებდა ნიკო ნიკოლაძესთან სტუმრობა, თბილისში იქნებოდა ეს, თუ დიდ ჯიხაიშში, გამოჩენილი პუბლიცისტის მამისეულ კარზე.

— დიდ ჯიხაიშში რომ ჩავიდოდით, მამა მაშინვე ეტლს გააგზავნიდა ქუთაისში აკაკის და სტუდენტობისდროინდელი მეგობრის, გამოჩენილი ქართველი მოღვაწის კირილე ლორთქიფანიძის ჩამოსაყვანად, — იგონებდა ნიკო ნიკოლაძის ასული, პროფესორი რუსუდან ნიკოლაძე. — ეზოში ხის ძირას მოლზე გაშლიდნენ ჭილოფს, დაეყრდნობოდნენ მუთაქებს და ერთობოდნენ ჭადრაკის თამაშით, საჭირბოროტო საკითხებზე საუბრით.

სურათზე: აკაკი წერეთლის სტუმრობა ქუთაისში, ცნობილი ჟურნალისტის კოტე ბაქრაძის ოჯახში.

ზოგჯერ ნარდსაც გაიხსენებდნენ. მაგრამ მამას არ უყვარდა ფულზე ნარდის თამაში, ამიტომ მათ მეტწილად ჭადრაკის დაფასთან ვხედავდი. როგორც მახსოვს, ხან ერთი იგებდა, ხან მეორე. ალბათ დაახლოებით თანაბარი ძალით თამაშობდნენ. მათი შეჯიბრება თითქმის სადილობამდე გრძელდებოდა.

აკაკი წერეთელი უნახავთ ჭადრაკის დაფასთან თბილისის ქართულ კლუბში (ახლა აქ თბილისის მეორე უნივერმაღია), სადაც საღამოობით ჭადრაკის თამაშით ერთობოდა მაშინდელი მოწინავე ინტელიგენცია.

პოეტს ბევრი მეგობარ-ნათესავი ჰყავდა ქუთაისში. იგი არავის ივიწყებდა და ჩასვლისას თითქმის ყველას აუცილებლად მოინახულებდა. მისი ერთ-ერთი მასპინძელი გახლდათ ცნობილი ჟურნალისტი კოტე ბაქრაძე. მასთან ხშირად იყრიდნენ თავს იმდროინდელი მოწინავე ადამიანები — მწერლები, მსახიობები, საზოგადო მოღვაწენი. ისინი ზოგჯერ საჭადრაკო პაექრობით ერთობოდნენ, მით უმეტეს მაშინ, როცა

სტუმრებს შორის იყვნენ გატაცებული მოჭადრაკეები — გამოჩენილი მსახიობი კოტე მესხი, კირილე ლორთქიფანიძე და სხვები.

აკაკი ხშირად იყო კოტე ბაქრაძის სალონში. შემატიანემ შემოგვინახა ფოტოსურათი, რომელიც ქუთაისში დიდი პოეტის ერთ-ერთი ჩასვლის აღსანიშნავად გადაუღიათ კოტე ბაქრაძის ოჯახში. აკაკი ზის გაშლილ ჭადრაკთან და, როგორც ჩანს, მასპინძელს ეპაექრება.

ჭადრაკის სიყვარული აკაკის მშობლების ოჯახიდან გამოჰყვა. მამამისს, როსტომ წერეთელს, საცნობა-მეგობრებში კარგი მოჭადრაკის სახელი ჰქონდა გავარდნილი. მისი დამარცხება ბევრს არ შეეძლო.

თავის ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში "ჩემი თავგადასავალი" აკაკიმ აღწერა როსტომ წერეთლის ერთი საჭადრაკო პაექრობა. აი, ისიც:

"მამაჩემი თავის დროზე განთქმული მოჭადრაკე იყო, ვერავინ უგებდა. განსაკუთრებით გენერლის შტაბის ოფიცრები იყნენ მონდომებულნი, რომ როგორმე მოეგოთ, მაგრამ ვერას აწყობდნენ. ერთხელ გენერალ-გუბერნატორს გერისთავს შემოუთვლია ტფილისიდან: "ერთი შესანიშნავი მოჭადრაკე პოლკოვნიკი გვეწვია, შენთან თამაში სურს და, თუ დრო გაქვს, მოდი, ჩემთან არისო. აბა შენ იცი თუ შენებურად გვასახელებ ქართველებსო". მამაჩემიც წავიდა და გაიმართა თამაშობა. პოლკოვნიკმა დაინახა, რომ მოპირდაპირე ახირებულად ეთამაშებოდა და ჰკითხა: თქვენ, როგორც პირველსავე გამოსვლაზე გეტყობათ, თეორია არ უნდა იცოდეთო. კუთხის პაიკი რა ხელმოსაკიდებელი იყოო?

– თეორია რა არის? – ეკითხება მამაჩემი.

– სხვადასხვა სათამაშო კანონები.

– ჩვენ, ქართველებმა, ერთი კანონის მეტი არ ვიცით რა: ისე უნდა ითამაშო, რომ მოპირდაპირეს მოუგო.

– ეს მართალია, მაგრამ უთეორიოდ არ შეიძლება.

– არ ამიხსნით მაინც, რა არის თეორია?

– სხვადასხვა გამოჩენილ მოჭადრაკეთა ნათამაშევი, რომელიც სხვებისთვის სამაგალითო კანონად დარჩენილა.

– ჰო, ისემც კარგი დაგემართოს! ისინიც ხომ ჩემისთანა მიწის შვილები იქნებოდნენ, ციდან ხომ ვერ ჩამოფრინდებოდნენ. ახლა ჩემს თამაშსაც უგდეთ ყური და, თუ მოგეწონათ, ჩაიწერეთ და თეორია იქნებაო.

პოლკოვნიკმა დაიწყო თამაში და არ გაუვლია დიდხანს, რომ კიდეც წააგო. შეწუხდა და თქვა: "აშიბკაო". ითამაშეს მეორე, კიდევ

წააგო და თქვა "აშიბკაო!" მესამე, მეოთხე, მეხუთე... გაცხარებული პოლკოვნიკი აგებს და თან იძახის "აშიბკა, აშიბკა", მამაჩემს გაეცინა და უთხრა: "პოლკოვნიკო, ტყუილად ნუ ფიქრობ, რომ მოიგო, სანამ ეს ვილაც "აშიბკა" გადაგკიდებია, მაგას თავიდან არ მოიშორებო!"

ეს ხუმრობა მოპირდაპირეს ეწყინა, შეურაცხყოფად მიიღო და ხმამაღლა ლაპარაკი დაიწყო. მამაჩემმა დამშვიდებით უპასუხა: – ნარდი, ჭადრაკი და სათამაშოები სასიამოვნოდ და დროს გასატარებლად გამიგონია ჩვენშიო. ხუმრობაც შეშვენის და მეც ჩვენი ქვეყნის ჩვეულებაზე ვდგევარ, და თქვენში, თუ საწყენი და გასაჯავრებელი ყოფილა, ჩემთან რა გინდა. ისევ თქვენებთან ვეთამაშაო! გაჯავრებულმა დაავლო ქუდს ხელი და გამოვიდა გარეთ".

შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ როსტომ წერეთელმა 1834 წელს სოფელ სხვიტორში სასახლეს რომ აშენებდა (ახლა მასში აკაკის მუზეუმია გახსნილი), ჭადრაკი არ დაივიწყა.

მუზეუმის დირექტორი ანდრო ლომიძე გვწერდა: "მშენებლები, როგორც ამას კედელში ჩატანებული სამშენებლო წარწერა გვაუწყებს, ბერძენი ხელოსნები ყოფილან. სასახლეში ხუთი ბუხარია, ბუხრის კვამლსადენი მილები აგებულია თლილი ქვის ფილებით. ბოლი გვერდითი ჭრილიდან გამოდის, ბუხრის ყელის თავზე ასევე თლილი ქვის ორ-ორი ფილა დევს. ამ ორი ფილის ჩაკეტვის მიზნით მასზე დგას გამოთლილი ჭადრაკის თითო ფიგურა: მეფე, ლაზიერი, ეტლი, მხედარი და კუ. ამ ფიგურებიდან ორი (კუ და ეტლი) გადარჩენილია და ამჟამადაც დგას. სამი ფიგურა განადგურებულია და, ვფიქრობ, მათ აღდგენას".

გასაკვირი არ არის, რომ ასეთი ჭადრაკის ერთგული მამის შვილიც კარგი მოჭადრაკე იყო.

გალაკტიონ ტაბიძე

(1892-1959 წწ.)

დიდ მგოსანს უთქვამს, რომ ჭადრაკი მხოლოდ ხელოვნებაა. მას მოსწონდა ამ თამაშში აზროვნების უკიდეგანო სარბიელი, აოცებდა მისი სიბრძნე. ლამაზ კომბინაციას რომ ეცნობოდა, ოდნავ სევდიანად იტყოდა ხოლმე: აქაც ყოფილა პოეზია. ნეტავ როგორ დავეუფლო კარგ თამაშსო.

გალაკტიონს სწყინდა წაგება. ამიტომ ნაკლებად თამაშობდა ჭადრაკს. ძლიერ მოჭადრაკედ პოეტი გრიგოლ აბაშიძე მიაჩნდა. თვითონ კი ლეო ქიაჩელთან პაექრობას ჯერდებოდა მწერალთა კავშირის ბაღში.

ყველაფერი ეს და მრავალი სხვაც გალაკტიონს ჭადრაკთან ურთიერთობაზე მისმა მეგობარმა, დამსახურებულმა მხატვარმა და მოჭადრაკემ მიხეილ ვადბოლსკიმ შემოგვინახა. დიდი პოეტი მისი ხშირი სტუმარი გახლდათ ოჯახში და დავით აღმაშენებლის პროსპექტზე მდებარე პიონერთა პარკში, სადაც მ. ვადბოლსკი ნორჩ თბილისელებს ჭადრაკს ასწავლიდა.

პარკში გალაკტიონი პატარებს მიუჯდებოდა და მდუმარედ თვალს ადევნებდა, თუ როგორ ეუფლებოდნენ ისინი მამა-პაპათა თამაშს.

დიდ პოეტს უთქვამს მ. ვადბოლსკისთვის: ჭადრაკი მოზარდთა აღზრდის ერთ-ერთი შესანიშნავი საშუალებაა. თამაშის პროცესში ისინი სწავლობენ სწორად აზროვნებას, მტკიცე გადაწყვეტილების მიღებას და სილამაზის აღქმასო.

გალაკტიონი თავადაც ხალისით ეპაექრებოდა პატარებს. თამაშის დროს მეტოქეს ხუმრობით მოპარავდა რაიმე ფიგურას ან პაიკს. მერე უცდიდა თუ მიხვდებაო. როგორც კი მისი ნორჩი პარტნიორი "ქურდობას" აღმოაჩენდა, გადაიხარხარებდა. ყოჩაღ, ეტყოდა ბიჭუნას და თავზე ხელს გადაუსვამდა.

— ერთხელ პარკში მოვიდა და მთხოვა: კარგი მეტოქე მომიძებნე, რაღაც ახალი ვისწავლეო, — იხსენებდა მ. ვადბოლსკი — მეც საკმაოდ ძლიერი მოჭადრაკე მივგვარე. გალაკტიონმა ენერგიულად დაიწყო პარტია (1. e4 e5 2. ♘f3 f6 3. ♘×e5) და ინიციატივასაც დაეუფლა, მაგრამ ვერ გამოიყენა უპირატესობა და დამარცხდა. ეს არაფერია, თქვა, მთავარი ისაა, რომ ყმაწვილი შევაშინეო.

ვარიანტი მისთვის არჩილ ებრალიძეს უსწავლებია. თავად არჩილის-

გალაკტიონ ტაბიძე ჭადრაკის თამაშის დროს (ქ. რუსთავი, 1958 წ.)

აგან გამიგონია: "დიდ მგოსანს თამაშის დროს ფორად ეტლს ვაძლევდი, რაც სწყინდა და არცთუ დიდი ხალისით მეთამაშებოდა".

გალაკტიონი მ. ვადბოლსკის ოჯახში სტუმრობისას პოეზიაზეც საუბრობდა. საქმე ისაა, რომ მასპინძელს კალამიც ემარჯვებოდა. მან დიდ პოეტს თავისი ლექსები წაუკითხა. გალაკტიონმა მ. ვადბოლსკის ერთ სქელტანიან რვეულს ასეთი "რეცენზია" გაუკეთა:

სიტყვის უთქმელად ვარ მონატრული
რომ ეს ლექსები ვიხილო წიგნად.
დაბეჭდილ წიგნად: მათში ფეთქს
გული —
გული, ცოცხალი ახლა და წინათ...
ვადბოლსკი, ეგ იწამე რომ იქნება:
სურვილი საქმედ გარდაიქმნება.

გ. ტაბიძე.
1957 წ. 17.IV.

მ. ვადბოლსკის მრავალი სხვა წიგნი გამოიცა, მაგრამ ლექსები გამოუქვეყნებელი დარჩა.

გალაკტიონს უყვარდა პაექრობა ერეკლე მეფის შვილიშვილის ნაქონ ჭადრაკთან. ეს ჭადრაკი მ. ვადბოლსკის უსახსოვრა პეტერბურგის

ზამთრის სასახლის უკანასკნელმა კომენდანტმა ივანე რატიშვილმა. თვით რატიშვილს კი მისმა სიმამრმა – ერეკლე მეორის შვილიშვილმა ირაკლი ალექანდრეს ძემ. აღნიშნული ჭადრაკი ამჟამად დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

დიდ პოეტს ჭადრაკის ისტორიაც აინტერესებდა. სიამოვნებდა, როცა ბრძნული თამაშის მეხოტბეთა და თაყვანისმცემელთა შორის მისთვის სათაყვანებელ სახელებს შეხვდებოდა.

– ვოლტერიც კი თამაშობდა ჭადრაკს! – სიხარულით წამოუძახია გალაკტიონს, როცა მ. ვადბოლსკის წიგნს "ჭადრაკი 1400 წლის მანძილზე" (თბილისი, 1957 წ.) ეცნობოდა.

პარკში დიდი მგოსნის სტუმრობისას მიხეილ ვადბოლსკიმ მისი უნიკალური ჩანახატი გააკეთა. გალაკტიონი აღბეჭდილია ფართო პერ-

ანგში თავის განუყრელი ჩანთითა და შლაპით, იგი მთელი არსებით ჩაბმულია თამაშში... მხატვარს სხვა დროსაც დაუხატავს თავისი მეგობარი და მისთვის საჩუქრად მიურთმევია.

– კარგი მოჭადრაკე რომ გახდე, ჩვენი დიდი ილიასავით დინჯი და აუღელვებელი უნდა იყო. მე კი მოთმინება არ მყოფნის! – ამბობდა გალაკტიონი, როცა ჭადრაკის დაუფლებაზე ჩამოვარდებოდა სიტყვა.

პაოლო იაშვილი

(1894-1937 წწ.)

განთქმულმა პოეტმა პაოლო იაშვილმა დიდი ამაგი დასდო ქართულ ჭადრაკს. იგი იყო თბილისის საჭადრაკო კლუბის გახსნის ერთ-ერთი მოთავე, სხვადასხვა ტურნირისა და მატჩის ორგანიზატორი, უცხო მოჭადრაკეთა გულითადი მასპინძელი.

პაოლოს უყვარდა მამა-პაპათა თამაში. პოეტი კოლაუ ნადირაძე მიამბობდა თუ როგორ ესწრებოდა იგი პაოლოსთან ერთად 1914 წელს პეტერბურგში დიდოსტატთა ცნობილ ტურნირს მსოფლიო ჩემპიონის ე. ლასკერის, ხ.რ. კაპაბლანკასა და ა. ალიოხინის მონაწილეობით.

— ჩემი ოცნებაა ვიხილო ჭადრაკის ქართველი ოსტატი, რომელიც ჩვენი ერის მდიდარ საჭადრაკო ტრადიციებს ქვეყანას გააცნობს, — ნატრობდა პაოლო.

და მისივე მეცადინეობით სულ მალე ამ ოცნებას ფრთები შეესხა: ქართველ მოჭადრაკეთა შორის გამოჩნდა ნიჭიერი ახალგაზრდა, 20 წლის ვიქტორ გოგლიძე. პაოლო და მისი მეგობრები ტიციან ტაბიძე, სანდრო ყანჩელი, იაკობ ნიკოლაძე მზრუნველობას არ აკლებდნენ მზარდ მოჭადრაკეს. პაოლოს თაოსნობით 1928 წელს გაიმართა ვიქტორ გოგლიძის და მოსკოველი ოსტატის ნ. გრიგორიევის მატჩი. შეხვედრა მიმდინარეობდა საქართველოს მწერალთა კავშირის სახლში.

— სახელგანთქმულ ოსტატთან ორთაბრძოლა ჩემი დიდი გამოცდა იყო, — იგონებდა ვიქტორ გოგლიძე. — მართალია, მატჩი წავაგე ერთი ქულის სხვაობით, მაგრამ ფრიად საჭირო მდიდარი გამოცდილება შევიძინე. ბრძოლის დროს პაოლო ყოველთვის დარბაზში იყო და ძალიან განიცდიდა თამაშის პერიპეტიებს.

— განუზომელი იყო პაოლოს სიხარული, როცა კომბინაციური იერიშით მოვიგე მეშვიდე პარტია, — გაიხსენა ვ. გოგლიძემ და მაჩვენა ამ პარტიის ფრაგმენტი.



— ამ პოზიციაში თითქმის ერთი

საათი ვფიქრობდი, რათა ბოლომდე გამეთვალა კომბინაცია, – ჰყვებოდა ვიქტორ გოგლიძე. – პაოლო ქანდაკებასავით იუდა და ივალს არ აცილებდა დაფას. ცდილობდა ამოეხსნა პოზიციის საიდუმლოება. ეს ბუნებრივი იყო, რადგან პაოლო დაახლოებით პირველთანრიგოსნის ძალით თამაშობდა.

პარტია ასე გაგრძელდა:

• 18. ♗×f6! ♗×f6 19. ♕×h7+ ♔f8 20. ♕h4!

ღრმად მოფიქრებული შეწირვა, შავები იძულებული არიან ხარისხი აიყვანონ.

20. ... ♗×a1 21. ♖×a1 ♔e7! 22. ♖d1 f6 23. ♕h7!

ეს ´ სვლა პაოლომ ღიმილით მოიწონა, მაგრამ ყურადღება არ შეუნელებია: აინტერესებდა, როგორ დავაგვირგვინებდი იერიშს.

23. ... ♖g8 24. ♘e4 d5 25. c×d5 e×d5 26. ♘×c5 ♕c6

27. b4 ♔f7 28. ♖d4!

როგორც გადმომცეს, აქ პაოლოს უთქვამს: – ახლა თეთრების პოზიცია მოგებულია. ისინი ყოველმხრივ მზად არიან გადამწყვეტი დარტყმისთვისო. მეც ასე ვფიქრობდი.

28. ♖ae8 29. ♕d3 ♖e5 30.f4 ♖h5 31. f5! g6 32. ♖×d5 g×f5 33. ♕f3 ♔g6 34. ♘d3 ♖g5 35. ♘f4+ ♔h6 36. ♘h3 ♖g4 37. ♕×f5 ♖×b4 38. ♘f4 ♖b7 39. ♕h5+ ♔g7 40. ♕g6+ ♔f8 41. ♖d8+ ♔e7 42. ♖×g8 და გრიგორიევი დანებდა.

ბოლოს ვიქტორ გოგლიძემ დასკვნითი პარტია და მატჩი წააგო. მაგრამ გულნატკენ პაოლოს მაინც თავისი კერპის იმედი ჰქონდა.

1929 წელს თბილისში დასახლდა მოსკოვის სამგზის ჩემპიონი, ოსტატი ვ. ნენაროკოვი. იმ წელს მან თბილისის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.

1930 წელს პაოლო იაშვილმა განახორციელა თავისი ოცნება: ვიქტორ გოგლიძე მატჩში შეხვდა რუს ოსტატს.

ამჯერად გოგლიძემ იმედი გაამართლა: გაიმარჯვა ანგარიშით 7:4 და პირველი ქართველი ოსტატი გახდა.

ამ ისტორიულ მოვლენას მოჰყვა დიდი ნადიმი პაოლო იაშვილის თამადობით. ამ საზეიმო თავშეყრაზე მან ექსპრომტად წარმოთქვა ვ. გოგლიძისადმი მიძღვნილი ლექსი – "ჭადრაკის ქართველ ოსტატს".

შეხვდებით ერთმანეთს, ვხედავ, რომ ჩალაგდა
ყოველი პაიკი შეძლებული რახმენად
და მეფე ბრძოლებით განწირულ ალაგთან
თახდათან შებოქეს რკინების თასმებმა.

ვსაუბრობთ... მე ვფიქრობ: ნეტა რას ჩაწერდა,
და ვხედავ: ოვალებში შუქია ნეტარი.
ვხედავ, რომ ქადრაკის ეშმაკურ ფაცერთან
ულოსოდ დასდალობს შავების მხედარი.
გადაეალთ ლექსზე. — ჩემს შრომის მაგიდას
დღეს დარჩა ნაძალვრეკად დაყრილი ბრწყინვები.
შენ მაგარ ოსტატის სახელი გავიტანს,
მე ჩემი ფიქრის გაშლილი კარები.
არ ვიცი, რად იყო ასეთი პარტიე
შეხვედრა, დიმილი, შესიან რომ მოვედი,
ასევ პირველი ქართული პარტიის
და ჩემოვის — ნაძდვილი ბრძოლების პოეტი.
შენ უკვე გაიგე, რა არის ძალის წინ
უეცრად შეხტომა, კაცს რომ არ აძინებს.
შენ უკვე გაიგე, მკაცრია ობილისი
და თავის არჩეულს ოვალს არ მოაცილებს.
რჩეულია ეს ბედი ხშირად დაძლეულა,
ალ, მაგრამ სიხარულს ეს ფიქრი მოგვტაცებს,
არავის არ სძინავს ისე აბნეულად,
როგორც რომ ლექსის და ქადრაკის ოსტატებს.

შემდგომშიც პაოლო იაშვილი აქტიურად მონაწილეობდა საჭადრაკო ცხოვრებაში.

1934 წელს თბილისში გაიმართა ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატების ტურნირი ავსტრიელი მოჭადრაკის ჰანს კმოხის მონაწილეობით. ეს იმ დროისათვის თავლასჩინო შეჯიბრება ვახლდათ. რასაკვირველია, ტურნირს ყოველდღე ესწრებოდნენ განუყრელი მეგობრები — პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე. ტიციანი არ იყო დახელოვნებული ჭადრაკის თამაშში. ეს იცოდნენ მისმა მეგობრებმა და ხშირად ხუმრობით თხოვდნენ აზრი გამოეთქვა ამა თუ იმ მოჭადრაკის პოზიციის შესახებ. ტიციანიც თურმე არ იტეხდა იხტიბარს — სადემონსტრაციო დაფაზე დათვლიდა ფიგურებს და მატერიალური უპირატესობის მქონე მოჭადრაკეს უწინასწარმეტყველებდა გამარჯვებას.

ტურნირში ბრწყინვალედ გაიმარჯვა ვიქტორ გოგლიძემ (მის გარდა თბილისიდან თამაშობდნენ ა. ებრალიძე, ჰ. კასპარიანი და ნ. სოროკინი).

პაოლოს გული სიხარულით იყო სავსე. ამიტომ სიამოვნებით იკისრა თამადობა ტურნირის დამთავრებისადმი მიძღვნილ ბანკეტზე, რომელსაც მრავალი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე დაესწრო.

ჩვეული მჭევრმეტყველებით ჰქარგავდა პაოლო თითოეულ სადღეგრძელოს. კმოხს ფრანგულად მიმართა, რაც სტუმრისათვის სიურპრიზი იყო. ამას დაემატა ისიც, რომ მოულოდნელად მაგიდის ქვეშ დამალული ტორტი – ჭადრაკის დაფა, თეთრი და კაკაოსფერი კრემისაგან ჩამოსხმული ფიგურებით – გამოიღო და მოწიწებით მიართვა ავსტრიელ ოსტატს.

1935 წელს პაოლო დაესწრო მოსკოვში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირს, რათა ექომაგა ვიქტორ გოგლიძესათვის, ახლო ენახა ჭადრაკის კორიფეები – ე. ლასკერი და ხ.რ. კაპაბლანკა, ცნობილი დიდოსტატები სალო ფლორი, გედეონ შტალბერგი, მიხეილ ბოტვინიკი და სხვები.

– პაოლო დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალს ჩემს თამაშს, – ამბობდა ვიქტორ გოგლიძე. – მამხნევებდა, წარმატების რწმენას მინერგავდა. მან ძალიან გაიხარა, როცა კაპაბლანკასთან ყაიმს მივაღწიე.

ჭადრაკის დიდ ტრფიალს განუხორციელებელ ოცნებად დარჩა თბილისში დიდი საერთაშორისო ტურნირის, სსრ კავშირის ჩემპიონატის მოწყობა კორიფეთა მონაწილეობით. მართალია, 1937 წელს ჩვენს დედაქალაქში ჩატარდა სსრ კავშირის X ჩემპიონატი, მაგრამ პაოლო იაშვილი უკვე აღარ იყო. იგი შეეწირა ავბედით რეპრესიებს.

ლევან გოთუა

(1905-1973 წწ.)

1971 წლის გაზაფხულზე ნონა გაფრინდაშვილი საქართველოს უმაღლესი საბჭოთა დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს. ეს იყო პირველი შემთხვევა საბჭოთა სპორტის ისტორიაში, როცა სპორტსმენს ქვეყნის უმაღლეს ორგანოში ირჩევდნენ. ყველას აინტერესებდა ჭადრაკის დედოფალთან შეხვედრა. ნონას შეხვედრა ამომრჩევლებთან საქართველოს კომპარტიის ცკ-ას გამომცემლობის კლუბში გაიმართა. დარბაზში ტევა არ იყო. ხალხში თვალი მოვკარი სახელოვან მწერალს ლევან გოთუას. ვიცოდი, რომ იგი ნონას თავგამოდებული ქომაგი იყო და შეხვედრაზე მისი მოსვლა არ გამკვირვებია.

ლევან გოთუა მშვიდად და ყურადღებით უსმენდა გამოსვლებს, განსაკუთრებული ინტერესით უგდებდა ყურს ნონას, როცა იგი შეკითხვებზე პასუხობდა.

ბატონ ლევანს, როგორც მოაზროვნე კაცს, თავისი შეხედულება ჰქონდა ჭადრაკზე. მას ღრმად ესმოდა ძველი თამაშის არსი, ღირსება და მიმზიდველობის ძალა. არ უკვირდა ჭადრაკის ფართო გავრცელება.

ჭადრაკი მან ახალგაზრდობაში დააჭაშნიკა. გატაცებული იყო კაპაბლანკა — ალიოხინის ამაღელვებელი ორთაბრძოლის პერიპეტიებით. თავადაც კარგად თამაშობდა. ბევრჯერ უნახავთ იგი ჭადრაკის თამაშით გართული მწერალთა კავშირის ბაღში, სადაც მეტოქეებად ყავდა თავისი კოლეგები. ლევანი ადვილად დასაძლევი მოჭადრაკე არ იყო. იგი ჭადრაკის ისტორიის საკითხებშიც ერკვეოდა. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ ზოგჯერ პრესაშიც გამოთქვამდა აზრს დიდ საჭადრაკო მოვლენებზე, მოჭადრაკეთა თამაშზე. მახსოვს მან გაზეთ "ლიტერატურულ საქართველოში" სპასკი — ფიშერის მატჩის თავისებური მიმოხილვა დაბეჭდა.

...შეხვედრა რომ დამთავრდა, ნონამ იქვე, ფოიეში, ერთდროული თამაშის სეანსი გამართა. თამაშის მსურველი ბევრი აღმოჩნდა.

— ბატონო ლევან, თამაშს არ აპირებთ? — ვკითხე, როცა დავინახე, რომ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორს, ცნობილ მომღერალს დიმიტრი მჭედლიძეს დაუდგა უკან საქომაგოდ. პასუხად მხოლოდ გამიღიმა. რატომ არ ინება თამაში მოგვიანებით შევიტყვე. გაზეთ "სოფლის ცხოვრებაში" (14 მაისი, 1971 წ.) იგი წერდა:

"... როდესაც ისტორიულ დრამებსა და რომანებს ვწერ, თითქოს ძველად ნამყოფ, აღმდგარ, დიდებულ ჩრდილებს ვეთამაშები ჭადრაკს.

ჩემს წაგებულ თუ მოგებულ ხელზე არას ვიტყვი. ეს მკითხველის საქმეა... მე კი – ძველ მოჭადრაკეს მრავალ მეფე-დედოფალთან "მითამაშია" ... მაგრამ ერთ, ცოცხალ, ახალგაზრდა დედოფალთან... დიახ, გვირგვინოსანთან, ვერ გავბედე თამაში".

მერე ლევან გოთუა აღწერს ერთდროული თამაშის სეანსს.

"ნონამ თვალი მოავლო" ბრძოლის ველს". მე გადავთვალე... ოცდახუთი მამაკაცი იყო. მათ შორის პირველთანრიგოსნებიც შევნიშნე. მებევრა. იმანაც დამაეჭვა, რომ არც ერთი ქალი არ იყო. ოცდახუთი და ერთი! დაეჭვებულად შევხედე ნონას. მიმიხვდა. ღიმილით მიპასუხა:

– ხომ არ გაიხსენებთ ახალგაზრდობას?.. გთხოვთ, მეტად მეამება!

ახლა მემცხეთა. მას ეცოტავა კიდეც... არც "მამკაცების ჩასაფრება" არ ჩაუგდია რამედ, მუდამ მაღალ ჩახმახზე შემდგარს!

თავი ჩავხარე. ჭაღარა მოჭადრაკეები ხშირად "გაბუტებულ მეფეებს" ვგავართ... არა, ნონა! არ ვითამაშებ... უმჯობესია... მერმე იხტიბარი არ გავიტეხე და დავძინე, – რომ წავაგო – მეწყინება! ასეთია ადამიანის ბუნება! რომ მოვიგო – ეს უფრო მეწყინება!.. არა, უმჯობესია, არა!

ნონამ გულიანად გაიცინა და საბრძოლო ალყის შუაგულში ჩადგა".

..."მალე სულ ჩაიცხრილა ალყა. ჩახლართულ ბრძოლას ყველა დაფაზე ნონას თეთრი მხედრები და ეტლები განაგებდნენ... ცხენის ჭენება ალბათ თავიდანვე ეხერხებოდა ნონას. მალე პირწმინდად ჩათავდა ბრძოლა.

ჩემათ მეამა, რომ მე – "ძველი მოჭადრაკე" აშკარა წაგებას გადავურჩი. ნონასთვის კი ეს "ვაჟკაცური სეანსი" ჩვეულებრივი გამარჯვება იყო".

ჩვენი ისტორიის საუკეთესო მცოდნე ლევან გოთუა ამბობდა, რომ "საქართველოში ჭადრაკი ისევე ძველია, როგორც მწიგნობრობა და სამხედრო წრთობა. მაგრამ ჩვენში ჭადრაკს არასოდეს ჰქონია ისეთი გატაცება, როგორც უკანასკნელ ნახევარ საუკუნეში. (იგულისხმება XX საუკუნის 20-70-იანი წლები. – თ. გ.). ახლა ამ სულიერი კულტურის დარგში გვყვანან ოსტატები, საერთაშორისო ოსტატები და დიდოსტატებიც".

ნონამ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მეოთხედ რომ მოიპოვა, ლევან გოთუამ მას მიუძღვნა წერილი "ხოხბის ფრთაზე იყოს გადახატული!" იგი მწერლის გარდაცვალების შემდეგ მის არქივში აღმოჩნდა. გთავაზობთ ამ წერილის ერთ ფრაგმენტს:

"... მანდილიან გვირგვინოსნის

ბედი უკვე გადაწყდა... ჩვენ მოწმენი გავხდით ქალთა შორის დიდი, საჭადრაკო "ომისა"! მსოფლიო დედოფალმა ნონა გაფრინდაშვილმა რიგაშიც რიგიანად გაარიგა საქმე...

მსოფლიო პირველობის უმაღლესი წოდება ჭადრაკში მეტად საპატიოა და რჩეულთ შორის რჩეულია!

ახლა მსოფლიოს მოაზროვნე ნაწილს რომ შეეკითხოთ – რომელია კაცობრიობის სარბიელზე ყველაზე ადამიანური, ყველაზე გაღრმავებული და ყველაზე ამაღლებული თამაში? დიდი უმრავლესობა ჭადრაკს დაასახელებს.

ეს სამთაგანი კვანძი – თამაშისა, ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის გვესახება იმ ჩაფიქრებულ ღიმილად, რომელიც კაცობრიობას ადამიანობას ჰმატებს!

ასეთ "მსოფლიო თამაშს" XX საუკუნის საქართველოში აღმოაჩნდა ყველას მიერ აღიარებული დედოფალი. მის შუბლს კარგა ხანია ჭადრაკის გვირგვინი ამკობს.

გორგასლის მიერ ხოხბის ფრთასა და თარგზე დასახულ სატახტო ქალაქს, ჩვენს საუკუნეში, მოგეხსენებათ, კიდევ ერთი შავ-თეთრი უჯრებიანი ტახტი შეემატა.

ჩვენი დედაქალაქი საჭადრაკო მსოფლიოს სატახტო ქალაქიც გახლავთ... და თითქოს კვლავ აფრინდა ტფილისს ხოხობი... გვარადაც ხომ გაფრინდაშვილია ჩვენი ნონა! ქართული მატიანის მანდილოსნების შესანიშნავ საკრებულოს ჩვენს დროშიც შეემატა ყოველმხრივ ღირსეული მანდილოსანი. ნონა ფაქიზი, მოსიყვარულე დედა და მეუღლე გახლავთ. ოჯახის "ეტლი" და ბურჯი! მაგრამ თავის ასპარეზზე იგი კვლავ შეუპოვარი დარჩა. ამ "ჭადრაკის ამორძალის", ბობოქარი, შემართებული სტილის თამაშში ვინ უწყის წინაპართა რამდენი ტკივილი და სიხარული, ნიჭი და სიმტკიცე, ბრძოლის უნარი და შემოქმედური აზროვნების სიღრმე ერთად შეკრიბა და თავი იჩინა! და ვაშა მას, რომ სამშობლოს მიერ უხვად მომადლებული ნიჭი უფრო აამაღლა, ასახელოვნა და საკაცობრიობო ასპარეზზე გატანილი აქვს.

ჩვენ შედარებით მცირერიცხოვანი ერი ვართ და თითოეულ ასეთ გამარჯვებას თითოეული ჩვენთაგანის საკუთრივ გამარჯვებად განვიცდით!

– ვუსურვოთ, რომ მისი გვირგვინი და ტახტი დიდხანს, დიდხანს ყოფილიყოს გორგასლისა და თამარის ქალაქში, ხოხბის ფრთაზე გადახატული".

ნოდარ დუმბაძე

(1928-1986 წწ.)

1982 წლის 23 დეკემბერს თბილისის აეროპორტში მასპინძლები დავხვდით იმდროინდელ მსოფლიო ჩემპიონს ანატოლი კარპოვს. იგი რამდენიმე დღით გვესტუმრა. იმავე "ტუ-154"-ით მოსკოვიდან ჩამოვიდნენ ქართველი მწერლები, რომელთა შორის ნოდარ დუმბაძეც იყო.

მისალმებისა და ურთიერთმოკითხვის დასასრულს ფოტორეპორტიორმა ვარლამ გენგიურმა სამახსოვრო სურათების გადასაღებად მიგვიწვია.

— მეც თქვენთან ერთად გადავიღებ, — თქვა ნოდარმა და ირაკლი აბაშიძესთან ერთად გვერდში ამოუდგა სტუმარს, რომელიც მანამდე გავიცანით. მერე ჩვეული იუმორით დასძინა: — იქნებ შევაშინო ჩემი მეტოქეები, ანატოლისთან რომ მნახავენ!

ნოდარ დუმბაძე ჭადრაკის ერთგული გულშემატკივარი იყო. ეს თამაში მას საუკეთესო გართობად მიაჩნდა. ამიტომაც უყვარდა ჭადრაკის დაფასთან ჯდომა. იგი არ დაუფლებია ჭადრაკის თეორიას, საკუთარი იდეებითაც კმაყოფილი იყო.

"ნიანგის" რედაქტორად რომ მუშაობდა, ნოდარ დუმბაძე ხელს არ უშლიდა რედაქციაში ტურნირების გამართვას, პირიქით, ზოგჯერ თავადაც მონაწილეობდა ამ შეჯიბრებაში. ტარდებოდა რედაქციის ჩემპიონატიც, მაგრამ, როგორც იმდროინდელი თანამშრომლები იხსენებენ, იგი არასოდეს დამთავრებულა. მაშინ მოდაში ჰქონდათ სვლის უკან დაბრუნება, რის გამოც იყო კინკლაობა, გაბუტვა და ტურის გაცდენა. მაგრამ მათი ლტოლვა ჭადრაკისადმი არასოდეს შენელებულა.

ნოდარ დუმბაძის მუდმივი პარტნიორი გახლდათ მისი სიყრმის მეგობარი, საქართველოს სახალხო მხატვარი ნოდარ მალაზონია. მათ შორის მრავალი "პრინციპული მატჩი" გამართულა.

აი, რა გაიხსენა ბატონმა ნოდარმა საჭადრაკო გაზეთ "მერანის" კორესპონდენტთან საუბარში:

— ერთი პერიოდი მე ნოდარი ღამით ტელეფონით ვთამაშობდით ჭადრაკს. ორივე მოყვარულის დონეზე ვიყავით და, ცხადია, არც საჭადრაკო ნოტაციისა გაგვეგებოდა რამე. დავურეკავდით ერთმანეთს ღამის ათ-თორმეტ საათზე, დავაწყობდით ფიგურებს და ვთამაშობდით შუაღამემდე. იცით, გაკეთებულ სვლებს როგორ ვაგებინებდით ერთმანეთს? — "მეფის წინა პაიკი რომაა

სურათზე: მარცხნიდან – ნოდარ დუმბაძე, ირაკლი ანჯაფარიძე, ანატოლი ტრაფეი, გიორგი ტაბიძე-შვილი, ლია ლომაძე, ხათა ბაფრინდაშვილი, ლილი წერეთელი, კიკელი მარტიანი და თენგიზ გიორგაძე.

ორი უკვრით წაწეული, იმის გვერდით, მარცხნივ მხედარი რომ დგას, ის აიყვანე ჩემი ტურით"... ხანდახან ყურმილში ორ-სამჯერ ვუმეორებდით ერთმანეთს სვლებს, ხომ იცით ჩვენი ტელეფონის ამბავი. ყველაფერ ამას დრო სჭირდება და ამიტომაც გვიანობამდე ვერ ვამთავრებდით პარტიას. თამაში საათობით გრძელდებოდა და ხშირად ჩხუბში და კინკლაობაში გადაიზრდებოდა ხოლმე. უპირატესობა ყოველთვის მინიმალური იყო. თითო-ოროლა ქულით ხან მე ვიყავი წინ, ხან ნოდარი, მაგრამ წარმოიდგინეთ, ესეც იმდენად მტკივნეული იყო, რომ მეორე დღეს რედაქციაში ვცდილობდით დიდხანს არ შევხვედროდით ერთმანეთს.

ერთხელ მაინ ასეთი შეხვედრა ახალი წლის ღამეს გამართულა და, როგორც შინაურები იგონებენ, მეტოქეებს თეთრად გაუთენებიათ.

– ჩვენს მიკრომატჩებში წაგებას ორივე ძალიან მტკივნეულად განვიცდიდით, რადგან ორივემ კარგად ვიცოდით, რომ გამარჯვებული მეორე დღეს ქვეყანას გააგებინებდა თავის წარმატებას. ამიტომ ორივენი ვცდილობდით ბოლომდე პრინციპულნი ვყოფილიყავით და ერთმანეთისათვის არავითარი შეღავათი არ მიგვეცა. – ჰყვებოდა ნოდარ მალაზონია.

ასეთი შეხვედრები ხშირად დავაკამათით მთავრდებოდა, მაგრამ ორივეს მალე მოულბებოდა ხოლმე გული და ძმაკაცები კვლავ გულითად მეგობრებად რჩებოდნენ.

– ერთხელაც, – გაიხსენა ღვაწლმოსილმა მხატვარმა, – როცა თანაბარი ანგარიში გვქონდა, ჩემი ბავშვობის მეგობარი შოთა ინწკირველი მესტუმრა. შევუთანხმდი მას და ნოდარს დავურეკე. დავიწყეთ თამაში. შოთას კი ვთხოვე დამხმარებოდა, რომ ლამაზად მომეგო პარტია. დებიუტმა ძალიან გააოცა ნოდარი. ცოტა ხანში დაფაზე მართლაც უჩვეულო პოზიცია შეიქმნა. მე, რა თქმა უნდა, არაფერი გამეგებოდა და შოთას გაკეთებულ სვლებს ჩვენს ენაზე რიხით ვიმეორებდი ყურმილში. სამჯერ სვლაც კი დავუბრუნე, თუმცა ძალიან არ მინდოდა. შოთამ დამარწმუნა, რომ დუმბაძის მეფეს მეოცე სვლაზე გამოუვალი შამათი ელოდა და დავთანხმდი. როცა პარტია დამთავრდა, რამდენჯერმე ჩავყვირე ყურმილში მატია-მეთქი. ნოდარმა ყურმილი დამიხეთქა. თავიდან ნოდარს ვერ შევურიგდი. ამაოდ ვრეკავდი. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემი ტელეფონი აწკრიალდა. "შენ, ბიძია, იცი რას გეტყვი? უნიჭო სურათებს რომ ხატავ, ფული დახატე, ის გირჩევნია, და ჩემი ვალი გადაიხადე", გამეხუმრა ნოდარი და ისევ დამიკიდა ყურმილი, მაგრამ ეს უკვე შერიგების ნიშანი იყო.

აი, ეს პარტია, რომელიც რამდენიმე წლის დავიწყების შემდეგ შოთა ინწკირველმა აღადგინა:

მალაზონია – დუმბაძე

თბილისი, 1963 წ.

1. e4 e6 2. d4 g6 3. h4 ♗g7 4. h5 g×h5 5. ♖×h5 ♘f6 6. ♖g5 ♖g8 7. e5 ♘d5 8. ♕g4 ♔f8 9. ♖×g7 ♖×g7 10. ♗h6 ♔e8 11. ♕×g7 d6 12. ♗g5 ♘e7 13. ♗e2 ♔d7 14. ♕×f7 b6 15. ♘c3 ♗b7 16. ♗g4 ♕e8 17. ♕×e6+ ♔d8 18. e×d6 c×d6 19. ♘d5 ♗×d5 20. ♕c8++.

ნოდარ დუმბაძე დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს საჭადრაკო ცხოვრებას. ამაყობდა ქართველი მოჭადრაკე ქალების მიღწევებით. მისი კერპი იყო ნონა გაფრინდაშვილი. ერთხელ "ნიანგში" შეხვედრაც მოუწყო სასიქადულო დიდოსტატს.

ალბათ ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ არც არის გასაკვირი, რომ ჭადრაკი ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაშიც გვხვდება. საკმარისია გავიხსენოთ მისი შესანიშნავი მოთხრობა "ასტვაც ინჩუ ჰამარ!"

ილია ვეკუა
(1907-1977 წწ.)

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ილია ვეკუას სიტყვით ჭადრაკი მას ბავშვობიდან იტაცებდა. მაგრამ ბრძნული თამაშით სერიოზულად მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტში დაინტერესდა, მას შემდეგ, რაც სტუდენტი გახდა. ეს იყო 1925 წელს. იმ წელიწადს მოეწყო მოსკოვის პირველი საერთაშორისო ტურნირი, რომლის მონაწილეთა შორის იყვნენ კორიფეები ე. ლასკერი და ხ.რ. კაპაბლანკა.

ახალგაზრდა პირველკურსელი ილია ვეკუაც ჩაება ქვეყანაში ტურნირს მოყოლილ საჭადრაკო ფერხულში, მონაწილეობდა საუნივერსიტეტო ტურნირებში.

საქმე იქამდე მისულა, ჭადრაკს ისე გაუტაცნია ნიჭიერი ჭაბუკი, რომ იგი არჩევანის წინაშე დამდგარა: მათემატიკა თუ ჭადრაკი?

– ერთხელ ტურნირში პარტია წავაგე და ორი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე. მაშინ დავფიქრდი: როცა ასე მწვავედ განიცდი მარცხს, დიდი მოჭადრაკე ვერ გახდები. ჩემთვის გადავწყვიტე: არ შეიძლება "გაფანტვა", რაკი თავი მეცნიერებას მინდა მივუძღვნა. ამ დროს განისაზღვრა კიდეც ჩემი გზა მეცნიერებაში, – იხსენებდა ილია ვეკუა.

ჭადრაკისათვის მას თავი არ დაუნებებია. "იმ დროიდან იშვიათად ვთამაშობ ჭადრაკს, მაგრამ, ბუნებრივია მაინტერესებს ყველაფერი, რაც ჭადრაკის სამყაროში ხდება".

სწორედ იმ დროიდან გამოჰყვა დიდ მათემატიკოსს ჭეშმარიტი მოჭადრაკისადმი გულწრფელი პატივისცემა. აღტაცებული ვარ იმ ადამიანებით, რომლებიც ღრმად ერკვევიან ამ ჭკვიანურ თამაშშიო, ამბობდა იგი.

მახსოვს მისი სიტყვები ჭადრაკის რთული ბუნების შესახებ.

– ჭადრაკის თამაშის დროს აზროვნების პროცესს, როგორც ცნობილია, ბევრი აქვს საერთო მეცნიერების, განსაკუთრებით მათემატიკოსების აზროვნების პროცესთან. ჭადრაკში, როგორც მეცნიერებაში, ადამიანს მოეთხოვება ძალების სრული მობილიზება, განუწყვეტელი ძიება, დაჟინებული სწრაფვა დასახული მიზნისაკენ.

დიდ მეცნიერსა და მამულიშვილს ახარებდა ქართველი მოჭადრაკე ქალების თვალსაჩინო წარმატებები. 1969 წელს, როცა ნონა გაფრინდაშვილმა მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, ილია ვეკუამ თავისი და თბილისის უნივერსიტეტის სახელით, მაშინ იგი ამ სასწავლებლის რექტორი იყო, მოსკოვში მიულოცა მას ეს გამარჯვება.

გიორგი ნიკოლაძე

(1888 - 1931 წწ.)

ცნობილი მათემატიკოსი და მეტალურგი, პროფესორი გიორგი ნიკოლაძე ქართული სპორტის დიდი მოამაგე იყო. მას იცნობდნენ როგორც მამაც ალპინისტს, ჩაუქ ტანმოვარჯიშეს, კარგ მოთხილამურეს, მოციგურავეს, ტურისტს, ბადროს მტყორცნელს...

გამოჩენილი მეცნიერი ჭადრაკის დიდი მოტრფიალე ყოფილა. თამაში ნათესავებისაგან უსწავლია. სახლში ბევრჯერ უნახავს მამამისის, ნიკო ნიკოლაძისა და ილია ჭავჭავაძის პაექრობა, მაგრამ მაშინ ძალიან პატარა იყო და, ცხადია, ჭადრაკის სიბრძნისა არაფერი გაეგებოდა.

გიორგი ჭადრაკით სერიოზულად დაინტერესებულა პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში სწავლის წლებში. ამაზე მეტყველებს საოჯახო არქივში შემონახული მისი რვეული, რომელსაც რუსულად აწერია: "ჭადრაკი. პეტერბურგი. 1908-1909 წწ. გ.ნ. ნიკოლაძე".

რვეულში შეტანილია იმ წლებში მეგობრებთან გამართულ ასპარეზობათა ცხრილები და პარტიები. საინტერესოა, რომ გიორგი შეხვედრებს ჩვეულებრივი წესით კი არ აღნუსხავდა, არამედ მატარებლის მოძრაობის გრაფიკის მიმსგავსებით.

მისი მუდმივი პარტნიორები ყოფილან თბილისელი ამხანაგები ბესიკ ჭიჭინაძე, ვალოდია ტორჩინი, კოკი კიზირია და არსენ მანუჩაროვი, რომლებიც პეტერბურგის სხვადასხვა ინსტიტუტში სწავლობდნენ.

გიორგი თურმე მხოლოდ თავის მამიდაშვილს ბესიკს (ეს ბესიკი არის ცნობილი ქართველი ინჟინერი, ზაჰესის მშენებელი ბესარიონ ჭიჭინაძე, რომელიც დაიღუპა 1937 წელს) ეთამაშებოდა თანაბარი ძალებით, დანარჩენებს კი ფორად რომელიმე ფიგურას აძლევდა.

ბესიკ ჭიჭინაძე და გიორგი ძველი მეტოქენი იყვნენ. ისინი ადრე მამისეულ სახლში, დიდ ჯიხაიშში ასპარეზობდნენ. არსებობს ამის ამსახველი ფოტოსურათი. მათი მატჩები პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგაც არ შეწყვეტილა.

გიორგი არ კმაყოფილდებოდა ამხანაგებთან თამაშით. გულმოდგინედ სწავლობდა თეორიას, თვალს ადევნებდა შეჯიბრებებს. მაგალითად, 1909 წელს პეტერბურგში რამდენჯერმე დასწრებია მ. ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილ დიდ

საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიო ჩემპიონი ე.ლასკერი, კ.შლეხტერი, ა.რუბინშტეინი, ო.დურასი და სხვ.

ზაფხულის არდადეგებზე გიორგი შინ, დიდ ჯიხაიშში ჩამოდიოდა. არც აქ ივიწყებდა ჭადრაკს. იმის დროსაც კი პოულობდა, რომ თანასოფლელებისათვის ესწავლებინა თამაში.

– 1912 წლის ზაფხულში გიორგი დიდ ჯიხაიშში იყო, – იგონებს მისი მეგობარი, გამოჩენილი მეტალურგი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, სტალინის პრემიის ლაურეატი ირაკლი ლორთქიფანიძე. – მისით მოხიბლული 17 წლის ჭაბუკი მუდამ მასთან ვიყავი. ტანვარჯიშში მწვრთნიდა. ერთხელ მითხრა: – მოდი ჭადრაკი გეთამაშო დაფაზე დაუხედავადო. ჭადრაკის დაფასთან დამსვა, თვითონ კი ტახტზე წამოწვა. სვლებს ნოტაციით მკარნახობდა. ჩემი გაოცება უსაზღვრო იყო – როგორ იმახსოვრებს-მეთქი ყველა სვლას. ულვაშზე ხელს ისვამდა, რაც საერთოდ ფიქრის დროს ჩვეულებად ჰქონდა, და "უთვალოდ" მეასპარეზებოდა... ყველა პარტია გიორგის გამარჯვებით დასრულდა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გიორგი დონბასის მეტალურგიულ ქარხნებში მუშაობდა. არც აქ ავიწყდებოდა ტანვარჯიში, ლექსების წერა და ჭადრაკი.

– იუზოვკაში მცხოვრები გიორგი, – ამბობს ირაკლი ლორთქიფანიძე, – მონაწილეობდა მიწერ-მოწერით საჭადრაკო ტურნირებში, რომლის მსგავსი ამ დროს რუსეთში ბევრი იმართებოდა. მას ყოველ დღე ორი-სამი წერილი მოსდიოდა.

გიორგის ძალიან უყვარდა ჭადრაკის კომპლექტი, რომელიც ბიძამ, პროფესორმა პლატონ ხელთუფლიშვილმა აჩუქა. ეს ჭადრაკი ალპინისტურ ლაშქრობაშიც დაჰქონდა.

მათემატიკის ინსტიტუტში გიორგის ყველაზე დიდი "მოქიშპე" იყო სახელოვანი ქართველი მათემატიკოსი ანდრია რაზმაძე. მიუხედავად იმისა, რომ ანდრიას არ უყვარდა წაგება, გიორგის არაერთი "პრინციპული" მატჩი მოუგია.

ერთხელ, როცა თამაშს ესწრებოდნენ ნიკო მუსხელიშვილი და არჩილ ხარაძე, ანდრიას უთხოვია: ნუ მომიგებ, ნუ შემარცხვენო. გიორგიც შეპირებია – თხოვნას აგისრულებო. პარტია დიდხანს გაგრძელებულა და გიორგის ადვილად მოსაგები პოზიცია მიუღია. ცხადია, ასეთ ვითარებაში დანანებია პარტიის დათმობა და გამოსავალი უპოვია: ბოდიში მოუხდია – წუთით დაგტოვებთო და... აღარ დაბრუნებულა.

1926 წელს თბილისში საგასტროლოდ იყო გამოჩენილი იუგოსლავიელი დიდოსტატი ბორა კოს-

ტიჩი. სტუმარმა არმიისა და ფლოტის კლუბში 30 დაფაზე ერთდროული თამაშის სეანსი გამართა.

— ჩემს გკერდით ძოხვდა გიორგი ნიკოლაძე, — გაიხსენა ეს ამბავი ვიქტორ გოვლიძემ. — დიდოსტატის მორიგი სვლის ძოლოდინში მეგობრულად შესაუბრა, მოიწონა ჩემი გადაწყვეტილება — საჭადრაკო ხელოვნებას მინდა დავეუფლო-მეთქი, და მითხრა: ნიჭიერმა ახალგაზრდებმა უნდა განადიდოთ ქართული ჭადრაკი. ეს თქვენი მოვალეობაა სამშობლოს წინაშე.

ამ დღეს მხოლოდ გიორგიმ და ვ. გოგლიძემ მოუგეს დიდოსტატს. 10 პარტია ყაიმით დამთავრდა.

გიორგისთან შინ ხშირად იკრიბებოდნენ ჭადრაკის მოყვარული ახალგაზრდები, ძირითადად მისი სტუდენტები.

— თუ არ ვცდები, 1929 წელს გიორგი ნიკოლაძემ თავის ბინაზე შინაური ტურნირი მოაწყო, — წერს თავის მოგონებებში ვახტანგ ერისთავი. — მაშინ გიორგი და მე ერთ სახლში ვცხოვრობდით. მისი ოთახის ფანჯარა ჩემს აივანს დაჰყურებდა. და აი, იმ ფანჯრიდან გადმომძახა: "ბატონო ვახტანგ, გთხოვთ ჩემთან ამობრძანდეთ!" ოთახში ათიოდე ახალგაზრდა დამხვდა, მეტწილად მისი სტუდენტები, გამონაკლისს შეადგენდნენ არჩილ ებრალიძე, მაშინ მგონი სამხატვრო აკადემიის სტუდენტი და მ.სიდამონერისთავი, იუსტიციის სამინისტროს მუშაკი. "პატარა შეჯიბრებას ვაწყობთ, — მითხრა მასპინძელმა, — ხომ არ ინებებთ მონაწილეობის მიღებას?" სიამოვნებით დავთანხმდი. თვითონ გიორგი არ თამაშობდა — ტურნირის ხელმძღვანელის როლს ასრულებდა. პირველი ადგილი მე დავიკავე, მეორე — არჩილ ებრალიძემ.

1926 — 1928 წლებში გიორგი საზღვარგარეთ იმყოფებოდა. სორბონის უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ ველოსიპედით შემოიარა საფრანგეთი, გაეცნო მეტალურგიულ ქარხნებს. როცა ფრანგმა მეტალურგებმა გაიგეს, რომ ახალგაზრდა დოქტორი გატაცებული იყო ჭადრაკით, საგანგებოდ სილიკატისაგან ფიგურები და დაფა ჩამოასხეს და საჩუქრად მიართვეს. მერე, როცა ნარკვევი დავწერე გიორგი ნიკოლაძეზე (იხ. ჩემი წიგნი "ჭადრაკს გამიჯნურებულნი", 1969 წ.), მ[illegible]ა დამ, პროფესორმა რუსუდან ნიკოლაძემ ეს ჭადრაკი მე მისახსოვრა.

— როცა გიორგი ჩვენს სოფელ სასირეთში ჩამოდიოდა, ჭადრაკს ვთამაშობდით, — ამბობს აკადემიკოსი კოტე ბაქრაძე. — 1930 წელს გიორგის თან ჩამოყვა მისი მეუღლე ჟორჟეტა ლამბაშიძე. მრავალ გართობას შორის თავისი საპატიო ადგილი, რასაკვირველია, ჭადრაკსაც

თამაშობენ გ. ნიკოლაძე (მარჯვნივ) და კ. ბაქრაძე
(სოფ. სასირეთი, კასპის რაიონი, 1930 წ.)

ეკავა. იმ სტუმრობის სამახსოვროდ ფოტოსურათები გადავიღეთ.

გიორგი ნიკოლაძის შეხედულებით, ჭადრაკი და გეომეტრია ერთმანეთს ენათესავება, რადგან, პირველ რიგში, ორივეს სივრცითი აზროვნების უნარი სჭირდებაო.

გიორგი ნიკოლაძეს საუცხოო საჭადრაკო წიგნები ჰქონდა. თამაშს ამ წიგნებით სწავლობდა. მაგალითად, ე.ლასკერის "საღი აზრი ჭადრაკის თამაშში" ორჯერ ჰქონდა წაკითხული. წიგნის არეებზე არის მისი კრიტიკული შენიშვნები. გულდასმით ჰქონდა დამუშავებული ე.შიფერსის ცნობილი სახელმძღვანელო, რომელზეც არაერთი ათეული რუსი მოჭადრაკე აღზრდილა.

წიგნების გარდა გიორგი სისტემატურად კითხულობდა საჭადრაკო ჟურნალებს, რომლებიც საუკუნის დასაწყისში და შემდგომ გამოდიოდა.

გიორგი ახვლედიანი

(1887 - 1973 წწ.)

ბევრჯერ შევხვედრივარ იბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელს, აკადემიკოს გიორგი ახვლედიანს. ერთხელ მან მითხრა:

— ყველამ ვიცით, რომ ჭადრაკი კაცობრიობის უძველესი თამაშია, მაგრამ დავფიქრებულვართ კი: რატომ შემორჩა მას მიმზიდველობის ძალა? ჩემი აზრით, როგორც ცხოვრებაში, ჭადრაკშიც გამარჯვება მოაქვს ბრძოლას. სწორედ ბრძოლის შესაძლებლობა აძლევს ჭადრაკს კაცის გულის მონადირების ძალას.

ჭადრაკის თამაში მისთვის უსწავლებია ბებიას, რაჭა-ლეჩხუმში ცნობილ მოჭადრაკეს სოფელ დერჩიდან, ფოტინე ჩიქოვანი-ასათიანს, რომელსაც მზითევში ჭადრაკიც მოჰყოლია. ბატონი გიორგი ამბობდა: "ჭკვიანი მოხუცი იყო, ბევრი იცოდა, ბევრს კითხულობდა. ჭადრაკს არა მარტო ახლობლებს, სოფლის ბავშვებსაც ასწავლიდა".

ჭადრაკისადმი სიყვარული გიორგი ახვლედიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა. მეცნიერებით გატაცებულს თამაშისთვის დრო თითქმის არასოდეს რჩებოდა.

— პირველი მსოფლიო ომის დროს ხარკოვში ციხეში ჩამსვეს, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო. სწორედ აქ გამახსენდა ბებია ფოტინეს ნასწავლი ჭადრაკი. პურის გულისგან გამოვძერწე ფიგურები, ქაღალდზე დავხატე დაფა და თამაშიც გაჩაღდა. დროც მალე გადიოდა, — მიამბობდა ბატონი გიორგი.

მართალია, იგი მერეც ვერ იცლიდა ჭადრაკისათვის, მაგრამ არა ერთხელ შეხვედრია დაფასთან თავის უნივერსიტეტელ კოლეგა-პროფესორებს აკაკი შანიძეს, ანდრია რაზმაძეს, ალექსანდრე ჯანელიძეს და გიორგი ნიკოლაძეს.

ბატონ გიორგის სიძე (დის ქმარი), გამოჩენილი ქართველი ქიმიკოსი, პროფესორი მიხეილ შალამბერიძე (1885-1958 წწ.) დიდად იყო დაინტერესებული ჭადრაკით. ბრძენთა თამაში მან ლაიფციგში, სტუდენტობისას შეიყვარა და ბოლომდე დარჩა მისი ერთგული. 50-იან წლებში ბატონი მიხეილი გაიტაცა ჭადრაკის ქართული ტერმინების წარმოშობის საკითხმა. მოიძია და ღრმად შეისწავლა სათანადო ლიტერატურა. ბროშურაც დაწერა, რომელიც, სამწუხაროდ, გამოუქვეყნებელი დარჩა. ახლა იგი ჩემთან ინახება.

ერთხელაც ბატონ გიორგის ვუამბე იმ დროისათვის უკვე გარდაცვლილ მიხეილ შალამბერიძის გამოკვლევის შესახებ.

— არაფერი მსმენია ამის თაობაზე. მართლა საყურადღებოა მისი აზრები? — იკითხა ბატონმა გიორგიმ. მეც მოკლედ გავაცანი მთავარი.

ცნობილია, რომ ჭადრაკი სამ-

ხედრო თამაშის მოდელია. ამიტომ ყველა ქვეყანაში, სადაც ჭადრაკი გავრცელდა, ფიგურებს თავიანთი ჯარის სახეობების შესაბამისი ტერმინები მოუძებნეს. მაგრამ ჩვენს გარდა კუს ვერსად შეხვდებით. ბატონი მიხეილის აზრით, ქართველებმა კუ შეარქვეს ფიგურას მათ სპაში არსებული ციხე-კოშკების კედლების სანგრევი მანქანის აღსანიშნავად. საქმე ისაა, რომ ეს მანქანა ზემოდან დახედვისას ნამდვილ კუს მოგაგონებდა. სანგრევი მორი ისე გამოყოფდა თავს საფარიდან, როგორც კუ თავისი ბაკნიდან. არანაკლებ საინტერესოა ბატონ მიხეილის აზრი, რაშიც აკაკი შანიძეც ეთანხმება, რომ ტერმინი ქიში წარმოიშვა სიტყვა აქშიდან, ფრინველის დასაფრთხობად რომ დაიძახებდნენ. ჭადრაკში ამით მეფისადმი მუქარას აღნიშნავენ.

— ეს მართლაც საინტერესოა, — თქვა ბატონმა გიორგიმ და მცირე დუმილის შემდეგ გაიხსენა:

— ერთხელ მეც დავინტერესდი: საიდან გაჩნდა სიტყვა ჭადრაკი? ჩემი აზრით, იგი ჩატურანგადან მოდის. ყამთასვლაში ამ სიტყვამ სახე იცვალა. ასეთი რამ ხდება ფილოლოგიაში.

ამ საუბარში კიდევ ერთხელ ვიგრძენი, რომ აუცილებელია ქართული ჭადრაკის მდიდარი წარსულის, კერძოდ ტერმინების კვლევა-ძიება.

— ახლა ჭადრაკს თითქმის არ ვთამაშობ, — ამბობდა ბატონი გიორგი 60-იან წლებში, — წლებმა თავისი გაიტანა. ჭადრაკი სწრაფად მლლის. სამაგიეროდ, გულშემატკივრობას ვუმატე — სისტემატურად თვალს ვადევნებ ჭადრაკის ახალ ამბებს. ნონა გაფრინდაშვილის თავგამოდებული ქომაგი ვარ.

გიორგი ახვლედიანმა 1962 წელს მოსკოვში დეპეშით მიულოცა ნონას მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. მერე უსახსოვრა მას ჭადრაკის სამშობლოდან ჩამოტანილი ინდოელთა ღმერთის — ბუდას ძვირფასი გამოსახულება.

1973 წლის 9 მაისს თბილისის ჭადრაკის სასახლეში დიდი ზეიმი იყო. სწორედ იმ დღეს ვერეს (ძველად კიროვის სახელობის) პარკში, სადაც ბატონი გიორგი ჩვეულებრივ ისვენებდა, მას 12 წლის მაია ჩიბურდანიძე გავაცანი.

— რა კარგი გოგონა ყოფილხარ, გავიხარე შენი გაცნობით, — თქვა ბატონმა გიორგიმ და მისებურად მიუალერსა მაიას. გამოკითხა სწავლის, ოჯახის ამბები. ბოლოს დასძინა:

— მაია ნამდვილი მოჭადრაკე იქნება: ძლიერი, ნონასავით მარჯვე.

გამოთხოვებისას გიორგი ახვლედიანმა ღიმილით უთხრა მაიას:

— გული მეუბნება, დიდი მომავალი გაქვს!

გუმანმა არც ჭადრაკში უმტყუნა დიდ მეცნიერს, მაგრამ იგი ვერ მოესწრო მაიას გადედოფლებას.

აკაკი შანიძე

(1887-1987 წწ.)

ერთხელ (1963 წლის 9 თებერვალს) სტუმრად გახლდით აკადემიკოს გიორგი ახვლედიანთან, როცა მას აკაკი შანიძემ მოაკითხა. ჩვენს საამაყო მეცნიერებს ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდათ, ისინი თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. თუ პირადად ვერა, ტელეფონით მაინც მოიკითხავდნენ ერთმანეთს.

— გიორგი, ერთი სათხოვარი მაქვს, — უთხრა ბატონმა აკაკიმ მეგობარს. — თუ შეიძლება სტუმართან ჭადრაკი მათამაშე. მინდა ვიცოდე, რა ძალა მაქვს. სხვათა შორის, ოსტატმა მიხეილ შიშოვმა, რომელსაც შემთხვევით შევხვდი, მითხრა, კარგი მეორეთანრიგოსანი ხარო.

გიორგიმ ყურადღებით მოუსმინა მეგობარს და ბოლოს გაკვირვებულმა ჰკითხა:

— აკაკი, შენ მართლა გინდა პაექრობა?

— ნამდვილად ასეა, ჩემო გიორგი. რაც მთავარია, მსაჯი შენ იქნები. ახლა ნულარ ვაყოვნებთ, წამოდით ჩემთანო.

მეტი რა გზა ჰქონდა ბატონ გიორგის — ჩაიცვა პალტო, მოიმარჯვა ხელჯოხი და გზას გავუდექით.

— რომ გკითხონ, "ვეფხისტყაოსანზე" მუშაობისთვის არ გყოფნის დრო... არავინ დაიჯერებს, რომ აკაკი შანიძე ჭადრაკს უთმობს საათებს.

— ხანდახან დაუჯერებელიც უნდა დაიჯეროო... ბოლოს და ბოლოს შესაძლებლობა მომეცა გამოვცადო ჩემი "თანრიგოსნობა" და არ ვისარგებლო შემთხვევით? — გაეცინა ბატონ აკაკის.

შევედით წიგნებით და ხელნაწერებით, კატალოგებითა და ჟურნალ-გაზეთებით სავსე კაბინეტში.

— დაბრძანდით სტუმრებო, — მიგვიპატიჟა მასპინძელმა და პატარა მაგიდიდან წიგნები აიღო. — ეს არის ჩემი საჭადრაკო მაგიდა.

— ეს მაგიდა და ჭადრაკი როდის შეიძინეთ? — ვკითხე ბატონ აკაკის.

— 1925 წელს ვიყიდე. მოგწონთ?

მაგიდა კოხტა იყო, ჭადრაკის ფიგურები კი — სტაუნტონის სტილისა. მერე, 1972 წელს აკაკი შანიძემ ეს ჭადრაკი ნონას უსახსოვრა, ამის თაობაზე მან ქვეყანას აუწყა ტელევიზიით, როცა ნონას მეოთხედ გადედოფლება მიულოცა.

გავშალეთ ჭადრაკი და თამაში დავიწყეთ.

...ჭადრაკის თამაში აკაკი შანიძეს ქუთაისის გიმნაზიის პანსიონში უსწავლია. მაშინ პანსიონში ჭადრა-

თამაშობენ აკაკი შანიძე და თენგიზ გიორგაძე.
(თბილისი, 9 თებერვალი 1963 წ.). "მსაჯი" გიორგი ახვლედიანი

კი ნებადართული გასართობი ყოფილა და მოსწავლეებიც თავისუფალ დროს ერთობოდნენ თამაშით. მის მეტოქეთა შორის ყოფილან კლასის დამრიგებელი პლატონ წულუკიძე და თანაკლასელი ნიკო მახვილაძე, შემდგომში გამოჩენილი ექიმი და პროფესორი.

– ერთხელ, 1909 წელს, ფშავში, სოფელ ხორხში ვიყავი სტუმრად ბიძაჩემთან, ბესო შანიძესთან, – გაიხსენა ღვაწლმოსილმა მეცნიერმა. – იქ არავინ იცოდა ჭადრაკის თამაში, არც ჭადრაკი ჰქონდათ. ერთ ფშაველს ჩემი ესკიზების მიხედვით ხიდან გამოვათლევინე ფიგურები, მუყაოზე დავხატე ჭადრაკის უჯრები და შემდეგ ჩემს ბიძაშვილს იასონს ვასწავლე თამაში.

მერე აკაკი შანიძემ გაიხსენა:

– რევოლუციის შემდეგ თბილისში რომ დავსახლდი, უნივერსიტეტის დაარსებაც მოხერხდა. მაშინ ჭადრაკიც გამახსენდა. მითამაშია, მაგალითად, ანდრია რაზმაძესთან, ალექსანდრე ჯანელიძესთან, გიორგი ნიკოლაძესთან და სხვებთან.

1914 წელს აკაკი შანიძეს მოუნახულებია ძველი ქალაქი ანისი. ქალაქის ერთ-ერთ კარს თურმე "ჭადრაკის" რქმევია. იგი გვიამბობს: "მე ანისში ვიყავი 1914 წელს, აგვისტოში, როცა ნიკო მარი იქ გათხრებს აწარმოებდა (მან, სხვათა შორის, მშვენივრად გამოსცა იქაური ქართული წარწერა ეპიფანე კათალიკოზისა, 1218 წლით დათარიღებული). მე მაშინ ზლუდეც ვნახე და ის ჭადრაკის კარიც, რომელსაც ეს სახელი იმიტომ დაერქვა, რომ კარის თავზე

ჭადრაკის დიდაა გამოყენებული ფერადი ქვებით. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ ჭადრაკის თამაში სომხეთშიც ძალიან გავრცელებული ყოფილა ძველად".

იმ ჩემთვის ღირსსახსოვარ დღეს ბატონმა აკაკიმ თქვა:

— ჭადრაკის დიდასთან ძალიან ვერთობი. ზოგჯერ ასეთი "დროსტარება" 7-8 საათს გრძელდება...

—ადრე მეც ხალისით ვთამაშობდი. — სიტყვა ჩაურთო გიორგი ახვლედიანმა. — მაგრამ ვეღარ ვუძლებ დაძაბულობას. უკვე კარგა ხანია გულშემატკივრად ვიქეცი.

აკაკი შანიძე არ ჩამორჩენია მეგობარს ქომაგობაში. 1959 წელს თბილისში გამართულ საბჭოთა კავშირის ვაჟთა XXVI ჩემპიონატს იგი სპეციალური აბონემენტით ესწრებოდა.

— მინდოდა ახლოს გავცნობოდი დიდოსტატებს, მათ პარტიებს, — თქვა ბატონმა აკაკიმ. — ელისაბედ ბიკოვასთან ნონას მატჩის დროს პარტიის შედეგის გაგებამდე არ ვიძინებდი. ზოგჯერ კიროვის სახელობის პარკში წავსულვარ პარტიის გარჩევაზე დასასწრებად.

1968 წელს აკაკი შანიძე წერდა: "გივი შეყილაძეს ვუმადლი, რომ სახელგანთქმულ ჩემპიონ ქალებს შემაბა ჭადრაკში. ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა აღექსანდრიას. თუ ნონასთან ყაიმს მივაღწიე, ალბათ, იმიტომ, რომ ის მთელი ძალით არ თამაშობდა. ნანასთან რომ ვთამაშობდი, მცდარი ნაბიჯი გადავდგი, შეცდომა იმ წამსვე შევნიშნე და გნებდები-მეთქი ვუთხარი. მაგრამ მან არ ქნა: წასაგები პარტია არ გაქვთო, ის მცდარი სვლა დამიბრუნა და შემდეგ კი თამაში გათანაბრდა".

მართალია, აკაკი შანიძეს თეორიის სწავლისთვის არასოდეს მოუკიდია ხელი, მაგრამ მისი დიდი მოწონება დაუმსახურებია ოსტატ ა. ბლიუმელფელდის პატარა წიგნს "კომბინაციი ი ლოვუშკი", რომელიც შინ ჰქონდა, საკუთარ ბიბლიოთეკაში.

დიდი მეცნიერი ამბობდა: ჭადრაკში "ყველაფერი ცოდნაზეა დამოკიდებული. იცი, მოიგებ, ან არ წააგებ მაინც, ყაიმს მიაღწევ. ჭადრაკი გასართობია, მაგრამ გონების მწვრთნელი. იგი ხელს უწყობს გონების განვითარებას, წინასწარ განჭვრეტას, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამა თუ იმ ფიგურის გადასმას".

ჩვენი პაექრობა კარგა ხანს გაგრძელდა. რამდენიმე პარტია ვითამაშეთ. სამახსოვროდ ფოტოსურათიც გადავიღეთ.

— ძმაო აკაკი, შენ მართლა კარგი მოჭადრაკე ყოფილხარ, რაკი ამდენი ბრძოლის თავი გქონია, — შეაქო მეგობარი გიორგი ახვლედიანმა.

ჩვენს მასპინძელს სახეზე ეტყობოდა, რომ კმაყოფილი იყო თამაშითაც და შექებითაც. მერე სუფრაზე მიგვიწვია და ჭადრაკზე საუბარი იქ გავაგრძელეთ.

ნიკო კეცხოველი

(1897-1982 წწ.)

იმ დროს ვსწავლობდი თბილისის უნივერსიტეტში, როცა რექტორი ნიკო კეცხოველი იყო. უპირველესად მისი დამსახურებაა, რომ სტუდენტობის წლები საამოდ მოსაგონარი დაგვრჩა იმდროინდელ თაობას.

დიდ მეცნიერს სპორტის სიყვარული ძვალ-რბილ'ში ჰქონდა გამჯდარი. მისი თაოსნობით და ხელ'შეწყობით უნივერსიტეტში მუდამ ძალუმად ჩქეფდა სპორტული ცხოვრება.

ნიკო კეცხოველს ბავშვობიდან ყველაზე მეტად ჭიდაობა და მთამსვლელობა იტაცებდა. ანდა რა გასაკვირია, რომ ქართველ კაცს სპორტის ეს სახეობები გამორჩეულად უყვარდეს?

მაგრამ ბატონ ნიკოს ჭადრაკის საიდუმლოებაც არ ასვენებდა. მოხიბლული იყო ამ უძველესი თამაშის სიბრძნით. მუდამ ინტერესით ადევნებდა თვალს საჭადრაკო ცხოვრებას, ცდილობდა უნივერსიტეტშიც დაემკვიდრებინა ჭადრაკი. ამიტომ გაგვიხსნა კიდეც პატარა საჭადრაკო კლუბი. საუნივერსიტეტო სპარტაკიადის პროგრამაში თავად შეიტანა ჭადრაკი. პირადად გვიცნობდა ყველა სტუდენტ-მოჭადრაკეს.

ნიკო კეცხოველი დიდად გახარებული იყო საქართველოს მოჭადრაკეების მიღწევებით. განსაკუთრებით ამაყობდა ნონა გაფრინდაშვილის ჩემპიონობით.

ერთხელ ბატონმა ნიკომ მიამბო:

— ბავშვობაში ანტიკვარულ მაღაზიაში ლამაზად გამოხარატებული ჭადრაკი ვნახე. ძალიან მომეწონა. მისი დასაკუთრება ოცნებად გადამექცა... მაგრამ ვაი, რომ ძალიან ძვირი ღირდა. გადიოდა წლები. ის ჭადრაკი ხან გამოჩნდებოდა მაღაზიის ვიტრინაში, ხან გაუჩინარდებოდა... ჩემი ოცნების შესახებ ძველმა მეგობრებმა იცოდნენ. და აი, ამ რამდენიმე წლის წინათ მისახსოვრეს იგი. ძალიან გამეხარდა.

მერე ის ნანატრი, სპილოს ძვლის ჭადრაკი ნიკო კეცხოველმა ნონა გაფრინდაშვილს აჩუქა, როცა მან პირველად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

— ნუთუ არ დაგენანათ? — ვკითხე მე.

— ღირსეულისთვის არაფერი დაგენანება. ნონა სახელმოხვეჭილი ქართველი ქალია. მან განადიდა ჩვენი ქვეყანა.

ეს ძვირფასი ჭადრაკი ნიკო კეცხოველმა შვილიშვილებს ნიკოსა და მაკას გაატანა ნონასთან, საჩუქართან ერთად ასეთი წერილიც აახლა:

"ჩემი ძვირფასო ნონა! გაიხარე ცხოვრებაში ისე, როგორც ჩვენ ყველანი გავიხარეთ. ვარდი და ია ეფინოს შენს გზაზე მარად. შენს სიტყვაში თქვი: "ძველად ქართველები მზითვში ჭადრაკს ატანდნენო". რატომ დღესაც არ გავაკეთოთ ეს? ამიტომ გთხოვ, ეს ჭადრაკიც შენს "მზითვის წიგნში" შეიტანო.

მარად შენი პატივისმცემელი და მოსიყვარულე ნიკო კეცხოველი. 1962 წ."

1972 წელს, როცა ნონამ მესამედ დაამარცხა ალა კუშნირი მსოფლიო პირველობის მატჩში, ბატონ ნიკოს ვთხოვე დაეწერა შესავალი წერილი ჩემი ახალი წიგნისათვის — "დედოფალი ტახტიდან არ ჩამოდის". ესიამოვნა და დამპირდა, მაგრამ წერილი დაგვიანებით გადმომცა, წიგნი უკვე იბეჭდებოდა. ბოდიში მოვუხადე და ხელნაწერი შევინახე.

ახლა გთავაზობთ მას. წერილში ცხადად ჩანს, როგორი მამულიშვილი იყო ნიკო კეცხოველი, როგორ ეამაყებოდა ნონას წარმატება, როგორ აფასებდა ქართველი ქალის ღირსებას.

"აი რითაა ძვირფასი "დედოფალი ტახტიდან არ ჩამოდის", ან რად უნდა ჩამოვიდეს? მას შეუძლია თავისი ნებასურვილით გაათავისუფლოს იგი.

დღეს წესადაა დადგენილი, განსაკუთრებით სპორტსმენთა მიერ რეკორდების დამყარება. და თუ ჭადრაკი სპორტია და არა ხელოვნება, მით უმეტეს ჩვენს დედოფალს მართებს ორი რეკორდი მაინც დაამყაროს, თავის ვაჟკაცური თამაშით ვერა მენჩიკს გადააჭარბოს და სალაღობოდ ვამბობ: ნამდვილ დედოფალს, დედოფლობის ხანგრძლივობით ჩვენს თამარ დედოფალს აჯობოს, იგი ხომ თითქმის ოცდაათი წელიწადი დედოფლობდა და მერე როგორ დედოფლობდა!

ნონა ჩემთვის არის ისეთი ქალი, მანდილოსანი, რომელმაც ესტაფეტა მიიღო ჩვენი სახელოვანი ქალებისაგან, სამშობლოს სახელი რომ შორს გაიტანეს.

ქართველი ხალხი თავის განმანათლებლად სთვლის ნინოს, მისი ჯელაზე საყვარელი ქალია თამარ დედოფალი, ჯელაზე უდრეკი — ქეთევანი.

არის ლეგენდა, რომ მარაბდის ომში ცხრა ძმა ხერხეულიძეთა დედა, აბჯარ-ჩაჩქანში გამოწყობილი, შვილების გვერდით იბრძოდა. როცა მისი პირმშო მედროშე დაეცა, დროშა აიტაცა, არ დახარა და მეორეს გადასცა, ასე ბოლომდე, სანამ მეცხრეც არ დაეცა და მაშინ თვით აიღო დროშა...

ბევრი გვყავდა ქალი გმირი, მათი სახელი დღემდე უკვდავია.

თამარსა ვაშლოვანსა.

ვაშლი უდგია თავსაო,
რიგი შწიფს, რიგი ყვავილობს,
ამის სამარის კარსაო.

ხალხმა თავის გმირებს სამოთხე მიწაზევე დაუმკვიდრა.

როდესაც პატარა ნონამ იუგოსლავიის პატარა ქალაქში ქვეყანა აალაპარაკა და დედოფლობისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა, აი, მაშინ მიიღო ჩვენი სახელოვანი ქალებისგან ესტაფეტა და ეს დავალება ღირსეულად შეასრულა – ასახელა საბჭოეთი და თავისი ქვეყანა. მაშინ ყველა კითხულობდა: "სადაურია ეს პატარა გრძელგვარიანი გოგონა?"

და აი, თორმეტ წელზე მეტია საჭადრაკო მსოფლიოს თვალი მიპყრობილია დედოფლის რეზიდენციისკენ, საქართველოს დედაქალაქ თბილისისკენ.

დიდხანს ყოფილიყოს ასე და, როცა დრო მოვა, თვითონ გადასცეს ღირსეულს, ოღონდ ჩვენს მიწაწყალზე გაზრდილს კი.

ნიკო კეცხოველი. 10.IX.1973."

აღსრულდა ბატონ ნიკოს სურვილი: მაია ჩიბურდანიძემ სახელოვნად გააგრძელა ნონას ტრადიციები.

ნიკო კეცხოველს ბევრი რამ ჰქონდა მოსაგონარი ჭადრაკთან დაკავშირებით, ზოგი მათგანი თავის წიგნში "თოვლიან მთებში" (1967 წ.) შეიტანა.

აი, ერთი ამბავი, რომელიც ბატონმა ნიკომ გაიხსენა 1925 წელს იალბუზზე ექსპედიციაში მონაწილეობასთან დაკავშირებით. საბჭოთა მთამსვლელთა ამ ერთ-ერთ პირველ ლაშქრობას პროფესორი გიორგი ნიკოლაძე თავკაცობდა.

"ძლიერმა ქარბუქმა გვაიძულა დავბანაკებულიყავით ეგრეთ წოდებულ თერთმეტთა თავშესაფარში. გიორგიმ გვითხრა: რამდენიმე დღე არ გამოიდარებს, დროის მოსაკლავად საჭადრაკო ტურნირი ხომ არ გავმართოთ? გამარჯვებულს იალბუზზე ვეთამაშებიო. წინადადება ყველამ მოიწონა. ბრძოლაში ჩაებნენ ალპინისტები სიმონ ჯაფარიძე, მაშინ სტუდენტები, შემდეგ პროფესორები მიტო ღოღობერიძე, ლევან ყანჩაველი, რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი, გეოლოგი დევი მიქელაძე, ინჟინრები მიტო აღნიაშვილი, მარო ტყავაძე, მასწავლებლები ვანო კუკავაძე, ელიკო ლორთქიფანიძე, მარო ბეჟანიშვილი და სხვები. ჩვენი საჭადრაკო კლუბი ამ კლდის ძირასაა. იგი საუცხოოდ არის მოწყობილი: ძვირფასი მაგიდები, სკამები, ბროლის შუშები. ყველაფერი ეს კლდის ნამტვრევი, ყინული და თოვლია. ჭადრაკს ყველა მთასვლელი ხალისით თამაშობს. ასპარეზობამ სამ დღეს გასტანა. პირველი ადგილი ლევან ყანჩაველმა დაისაკუთრა. ფინალურ შეხვედრაში მან დევი მიქელაძეს მოუგო და უჩვეულო ჯილდოც მიიღო, მაგრამ იალბუზზე ავდარი იდგა, ამიტომ ლევანის შეხვედრა გიორგი ნიკოლაძესთან მხოლოდ თბილისში დაბრუნებისას გაიმართა".

ნიკო კეცხოველი ბოლომდე დარჩა ჭადრაკის სიბრძნის დამფასებელი და მოჭადრაკეთა მეგობარი.

კოტე მარჯანიშვილი

(1872-1933 წწ.)

"მამაჩემი ჭადრაკის დიდი მოყვარული იყო. მას არაერთხელ უდიდესი ესთეტიკური ტკბობა განუცდია ბრწყინვალედ გათამაშებული პარტიების ცქერით ან გარჩევით", წერს დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ვაჟი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტი, მათემატიკის პროფესორი კონსტანტინე მარჯანიშვილი.

კოტე მარჯანიშვილს ჭადრაკი დაუჭაშნიკებია 1915 წელს პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე. როგორც ცნობილია, დიდი ხელოვანი მოხალისედ წავიდა მოქმედ არმიაში – მეთაურობდა სწრაფმოქმედი სანიტარების რაზმს. გააფთრებული ბრძოლების დროს გამოჰყავდა დაჭრილები მოწინავე ხაზიდან. გამბედაობისა და დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის კოტე მარჯანიშვილი სარდლობას გიორგის ჯვრით დაუჯილდოებია.

და აი, სწორედ ფრონტზე, ნესტიან სანგრებში უსწავლებიათ კოტესათვის ჭადრაკის თამაში.

საფრონტო პირობებში კოტეს იშვიათად უხდებოდა პაექრობა. მალე სერიოზულად ავად გამხდარა და ზურგში გადაუყვანიათ. გამოჯანმრთელების შემდეგ თეატრს დაუბრუნდა, მისთვის ჩვეული გატაცებით ჩაება მუშაობაში და, გასაკვირი არაა, რომ ჭადრაკისათვის დრო აღარ რჩებოდა.

საქართველოში ჩამოსული კოტე შეუდგა ქართული ეროვნული თეატრის აღორძინებას, რაც ტიტანურ შრომას მოითხოვდა. ამის მიუხედავად, ამ პერიოდში იგი მაინც გარკვეულ ყურადღებას და დროს უთმობდა ჭადრაკს.

– მე მითამაშია კოტესთან რეპეტიციების შემდეგ. ძალით არ გამოირჩეოდა, მაგრამ კარგად ერკვეოდა კომბინაციებში, უყვარდა მოხდენილი შეწირვები, – მითხრა ერთხელ დიდი რეჟისორის მოწაფემ პიერ კობახიძემ.

– ძალიან მინდოდა კოტესთან პაექრობა. ერთხელ, რეპეტიციის დროს, შესვენებისას, დავიყოლიე შეხვედრაზე. მაყურებელიც ბლომად შეიკრიბა, მაგრამ ი[illegible] გამიცრუვდა. დაუძახეს და აღარ დაბრუნებულა, – გაიხსენა ვასო გოძიაშვილმა.

კოტე ახლოს იცნობდა გამოჩენილ ქართველ მათემატიკოსს ანდრია რაზმაძეს, რომელიც ჭადრაკის დიდი მოტრფიალე იყო. ერთხელ ისინი ერთსა და იმავე დროს მკურნალობდნენ საავადმყოფოში და ერთობოდნენ ჭადრაკში პაექრობით.

იაკობ ნიკოლაძე

(1876-1951 წწ.)

ქართული ქანდაკების ფუძემდებელმა, საჭრისის უბადლო ოსტატმა იაკობ ნიკოლაძემ როდის ისწავლა ჭადრაკის თამაში არ არის ცნობილი, მაგრამ 1911 წელს იგი უკვე საკმაოდ დახელოვნებული მოჭადრაკე იყო.

— მამა მიამბობდა, — იგონებს იაკობის უმცროსი ქალიშვილი მაია, — საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ იგი სისტემატურად დადიოდა ქართულ კლუბში, სადაც იმდროინდელი მოწინავე ქართველობა იკრიბებოდა. იქ მამა აკაკი წერეთელსაც შებრძოლებია ჭადრაკის დაფაზე.

იაკობი ჭადრაკით განსაკუთრებით გატაცებული იყო 20-იან წლებში. ამ პერიოდში ფრთებს ისხამდა საჭადრაკო მოძრაობა, რაც დიდად ახარებდა იაკობს. მისი განუყრელი მეგობრები და მეტოქენი სამოცდაოთხუჯრიან დაფასთან იყვნენ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, სანდრო ყანჩელი, შალვა ქართველიშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, არტემ გაბუნია და სხვა.

სწორედ იმ ხანებში სამხატვრო აკადემიის სტუდენტი იყო არჩილ ებრალიძე. იაკობს მოსწონდა ჭაბუკის ნამუშევრები, მაგრამ ჭადრაკში უფრო დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა. სათაყვანებელი მასწავლებლის სიტყვებით წახალისებული არჩილი შინ საათობით ჩაჰკირკიტებდა დიდოსტატთა პარტიებს. პროფესორი აშკარად ქომაგობდა სტუდენტს, როცა იგი ტურნირში მონაწილეობდა, ხოლო თავისუფალ დროს ჭადრაკს ეთამაშებოდა.

— როცა არჩილ ებრალიძეზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, — მოგვითხრობს იაკობის უფროსი ასული თეონა, — მამა სიცილით იხსენებდა ერთ ამბავს. რომელიღაც ტურნირის დროს ერთ-ერთ ტურში არჩილს შესანიშნავად წარუმართავს იერიში და ლამაზად მოუგია პარტია. სავსე დარბაზს დიდი კმაყოფილება ტაშით გამოუხატავს. "ეს ჩემი მოწაფეაო", — დაუკვეხნია მამას. მის ახლო მყოფი მეგობრები ჯერ გაოცებულან — ეს რა თქვა იაკობმაო, მერე კი ხარხარი დაუწყიათ. ცხადია, მამას უნდოდა ეთქვა, რომ არჩილი მისი მოწაფე იყო ქანდაკებაში და არა ჭადრაკში. შემდეგ მეგობრები ხუმრობით ხშირად ახსენებდნენ ამ ამბავს.

დიდი მოქანდაკე აღტაცებით შეხვდა ვიქტორ გოგლიძის გამარჯვებას, რამაც მას პირველი ქართველი ოსტატის წოდება მოუტანა.

ეს იყო ვ. ნენაროკოვთან 1930 წელს მოგებული მატჩი. ამის აღსანიშნავად დიდმა მამულიშვილმა, პოეტმა პაოლო იაშვილმა სასტუმრო "პალასში" საგანგებო ნადიმი გამართა. მას ესწრებოდნენ ლადო გუდიაშვილი, მოსე თოიძე, იაკობ ნიკოლაძე, ტიციან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ვიქტორ დოლიძე, სანდრო ახმეტელი, პიერ კობახიძე და სხვები. თამადობდა პაოლო იაშვილი.

ვიქტორ გოგლიძემ მიამბო:

— შესანიშნავი იყო პაოლო. მისი ოქროპირობა ალამაზებდა შეხვედრას. მაგრამ ყველაზე მეტად გულში იაკობ ნიკოლაძის სიტყვები ჩამრჩა. მან დაახლოებით ასე თქვა: "პირველ მოქანდაკედ მთვლიან საქართველოში. ვიქტორიც ჭადრაკის პირველი ოსტატია. ეს საამაყოა და საძნელოც. პირველს კი ყველაზე მეტი მოეთხოვება. ვერც თვითონ მოისვენებს, თუ ჭეშმარიტი ხელოვანია, რომ ყველაფერი არ გააკეთოს საყვარელი საქმის წინსვლისათვის. მინდა ვიქტორს ვურჩიო, არ დაიშუროს ძალ-ღონე ქართული ჭადრაკის წარმატებისა და ახალგაზრდა ნიჭიერი თაობის აღზრდისათვის". ამ სიტყვებმა ცხოვრების გზა დამისახეს.

ასეთი — ქადრაკის თამაშით გართული — დაუხატავს იაკობ ნიკოლაძე კიეველ მხატვარს ფ. კონოვალიუკს 1950 წელს ხოსტაში, სადაც იგი დასასვენებლად იყო. ამჟამად ეს ნამუშევარი ი. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმშია. მხატვარმა ის უსახსოვრა ოჯახს დიდი მოქანდაკის გარდაცვალების შემდეგ.

30-იან წლებში, გადმოგვცემს იაკობის მეუღლე, ქალბატონი ბრონისლავა, იაკობი სისტემატურად დადიოდა კიროვის პარკის საჭადრაკო პავილიონში, სადაც მეტწილად ცნობილ მოჭადრაკეს ვარვარა ზარგარიანს ეთამაშებოდა. შინ გვიან ბრუნდებოდა მეგობრებთან ერთად. უფრო ხშირად ესენი იყვნენ ლეო ქიაჩელი და გერონტი ქიქოძე.

მასპინძელი და სტუმრები ვახშმად სხდებოდნენ. განაგრძობდნენ

საუბარს, აანალიზებდნენ ნათამაშევ პარტიებს. როცა იაკობს მეგობრები მოჰყვებოდა და ენაწყლიანობდა — ეს იმას ნიშნავდა, რომ მეტოქენი დამარცხებული ჰყავდა. თუ ვკითხავდი, როგორ მოიგე-მეთქი, ჩვეულებრივ მიპასუხებდა: "არც კი ვიცი. რაღაცნაირად მოხდა". თუ წაგებული იყო, ჩუმად შემოვიდოდა და თავის ოთახში ჩაიკეტებოდა. ზოგჯერ მოჭადრაკეები ჩვენთან იკრიბებოდნენ. იაკობის ყველაზე ხშირი მეტოქე იყო სანდრო ყანჩელი. მოდიოდნენ აგრეთვე პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე. იაკობის პარტნიორი იყო ჩვენი ოჯახის მეგობარი, ცნობილი კოლექციონერი არტემ გაბუნიაც.

იაკობის საყვარელი სტილი ყოფილა შეტევა. როცა კომბინაციას დალანდავდა, ღელავდა... ეს ხელოვანის დამახასიათებელი განცდა არისო, იტყოდა თურმე ღიმილით.

იაკობი არაფერში ყოფილა ზერელე, ამიტომ ჭადრაკსაც საფუძვლიანად ეუფლებოდა: გამოწერილი ჰქონდა ჟურნალი "შახმატი ვ სსსრ", გაზეთი "64", კითხულობდა სპეციალურ ბიულეტენებს, გულდასმით ეცნობოდა საჭადრაკო წიგნებს. მისი სამაგიდო წიგნები იყო ა. ნიმცოვიჩის "ჩემი სისტემა" და რ. რეტის "ჭადრაკის თამაშის სახელმძღვანელო". ძალიან უყვარდა ალიოხინის პარტიების გარჩევა...

როცა ვეცნობოდი ი. ნიკოლაძის საჭადრაკო ბიბლიოთეკას, ჩემი ყურადღება მიიქცია 1936 წლის 20 იანვრის გაზეთ "64" ნომერმა. მასში იაკობს მოსწონებია და ფანქრით აღუნიშნავს ო.ვიურცბურგის ეს ამოცანა:



შამათი სამ სვლაში

ბევრი ვეძებე იაკობის მიერ ნათამაშევი პარტიები (იგი იწერდა მათ), მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ვიპოვე.

წიგნებთან ერთად ახლაც ოჯახში ინახება იაკობის საყვარელი ჭადრაკი, რომელიც მას ხეზე მჭრელმა კოტე ბოტკოველმა უსახსოვრა.

იაკობის სურვილი იყო ყველა ადამიანს სცოდნოდა ჭადრაკი. ამბობდა: "ვინც ამ თამაშს არაა დაუფლებული, დიდ სიამოვნებას იკლებსო".

(ამოცანის ამოხსნა: 1. ♕g7. 1. ...♔e2 2. ♕d4).

ვასო გოძიაშვილი

(1905-1975 წწ.)

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს ვასო გოძიაშვილს ხშირად ვხვდებოდი მის სახლთან, მელიქიშვილის ქუჩის დასაწყისში.

— იქნებ შეიტყვე რაიმე ახალი ფიშერზე? — მეტყოდა შეხვედრისას. — ვერ მომისვენია, კაცო, ასეთმა მოთამაშემ ჭადრაკს თავი როგორ დაანება. გაგიყდა ნამდვილად!

მერე ბატონი ვასო სხვა ახალ ამბებს გამომკითხავდა. ყველაფერი დაწვრილებით უნდა მეამბნა.

— არ გეგონოს გაზეთებით თვალს არ ვადევნებდე საჭადრაკო სამყაროს, მაგრამ შეიძლება რაიმე გამომეპაროს, — იტყოდა თავის მართლებით, სიტყვა რომ გაგვიგრძელდებოდა.

ვასო გოძიაშვილს მარტო ჭადრაკი როდი უყვარდა. ახალგაზრდობაში, რუსთაველის თეატრში მუშაობის პერიოდში, ფეხბურთით ყოფილა დაინტერესებული. ტანვარჯიშშიც ვარჯიშობდა.

ერთხელ შინ ვეწვიე ბატონ ვასოს. მან ბევრი რამ მიამბო თავის საჭადრაკო ცხოვრებიდან.

— ჭადრაკის თამაში ჩვენმა სახელოვანმა მოჭადრაკემ ვიქტორ გოგლიძემ მასწავლა. მან რუსთაველის თეატრში ჩამოაყალიბა წრე, რომელშიც ჩემთან ერთად თამაშობდნენ ელგუჯა ლორთქიფანიძე, ვანო ლაღიძე, გიორგი სალარაძე და სხვები. ჭადრაკმა ყველა გაგვიტაცა და ხშირად ტურნირებსაც ვაწყობდით. მაშინ თეატრში რეჟისორად კოტე მარჯანიშვილი მუშაობდა. ვიცოდით, რომ მასაც უყვარდა ჭადრაკი, ინტერესით ადევნებდა თვალს მსოფლიო პირველობის მატჩს კაპაბლანკასა და ალიოხინს შორის. ერთხელ გავუბედე, ვითამაშოთ — მეთქი. გაიღიმა და დამთანხმდა. ვიდრე ფიგურებს ვაწყობდი, დაუძახეს და "ისტორიული პაექრობა" აღარ შედგა, თუმცა ბევრი გულშემატკივარი შეიკრიბა თამაშის საყურებლად. მანამდე ვიქტორ გოგლიძეს ერთდროული თამაშის სეანსში მივიღე მონაწილეობა და წარმოიდგინეთ მოვიგე. თუმცა, ვერ დავმალავ, ბოროტმა ენებმა ხმა გაავრცელეს, ვიქტორმა ხათრით მოაგებინაო. მერეც ვოამაშობდი, მაგრამ ჭადრაკს დიდ დროს ვერ ვუთმობდი, იმითღა ვკმაყოფილდებოდი, რომ დიდ მოჭადრაკეთა გამოსვლებს ვადევნებდი თვალს.

ვასო გოძიაშვილს ჰყავდა თავისი კერპები, მაგალითად, ბორის სპასკის ქომაგი იყო, მას უწინასწარმეტყველებდა გამარჯვებას

თამაშობენ ვასო გოძიაშვილი (მარცხნივ) და მსახიობი ალექსანდრე სიხარულიძე.

ტიგრან პეტროსიანთან მატჩში. მოსწონდა ამერიკელი დიდოსტატი რობერტ ფიშერი. ამბობდა, სპასკის დამმარცხებელი უთუოდ დიდი მოჭადრაკე უნდა იყოსო.

სახე გაუბრწყინდებოდა, როცა ნონა გაფრინდაშვილზე დაიწყებოდა საუბარი. მახსოვს, 1961 წელს, პრეტენდენტთა ტურნირის დროს, ვასო გოძიაშვილი "ლელოს" რედაქციაში გვირეკავდა ღამის სამოთხ საათზე (მხოლოდ ამ დროს ვღებულობდით ცნობებს იუგოსლავიიდან, სადაც აგარაკ ვრნიაჩკა-ბანიაში მიმდინარეობდა ტურნირი), რათა ახალი შედეგები გაეგო. როცა მოგების ამბავს ვეტყოდით, გაიხარებდა, დაგვლოცავდა და გაგვამხნევებდა. დიდ საქმისათვის ძილის გატეხა მსხვერპლი არ არის, იტყოდა ხოლმე.

1962 წლის შემოდგომაზე მოსკოვში ბიკოვა – გაფრინდაშვილის მატჩის წინ ვასო გოძიაშვილი წერდა: "ნონასი არ ვიცი და მე კი მეშინია! მაგრამ, როცა ვუფიქრდები და ყველა ფაქტორს ავწონ-დავწონი, გული მეუბნება, ნონა გაიმარჯვებსო... ნეტავ ასე იყოს". აუხდა კიდეც.

ერთხელაც, 1973 წლის დასაწყისში, ჩვეულებრივ შევხვდი ვასო გოძიაშვილს. მაშინვე მომახალა:

– ეს რა ხდება, კაცო. ამას წინათ ტელევიზიით ვნახე როგორ მოუგო ნონას სეანსში ვიღაც პატარა გოგონამ. ნეტავ ვინაა? ხომ არ უმიზნებს იგი ტახტს?

ეს გოგონა მაია ჩიბურდანიძე გახლდათ.

პიერ კობახიძე

(1906-1963 წწ.)

არ დავიჯერებდი ვინმეს რომ ეთქვა, ჩემი თეატრალური გმირების შესანიშნავი განმსახიერებელი, საქართველოს სახალხო არტისტი, პიერ კობახიძე ჩემი მოკეთე გასდებოდა. მაგრამ ჭადრაკს აქვს ის ღვთაებრივი ძალა, რომელიც აახლოებს თაყვანისმცემლებს.

ბატონ პიერს უყვარდა "ლელოს" რედაქციაში მოსვლა. მარჯანიშვილის თეატრიდან შინ რომ ბრუნდებოდა, ელბაქიძის დაღმართი უნდა აევლო. რედაქციაც მაშინ იქ იყო. გაზეთის რედაქტორი ირაკლი უგულავა თეატრალი გახლდათ. ახალგაზრდობაში ის რუსთაველის თეატრის სცენაზე გამოდიოდა. მას გულწრფელად უყვარდა თეატრი. ახალ წარმოდგენას არ გააცდენდა. ზოგჯერ გენერალურ რეპეტიციასაც ესწრებოდა. პიერი არცთუ იშვიათად შემოუვლიდა მას საბაასოდ.

ერთხელ რედაქტორმა პიერთან პაექრობა შემომთავაზა. ცოტა არ იყოს გამიკვირად: სამსახურის საათებში იგი თამაშს გვიშლიდა. პიერმა თვალი ჩამიკრა. მივხვდი, რომ მას უთხოვია, თანაც დღის ბოლო იყო და გაზეთი უკვე გამზადებული გვქონდა.

— უეტლოდ უნდა მეთამაშო, — თქვა პიერმა და აიყვანა ლაზიერის ფრთის ჩემი ეტლი. თანამშრომლები შემოგვეხვივნენ.

ბრძოლამ ყველა გაგვიტაცა. ანგარიშში დავწინაურდი, მაგრამ პიერს გათანაბრების იმედი ჰქონდა. ის სუსტი მოთამაშე როდი იყო. მეორე თანრიგი შეესრულებინა. ხშირად ძლიერ მეტოქესაც ეპაექრებოდა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის საჭადრაკო წრეში, რომლის სული და გული თავად გახლდათ. ამ წრეს მისი სახელი შეარქვეს პიერის გარდაცვალების შემდეგ.

თამაში გაგვიგრძელდა. თანდათან შემოგვეცალნენ მაყურებლები. შინ გაიკრიფნენ. შუაღამე გადასული იყო, მაგრამ პიერი არ ჩქარობდა ბრძოლის დამთავრებას. მეც მერიდებოდა ამის შეხსენება, მატჩს ვიგებდი. გარიჟრაჟდა თუ არა, გამიღიმა, გამარჯვება მომი[illegible]ოცა და... ხაშზე დამპატიჟა მსახიობ ანდრო კობალაძესთან ოჯახში. მხოლოდ ახლა მივხვდი, რატომ გამათენებინა ღამე.

პიერსა და მე მერეც გვიპაექრია, მაგრამ მას უკვე დროზე ვამთავრებდით.

ყოველი შეხვედრისას კარგა ხანს ვსაუბრობდით. ბატონმა პიერმა ამბის კარგი თხრობა იცოდა. მას

იუმორით აჩუქურთმებდა ხოლმე.

— ბატონო პიერ, ამბობენ თქვენ ბრონშტეინისთვის მოგიგიათ. ჩემთან ეს არასოდეს გაგხსენებიათ, — ვუთხარი მას ერთხელ.

მან ღიმილით შემომხედა.

— ის აღარ უთქვამთ, როგორ მოვუგე? მეგონა იცოდი. მეუხერხულება ჩემი "მოგების მეთოდზე" ლაპარაკი. მაგრამ მაინც გიამბობ, იქნებ "გამოგადგეს", თუმცა ეს ძველი ამბავია.

მსოფლიო პირველობის მატჩისთვის (მ. ბოტვინიკთან) მზადებისას, 1950 წლის ნოემბერში, თბილისში დიდოსტატი დავით ბრონშტეინი გვეწვია. რიგით მოყვარულებს იგი ერთდროული თამაშის სეანსებში ხვდებოდა. ერთი სეანსი მან საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლშიც გამართა.

გამოჩენილი მოჭადრაკე ორიგინალური კაცი იყო. სეანსს უცნაურად ატარებდა: პარტიების ნახევარს შავი ფერის ფიგურებით თამაშობდა, მაშინ, როცა სეანსორს უფლება აქვს ყველა პარტია თეთრებით ითამაშოს. პიერმა დიდოსტატის ახირებაში გონებამახვილური ხრიკი მოძებნა.

— როცა ბრონშტეინმა გამოგვიცხადა, ვისაც რომელი ფერითაც სურს ითამაშოსო, საეშმაკო აზრმა გამიელვა, — მიამბობდა ბატონი პიერი. — ჩვენი თეატრის მსახიობს და ჭადრაკის დიდ მოყვარულს ალექსანდრე სიხარულიძეს ვთხოვე თეთრებით ეთამაშა, თავად კი შავებს მივუჯექი. თამაში დაიწყო. ბრონშტეინი სიხარულიძესთან სვლას რომ გააკეთებდა, იმას მე ვიმეორებდი, სიხარულიძე კი ჩემთან გაკეთებულ ბრონშტეინის სვლას. რა თქმა უნდა, მე და სიხარულიძე საკმაოდ შორს ვიჯექით ერთმანეთისაგან, რომ დიდოსტატი არ მიხვედრილიყო ჩვენს "მზაკვრობას". სეანსში თითქმის ოცდაათი კაცი მონაწილეობდა. ერთი სიტყვით, ბრონშტეინი საკუთარ თავს ვათამაშეთ. ჩვენს ეშმაკობას მხოლოდ მაშინ მიხვდა, როცა ჩემთან მისი პოზიცია უკვე უიმედო იყო. ბრონშტეინი დამნებდა ღიმილით და თავის ქნევით. მან არავის გაუმხილა, თუ როგორ მოვატყუე. კარგიც ქნა. ყველანი მილოცავდნენ, თამაშს მიქებდნენ. გაზეთებშიც დაიწერა, რომ დიდოსტატი მარტო მე დავამარცხე.

რამდენიმე ხნის მერე ეს ამბავი დავით ბრონშტეინს გავახსენე. ამ შემთხვევამ, თქვა მან, ჭკუა მასწავლა. ახლა უკვე თითქმის არავის ვუთმობ თეთრ ფიგურებს.

პიერ კობახიძეს ძალიან უყვარდა დახელოვნებულ მეტოქეებთან თამაში. დიდი ხალისით მონაწილეობდა თანრიგოსანთა ტურნირებში, რომლებსაც სისტემატურად ატარებდა საქართველოს ხელოვნების მუშაკ-



თამაშობენ საქართველოს ორგზის ჩემპიონი ლილი გელოვანი და რესპუბლიკის სახალხო არტისტი პიერ კობახიძე

მუშაკთა სახლი. იგი უძლიერესად იყო აღიარებული. ერთხელ პირველობაში მას საკუთარი ძმა პაატაც შეეცილა, მაგრამ მისი მთავარი კონკურენტი გახლდათ ცნობილი მოჭადრაკე ქალი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქსენია გოგიავა.

აი, მათი ერთ-ერთი პარტია.

პ. კობახიძე – ქ. გოგიავა

თბილისი, 15 თებერვალი 1963 წ.

1. ♘f3 e6 2. c4 f5 3. ♘c3 ♘f6 4. d4 ♗e7 5. ♕c2 d6 6. g3 0-0 7. ♗g2 ♕e8 8. 0-0 ♘bd7 9. b3 c6 10. e4 f×e4 11. ♘×e4 ♘×e4 12. ♕×e4

შავებმა გაითამაშეს ჰოლანდიური დაცვის ყველაზე მწვავე სისტემა, მაგრამ თეთრებმა ცენტრის გახსნით მოხსნეს დაძაბულობა და მცირე პოზიციური უპირატესობაც მოიპოვეს.

12. ... ♘f6 13. ♕e2 ♗d8 14. ♖e1 ♕h5 15. ♘g5

თეთრებს ხელს აძლევს ენდშპილში გადასვლა, სადაც e6 პაიკის სისუსტე უფრო ჩანს. შუათამაშში ეს პაიკი სრულებით არ არის სუსტი.

ამიტომ შავები თავს არიდებენ ლაზიერების გაცვლას.

15. ... ♘g4 16. ♗h3

უკეთესი იყო 16. h3 ♗×g5 17. h×g4 ♕h6 18. ♗×g5 ♕×g5 19. f4 შესანიშნავი პოზიციით. კუთი სვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო კარგი, თუ შავები მხედრით უკან დაიხევდნენ. მაგრამ შავებმა გონებამახვილურ გაგრძელებას მიაგნეს.



16. ... e5! 17. ♗×g4

სწორი იყო 17. f3 პერსპექტიული დაცვით. ახლა თეთრები უპაიკოდ რჩებიან ენდშპილში, რომელშიც ოსტატური თამაშით ყაიმს აღწევენ.

17. ...♗×g4 18. f3 ♗×f3 19. ♘×f3 ♕×f3 20. ♕×f3 ♖×f3 21. d×e5 ♗b6+

როგორც ჩანს, შავები ვერ ხედავენ თეთრების 24-ე სვლას, თორემ ახლა აიყვანდნენ e5 პაიკს.

22. ♔g2 ♖f2+ 23. ♔h3 ♗d4 24. ♗e3! ♗×a1 25. ♗×f2 ♗×e5 29. c5!

პაიკში თეთრებს მძლავრი ინიციატივა აქვთ. ამიტომაც აღწევენ ყაიმს.

26. ... a6 27. c×d6 ♗×d6 28. ♖d1 ♗e5 29. ♖d7 b5 30. ♖e7 ♗d6 31. ♖d7 ♗e5 32. ♖e7. ყაიმი.

ბატონმა პიერმა თავდადებული ქომაგობაც იცოდა. ყველაზე მეტად მას ნონა გაფრინდაშვილის თამაში აღელვებდა. პრეტენდენტთა 1961 წლის ტურნირში თავისი კერპის წინადღის შედეგით დაინტერესებული ღამითაც კი მირეკავდა ხოლმე.

ერთხელ მან მიამბო, როგორ გაეცნო ნონას.

– 1953 წლის ზაფხულში ბათუმში ვიყავი საგასტროლოდ. ერთხელ პიონერთა პარკში გავიარე. გაზეთში წავიკითხე, რომ იქ ბავშვების გუნდური პირველობა მიმდინარეობდა. დიდი ცაცხვის ძირში გოგონები თამაშობდნენ. პარტია რომ დაამთავრეს, გარჩევა დაიწყეს. პოზიციამ მეც დამაინტერესა. ჩემი აზრით, უკეთესი სვლა ვუკარნახე. გოგონამ მორიდებით ჩაილაპარაკა: "არა ძია. მაშინ ფიგურას წავაგებ" და სწრაფად გვიჩვენა ვარიანტი. ყველამ გაიცინა. გაწბილებულმა ვიკითხე, ვინაა ეს ბავშვი-მეთქი. მაგრამ მაშინ არცთუ ისე ბევრი იცნობდა თურმე ნონას.

სხვათა შორის, დღეს ამ ცაცხვს მემორიალური დაფა აქვს გაკრული მასთან მომავალი მსოფლიო ჩემპიონის პაექრობის უკვდავსაყოფად.

1956 წელს ნონამ თავისი შთამაგონებელი მიღწევით ქვეყანა რომ აალაპარაკა, პიერმა იცნო თავისი გამაწბილებელი და მისი დიდი ქომაგი შეიქნა. მსოფლიო პირველობის ორბიტაზე გასულ გოგონას პიერმა ლექსიც უძღვნა. ღვაწლმოსილ მსახიობს პოეტური სიტყვის თხზვაც ეხერხებოდა.

შენ გამარჯვებას მეც ვგალობ,
მსურს გიძღვნა ვარდის კონაო,

კიერანდი შავი ტერეხალი
კიერანდაშვილი ნინა.
ვაჭკვი კიკვანაძისა.
ამ კაბარეკვეა ანარე
და ბაქარეკვლის კარდები
გულმკერდზე გადაფარე...

უნდა გენახათ ბატონი პიერი, როცა ნინა ჭადრაკის დედოფლის ტახტზე ავიდა. იმ დღეებში შეიცვალა ეს დარბაისელი კაცი, ახლობლებსაც უკვირდათ მისი ამაღლებული სიცოცხლისუნარიანობა. სწორედ მაშინ დაწერა მან ნონასადმი მიძღვნილი ლექსი. 1962 წლის 25 ოქტომბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონს. პრეზიდიუმში პიერი და მე ერთად ვისხედით. ეს შეხვედრა იყო ერის სიხარული, ნიჭიერი ქართველი მოჭადრაკის დიდი დაფასება. თეატრი თაყვანისმცემლებს პირთამდე აევსოთ.

გაიხსნა ფარდა, დარბაზი ფეხზე ადგა და სათაყვანებელ მოჭადრაკეს მიესალმა. ტაში რამდენიმე წუთს გაგრძელდა. როგორც კი სიჩუმე ჩამოვარდა, პიერ კობახიძის მჭექარე ხმა გაისმა. იგი პირველი მიესალმა ნონას თავისი ახალი ლექსით.

ახლაც, როცა პიერის სიტყვებს ვიხსენებ, ჟრუანტელი მივლის. ეს იყო გულისნადები, სიყვარულით გამთბარი, სიამაყის გრძნობით გამსჭვალული დიდი სიხარულის სიტყვები. ნონაც, ეს 21 წლის რაინდი, ძონუსხული უსმენდა ოავის ქომაგთა-ქომაგს. ალექსანდრე ფალავანდიშვილს, ქართული ჭადრაკის ერთ-ერთ თავკაცს, თვალებში კურცხალი შევამჩნიე.

პიერის გამოსვლამ სიხალისე შემატა თავყრილობას. სარბიელი სხვა გამოსვლებს რომ დაუთმო, გვერდზე მომიჯდა. გამოცდილი მესიტყვე კიდევ ღელავდა, ვერ დაეოკებინა აფორიაქებული გრძნობები.

ასეთი იყო პიერ კობახიძე. საჭადრაკო განცდებმაც დაასნეულეს მისი დიდი და კეთილი გული. მას აკრძალული ჰქონდა ზედმეტი ნერვიულობა, გონებრივი დაძაბულობა და დიდი... სიხარულიც. მაგრამ ცხოვრება არ წარმოედგინა უთეატროდ, გართობა, თავის შექცევა — უჭადრაკოდ.

პიერს სიკვდილმა მოუსწრო ბათუმში თეატრის გასტროლების დროს.

ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, კინორეჟისორმა კოტე პიპინაშვილმა მიამბო:

— გარდაცვალების წინა საღამოს კარგა ხანს ვთამაშობდით ჭადრაკს. ჩემგან ეროი ხელის მოგებაც აქეზებდა, რამდენჯერმე რევანში აიღო. ძალიან განიცდიდა თამაშს, გულთან მიჰქონდა წაგებაც და მოგებაც.

დიდი ბუნების, მრავალმხრივი ინტერესების ადამიანი იყო პიერ კობახიძე. მას ახარებდა ყოველივე, რაც სამშობლოსა და მამულიშვილებს შეეხებოდა, იქნებოდა ეს თეატრი, ესტრადა თუ ჭადრაკი.

ზურაბ ანჯაფარიძე

(1928-1997 წწ.)

1972 წელს მოსკოვის გაზეთ "პიონერსკაია პრავდაში" დაიბეჭდა დიდებული ქართველი მომღერლის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ზურაბ ანჯაფარიძის მცირე ინტერვიუ. აი, ისიც:

"კვლავ პიონერი რომ გავხდებოდე, მყისვე გავვარდებოდი რუსთაველის პროსპექტზე, პიონერთა სასახლისაკენ, და წრეში ჩავეწერებოდი. რომელში? ჭადრაკის წრეში. დიახ, ოდესღაც ძალიან კარგად ვთამაშობდი. შესაძლოა, ცნობილი მოჭადრაკეც გავმხდარიყავი. მაშინ ხომ ორი პროფესია მექნებოდა — მომღერლისა და მოჭადრაკის".

ზურაბის სიტყვებმა ბევრი რამ გამახსენა.

სასიქადულო მომღერალი ახლოს გავიცანი მოსკოვში, 1962 წელს. ეს იყო ბიკოვა — გაფრინდაშვილის მატჩის დღეებში. თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. ზურაბი, ცხადია, ნონას ქომაგობდა. მას ხშირად სახელოვანი ქართველი მომღერალი დავით გამრეკელი ახლდა.

ერთხელ ზურაბმა გვითხრა:

— ეს რას გავს: ბიკოვა იმავე დღეს არ თმობს პარტიას. გადადებს და დილით ტელეფონით თავს დამარცხებულად ცნობს. ამის გამო ნონას "ვალი" ვერ გამისტუმრებია.

გაკვირვება რომ შეგვატყო, ღიმილით აგვიხსნა:

— მატჩის წინ ნონა დიდ თეატრში დაესწრო "ფაუსტს". რამდენიმეჯერ ტაში დამიკრა. მე კი, მისი "პარტიის" უნაკლო შესრულებით მოხიბლული, სამაგიეროს ვერ ვუხდიო.

იმ დღეს ბიკოვა, თითქოს მოესმინოს ეს "საყვედური", დროულად შეურიგდა წაგებას და ზურაბმაც ტაშით იჯერა გული.

მერე, როცა ამ მატჩისადმი მიძღვნილი წიგნი "გზა მწვერვალისაკენ" გავუგზავნე, ზურაბი საპასუხო ბარათში მწერდა: წიგნი რომ მივიღე, ავად ვიყავი, კითხვას მიშლიდნენ, მაგრამ რას დავუჯერებდი! ღამით, ყველას რომ ეძინა, მაშინ ვკითხულობდი ჩუმად და თან ხელმეორედ განვიცდიდი ნონას გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულსო.

ვიცოდი, რომ ზურაბს ჭადრაკი უყვარდა. მინდოდა მეტის გაგება, ამიტომ ვთხოვე შეხვედრა. მაშინვე დამინიშნა "პაემანი" თავის შინდისფერ "ჟიგულში".

ტკბილად ვსაუბრობდით. მოსკოვი რომ გავიხსენეთ, ზურაბმა მიამბო:

— ნონას მატჩის დროს მე და

დავით გამრეკელს ძლიერი მოჭადრაკეების სახელი გაგვიგარდა. პარტიაში კრიტიკული მომენტი რომ შეიქმნებოდა და ყველა ღელავდა, ნონას მწვრთნელს მახეილ შიშოვს მივაკითხავდი, ის ნონას ძლიერ სვლაზე მიმანიშნებდა. ჯერ დავითს ვავანდობდი საიდუმლოს, მერე ორივე ხალხში გავერეოდით. ჩვენი სვლები ნონას სვლებს რომ დაემთხვეოდა, ნაცნობ-მეგობრები გვილოცავდნენ, გვიწონებდნენ, მერე პროგნოზებსაც კი გვთხოვდნენ.

ჭადრაკის თამაში ზურაბმა, შეიძლება ითქვას, შემთხვევით ისწავლა. თავიდან იგი პიონერთა სასახლის კრივის სექციაში ჩაეწერა...

ჭადრაკმა სწრაფად მოინადირა გონებაგახსნილი ყმაწვილის გული. ეს არც იყო გასაკვირი: ზურაბს მასწავლებლად ოსტატი არჩილ ებრალიძე დაუხვდა. საინტერესოა, რომ სწორედ ამ პერიოდში (1942-1944 წწ.) არჩილი ჭადრაკის სიბრძნეს აზიარებდა ტიგრან პეტროსიანსაც. ალბათ ზურაბი და ტიგრანი ბევრჯერ შეხვედრიან ერთმანეთს, მაგრამ არ იცოდნენ, ერთი მსოფლიო ჩემპიონი რომ გახდებოდა, მეორე კი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.

— არჩილ ებრალიძე უაღრესად თავისებური პედაგოგი იყო, — იხსენებდა ზურაბი. — მართალია, თეორიას გვასწავლიდა, დიდოსტატია პარტიებს გვიჩვენებდა, ლამაზ კომბინაციებს გვაძლევდა ამოსახსნელად, მაგრამ ყველაზე მეტად ჭადრაკის სიბრძნის, მისი ისტორიის შესახებ გვესაუბრებოდა. ცდილობდა დიდად შეგვყვარებოდა ეს თამაში და მიაღწია კიდეც მიზანს.

კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში ზურაბი ხშირად მონაწილეობდა სასწავლებლის პირველობაში, ამხანაგურ მატჩებში, მაგალითად, სამხატვრო აკადემიის სტუდენტებთან. მოსკოვში, დიდ თეატრში მუშაობისას, მსოფლიო პირველობის თითქმის არც ერთი მატჩი არ გაუცდენია.

— ჩვენში ჭადრაკს უდიდესი პოპულარობა ნონას ზღაპრულმა წარმატებებმა მოუხვეჭა, — ამბობდა ზურაბი. — ნონამ კიდევ უფრო მეტად შემაყვარა ბრძენთა ეს თამაში.

მან გაიხსენა შეხვედრები ნონასთან იუგოსლავიაში, მოსკოვში...

— ჩვენი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში არიან კარგი მოჭადრაკეები. გუნდიც შეიკვრება. დავასახელებ თუნდაც ირაკლი შუშანიას, ზურაბ სოტკილავას, შოთა კიკნაძეს, ამირან გაგუას და სხვებს, რომლებთანაც ხშირად ვთამაშობ, — ამბობს ზურაბი და განაგრძობს, — ჭადრაკი სულს გვათქმევინებს, გვახალისებს. მართალია, ზოგჯერ გულსაც გვტკენს (წაგება ვის უხ-



ანტრაქტში პაუქრობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ზურაბ ანჯაფარიძე (მარჯვნივ) და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი შოთა კიკნაძე (თბილისი, 1975 წ.).

არია?), მაგრამ, სამაგიეროდ, ცხოვრებას გვილამაზებს, კარგ ადამიანებთან გვაახლოებს... ამიტომ არ მიკვირს, რომ ჩვენი მამა-პაპა დიდი პატივით ეპყრობოდა ჭადრაკს და არც ის, ჩვენმა ახალგაზრდობამ რომ შეიყვარა ეს თამაში.

სიტყვა სპასკი — ფიშერის მომავალ მატჩზე ჩამოვარდა.

— ჩემი აზრით, ფიშერი გაიმარჯვებს, — ამბობს ზურაბი, — იგი აღმავალ გზას ადგას. შესაძლოა ვცდები. თქვენ, სპეციალისტებმა, უკეთ იცით, მაგრამ პეტროსიანთან მოგება, რომ არაფერი ვთქვათ ტაიმანოვთან და ლარსენთან "მშრალი" ანგარიშით გამარჯვებებზე, ფიშერის დიდ შესაძლებლობებზე მეტყველებს.

როცა გაფრინდაშვილი — კუშნირის მესამე მატჩის პროგნოზი ვკითხე, ზურაბს გაეღიმა: თამაში ძნელი იქნება, მაგრამ შედეგი რა საკითხავიაო.

საუბრის დასასრულს გავახსენე გაზეთში ორ პროფესიაზე ნათქვამი.

— იქნებ მართლა ცნობილი მოჭადრაკე გამოვსულიყავი. რა იცი, — იცინის ზურაბი, — თუმცა ახლაც ხომ ორი პროფესია მაქვს: მომღერლისა და ჭადრაკის გულშემატკივრის!

სერგო ქობულაძე

(1909-1978 წწ.)

ფუნჯის გამოჩენილი დიდოსტატი, საქართველოს სახალხო მხატვარი, საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი სერგო ქობულაძე ჭადრაკის დიდი ტრფიალი იყო, ახლოს იცნობდა ბევრ მოჭადრაკეს.

დაბადების 60 წლისთავი რომ ჰქონდა, სერგო ქობულაძეს შინ ვესტუმრე, იუბილე მივულოცე და ინტერვიუ ვთხოვე. აი, ისიც:

– ბევრჯერ საჯაროდაც გითქვამთ, რომ ძალიან გიყვართ სპორტი, განსაკუთრებით კი – ფეხბურთი და ჭადრაკი.

– სრული ჭეშმარიტებაა: სპორტის ეს ორივე სახეობა ბავშვობიდან მიტაცებს. როცა ღონე მერჩოდა, ფეხბურთს ვთამაშობდი, ახლა მხოლოდ ჩვენს ბიჭებს ვქომაგობ. სამაგიეროდ, ჭადრაკს ახლაც ვთამაშობ, თუმცა ძლიერი მოთამაშე არა ვარ.

– რა გხიბლავთ ფეხბურთსა და ჭადრაკში?

– ფეხბურთში – ათლეტიზმი, უაღრესად დაძაბული სიტუაციები და გამარჯვებისკენ ლტოლვა. ჭადრაკი მთელი სამყაროა. იგი დღეს ხელოვნება უფროა, ვიდრე სპორტი, თუმცა სპორტი მისი საწყისია.

– ამბობენ, რომ "გამოუსწორებელი" ტალისტი ბრძანდებით. როგორ გავიგოთ ეს?

– როგორ და პირდაპირ: მიხეილ ტალის დიდი გულშემატკივარი ვარ. იგი ჭეშმარიტი, ძალიან დიდი გაქანების შემოქმედი და ხელოვანია. მომწონს ტალის თამაში, მუდამ მღელვარე, რისკიანი და თავგანწირული.

– იცნობთ ტალს?

– რა თქმა უნდა. მითამაშია კიდეც მასთან. არ იფიქროთ, თითქოს მოგების იმედი მქონდა. არა. მიყვარს ძლიერ მოთამაშეებთან პაექრობა.

სხვათა შორის, სალო ფლორსაც შევხვედრივარ მოსკოვში.

– როგორც ჩანს, კომბინაციური ბრძოლა გხიბლავთ. რას ხედავთ ამ კომბინაციებში?

– კომბინაციის რაოდენობა ულევია ჭადრაკში. ამიტომაცაა იგი დღემდე ამოუწურავი, თუმცა ამდენი საუკუნეა არსებობს. ბოლო სამი წელია მხატვრობაში კომპოზიციაზე ვმუშაობ. უკვე შევისწავლე ატენის სიონის ფრესკის კომპოზიცია და დავამთავრე კლასიკური, IV საუკუნეებამდე პერიოდის ანტიკური სკულპტურის თავების ანალიზი. შარშანდლიდან ჯვრის მონასტრის კომპოზიციურ აგებულებას ვიკვლევ. აქაც უშრეტი წყაროა კომპოზიციის გეომეტრიული კომბინაციებისა. მას რაღაც საერთო აქვს ჭადრაკთან.

– თქვენ ბრძანეთ, ჭადრაკი ხელოვნებაა. როგორ ხსნით ამას?

– ხელოვნებაა ტექნიკური ცოდნითა და შემოქმედებითი ინტუიციით შეთხზული ყველა ნაწარმოები. ჭადრაკი შემოქმედებაა. ვინც ერუდირებული და ტალანტით დაჯილდოებულია, ის ხელოვნების ნაწარმოებს ქმნის. კარგი საჭადრაკო პარტია მუდამ კმაყოფილების მომნიჭებელია.

– საჭადრაკო ამოცანებს თუ ხსნით?

– კარგი საჭადრაკო წიგნები მაქვს. პერიოდულ ლიტერატურასაც ვადევნებ თვალყურს, როცა არის ამის შესაძლებლობა. ამოცანებიც მიყვარს, მაგრამ თამაში მირჩევნია.

– თქვენს მეტოქეებს ვერ დამისახელებთ?

– სამხატვრო აკადემიაში ბევრი მეტოქე მყავს. მაგალითად, ჩვენი სახელოვანი მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი ნიკოლოზ კანდელაკი, მხატვარი რენო თურქია. მუდმივი პარტნიორები კი არიან კინომსახიობი გიორგი გაბელაშვილი და ვექილი რევაზ მაჭავარიანი.

– რომელია თქვენი ფელაზე ნათელი საჭადრაკო მოგონება?

– იგი მიხეილ ტალთან არის დაკავშირებული. 1964 წლის 18 ნოემბერს, როცა ჩვენმა ფეხბურთელებმა ტაშკენტში მოსკოვის "ტორპედოს" დამარცხებით საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს, მეგობრებმა თავი მოვიყარეთ გიორგი გაბელაშვილთან და თამაშს ტელევიზიით ვადევნებდით თვალს. მიხეილ ტალიც იქ გახლდათ. ჩვენი ბიჭების გამარჯვება კარგად აღვნიშნეთ.

უცებ გამახსენდა, რომ ჯიბეში მედო ერთ მეგობართან გადადებული პარტიის პოზიციის ჩანახატი (ხატვა წერაზე უფრო მეხერხება). ტალს, რომელიც გვარიანად შეზარხოშებული გახლდათ, ჩემი ჩანახატი

ვაჩვენე. 15 წამს უცქირა პოზიციას და თქვა: ამ პოზიციის მიხედვით შავებმა უნდა მოიგონ (ჩემს მეტოქეზე ამბობდა), მაგრამ გამოსავალი არისო. ტალმა ზეპირად ჩამოთვალა სვლები — იგი ლამაზად სწირავდა ორ ფიგურას და ყაიმს აღწევდა.

ეს პარტია მოვიგე (მეტოქე უხეშად შეცდა), მაგრამ დღესაც გაოცებით ვიხსენებ ტალის გენიალური ჭვრეტის უნარს.

— კიდევ ვინ არის ჭადრაკში თქვენი კერპი?

— ძალიან მომწონს ნონას თამაშის მანერაც. მასაც კომბინაცია უყვარს და ამიტომ ვარ მისი ქომაგი. ვგულშემატკივრობ ტიგრან პეტროსიანს. სპასკისთან პირველ მატჩში იგი ტალის მსგავსად გაბედულად, ღრმად, კომბინაციურად იბრძოდა.

სხვა დროსაც ბევრჯერ შევხვედრივარ სერგო ქობულაძეს ჭადრაკის სასახლეში. იგი კვლავაც ერთგულად გულშემატკივრობდა თავის კერპებს.

თავი V

წარსულის ფურცლები

ერთი კონფლიქტის ისტორია. ანუ რა შეუძლია უკეთურობას

1990 წელს მოსკოვში გამოიცა მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვის წიგნი "ულიმიტო ორთაბრძოლა" 200-ათასიანი ტირაჟით. ეს ის წიგნია, რომელიც 1987 წელს სევილიაში (ესპანეთი) კასპაროვ-კარპოვის მატჩის წინ რომ გამოვიდა ექვს ევროპულ ენაზე. წიგნმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. გარი კასპაროვი დაუფარავად უამბობს მკითხველს იმ ამბებს, რაც 1984-1985 წლების ულიმიტო მატჩში და მის შემდეგ მოხდა, საუბრობს კონფლიქტებზე ფიდე-ს პრეზიდენტ ფლორენსიო კამპომანესთან და ანატოლი კარპოვთან. მსოფლიო ჩემპიონი ამხელს მის წინააღმდეგ მიმართულ აქციებს. წიგნი შეუნელებელი ინტერესით იკითხება.

სამწუხაროდ, ჭადრაკის ისტორიაში ადრეც ყოფილა უსიამოვნო ინციდენტები. ეს ცხოვრებისეულია. მათ მაგალითზე კაცმა ჭკუა უნდა ისწავლო. გარი კასპაროვის წიგნმა ერთი უსიამოვნო კონფლიქტის ისტორია გამახსენა, რომელში გარკვევასაც მრავალი წელი მოვანდომე. მის შესახებ პირველად ვუამბობ ქართველ მკითხველს.

ეს ამბავი ჩვენი საუკუნის დამდეგს მოხდა.

1948 წელს თბილისელმა ოსტატმა ანდრეი სმორდოსკიმ მისახსოვრა ინგლისური საჭადრაკო ჟურნალი "ჩესს მანსლის" 1892 წლის კრებული, თან დასძინა:

— ამ კრებულის ივნის-ივლისის ერთობლივი ნომერი თითქმის მთლიანად ქართველ მოჭადრაკეს ანდრია დადიანს ეძღვნება. ყურადღება მიაქციე, იქნებ მოჰკიდო ხელი მისი ცხოვრება-შემოქმედების შესწავლა-გამომზეურებას.

ჟურნალში დაბეჭდილი იყო ანდრია დადიანის მოკლე ბიოგრაფია, მისი რამდენიმე პარტია, პარტიების დაბოლოებები და ერთი ამოცანა. გარეკანზე კი — ანდრიას ფოტოსურათი. ყველაფერს გულდასმით გავეცანი და შევუდექი დადიანზე სხვა მასალების ძებნა-შეკრებას. პირველად მ. საყვარელიძის "ჭადრაკში" (თბილისი, 1926 წ.) მივაგენი ანდრიას შემოქმედებით დახასიათებას. ეს წიგნი მაშინაც, როგორც ახლა, ბიბლიოგრაფიული იშვიათობა იყო (იგი 2-ათასიანი ტირაჟით გამოიცა).

მიხეილ ჩიგორინი

ანდრია დადიანი

სწორედ ამ პერიოდში, დიდი რუსი მოჭადრაკის მიხეილ ჩიგორინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, ჟურნალმა "შახმატი ვ სსსრ"-მა (1950 წ. №11) დაბეჭდა უხუცესი რუსი ოსტატის თევდორე დუზ-ხოტიმირსკის ვრცელი მოგონება.

1902 წლის სექტემბერში კიევში გაიმართა სრულიად რუსეთის მოჭადრაკეთა III ჩემპიონატი, რომელშიც მიხეილ ჩიგორინმაც მიიღო მონაწილეობა, თ. დუზ-ხოტიმირსკი წერს:

— იმ დროს კიევში ცხოვრობდა თავადი დადიანი-მინგრელსკი. ჩიგორინის ჩამოსვლამდე ცოტა ადრე მოხდა ინციდენტი საჭადრაკო წრესა და "ბრწყინვალე თავადს" შორის. კიევის გაზეთის საჭადრაკო განყოფილებაში, რომელსაც წრე ხელმძღვანელობდა, დაიბეჭდა თავადის მიერ წაგებული პარტია. ამ "შეურაცხყოფისთვის" დადიან-მინგრელსკიმ დუელში გამოიწვია წრის მმართველობის ყველა წევრი, რაც, რა თქმა უნდა, არ შემდგარა.

ჩიგორინის ჩასვლის მეორე დღეს თავადმა შინ მიიწვია მიხეილ ივანეს ძე, მაგრამ ჩიგორინმა შეიტყო ინციდენტის ამბავი და უარი თქვა სწვეოდა დადიან-მინგრელსკის. "მისი უდიდებულესობა" გაცოფდა და შურისძიება გადაწყვიტა. მალე მიეცა ამის შესაძლებლობა. 1903 წელს ჩიგორინი მიწვეული იყო მონტე-

კარლოს საერთაშორისო ტურნირში. მონაწილეთა სხდომაზე ტურნირის საპატიო თავმჯდომარემ თავადმა დადიან-ძინგრელსკიმ მოითხოვა ჩიგორინის გამოყვანა ტურნირიდან. თანაც განაცხადა, რომ სხვა შემთხვევაში უარს იტყვის თავმჯდომარეობაზე და უკან გაიტანს შემოწირულ 500 ფრანკს. მექარამ გაჭრა. კომიტეტმა დაუთმო თავადს და ჩიგორინი გარიცხეს ტურნირიდან.

ძალიან მეწყინა ამის წაკითხვა.

ანდრია დადიანი არისტოკრატიული ოჯახის შვილი იყო, დიდად განათლებული და დამსახურებული პიროვნება. იგი დაიბადა 1850 წლის 12 თებერვალს ზუგდიდში (გარდაიცვალა 1910 წლის 13 ივნისს კიევში) სამეგრელოს უკანასკნელი მოავრის დავით დადიანის ოჯახში. სამი წლის იყო, უმამოდ რომ დარჩა, მაგრამ დედამისმა, შესანიშნავმა მანდილოსანმა ეკატერინე ჭავჭავაძემ ბრწყინვალე განათლება მიაღებინა. ანდრია ჯერ ცარსკოე სელოს პაჟთა კორპუსში სწავლობდა, მერე ჰაიდელბერგის (გერმანია) უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1874 წლიდან რუსეთის არმიაში მსახურობდა, სადაც გენერალ-ლეიტენანტის წოდებამდე მიაღწია. მას კარგად იცნობდა ჭადრაკის სამყარო, როგორც მამა-პაპათა თამაშის დიდ ტრფიალსა და გულუხვ მეცენატს. სხვათა შორის, ახლობლები უსაყვედურებდნენ ჭადრაკით გატაცებას, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა. ანდრიას ხშირად იწვევდნენ დიდი ტურნირების პრეზიდენტად (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ). ის პირადად იცნობდა გამოჩენილ მოჭადრაკეებს, მიმოწერა ჰქონდა მსოფლიო ჩემპიონ ვ. სტეინიცთან. იმდროინდელ საჭადრაკო ჟურნალებში, განსაკუთრებით "სტრატეჟიეში" (საფრანგეთი) ხშირად იბეჭდებოდა მისი პარტიები, შენიშვნები. დადიანს დიდად ხიბლავდა კომბინაციური თამაში, ამიტომ ჩვევად ჰქონდა ტურნირებში ლამაზი პარტიისთვის საგანგებო პრიზის დაწესება. თავად არ მონაწილეობდა ოფიციალურ ტურნირებში, რაც მისი მდგომარეობისა და წრის კაცისთვის იმ დროს მიუღებელი იყო. მეტოქეებს ხვდებოდა ტურნირების თავკაცობის დროს, ანდა შინ, სადაც იწვევდა მათ საპაექროდ.

მაშინ, როცა თ. დუზ-ხოტიმირსკის მოგონებები დაიბეჭდა, ეს ყველაფერი არ ვიცოდი, მაგრამ ის, რაც "ჩესს მანსლში" მქონდა ამოკითხული, საკმარისი იყო, რომ ეჭვი შემეტანა უხუცესი ოსტატის მონათხრობში. საჭირო იყო შეხვედრა თვით თ. დუზ-ხოტიმირსკისთან. მას პირადად ვიცნობდი. 1948 წელს თბილისში ერთად ვმონაწილეობდით ამიერკავკასიის VI ჩემ-

პიონატში, მაგრამ მაშინ არ ვიცოდი ოუ იცნობდა იგი ანდრია დადიანს.

1953 წელს თ. დუზ-ხოტიმირსკიმ გამოსცა მოგონებათა წიგნი "იზბრანიე პარტიი", სადაც კვლავ ავად მოიხსენია დადიანი. ამჯერად მას დააბრალა, თითქოს ჩიგორინს იმიტომ იწვევდა შინ, რომ მოლაპარაკებოდა გარკვეული გასამრჯელოს ფასად დაეთმო პარტიები, რომლებსაც შემდეგ გამოაქვეყნებდა მკვეხარა შენიშვნებით. დუელს ისიც დაუმატა, თითქოს დადიანი შეეცადა საცემრად დუზ-ხოტიმირსკის შეტყუებას.

საჭირო იყო ჭეშმარიტების დადგენა. ცნობილი ქართველი მწერალი სოლომონ ცაიშვილი, რომელიც გულმხურვალედ მეხმარებოდა რჩევა-დარიგებით, მირჩევდა დროულად შევდგომოდი ანდრია დადიანის არქივის შესწავლას ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ვიდრე ასე მოვიქცეოდი, თ. დუზ-ხოტიმირსკის შევხვდი. ჩემი გულისწყრომის მიზეზი რომ ვუთხარი, აი, რა მიამბო:

— დადიანს როგორც გენერალს, ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობა არ შეეძლო, ამიტომ ძლიერ მოჭადრაკეებს შინ იწვევდა სათამაშოდ. მეც, 23 წლის ახალგაზრდა, ხშირად ვყოფილვარ მასთან. იმ დროს გემებისა და კარჭაპების მტვირთავად ვმუშაობდი. დადიანი მუდამ სტუმართმოყვრულად მღებულობდა. სადილადაც დავრჩენილვარ მის ოჯახში.

ერთხელ მატჩი ვითამაშეთ. თერთმეტი პარტიიდან დადიანმა მხოლოდ სამი მომიგო, დანარჩენი წააგო. ერთ პარტიაში კი ლამაზად გაიმარჯვა. მას ჩვეულებად ჰქონდა: კარგ პარტიას თავისი შენიშვნებით პარიზში, ჟურნალ "სტრატეჟიეს" რედაქციაში გზავნიდა, სადაც მეგობრები ჰყავდა. ეს პარტიაც იქ გაგზავნა.

რედაქციას პარტიის ის ფინალი მოსწონებია, რომელიც შეიძლება გამოსულიყო, დადიანს სხვა სვლა რომ გაეკეთებინა. ჟურნალმა აიღო და პარტია ამ შესაძლებელი გაგრძელებით დაბეჭდა.

ეს ამბავი ძალიან მეწყინა. ანდრიასაც გაუკვირდა. ასე არ გამიგზავნიაო. ჩემს ზოგიერთ მეგობარს დადიანი არ ეჭაშნიკებოდა. ისინი შემომიჩდნენ, სამაგიერო გადაუხადე, მასთან ყველაზე კარგად მოგებული პარტია გაზეთში დაბეჭდეო. უარზე ვიყავი, მაგრამ მაინც თავისი გაიტანეს.

რა იქმა უნდა, თავმოყვარე დადიანს ეს არ ესიამოვნა, მაგრამ იუმორის გრძნობა არ დაუკარგავს: შესაშინებლად "მტრები" დუელში გამოიწვია. მან კარგად იცოდა, რომ დუელმა თავისი დრო მოჭამა და არ შედგებოდა. ისე კი ყველა გვარიანად დაგვაფრთხო.

— მართლა უნდოდა თქვენი ცემა?

— როგორ გითხრათ, გემუქრებაო, მითხრეს ამხანაგებმა.

— ეს ყველაფერი ძალიან საინტერესოა, მაგრამ წიგნში ასე რატომ არ წერია. მონტე-კარლოს ინციდენტის თაობაზე რას იტყვით, თქვენ დაესწარით მას?

— არ დავსწრებივარ, სხვებისგან ვიცი.

— მიხეილ ჩიგორინს თუ უამბია თქვენთვის?

— ჩიგორინი უენო, თავმოყვარე კაცი იყო. შეკითხვა ვერ გავუბედე.

— ხომ არ დაგვიწერდით "ლელოში", რაც ახლა მიამბეთ.

— რატომაც არა.

მაგრამ ამაოდ ველოდი თ. დუზ-ხოტიმირსკის წერილს (იგი გარდაიცვალა 1965 წელს 86 წლის ასაკში).

მერე ზუგდიდის მუზეუმში ანდრია დადიანის არქივში, მოულოდნელად წავაწყდი თ. დუზ-ხოტიმირსკის მონანიების, აი, ამ ბარათს:

"მის ბრწყინვალებას, ბრწყინვალე თავადს დადიან-მინგრელსკის!

გულწრფელად გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, მაპატიოთ ჩემი დაუდევრობა, კიევის გაზეთში თქვენი პარტიის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

თქვენი ღრმა პატივისმცემელი, თქვენო ბრწყინვალებავ, დუზ-ხოტიმირსკი".

ჩანს, მოხუცმა ოსტატმა მოიტყუა ჩემთან საუბარში, არ ეგონა თუ ეს ბარათი "ცოცხალი" იქნებოდა. ირკვევა, რომ პარტიის გამოქვეყნების თაოსანი თავად იყო, ჩიგორინსაც მან გადაჰკიდა დადიანი.

მიხეილ ჩიგორინი და ანდრია დადიანი კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. მათ ერთად საკონსულტაციო პარტიები აქვთ ნათამაშევი ცნობილი ფრანგი მოჭადრაკის არნუ დე რივერასა და სხვების წინააღმდეგ. ამ შეხვედრებიდან ორი პარტიის ლამაზი ფინალი დაიბეჭდა პეტერბურგელი მაესტროს ე. შიფერსის მიერ შედგენილ წიგნში "ფლნს დე პარტიე დუ პრინსე დადიან დე მინგრელიე" (კიევი, 1903 წ.). ამ და სხვა პარტიების ტექსტები დადიანის არქივში ინახება. ამიტომ როდია გასაკვირი, რომ ანდრიამ შინ სტუმრად მიიწვია ჩიგორინი (1895 წლიდან დადიანი კიევში ცხოვრობდა).

თ. დუზ-ხოტიმირსკიმ და მისმა ამხანაგებმა საჭადრაკო წრიდან ისე უამბეს ჩიგორინს თავიანთი კონფლიქტის ამბავი, რომ იგი სასტიკად აამხედრეს დადიანის წინააღმდეგ. ცეცხლს ნავთი გადაასხეს, როცა გააფრთხილეს: შინ იმიტომ გიწვევთ, რომ პარტიები დაუთმოთ. ჩიგორინმა დაიჯერა ნაამბობი და დადიანს სტუმრობაზე უარი შეუთვალა. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ თავმოყვარე ანდრია განარისხა

უსინდისო ბეზღებამ და ცილისწამებამ.

ამ კონფლიქტს მოჰყვა ახალი ინციდენტი მონტე-კარლოს 1903 წლის ტურნირში. ანდრია დადიანმა ვერ აპატია ჩიგორინს, უფრო სწორად, ვერ მოერია საკუთარ გრძნობებს. ახლობლების მოგონებებიდან ჩანს, რომ იგი თავისებური ადამიანი იყო, დაუდგრომელი და მოუსვენარი, უცნაურიც. და მაინც საწყენია, ის, რაც მონტე-კარლოში მოხდა. ამ ინციდენტმა ჩირქი მოსცხო მას. რუსეთის საზოგადოებრიობამ აითვალწუნა იგი.

1956 წელს 24-ე საკავშირო ჩემპიონატის თბილისის ნახევარფინალისადმი მიძღვნილ სპეციალური ბიულეტენის ერთ-ერთ ნომერში გამოვაქვეყნე წერილი ანდრია დადიანის შესახებ. მას მყისვე მოჰყვა რეაქცია. თავს დამესხა ჟურნალი "შახმატი ვ სსსრ" (1957 წ., №7). მერე იმის გამო, რომ გამოსაცემად ვამზადებდი წიგნს ანდრიას შესახებ, შემომიტია საერთაშორისო ოსტატმა ვ. პანოვმა ("შახმატი ვ სსსრ", 1962 წ., №11), რომელმაც წერილი ასე დაასათაურა — "ყურადღება! თავადი!". მათ, ვინც მიკიჟინებდა, ვეუბნებოდი: რა მოხდა, ლევ ტოლსტოი მთლად გრაფი იყო-მეთქი, ალიოხინი რენეგატად მიგაჩნდათ და ყველაფერი აპატიეთ, განა ანდრია დადიანმა რა დააშავა ისეთი, რომ შენდობა არ შეიძლება?

ვ. პანოვის წერილს გამოეხმაურა ჭადრაკის გამოჩენილი ისტორიკოსი, პირველი საბჭოთა ოსტატი პ. რომანოვსკი. მან მომწერა: "გულს ნუ გაიტეხ, მათ არ იციან ისტორია. განაგრძე კვლევაო". თანაგრძნობისათვის მადლობა შევუთვალე და ვთხოვე დამხმარებოდა მონტე-კარლოს კონფლიქტის გარკვევაში. პ. რომანოვსკიმ რამდენიმე ევროპული ენა იცოდა და საკითხის შესწავლას დამპირდა იმდროინდელი საჭადრაკო ჟურნალების მიხედვით.

1963 წლის მიწურულს მოსკოვში შინ ვეწვიე პეტრე არსენის ძეს.

— გამოკვლევა დავასრულე. დავწერ, გადავბეჭდავ და ერთ ცალს გამოგიგზავნით, — დამპირდა იგი. — მანამდე მოკლედ გიამბობთ, რაც დავადგინე.

აი, ეს ნაამბობი:

— მონტე-კარლოს მესამე ტურნირის ორგანიზატორები კარგად იცნობდნენ ანდრია დადიანს. ეამაყებოდათ მასთან ურთიერთობა. იგი მეცენატობდა მათ. როგორც ჩანს, მათ არაფერი იცოდნენ დადიანსა და ჩიგორინს შორის გამწვავებული ურთიერთობის თაობაზე, თორემ ერთად, არ მიიწვევდნენ მონტე-კარლოში. შეიქმნა უხერხული სიტუაცია. დადიანმა კომიტეტის წევრებს განუცხადა, რომ არ შეუძლია უპ-

რეზიდენტოს ტურნირს, რომლის მონაწილეთა შორის ჩიგორინი იქნება. ორგანიზატორები საგონებელში ჩავარდნენ. შერიგებაც სცადეს. ბოლოს გადაწყვიტეს ეყარათ კენჭი ვინ დარჩენილიყო. კომიტეტში ცამეტი წევრი ირიცხებოდა. 12 ხმა თანაბრად გაიყო. გადამწყვეტი სიტყვა მონტე-კარლოს ტურნირის ორგანიზატორს, 73 წლის არნუ დე რიეერას უნდა ეთქვა. ფრანგი რიეერა კარგად იცნობდა დადიანსა და ჩიგორინს — 1885 წელს ჩიგორინთან მატჩიც კი ჰქონდა ნათამაშევი, მაგრამ მან ხმა დადიანს მისცა. ჩიგორინი იძულებული იყო დაეტოვებინა ტურნირი. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა ჭადრაკის იტორიაში, რასაც, ცხადია, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ზოგი ჟურნალი ორივეს — დადიანსა და ჩიგორინს ამტყუნებდა, ზოგი მხოლოდ დადიანს, ზოგიც — საორგანიზაციო კომიტეტს. ჭადრაკის დიდმა თაყვანისმცემელმა, აკადემიკოსმა ანდრეი მარკოვმა პეტერბურგში ჩიგორინის მხარდასაჭერად საპროტესტო სადილიც კი გამართა. საინტერესოა ასეთი დეტალი: საორგანიზაციო კომიტეტმა მთლიანად აუნაზღაურა ჩიგორინს გზისა და მონტე-კარლოში ყოფნის ხარჯი (1500 ფრანკი), რომელიც დადიანმა გაიღო და რომლის შესახებ ჩიგორინმა არაფერი იცოდა. აი, ეს ყველაფერი დუზ-ხოტიმირსკის უკეთურობამ, დაუფიქრებელმა საქციელმა გამოიწვია.

1964 წლის დასაწყისში 72 წლის ასაკში პეტრე რომანოვსკი გარდაიცვალა და დაპირებული სტატია ვეღარ მივიღე. მაგრამ, როგორც ჩანს, მან მოასწრო ზოგი გამომცემლის გაფრთხილება, რომ მონტე-კარლოს უსიამოვნო ინციდენტი დავიწყებას უნდა მიეცეს. ეს ვიგრძენი, როდესაც "შახმატნი სლოვარში" (მოსკოვი, 1964 წ.) გამოქვეყნებულ ჩემს სტატიაში საქართველოს ჭადრაკის ისტორიაზე უცვლელად დატოვეს ანდრია დადიანისადმი მიძღვნილი სტრიქონები. ეს კი შერიგებას ნიშნავდა. 1972 წელს "ლელოს" ბიბლიოთეკის სერიით "საბჭოთა საქართველომ" გამოსცა ჩემი წიგნი "თამაშობს ანდრია დადიანი".

მერე სქელტანიანმა "შახმატი. ენციკლოპედიჩესკი სლოვარ"-მა (მოსკოვი, 1990 წ., გამომცემლობა "სოვეტსკაია ენციკლოპედია") უკვე ცალკე სტატია მიუძღვნა ანდრია დადიანს, როგორც "პირველ ქართველ მოჭადრაკეს, რომელიც გაიცნო რუსეთმა და ევროპამ".

ლეგენდად შემორჩა ხსოვნას

ყოველ ქართულ სოფელს აქვს რაიმე თავმოსაწონი, აქვს იგი დერჩსაც. ქუთაისი-ამბროლაურის გზაზე, მექვენასთან გაღმა მთაზე შეფენილ სოფელს, სადაც შუასაუკუნისდროინდელი ნათლისმცემლის ეკლესია დგას. მას ბევრი დააკლო ჟამთასვლამ, მაგრამ შთამომავლობას საამაყოდ მაინც შემორჩა, როგორც ლეჩხუმის ისტორიული წარსულის მოწმე.

1953 წელს, პირველად რომ ვეცნობოდი ამ ტაძარს, ჩემმა მასპინძელმა, დერჩის საშუალო სკოლის მაშინდელმა დირექტორმა, საქართველოს დამსახურებულმა მასწავლებელმა შალვა კაკიტაძემ მითხრა:

— ალბათ, თქვენ, როგორც ჩვენში ჭადრაკის წარსულის მკვლევარს დაგაინტერესებთ, რომ ამ ეკლესიის ეზოში დაკრძალულია რაჭა-ლეჩხუმის განთქმული მოჭადრაკე ქალი ფოტინე ასათიანი.

ეს სახელი ადრე არ მსმენოდა. მაშინვე მოვიკითხე, თუ დარჩა ფოტინეს ვინმე-მეთქი? როგორ არა, ღრმად მოხუცებული შვილიშვილი დავით ასათიანი. იგი იქვე ეკლესიის გადაღმა, შემაღლებაზე, მამა-პაპათა სახლში ცხოვრობს თურმე.

ფოტინეს შვილიშვილს მეორე დღეს ვეწვიე. 85 წლის მოხუცი აღმოჩნდა, ასაკისათვის საკმაოდ

ფოტინე ჩიქოვანი-ასათიანისა

მხნე და მოძრავი. ტარტუს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი თითქმის ნახევარი საუკუნე პროვიზორად მუშაობდა ბაქოსა და თბილისში. ბოლოს მექვენაში გამართა აფთიაქი.

— არასოდეს ვიფიქრებდი, რომ ოდესმე ვინმეს გაახსენდებოდა ფოტინე ბებია, — გვითხრა ოდნავ აფორიაქებულმა ბატონმა დავითმა. როცა ჩვენი სტუმრობის მიზეზი შეიტყო. — ძალიან გამახარეთ, ღმერთმანი, მადლობის მეტი რა მეთქმის.

სტუმარ-მასპინძელი სავარძლებში მოვკალათდით.

— ბებია ფოტინე, მართლაც, ჭადრაკის დიდი ქომაგი იყო. ღრმად მოხუციც ერთობოდა თამაშით. მან დიდხანს, 95 წელიწადს იცოცხლა. დაიბადა 1812 წელს, გარდაიცვალა 1907 წელს. ყველა შვილიშვილს გვასწავლა ჭადრაკი. მათ შორის იყვნენ შემდგომში ცნობილი მოღვაწენი — აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი, მწერალი დესპინე გელოვანი (ლაჯანელი ბანოვანი) და ჟურნალისტი შამშე ასათიანი. ბებიას თავისი ჭადრაკი ჰქონდა. იგი მზითვად მოჰყვა.

ფოტინეს მამა გრიგოლ ჩიქოვანი ლეჩხუმელი თავადი გახლდათ, სოფელ უცხერიდან. ახალგაზრდობაში გრიგოლი იმერეთის მეფის სოლომონ პირველის კარზე იყო. ჩანს, ჭადრაკი სასახლეში ისწავლა. სწორედ მან შეაყვარა თამაში ფოტინეს და მის ძმას ვარადებულს. სხვათა შორის, არსებობს მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში ქუთაისში გადაღებული ფოტო, რომელზეც აღბეჭდილი არიან ვარადებული და ქუთაისი-ონის შარაგზის გამყვანი, ცნობილი ინჟინერი გიორგი ბებურიშვილი ჭადრაკის თამაშის დროს (იხ. "მატიანე" I, გვ. 21). იგი უცხერში უნდა იყოს დაცული.

ბატონი დავითი მეზობელ ოთახში გავიდა. იქიდან ჭადრაკი გამოიტანა.

— აი, ეს არის ფოტინე ბებიას ნაქონი ჭადრაკი, — თქვა მან. — მაგრამ არა ის ჭადრაკი, მზითვად რომ მოჰყვა. ნამზითვი თავის ქალიშვილს გაატანა. ეს ჭადრაკი მე ჩამოვუტანე ტარტუდან. რა თქმა უნდა, ბებიამ არ იცოდა თამაშის თეორია, არც პარტიის ჩაწერა, მაგრამ თამაშზე საკუთარი შეხედულება ჰქონდა. თამაშს მუდამ მხედრებით იწყებდა. ამბობდა, ქართველები ასე უნდა თამაშობდნენო. მისგან მომისმენია, რომ კარგ მოჭადრაკეებს ხვდებოდა ქუთაისში გენერალ გრიგოლ დადიანის სალონში. თავს იწონებდა იმით, რომ ერთხელ ცნობილ პოეტს და ჭადრაკის ძლიერ მოთამაშეს მამია გურიელს მოუგო. მაშინ მამია გურიელი დიდად პოპულარული იყო. მას მეტოქეობა გაუწევია თვით ანდრია დადიანისთვის, იმდროინდელი სასიქადულო ქართველი მოჭადრაკისთვის. გენერალიც ჭადრაკის დაუოკებელი ქომაგი ყოფილა. ერთხელ დერჩშიც ამოსულა ბებია ფოტინესთან საპაექროდ.

ღრმა სიბერეშიც ბებია ფოტინე სიამოვნებით თამაშობდა, მუდამ მეტოქის ძებნაში იყო. დასანანია, რომ მისმა ნიჭმა ვერ ჰპოვა გასაქანი, თუმცა მაშინ ვის აინტერესებდა ეს.

ასე სეზდანარევი სიტყვით დაასრულა თხრობა ბატონმა დავითმა. გამოთხოვებისას თავისი მოჭადრაკე

ბებიის ფოტოსურათი მისახსოვრა. ძველ ქართულ ჩიხტიკოპიან სამოსში გამოწყობილი თავადის ქალი ტოვებს გონიერი და დარბაისელი ქაროველი მანდილოსნის შთაბეჭდილებას. ჩვენც სწორედ ასეთი წარმოგვედგინა იგი.

თბილისში რომ დავბრუნდი, შინ ვეწვიე აკადემიკოს გიორგი ახვლედიანს. დიდად ესიამოვნა, ფოტინე ბებია რომ გავახსენე.

— ბებიაჩემი ფოტინე ჭკვიანი ქალი იყო. ნაკითხი გახლდათ. ჭადრაკი თავდავიწყებამდე უყვარდა. შვილიშვილებს და სოფლის ბავშვებსაც გვასწავლიდა თამაშს, — გაიხსენა მან.

მერე უცხერელი ჩიქოვანების სახლიშვილმა ქალბატონმა ძაძუმ მისახსოვრა ზემოხსენებული ვარადებულ ჩიქოვანისა და გიორგი ბებურიშვილის ჭადრაკთან გადაღებული ფოტოსურათი. კვლევამ კი გამაცნო გიორგი ბებურიშვილი, როგორც განსწავლული ინჟინერი და ძლიერი მოჭადრაკე. ანდრია დადიანის არქივში დაცულია მათ მიერ ნათამაშები პარტიის ჩანაწერი. ცაგერის რაიონში ამჟამადაც არის "ბებურიშვილის წყარო", რომელიც ამ კეთილ მამულიშვილს გაუკეთებია.

სოფელ დერჩში ახლაც ახსოვთ კეთილი ფოტინე ბებია. არ მოშლილა მისი ოჯახის ფუძე. ამჟამად მას შვილიშვილის შვილი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლევან ასათიანი უძღვება.

გ. ახვლედიანის სახელობის დერჩის საშუალო სკოლის დირექტორმა, პოეტმა გელა კაკიტაძემ ასეთი ლექსი უძღვნა სოფლის საამაყო მანდილოსანს.

თავადის ქალს

ნათლისმცემელის ეკლესიაზე
უძველეს მუხებს ანვალებს ქარი...
აქ გრძელი კაბით დაბრძანდებოდა
თავადის ქალი

ბედმა არგუნა დერჩის მინაზე
სამარადისო თავშესაფარი..
ჭადრაკის მღერით განვლო სიცოცხლე,
როგორც ზღაპარი..

დიდი თავადის ლამაზ მეუღლეს,
ღარიბებისკენ ეჭირა თვალი...
უპოვართათვის სცემდა საჩუქარს
ვით დედოფალი...

ის მოჭადრაკე იყო უებრო,
ერკინებოდა გრიგოლ დადიანს.
თუ ნააგებდა, ვერვინ ნახავდა
იმას დარდიანს...

დიდ ქალბატონის ობოლ საფლავზე
დღითა და ღამით ქვითინებს ქარი..
ნმინდა სანთლებით აქ ლოცულობდა
თავადის ქალი.

1996 წ.

დიდბუნებოვანი ფოტინე ჩიქოვანი-ასათიანის სახელი ამშვენებს ქართული ჭადრაკის წარსულს. იგი ლეგენდად დარჩა დერჩელების ხსოვნაში.

ტრადიციის სათავესთან

თბილისის ვაჟთა ჩემპიონატების ისტორია 1926 წელს დაიწყო, თუმცა საქალაქო ტურნირები მანამდეც იმართებოდა.

პირველი ცნობა თბილისის უძლიერესი მოჭადრაკის შესახებ პირველად XIX საუკუნის 70-იან წლებში გამოჩნდა. იგი მოყვარულთა ტურნირებში გამარჯვებული ვექილი ა. სმიტენი იყო. მას ორჯერ (1878, 1888 წწ.) მოუგო მატჩი სასიქადულო ქართველმა მოჭადრაკემ ანდრია დადიანმა, რომელიც იმხანად პეტერბურგში ცხოვრობდა. 90-იან წლებში დადიანმა იმდროინდელი თბილისის უძლიერესი მოჭადრაკე ი. ერდელიც დაამარცხა.

პირველი საქალაქო ტურნირი 1920 წელს გაიმართა. ბრძოლაში 25 მოჭადრაკე მონაწილეობდა. პირველობა არავის დაუთმო გამოცდილმა ხარლამპი სირბილაძემ. მოყვარულთა ტურნირები შემდგომშიც ეწყობოდა. ცნობილია, რომ 1922 წლის ტურნირში გაიმარჯვა უნგრელმა მილოშ იოგანმა, 1923-24 წლებისაში ანდრეი სმოროდსკიმ, 1925 წლისაში ვართან აღამალიანმა.

სამწუხაროდ, ამ ტურნირების ცხრილები არ შემონახულა. ერთი მათგანი, მგონი 1923 წლის, სმოროდსკისთან ვნახე. მახსოვს, რომ ორწრიან ტურნირში 8 მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის მხოლოდ ორი ქართველი იყო — ვინმე გიორგაძე და გუგუშვილი. მერე ამაოდ ვეძებდი მათ კვალს.

შ. ინწკირველის აზრით, ზემონახსენები ტურნირები თითქოს თბილისის ჩემპიონატები გახლდათ, თუმცა ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი იმ ინფორმაციაში, რომელიც მას მოჰყავს ("ახალგაზრდა კომუნისტი", 1983 წ. 6 სექტემბერი) ჟურნალ "შახმატნი ლისტოკიდან".

ეს არ შეიძლება ყოფილიყო ჩემპიონატები, რადგან ისინი უსაათოდ, უდებულებოდ და რეგლამენტის დაუცველად ტარდებოდა. ამიტომ კურიოზებსაც ჰქონდა ადგილი. ამაზე უამბიათ ჩემთვის ა. სმოროდსკის, ვ. გოგლიძესა და ნ. სოროკინს.

ცნობილი მოჭადრაკე ვახტანგ ერისთავი წერდა "მოჭადრაკის მოგონებებში" (ჟურნალი "ცისკარი", №9. 1966 წ.): "თბილისის 1926 წლის ჩემპიონატი იყო პირველი სერიოზული ტურნირი იმ მხრივ, რომ ის სავსებით აკმაყოფილებდა საქალაქო ჩემპიონატის ყველა სავალდებულო მოთხოვნასა და წესს. ჩემპიონატს ჰქონდა დებულება, რეგლამენტი და პრიზებიც კი პირველ 8 გამარჯვებულისთვის. რა თქმა უნდა, თამაშობდნენ საათებით".

თბილისის I ჩემპიონატის მონაწილენი (მათგან რამდენიმე აკლია), მსაჯები და ორგანიზატორები.

მარცხნიდან სხედან – იოგანი, კავკასიძე, ადამალიანი, ვეიზერი, ერთ-ერთი ორგანიზატორი, კასპარიანი, გოგლიძე, დანილოვი, ზავადსკი; დგანან – სმოროდსკი, მ. საყვარელიძე (პირველი ქართული სახელმძღვანელოს "ჭადრაკის" ავტორი), მკრტუმოვი, ა. პეტროკოვსკი, კორსუნსკი, მარტიროსოვი, ჰეინე, კარლინსკი, დ. სამუშია.

ვ. ერისთავი აღნიშნავს, რომ ჩემპიონატში 18 მონაწილე იყო, მათ შორის ოთხი ქართველი ვიყავითო – გოგლიძე, ნაკაშიძე, კავკასიძე და მეო. მერე გვიამბობს: "ლევან ნაკაშიძე, ცნობილი ქართველი ჟურნალისტის ილია ნაკაშიძის ძმა, კარგი მოჭადრაკე იყო, მაგრამ მაშინ უკვე ხანში შესულმა, ვერ გაუძლო დაძაბულ თამაშს ტურნირში, კარგად იწყებდა, მაგრამ ბოლოს იღლებოდა და აგებდა. ექვსი ტურის შემდეგ მან უარი განაცხადა თამაშის გაგრძელებაზე". ჩანს, ჩემპიონატი კიდევ ერთმა მონაწილემ მიატოვა, მაგრამ ამაზე ვ. ერისთავი არაფერს ამბობს.

თბილისის პირველ ჩემპიონატს უმასპინძლა მუშათა კლუბმა, რომელსაც საქართველოს ფილარმონიის საზაფხულო თეატრის შენობაში (დავით აღმაშენებლის გამზ., 123) ედო ბინა.

გთავაზობთ ამ ისტორიული ჩემპიონატის შედეგების ცხრილს:

თბილისის I ჩემპიონატი

მაისი-ივნისი, 1926 წ.

1.	ა. სმოროდსკი	●	½	½	1	½	½	1	1	1	1	1	1	1	1	1	13
2	ვ. გოგლიძე	½	●	0	0	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	12½
3.	მ. იოგანი	½	1	●	½	½	1	½	½	1	1	1	0	½	1	1	11
4.	ვ. აღამალიანი	0	1	½	●	1	1	1	1	1	1	0	1	0	0	1	10½
5.	პოპოვი	½	0	½	0	●	0	1	1	½	0	1	1	0	1	1	8½
6.	ბ. ვეიზერი	½	0	0	0	1	●	½	1	0	½	1	.½	1	½	½	8
7.	მ. დანილოვი	0	0	½	0	0	½	●	0	1	1	1	1	½	1	½	8
8.	მარტიროსოვი	0	0	½	0	0	0	1	●	0	½	1	1	1	1	1	0 7
9.	ხაინაცკი	0	0	0	0	½	1	0	1	●	1	1	0	1	0	½	1 7
10.	ვ. ერისთავი	0	0	0	0	1	½	0	½	0	●	0	1	1	1	1	1 7
11.	კარლინსკი	0	0	0	1	0	0	0	0	0	1	●	0	1	1	1	1 6
12.	მკრტუმოვი	0	0	1	0	0	½	0	0	1	0	1	●	½	0	1	1 6
13.	ლ. კორსუნსკი	0	0	½	1	1	0	½	0	0	0	0	½	●	½	½	1 5½
14.	ᲐᲐ. კასპარიანი	0	0	0	1	0	½	0	0	1	0	0	1	½	●	0	½ 4½
15.	ა. კავკასიძე	0	0	0	0	0	½	½	0	½	0	0	0	½	1	●	1 4
16.	ფრანგულიანი	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	0	0	½	0	● 1½

თბილისის მომდევნო ჩემპიონატების შედეგები მოცემულია "ქართული ჭადრაკის მატიანეს" პირველ წიგნში (გვ. 67-76, 301).

ყურადღება მიაქციეთ, რომ 70-ე გვერდზე შეცდომით გამეორებულია თბილისის 1946 წლის ჩემპიონატის შედეგები (XIX. 1947), რაც ამოსაღებია. 1947 წელს ჩემპიონატი არ გამართულა. სამაგიეროდ, შესატანია XXXI ნომრად წიგნში გამოტოვებული 1961 წლის (13.12.1960 – 10.01.1961) ჩემპიონატის შედეგები:

ა. იზვოზჩიკოვი 10½ 15-დან, ე. მიქაელიანი 10, გ. გამრეკელი 9½, ი. ჩიქოვანი 9, თ. ლომაია, დ. ჯანოევი 8½, გ. ეგიაშვილი, თ. კიკიანი, გ. კალატოზიშვილი 8, მ. თხელიძე 7½, ა. მეგრელიშვილი 6½, ს. მეგრელიშვილი 6, ო. ელიოზიშვილი 5½, ნ. ტურიაშვილი, თ. ჩიკვაიძე 5, გ. სტეფანიშვილი 4½.

ცხადია, რომ ამის მერე შეიცვლება ჩემპიონატების ნუმერაცია XIX-დან XXXII-მდე.

იმედიანი გარიჟრაჟი

1926 წლის გაზაფხულზე თბილისში პირველად მოეწყო მასობრივი საჭადრაკო შეჯიბრება, რომელშიც 600-ზე მეტმა ქალმა და კაცმა მიიღო მონაწილეობა. თამაშის მსურველნი იმდენი აღმოჩნდა, რომ საქართველოს პროფკავშირების იმდროინდელი სახლის დარბაზმა (ამჟამად სასტუმრო "თბილისის" რესტორანი) ძლივს დაიტია. მონაწილენი საპაექროდ თავიანთი ჭადრაკებით მოვიდნენ.

-- ჩემი შშობლები არცთუ ურიგოდ თამაშობდნენ. ამიტომ ვთხოვე მათაც მოესინჯათ ძალა. მამა სწრაფად გამოეთიშა შეჯიბრებას, დედა ბოლომდე იბრძოდა და გაიმარჯვა კიდეც. – გაიხსენა ცნობილმა ვეტერანმა ძალოსანმა, სპორტის ოსტატმა და საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა კოტე ზაუტაშვილმა.

ამ დიდმა მასობრივმა ასპარეზობამ ფართო საზოგადოებას ნიჭიერი მოჭადრაკეები: ელენე ზაუტაშვილი, ვარვარა ზარგარიანი, ჰენრიხ კასპარიანი და სხვები გააცნო. იმავე წელს სათავე დაედო თბილისის ვაჟთა, ხოლო 1927 წელს ქალთა ჩემპიონატების გამართვის ტრადიციას.

ელენე ზაუტაშვილმა თბილისის პირველ ჩემპიონატშიც გაიმარჯვა. ეს უკვე აღარ იყო სენსაცია. პირველი ჩემპიონის თამაში საერთო მოწონებით სარგებლობდა. სასიქადულო ქართველი მოჭადრაკე ვ. გოგლიძის სიტყვით, ელენე კარგად ერკვეოდა რთულ პოზიციებში, გაბედულად წარმართავდა იერიშს.

ელენე ზაუტაშვილი

ელენე ტატიშვილი (1888-1948) ჭადრაკს 19 წლისა დაეუფლა. მაშინ ვენის (ავსტრია) უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. სწორედ აქ დაუკავშირა მან თავისი ცხოვრება გიორგი ზაუტაშვილს (1888-1958), რომელიც ჭადრაკის დიდი მოყვარული გახლდათ. სამშობლოში დაბრუნებამდე ელენე ხშირად ეპაექრებოდა ქართველ და უცხოელ

კოლეგებს. მერე, როცა ორი შვილის დედა გახდა, საამისოდ დრო აღარ რჩებოდა, თუმცა მაშინ ქალთათვის ტურნირი არ იმართებოდა. ამიტომ შინ ნაცნობ-მეგობრებთან პაექრობით კმაყოფილდებოდა.

პირველმა თვალსაჩინო წარმატებამ დიდი სიხარული მოუტანა ელენე ზაუტაშვილს. იგი ხალისით მონაწილეობს ტურნირებში.

დიდი ბრძოლა გადაიტანა პირველმა . ქართველმა ჩემპიონმა. თბილისის 1928 წლის ჩემპიონატში. სტარტი 10 მოჭადრაკემ აიღო, რომელთა შორის ახალგაზრდა ქართველებიც იყვნენ — ნატა ცნობილაძე, დვალიძე, ლომინაძე, ლომური და ჯანდიერი (იგი ადრე გამოეთიშა შეჯიბრებას). ამჯერად ელენე ზაუტაშვილმა მხოლოდ მესამე ადგილი (4½ ქულა) დაიკავა. მას გაასწრეს ვარვარა ზარგარიანმა (8 ქულა) და ნადია სოროკინამ (6½ ქულა).

მალე ელენეს მძიმე ავადმყოფობამ დარია ხელი და ჭადრაკს მთლიანად ჩამოსცილდა. 1930 წლიდან გარდაცვალებამდე იგი სარეცელს იყო მიჯაჭვული.

— დედას ავადმყოფობის დროსაც არ განელებია ჭადრაკისადმი ინტერესი. გაფაციცებით ადევნებდა თვალს ქართველ მოჭადრაკეთა გამოსვლებს, უხაროდა მათი გამარჯვებები. ჩვენ ვუკითხავდით გაზეთებს და მუდამ საჭადრაკო ცხოვრების კურსში გვყავდა, — გაიხსენა ელენეს ქალიშვილმა ვ. სარაჯიშვილის სახელობის საშუალო სპეციალური მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგმა, საქართველოს დამსახურებულმა მასწავლებელმა თინათინ ზაუტაშვილმა.

თბილისის პირველი ჩემპიონის სახელი ყოველთვის მოგვაგონებს საქართველოს მოჭადრაკე ქალთა შესანიშნავი მიღწევების იმედიან გარიჟრაჟს.

იმ შორეულ წლებში

საქართველოს ქალთა II (1936 წ.) ჩემპიონატის მონაწილენი

1972 წლის აგვისტოს დამლევს ბათუმში ყოფნისას ხანდაზმულმა ბათუმელმა მოჭადრაკემ ევა შიოშვილმა შინ მიმიწვია და ეს ფოტოსურათი მისახსოვრა.

— ამ სურათზე საქართველოს ქალთა პირველი ჩემპიონატის მონაწილენი ვართ, — მითხრა ქალბატონმა ევამ და თითოეული მათგანი დაასახელა.

აი, ისინიც: (მარცხნიდან) სხედან — ივანოვა (მასწავლებელი თელავიდან, ეროვნებით გერმანელი), ევდოკია პოპოვა (ფოთი), ვარვარა ზარგარიანი (თბილისის და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი), ნადია სოროკინა (ოსტატ ნ. სოროკინის მეუღლე, მხატვარი. მისი ქალიშვილობის გვარია მაქსიმოვიჩი), ლიზა მარქაროვა (თბილისი), ფანი კაცი (ბათუმი. საქართველოს პირველი ჩემპიონი); დგანან — ავდალიანი (მოშაშეთა ტურნირის მონაწილე), მე, მერე უცნობი მანდილოსანი და ბერტა კრეზბერგი (თბილისი, მეორე ჩემპიონატში გამარჯვებული).

ეს ფოტოსურათი მაშინ გამოვაქვეყნე "ლელოში" (1976 წლის 7 მარტის ნომერში), როცა თბილისის და საქართველოს ქალთა ჩემპიონატების ისტორიის შესწავლას შევუდექი. გულმოდგინედ გავეცანი

იმდროინდელ ცენტრალურ პრესას ("კომუნისტი", "ზარია ვოსტოკა", "მუშა", "ახალგაზრდა კომუნისტი", "ფიზკულტურელი" და სხვა.), რასაც საკმაო დრო დასჭირდა.

კვლევა-ძიებისას აღმოვაჩინე, რომ ბათუმში ნაჩუქარ ფოტოსურათზე აღბეჭდილი არიან საქართველოს არა პირველი, არამედ მეორე, 1936 წლის ჩემპიონატის მონაწილენი. ჩანს, ევა შიოშვილს შეეშალა.

როცა მთლიანად აღვადგინე საქართველოს ქალთა ჩემპიონატების წარსული, ბუნებრივია, პირველი ჩემპიონატის მონაწილეთა ფოტოსურათის ძებნას შევუდექი, მაგრამ ამაოდ დავშრი. მისი მონაწილენი ერთის გარდა აღარ იყვნენ.

ერთხელაც 1981 წლის თებერვალს "ლელოს" რედაქციაში ტელეფონის ზარი გაისმა.

— აღფრთოვანებული ვარ ჩვენი მოჭადრაკე გოგონების მიღწევებით. ჩემს ახალგაზრდობაში მსგავს ამბებზე ოცნებაც არ შეგვეძლო, თუმცა ურიგოდ არ ვთამაშობდით, — მომესმა ყურმილში.

— ვინ ბრძანდებით?

— ლიზა მარქაროვა.

გამეხარდა საქართველოს პირველი ჩემპიონატის მონაწილის ხმის გაგონება. ლიზა მარქაროვა 30-იან წლებში საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე გახლდათ. 1941 წელს თბილისის ჩემპიონიც იყო.

ჩვენი დიდოსტატების ქებისათვის მადლობა რომ ვუძღვენი, ქალბატონ ლიზას შეხვედრა ვთხოვე.

და აი, შინ ვეწვიე ლიზა მარქაროვას. იგი, განათლებით ეკონომისტი, დიდხანს თბილისის მექანიკურ ქარხანაში მუშაობდა. ახლა 77 წლის პენსიაზე იყო.

— დიდი ხანია მინდოდა შეგხმიანებოდით "ლელოში" გამოქვეყნებულ საქართველოს თითქოს პირველი ჩემპიონატის მონაწილეთა ფოტოს გამო. ალბათ უკვე იცით, რომ მასზე საქართველოს მეორე ჩემპიონატის მონაწილენი ვართ აღბეჭდილი. ის ერთი უცნობი, რომლის გვარი ვერ გაიხსენა ევამ, უბრალოდ გულშემატკივარია, — თქვა ქალბატონმა ლიზამ.

მერე მასპინძელმა ძველებური კარადიდან თავისი საჭადრაკო ალბომი გამოიღო და ეს ფოტოსურათი გადმომცა (იხ. გვ. 132).

— აი, ამ ფოტოზე ვართ საქართველოს პირველი ჩემპიონატის მონაწილენი. მხოლოდ ცაიდლერი გვაკლია, — გვითხრა ქალბატონმა ლიზამ და თითოეული წარმოგვიდგინა, — მარცხნიდან ნადია სოროკინა (იგი არ მონაწილეობდა), ბერტა კრეზბერგი, ვარვარა ზარგარიანი, ფანი კაცი და მე. სურათი გადავიღეთ 1935 წლის სექტემბერს მუშტაიდის პარკში ჩემპიონატის მსვლელობისას.

(ტურნირის ცხრილი იხილეთ "მატიანეს" პირველ წიგნში. გვ. 275).

საქართველოს ქალთა I (1935 წ.) ჩემპიონატის მონაწილენი

გაინტერესებთ იმდროინდელი ჩვენი საჭადრაკო ცხოვრება? — თქვა და განაგრძო ლიზა მარქაროვამ. — წელიწადში ერთი ტურნირი გვქონდა. 1935 წელს დასაბამი მიეცა საქართველოს ჩემპიონატს. ორჯერ გაიმართა ამიერკავკასიის ქალთა ჩემპიონატი. პირველად თბილისში, მეორედ — ერევანში. 1934 წელს პროფკავშირების ქალთა საკავშირო გუნდურ ტურნირში ვცადეთ ძალა. ვიცოდით, რომ საჭირო მეცადინეობა, მწვრთნელები. ამიტომ ახალი, 1936 წლის პირველობის წინ, მოწინავე მოჭადრაკეებმა წერილი მივწერეთ რესპუბლიკის ფიზკულტურის საბჭოს. დახმარება ვთხოვეთ. მაგრამ ამაოდ. მწვრთნელები არ გვყავსო — გვიპასუხეს. ჩვენს თამაშს მოჭადრაკე ვაჟები ალმაცერად უყურებდნენ.

საერთოდ, ქალები არ ეტანებოდნენ ჭადრაკს. ტურნირი რომ ჩაგვეტარებინა მონაწილეებს ვეძებდით. შინ ვაკითხავდით. ელენე ზაუტაშვილის შემდეგ, თითქმის არ იყვნენ ქართველი მოჭადრაკე ქალები. მხოლოდ 1940 წლის მიჯნაზე გამოჩდნენ ქსენია გოგიავა და ლილი გელოვანი.

საუბარში ლიზა მარქაროვამ გაიხსენა:

— ჩემი ყველაზე დიდი წარმატება იყო ამიერკავკასიის ქალთა პირველ ჩემპიონატში გამარჯვება. უკანასკნელად ვითამაშე თბილისის 1956 წლის ჩემპიონატში, სადაც ბედნიერება მქონდა შევხვედროდი ნონა გაფრინდაშვილს. უკვე მაშინ იგი დიდ მომავალს გვპირდებოდა. მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო, საქართველო ქალთა ჭადრაკის მოწინავე ქვეყანად იქცა. ბედნიერი ვარ, რომ ამას მოვესწარი!

ის დაუვიწყარი ორი დღე

ეს მოხდა 1962 წლის 17 და 18 ოქტომბერს, მოსკოვში.

17 ოქტომბერს, შემოდგომის მზიან დილას სასტუმრო "მოსკვას" ფოიეში ახალი გაზეთები შევიძინე. მაინტერესებდა, რას წერდნენ მსოფლიო პირველობის, ბიკოვა – გაფრინდაშვილის მატჩის, წინადღით გადადებული, მეთერთმეტე პარტიის შესახებ. შეწყვეტილი პოზიცია ნონას მოსაგები ჰქონდა.

ასე, გაზეთებით ხელში ვესტუმრე ნონას. კარი დედამისმა, ქალბატონმა ვერამ გამიღო.

– ნონა შიშოვს ელაპარკება, – მითხრა მან.

ნონას ოდნავ გაფითრებოდა სახე. თვალებში კი სიხარული უკრთოდა.

– ბიკოვამ პარტია დათმო, – თქვა მან.

– მაშასადამე, მსოფლიო ჩემპიონი გახდი!

დავხედე საათს: 10 საათი და 58 წუთი იყო (მერე ნონა დაწერს: "არასოდეს დამავიწყდება 1962 წლის 17 ოქტომბრის დილა. ამ დღეს მე მეორედ დავიბადე – მსოფლიო ჩემპიონი გავხდი"). ამ ცნობამ უზომოდ გაახარა ყველა, ვინც ახლდა ნონას მოსკოვში ამ უძნელეს მატჩზე (მე – როგორც "ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი). ნონას მშობლები, ძმები ვერ მალავდნენ მღელვარებას. მამას თვალებში ცრემლი ჩაუდგა.

ათიოდე წუთის შემდეგ მთელმა მოსკოვმა და საბჭოთა ქვეყანამ შეიტყო ნონა გაფრინდაშვილის შესანიშნავი გამარჯვების ამბავი.

ნახევარი საათიც არ იყო გასუ-

ნონა და მისი მშობლები – ტერენტი და ვერა გაფრინდაშვილები (მოსკოვი, 1962 წლის ოქტომბერი).

ლი, რომ სასტუმროში "მოფრინდა" ტიგრან პეტროსიანი — ნონას უპირველესი ქომაგი. მან გულმხურვალედ მიულოცა ნონას დიდი მიღწევა და ახალ მსოფლიო ჩემპიონს პირველმა თხოვა ავტოგრაფი.

მოდიოდა მოსალოცი დეპეშები, წამდაუწუმ წკრიალებდა ტელეფონის ზარი. გვიხაროდა, რომ ქართველების საამაყო მოჭადრაკეს მოსკოვშიც დიდძალი თაყვანისმცემელი და ქომაგი ჰყავდა.

ნონას დიდ ბედნიერებას იზიარებდნენ მიხეილ ტალი, პაულ კერესი, მარკ ტაიმანოვი, მსოფლიოს ექსჩემპიონი ლუდმილა რუდენკო, აკადემიკოსები ნიკო კეცხოველი, კირიაკ ზავრიევი, საქართველოს სახალხო პოეტი იოსებ გრიშაშვილი, პიანისტი ელისო ვირსალაძე...

— ნახეთ, რას მწერს ტალი: ახლა მამაკაცებს დაერიეო, — ამბობს სიცილით ნონა.

საღამოს ნონას ნამდვილი ოვაცია გაუმართეს წყალბურთელთა საკავშირო პირველობის მონაწილეებმა და მაყურებლებმა. გამოსასვლელ დღეებში ნონა თავად გულშემატკივრობდა თბილისელ დინამოელებს. ბიჭებსაც ხშირად ვხედავდი დარბაზში.

მე კი იმ საღამოს შინ ვეწვიე საბჭოთა მოჭადრაკეების აღიარებულ მოძღვარს, სპორტის დამსახურებულ ოსტატსა და დამსახურებულ მწვრთნელს პეტრე რომანოვსკის.

შესვლისთანავე მასპინძელმა გამარჯვება მომილოცა და დასძინა:

— ვიცოდი, ასე რომ მოხდებოდა. მეცხრე პარტიის შემდეგ ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მსოფლიო ახალ ჩემპიონს შეიძენდა.

სამუშაო მაგიდაზე ჭადრაკი იყო გაშლილი. ვიცანი მატჩის მეოთხე პარტიის ერთ-ერთი პოზიცია. ბატონმა პეტრემ თვალი გააყოლა ჩემს მზერას და მითხრა:

— ჭადრაკი სულ გაშლილი მაქვს. ეს ერთი თვე მხოლოდ ნონას პარტიებს ვარჩევ.

დავსხედით სასაუბროდ. დღემდე მახსოვს პეტრე რომანოვსკის ნათქვამი:

— ნონას თამაში კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. თქვენ იცით ჩემი შეხედულება ჭადრაკზე. მწამს მხოლოდ ინიციატივიანი, სიცოცხლით სავსე თამაში. ასე გვზრდიდა მიხეილ ჩიგორინი, ასე თამაშობდა ჭადრაკის ჯადოქარი ალექსანდრე ალიოხინი. თუ არ ვცდები, ნონაც ამ გზას ადგას. ჩემს ამ მოსაზრებას ამტკიცებს ისიც, რომ მან არა მარტო ბევრი კომბინაციური მომენტი შექმნა პარტიებში, არამედ შეწირვებიც განახორციელა.ასეთი თამაში ჭადრაკის ყველა მცოდნეს მოხიბლავს. ამიტომ ჰყავს ნონას ამდენი გულშემატკივარი. ნონას

ხშირად ვერა მენჩიკს ადარებენ. ჩემი აზრით, შედარება შეიძლება, მაგრამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ეპოქა. ცხადია, ნონა არც ნიჭით, არც ხასიათის სიმტკიცით, არც შრომისმოყვარეობით არ ჩამოუვარდება მენჩიკს. მსმენია ნონას თავაზიანობის, თავმდაბლობის, სისადავისა და სიკეთის შესახებ. ყველაფერ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. სხვა საქმეა, როგორი იქნება ნონა მომავალში. ვერა მენჩიკმა წარუშლელი კვალი დატოვა ჭადრაკის ისტორიაში. ნონას კი ყველაფერი წინ აქვს. დიდ ტალანტს სათუთი მოვლა სჭირდება. აიღეთ, მაგალითად, მიხეილ ტალი. მისი მსგავსი მოჭადრაკე საუკუნეში ერთხელ თუ იბადება, მაგრამ ჟურნალისტებმა თავბრუ დაახვიეს, ისიც თვითკმაყოფილებას მიეცა და ჩემპიონის ტიტული წელიწადში დაკარგა. სწორედ ამიტომ მინდა გავაფრთხილო ნონა: რაკი იტვირთე მსოფლიოს პირველი მოჭადრაკეობა, რაც უაღრესად ძნელი და საპატიო საქმეა, გამუდმებით უნდა იმუშაო საკუთარ თავზე. ნონას გამარჯვება მატჩში მოწმობს, რომ ქალთა ჭადრაკი განვითარების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. ნონას მიღწევაზე 100 წლის შემდეგ უფრო მეტს ილაპარაკებენ, ვიდრე ახლა. მჯერა, თუ ნონა დაუღალავად განაგრძობს მეცადინეობას, ითამაშებს ტურნირებში, ჯანმრთელობასაც გაუფრთხილდება, რაც, მაგალითად, ვერ შეძლო მიხეილ ტალმა, ის ეპოქას შექმნის ქალთა ჭადრაკში.

სასტუმროში გვიან დავბრუნდი. საღამოს გაზეთები მოსკოველებს ახალი მსოფლიო ჩემპიონის დაბადებას აუწყებდნენ. "ვეჩერნაია მოსკვამ" მატჩის ერთი პარტიაც დასტამბა კომენტარით. "იზვესტია" პირდაპირ წერდა, რომ ნონა ორი დაფნის გვირგვინის ღირსია. ნონას დასაჯილდოებლად მართლაც ორი დაფნის გვირგვინი აღმოჩნდა. ერთი სოხუმელებმა გამოგზავნეს, მეორე — ზუგდიდელებმა.

— აი, კიდევ რამდენი დეპეშა მივიღე, — გვითხრა ნონამ, როცა ვახშამზე ყველამ ერთად მოვიყარეთ თავი. საგანგებო ჩანთაც შეუძენია მათ შესანახად.

— ამ მტრედებივით თეთრ მაცნეებში ჩაქსოვილია ხალხის დიდი სიყვარული, შვილო, — უთხრა დედამ ნონას. — ეს სიყვარული გაგინათებს გზას ცხოვრებაში და მას თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდე.

18 ოქტომბერიც მზიანი გათენდა. "პრავდა", "კომსომოლსკაია პრავდა", "ტრუდი" და სხვები ნონას გამარჯვებას ულოცავდნენ, აანალიზებდნენ ბიკოვა-გაფრინდაშვილის მატჩის პერიპეტიებს.

"პრავდაში" ტ. პეტროსიანი წერ-

და: "ალბათ მატჩის დაწყებამდე ყველას ეგონა, რომ საჭადრაკო გვირგვინისათვის შწვავე, მომხიბლავი ბრძოლა გაჩაღდებოდა, მაგრამ ახალგაზრდა ქართველმა გოგონამ ბევრი შეხვედრა თავისი ნება-სურვილით წარმართა და საბოლოო შედეგი — 9:2 (შვიდი მოგება, ოთხი ყაიმი) საკმაოდ ნათლად გამოხატავს ძალთა შეფარდებას ამ ორთაბრძოლაში. დიახ, გაიმარჯვა უძლიერესმა".

"ნონა სწორედ იმ ზღაპრული კოლხეთიდანაა, სადაც ძველი არგონავტები "ოქროს საწმისს" ეძებდნენ. როგორც ცნობილია, არგონავტებმა ვერ იპოვეს იგი, ნონამ კი მიაგნო მას", წერდა "კომსომოლსკაია პრავდა".

საღამოს შვიდ საათზე "კრასნი პროლეტარის" სტამბის კულტურის სახლში მოეწყო მატჩის საზეიმო დახურვა. იგი გახსნა მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, მოსკოველმა მოჭადრაკემ, პროფესორმა ნინა ბლუკეტმა.

ორთაბრძოლის პერიპეტიებზე ილაპარაკა მთავარმა მსაჯმა, ჩეხოსლოვაკიელმა არბიტრმა ნინა გრუშკოვა-ბელსკამ. ახალ ჩემპიონს მიესალმნენ მოჭადრაკეები, საჭადრაკო მოღვაწენი (საქართველოს სახელით — ამ სტრიქონების ავტორი).

გულითადი მისალმების დასასრულს ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტმა, სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბორის როდიონოვმა და ნინა გრუშკოვა-ბელსკამ დაფნის გვირგვინით შეამკეს ნონა და იგი მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონად გამოაცხადეს.

იმ დღეს დილით მითხრეს: ელისაბედ ბიკოვა უარზეა სიტყვით გამოვიდეს საზეიმო დახურვაზე — არაფერი მაქვს სათქმელი, რაც შემეძლო, მატჩში ვთქვიო. ღვაწლმოსილ მოჭადრაკე ქალს, რომელსაც კარგად ვიცნობდი, შინ ვეწვიე. "ნონას გამარჯვება მე ჯერ კიდევ ორი წლის წინ ვიწინასწარმეტყველე. ვგრძნობდი, რა ძალაც ჰქონდა. ახლა რაღა ვთქვა?" დავაჯერე, რომ მისგან ნონას დალოცვა ისტორიული აუცილებლობა იყო. დამთანხმდა.

როცა სიტყვა ელისაბედ ბიკოვას მისცეს, შეკრებილნი ტაშით მიეგებნენ მას.

— ძნელია მსოფლიო ჩემპიონობის დაკარგვა, — თქვა მან. — მაგრამ სევდას მიქარწყლებს იმის შეგნება, რომ ჩემპიონობა გადავაბარე ჭეშმარიტად ნიჭიერ ახალგაზრდას, რომელიც, ვფიქრობ, ღირსეულად ატარებს ამ ტიტულს.

შემდეგ ელისაბედ ბიკოვამ მადლობა გადაუხადა მატჩის ორგანიზატორებს, მსაჯებს და ნონას ბრწყინვალე გამარჯვება მიულოცა. მან ხელი ჩამოართვა ახალ ჩემპიონს და საჩუქრად გადასცა თავისი წიგნი

ელისაბედ ბიკოვა ულოცავს გამარჯვებას ახალ მსოფლიო ჩემპიონს
და სანუქრად გადასცემს თავის წიგნს ვერა მენჩიკზე
(მოსკოვი, 18 ოქტომბერი 1962 წ.)

ვერა მენჩიკზე. წიგნს ასე წააწერა: "ნონა გაფრინდაშვილს – მსოფლიოს პირველი ჩემპიონის დიდებული ტრადიციების ღირსეულ განმგრძობს. საუკეთესო სურვილებით. ელისაბედ ბიკოვა. 1962 წლის 18 ოქტომბერი, მოსკოვი".

ტაშის გრიალში ტრიბუნასთან მივიდა ნონა.

– მე ნაკლებად მეხერხება ლაპარაკი, მით უმეტეს ახლა, როცა გული სიხარულით მაქვს სავსე და მიჭირს თავი მოვუყარო სათქმელს, მაგრამ არ შემიძლია მადლობა არ გადავუხადო ყველას...

...დღეს ყველაფერი ეს სასიამოვნო და საამაყოა მოსაგონებლად. ნონა გაფრინდაშვილმა იმედი გაამართლა. მან თექვსმეტი წელი ღირსეულად ატარა "მონომახის ქუდი" და ჭეშმარიტად ეპოქა შექმნა ქალთა ჭადრაკში. მისმა მოღვაწეობამ სულ სხვა ელფერი მისცა ქალთა საჭადრაკო მოძრაობას, მის მაგალითზე, პირველ ყოვლისა, საქართველოში მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე ქალები გაიზარდნენ: მაია ჩიბურდანიძე, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი, ქეთევან არახამია, ქეთევან კახიანი...

სწორედ ამიტომ გავიხსენეთ ის 17 და 18 ოქტომბერი, დღეები, რომლებიც ჭეშმარიტად ამშვენებენ ქართული სპორტის მატიანეს.

პირველი საერთაშორისო

საქართველოში ვაჟთა პირველი საერთაშორისო ტურნირი 1965 წლის ოქტომბერ-ნოემბერს გაიმართა. მართალია, მანამდე, 1934 წელს თბილისმა უმასპინძლა ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატთა ტურნირს ავსტრიელი მაესტროს ჰანს კმოხის მონაწილეობით, მაგრამ იგი არავინ "შერაცხა" საერთაშორისოდ. ამჯერად 8 ქვეყნის 18 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა.

ამ თავმოსაწონებელი ტურნირის შემოღებაზე დიდი სჯა-ბაასი იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, 1960 წელს ქალთა პირველი საერთაშორისო ტურნირის გამართვა რომ გადაწყდა. იმ ხანებში ვიქტორ გოგლიძე ჭადრაკის ფედერაციის ყოველ სხდომაზე ამბობდა: დადგა დრო, რომ ჩვენი ვაჟებიც გამოვიდნენ საერთაშორისო სარბიელზე. მართალიც იყო. თვალი რომ გადაავლოთ ისტორიას, ჩვენი ვაჟებიდან საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა მიულიათ მხოლოდ ვ. გოგლიძეს (მოსკოვი, 1935 წ. ; მოსკოვი-ლენინგრადი, 1939 წ.) და ბ. გურგენიძეს (სოფია, 1958 წ.). არადა, საქართველოში გაჩნდა დიდად პერსპექტიული "ჭადრაკის ჯეჯილი". საჭირო იყო მათი ხელშეწყობა, დიდ სარბიელზე გამოყვანა.

როდესაც გადაწყდა თბილისში პირველი საერთაშორისო ტურნირის ჩატარება, მოულოდნელად გარდაიცვალა ვ. გოგლიძე (1964 წ.). ბუნებრივია, ყველა მოელოდა, რომ ტურნირი მიეძღვნებოდა პირველი ქართველი ოსტატის ხსოვნას, მით უმეტეს, რომ იგი ბევრს იღვწოდა მისი შეძღოლებისათვის. მაგრამ ასე არ მოხდა მავანთა "წყალობით". მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ, 1969 წელს მოხერხდა ვ. გოგლიძის პირველი მემორიალის ორგანიზება. მანამდე, 1966 წელს მოეწყო მეორე საერთაშორისო ტურნირი ბათუმში, ხოლო 1968 წელს გორში — ვ. ქარსელაძის პირველი მემორიალი.

ტურნირში ჩვენს ოსტატებს: ბ. გურგენიძეს, ა. ბუსლაევს, რ. ჯინჯიხაშვილისა და ა. ბოკუჩავას მეტოქეებად ჰყავდათ დიდოსტატები: ა. ლილიენტალი, რ. ხოლმოვი, მ. დამიანოვიჩი (იუგოსლავია), საერთაშორისო ოსტატები: რ. ბოგდანოვიჩი (იუგოსლავია), ბ. შოოში (რუმინეთი), ა. კოლაროვი, ი. რადულოვი (ორიეე-ბულგარეთი), ლ. ნოვაროვსკი (უნგრეთი), ვ. იანსა (ჩეხოსლოვაკია), ლ. ფუქსი, ვ. პიტჩი (ორიეე-გდრ), ოსტატები ა. გიპსლისი და ვ. ბალცეროვსკი (პოლონეთი).

საინტერესოა, რომ დიდ "განსაცდელში" აღმოჩნდნენ ქართველი ვულშემატკივრები. ჩვენი ტურნირის პარალელურად (მას ფ. ძერჟინსკის

სახელობის კლუბი მასპინძლობდა) აქვე თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში მიმდინარეობდა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი მ. ტალსა და ბ. სპასკს შორის, ხოლო რიგაში ნონა იბრძოდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დასაცავად ალა კუშნირთან მატჩში.

ტურნირში ბრძოლა თავიდანვე მწვავედ წარიმართა. მეცხრე ტურში ბ. გურგენიძემ ლამაზად მოუგო ბ. შოოშს და ერთპიროვნულად დაწინაურდა. მას კვალში ჩაუდგნენ რ. ხოლმოვი, ა. ლილიენტალი და რ. ბოგდანოვიჩი, მაგრამ ვეღარ დაეწიენ.

პირველ პრიზს ბ. გურგენიძე დაეუფლა (17-დან 12 ქულა). მეორე იყო 20 წლის რ. ჯინჯიხაშვილი (11), რომელმაც ფინალში ზედიზედ ხუთი პარტია მოიგო, მესამე – რ. ხოლმოვი (10½)... (იხ. "მატიანე", I, გვ. 285).

დიდი შთაბეჭდილება დატოვა ბ. გურგენიძის თამაშმა. მან 8 პარტია მოიგო, მათგან აი, ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური.

ბ. გურგენიძე – რ. ჯინჯიხაშვილი
სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. ♘f3 ♘c6 3. d4 c×d4 4. ♘×d4 ♘f6 5. ♘c3 d6 6. ♗g5 e6 7. ♗e2 ♗e7 8. ♘b3 a6 9. ♕d2 b5 10. a3 ♗b7 11. ♖d1 ♘a5?

სწორი იყო 11. ...0-0

12. ♘×a5 ♕×a5 13. e5! b4

აგებდა 13. ...d×e5 14. ♗×f6 ♖d8 15. ♕×d8+!

14. a×b4 ♕×e5 15. f4! ♕f5



16. g4!

ლაზიერზე ნადირობით. შავები დიდ განსაცდელში არიან.

16. ...♘e4

უკეთესი გაგრძელება არ ჩანს. თუ 16. ...♘×g4, მაშინ 17. ♗×e7 ♗×h1 18. ♕×d6 ♘f6 19. ♗d8 ♘g8 20. ♕d7+ ♔f8 21. ♗e7+ ♘×e7 22 ♕d8+ შამათით; თუ 17. ...♔×e7 18. ♕×d6+ ♔f6 19. ♕d4+ e5 20. f×e5+ ♘×e5 21. ♖f1 მოგებით.

17. g×f5 ♘×d2 18. ♔×d2 ♗×g5 19. f×g5 ♗×h1 20. ♖×h1 h6 21. g6! შავები დანებდნენ.

ტურნირმა ცხადყო, რომ ბ. გურგენიძე და რ. ჯინჯიხაშვილი უკვე საერთაშორისო დონის ოსტატები იყვნენ. ეს ცხოვრებამაც დაადასტურა. მალე ორივე საერთაშორისო დიდოსტატი გახდა. შემდგომ, 70-იან წლებში მათ მოჰყვა საიმედო, ნიჭიერი თაობა, რომელმაც მრავალჯერ გვასახელა.

თავი VI

ამაგდარნი

მოძღვარი

საოცარია, მრავალი ადამიანი ჭადრაკის სიბრძნეს რომ ეზიარება, მერე სიცოცხლის ბოლომდე მისი ერთგული რჩება.

...თხუთმეტი წლის ყმაწვილი იყო მიხეილ შიშოვი, როცა მთელი არსებით შეიგრძნო მამა-პაპათა თამაშის მიმზიდველი ძალა, შეიყვარა და გაითავისა იგი. მერე ამ გატაცებას ხელი შეუწყო "მუშტაიდის" ბაღში ახალგაზრდა ოსტატის ვიქტორ გოგლიძის მიერ გახსნილმა ჭადრაკის წრემ, სადაც სხვებთან ერთად ჭაბუკი მიხეილი უძველესი თამაშის საიდუმლოებას ეუფლებოდა. მართალია, მერე მან რკინიგზის ინჟინერ-მშენებლის დიპლომი მიიღო, მშენებლის სიამაყეც გაიზიარა, მაგრამ ფაქტობრივად მთელი ცხოვრება მაინც ჭადრაკის სამსახურს შეალია.

მიხეილ შიშოვმა დიდი ამაგი დასდო ქართულ ჭადრაკს, პირველ ყოვლისა, როგორც მწვრთნელმა. მან ჭაბუკი ბუხუტი გურგენიძე საჭადრაკო აზრის სიღრმესა და მშვენიერებას აზიარა. ნიჭიერმა ყმაწვილმაც ალღო აუღო ბრძნულ თამაშს და სწრაფად გაიკვალა გზა დიდ ჭადრაკში. იგი პირველ ქართველ დიდოსტატად მოგვევლინა.

მიხეილ შიშოვი და ნონა გაფრინდაშვილი ე. ბიკოვასთან მატჩის ერთ-ერთი პარტიის გარჩევისას (მოსკოვი, 1962 წ.)

მრავალი წელი (1957-1965 წწ.) ბატონი მიხეილი მხარში ედგა ნონა გაფრინდაშვილს. ეხმარებოდა მას ბუნებით ნაბოძები დიდი ნიჭის სრულყოფა-განვითარებაში. მისი თანადგომით ნონამ ჯერ პრეტენდენტის უფლება, მერე ორჯერ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ამაგდარმა ალმზრდელმა თავისი მადლიანი ხელი არც მაია ჩიბურდანიძეს დააკლო. თითქმის სამი წელი (1972-1975 წწ.) მისი საჭადრაკო მოძღვარი იყო. სწორედ ამ პერიოდში გამობრწყინდა მაიას

ძნიანი ტალანტი. ქვეყანამ აღიარა ცამეტი წლის გოგონას დიდი მომავალი.

მიხეილ შიშოვს ბევრი სხვა მოწაფეც ჰყავდა. ზოგი მათგანი, მართალია, არ გაჰყვა ჭადრაკს, სამაგიეროდ, სამუდამოდ მისი თაყვანისმცემელი დარჩა.

ღვაწლმოსილ მწვრთნელს მისი აღსაზრდელების თავმოსაწონმა მიღწევებმა საქართველოსა და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდებები მოუტანა. მაღლიერმა საზოგადოებრიობამ 1980 წლის 7 დეკემბერს თბილისის ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ აღნიშნა მისი დაბადების 70 და საჭადრაკო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლის თავი.

მიხეილ შიშოვი ალბათ ბევრს ვერაფერს მიაღწევდა როგორც მწვრთნელი, რომ არ ყოფილიყო ერუდირებული, გამოცდილი მოჭადრაკე და ოსტატი. იგი დაწინაურდა თბილისის 30-იანი წლების ტურნირებში, მაგრამ ღირებული წარმატებები მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში მოიპოვა, როცა დაიხვეწა მისი შემოქმედება, გამრავალფეროვნდა ბრძოლის ხერხები.

პირველად საქართველოს ჩემპიონი გახდა 1944 წელს. მერე კიდევ 1948, 1952, 1955 და 1956 წლებში. საინტერესოა, რომ 1956 წლის ჩემპიონატში მისი ძირითადი მოცილე ბუხუტი გურგენიძე იყო. მათ პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს და მხოლოდ დამატებით მატჩში შეძლო ვეტერანმა ტიტულის შენარჩუნება.

სპორტის ოსტატის წოდება მიხეილ შიშოვმა 1951 წელს მოიპოვა. იგი კარგა ხანს საქართველოს ნაკრების ბურჯი იყო სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში, გუნდურ პირველობებსა და საერთაშორისო შეხვედრებში.

ღვაწლმოსილი მწვრთნელი კალმითაც ემსახურებოდა ქართულ ჭადრაკს. 1962 წელს მან გამოსცა წიგნი "დიდი ბრძოლა პატარა აგარაკზე", რომელიც იუგოსლავიაში, პრეტენდენტთა ტურნირში ნონას საარაკო გამარჯვებას მიუძღვნა. შიშოვი აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში. მას ძალიან უყვარდა მხატვრული ლიტერატურა. ზეპირად იცოდა, მაგალითად, ვლადიმერ მაიაკოვსკისა და სერგეი ესენინის პოეზია. თავადაც წერდა ლექსებს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ბატონმა მიხეილმა იცოდა ქართული, მაგრამ საჯაროდ მხოლოდ რუსულად ლაპარაკობდა. ჰქონდა კარგი ოჯახი (მეუღლე და ორი ვაჟი).

მიხეილ შიშოვს განსაკუთრებით დიდი მეგობრობა აკავშირებდა რკინიგზელებთან. ათეული წლების

მანძილზე ძალა ყველა დიდი ტურნირში მონაწილეობდა. თავად კი ბავშვებს ამეცადინებდა თბილისის რკინიგზელთა სახლში. მისი ღვაწლი "საპატიო რკინიგზელის" სამკერდე ნიშნით აღინიშნა.

ამაგდარი ოსტატი და მწვრთნელი აქტიურად საქმიანობდა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმში, რომლის წევრიც იყო.

თვალს რომ გააყოლებ მუშის შვილის შიშოვის ცხოვრებას (იგი დაიბადა თბილისში 1910 წლის 2 დეკემბერს), აშკარად დაინახავ, რომ მისი შინაარსიანი ცხოვრების მთავარი არსი გახლდათ ჭადრაკისადმი უსაზღვრო სიყვარული.

მიხეილ შიშოვი გარდაიცვალა 1981 წლის 2 მარტს თბილისში, დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

ნაღდი მწვრთნელი

ჭადრაკის ცნობილ მწვრთნელ-პედაგოგს, შოთა ინწკირველს (1929-1994 წწ.) ღვაწლი რომ ჰქონდა, ამიტომ ჯერ საქართველოს (1974 წ.), მერე საბჭოთა კავშირის (1991 წ.) დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება მიენიჭა. თითქმის 40 წელი ემსახურა იგი ყმაწვილების ჭადრაკით დამოძღვრას.

შოთა თბილისში 1947 წელს ოზურგეთიდან ჩამოვიდა. პირველთანრიგოსანი დიდ მიღწევებზე ოცნებობდა. ბევრს კითხულობდა, სწავლობდა სახელოვანი მოჭადრაკეების შემოქმედებას, საათობით აანალიზებდა მათ პარტიებს. მაგრამ სასურველი სპორტული წარმატებები არ ჩანდა, თუმცა ცალკეულ პარტიებს ოსტატურად თამაშობდა.

გადიოდა წლები. მდიდრდებოდა შოთას ცოდნა და გამოცდილება. სავსებით ბუნებრივია, რომ მწვრთნელად მუშაობის სურვილი აღეძრა. მან თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტს მიაკითხა, სადაც იმ დროს ვახტანგ ქარსელაძე მოღვაწეობდა. იგი სამუშაოდ მიიღეს.

შოთა მუყაითი, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე აღმზრდელი აღმოჩნდა. მისი რამდენიმე ნიჭიერი მოწაფე სწრაფად დაწინაურდა. მაგრამ შოთამ გადაწყვიტა "პერიფერიაზე" ტალანტების ძებნა და ნაძალადევის რაიონში ნორჩ მოჭადრაკეთა წრე "ნაკადული" გახსნა. მერე მისი საქმიანობა თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა სპეციალიზებულ საჭადრაკო სკოლაში გაგრძელდა, სადაც ვიქტორ გოგლიძე თავკაცობდა. პარალელურად იგი საბავშვო ბაღებში ჭადრაკს აზიარებდა 5-6 წლის გოგო-ბიჭებს. ძალე შოთამ სახელი გაითქვა,

როგორც პატარების ჩინებულმა მწვრთნელმა.

1972 წელს შოთა ინწკირველს თბილისის პირველ ექსპერიმენტულ საშუალო სკოლაში ჭადრაკის წრე გაუხსნეს. თავდადებული მეცადინეობით მან თვალსაჩინო გამარჯვებას მიაღწია. 1974 და 1975 წლებში "თეთრი ეტლის" საკავშირო გათამაშებაში სკოლის გუნდმა პირველობა არავის დაუთმო.

ღვაწლმოსილმა მწვრთნელმა მრავალ ყმაწვილს დაულოცა გზა დიდ ჭადრაკში: ზურაბ აზმაიფარაშვილს, ნინო გურიელს, მზია წერეთელს, ციცინო კახაბრიშვილს, თეიმურაზ ლომაიას, გიორგი მაჭარაშვილს და სხვებს. დღეს ყველანი მადლიერების გრძნობით იხსენებენ მას. სწორედ ისინი ამოუდგნენ მხარში შეჭირვების წლებში. მისი ერთ-ერთი მოწაფის დავით გურგენიძის თაოსნობით ტრადიციად იქცა "შოთა ინწკირველის მემორიალების" გამართვა.

ამაგდარი მწვრთნელი ქართული ჭადრაკის ერთგული იყო. შეძლებისამებრ აგროვებდა წარსულის ამბებს და 90-იან წლებში აქვეყნებდა გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში". აქ მას საჭადრაკო განყოფილება გაუხსნეს. ამავე დროს იგი გულდასმით იკვლევდა ოსტატ არჩილ ებრალიძის ცხოვრება-მოღვაწეობას. მონოგრაფიის გამოცემას აპირებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაშრომი

შოთა ინწკირველი და ზურაბ აზმაიფარაშვილი (1966 წ.)

გამოუქვეყნებელი დარჩა. იმედია, მისი მოწაფეები გამოსცემენ მას.

შოთა ინწკირველი ბევრს ფიქრობდა სწავლების მეთოდიკის საკითხებზე. ჯერ კიდევ 50-იანი წლების დამდეგს მისი თაოსნობით გაზეთ "ლელოში" გაიმართა მწვავე დისკუსია თუ რომელი ასაკიდან უნდა ვაზიაროთ პატარები ჭადრაკს. 80-იან წლებში იგი მწვრთნელებისათვის მეთოდურ წერილებს გვაწვდიდა გაზეთ "მერანში", რომელსაც ვრედაქტორობდი მაშინ.

90-იანი წლების დამდეგს ღვაწლმოსილი მწვრთნელი ფიზიკურად შესამჩნევად დასუსტდა. მატერიალურმა ხელმოკლეობამაც მოუსწრაფა სიცოცხლე. იგი გარდაიცვალა თავის დაბადების დღეს — 24 ნოემბერს 65 წლის ასაკში.

დავით მასწავლებელი

დავით ჩირაძე ქუთაისში პირველი პროფესიონალი მწვრთნელი გახლდათ.

– არ ვაპირებდი მწვრთნელობას, – იხსენებდა იგი. – ვახტანგ ქარსელაძემ ამაგულიანა. ომამდე იგი ქუთაისში ცხოვრობდა. ჩვენ ერთ სკოლაში ვსწავლობდით, შეჯიბრებებშიც ერთად ვმონაწილეობდით. სხვათა შორის, პირველი თანრიგის ნორმატივიც ერთად შევასრულეთ. მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, შინ დამტოვეს. სამხედრო სამსახურისთვის არ გამოვდექი. ამიტომ სწავლა გავაგრძელე ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. დამთავრებისას, 1944 წელს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად გამამწესეს სოფელ რიონის საშუალო სკოლაში. 1947 წელს ქუთაისის განათლების განყოფილებამ პიონერთა სახლში ჭადრაკის წრის გახსნა შემომთავაზა. უარი არ მიფქვამს, თუმცა ქუთაისში არ გვქონდა ნორჩ მოჭადრაკეებთან მეცადინეობის ტრადიცია.

სწორედ ამ დროს ვახტანგ ქარსელაძემ ურჩია ხელი მოეკიდა უკეთილშობილესი საქმისთვის. დავითმა დაუჯერა მეგობარს და თავი დაანება პრაქტიკულ გამოსვლებს, თუმცა ძალიან სწყუროდა ბრძოლა შავთეთრუჯრებიან დაფაზე. ამიტომ მხოლოდ ორჯერ, 1951 და 1952 წლების საქართველოს ჩემპიონატში შეძლო მონაწილეობა. იგი მთელ დროს თვითგანათლებასა და ბავშვებთან მუშაობას ახმარდა.

დავითი კეთილი, გულმართალი და თბილი კაცი იყო. მას ყოველთვის ეხვივნენ პატარა ქუთათურები. ასობით მათგანს სამუდამოდ შეაყვარა ჭადრაკი. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ დავით მასწავლებელს მთელი ქუთაისი იცნობდა.

ოთხი ათეული წელი უძღვებოდა დავით ჩირაძე პიონერთა სახლის ჭადრაკის კაბინეტს, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს. სწორედ მან დააკვალიანა დიდოსტატები მაია ჩიბურდანიძე, თამაზ და გია გიორგაძეები, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები თენგიზ ხარლამიდი, ზურაბ ბურკაძე, ალექსანდრე რაზოვსკი და სხვები, რომლებიც ქაროული ჭადრაკის მიღწევებს ამრავლებენ.

1967 წელს დავითს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება მიაკუთვნეს.

მრავალჯერ ვყოფილვარ ქუთაისის პიონერთა სახლში, მინახავს როგორ დატრიალებდა თავს დავითი აღსაზრდელებს, როგორი მოთმინებით და შესაშური მონდომებით აზიარებდა ბავშვებს ჭადრაკის საიდუმლოებას.

დავით ჩირაძე თავის სტიქიაში

მაია ჩიბურდანიძე იხსენებს: "დავით მასწავლებელი უფროს-უმცროსობას არ გვაგრძნობინებდა. და ასე თამაშ-თამაშში გვაწვდიდა სულიერ საზრდოს, გვასწავლიდა ჭადრაკის სიბრძნეს, მისი განვითარების ისტორიას, გვესაუბრებოდა ათასგვარ საინტერესო საკითხზე... მის მოწაფეებს დასტა-დასტა გვიდევს ჩვენი ძვირფასი აღმზრდელის წერილები, დეპეშები, მას არც დაბადების დღის მილოცვა ავიწყდებოდა. არ იცოდა გამორჩევა. იცოდა თქმა: "დიდი მოჭადრაკე რომც არ გამოხვიდე, ჭეშმარიტი ინტელიგენტი იქნები, რაკი ჭადრაკის სიბრძნეს ნაზიარები ხარო".

ერთხელ დავითს მაიას ნაამბობი რომ შევახსენე, ღიმილით მიამბო:

– ბავშვებს ნონაზე რომ ვუამბობდი, ბოლოს აუცილებლად დავაყოლებდი: რომელიმემ თუ აჯობეთ ნონას, თქვენს ფოტოსურათს მასზე მაღლა დავკიდებ-მეთქი. მართლაც, როცა მაია მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ასეც მოვიქეცი. ბავშვებს ეს სალაპარაკოდ ჰქონდათ.

მერე, როცა აღარ იყო დავით ჩირაძე (იგი 1987 წელს გარდაიცვალა), 1991 წელს მაიამ ეს ამბავი გაიხსენა ნონა გაფრინდაშვილისადმი (დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით) მისალოც წერილში (იხ. თენ. გიორგაძე "ჩვენი ნონა", 1992 წ. გვ. 64-66).

დავით მასწავლებელი ამაყობდა

აღზრდილებით. ერთხელ, 1980 წლის 21 ნოემბერს დავითი და მისი მოწაფეები – თამაზ და გია გიორგაძეები მივიწვიე ტელესაჭადრაკო ჟურნალ "სამორინეში". მათ საინტერესოდ ისაუბრეს ქუთაისში საჭადრაკო ტრადიციებზე და ახლო პერსპექტივებზე. მაშინ დავითმა განაცხადა: მჯერა, რომ ქუთაისში შემდგომშიც გამოჩნდებიან ნიჭიერი ყმაწვილები, რომლებიც ტრადიციებს გააგრძელებენ. ასეც არის.

უკვე რამდენიმე წელია ქუთაისში გაიხსნა სპორტული ლიცეუმი, სადაც ჭადრაკის შემსწავლელი კლასებიც მუშაობს. ახალგაზრდა მწვრთნელები, ზოგი მათგანი საქართველოს ფიზაღზრდისა და სპორტის აკადემიის კურსდამთავრებული, წარმატებით უძღვებიან ნორჩ მოჭადრაკეთა მომზადების საქმეს. ნაყოფიერად მუშაობს დავით ჩირაძის სახელობის კაბინეტიც. მისმა აღსაზრდელებმა უკვე რამდენჯერმე ისახელეს თავი მსოფლიოსა და ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატებში.

დავით ჩირაძემ ქუთაისის საჭადრაკო ტრადიციებზე საინტერესო გამოკვლევა დაგვიტოვა (იხ. გაზეთი "მერანი", 1986 წ., №18).

აი, მაგალითად, ერთი ასეთი ყურადსაღები ამბავი.

1898 წელს გაზეთ "ივერიაში" დაიწერა, რომ ქუთაისში გახსნილია "გასართობი", სადაც ჭადრაკს თამაშობენ. "გასართობი" სწორედ ბულვარის ცხვირწინ გამოჭიმულა, მარჯვნივ – ბ.ნ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზია ახლავს, მარცხნივ – ჩვენი საუკუნოდ სახსოვარის, განსვენებულის, ეპისკოპოსის სახელობაზედ დაარსებული წიგნსაცავი და თავზედ მფარველ ქუდად – "კლუბი" ახურავს. წიგნის მაღაზიისა და წიგნსაცავის კარები ღიაა, მაგრამ შიგ ყაბალახი რომ შეუგდო ვინმეს, არავინ შეკა". "გასართობის" კარი მაგრად მოხურულია და მაინც მრავლად უმრავლესი მაშვრალი და ტვირთმძიმენი მიცემია განსვენებას. იქ, ჭადრაკის პაიკებს ძირები აქვთ გამოცვეთილი, ბევრი გადასმ-გადმოსმით".

"ივერია" გაკვირვებული შენიშნავს, რომ "საკვირველია ამ "გართობის" წევრთა გულმოდგინება. დილით 8 საათზე, როდესაც არც ერთი მოხელე სამსახურისკენ არ დაძრულა და არცერთ საძსახურში კალამი არ აწრიპინებულა, "გასართობის" წევრები უკვე უკლებლივ ჭადრაკს უსხედან, აქ ათენებენ, აქ აღამებენ".

სამწუხაროდ, არ დასცალდა დავით ჩირაძეს ამ საინტერესო გამოკვლევის დასრულება.

ლამაზი თამაშის ოსტატი

1949 წლის სექტემბერში ვახტანგ ქარსელაძემ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტში რამდენიმე სტუდენტი გოგონა მოიყვანა. ჩემი საეჭვო მზერა რომ დაიჭირა, მითხრა:

— მართალია, პიონერები არ არიან, მაგრამ მათგან კარგი მოჭადრაკეები გაიზრდებიან.

ამ გოგონათა შორის 20 წლის ელისო კაკაბაძეც იყო.

თითქოს სარკეში ხედავდა ვახტანგი. უკვე 1953 წელს ელისომ საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ყოველ წელს იგი იზრდებოდა შემოქმედებითად, სპორტულ წარმატებებსაც აღწევდა. 1954 და 1955 წლებში ელისო კვლავ საქართველოს პირველი მოჭადრაკეა, მაგრამ 1956 წელს ჩემპიონობა 15 წლის ნონა გაფრინდაშვილმა დაათმობინა.

ამ დროს დაიწყო არახანგრძლივი, მაგრამ მწვავე ორთაბრძოლა ელისოსა და ნონას შორის უძლიერესის სახელისათვის. 1957 წელს ელისომ დაიბრუნა ჩემპიონობა, მაგრამ შემდეგ ველარ შეინარჩუნა იგი. 1958 წელს მანანა ტოგონიძემ აჯობა, 1959 წელს — ნონამ, რომელმაც მერე პირველობა აღარავის დაუთმო, ვიდრე თავად არ ისურვა. 1961 წლიდან 20 წლის

ელისო კაკაბაძე

ნონა მსოფლიო ჩემპიონობისათვის იბრძვის.

ელისო კაკაბაძე კიდევ დიდხანს იყო უძლიერესთა კოპორტაში.

1953 წლიდან ელისო კაკაბაძე სისტემატურად მონაწილეობდა სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალში, რომლის საგზურს მუდამ ეუფლებოდა ნახევარფინალურ ტურნირებში, რაც მაშინ ძნელი მისაღწევი იყო. ელისომ ოთხ საკავშირო ჩემპიონატში იასპარეზა, 1956 წელს მეოთხე ადგილიც დაიკავა.

1961 წელს ელისომ სპორტის ოსტატის წოდება მიიღო. იგი ჭეშმარიტი შემოქმედი გახლდათ. უყვარდა ღია, შემტეკი თამაში. ეხერხებოდა კომბინაცია. მას მრავალი

ცნობილი ოსტატი ჰყავდა დამარცხებული, თავმოსაწონად ისიც კმარიდა, იმდროინდელ მსოფლიო ჩემპიონს ელისაბედ ბიკოვას ფარ-ხმალი სამჯერ რომ დააყრევინა. ელისოზე ამბობდნენ – ლამაზი პარტიების ოსტატიაო. ეს რომ ასეა, საკმარისია გაეცნო ო. რუბცოვასთან (იხ. "მატიანე", II, გვ. 213) მის პარტიას.

ნიჭიერი მოჭადრაკე ჩვენს საერთაშორისო ტურნირებშიც მონაწილეობდა. მაგრამ თანდათან მძლავრობდა მისი გატაცება მეცნიერული მუშაობით.

ელისო კაკაბაძემ მუშაობა დაიწყო ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნულ ინსტიტუტში და არაერთი საყურადღებო, სკოლისათვის უაღრესად საჭირო გამოკვლევა შექმნა. გამოსცა ორი მონოგრაფია – "რა წავაკითხოთ ბავშვებს" (1965 წ.) და "კლასგარეშე კითხვა რვაწლიან სკოლაში" (1968 წ.). იმავე ხანებში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია პედაგოგიკის დარგში.

სიცოცხლის ბოლომდე ელისო მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა მშობლიურ ინსტიტუტში, მაგრამ ჭადრაკი არასოდეს დავიწყებია.

აი, ასეთი იყო ზეგარდმოდ ნიჭით მადლცხებული ელისო კაკაბაძე. იგი დაიბადა 1929 წლის 13 სექტემბერს თბილისში. ჭადრაკმა სტუდენტობისას გაიტაცა, როცა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა. მას დიდებული ადამიანური თვისებები ახასიათებდა – სიკეთე, მოყვასის სიყვარული, მეგობრების ჭირისა და ლხინის გულთან მიტანა. ელისომ დაგვიანებით შექმნა ოჯახი, როცა ცოლად გაჰყვა ცნობილ თბილისელ მოჭადრაკეს, ინჟინერ-მეტალურგს შოთა ცინცაძეს (1915-1995 წწ.). ელისოს კარგი ხმა ჰქონდა. შესანიშნავად მღეროდა რუსულ რომანსებს გიტარის თანხლებით. 1962 წელს ნონა მსოფლიო ჩემპიონი რომ გახდა, ელისომ მას ერთ-ერთი რომანსის სიტყვებით მიულოცა გამარჯვება:

Еще много, много раз!...

სიცოცხლის ბოლო წლებში ელისო მძიმე ავადმყოფი შეიქნა. მან თვალის ჩინი დაკარგა, რასაც მტკივნეულად განიცდიდა. ამას მეუღლის გარდაცვალება დაერთო, მაგრამ მას არ ივიწყებდნენ მეგობრები, უმსუბუქებდნენ ტკივილს.

ელისო გარდაიცვალა 1998 წლის 30 აგვისტოს თბილისში.

დაუოკებელი ქსენია გოგიავა

თბილისის საჭადრაკო სარბიელზე ქსენია გოგიავა (1916-1973 წწ.) 30-იანი წლების მიწურულს გამოჩნდა. ამ დროს იგი ცნობილი ახალბედა ავიატორი იყო. რამდენიმე საათი ჰქონდა ნაფრენი. მაგრამ ქალიშვილი ჭადრაკის სიბრძნემ მოიხიბლა. სიყვარული ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ იგი მთელ ცხოვრებას გაჰყვა.

პირველად ქსენია გოგიავამ საქართველოს 1938 წლის ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა და მეოთხე-მეხუთე ადგილები გაიყო. დებიუტანტისათვის ეს არ იყო გულდასაწყვეტი შედეგი. შემდეგ თავდადებულმა მეცადინეობამ, საჭადრაკო მემკვიდრეობის დაუფლებამ მას დიდი წარმატებები მოუტანა – 1940 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა.

მეორე მსოფლიო ომმა დააყოვნა ნიჭიერი მოჭადრაკის ზრდა და წინსვლა. აღარ იმართებოდა ტურნირები. ამიტომ გულადმა ყმაწვილმა ქალმა ფრონტზე წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ტიფით შეიქნა ავად. ერთხელ სიცხემ ისე აუწია, რომ საავადმყოფოს მესამე სართულიდან... გადმოხტა. მართალია, გადარჩა, მაგრამ არმიაში აღარ მიიღეს. ისევ ბუღალტრობას მიჰყო ხელი. რაც კარგად, პროფესიულად ჰქონდა ნასწავლი.

მოჭადრაკე ქალთა საქართველოს ჩემპიონატის გამართვის ტრადიცია 1947 წელს აღსდგა. რა თქმა უნდა, ქალბატონმა ქსენიამაც მიიღო მასში მონაწილეობა.

თავიდანვე მას ლიდერობაში ჩემპიონატის ახალბედა ლილი გელოვანი შეეცილა. ისინი მხარდამხარ მიიწევდნენ ფინიშისაკენ და ასე ერთად კიდეც გადაკვეთეს იგი, ამიტომ ორივე ჩემპიონად გამოცხადდა.

მაშინ საზოგადოებამ პირველად გაიცნო ქსენია, როგორც გოგიავა. საქმე ისაა, რომ მანამდე მას ქალიშვილობის გვარით – ხენკოვად იცნობდნენ. ქალბატონი ქსენია სულით და ხორცით ქართველი ქალი იყო. დაიბადა გურიაში, ლანჩხუთში. დედამისი ვერა, ჩხეიძის ქალი გახლდათ. 1946 წელს ქალბატონი ქსენია ცოლად გაჰყვა ინჟინერ გიგლა გოგიავას.

ქსენია გოგიავამ ამრავლა მიღწევები: ორჯერ თბილისის (1948, 1955 წწ.) და ამდენჯერვე საქართველოს ჩემპიონი გახდა. იგი ენერგიულად მუშაობდა საქართველოს ჭადრაკის ფედარაციის პრეზიდიუმში, როგორც ქალთა კომისიის თავმჯდომარე.

ახალმა წარმატებებმა მას დიდი ტურნირების კარი გაულო.

საქართველოს ქალთა X ჩემპიონატის (თბილისი, 1950 წ.) მონაწილენი და მსაჯები: (მარცხნიდან) სხედან – ტატიანა აბრამიშვილი, ვარვარა ‘სარგარიანი, ქსენია გოგიავა, ლილი გელოვანი, ევა შიოშვილი; დგანან – ლია გეგეჭკორი, ლილი წეროძე, ანდრო გამრეკელი (მსაჯი), ლეილა ნაჭყებია, ლარისა მეშადიშვილი, შოთა ინწკირველი (მსაჯი), ნინა ნანიკაშვილი, ვალერინ მალაშხია (მსაჯი).

ხშირად მონაწილეობდა სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატების ნახევარფინალში. ერთხელაც, 1953 წელს, სტალინგრადში პირველი ადგილი დაიკავა და ფინალის საგზურიც მიიღო.

50-იანი წლების ბოლოს ქსენია გოგიავამ მსაჯობას მიჰყო ხელი. ალიარებაც მოიპოვა. 1961 წელს მას პირველს საქართველოში საერთაშორისო არბიტრის წოდება მიენიჭა.

ქსენია გოგიავა იყო დიდებული ბუნების მანდილოსანი – სტუმართმოყვარე და, რაც მთავარია, იუმორით სავსე.

აი, ამის მაგალითიც:

1953 წელს დონის როსტოვში საკავშირო ჩემპიონატის დროს, ერთ-ერთი კინო-თეატრის დირექტორმა შთამბეჭდავი გარეგნობის ქალბატონი ქსენია, მსოფლიო ჩემპიონად შეიცნო და უფასოდ ასწრებდა ფილმებს. მას თან ჩემპიონატის მონაწილენიც დაჰყავდა. ბოლოს მაინც გაუმხილა კეთილ დირექტორს, რომ იგი ცდებოდა და

საერთო სიცილ-ხარხარში ნამდვილი მსოფლიო ჩემპიონი ელისაბედ ბიკოვა წარუდგინა.

ქალბატონ ქსენიას უყვარდა მონაწილეობა მიწერ-მოწერით ტურნირებში. მაშინ, ასეთი შეჯიბრება საკმაოდ ბევრი იმართებოდა ჟურნალ "შახმატი ვ სსსრ"-ის ხელშეწყობით.

ერთხელ ქალბატონმა ქსენიამ "ლელოში" მოიტანა ვრცელი წერილი – "დამიჯერეთ!", რომელშიც მოჭადრაკეებსა და მოყვარულებს მოუწოდებდა მიწერ-მოწერით ტურნირებში მონაწილეობას. აღნიშნავდა, რომ ასეთი შეჯიბრება ხელს უწყობს მოჭადრაკეს კვალიფიკაციის ამაღლებასა და შემოქმედებით სრულყოფაში. წერდა იმასაც, რომ ზოგს ტყუილა ჰგონია, თითქოს მიწერ-მოწერით ტურნირებში მონაწილეობა, დროის დაკარგვა იყოს. ასე რომ არ არის, მაგალითად მოჰყავდა ბავშვობაში ალიოხინის და კერესის გატაცება წერილებით თამაშით, რამაც ბოლოს მათ კარი გაუღო დიდ ჭადრაკში. მისი სიკეთე მეც ვიგრძენი. მან კარგი მეგობრებიც შემძინა სხვადასხვა ქალაქშიო, – წერდა ღვაწლმოსილი მოჭადრაკე.

ქსენია გოგიავას ახალგაზრდობა უყვარდა. მუდამ დედაშვილურად ზრუნავდა მათზე. არასოდეს დამავიწყდება, როგორ უხაროდა თბილისის ქალთა 1955 წლის ჩემპიონატში გამარჯვება. მას არც დაუმალავს თავისი სიხარულის მიზეზი.

– ეს გოგონა ისეთი ნიჭიერი ჩანს, რომ მალე ყველას გაგვასწრებს. ამიტომ ბალღივით მიხარია, რომ მას ვაჯობეო!

ეს გოგონა 14 წლის ნონა გაფრინდაშვილი იყო. მან მეორე ადგილი დაიკავა. მაგრამ მალე სინამდვილედ იქცა ქალბატონ ქსენიას წინასწარმეტყველება. უკვე 1956 წელს ნონამ თბილისის და საქართველოს ჩემპიონატებში გაიმარჯვა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ქსენია გოგიავა ნამდვილი პროფესიონალი ბუღალტერი იყო. ხანგრძლივი და უმწიკლო მუშაობისათვის მას საქართველოს დამსახურებული ბუღალტრის წოდება ჰქონდა მინიჭებული.

ქსენია გოგიავას მოღვაწეობამ საჭადრაკო სარბიელზე კეთილი მოგონებები დაგვიტოვა.

ქართული სილამაზის მოჭადრაკე

ლილი გელოვანი ერთ-ერთი პირველი ცნობილი ქართველი მოჭადრაკე ქალი გახლდათ. მან ორჯერ (1947, 1948 წწ.) მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის სახელი, ერთხელ (1950 წ.) კი ვიცე-ჩემპიონი გახდა. მერე სარბიელი თავის ქალიშვილს, მანანა ტოგონიძეს და მის ნიჭიერ თაობას გადაულოცა. თავად კი მცირე ხანს მსაჯობდა. მაგალითად, 1959 წელს ზუგდიდში "უდირიჟორა" საქაროველოს ქალთა XVIII ჩემპიონატს, რომელიც ნონა გაფრინდაშვილმა მოიგო. ლილი გელოვანს საჭადრაკო ცხოვრებასთან კავშირი არც შემდგომ გაუწყვეტია.

ქალბატონი ლილი იყო წარმოსადეგი, ქართული სილამაზის დარბაისელი მანდილოსანი, სიმშვიდის და სიკეთის განსახიერება. მაშინაც ფიქრიანად იღიმებოდა, როცა საჭადრაკო ლაშქარს უძღვებოდა. სამწუხაროდ, მან მთლიანად ვერ გამოავლინა ბუნებრივი, ღმერთისგან ნაბოძები საჭადრაკო ნიჭი და რაინდული სული. მართალია, ბოლომდე დარჩა მამა-პაპათა თამაშის ერთგული, მაგრამ მაინც მალე ჩამოსცილდა სარბიელს. მას, როგორც საქართველოს დამსახურებულ ინჟინერ-გეოლოგს და დიდი ოჯახის დედას, არ ჰქონდა შესაძლებლობა ხშირად მიეღო მონაწილეობა ტურნირებში და განმარტოებულიყო ხოლმე ჭადრაკის საიდუმლოების დასაუფლებლად.

ლილი გელოვანს საამაყო ქართული ოჯახი ჰქონდა. მისი მეუღლე გახლდათ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი გიორგი ტოგონიძე. შვილებმა მანანამ და თამაზიმ მშობლების მიბაძვით გეოლოგის პროფესია აირჩიეს, მანანამ საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა და დღესაც მუშაობს გეოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში თავის მეუღლესთან, გეოლოგიის დოქტორ, პროფესორ ოთარ დუდაურთან ერთად.

თამაზ ტოგონიძე გეოლოგიური საძიებელი პარტიის თავკაცი და ცნობილი კალათბურთელი იყო. ჩემი თაობის სპორტის გულშემატკივრებს ახსოვთ ახოვანი, რაინდული იერის ტოგრიკა, როგორც მას ეგობრები ეძახდნენ. სხვათა შორის, იგი მთავარ როლს ასრულებდა მხატვრულ კინოფილმ "ცისკარაში". თამაზი ნაადრევად წავიდა ამ წუთისოფლიდან და ისეთი ტკივილი დაუტოვა თავის სახელოვან დედას, რომ მას დიდხანს აღარ უცოცხლია. გარდაიცვალა 1973 წელს (დაიბადა 1911 წ.).

როგორც აღვნიშნეთ, მანანამ დედის საჭადრაკო გზა განაგრძო.



ნონა-შვილის, ლილი გელოვანისა და მ. ნანა ტოგონიძის შეხვედრა (1954 წ.).

იგი, როგორც ნონა გაფრინდაშვილი, ელისო კაკაბაძე, ნანა ალექსანდრია, მარადდაუვიწყარი ვახტანგ ქარსელაძის მოწაფე იყო. 1958 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა. წარმატებით მონაწილეობდა სსრ კავშირის ჩემპიონატების ფინალში და საერთაშორისო ტურნირებში. 1961 წელს მანანა ტოგონიძეს საქართველოში მეორეს, ნონა გაფრინდაშვილის შემდეგ, სპორტის ოსტატის წოდება მიეკუთვნა.

ახალგაზრდობას უხაროდა ურთიერთობა ლილი გელოვანთან. ისინი მისგან სწავლობდნენ არა მარტო ჭადრაკისადმი ღვთაებრივ დამოკიდებლობას, არამედ იმ ზნეობრივ, სულიერ კულტურას, მუდამ რომ ამშვენებდა ქართველ ქალს.

ლილი გელოვანი ყოველთვის დაამშვენებს საქართველოში ქალთა ჭადრაკის ისტორიას.

სასახლის დიასახლისი

ფიდე-ს იმდროინდელი ვიცე-პრეზიდენტი, ფილიპინელი ფლორენსიო კამპომანესი, პირველად რომ ჩამოვიდა (1979 წ.) საქართველოში, მისი მთავარი მასპინძელი გახლდათ ქალბატონი ლილი წეროძე. მაშინ იგი თბილისის ჭადრაკის სასახლის დირექტორი იყო. სტუმარს ძალიან მოეწონა ჩვენი დიდებული სასახლე, უფრო მეტად ქართული მასპინძლობა. მერეც, უკვე ფიდე-ს პრეზიდენტი, კამპომანესი რამდენჯერმე გვესტუმრა (1986, 1988, 1990 წწ.) თბილისში, ბორჯომში, თელავში... იგი სულ ანგარიშის სწორებაში იყო ლილი წეროძესთან პირველ სტუმრობისას მათ შორის დაწყებულ მატჩში. ფილიპინელი ოსტატი დღესაც ვალშია.

ასეთივე თბილი და ყურადღებიანი იყო ქალბატონი ლილი ყველა სტუმრის მიმართ. იცოდა თქმა: სასახლე ქართველ მოჭადრაკეთა ოჯახია. იგი ჩვენი სახეა, ჩვენი იმიჯიც აქედან მოდისო.

ლილი წეროძე თბილისის ჭადრაკის კლუბის დირექტორად 60-იანი წელების დამდეგს დაინიშნა. იმდროინდელმა კლუბმა მრავალ მნიშვნელოვან ტურნირსა და შეხვედრას უმასპინძლა. მერე, როცა ჭადრაკის სასხლის მშენებლობა გადაწყდა, იგი, როგორც იტყვიან, დღე და ღამე მშენებლობაზე ტრიალებდა. წარმოიდგინეთ, რა ბედნიერი იყო ქალბატონი ლილი, როცა 1973 წლის 14 აპრილს, სასახლის გახსნის დღეს, მას დიდებული ნაგებობის გასაღები გადასცეს.

თითქმის 20 წელიწადი ლილი წეროძემ უდიასახლისა ქართველ მოჭადრაკეთა კერას, სასახლე გადაიქცა საერთაშორისო საჭადრაკო ცხოვრების ეპიცენტრად. აქ იმართებოდა მსოფლიოს, ევროპის, საბჭოთა კავშირის და საქართველოს თვალსაჩინო ტურნირები და მატჩები, ფესტივალები, ჭადრაკის სასახლის ტრადიციული პირველობა. 1982-1987 წლებში ფუნქციონირებდა საქართველოს ჭადრაკის კულტურის სახალხო უნივერსიტეტი, გამოდიოდა დიდი ტურნირებისადმი მიძღვნილი მხატვრულად შესრულებული პროგრამა-ბროშურები, იმართებოდა გამოფენები, დიდოსტატთა შემოქმედებითი საღამოები და ბევრი სხვა, რაც ახარებდა მოჭადრაკეებსა და მათ ქომაგებს.

ქალბატონ ლილის არ შეუქმნია თავისი ოჯახი. ამიტომ მისი მთავარი საზრუნავი იყო დიდებული ჭადრაკის სასახლე, მისი იერი და მასპინძლობუნარიანობა. იგი მუდამ-ჟამს თავს ევლებოდა სასახლეს. სამუშაო, გასაკეთებელი ყოველთვის

სურათზე: ქალბატონი ლილი წეროძე კოლეგებს შორის (მარცხნიდან მარჯვნივ): პირველი რიგი – ქსენია გოგიავა, ნანა ალექსანდრია, ნათელა ხიქობავა, მეორე რიგი – ციცინო კახაბრიშვილი, თამარ კაჭარავა, ელისო კაკაბაძე, მესამე რიგი – ლეილა ნაჭყებია, მარინე ხომახიძე, ნონა გაფრინდაშვილი და ლილი წეროძე (თბილისი, 1972 წლის ნოემბერი).

გაძლიერებული ჰქონდა. არც არის გასაკვირი, რომ თავად სულ უფრო უჭირდა ტურნირში მონაწილეობა, მსაჯობისთვისაც დრო არ რჩებოდა.

ჭადრაკის თამაშს თავი რომ დაანება (უკმაყოფილო იყო თავისი შედეგებით), ლილი წეროძემ მსაჯობას მიჰყო ხელი. იგი "დირიჟორობდა" მრავალ საერთაშორისო ტურნირს, რომ არაფერი ვთქვათ სხვა შეჯიბრებებზე. ეს თავდადებული შრომა-გარჯა დაუფასდა. 1968 წელს მას საერთაშორისო არბიტრის წოდება მიენიჭა და მისი გვარი "ფიდე-ს ოქროს წიგნში" შეიტანეს.

ლილი წეროძე მრავალ ცნობილ მოჭადრაკეს მეგობრობდა. იგი მათი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი იყო ყოველთვის. ამიტომ შემთხვევით არ გახლდათ, რომ იგი დასწრებია ნონას და მაიას ორთაბრძოლებს ჭადრაკის დედოფლის ტახტისთვის მოსკოვში, რიგაში, ბიჭვინთაში, ბორჯომში, სოფიაში, თელავში... აგრეთვე, ანატოლი კარპოვის მატჩებს მანილასა (1978 წ.) და მერანოში (1981 წ.).

მრავალფეროვანი და ღრმაშინაარსიანია ლილი წეროძეს ცხოვრება და მოღვაწეობა ჭადრაკის სარბიელზე. იგი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, ქალთა კომისიის თავმჯდომარე გახლდათ. არცაა გასაკვირი, რომ მას საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა. მანამდე საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდებაც დაიმსახურა.

ლილი წეროძეს ღვაწლი და ამაგი საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ღირსების ორდენით აღნიშნა, რომელმაც დაამშვენა მისი განვლილი ცხოვრების გზა.

ამჟამად, ღვაწლმოსილი ქალბატონი პენსიაზეა, მაგრამ კვლავინდებურად ჭადრაკით სუნთქავს. მაგალითად, 1996 წელს ერევანში მსოფლიო XXXII საჭადრაკო ოლიმპიადას მსაჯობდა, 1999 წელს ბათუმში – ევროპის გუნდურ პირველობას. მსაჯობს ნორჩ მოჭადრაკეთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებს, საქართველოს ჩემპიონატებს...

თავგამოდებული მოღვაწე

ვინც ალექსანდრე ფალავანდიშვილს (1908-1964 წწ.) იცნობდა მოხიბლული იყო მისი ქართული იერით და ვაჟკაცური ბუნებით. იგი ეთაყვანებოდა ჭადრაკს. მეგობრობდა ვ. გოგლიძესთან. დიდი ხალისით მონაწილეობდა ჩვენს საჭადრაკო მოძრაობაში, როგორც მოჭადრაკე, ჟურნალისტი, მსაჯი და აქტიური საზოგადო მოღვაწე. ბუნებით კეთილი, საოცარ სითბოს აფრქვევდა ადამიანების მიმართ. ამიტომ არც არავის უკვირდა ჭირსა და ლხინში მისი თანადგომა.

ბატონ საშას განსაკუთრებით უყვარდა ახალგაზრდობა. ალბათ ამიტომაც ცხოვრების ბოლო თორმეტი წელი საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი გახლდათ. ინსტიტუტელები და იმდროინდელი სტუდენტობა დიდი სითბოთი იხსენებენ მას.

ა. ფალავანდიშვილი მთელი არსებით ჩაბმული იყო ჩვენს საჭადრაკო ცხოვრებაში. 30-იან წლებში იგი ამიერკავკასიის უმაღლესი ფიზკულტურის საბჭოს საჭადრაკო-საშაშო სექციის წევრია და თბილისის სექციაში ბეჭედითი საქმიანობის თავკაცი. მერე, სიცოცხლის ბოლომდე, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმში მსაჯთა კომისიას თავმჯდომარეობდა.

ბატონი საშა "დირიჟორობდა" საქართველოს და საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ჩემპიონატს, რომელთაც თბილისი მასპინძლობდა. იგი გახლდათ საქართველოს ქალთა პირველი საერთაშორისო ტურნირის მთავარი მსაჯი. მას საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება ჰქონდა მიკუთვნებული.

დაუღლელ მოღვაწეს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული საჭადრაკო ჟურნალისტიკის განვითარებაში. იგი ათეული წლების მანძილზე თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში ("კომუნისტი", "ზარია ვოსტოკა", "ახალგაზრდა კომუნისტი", "ფიზკულტურელი" და სხვა), სადაც ჭადრაკის ღირსებას უწევდა პროპაგანდას. ასე რომ, ბატონი საშა ერთ-ერთ პირველ ქართველ საჭადრაკო ჟურნალისტად უნდა მივიჩნიოთ.

ა. ფალავანდიშვილი ქართული სპორტის დიდი მესვეურიც გახლდათ. იგი კარგა ხანს უძღვებოდა თბილისის სპორტკომიტეტს. ეს პერიოდი მეორე მსოფლიო ომის წლებს დაემთხვა. ამ შეჭირვებულ დროს ბატონმა საშამ მამულიშვილური საქმიანობით გაითქვა სახელი. მაგალითად, დიდოსტატი დავით ბრონშტეინი მადლიერების გრძნობით იგონებს 1941 წლის შემოდგომას, როცა მას, კიევიდან თბილისში ლტოლვილ ჭაბუკს, ბატონმა საშამ

ა. ფალავანდიშვილის შეხვედრა დიდოსტატ პ. კერესთან
(თბილისი, საქართველოს 1946 წლის ჩემპიონატი).

თავშესაფარი მისცა და ლუკმა პური გაუჩინა. იგი მომავალ მსოფლიო ჩემპიონს, მაშინ ობოლ ყმაწვილს, ტიგრან პეტროსიანსაც ეხმარებოდა.

ა. ფალავანდიშვილი თავგამოდებული მოჭადრაკე იყო. მისი ყველაზე დიდი წარმატება გახლდათ საქართველოს III ჩემპიონატში მეორე ადგილი. მანამდე თბილისის 1932 წლის ჩემპიონატში მეორე რომ იყო, მეგობრებმა ხუმრობით ხმა გაუვრცელეს, თითქოს მისი წარმატების მიზეზი ულამაზეს ლია ციციშვილზე დაქორწინება იყო. იგი 15-20 წუთში ამთავრებდა პარტიას, მერე საათობით ჩაჰკირკიტებდა მას, რაც მეგობრების ქილიკის საბაბი ხდებოდა.

ბატონმა საშამ თამამი და მჭევრმეტყველი გამოსვლა იცოდა. მახსოვს როგორი სითბოთი მიესალმა ნონას 1962 წლის 25 ოქტომბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში საზოგადოებრიობასთან შეხვედრაზე. მისი მღელვარე სიტყვა გამთბარი იყო სიამაყისა და სიხარულის გრძნობებით.

როგორც შეეფერება მაღალი ღირსების მამულიშვილს, ბატონ საშას შესანიშნავი ოჯახი ჰქონდა. მან სასახელო შვილები — დალი და გეიდარი აღზარდა. მისი შვილიშვილი ლიკა ქავჟარაძე ცნობილი კინომსახიობია.

აი, ასეთი დარჩა ყველას მეხსიერებაში საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ქართული ჭადრაკის დიდი მოჭირნახულე ალექსანდრე ფალავანდიშვილი.

ბოლომდე ჭადრაკის ერთგული

ყველას, ვინც 50-იანი წლებიდან თვალს ადევნებდა ჩვენს საჭადრაკო ცხოვრებას, უთუოდ ემახსოვრება სანდომიანი გარეგნობის გიორგი გაჩეჩილაძე (1914-1994 წწ.). იგი საქართველოში საჭადრაკო მოძრაობის ერთ-ერთი ენერგიული ორგანიზატორი, მესვეური და მაღალკვალიფიციური არბიტრი გახლდათ. თითქმის ოთხი ათეული წელი საქართველოს სპორტკომიტეტის ჭადრაკის განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

გიგლას, როგორც ახლობლები და მეგობრები ვეძახდით, თავდავიწყებით უყვარდა ჭადრაკი. ბოლომდე დარჩა მისი ერთგული. სიმბოლურია, რომ სიცოცხლე ჭადრაკის დაფასთან დაასრულა. ეს მოხდა 1994 წლის 8 ივლისს ჭადრაკის სასახლეში, თავის მეგობარს, ოსტატ არჩილ ჯაკობიას რომ ეპაექრებოდა...

ჭადრაკს გიორგი გაჩეჩილაძე ჭაბუკობისას ეზიარა, ბრძნულ თამაშს დიდ პატივს სცემდნენ მისი მამის, ცნობილი პროფესორის ივანე გაჩეჩილაძის ოჯახში. პირველი ტურნირი გიგლამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ითამაშა. სწორედ მაშინ გაიცნო მან ვახტანგ ქარსელაძე, შემდგომში მისი ახლო მეგობარი და ცოლისძმა.

გიგლა ისე დაწინაურდა საუნივერსიტეტო ტურნირებში, რომ სპორტის მესვეურებმა 1941 წლის დამდეგს მას ნაკრების პირველი დაფა მიანდვეს მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდთან მატჩში. ეს დიდი პატივი გახლდათ. მით უმეტეს, რომ მისი მეტოქე "ამომავალი ვარსკვლავი", 20 წლის ვასილ სმისლოვი იყო. მართალია, გიგლამ წააგო ეს პარტია, მაგრამ შეუპოვრად იბრძოდა.

1941 წლის აპრილში გიგლამ მიიღო მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონატში, სადაც მეტოქეებად ჰყავდა უძლიერესი ქართველი მოჭადრაკეები ვ. გოგლიძის თავკაცობით და ცნობილი ოსტატობი ვ. მიკენასი (ლიტვა), ვ. მაკოგონოვი (აზერბაიჯანი) და ჰ. კასპარიანი (სომხეთი).

ეს ტურნირი რომ დამთავრდა, მალე მეორე მსოფლიო ომიც დაიწყო. გიგლა და მისი თანატოლები საბჭოთა არმიაში გაიწვიეს.

როცა სამხედრო უწყებამ შეიტყო, რომ გიგლას კარგი ხმა (ბანი) ჰქონდა, იგი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სიმღერის და ცეკვის ანსამბლში მიიწვიეს. მას ძალიან ხშირად უწევდა ფრონტზე კონცერტებში მონაწილეობა. დემობილიზაციის შემდეგ (1947 წ.) ჭადრაკს დაუბრუნდა და მთელი

ბ. გაჩეჩილაძე და მ. ბოტვინიკი
(მცხეთა, ხვიბიცხოველი. 1961 წ.)

ცხოვრება მის სამსახურს შეალია. იყო ქართული ჭადრაკის აღორძინებისა და წარმატებების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და მონაწილე.

გიორგი გაჩეჩილაძეს ღირსეულად დაუფასდა თავდადებული შრომა-მოღვაწეობა, რაც მის რეგალიებში აისახა. იგი გახლდათ საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოსა და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო არბიტრი და მედლის "შრომითი მამაცობისთვის" კავალერი.

აქვე უნდა ითქვას, რომ უმტკივნეულო არ ყოფილა გიორგი გაჩეჩილაძისთვის, როგორც ხელმძღვანელის, ურთიერთობა სხვადასხვა ხასიათისა და ამბიციების მოჭადრაკეებთან, მსაჯებთან, ორგანიზატორებთან. მას ყოფნიდა ტაქტი, დიპლომატია, მოთმინება და წინდახედულება "უომრად" მოეგვარებინა გამწვავებული საკითხები. ასეთი მცდელობის მიუხედავად, ზოგჯერ მაინც ურთულდებოდა ურთიერთობა. ზოგჯერ მოჭადრაკეები ტყუოდნენ, ზოგჯერ თავად მოსდიოდა შეცდომა, რასაც მერე გულწრფელად განიცდიდა. ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ ზოგს წყენა დიდხანს არ განელებია.

გიგლამ იცოდა მეგობრობა, მოყვასის თანადგომა. პატივს სცემდა ყველას, ვისაც ჭადრაკი საფიცარ ხატად გაეხადა. მაგრამ ჰქონდა ერთი "სისუსტე". ეთაყვანებოდა ჭეშმარიტ ვოკალს. რა დამავიწყებს მის ანთებულ თვალებს და სიხარულით აკიაფებულ სახეს, როცა მოსკოვში ე. ბიკოვასთან მატჩში გამარჯვების შემდეგ, ნონასთან სასტუმრო "მოსკოვში" მოსალოცად დიდი თეატრის სოლისტი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ზურაბ ანჯაფარიძე მოვიდა. იგი გულისყურით უსმენდა საუბარს. სტუმარი რომ გამოგვემშვიდობა, გიგლამ მითხრა:

— აი, გენიალური მომღერალი! სასიმღერო ხმა ღმერთის ნაბოძებია.

იგი გულის სიღრმემდე აღწევს და ამაღლებს ადამიანს.

თვითონ გიგლას სიმღერა მხოლოდ სუფრასთან მომისმენია. მიაჩნდა, რომ მისი ხმა მეტის "ღირსი" არ არის.

გიგლა გაჩეჩილაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მრავალ გამოჩენილ მოჭადრაკესთან. ერთად ვყოფილვართ მოსკოვში ტიგრან პეტროსიანის, დავით ბრონშტეინის და სხვა ოჯახების სტუმრები. მას ყველგან დიდი პატივისცემით ღებულობდნენ. ერთხანს იყო სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრიც. ყველგან ღირსეულად წარმოადგენდა სამშობლო ქვეყანას.

აი, ასეთ მოღვაწედ დარჩა გიორგი გაჩეჩილაძე ყველას მეხსიერებაში, ვინც იცნობდა.

ანდრია დადიანის ქომაგი

ანდრეი სმოროდსკი (1888-1954 წწ.) საქართველოში მცხოვრები პირველი სპორტის ოსტატი იყო. იგი აქტიურად მონაწილეობდა 20-30-იანი წლების საქართველოსა და თბილისის საჭადრაკო ცხოვრებაში. იგი რომ გავიცანი (1946 წ.), ტურნირებში აღარ მონაწილეობდა.

ერთხელ, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტის სტუდენტები გაგვაფრთხილეს, რომ რკინიგზის სამხედრო ორგანიზაციის საკითხებზე ლექციას პოლკოვნიკი სმოროდსკი წაგიკითხავთო.

დანიშნულ დღეს აუდიტორიაში საშუალოზე მაღალი, სიმპათიური, რკინიგზელის ფორმიანი კაცი შემოვიდა. იგრძნობოდა მისი ინტელიგენტური წარმომავლობა, საგნის ღრმა ცოდნა.

ანდრეი სმოროდსკი

ასე შევხვდით ერთმანეთს პირველად. სწრაფად დავახლოვდით, თუმცა იგი ჩემზე ბევრად უფროსი იყო. ერთხელაც შინ მიმიწვია, გამაცნო მეუღლე და ახლობლები. პენსიაზე რომ გავიდა (1948 წ.),

მერე მისი უფრო ხშირი სტუმარი გავხდი.

ჩვენ ვსაუბრობდით ჭადრაკის წარსულზე და აწმყოზე. დიდ მოჭადრაკეებზე. ვარჩევდით პარტიებს და, რა თქმა უნდა, ვპაექრობდით კიდეც. ანდრეი ალექსანდრეს ძემ აუჩქარებელი, დარბაისლური საუბარი იცოდა. ბევრის მცოდნე და თვითმხილველი გახლდათ, ვნანობ, რომ არ ვიწერდი მის ნაამბობს. ახალგაზრდა ვიყავი და არ მესმოდა მათი მნიშვნელობა საქართველოს ჭადრაკის ისტორიისთვის. სამწუხაროდ, მისი მონათხრობიდან ცოტა რამ შემორჩა მეხსიერებას.

ა. სმოროდსკი სამხედრო მოსამსახურე იყო. თბილისში 1921 წელს ჩამოვიდა და სამუდამოდ დარჩა. აქ ჩვენს ინსტიტუტში მოსვლამდე იგი ამიეკავკასიის სამხედრო ოლქის სამმართველოში მუშაობდა. დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის სახელგანოქმული ტექნოლოგიური ინსტიტუტი. რამდენიმე ენა იცოდა. დიდად ნაკითხი, ერუდირებული პიროვნება გახლდათ.

მისი ნაამბობიდან ვიცოდი: ჭადრაკით ბავშვობიდან იყო გატაცებული. სტუდენტი ყოფილა, როცა 1909 წელს პეტერბურგში მ. ჩიგორიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირს ესწრებოდა. ისე მოუხიბლავს ე. ლასკერის, ა. რუბინშტეინის და სხვების თამაშს, რომ გადაუწყვეტია სერიოზულად დაუფლებოდა ჭადრაკს. 1913 წელს სრულიად რუსეთის მოყვარულთა ტურნირში მეორე ადგილი რომ დაიკავა, იგი სრულიად რუსეთის ოსტატთა ტურნირში მიიწვიეს. ამ შეჯიბრებას კი უნდა დაესახელებინა პეტერბურგის 1914 წლის დიდოსტატთა ცნობილი ტურნირის ერთი მონაწილე. სმოროდსკის პაექრობა მოუწია ა. ალიოხინთან, ა. ნიმცოვიჩთან, ე. ბოგოლიუბოვთან და იმდროინდელ სხვა ცნობილ მოჭადრაკეებთან. დაძაბულ ბრძოლაში მან მეექვსე-მეშვიდე ადგილები გაიყო ოსტატ ე. ზნოსკო-ბოროვსკისთან (10-10 ქულა 17-დან) და, რაც მთავარია, ოსტატის წოდება მოიპოვა.

ა. სმოროდსკიმ 7 პარტია მოიგო, 6 ყაიმით დაამთავრა. მან დაამარცხა ა. ნიმცოვიჩი (პარტია იხ. "მატიანე" II, გვ. 134), გ. ლევენფიში, ს. ფრეიმანი, ს. ლევიტსკი... ყაიმით დაამთავრა შეხვედრები ა. ალიოხინთან, ე. ბოგოლიუბოვთან, ე. ზნოსკო-ბოროვსკისთან, ს. ალაპინთან და სხვებთან. იგი ამაყობდა ამ წარმატებით.

მალე პირველი მსოფლიო ომი დაიწყო და თბილისში ჩამოსვლამდე მას ჭადრაკი აღარ უთამაშია. მაჩვენა პეტერბურგის 1921 წლის საჭადრაკო ჟურნალი, სადაც ეწერა თითქოს იგი ომში დაიღუპა. მაშინ

ასეთი არეული დრო იყოო.

20-იანი წლების დამლევს თბილისში საჭადრაკო ცხოვრება აეწყო. ანდრეი ალექსანდრეს ძე იხსენებდა:

— ამ დროისათვის შეიქმნა თბილისის სექცია, ახლა რომ ფედარაციას ვუწოდებთ, 1926 წლის თბილისის ჩემპიონატში პირველად გვქონდა დებულება, რეგლამენტი, საათები და პრიზებიც.

ა. სმოროდსკი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1932 წელს არჩეული იყო ამიერკავკასიის საჭადრაკო-საშაშო სექციის და მისი საკვალიფიკაციო კომისიის, აგრეთვე საქართველოს და თბილისის გაერთიანებული საჭადრაკო-საშაშო სექტორის და სასწავლო-მეთოდური კომისიის წევრად. საქმე საკმაოდ ბევრი იყო. მაგრამ იგი პირნათლად ასრულებდა დავალებებს. კითხულობდა ლექციებს, აწყობდა ერთდროული თამაშის სეანსებს.

ანდრეი სმოროდსკი საქართველოს სახელით საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებშიც (1923,1925,1927 წწ.) მონაწილეობდა, მაგრამ წარუმატებლად, მერე საბჭოთა შეიარაღებული ძალების ჩემპიონი იყო. 1933 წელს მას და კიდევ რამდენიმე მოჭადრაკეს, მათ შორის თბილისელ ნიკოლოზ სოროკინს, ოსტატის წოდება ჩამოერთვათ, რადგან შედეგებით ვერ დაიმტკიცესო. მაშინ ასე იყო.

თანდათან ანდრეი სმოროდსკიმ უკლო ტურნირებში თამაშს. უკანასკნელად ითამაშა 1942 წელს თბილისში დიდოსტატ ს. ფლორის მონაწილეობით გამართულ მატჩ-ტურნირში.

ანდრეი სმოროდსკის მდიდარი საჭადრაკო ბიბლიოთეკა ჰქონდა. ერთხელ რამდენიმე კომბინაციური პარტია მაჩვენა უცხოური ჟურნალიდან. რომ მოვიწონე, მითხრა:

— ეს ანდრია დადიანის პარტიები გახლდათ. კარგი მოჭადრაკე იყო. მას თითქმის არ იცნობენ საქართველოში. დაინტერესდით მისი ცხოვრებით, შემოქმედებით. ამ კრებულს თქვენ გჩუქნით. აქედან მისი ბიოგრაფიაც გითარგმნეთ. მერე ალბათ სხვა მასალებსაც მიაგნებთ. სერიოზულად მოჰკიდეთ ხელი ამ მადლიან საქმეს.

ღვაწლმოსილმა ოსტატმა მისახსოვრა ინგლისური საჭადრაკო ჟურნალის "ჩესს მანსლის" 1892 წლის კრებული, რომლის ივნისი-ივლისის ერთობლივი ნომერი დადიანს ეძღვნებოდა.

ანდრია სმოროდსკის რჩევა გულთან ახლოს მივიტანე. მაგრამ, როცა 1972 წელს ჩემი მონოგრაფია "თამაშობს ანდრია დადიანი" გამოვიდა, იგი აღარ იყო, რომ მისთვის მადლიერებით მიმერთმია.

მაძიებელი სულის მკვლევარი

ხასიათით მოუსვენარი და სულით მაძიებელი მიხეილ ვადბოლსკი 1924 წლიდან თბილისში ცხოვრობდა.

– სამოქალაქო ომის შემდეგ გზაჯვარედინზე აღმოვჩნდი. არ ვიცოდი საით წავსულიყავი, სად მეცხოვრა. აღარ არსებობდა ჩემი მამაპაპისეული მამული სმოლენსკის გუბერნიაში, ქალაქ როსლავლის მეზობლად რომ იყო. ბავშვობაში პუშკინმა და ლერმონტოვმა შემაყვარეს კავკასია და მეც, ბევრი არ მიფიქრია, გადავწყვიტე თბილისში დამედო ბინა, – მიამბობდა მიხეილ ნიკოლოზის ძე.

მაშინდელმა ეგზოტიკურმა თბილისმა სწრაფად მოინადირა ახალგაზრდა მიხეილის გული. იგი სამუდამოდ დარჩა თბილისში და ათეული წლების მანძილზე, მთელი არსებით იღვაწა მრავალ სფეროში.

მიხეილ ვადბოლსკი (პოლონელი თავადების შთამომავალი) დაიბადა 1899 წლის 28 თებერვალს ვარშავაში. მისი წინაპარი, თავადი ივანე მიხეილის ძე ვადბოლსკი, 1812 წლის სამამულო ომის გმირი გენერალი იყო. დედისერთა მიხეილმა 1915 წელს პეტერბურგის კერძო გიმნაზია დაამთავრა. 1912-1915 წლებში ხატვას ეუფლებოდა ბარონ შტაგლეცის სახელობის სასწავლებელში, გამოჩენილი მხატვრის ნიკოლოზ რერიხის კლასში. ეს ის რერიხია, მერე რომ გაითქვა სახელი ინდოეთში მოღვაწეობით.

ჭადრაკის თამაში მიხეილ ვადბოლსკიმ ბავშვობაში ისწავლა. სიამაყით იხსენებდა, რომ იგი 1914 წელს ესწრებოდა პეტერბურგის დიდოსტატთა ტურნირს, რომელიც ემანუილ ლასკერმა მოიგო. აქ მან ნახა პირველად "ნამდვილი მოჭადრაკეები": ხოსე-რაულ კაპაბლანკა, ზიგბერტ ტარაში, აკიბა რუბინშტეინი, ალექსანდრე ალიოხინი, არონ ნიმცოვიჩი და სხვები.

თბილისში მიხეილ ვადბოლსკის მჩქეფარე საჭადრაკო ცხოვრება დახვდა. ხშირად იმართებოდა ტურნირები, ერთდროული თამაშის სეანსები, ჩამოდიოდნენ ცნობილი ოსტატები რუსეთიდან. მიხეილი სამუშაოდ მოეწყო წითელი არმიის სახლში მხატვრად და ჭადრაკის სექციის ხელმძღვანელად. თავადაც მონაწილეობდა ტურნირებში. 1925 და 1928 წლებში გაიმარჯვა თბილისის არმიელთა ჩემპიონატებში.

მიხეილ ვადბოლსკი პროფესიონალი მოჭადრაკის გზას არ გაჰყოლია. თანამშრომლობდა გაზეთებში როგორც მხატვარი, წერდა ლექსებს.



სტუმრად მიხეილ ვადბოლსკისთან (თბილისი, 12 ოქტომბერი 1961 წ.).

ყოველივე ეს დიდად გამოადგა მეორე მსოფლიო ომის წლებში, როცა ამიერკავკასიის ოფიცერთა სახლის პოლიტიკურ-სატირულ გაზეთ "ფანჯარას" უძღვებოდა. გაზეთს ფართო რეზონანსი ჰქონდა. ეს მხატვრულ-ჟურნალისტური მოღვაწეობა დიდად დაუფასდა მიხეილ ვადბოლსკის. 1981 წელს, მას საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება მიანიჭეს. მიხეილ ნიკოლოზის ძე შემდგომ ბეჭდავდა სტატიებს, წერილებს, მეგობრულ შარჟებს საქართველოს მოჭადრაკეებზე.

სხვათა შორის, მიხეილ ვადბოლსკი ახლოს იცნობდა გალაკტიონ ტაბიძეს. მასზე მოგონებებიც აქვს დაწერილი. მას სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთანაც ჰქონდა საქმიანი თუ მეგობრული ურთიერთობა.

50-იან წლებში, მიხეილ ვადბოლსკიმ გასაცნობად მომიტანა თავისი წიგნის "ჭადრაკი 1400 წლის მანძილზე" ხელნაწერი, მასში საუბარი იყო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჭადრაკის წარსულზე. მთხოვა: თუ მომეწონებოდა, მეთარგმნა იგი და რედაქტორობაც მეკისრა. 1957 წელს, "ტექნიკა და შრომამ" გამოსცა წიგნი, რომელიც პირველი აღმოჩნდა მთელი ისტორიის მანძილზე ქართულ საჭადრაკო ლიტერატურაში. წიგნი კარგად მიიღო

მკითხველმა, მაგრამ უსაყვედურა, რომ მასში არაფერი იყო ნათქვამი საქართველოზე. ეს ხარვეზი მეორე გამოცემაში (1972 წ.) გასწორდა. დაიბეჭდა ჩემი ნარკვევი ქართული ჭადრაკის წარსულზე, რომელიც მიხეილ ნიკოლოზის ძის თხოვნით დავწერე.

კიდევ ერთი კარგი წიგნი გამოსცა მიხეილ ვადბოლსკიმ (1966 წელს) – "მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები ჭადრაკის ისტორიაში".

მართალია, მიხეილ ვადბოლსკიმ არ იცოდა ქართული (ვერ ლაპარაკობდა), მაგრამ ძალიან დაინტერესებული იყო ჭადრაკის წარსულით საქართველოში. პირველმა, მან მიაქცია ყურადღება 1945 წელს არმაზის გათხრებში პროფესორ გიორგი ლომთათიძის მიერ ნაპოვნ სათამაშო ძვალს – კამათელს, რომელსაც ჩატურანგაში იყენებდნენ. მისი აზრით, ეს კამათელი საქართველოში ინდოელი ვაჭრების მიერ უნდა ყოფილიყო შემოტანილი. მიხეილ ვადბოლსკი სწავლობდა საქართველოში გამოჩარხული ჭადრაკის ფიგურების ეროვნულ აღნაგობას, მათ კავშირს ასტროლოგიასთან, ეძებდა მუზეუმებში ქართულ ჭადრაკს და სხვა. აღსანიშნავია, რომ სწორედ მან მიაგნო პროფესორ დ. ციციშვილის კოლექციაში (XVIII საუკუნისდროინდელი) ქართულ სამზითვო ჭადრაკს. ქართული ჭადრაკის ისტორიის საკითხებზე ჩვენ რამდენიმე ერთობლივი წერილი გამოგვიქვეყნებია.

მიხეილ ვადბოლსკი ნიჭიერი მკვლევარი იყო. ამის დასტურად აღვნიშნავ: მან მოიძია და გამოსაქვეყნებლად მოამზადა წიგნები "ქართველი გენერლები რუსეთის არმიაში" და "ქართული ჰერალდიკა", მაგრამ მრავალი დაპირებისა და ჰონორარის გაცემის მიუხედავად, წიგნებმა მაინც ვერ იხილეს დღის სინათლე. ასეთი დრო იყო მაშინ. მხოლოდ 1980 წელს შეძლო მან დაებეჭდა გამოკვლევა "საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა".

მიხეილ ნიკოლოზის ძემ ვერ მოასწრო მოგონებების დაბეჭდვა, რომელიც 20-იანი წლების თბილისის საჭადრაკო ცხოვრებას შეეხებოდა.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მიწურულს მიხეილ ვადბოლსკი ბევრს მუშაობდა, განაგრძობდა კვლევა-ძიებას. სწორედ მაშინ წამოიწყო მან დიდტანიანი ნაშრომი "ჭადრაკი ფილოსოფიის, ასტროლოგიის და მათემატიკის ასპექტში", რომელიც, სამწუხაროდ, დაუმთავრებელი დარჩა.

მიხეილ ვადბოლსკი გარდაიცვალა 1990 წლის 19 მაისს თბილისში.

ჭეშმარიტი პროფესიონალი

ასეთი იყო თბილისელი ოსტატი ნიკოლოზ სოროკინი (1900-1984 წწ). იგი მხოლოდ შეჯიბრებებში მონაწილეობდა. არასოდეს ყოფილა მწვრთნელი, არ ჰყოლია მოწაფეები. რაღაცნაირი, თავისებური კაცი იყო, მაგრამ ჭადრაკზე დიდად თავგადაკლული.

ნ. სოროკინი ჩამოვიდა თბილისში 1926 წელს კიევიდან, სადაც უკრაინის, ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე იყო. იგი ბავშვობაში თვით ა. ალიოხინს შეხვედრია (ცხადია, სეანსში), რასაც სიამაყით იხსენებდა ხოლმე. თბილისში ახალგაზრდა მოჭადრაკეს მჩქეფარე საჭადრაკო ცხოვრება დახვდა. იგი სწრაფად აეწყო საერთო ფერხულს და სამუდამოდ დარჩა სტუმართმოყვარე მასპინძლებთან.

ჩამოსვლისთანავე ნ. სოროკინმა შთამბეჭდავად მოიგო თავისი პირველი ტურნირი, ამიტომ არავის გაკვირვებია, როცა მან ვ. გოგლიძესთან ერთად საქართველოს I (1928 წ.) ჩემპიონატში პირველი-მეორე ადგილები გაიყო. მერეც გრძელდებოდა მათი "დაპირისპირება", მაგრამ ცოტა ხანს. 1929 წელს ნ. სოროკინი დამარცხდა მატჩში სპორტის ოსტატის წოდებისთვის მოსკოველ ოსტატ ვ. ნენაროკოვთან, მომდევნო წელს ვ. გოგლიძემ სძლია ვ. ნენაროკოვს (7:4) და ოსტატის წოდებაც მოიპოვა.

ნ. სოროკინმა ოსტატის წოდება მხოლოდ 1933 წელს მიიღო სსრ კავშირის 1931 და 1933 წლების ჩემპიონატებში თამაშით. მაგრამ 1935 წელს, მაშინდელი უმკაცრესი წესების გამო, მას და კიდევ რამდენიმე მოჭადრაკეს წოდება ჩამოართვეს. იგი ღვაწლმოსილმა მოჭადრაკემ მხოლოდ 1958 წელს დაიბრუნა, როცა საკვალიფიკაციო მატჩი ყაიმით (7:7) დაამთავრა ოსტატ გ. ფრიდშტეინთან (მოსკოვი).

ნიჭიერი ოსტატი დიდხანს რჩებოდა საქართველოს ერთ-ერთ წამყვან მოჭადრაკედ. იგი კიდევ ორჯერ (1947, 1951 წწ.) იყო საქართველოს ჩემპიონი. ოთხჯერ გაუმარჯვია (1936, 1939, 1941-42, 1949 წწ.) თბილისის ჩემპიონატში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 20-30-იან წლებში თბილისელი ოსტატი დაფაზე დაუხედავად თამაშში სსრ კავშირის რეკორდსმენი იყო. იგი ერთდროულად 15 დაფაზე თამაშობდა. ხშირად ჰქონდა გასტროლები. ალბათ რეკორდსაც გააუმჯობესებდა, მაგრამ მალე ჩვენში აიკრძალა ასეთი "ჯამბაზობა".

ნ. სოროკინი საქართველოს რაიონებისა და ქალაქების ხშირი სტუმარი იყო. იგი კითხულობდა

სტუმარ-მასპინძლები (მარცხნიდან): დიდოსტატი ვიანჩესლავ რაგოზინი (მოსკოვი), ვიქტორ გოგლიძე, დიდოსტატი ანდრე ლილიენტალი (უნგრეთი) და ნიკოლოზ სოროკინი (თბილისი, 1937 წ.).

ლექციებს, პირისპირ ხვდებოდა ადგილობრივ ძლიერ მოჭადრაკეებს და ერთდროული თამაშის სეანსებს ატარებდა.

მადლიერების გრძნობით ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისელი ოსტატი პრესაშიც ჭადრაკს დიდ პოპულარიზაციას უწევდა. თითქმის ოცი წელი (1927-1947 წწ.) რედაქტორობდა გაზეთ "ზარია ვოსტოკას" ჭადრაკის განყოფილებას. მისი მეცადინეობით ამ "კუთხემ" შემოგვინახა იმდროინდელი ქართველი მოჭადრაკეების შემოქმედების მაგალითები (პარტიები, ამოცანები, ეტიუდები).

ცხოვრების ბოლო წლებში ნ. სოროკინი ხშირად მსაჯობდა დიდ ტურნირებს (საკავშირო კატეგორიის მსაჯი იყო). მას სამსაჯოდ რუსეთშიც იწვევდნენ.

სამწუხაროა, რომ ნიკოლოზ სოროკინმა არ დაგვიტოვა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების "მოგონებების წიგნი". სათქმელი კი უთუოდ ჰქონდა.

უანგარო გულშემატკივარი

რევაზ გრიგოლია

საქართველოში ყოველთვის იყვნენ ჭადრაკის თავგამოდებული, უანგარო თაყვანისმცემლები, მოჭადრაკეთა ღირსეული დამფასებელნი. სწორედ ასეთი გახლდათ რევაზ გრიგოლია (1928-1996 წწ.), დიდი პროფესიონალი პოლიგრაფისტი, რომელიც თითქმის ოცდაათი წელი უძღვებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტამბას, ბოლოს, გარდაცვალებამდე რამდენიმე წელი, გამომცემლობა "მეცნიერების" დირექტორიც იყო.

დიდ შრომით ფერხულში ჩაბმულ ბატონ რევაზისთვის ნამდვილი სულისდგმა გახლდათ სპორტი, კერძოდ ჭადრაკი და ფეხბურთი. მათი სიყვარული ბავშვობიდან მოჰყვებოდა. ამიტომ არც გვიკვირდა მისი მხურვალე ქომაგობა.

— ჭადრაკი ბავშვობაში ვისწავლე, მაგრამ სერიოზულად მაშინ დავინტერესდი, როცა სარბიელზე ნონა გამოჩნდა, — იხსენებდა ბატონი რევაზი. — მაშინ ახალგაზრდა ინჟინერს ხშირად მიხდებოდა მივლინებებში გამგზავრება. მეც ისე ავაწყვე საქმე, რომ 1962 წელს მოსკოვში, 1965 წელს რიგაში დავესწარი ჩემი კერპის მსოფლიო პირველობის მატჩებს...

ეს ტრადიცია რევაზ გრიგოლიას არც მაშინ დაურღვევია, როცა სარბიელზე მაია ჩიბურდანიძე გამოჩნდა. 1978 წელს მეგობრებთან ერთად იგი დაესწრო ბიჭვინთაში ნონასა და მაიას შორის ისტორიული მატჩის საზეიმო გახსნას. 1981 და 1986 წელს ბორჯომში მაიას მატჩების სტარტს ნანა ალექსანდრიასა და ელენე ახმილოვსკაიასთან.

თბილისში ხომ ბატონი რევაზი არ გამოტოვებდა დიდ ტურნირსა და მატჩს. ეს ერთგულება მხოლოდ გულშემატკივრობით არ გამოიხატებოდა. იგი დიდად ეხმარებოდა თბილისის ჭადრაკის სასახლეს დიდი შეჯიბრებებისადმი მიძღვნილი პროგრამებისა და აფიშების გამოცემაში.

და მაინც, ყველაზე საგულისხმო ისაა, რომ "გრიგოლიას სტამბაში" იბეჭდებოდა საჭადრაკო ლიტერატურა მაღალ პოლიგრაფიულ

დონეზე. წარმოიდგინეთ მისი სიხარული, როცა ნონას გამოუცა მისი პირველი წიგნი "არსი ჩემი ცხოვრებისა" (1976 წ.). მერეც, მისი ლოცვა-კურთხევით გამოდიოდა დ. გურგენიძის, ი. აკობიას, ვ. კალანდაძის, გ. მახარაძისა და ამ სტრიქონების ავტორის წიგნები.

ბატონ რევაზს კარგად ესმოდა ჩვენი მოჭადრაკე ქალთა მიღწევების ისტორიული მნიშვნელობა. ამიტომ ძალიან მიწყობდა ხელს მსოფლიო პირველობაში ქართველ მოჭადრაკე ქალთა მონაწილეობით მატჩების მატიანეს შექმნაში. 1975 წლიდან "გრიგოლიას სტამბაში" შვიდი ასეთი წიგნი დაისტამბა. იბეჭდებოდა ჩემი სხვა წიგნებიც.

მაღალი ზნეობის, ღრმად ერუდირებული რევაზ გრიგოლია მასშტაბურად აზროვნებდა. ამიტომაც ახარებდა ყოველი ახალი წიგნის გამოსვლა. მით უმეტეს თუ იგი ერის სულიერებას ემსახურებოდა. როცა შეიტყო, რომ მრავალი წელი ვიკვლევდი ქართული ჭადრაკის წარსულს, მაშინვე თანადგომა გამომიცხადა. მისი ზრუნვა-ყურადღებით იმ შეჭირვებულ დროში შევძელი "ქართული ჭადრაკის მატეანეს" პირველი წიგნის (1995 წ.) გამოცემა. არ მასვენებდა, ვიდრე მეორე წიგნი არ დავასრულე, მაგრამ იგი ველარ მოესწრო მის გამოსვლას (1997 წ.). ეს და წინამდებარე მესამე წიგნიც, რა თქმა უნდა, "გრიგოლიას სტამბაში" დაიბეჭდა.

ბატონმა რევაზმა მთელ სტამბას დაუახლოვა მოჭადრაკეები. საინტერესო შეხვედრები მოუწყო ნონასა და მაიას მუშა-მოსამსახურეებთან, გაამართვინა ერთდროული თამაშის სეანსები, წააკითხა ლექციები. ეს დაუვიწყარ მოგონებად დარჩა ყველას.

ბოლოს ბატონ რევაზს მისმა კეთილმა გულმა უღალატა. ჩვენ კი ტკივილი, სინანული და ძვირფასი მოგონებები დაგვიტოვა. სწორედ ამაზეა მიხეილ ბოტვინიკის ნათქვამი: "ბოლო წლებში მივხვდი რა არის მოხუცებულობა — როცა მიდიან მეგობრები, ახალს კი ვერ იძენ და გრჩება მხოლოდ ის, რომ გახსოვდეს წარსული." ეს მეც ვიგრძენი.

თავი VII

კომპოზიციის მედროშენი

პირველი მსოფლიო ჩემპიონი



დავით გურგენიძე

1997 წლის ივლისში ქალაქ პულაში (ხორვატია) საჭადრაკო კომპოზიტორთა მე-40 საერთაშორისო კონგრესზე პირველ მსოფლიო ჩემპიონად ეტიუდების ჟანრში დავით გურგენიძე გამოცხადდა. ეს იყო ქართველი შემოქმედის, საერთოდ ქართული საეტიუდო სკოლის სპორტული მიღწევებისა და შემოქმედების უმაღლესი, დიდზე დიდი შეფასება. მსგავსად არასოდეს უღიარებიათ ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორი, თუმცა მრავლად გვყავდა ეტიუდის ნიჭიერი მესაიდუმლე.

მანამდე, 1996 წლის ზაფხულს ქალაქ თელ-ავივში (ისრაელი) 39-ე საერთაშორისო კონგრესზე დავით გურგენიძე "მსოფლიოს უძლიერეს ეტიუდისტად" გამოაცხადეს. მაშინ არ არსებობდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. იგი მერე შემოიღეს. ფიდე-ს დებულებით ჩემპიონობა ენიჭება შემოქმედს, რომელიც "ფიდე-ს ალბომში" (იგი 1961 წლიდან გამოდის სამ წელიწადში ერთხელ) ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს. დავით გურგენიძეს ჩემპიონობა მიენიჭა 1989-1991 წლების "ფიდე-ს ალბომის" მიხედვით. ამ "ალბომში" მისი 17 ეტიუდი დაიბეჭდა.

საინტერესოა, რომ მანამდე დავითმა ოთხჯერ (1974-1976, 1977-1979, 1980-1982, 1986-1988 წწ.) გაიმარჯვა "ფიდე-ს ალბომის" კონკურსში.

დავით გურგენიძის ცხოვრება და შემოქმედება სათავეს იღებს საგარეჯოს რაიონის სოფელ ჩაილურში, სადაც დაიბადა 1953 წლის 26 სექტემბერს. საჭადრაკო პრესაში პირველად მისი გვარი 1965 წელს გამოჩნდა, როგორც კომპოზიციების ამომხსნელისა.

აქ მინდა მოკლედ გავიხსენო ჩვენი გაცნობის ისტორია.

60-იან წლებში ხშირად ვღებუ-

ლობდი ამომხსნელთა წერილების "ლელოსა" და "სოფლის ცხოვრებაში", სადაც ჭადრაკის განყოფილებებს ვუძღვებოდი, დაბეჭდილ ამოცანებისა და ეტიუდების პასუხად. მათ ყმაწვილი დათო გურგენიძეც აგზავნიდა.

ერთხელ დათოს რამდენიმე ეტიუდი მივიღე. მთხოვდა გამოქვეყნებას. მათ რომ გავეცანი, გავოცდი. ვერ დავიჯერე, რომ სოფლელ ბიჭუნას ნამდვილი ეტიუდის შექმნა შეეძლო. ცოდვა გატეხილი სჯობს: ვიფიქრე, ალბათ საიდანმე გადაწერა-მეთქი. ამიტომ მივწერე, კიდევ გამოეგზავნა. მერე შევუთვალე, თავად ჩამოსულიყო თბილისში. და, როცა გავიცანი და ერთად ვნახეთ მისი რამდენიმე ნამუშევარი, მოვისმინე მისი შენიშვნები, ჭკვიანური მსჯელობა, მივხვდი: საქმე მქონდა უაღრესად ნიჭიერ შემოქმედთან. მომდევნო, 1970 წლის იანვარში "ლელოში" დავბეჭდე საჭაშნიკოდ მისი ერთ-ერთი ეტიუდი, რომელიც მან თავის სახელოვან მოგვარეს, პირველ ქართველ დიდოსტატს ბუხუტი გურგენიძეს უძღვნა. ეტიუდს დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

მერე დავით გურგენიძე თბილისში, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი იყო. იგი 1975 წელს დაამთავრა.

ერთხანს დავითმა გზის ინჟინრად იმუშავა საგარეჯოში, სადაც საჭადრაკო კლუბი გაუხსნეს. მერე საქართველოს ფიზიკურ-ხრდისა და სპორტის აკადემიაში – ჭადრაკის მასწავლებლად. 1994 წლიდან მუშაობს თბილისის ჭადრაკის სასახლეში, როგორც საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

1973-1993 წლების მანძილზე დავითმა კომპოზიციაში ორჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი, ამდენჯერვე ვერცხლის და სამჯერ ბრინჯაოს მედალი, საერთაშორისო კონკურსების ათობით პირველი პრიზი. მისი ნამუშევრები მრავალგზის დაიბეჭდა "ფიდე-ს ალბომში", რამაც მას საერთაშორისო ოსტატის (1984), საერთაშორისო დიდოსტატის (1989) და საერთაშორისო არბიტრის (1994) წოდებები მოუტანა. 1991 წლიდან დავითი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საკომპოზიციო კომისიის თავმჯდომარეა.

რთულია შემოქმედი კაცის ცხოვრება. წარმატებებს ზოგჯერ დაუმსახურებელი წყენა მოჰყვება ხოლმე მოშურნეთა მხრიდან. ერთხელ, რბილად რომ ვთქვათ, სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება დააკარგვინეს. ვილაცეების ხრიკების გამო მან ისრაელის დიდ ოლიმპიურ კონკურსში მოპოვებული ოქროს მედალი (ველიმირ კალანდაძესთან ერთობლივი ეტიუდისთვის) მხოლოდ

20 წლის შემდეგ, 1996 წელს მიიღო (იხ. "ანატიანე", II. გვ. 322).

ეტიუდისტის შრომა დიდ ფანტაზიას, ერუდიციას და მეცადინეობას მოითხოვს. ყოველივე ამით დავითი უხვადაა დაჯილდოებული. იგი შინაგანად მუდამ გულწრფელი და მართალია. მისი ეტიუდები მარტივი, ბუნებრივი ფორმის, შინაარსობრივად ღრმა და შთამბეჭდავია. არაერთმა ასეთმა ეტიუდმა მრავალი ქვეყნის საჭადრაკო ჟურნალი შემოიარა.

ბოლო წლებში დავით გურგენიძემ თავისი ეტიუდების რამდენიმე კრებული დასტამბა, მაგალითად, "რჩეული ეტიუდები" (1993, 1995 წწ.), "პაწია ეტიუდები", "100 მინიატიურა", "სისადავე, სილაღე და სილამაზე" (ყველა – 1999 წ.).

1997-1998 წლებში დ. გურგენიძემ უკეთილშობილესი საქმე გააკეთა, როცა შეაგროვა აწ განსვენებული უფროსი კოლეგების, კომპოზიციის დიდოსტატის ი. კრიხელის და ნიჭიერი საჭადრაკო კომპოზიტორის, პროფესორ ო. ტაბიძის ამოცანები, ეტიუდები და ცალკე წიგნებად გამოსცა.

სულ ახლახან გამოსცა შესანიშნავი კრებული "ქართველი ეტიუდისტების პაწაწები" (რუსულ ენაზე), რომელშიც 150 მაღალმხატვრული ეტიუდია წარმოდგენილი.

1997 წლიდან იგი გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" საჭადრაკო დამატების "ლაზიერის" რედაქტორია.

1997 წელს ქართველი ეტიუდისტის ღვაწლი ღირსების ორდენით დაფასდა. იგი პირველი ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორია, რომლის ნაამაგარი მთავრობის ჯილდოთი აღინიშნა.

დაუღლელი შემოქმედი დავით გურგენიძე სისხლსავსე ცხოვრებას ეწევა. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში ნაყოფიერი მოღვაწეობის პარალელურად იგი აქტიურად მონაწილეობს ფიდე-ს საჭადრაკო კომპოზიციის კომისიის საქმიანობაში. სისტემატურად ესწრება კონგრესებს, თხზავს და ბეჭდავს ახალ ეტიუდებს.

შემოქმედ კაცს მუშაობაში სულიერი სიმშვიდე და სიკეთე უწყობს ხელს. ეს იცის დავითმა და იგი თავად შეიქმნა, როცა თავისი ცხოვრება ქალბატონ იზა თანდილაშვილს დაუკავშირა. დღეს მათ ოჯახს ალამაზებენ პატარები – თათია, ტატო და თორნიკე.

დავით გურგენიძე შემოქმედებითი სიმწიფის ხანაშია. ამიტომ მისგან ახალ, მაღალმხატვრულ ეტიუდებს მოველით!

ჩვენი დიდი პრობლემისტი

ალექსანდრე დობორჯგინიძე

ალექსანდრე დობორჯგინიძე იყო XX საუკუნის პირველი ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორი, რომელიც ჭადრაკის სამყარომ გაიცნო. იგი მთელი არსებით ემსახურა ქართულ კომპოზიციას, იყო მისი დაუღალავი პროპაგანდისტი და ორგანიზატორი. ამიტომაც, სავსებით სამართლიანად, საქართველოში საჭადრაკო კომპოზიციის ერთ-ერთ ფუძემდებლადაა აღიარებული.

ჩვენ ცოტა ვიცით ალეს (ასე მიმართავდნენ მეგობრები ალექსანდრე დობორჯგინიძეს) ბავშვობასა და ყრმობაზე. დაიბადა იგი 1902 წლის 15 აგვისტოს ფოთში. ჭაბუკი ყოფილა ფილტვების სნეულება რომ აღმოაჩნდა. დედამ იგი ბორჯომის ხეობას შეაფარა, აბასთუმნის ჰავამ სიკეთე არ დაამადლა. ყმაწვილი ალე განიკურნა და დედა-შვილი ზღაპრული ბუნების სამყაროში დარჩნენ სამუდამოდ. დედა ექთნად მუშაობდა, ალე კი სწავლობდა.

ა. დობორჯგინიძემ თავისი პირველი ამოცანა 1928 წელს გამოაქვეყნა. საერთოდ, მან 150-ზე მეტი ნაწარმოები შექმნა, მაგრამ ჟამთასვლაში ჩვენამდე მრავალმა ვერ მოაღწია. არსებული მემკვიდრეობაც საკმარისია, რომ ვაღიაროთ ნიჭიერი შემოქმედის მაღალპროფესიული ხელოვნება.

30-იან წლებში ა. დობორჯგინიძე უკვე საქვეყნოდ ცნობილი კომპოზიტორია. მისი ამოცანები უმაღლეს შეფასებას იმსახურებენ საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებში. იგი "იყო ერთი იმათგანი, ვინც დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა კავშირში საჭადრაკო კომპოზიციის მხატვრული პრინციპების ჩამოყალიბებასა და დამუშავებაში".

ჟურნალი "შახმატი ვ სსსრ" (1938 წ. №8) მოიხსენიებს ა. დობორჯგინიძეს საბჭოთა კომპოზიციის ელიტაში გენიალური ა. ტროიცკისა და ლ. კუბელის გვერდით. იგივე ჟურნალი (1941 წ., №2) სიამაყით აღნიშნავს, რომ ა. დობორჯგინიძეს, როგორც გამოჩენილ პრობ-

ლემისტებს ა. გულიაევს, მ. ბარულინსა და ლ. ლოშინსკის მუდამ ვხედავთო საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებულთა შორის.

ა. დობორჯგინიძის აქტიური მოღვაწეობით საქართველოში ახალგაზრდა კომპოზიტორთა მთელი თაობა გაიზარდა. ეს თვალნათლივ გამოჩნდა მის მიერ 1947 და 1948 წლებში ორგანიზებულ პირველ რესპუბლიკურ კონკურსებში (ამოცანებისა და ეტიუდების შედგენაში), რომელთა მთავარი მსაჯი თავად გახლდათ. სწორედ ამ კონკურსებში დაწინაურდნენ ახალგაზრდა კომპოზიტორები – გია ნადარეიშვილი, იოსებ კრიხელი, ოთარ ტაბიძე და სხვები, რომლებმაც შემდგომ შრავალჯერ ასახელეს საქართველო.

აღსანიშნავია, რომ ა. დობორჯგინიძის თავკაცობით საქართველოს კომპოზიტორთა ნაკრებმა (ო. ტაბიძე, ი. კრიხელი, ვ. ქარსელაძე, მ. იმნაძე) მონაწილეობა მიიღო პირველ საკავშირო გუნდურ პირველობაში (1947-1948 წწ.).

საქართველოში საკავშირო კონკურსების გამართვის ტრადიციას სათავე დაუდო ა. დობორჯგინიძემ. 1930 წელს მისი თაოსნობით აბასთუმნის საჭადრაკო სექციამ პირველი საკავშირო კონკურსი გამართა ამოცანების შედგენაში. მთავარ მსაჯად მოიწვია გამოჩენილი პეტერბურგელი პრობლემისტი ლ. კუბელი. თავად კი კონკურსის მსაჯი-ორგანიზატორი იყო. კონკურსს იმდენად ფართო გამოხმაურება ჰქონდა, რომ იგი 1933 წელსაც გამართეს.

ქართველი პრობლემისტი ძირითადად ორ და სამსვლიან ამოცანებს თხზავდა. აი, რას წერდა სამსვლიანი ამოცანების შედგენაში საქართველოს პირველი ჩემპიონი (1947 წ.), ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ტაბიძე: "ა. დობორჯგინიძის შემოქმედება თავისუფალი იყო ერთი რომელიმე კერძო მიმართულების ტყვეობისაგან. მას ეკუთვნის ბევრი მაღალმხატვრული ნაწარმოები როგორც ჩეხური სკოლის, ისე,ე.წ.,სტრატეგიული სკოლის თემებზე. მაგრამ მისი მოღვაწეობის პერიოდში საჭადრაკო კომპოზიტორები უმთავრესად ახალი სტრატეგიული იდეების ძიებით და მათი მხატვრული განხორციელებით იყვნენ გატაცებული. ეს არ ნიშნავდა ჩეხური სკოლის პრინციპების უარყოფას. მისი მიმართულებით თითქმის ყველაფერი უკვე ამოწურული იყო, მაგრამ ა. დობორჯგინიძემ მაინც მიუძღვნა ჩეხური სკოლის თემებს რამდენიმე ნაწარმოები და მიაღწია იმას, რომ აქაც შექმნა ნამდვილი შედევრი, რომელიც საჭადრაკო კომპოზიციის ოქროს ფონდს განეკუთვნება".

საუბარია აი, ამ შედეგრზე:
"შახმატი ვ სსსრ", 1936 წ.
I პრიზი



შამათი სამ სვლაში

ამოხსნის პირველი სვლით თეთრი მეფე ორმხრივი გახსნილი ქიშის ქვეშ დგება: 1. ♔f7! 1. ... d×e4+ 2.♘c4+ ♔d5 3.♘b6#

ამოცანაში ბრწყინვალე ფორმითაა წარმოდგენილი ე.,წ.,ბრედის იდეა – დაბმული თეთრი ფიგურის გახსნა შავი მეფის მიერ. 1. ...f×e4+ 2.♘f5+ ♔×f5 3.g4#. ამ ამოცანაში დაცულია ჩეხური სკოლის პრინციპები. თამაში ეკონომიური შამათით (ე. წ. სწორი შამათით) მთავრდება. ორივე ვარიანტში მესამე სწორი შამათიც არის: 1. ... d3 2. ♘b5+ ♔×e4 3. ♕e8#.

სამწუხაროდ, ა. დობორჯგინიძის სიცოცხლე ხანმოკლე აღმოჩნდა. იგი ტრაგიკულად დაიღუპა (ბოროტმოქმედებმა მოკლეს) 48 წლის ასაკში, 1950 წლის 20 ივლისს ბორჯომში, სადაც მთელი ცხოვრება გაატარა. იგი ბუღალტერ-ეკონომისტად მუშაობდა სანატორიუმებსა და საწარმოებში.

ღვაწლმოსილი კომპოზიტორი კეთილი, თავმდაბალი და უპრეტენზიო ადამიანი იყო. კარგი ოჯახიც შექმნა (მეუღლე ცაცა ხუნდაძე, შვილები დავითი, ვახტანგი და ადა). მას უსაზღვროდ უყვარდა საჭადრაკო კომპოზიცია და ჭადრაკის თამაში. აბასთუმანსა და ბორჯომში ხშირად აწყობდა ტურნირებს, რომლებშიც თავადაც მონაწილეობდა. ბრძნული თამაშისადმი მის სიყვარულს ყოველთვის ვგრძნობდი, როცა 1950 წლის ზამთარ-გაზაფხულზე გვესტუმრებოდა ხოლმე "ლელოს" რედაქციაში.

ჭადრაკის სამყარომ დაუფასა ნაამაგარი. ა. დობორჯგინიძის ერთ-ერთი ამოცანა (იხ. "მატიანე", II, გვ. 315, №1) შეტანილია "ფიდე-ს ალბომში" (1971 წ.) 1914-1944 წლების-დროინდელი კრებულის პირველ ნაკვეთში.

მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც შევძელი კომპოზიციის დიდოსტატის დავით გურგენიძის დიდი თანადგომითა და თანაავტორობით ა. დობორჯგინიძის საუკეთესო ამოცანების კრებულის მომზადება გამოსაცემად.

მადლიერი ქართველი საზოგადოებრიობა ყოველთვის ღირსეულ პატივს მიაგებს ა. დობორჯგინიძის დიდ ნიჭს, მამულიშვილობასა და ღვაწლს ქართული ჭადრაკის წინაშე.

საჭადრაკო საქართველოს რაინდი

ასე შეაფასა გია ნადარეიშვილის (1921-1991 წწ.) ,ცხოვრება-შემოქმედება მისმა მეგობარმა, საბჭოთა ჭადრაკის პატრიარქმა მიხეილ ბოტვინიკმა (იხ. "64 – შახმატნოე ობოზრენიე", 1992 წ., №3).

გია ნადარეიშვილმა ეტიუდისტი-შემოქმედის გრძელი გზა განვლო, ვიდრე პირველი ქართველი საერთაშორისო დიდოსტატი გახდებოდა საჭადრაკო კომპოზიციაში. იგი სავსე იყო სიხარულით და ტკივილით, წარმატებებით და იმედების გაცრუებით.

ნიჭიერმა შემოქმედმა თავისი პირველი ეტიუდი რომ გამოაქვეყნა გაზეთ "ახალგაზრდა კომუნისტში" (1938 წ.), მაშინ სენაკში ცხოვრობდა. ამ დროს საქართველოში უკვე პოპულარული იყო საჭადრაკო კომპოზიცია. ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა ამოცანები და ეტიუდები. საქართველოს საჭადრაკო-საშაშო სექციასთან (ახლა ფედერაცია რომ ჰქვია) არსებობდა საჭადრაკო კომპოზიციის კომისია, რომელიც, მართალია, სუსტად, მაგრამ მაინც უძღვებოდა საქმეს. მაშინ სარბიელზე სხვა ახალგაზრდა პერსპექტიული შემოქმედნიც გამოჩნდ-

მარჯვნიდან: გია ნადარეიშვილი, ვაჟა ნეიძე, შერვილ სუხიტაშვილი, რევაზ თავარიანი, ვლადიმირ კალანდაძე, იოსებ კრისელი, დგანან – მერაბ გოგბერაშვილი და ლევან გუ-რგენიძე (თბილისი, ჭადრაკის სახახლე, 12 მარტი 1982 წ.).

ნენ. მაგალითად, ოთარ ტაბიძე და რევაზ თავარიანი. ამიტომ მწვერვალების დასაპყრობად (ეს ყველას სურვილია) აუცილებელი იყო თავგამოდებული შრომა-გარჯა, რაც გიამ უხვად გამოავლინა.

სამედიცინო ინსტიტუტში სწავლის გასაგრძელებლად თბილისში ჩამოსული გია ნადარეიშვილი პარალელურად დიდ დროს უთმობდა საჭადრაკო კომპოზიციას, ეტიუდების თხზვას. ამას ფუჭად არ ჩაუვლია. მან მრავალი საუცხოო ნაწარმოები შექმნა, რომლებმაც სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურეს და პრიზებითაც აღინიშნა სხვადასხვა კონკურსში. მის მიერ შედგენილი 400-ზე მეტი ეტიუდიდან 75-მა პრიზი მოიპოვა, რომელთაგან 40-მა პირველი.

ნიჭიერი შემოქმედი ყოველთვის საინტერესო საეტიუდო იდეების ძიებაში იყო. ცდილობდა, რთული იდეა მარტივ, ბუნებრივ ფორმაში მოექცია, რაც ეხერხებოდა კიდეც. ამიტომაც მისი ეტიუდების მნახველს ხიბლავს მათი გარეგნული ფორმა, საწყისი პოზიცია. მეცადინეობით დამაშვრალმა ერთხელაც "ოქროს თევზი" აღმოაჩინა – თემა "მხედრული". ამ თემაზე შედგენილმა მისმა ეტიუდმა (იხ. "მატიანე", I, გვ. 55) დიდი სახელი და აღიარება მოუტანა მას, ხოლო თავად თემამ გააბდიდრა საჭადრაკო კომპოზიციის საგანძური.

გიას საეტიუდო შემოქმედებას მაღალი შეფასება მისცა მიხეილ ბოტვინიკმა (იხ. მ. ბოტვინიკი "სტატიი, ვოსპომინანიჯ", მოსკოვი, 1987 წ.).

დახვეწილმა და ლამაზმა ეტიუდებმა სპორტული სიმაღლეები დააპყრობინა გიას. იგი ეტიუდისტთა მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა. 1976 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალიც მიიღო ეტიუდების შედგენაში. იგი არაერთი თვალსაჩინო კონკურსის მთავარი მსაჯი ყოფილა.

სპორტულ მიღწევებს საპატიო წოდებები მოჰყვა. მან მიიღო საჭადრაკო კომპოზიციაში: სპორტის ოსტატის (1962), საერთაშორისო ოსტატის (1969), საერთაშორისო დიდოსტატის (1980) და საერთაშორისო არბიტრის (1960) წოდებები.

გია ნადარეიშვილმა ცხრა წიგნი გამოსცა საჭადრაკო კომპოზიციაში. მისი პირველი კრებული – "საჭადრაკო ეტიუდები" 1952 წელს გამოვიდა. იგი საერთოდ პირველი ქართული წიგნია კომპოზიციაში. სხვათა შორის, ამ წიგნის რედაქტორი გახლდით. ღვაწლმოსილი შემოქმედის წიგნებიდან უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია "შახმატნი ეტიუდ ვ გრუზიი" (1975) და "ეტიუდ გლაზამი გროსმეისტეროვ" (1982). ისიც უნდა ითქვას, რომ 1971-1976 წლებში გია რედაქ-



გია ნადარეიშვილს უყვარდა თავისი ეტიუდების ჩვენება, მით უმეტეს თუ სტუმარი სახელგანთქმული მოჭადრაკე იყო. აი, ამის დასტურიც. ეს სურათი გადაღებულია 1950 წლის 21 ნოემბერს გაზეთ "ლელოს" რედაქციაში. გია თავის ახალ ეტიუდს აცნობს იმდროინდელ მსოფლიო ნემპიონობის პრეტენდენტს, დიდოსტატ დავით ბრონშტეინს. შუაში – თენგიზ გიორგაძე.

ტორობდა გამომცემლობა "განათლების" მეთოდურ ბიულეტენს "ჭადრაკი", რომლის მხოლოდ თერთმეტი ნომერი დაიბეჭდა.

ჩვენი პირველი დიდოსტატი-ეტიუდისტი ცნობილი საზოგადო მოღვაწეც იყო. 1947 წლიდან გარდაცვალებამდე საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის კომპოზიციის კომისიის თავმჯდომარე გახლდათ. 1989 წელს სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის საჭადრაკო კომპოზიციის ცენტრალური კომისიის თავკაცად აირჩიეს. 1990 წელს იგი ფიდე-ს საჭადრაკო კომპოზიციის ხელმძღვანელობაში შეიყვანეს. გია აქტიურად მონაწილეობდა საჭადრაკო კომპოზიტორთა მრავალ საერთაშორისო ფორუმში. 1975 წელს მისი თაოსნობით კომპოზიტორთა XVIII კონგრესი თბილისში გაიმართა.

სახელოვანი ეტიუდისტი, პროფესიით ექიმი-ნევროპათოლოგი, დიდხანს თბილისის მთავარ ნევროპათოლოგად მუშაობდა. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება.

მიხეილ ბოტვინიკის სიტყვით "ჭადრაკის მოყვარულებს ემახსოვრებათ გია ნადარეიშვილი, ხოლო მისი ლამაზი ეტიუდები საუკუნეებს გაწვდებაო".

ფართო ინტერესების შემოქმედი

იოსებ კრიხელი

დიდი პოტენციის შემოქმედი გახლდათ იოსებ კრიხელი. მან ჭაბუკობაშივე გამოავლინა საოცარი საჭადრაკო ნიჭი და შრომისმოყვარეობა. შემდგომ სწორედ ამ თვისებებით თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. მარადისობაში რომ წავიდა, იოსებს საჭადრაკო სამყაროში დიდი სახელი და აღიარება ჰქონდა მოხვეჭილი.

იოსებ კრიხელმა მთელი ცხოვრება გორში გაატარა, თუმცა დაიბადა ცხინვალში 1931 წლის 10 მაისს. 1948 წელს მან ოქროს მედალზე დაამთავრა გორის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლა. 1949-1952 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-ტექნიკურ ფაკულტეტზე სწავლობდა. 1955 წელს დაასრულა სულხან-საბა ორბელიანის (მაშინ ა. პუშკინის) სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ასპირანტურა ფიზიკის სპეციალობით. 1956 წელს იოსები დაუბრუნდა მშობლიურ გორს, სადაც მუშაობა დაიწყო ახალგახსნილ მრეწველობის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. წარმატებით დაიცვა დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

კომპოზიციაში გამარჯვების პირველი სიხარული იოსებმა 17 წლის ასაკში იგემა. მისი ერთ-ერთი პირველი ეტიუდი ჟურნალ "ზატეინიკის" საკავშირო კონკურსზე დაჯილდოვდა. მალე სხვა წარმატებებიც მოჰყვა.

კომპოზიციაში მოღვაწეობის პარალელურად ნიჭიერი ყმაწვილი აქტიურად მონაწილეობდა ტურნირებში. იგი იზიარებდა გენიალური ამერიკელი საჭადრაკო კომპოზიტორის სამუელ ლოიდის აზრს, რომ სრულფასოვანი, მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნა მხოლოდ ძლიერ მოჭადრაკეს ხელეწიფება, ამიტომ პრაქტიკულ თამაშსაც დიდ ყურადღებას აქცევდა. 1948 წელს იოსებმა მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის ჭაბუკთა

ჩემპიონატში დიდოსტატ ვ. კორჩნოისთან ერთად. მას საქართველოს და თბილისის უნივერსიტეტის პირველობებშიც წარმატებით უთამაშია.

იოსებ კრიხელი საჭადრაკო კომპოზიციის ყველა ჟანრში მოღვაწეობდა. ყველაზე დიდი წარმატებები მრავალსვლიანი ამოცანებისა და ზღაპრულ ჭადრაკში ჰქონდა. სწორედ აქ გამოჩნდა მისი დიდი განსწავლულობა და ფანტაზია. ამიტომაც მრავალჯერ გამხდარა ამ ჟანრში სსრ კავშირის ჩემპიონი, საერთაშორისო კონკურსების პრიზიორი. მისი საუკეთესო ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭდებოდა პრესტიჟულ ჟურნალ "ფიდე-ს ალბომში". ერთხელ 1968-1970 წლის "ალბომში" მისი 16 ამოცანა და ეტიუდი დაიბეჭდა, რაც იშვიათი შემთხვევა იყო ამ პროფესიული გამოცემის ისტორიაში (იხ. "მატიანე", I, გვ.210).

იოსებ კრიხელის მემკვიდრეობა 900 ნაწარმოებს შეადგენს. მათგან 400 ამოცანას და ეტიუდს ჯილდო აქვთ მიღებული, 90-ს კი პირველი პრიზი.

კომპოზიციაში საერთაშორისო დიდოსტატის წოდება იოსებ კრიხელს 1984 წელს მიეკუთვნა.

"ის უცებ აღზევდა საჭადრაკო ოლიმპზე, რომ კოლეგები და სპეციალისტები გაოგნებასა და გაოცებას ვერ ფარავდნენ. ოცდაათიოდე წლის განმავლობაში მარტოდ მარტომ შეძლო ის, რასაც რამდენიმე თაობის შრომა თუ გაასრულებდა. მაგრამ ასევე უცებ შემოეხარჯა სასიცოცხლო ენერგია, ძალუმად დათრგუნა სხეული. მის ძლიერ სულს თურმე სხვა ჭურჭელი სჭირდებოდა. რომელიც ასე უდროოდ არ დაიბზარებოდა და დაიმსხვრეოდა", ვკითხულობთ მისი მეგობრისა და თანამოსაქმის, გორელი მწერლის ვაჟა დადიანიძის მოგონებაში.

იოსები მოულოდნელად გარდაიცვალა 1988 წლის 20 სექტემბერს აგარაკ ეშერაში, სადაც საჭადრაკო კომპოზიტორთა მორიგი სესია მიმდინარეობდა. იგი ელვისებურ პარტიას თამაშობდა ერთ-ერთ კოლეგასთან, როცა უცებ... გული გაუჩერდა და სიცოცხლე შეწყდა, იოსები მშობლიურ გორში დაკრძალეს.

დიდი შემოქმედი ვერ მოესწრო, თუნდაც ერთი, თავისი წიგნის გამოცემას. ეს მისმა უმცროსმა მეგობარმა, კომპოზიციის დიდოსტატმა დავით გურგენიძემ გააკეთა, როცა სერიაში "საქართველოს საჭადრაკო კომპოზიცია" იოსების 138 ეტიუდი წიგნად გამოსცა. გამოსაცემად მზადდება აგრეთვე კრიხელის ამოცანათა კრებული.

მართალია, დიდი შემოქმედი უკვალოდ არ ტოვებს ამ წუთისოფელს, მით უმეტეს,თუ იგი თავად კაი ყმაა, როგორიც იოსებ კრიხელი იყო.

თავი VIII

თანამემამულენი საზღვარგარეთ

ქართველი მოჭადრაკე შვეციიდან

მეოთხედ საუკუნეზე მეტია სტოკჰოლმში (შვეცია) ცხოვრობს ჩვენი თანამემამულე, საერთაშორისო ოსტატი კოტე კაიშაური. 70-80-იან წლებში იგი ხშირად მონაწილეობდა ევროპის საერთაშორისო ტურნირებში, საქართველოშიც იყო, მაგრამ ახლა დაცოლშვილებული, ძირითადი პროფესიით მუშაობს (იგი კომპიუტერის სპეციალისტია. დამთავრებული აქვს სტოკჰოლმის უნივერსიტეტი) და ნაკლებად თამაშობს ჭადრაკს. კოტემ იცის ქართული, რუსული, ინგლისური, პოლონური და შვედური ენები.

კოტე კაიშაური

ბუნებრივია იკითხავთ: როგორ მოხვდა კოტე შვეციაში, როგორი ძალის მოჭადრაკეა?

პირველად კოტეს გვარი ამოვიკითხე 1969 წელს გაზეთ "სოვეტსკი სპორტში". იგი ათენში ჭაბუკთა მსოფლიო პირველობაში მონაწილეობდა პოლონეთის სახელით. დავინტერესდი: საიდან მოხვდა იგი პოლონეთში, ნუთუ არ ჰყავს-მეთქი ვინმე ნათესავი თბილისში? ეს კითხვები რომ მაწუხებდა, ქვეყანას ვეკითხებოდი "ლელოსა" და ტელეჟურნალ "სამორინეს" მეშვეობით.

და აი, 1971 წელს "ლელოში" მომაკითხა ხანდაზმულმა, დარბაისელმა კაცმა. ვინაობა რომ მკითხა, მყისვე დააყოლა "კოტე კაიშაურის მამა ვარო". ცოტა არ იყოს გამიკვირდა. მაგრამ საუბარში ყველა ეჭვი გამეფანტა.

ისტორია კი ასეთი ყოფილა: ომის დროს ქვრივმა გიორგი კაიშაურმა ცოლად შეირთო ლტოლვილი ახალგაზრდა პოლონელი ხანკა. 1952 წლის 25 ოქტომბერს მათ კოტე გაუჩნდათ. მაგრამ მალე ყმაწვილის დედას ნოსტალგია მოეძალა – სამშობლოსაკენ მიუწევდა გული. ქალი თვალსა და ხელს შუა დნებოდა. მაშინ გიორგიმ, თავად რომ არ შეეძლო თბილისის დატოვება, გადა-



კოტე კაიშაურის შეხვედრა მსოფლიოს ექსჩემპიონ ტიგრან პეტროსიანთან სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის XIX საერთაშორისო ტურნირში (ვილნიუსი, 1978 წ.).

წყვიტა მეუღლის გაშვება პოლონეთში და კოტეც თან გააყოლა (მას პირველი ქორწინებიდან ქალ-ვაჟი ჰყავდა). გამგზავრების წინ (კოტე მაშინ თბილისის პირველი საშუალო სკოლის მეორეკლასელი იყო) მამამ 8 წლის შვილს აჩვენა ფასანაური, კაიშაური და კაიშაურის დიდი ველი, რათა პატარას სამუდამოდ ჩარჩენოდა გულში მშობლიური მხარე.

თბილისში ყოფნისას კოტე ჭადრაკს პიონერთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტში თამაშობდა. ვარშავაში იგი კლუბ "ლეგიაში" მეცადინეობდა. მალე პოლონეთის ჩემპიონი გახდა ჭაბუკთა შორის. 1969 წელს თანატოლთა მსოფლიო ჩემპიონატზე გააგზავნეს.

1972 წელს კოტე დედასთან ერთად შვეციაში, სტოკჰოლმში გადასახლდა, რადგან პოლონეთში პოლიტიკური არასტაბილურობა სუფევდა. კოტემ იქაც განაგრძო ჭადრაკის თამაში. 1977 წელს შვეციის ვიცე-ჩემპიონობა მოიპოვა და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობდა.

1977 წელს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ კოტე კაიშაური ვ. გოგლიძის მემორიალში მიიწვია. მას გულთბილად შეხვდნენ თბილისში. მოწოლილმა გრძნობებმა ხელი შეუშალეს თამაშში. შესამჩნევად აფორიაქდა, როცა ტურნირის მეორე ნახევარი სოხუმში გაგრძელდა. თვალისმომჭრელი ზღვისპირეთი რომ ნახა, კოტემ მითხრა: "ისე

ვარ აღელვებული, როგორც ნილ ამსტრონგი მთვარიდან დაბრუნებული. ახლა კი ვიგრძენი, რომ ქართული სისხლი ჩქეფს ჩემში, ამ ლამაზი ქვეყნის და ხალხის შვილი ვარ".

კოტეს დაუვიწყარი შეხვედრები ჰქონდა მშობლიურ მხარეშიც. ბოლოს ქართულადაც საუბრობდა, აღიდგინა ენა, რომელიც დავიწყებოდა. ტელეჟურნალ "სამორინეში" გამოსვლისას კოტემ მთელ საქართველოს გულწრფელი მადლობა უთხრა სიყვარულისა და დიდებული მასპინძლობისათვის.

ბატონი გიორგის გარდაცვალების (1990 წ.) შემდეგ გაწყდა კავშირი კოტესთან. ბოლოს, 1994 წელს, მისი ამბები ცნობილმა ჟურნალისტმა პაატა ნაცვლიშვილმა ჩამოგვიტანა.

როგორც მოჭადრაკე, კოტე კაიშაური გამოირჩეოდა დებიუტის თეორიის და პოზიციური თამაშის კარგი ცოდნით. ბუნებით მოკრძალებული, არასოდეს ყოფილა თავგადაკლული მებრძოლი. მიუხედავად ამისა, ჰქონდა საინტერესო პარტიებიც. გთავაზობთ ორ მათგანს.

უფიმცევის დაცვა
ბ.კურაიცა – კ. კაიშაური
სტოკჰოლმი, 1976 წ.

1.e4 d6 2. d4 ♘f6 3. ♘c3 g6 4.f4 ♗g7 5. ♘f3 0-0 6.♗e3 ♘c6 7.h3?

თითქოს g4 უჯრას იცავს, სინამდვილეში კი შეცდომაა, რომელსაც კაიშაური ააშკარავებს ცენტრში ტაქტიკური დარტყმით.

7. ...e5! 8. d×e5

კურაიცა ენდშპილში თამაშს ამჯობინებს. 8. f×e5 d×e5 9. d5 ♘d4-ის შემდეგ თამაში უკიდურეს ზომამდე იძაბება. სახიფათოა, მაგალითად, 10. ♘×d4 e×d4 11. ♗×d4 ♘×e4-ის გამო.

8. ... d×e5 9. ♕×d8 ♖×d8 10. f×e5 ♘h5 11. ♗g5 ♖f8



ღრმა მანევრი. 11. ... ♖e8-ს მოჰყვებოდა 12. ♘d5. კაიშაურს გადაწყვეტილი აქვს ხარისხის შეწირვა და ორი კუს ძალის გამოყენება.

12. ♗b5 ♘×e5! 13. ♗e7 c6 14. ♗×f8 ♔×f8 15. ♗d3 ♘×d3+ 16. c×d3 ♘f4

კაიშაური პაიკს იგებს და თანდათან იდეალურ პოზიციებზე განალაგებს თავის ფიგურებს.

17. 0-0-0 ♘×g2 18. ♘e2 ♘f4!

ამ გაცვლით შავები თავიანთ კუს დიდ სარბიელს აძლევენ.

19. ♘×f4 ♗h6 20. ♔c2 ♗×f4 21. ♖df1 ♗d7 22. h4 h6 23 d4 ♖e8 24. ♖e1 b6 25. b4 ♖a8 26. ♘d2 ♗e6 27. ♘b3 ♔g7 28. ♔c3 ♖e8 29. ♖hg1 h5

ხაზს უსვამს h პაიკის სისუსტეს. მუქარა ♗f4-d6-e7 შეაწუხებს კურაიცას. პოზიცია კვლავ დაძაბულია.

30. e5?

სერიოზული უზუსტობა. ახლა თეთრუჯრიანი კუ ფართო სარბიელს ეუფლება, რაც შავებს აშკარა უპირატესობას აძლევს.

30. ...♗d5 31. ♖ef1 ♗h6 32. ♘d2 c5!

არლვევს თეთრი პაიკების წყობას.

33. b×c5 b×c5 34. d×c5 ♗e3!

ეს კუც ებმება თამაშში დროის დაუკარგავად.

35. ♖g3 ♗×c5 36. ♘f3 ♗×a2 37. ♖d1 ♖e7 38. ♖d8 ♗b6 39. ♖b8 ♗d5 40. ♘d4 ♖×e5. კურაიცა დანებდა.

ჰოლანდიური დაცვა

ნ. რადევი – კ. კაიშაური

სოხუმი, 1977 წ.

1. d4 d6 2. c4 f5 3. ♘f3 ♘f6 4. g3 g6 5. ♗g2 ♗g7 6. 0-0 0-0 7. ♘c3 c6 8. d5 e5

გათამაშდა, ე.წ., ლენინგრადის სისტემა. შავები მეტოქეს მწვავე თამაშს სთავაზობენ, მაგრამ რადევი ენდშპილში გადასვლას აპირებს.

9. d×e6 ♗×e6 10. ♕d3 ♘a6 11. ♖d1 ♘c5 12. ♕×d6 ♕×d6 13. ♖×d6 ♗×c4

თეთრები უპაიკოდ დარჩნენ, მაგრამ შავები მას უკან აბრუნებენ და თვალშესავლებ პოზიციურ უპირატესობას აღწევენ.

14. ♗e3 ♘ce4 15. ♘×e4 ♘×e4 16. ♖d7 ♖f7 17. ♖ad1 ♗×a2 18. ♖×f7 ♗×f7 19. ♖d7 b6 20. ♗d4 ♗×d4 21. ♘×d4 c5 22. ♘b5 ♗e8 23. ♖×a7 ♖×a7 24. ♘×a7 ♗d7

შავების უპირატესობა საკმარისია მოგებისათვის. ოსტატური თამაშით კაიშაური ლამაზად იგებს ამ ენდშპილს.

25. f3 ♘d2 26. f4 ♔f7 27. ♘c6 ♗×c6 28. ♗×c6 ♔e6 29. ♔f2 ♔d6 30. ♗a4 ♔d5 31. h4 ♘c4 32. h5 g×h5 33. ♗d7 ♘d6 34. ♔f3 ♔c4 35 ♗e6+ ♔b4 36. e4 f×e4+ 37. ♔e3 c4 38. f5 ♔b3 39. f6 b5 40. f7 ♘×f7 41. ♗×f7 ♔×b2. რადევი დანებდა.

როგორც ჩანს, ბოლო წლებში კოტე კაიშაურმა ვერ შეძლო მატერიალურად ისე უზრუნველეყო თავისი ცხოვრება, რომ ჭადრაკის თამაში გაეგრძელებინა. არადა, მას წინსვლისათვის საჭირო ნიჭიცა და მხნეობაც ჰქონდა.

სამი ქვეყნის ჩემპიონი

ჭადრაკის ამჟამინდელ კარგად იცნობს ამერიკელ დიდოსტატს რომან ჯინჯიხაშვილს, როგორც საქართველოს, ისრაელის და ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონს. მსგავსი მიღწევებით ვერავინ დაიტრაბახებს. მაგრამ ეს შემთხვევითი მოვლენა როდია. თავადაც დამეთანხმებით, როცა თვალს გაავლებთ რომანის ცხოვრების გზას.

რომან ჯინჯიხაშვილი დაიბადა თბილისში, 1944 წლის 5 მაისს ვექილ იაკობ ჯინჯიხაშვილის ტრადიციულ ებრაულ ოჯახში. ერთხელ ნიჭიერი ბიჭუნა სერიოზულად დაინტერესდა მამა-პაპათა თამაშით და, ბუნებრივია, იგი მიიყვანეს ნორჩ მოჭადრაკეთა სამჭედლოში – პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ჭადრაკის კაბინეტში. რომანს ბედმა გაუღიმა, რადგან მაშინ კაბინეტში მასწავლებლად დაუხვდა ვახტანგ ქარსელაძე.

მახსოვს ყმაწვილი რომანი – მაღალი, მხარბეჭიანი და მოუსვენარი ჭაბუკი. დიდ ენერგიას აფრქვევდა და ბრძენ მწვრთნელს ხშირად უხდებოდა მისი "დამიწება". მაგრამ რომანი მაინც დაუცხრომელი გახლდათ.

დაუღალავმა და მიზანმიმართულმა მეცადინეობამ ძალე გამოიღო ნაყოფი. რომანი საგრძნობლად დაწინაურდა თანატოლებში. ერთხელ ვახტანგმა უთხრა: "ამჟამად ჩვენში მოჭადრაკის "საჯილდაო ქვაა" თბილისის და საქართველოს ჩემპიონატები. თუ აქ მოიკიდებ ფეხს, მერმისაც არ გაგიჭირდება უფრო მაღალი მწვერვალების დაპყრობა". რომანმა დაუჯერა საყვარელ მასწავლებელს.

საქართველოს ჩემპიონატში მისი დებიუტი შედგა 1962 წელს. მერე მრავალჯერ (1965, 1966, 1967, 1969, 1970 წწ.) ჩემპიონი გახდა. იგი თბილისის უძლიერესი მოჭადრაკეც იყო 1965, 1967, 1968 და 1969 წლებში.

რა თქმა უნდა, სხვა დიდ ტურნირებშიც იმარჯვებდა რომანი. 1965 წელს მას სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა.

ნიჭიერი ოსტატი სისტემატურად მონაწილეობს სსრ კავშირის სხვადასხვა რანგის ჩემპიონატებში, თბილისში გამართულ საერთაშორისო ტურნირებში. სხვათა შორის, საქართველოს ვაჟთა პირველ საერთაშორისო ტურნირში (1965 წ.) წარმატებით შეასრულა საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი.

რომანი პროფესიონალი მოჭადრაკის კარიერაზე ოცნებობდა. ამიტომ 1976 წელს საცხოვრებლად

ისრაელს გაემგზავრა. იგი ბევრს თამაშობს და უკვე 1977 წელს საერთაშორისო დიდოსტატი ხდება. 1978 წელს კი ისრაელის ჩემპიონი. მაგრამ რომანი უფრო დიდ სარბიელს ეძებს. ამიტომ, 1980 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება.

დაუცხრომელი რომანი სხვადასხვა ტურნირში ამრავლებს მიღწევებს. 1981 წელს იგი ნიუ-იორკის ჩემპიონი ხდება, ხოლო 1983 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი, მას ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდში იწვევენ.

ამ დროიდან მოყოლებული, რომან ჯინი, როგორც მას იხსენიებენ კოლეგა-მოჭადრაკეები, პროფესიონალი მოჭადრაკეა. მაგრამ იგი არ კმაყოფილდება ამ მიღწევებით. 80-იანი წლების ბოლოს ხელი მოჰკიდა მწვრთნელი-სეკუნდანტის ძნელ საქმეს. იგი მხარში ამოუდგა ახალგაზრდა, ნიჭიერ ამერიკელ დიდოსტატ გატა კამსკის და სეკუნდანტობას უწევდა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩებში.

ძნელია გაიხსენო ყველა საერთაშორისო ტურნირი, სადაც რომანს თავი უსახელებია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გამარჯვება ჰასტინგსის ტრადიციულ 1977 წლის საშობაო საერთაშორისო ტურნირში, რითაც ბევრი ვერ მოიწონებს თავს.

რომან ჯინჯიხაშვილი კოლორიტული ფიგურაა მოჭადრაკეთა დიდ ოჯახში. ახლა 56 წლის რომანი შედარებით ნაკლებად თამაშობს. მუშაობს სახელმძღვანელოზე, კითხულობს ლექციებს, ცდილობს თავისი მდიდარი ცოდნა და გამოცდილება ახალგაზრდებს გაუზიაროს.

მახსოვს ისრაელს რომ მიემგზავრებოდა, რომანი ამბობდა: "სადაც არ უნდა ვიყო, საქართველოს სიყვარული მუდამ გამითბობს გულს. იგი ჩემი სამშობლოა, როდი შეიძლება ამის დავიწყება!"

ეს სიტყვები არ დამვიწყებია, ამიტომაც შევიტანე რომან ჯინჯიხაშვილის ბიოგრაფია და ჭადრაკის კორიფეებთან მოგებული პარტიები "ქართული ჭადრაკის მატიანეს" ორივე წიგნში (1995, 1997 წწ.).

გერმანელთა საამაყო რეალი

1993 წელს გამოსენილი ქართველი დიდოსტატი ქეთევან კახიანი ცოლად გაჰყვა გერმანიის ერთ-ერთ ახალგაზრდა საჭადრაკო მოღვაწეს იურგენ გერშინსკის. ახალგაზრდებმა ქორწილი გადაიხადეს 31 ოქტომბერს თბილისის "ქორწინების სახლში", რომელსაც მრავალი კოლეგა-მოჭადრაკეც დაესწრო.

ახალგაზრდები კარლსრუეს მახლობლად პატარა ქალაქ მუგენშტურმში ცხოვრობენ. იურგენი კარლსრუეს უდიდესი სადაზღვევო კომპანიის თანამშრომელია და ბადენ-ბადენის ცნობილი საერთაშორისო ტურნირების ორგანიზატორი. მას ფანატიკურად უყვარს ჭადრაკი. ყველანაირად ხელს უწყობს მეუღლეს, რომ მან გააგრძელოს პროფესიონალი მოჭადრაკის ცხოვრება.

ქეთევან და იურგენ გერშინსკების სიხარულია მათი პირმშო პატარა, 5 წლის დავით-ვახტანგი (ასე დაარქვა დედამისმა). მას ქართულსაც ასწავლის ბებია, თბილისიდან ხშირად რომ აკითხავს ქართული ნობათებით დატვირთული.

ქეთევან კახიანი-გერშინსკა 1989 წლიდან მსოფლიოს ქალთა საჭადრაკო ელიტაშია, ანუ ფიდე-ს უმაღლესი რეიტინგის მქონე ორმოცდაათ მოჭადრაკეთა შორის. 1994 წლიდან იგი "რეიტინგ-ლისტში" გერმანიის სახელით მოიხსენიება.

ნიჟიერმა დიდოსტატმა ბრიოლაში მოიპოვა გერმანიის №1 მოჭადრაკის უფლებები. ქალთა ბოლო სამ საჭადრაკო ოლიმპიადაში (1994, 1996, 1998 წწ.) იგი გერმანიის ნაკრებს ლიდერობდა. ქეთევანი სისტემატურად მონაწილეობს ქალთა და ვაჟთა ბუნდესლიგაში (ქვეყნის გუნდურ ჩემპიონატში), სადაც ვაჟთა კლუბ "სანქტ-ინბერგს" წარმოადგენს.

ყველაზე დიდი პასუხისმგებლობით ქეთევანი ქალთა მსოფლიო პირველობაში მონაწილეობს, ორჯერ (1990 წ. ბორჯომში, 1997 წ. გრონინგენში) ითამაშა პრეტენდენტთა ტურნირში. მას ძალიან არ გაუმართლა გრონინგენში – სტარტზე გაცივდა, გრიპი ვერაფრით მოიცილა და იძულებული შეიქმნა ტურნირი მიეტოვებინა. მაგრამ ქეთევანი სასოწარკეთილებას არ მისცემია, პირიქით, მზადაა თავისი სიტყვა თქვას 2000 წლის მსოფლიო პირველობაში.

ქეთევან კახიანი ლამაზი, ამაყი სვანეთის ღვიძლი შვილია. დაიბადა მესტიაში 1971 წლის 11 მარტს. მერე სწავლობდა სოფელ დიდი ლილოს (გარდაბნის რაიონი) საშუალო სკოლაში და თბილისის სახ-

ქეთევან კახიანი (1998 წ.)

ელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე.

ჭადრაკის სიბრძნით იგი ბავშვობიდან მოიხიბლა. ბედმა გაუღიმა, რომ მწვრთნელად ახალგაზრდა, ერუდირებული ოსტატი გიორგი მაჭარაშვილი შეხვდა. თავდადებულმა მეცადინეობამ (მათი თანამშრომლობა დღესაც გრძელდება) ქეთევანს დიდი წარმატებები მოუტანა. 1987 წლს იგი სპორტის ოსტატი გახდა, 1988 წელს – საერთაშორისო ოსტატი. ორჯერ, 1989 და 1990 წლებში, ქეთევანმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა 20 წლის ასაკის გოგონათა შორის. 1990 წელს მას საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭა.

ქეთევან კახიანი-გერშინსკას სპორტულ მატიანეში მრავალი. საამაყო წარმატებაა, რაც ახალი მიღწევებითაც დასტურდება.

გერშინსკების ოჯახი საქართველოთი სუნთქავს. იურგენი ამბობს: "არსად ისე არ უყვართ გერმანელები, როგორც საქართველოში, მაგრამ ჩვენც არანაკლები გრძნობები გვაკავშირებს ქართველების ლამაზ ქვეყანასთან". სწორედ ამ სიყვარულით შეიქმნა ბავარიის მხარის გერმანია – საქართველოს მეგობრობის საზოგადოება, რომელთა წევრები, რა თქმა უნდა, გერშინსკებიც არიან. ქეთევანს ხშირად სთხოვენ საუბარს საქართველოზე, მის წარსულსა და აწმყოზე.

ალბათ არ არის გასაკვირი, რომ გერმანელები ამაყობენ თავიანთი ქართველი რძლით, რომელიც ღირსეულად წარმოადგენს მათ ქვეყანას ჭადრაკის სამყაროში.

თავი IX

მეგობრული შარჟები

XX საუკუნის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა მწერლების, მეცნიერების, მსახიობებისა და სპორტსმენების მეგობრული შარჟები. ისინი მოჭადრაკეებსა და მნიშვნელოვან საჭადრაკო მოვლენებსაც ეძღვნებოდა.

უოუოდ საინტერესოა მხატვრის მახვილი თვალით ნანახი მოჭადრაკის ხასიათის თავისებურება, ადამიანური სიკეთე, განცდილი ტკივილი და სიხარული, მოვლენისადმი მისი დამოკიდებულება. მხატვრები ყოველთვის ეხმაურებოდნენ დიდმნიშვნელოვან საჭადრაკო ამბებს, ჩვენი მოჭადრაკეების თვალსაჩინო გამარჯვებებს.

ნიხა გაფრინდაშვილი
გ. თაშვილის ნახ. (1969 წ.)

მეგობრული შარჟების ჩვენს მცირე გალერეაში წარმოგიდგენთ. საქართველოს სახალხო მხატვრის გიგლა ფირცხალავას, საქართველოს დამსახურებული მხატვრის მიხეილ ვადბოლსკის, ცნობილი მხატვრების გოგი იაშვილის, შოთა შანიძის, იური მასინას და სხვების ნამუშევრებს.

აღსანიშნავია გ. ფირცხალავას „გზა მშვიდობისა", რომელიც მაშინ შეიქმნა, როცა 13 წლის მაია დიდ სარბიელზე გამოჩნდა. ცხადია, მისი დამკვალიანებელი სწორუპოვარი ნონა უნდა ყოფილიყო. ეს კარგად შენიშნა მხატვარმა. ანდა მ. ვადბოლსკის „ფინალი", რომელიც საქართველოს 1953 წლის ჩემპიონატის შედეგებს მიეძღვნა. მხატვარს, თავად მოჭადრაკეს, არ გაჭირვებია მოჭადრაკეთა განცდების, ვნებათაღელვის გადმოცემა.

მაია ხიხუნდაშვილი
გ. თაშვილის ნახ. (1978 წ.)

ყველა მხატვრის ნალვაწი ქართული ჭადრაკის განძია. ამიტომ, მადლობას ვწირავთ ყველა შემოქმედს, ვინც თავისი ყალმით სულში ნაგვიღვენთა ჭადრაკის სიყვარული და გვაჩუქა სიხარული!



ᲨᲐᲮᲜᲐᲨᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡᲐ
(ნონა გაფრინდაშვილი)
გ. ფერცხალაძის ნახ. (1969 წ.)



მაია ჩიბურდანიძე
გ. ფერცხალაძის ნახ. (1981 წ.)

ᲒᲖᲐ ᲛᲔᲬᲘᲚᲝᲕᲐᲜᲘᲡᲐ
(ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე)
გ. ფერცხალაძის ნახ. (1974 წ.)

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ ᲯᲘᲣᲯᲘᲗᲡᲝᲚᲐᲜ
(ალი გალაძრიელი და მაია ჩიბურდანიძე)
შ. შანიძის ნახ. (1986 წ.)

ხაჯაღრაჯო ოლიმპიადის ჩემპიონები
(მაია ჩიბურდანიძე, ნანა ილხელიანი, ნინა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია)
შ. შანიძის ნახ. (1986 წ.)

ფიზიკის ხაზოგზა
(მაია ჩიბურდანიძე, ნანა ალექსანდრია, ირინა ლეკვეიშა, ნინა გაფრინდაშვილი)
ბ. ფირცხალავას ნახ. (1979 წ.)

ფიქრობ ეიგლიძე
ბ. ჯაფარიძის ნახ. (1955 წ.)

ძველი ებრაელი
ბ. ჯაფარიძის ნახ. (1955 წ.)

მახეელ შიშელი
ბ. ჯაფარიძის ნახ. (1953 წ.)

დიდსახანძრო ხვლა
(ბუსუტი ეურეგანიძე)
ბ. ფირცხალავას ნახ. (1970 წ.)

ოთარ გეორგაძე
შ. შანიძის ნახ. (1974 წ.)

ზურაბ ანსიაფარაშვილი
ი. ხოკოლოვის ნახ. (1983 წ.)

ზურაბ ხუციშვილი
შ. შანიძის ნახ. (1974 წ.)



ელიზბარ უბილავა
შ. შანიძის ნახ. (1974 წ.)

რომან ჯინჯიხაშვილი
რ. ჯაშის ნახ. (1967 წ.)

ტიგრან პეტროსიანი
გ. ფირცხალავას ნახ. (1959 წ.)

ეტიენდისტი დავით გურგენიძე
ვ. ხეკორეთის ნახ. (1998 წ.)

მიხეილ ტალი
გ. ფირცხალავას ნახ. (1959 წ.)

კეთილი თოვლის ბაბუა
(თენგიზ გოლრგაძე)
ი. მახინას ნახ. (1956 წ.)

მანანა ტოგონიძე
გ. ფირცხალავას ნახ. (1956 წ.)

ვინ ვის?
ნანა ოთხელიანი, ნანა ალექსანდრია, ნონა გაფრინდაშვილი,
მაია ნიბურდანიძე, არბიტრი თენგიზ გოლრგაძე, ბუხუტი გურგენიძე,
თამაზ გოლრგაძე, ზურაბ სტურუა, ალექსანდრე ბოკუნავა
შ. შანიძის ნახ. (1983 წ.)

გათავდა „ბრძოლა“ მოყმეთა,
ქაჯეთზე უფრო მშფოთვარი,
ერთ სიმაღლეზე აღმოჩნდნენ
ბუხუტი, თენგიზ, ოთარი!...

დაბლა, „ბრძოლის ველს“ აყრუებს
ვაება, გმინვა, გოდება... .
მაინც სადავო შეიქმნა
დღეს ჩემპიონის წოდება!

გამარჯვებულის დაფნისთვის
ორი ხელახლა წაჰკიდეს —
ბლაგიძე დასძლევს ბუსლაევს
თუ ბუსლაევი — ბლაგიძეს?

მ. ფალბოლსკის ნახ.
ლექსი კ. გოგიაშვილისა ("ლელო", 1953 წ.)

თავი X

პრობლემები. გამოკვლევები. ძიებანი

ნაპოვნია ქართული ჭადრაკი

ძველი ქართული ლიტერატურის საუკეთესო მოღვაწეებმა თავიანთ შემოქმედებაში უმღერეს ჭადრაკს, მის მდიდარ და მიმზიდველ სამყაროს. ქართველმა ხალხმა თავის ყოფა-ცხოვრებაში მას ღირსეული ადგილი მიუჩინა, საჭადრაკო ცნებები ყოველდღიურ სალაპარაკო ენაშიც დაამკვიდრა. ყოველივე ეს არ არის შემთხვევითი, რადგან ჭადრაკის შინაგანი სამყარო კარგად ესადაგებოდა ქართველი ერის ბრძოლითა და სიბრძნით სავსე ცხოვრებას, ამიტომაც მას ადრე (VII-VIII საუკუნეებში) დაუნათესავდა.

ლიტერატურასა და ხალხის ზეპირსიტყვაობაში შემონახული ცნობების გარდა, ჩვენ არ ვიცით თუ რას წარმოადგენდა თვით ჭადრაკი, რომელიც ხელთ ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს, როგორი იყო მისი გარეგნობა, რისგან და როგორ ამზადებდნენ მას? ამას ყველაფერს ფარდას ახდიდა მხოლოდ იმდროინდელი ჭადრაკის მონახვა. ასეთი წმინდა ქართული ჭადრაკი, რომ ნამდვილად უნდა არსებულიყო, ამას შემდეგი ფაქტიც გვარწმუნებდა.

ძველ საქართველოში შეძლებული ოჯახი გასათხოვარ ქალს მზითვად ჭადრაკსაც ატანდა სხვა განძეულთან ერთად. იგი სპილოს ძვლისაგან მზადდებოდა. აი, ისტორიული საბუთიც, რომელიც 1712 წელს გაუცია მეფე ვახტანგ VI-ს თამარ ბატონიშვილისათვის. ამ "მზითვის წიგნში" წერია: "საერო წიგნისაგან: ვეფხისტყაოსანი ერთი, ლეილმეჯნუნი ერთი, უსუფ ზილიხანიანი ერთი, ჯაბულით დახატული ერთი, საამიანი ერთი, სათამაშო ჭადრაკი ერთი, ნარდი ბათაბადისა ერთი, განჯაფა ერთი".

საბედნიეროდ, ამას წინათ მოინახა შემთხვევით შემორჩენილი ასეთი ქართული ჭადრაკის კომპლექტი. ეს უნიკალური ჭადრაკი, რომლის რამდენიმე ფიგურა აქ მოგვყავს, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორს დ. ციციშვილს ეკუთვნის. მას იგი ცნობილი კოლექციონერის ა. გაბუნიას კოლექციიდან შეუძენია. აქვეა ეტლი ბაგრატიონ-მუხრანსკის კოლექციიდან.

ქართული ჭადრაკი მომხიბლავი და მიმზიდველია თავისი გარეგნობით. მისი ფიგურების აღნაგობა ქართული ნაციონალური იერის მატარებელია. კომპლექტი სრული



არ არის თეთრებს ერთი, შავებს კი ორი პაიკი აკლია. თითოეული ფიგურა სპილოსა და ხარის ძვლისგანაა დამზადებული (იხ. გვ. 205).

გამოცდილი ოსტატის ხელი ატყვია. იგი შესრულებულია ფაქიზად და გემოვნებით. ფიგურები გაფორმებულია ქართული ორნამენტისათვის დამახასიათებელი ტრადიციული სპირალებით და მცენარეების ქარგით. მხედრის თავი ხასიათდება ძველი ქართული მინიატიურებისა და სკულპტურული რელიეფისათვის დამახასიათებელი ნიშნებით.

მეტად საინტერესოა ეტლის მოყვანილობა როგორც ამ კომპლექტში, ისე ბაგრატიონ-მუხრანსკის ფიგურაში. საჭიროა აღინიშნოს, რომ ანალოგიურ სფერულ ფორმას ჩვენ ვერ ვხვდებით ჭადრაკის ძველებურ ევროპულ თუ აღმოსავლურ კომპლექტებში. ეს არ არის ტიპური ევროპული ტურა ციხე-კოშკით. არც ინდური ეტლი და, მით უფრო, ირანულ და შუააზიურ ჭადრაკისათვის დამახასიათებელი ფრინველი რუხი. ამ სფერული ფორმის განსაზღვრა შეიძლება მხოლოდ დაახლოებით. ცნობილია, რომ ქართულ საჭადრაკო ტერმინოლოგიაში ზოგჯერ კუს ეტლს უწოდებდნენ. კუ, როგორც ამბობს პროფ. მ. შალამბერიძე, წარმოიშვა ციხე-კოშკების კედლების სანგრევ მოწყობილობასთან მსგავსების მიხედვით. ზემოდან ეს მანქანები ძალზე წააგვანან კუს. ამიტომ ქართველებმა ანალოგიით ამ ფიგურას კუ შეარქვეს. თუ მივიღებთ ამ დებულებას, მაშინ გასაგებია ქართული ჭადრაკის ეტლის სფერული ფორმის არსებობა. იგი ხომ კუს ჯავშანს ჰგავს, ხოლო ამ შემთხვევაში კუს თავი სტილიზებულია ზემოთ მოთავსებულ არქიტექტურულ დეტალში.

საინტერესოა, მაგრამ ჯერ გამოუცნობია მხედრების ერთი თავისებურება — თითო თეთრ და შავ მხედარს აქვს ფაფარი, ხოლო მეორე წყვილს იგი არ აქვს.

შესაძლოა, აჩასთან არის დაკავშირებული ძველ ქართულ ჭადრაკში თამაშის რომელიღაც ჩვენთვის უცნობი წესი.

ისმის კითხვა: როდის დამზადდა ჭადრაკის ეს კომპლექტი? ძველი ქართული მატერიალური კულტურის დიდი მცოდნე, პროფესორი დ. ციციშვილი ფიქრობს, რომ XVIII საუკუნის დამლევს ან XIX საუკუნის დამდეგს. ჩვენი აზრით, ფიგურები თავისი ფორმითა და სტილით უფრო ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება, სახელდობრ – XVII-XVIII საუკუნეებს.

ეს დასკვნები ჩვენ გავაკეთეთ ქართულ ჭადრაკთან პირველი გაცნობისას. შემდეგი სიტყვა ეკუთვნის სპეციალურ სამეცნიერო ექსპერტიზას.

ქართული ჭადრაკის მონახვას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული ეროვნულ-საუკუნოვანი საჭადრაკო კულტურის გაგებისათვის, არამედ ქართული ოსტატ-ხელოსნების გამოყენებითი ხელოვნების შესწავლისათვის უკანასკნელი სამი ასეული წლის მანძილზე.

ქართული ჭადრაკის აღმოჩენას, რასაკვირველია, დაინტერესებული საზოგადოება კმაყოფილების გრძნობით შეხვდება. მაგრამ ამით არ ამოიწურება ყველაფერი. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ოჯახებში კიდევ ბევრი იშვიათი ნივთის თუ ლიტერატურული წყაროს აღმოჩენა შეიძლება, რომლებიც ნათელს მოჰფენენ ძველ ქართულ საჭადრაკო კულტურას. ამიტომ საჭიროა მათი გამოვლენა და შესწავლა.

თ. გეორგაძე, მ. ვადბოლსკი.
"ლელო", 28.11.195[illegible]. №142(1156).

ჭადრაკის უძველესი ქართული ფიგურები

ქართული ჭადრაკის მიგნებამ ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობაში დიდი ინტერესი გამოიწვია, რაც საკვირველი ბუნებრივია. თუ მანამდე ჩვენ მოგვეპოვებოდა მხოლოდ ლიტერატურული ცნობები ძველ საქართველოში საჭადრაკო კულტურის შესახებ, ახლა ხელთ გვაქვს ჭადრაკის ერთი კომპლექტი. ჩვენ ვაგრძელებთ კვლევასა და ვფიქრობთ, რომ არ შეიძლება ამ ფიგურების არსებობა ერთადერთი ყოფილიყო და მანამდე (XVII საუკუნემდე) ქართველ ხალხს არ ჰქონოდა თავისი ეროვნული იერის მატარებელი ჭადრაკი, მით უმეტეს, რომ

ქართული ჭადრაკის ფორმა და სტილი გვაფიქრებინებს მის ადრეულ პროტოტიპის არსებობას.

ამ მოსაზრებამ სწრაფად შეისხა ხორცი. გამოჩენილმა საბჭოთა ხელოვნებათმცოდნემ, აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა აღმოჩენილ ქართულ ჭადრაკთან გაცნობისას დაადასტურა მისი ქართული წარმოშობა, განსაკუთრებით ფიგურების ორნამენტული გაფორმების ხასიათით. მისი აზრით, ეს ჭადრაკი უნდა ეკუთვნოდეს XVII საუკუნეს. ამავე დროს პატივცემულმა აკადემიკოსმა გაიხსენა, რომ ამ თხუთმეტი წლის წინათ მან ნახა ხოვლის გათხრებში აღმოჩენილი ორი საჭადრაკო ფიგურა, რომლებიც შესანახად გადასცეს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს. მან გვირჩია გვენახა ეს ფიგურები.

ჩვენს წინაშე ძიების ახალი გზები გადაიშალა. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მუშაკები გულისხმიერად დაეხმარნენ მ. ვადბოლსკის ხოვლის გათხრებში ნაპოვნი ფიგურების ძებნაში. სამწუხაროდ, ძიებამ არაფერი მოგვცა. ფიგურები ჯერაც არაა აღმოჩენილი. სამაგიეროდ, არქეოლოგიური გათხრების კატალოგების გადათვალიერებისას მ. ვადბოლსკი წააწყდა ძვლის რამლენიმე სათამაშო ფიგურას, რომლებიც უპოვია აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის ექსპედიციას 1937 წელს დმანისის არქეოლოგიურ გათხრებში. ამან ახალი სინათლე მოჰფინა საქართველოში ჭადრაკის ღრმა წარსულს, რადგან ეს ფიგურები XII-XIII საუკუნეებს ეკუთვნიან. ნაპოვნი ფიგურებიდან ყურადსაღებია მხოლოდ სამი, რომლებიც აქ მოგვყავს.



ეჭვი არაა, რომ ჩვენამდე მოღწეული სამივე ფიგურა ჭადრაკის სხვადასხვა კომპლექტიდანაა. პირველი ფიგურა ალბათ პაიკია, მეორე ეტლი, მესამე კი მხოლოდ რომელიღაც ფიგურის ძირი უნდა იყოს. ფიგურები ცუდათ შემონახულა. ეს ადვილად ემჩნევა ეტლს, რომელსაც ზედა ნაწილი აკლია. შედარებით კარგადაა დაცული პაიკი, რომელიც მთლიანად ძვლისგანაა ნაკეთები, თუმცა მასაც ჩამოსტეხია გვერდები.

რა შეიძლება ითქვას ამ ფიგურების ქართულ წარმოშობაზე? უძველეს დროში ქართველ ხალხს კონცენტრული წრეხაზების ნიშანი ღვთაებრივად ჰქონდათ მიჩნეული. მათ სვეტიცხოვლის ტაძრის გარე

რელიეფზე ტრადიციული წრეხაზებით აღუნიშნავთ ღვთაებრივი ხარის თვალი. ამას გარდა, მაგალითად გამოდგება ისიც, რომ XVII საუკუნის ჭადრაკის კომპლექტშიც მხედრის თვალები ტრადიციული წრეხაზებითაა გამოყვანილი. ამიტომ თუ დავაკვირდებით პაიკს, რომლის კუთხოვანი ფორმა ზემო ნაწილში დავიწროებულია, მასზეც შევამჩნევთ წრეხაზებს – ტრადიციულ ქართულ ორნამენტს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ეტლის მსგავსი ფიგურის შედარება XVII საუკუნის ჭადრაკის ეტლთან. ზემოთმოყვანილ ნახატზე მოცემულია ორივე ფიგურა. გამოუცდელი თვალიც შეამჩნევს, რომ მათ ანათესავებს გარეგნობა. ისინი ხომ ერთმანეთისაგან თითქმის ექვსი საუკუნით არიან დაშორებული. ბუნებრივია ვიკითხოთ, იგი შემთხვევითი თუ კანონზომიერი მოვლენაა?

ჩვენი აზრით, აქ ადგილი აქვს ძვალზე მომუშავე ქართველი ოსტატების მტკიცე ტრადიციას, რომელიც ექვსი საუკუნის განმავლობაში აღმოცენდებოდა ხოლმე ოსტატის საჭრეთელის ქვეშ. ამ მოსაზრების დაშვება შესაძლებელია იმიტომ, რომ XII-დან XIX საუკუნემდე საქართველო განიცდიდა უცხო ტომთა რბევას და იმ მცირე შესვენების წლებში, რომლებიც მტერთან ბრძოლის დროს ჰქონდა ქართველ ერს, იშვიათად თუ ვინმე იტყოდა რაიმე ახალს ხელოვნებაში. ამიტომ ოსტატები თითქმის იძულებულნი იყვნენ ძველს – თამარ მეფისდროინდელ ტექნიკას მაინც არ ჩამორჩენილიყვნენ. ეს არის, ჩვენი აზრით, ამ ორი ფიგურის მსგავსების მიზეზი.

მესამე ფიგურას, რომელმაც ჩვენამდე მხოლოდ თავისი ქვედა ნაწილის სახით მოაღწია, მარტივი, უხეშად შესრულებული ორნამენტი აქვს, თუ რომელ ფიგურას ეკუთვნის ეს კვარცხლბეკი ჯერჯერობით უცნობია.

მ. ვადბოლსკი, თ. გიორგაძე.
"ლელო", 17.12.1957. №150(1164).

ქართული მხატვრული ჭადრაკი

ჩვენი კულტურის დიდი მოამაგის ი. იმედაშვილის ჟურნალმა "თეატრი და ცხოვრება" (№81) 1912 წელს ქართულ საზოგადოებას აუწყა: "მხატვარ ვალერიან სიდამონ-ერისთავს დაუმზადებია ჭადრაკის ახალი კოჭები: ქართველები, ლეკები, ქართველი მეფე-დედოფალი და საქართველოს ციხე-ბურჯები. როგორც შევიტყვეთ, მხატვარი ერთ-ერთ გამოფენაზე გამოფენს ამ თავის ახალ ნაწარმოებს". ცნობამ საერთო ინტერესი გამოიწვია.იმ ხანად ახალგაზრდა მხატვარი ვ. სიდამონ-ერისთავი (1889-1943 წწ.) მოსკოვში ცხოვრობდა და გატაცებით მუშაობდა ქართველი ერის გმირული წარსულის ამსახველი ტილოების შექმნაზე. იგი ამბობდა: "ქართულ მხატვრობას არა აქვს ისტორიული ფერწერა და მე ჩემი შემოქმედება მას უნდა მივუძღვნაო". სწორედ მაშინ მოაწყო სიდამონ-ერისთავმა მოსკოვსა და პეტერბურგში თავისი ნამუშევრების გამოფენა. საზოგადოების წინაშე იგი წარსდგა საყურადღებო ესკიზებითაც — "გიორგი სააკაძე ბრძოლის წინ მტრის მოლოდინში", "საომრად მზადება ხევსურეთისა" და სხვა. ამ გამოფენამ თბილისშიც (1913 წ.) დიდი მოწონება ჰპოვა.



მკვლევარმა ვ. სიდამონიძემ (ზემომოყვანილი ამონაწერი მან მოგვაწოდა) ამაოდ ეძია კვალი, მონაწილეობდა თუ არა ეს ჭადრაკი სიდამონ-ერისთავის გამოფენაში. როგორც ჩანს, იგი გამოფენილი არ ყოფილა.

ამ ჭადრაკს მხატვრის ვაჟის — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის პრორექტორის თ. სიდამონ-ერისთავის ოჯახში მივაკვლიეთ. ფიგურებს მართლაც ეროვნული იერი აღმოაჩნდათ.

კომპლექტი, სამწუხაროდ, სრული არ აღმოჩნდა. ძირითადად დაცულია "ქართული ლაშქარი", ეტლი (ქართული ციხე-სიმაგრე), კუ (ქართული ლაშქრის ოფიცერი, ასისთავის სახით) და 6-6 პაიკი (თეთრები-გრძელჩოხიანი, ფაფახიანი ლეკები, შავები — მოკლეჩოხიანი, კახურქუდიანი კახელ-ქართლელი გლეხები). აღმოჩნდა აგრეთვე ორი ლეკის დაუმთავრებელი ფიგურა.

ყველა ფიგურა სისაა, ოსტატურად გამოჭრილი. საინტერესოა, რომ ყველა ლეკი და გლეხი განსხვავდება ერთმანეთისაგან; ზოგი წვერულვაშიანია, ზოგი მხოლოდ ულვაშიანი, ზოგი სახედაღარული, ზოგიც — ახალგაზრდა. მეტოქეთა ლაშქარს ჩაცმულობა და ფერიც განასხვავებს. ყველა "პაიკი" ქამარხანჯლიანია. ასისთავს ხმალიც ჰკიდია წელზე და წითელი მდიდრული ქულაჯაც აცვია, რაც მის უფროსობაზე მიგვანიშნებს. ლაზიერი ქართველი დედოფალია. მას დიდებული, ოქროს სირმით გაწყობილი ქართული კაბა აცვია და თავზე დედოფლის გვირგვინი ჰხურავს. ფიგურა მუქი ყავისფერია.

კიდევ ერთი საყურადღებო ნიშანი: ყველა ქართველი მეომრის სახეს დაძაბული, მტრისადმი სიძულვილის გამომხატველი გამომეტყველება აქვს.

რაკი კომპლექტი სრული არ არის და ზოგიერთი ფიგურა დაუმთავრებელია, ვფიქრობთ, რომ განზრახული მხატვარს ბოლომდე არ მიუყვანია. არც შემდეგ უცდია ახალგაზრდობაში ჩანაფიქრის განხორციელება, როცა სახელგანთქმული მხატვარ-დეკარატორი და სამხატვრო აკადემიის პროფესორი გახდა.

ვ. სიდამონ-ერისთავის ნამუშევარი მხატვრული ჭადრაკია. ასეთი ჭადრაკი ბევრ ხალხს აქვს. ფიგურებში ეროვნული მოტივები ჩანს: შრომისა და ბრძოლის იარაღი, ჩაცმულობა, ზნე-ჩვეულება და სხვა. ქართველი მხატვრის ჭადრაკი სხვა რამითაც არის საყურადღებო.

მხატვარი ამბობს: "მე დავიბადე ყვარელში, ილია ჭავჭავაძის სახლში. ყრმობა კახეთში გავატარე. ჩემ სამშობლო კუთხეს და მის ბუნებას კარგად ვიცნობ."ალბათ, პატარა ვალერიანს შინ ბევრჯერ სმენია ლეკიანობაზე, რის გამოც წარსულში კახეთი და ქართლი გამუდმებით შეწუხებული იყო. ჩანს, ბავშვობაში გაგონილმა ღრმა კვალი დატოვა მომავალი შემოქმედის მეხსიერებაში. მხატვარმა ჭადრაკში ერთმანეთს დაუპირისპირა მოძალადე ლეკები და აღმოსავლეთ საქართველოს გლეხები.

დასასრულ ერთი შენიშვნა: გამოითქვა აზრი, რომ სასუვენიროდ ქართული მხატვრული ჭადრაკი შეიქმნას. ჩვენი აზრით, ასეთი ჭადრაკის ავტორი სწორედ ისე უნდა მიუდგეს საქმეს, როგორც ვ. სიდამონ-ერისთავი: გაითვალისწინოს ქართველი ხალხის უძველესი საჭადრაკო კულტურა, ძველი ქართული ფიგურების ნიმუშები (ჩვენ მოგვეპოვება XII და XVII-XVIII საუკუნეების-დროინდელი ფიგურები) და ისიც, რომ ამჟამად ჭადრაკის დედოფალი ქართველი ქალია.

1970 წ.

შევქმნათ სასაჩუქრო ქართული ჭადრაკი

ნონა გაფრინდაშვილი 1962 წელს ჭადრაკის დედოფლის ტახტზე რომ ავიდა, აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა მას ჭადრაკის უძველესი კომპლექტი უსახსოვრა. საჩუქარს ასეთი ბარათი აახლა: "შენ სიტყვაში თქვი: ძველად ქართველები მზითვში ჭადრაკს ატანდნენ. რატომ დღესაც არ გავაკეთოთ ეს? ამიტომ გთხოვთ ეს ჭადარკიც შენს "მზითვის წიგნში" შეიტანო".

მართლაც რატომ არ უნდა გვქონდეს მზითვისა თუ არა, სასუვენირო ჭადრაკი მაინც? მით უმეტეს, როცა ასეთი სიტყვები გვესმის: "საქართველო რომ არა, ქალთა ჭადრაკის სამყარო ალბათ... არსად იქნებოდა. თქვენი ქალების წვლილი ბრძნული თამაშის საერთო განვითარებაში, ჭადრაკის სამყაროში განუზომელია", – როგორც თქვა ფიდეს გენერალურმა მდივანმა ი. ბაკერმა (ჰოლანდია) ნ. გაფრინდაშვილი – ნ. ალექსანდრიას მატჩის საზეიმო დახურვაზე (1 დეკემბერი 1975 წ.). ეს დიდი აღიარება ბევრს გვავალებს.

ჩვენი მამა-პაპა სამზითვო ჭადრაკს საგანგებოდ ახარატინებდა სპილოსა და ლომვეშაპის ძვლისგან. ეს ჭადრაკი განძი იყო. მას ქართული ორნამენტი ამშვენებდა. საბედნიეროდ, შემოგვრჩა XVII-XVIII საუკუნეებისდროინდელი ნამზითვი ჭადრაკის ერთი კომპლექტი, რომელიც თბილისის



სამზითვო ქართული ჭადრაკი (XVII-XVIII სს.)

საბჭოთა აკადემიის პროფესორის დ. ციციშვილის ოჯახში ინახება.

ამ იშვიათი ჭადრაკის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ შეიძლება შეიქმნას ქართული ეროვნულ მოტივებზე აგებული სასუვენირო ჭადრაკის კომპლექტი. მით უმეტეს, რომ ასეთი ცდა უწინაც ყოფილა.

1912 წელს ჟურნალ "თეატრსა და ცხოვრებაში" დაისტამბა ცნობა, რომ "მხატვარ ვალერიან სიდამონ-ერისთავს დაუმზადებია ჭადრაკის ახალი კოჭები... როგორც შევიტყვეთ, მხატვარი ერთ-ერთ გამოფენაზე გამოფენს ამ თავის ახალ ნაწარმოებს." საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით შეეგებება ამ ამბავს, მაგრამ, როგორც ჩანს, მხატვარს არ დაუმთავრებია და არც გამოუფენია იგი. მართალია, მან შექმნა ეროვნულ შინაარსზე აგებული მხატვრული ჭადრაკი, მაგრამ სამწუხაროდ, კომპლექტი სრული არ არის, ზოგი ფიგურა არ დაუსრულებია.

ქართველებს შორეულ წარსულშიც ჰქონდათ ეროვნულ მოტივებზე შექმნილი ფიგურები. სწორედ ამ აზრს გვიკარნახებს აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის მიერ დმანისის გათხრებში (1937 წ.) მიგნებული XII-XIII საუკუნისდროინდელი სამი ფიგურა (იხ. გვ. 201). ეს ფიგურები თბილისში, ხელოვნების მუზეუმში არის დაცული.

სახელგანთქმული მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის შთამომავლობას შემორჩა ქართული ჭადრაკის კომპლექტი (იხ. "ჰატიანე" I, გვ. 15). ეს ჭადრაკი მწერლის მამას — დასავლეთ საქართველოს მომრიგებელ-მოსამართლეს მ. ლორთქიფანიძეს XIX საუკუნის 50-იან წლებში მიართვა მისი სოფლის — ჩუნეშის მკვიდრმა გლეხმა, ვინმე ხაჭაპურიძემ, რომელმაც იცოდა ამ ძველისძველი თამაშით თავადის გატაცების ამბავი. სხვათა შორის, ამ ჭადრაკით უპაექრიათ სვანეთის უკანასკნელ მთავარს მურზაყან დადეშქელიანს, აკაკი წერეთელსა და მამამისს როსტომს, ნიკო დადიანს (მწერალ შალვა დადიანის მამას) და სხვ. მერე ამ ჭადრაკით უთამაშიათ მწერლის მეგობრებს — რევოლუციონერ ა. წულუკიძეს, მწერალ კოტე მაყაშვილს, პოეტებს პაოლო იაშვილს და ტიციან ტაბიძეს, აკადემიკოსს ს. ჩოლოყაშვილს და სხვ.

ლორთქიფანიძისეული ჭადრაკი, როგორც დმანისის გათხრებში ნაპოვნი ფიგურები, წმინდა ქართულია. მათთვის დამახასიათებელია სფერული ფორმა და წრეხაზები. იგივე ყაიდისაა პროფესორ დ. ციციშვილთან დაცული ნამზითვი ჭადრაკის ფიგურები. იქნებ ამ ფიგურების ფორმა ქართულ ორნამენტთან, არქიტექტურასთან და, შესაძლოა,

ასტროლოგიასთანაც მჭიდრო კავშირში იყოს. ეს საკითხი შესწავლას მოითხოვს.

როგორც ხედავთ, ქართველებს გვაქვს ეროვნულ მოტივებზე ჭადრაკის ფიგურების გამოჩარხვის გამოცდილება, მაგრამ სასუვენირო ჭადრაკი მაინც არ გაგვაჩნია.

როგორ წარმოგვიდგენია მხატვრული ანუ სასუვენირო ქართული ჭადრაკის კომპლექტი? უპირველეს ყოვლისა, იგი ეროვნული უნდა იყოს. ფიგურები შეიძლება ასახავდნენ ქართული ზღაპრის გმირებს, ლეგენდად ქცეულ პირებს, ან განა მომხიბლავი არ იქნება ამ ჭადრაკში "ვეფხისტყაოსნის" გმირები რომ განსახიერდნენ? სწორედ ასე მოიქცნენ ყირგიზელები, როცა სასუვენირო ჭადრაკში თავიანთი ეპოსის გმირები გააცოცხლეს, დაფაც ეროვნული ორნამენტებით შეამკეს. თუმცა იგი მაინც "ბრძოლის ველად" იქცა. ქართული ლიტერატურა და ფოლკლორი, ისტორია თუ ხელოვნება უშრეტი წყაროა ასეთი ჭადრაკის ფიგურების შესაქმნელად.

ჩვენში არც მხატვრობას, არც საჭრეთლისა და არც ძერწვის ხელოვნებას არ აკლია მდიდარი გამოცდილება და ოსტატობა. საჭიროა მონდომება, საქმისადმი მამულიშვილური მიდგომა, რომ შეიქმნას სასუვენირო ქართული ჭადრაკი, როგორც ეს შეჰფერის ერის საჭადრაკო წარსულს და ჭადრაკის დედოფლების ქვეყანას.

1976 წ.

თავიდან ქართული სამზითვო ჭადრაკის კომპლექტის შექმნის მრავალი მსურველი აღმოჩნდა, მაგრამ აქამდე იგი არავის გამოუჩარხავს. ჩანს, ჯერ სიძნელეებმა შეაშინათ, მერე მოძალებულმა დუხჭირმა ცხოვრებამ.

იმედს არ ვკარგავთ, რომ მაინც გვექნება ქართული სამზითვო ჭადრაკი.

კავშირი ასტროლოგიასთან

იმ დროს (VI ს.) აღმოსავლეთში ასტროლოგია ფართოდ იყო გავრცელებული. ამის საფუძველი გახლდათ ადამიანთა იმის რწმენა, რომ მათ ყოფაზე იდუმალ ზეგავლენას ახდენენ ვარსკვლავები და თანავარსკვლავედები. ცხადია, ისინი საკუთარი გონების ნაყოფს ციურ ძალებს უძღვნიდნენ. რა თქმა უნდა, ასევე განწყობილი იყვნენ ჭადრაკის მიმართ.

ასტროლოგიასთან ჭადრაკის კავშირს პირველად ყურადღება მიაქცია მ. ვადბოლსკიმ თავის წიგნში "ჭადრაკი 1400 წლის მანძილზე" (თბილისი, 1972 წ.).

თითქოს რა კავშირი უნდა ჰქონოდა ასტროლოგიას ფიგურების შინაარსსა და ტერმინებთან, მაგრამ კვლევამ დაადასტურა, რომ შორეულ წარსულში მართლა არსებობდა ასეთი ურთიერთობა.

ამის თაობაზე ვწერდი ჩემს მონოგრაფიაში "ჭადრაკი ძველ საქართველოში" (თბილისი, 1970 წ.).

ასტროლოგები ქადაგებდნენ: ჭადრაკის თამაშის უნარი არის ღვთიურ ძალთა მიერ სიბრძნის გამოცდაო, სიბრძნისა, რომელიც ისევე უსასრულოა, როგორც 64 უჯრის შესაძლებლობაო. ჭადრაკის დაფა და ფიგურები თანავარსკვლავედთა კანონებზე დამყარებულ "მაღალ სხეულთა ალეგორიის" საგნამდე აიყვანეს. მაგრამ მათი შრომების მიხედვით ამ ალეგორიის ზუსტი სურათის აღდგენა შეუძლებელი შეიქნა.

ჭადრაკზე ზეგავლენა ასტროლოგიამ მხოლოდ XVI საუკუნემდე შეინარჩუნა. ამ დროს მას სასიკდილო ლახვარი ჩასცა დიდი სწავლულების (ნ.კოპერნიკი, ჯ.ბრუნო, გ.გალილეი, ი. ნიუტონი) მეცნიერულმა აღმოჩენებმა. მიუხედავად ამისა, უსამართლობა იქნება არ აღვნიშნოთ, რომ "ეშმაკის მეცნიერებამ" (ასე უწოდებდნენ ასტროლგიას ღვთის მსახურნი) გარკვეული წვლილი შეიტანა ასტრონომიის, კოსმოსის შესწავლაში.

ეჭვი არ არის, ასტროლოგიამ ზემოქმედება მოახდინა უძველესი თამაშების როგორც შინაარსზე, ისე გარეგნულ ფორმაზეც. ცნობილია, რომ ჭადრაკის და მისი ფიგურების სხვადასხვაობა შუა საუკუნეებში მჭიდროდ არის დაკავშირებული უძველესი დროის ასტროლოგიურ სახეებთან: მზისა და მთვარის კულტთან, კოსმოსთან, პლანეტებისა თუ თანავარსკვლავედების სამყაროსთან, აგრეთვე, ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილ მითოლოგიურ სახეებთან.

აი, რა საინტერესო ცნობებს

გვაწვდის ჭადრაკის ზოგიერთი ფიგურის შესწავლა ასტროლოგიასთან კავშირში.

პლანეტების დახასიათებისას ვკითხულობთ: "მზე – მნათობელია მეფეთა და მმართველთა". ამიტომ მეფე შეწირულია მზის სადიდებლად. მზე არის სიცოცხლის, სინათლის, სითბოს წყარო. ასევე მიაჩნდა ძველ ხალხს დედამიწაზე მეფე, ბელადი, გმირი.

მეფის პირვანდელი, ინდური სახელი რაჯა ვერ გასცდა თვით ინდოეთს.

მთელ აღმოსავლეთში (საქართველოს გარდა) შაჰი იყო გავრცელებული. ევროპაში ამ ტერმინმა ფეხი ვერ მოიკიდა. აქ იგი შემორჩა მხოლოდ როგორც მეფისათვის მუქარის გამოცხადების აღმნიშვნელი შეძახილი.

ლაზიერის ასტროლოგიური კულტი უცნობია. ასტროლოგიამ არაფერი დაგვიტოვა ამის შესახებ. მ. ვადბოლსკის აზრით, ეს იმიტომ მოხდა, რომ ლაზიერი ზოგმა ხალხმა ვეზირად (მამაკაცად) იწამა, ზოგმა – დედოფლად (ქალად). მაგალითად, აღმოსავლეთში იგი მხოლოდ მეფის მრჩეველია, მაშინ, როცა ევროპაში (IX-X სს.) დედოფლად მონათლეს. სხვათა შორის, ქართველების ლაზიერი ვაჟია, სომხურ ჭადრაკში კი – ქალი. აქედანვე მომდინარეობს ლაზიერის გარეგნობაც.

ჭადრაკის მატიანეში ნათქვამია: ეტლი – ნავი გარკვეულ მიმართებაშია ნავ-მთვარესთან. საქმე ისაა, რომ უმეცრების მეფობის ეპოქაში ადამიანებში შიშსა და თაყვანისცემის გრძნობას იწვევდა ღამის სიბნელეში მთვარის ციალი, რომელიც ნავის მოძრაობას მოაგონებდათ. მას მფარველ მთვარესთან იდეოლოგიური კავშირი არ დაუკარგავს შემდეგაც, როცა ეტლი სპარსეთში რუხად იქცა. ტერმინი ნავი (ეს იყო მ. ვადბოლსკის შეხედულებით ეტლის პირველი სახე) მხოლოდ რუსულ

სპარსული
რუხი

ინდური
რაჯა

ქართული
ეტლი

ჭადრაკს შემორჩა. ინდოეთში იგი რატჰამ შეცვალა – ალბათ ლაშქარში საბრძოლო ეტლის შემოღებასთან ერთად დამკვიდრდა.

ახალმა ფიგურამ დიდი დათვის თანავარსკვლავედის პატივსაცემად მისი ასტრალური კულტი მიიღო. ეს იმიტომ მოხდა, რომ თანამიმდევრობით განლაგებული ვარსკვლავები გარეგნული ფორმით ხალხს ეტლს მოაგონებდა.

რატჰამ სპარსეთში გავრცელება ვერ ჰპოვა, რადგან ამ ქვეყნის ლაშქარში საბრძოლო ეტლი არ იყო. დამკვიდრდა რუხი. ეს ფრინველი აღმოსავლური მითოლოგიით გმირების მფარველია, მაგრამ მისი აზრობრივი არსი უძველესი დროის მითოლოგიაში უნდა ვეძებოთ. სპარსულ ჭადრაკში რუხს ლეგენდარული ფრინველის სახე ჰქონდა. შემდეგ, როცა ყურანმა სულიერი არსების მხატვრულად გამოსახვა აკრძალა, არაბებში რუხმა მხოლოდ ფრთების პირობითი სახე შეინარჩუნა.

ეტლმა უცვლელი სახე დაიტოვა მხოლოდ ქართულ ტერმინოლოგიაში. იგი მუდამ იყო "ცთომილი", "ბედის ვარსკვლავი" ასტროლოგიური გაგებით და საბრძოლო ეტლის მნიშვნელობის მატარებელიც. აი, აქ უნდა ვეძიოთ ქართული ეტლის ნათესაობა ინდურ რატჰასთან

კუს ასტროლოგიური კავშირი აქვს პლანეტა მერკურთან – იგი ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველია. საინტერესოა, რომ კუმ მრავალი მნიშვნელობა მოიპოვა ჭადრაკის არსებობის მანძილზე. როგორც ზემოთ ვთქვით, საქართველოში იგი ციხე-სიმაგრის სანგრევ მანქანას მიამგვანეს, ინდოეთსა და სპარსეთში კი მან სპილოს პირდაპირი მნიშვნელობა მიიღო. ამიტომაც აქ ამ ფიგურას სპილოს გარეგნობას აძლევდნენ, თუმცა შემდეგ იგი თანდათან დაიხვეწა. არაბებმა კუს სვეტის სახე მისცეს, ოღონდ წვერში იგი ოდნავ წატეხილი იყო. დასავლეთ ევროპაში მას ეპისკოპოსს ან ბრძენს უწოდებდნენ.

საინტერესოა, რომ ჭადრაკის უძველეს კომპლექტში მხედრის გამოსახულება არ გვხვდება. შუა აზიაში შემთხვევით ნაპოვნი ცხენოსანი მხედრის ჭადრაკის ფიგურა მხოლოდ VII საუკუნით თარიღდება. მ. ვადბოლსკი ამბობს, რომ "ქართულ ჭადრაკში არსად და არც ერთ ეპოქაში არ ვხვდებით ცხენმხედარს, თუმცა ცხენის გამოსახულება იჭვნეულად ინახავს უძველეს ტერმინ "მხედრის" პირვანდელ მნიშვნელობას".

ასტროლოგია პაიკს პლანეტა სატურნთან აკავშირებს. პაიკი ყველა ჭადრაკში მებრძოლს ნიშნავს.

ასტროლოგიასთან ბრძნული თამაშის დაკავშირებამ ჩინეთში ის ნაყოფი ვამოიღო, რომ ტიბეტის

ბუდისტურ ტაძრებში დღესაც მისდევენ ჭადრაკით მარჩიელობას.

რა თქმა უნდა, ჭადრაკისა და ასტროლოგიის ურთიერთობის საკითხი ამ მოკლე მიმოხილვით არ ამოიწურება, მაგრამ ფაქტია, რომ მისი შესწავლით შეიძლება ბევრი საინტერესო რამ გაირკვეს ჭადრაკის განვითარების ისტორიიდან, კერძოდ საქართველოშიც.

რომელი გრიგოლის ცხოვრება?

ეს წერილი გამოვაქვეყნე გაზეთ "ლელოს" 1966 წლის 28 ნოემბრის ნომერში.

სულხან-საბა ორბელიანი ჭადრაკს ასე განმარტავს – "სამორინოა (გრიგოლის ცხოვრება)" ("სიტყვის კონა", თბილისი, 1949 წ. გვ.457).

ადვილი მისახვედრია, რომ ლექსიკოგრაფს ეს სიტყვა გრიგოლის ცხოვრებაში ამოუკითხავს, მაგრამ რომელი გრიგოლის ცხოვრებაში?

"სამორინოს" მნიშვნელობას საბა დაწვრილებით ხსნის სიტყვა "მორინეს" განმარტებისას: "მორინე – ესე არს ნარდი, ჭადრაკი, განჯაფა და მისთანა სამღერალნი (მღერა ძველი ქართულით თამაშს ნიშნავს. – თ.გ.), ხოლო მემორინე მათი და სამორინე სახლი, სადა მარადის იმღერიან" (გვ.220).

როგორც ჩანს, ჩვენში ადრევე იცნობდნენ ჭადრაკს, თორემ რატომ წერენ მასზე ჯერ გრიგოლი, შემდეგ სულხან-საბა და, ბოლოს დ. ჩუბინაშვილი? ცხადია, გრიგოლის ვინაობისა და მისი ცხოვრების დროის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ჭადრაკის ისტორიისათვის.

სულხან-საბა ორბელიანი მიუთითებს იმ ლიტერატურულ წყაროებზე, რომლებითაც მას უსარგებლია ლექსიკონის შედგენისას. იგი ორ გრიგოლს ასახელებს – გრიგოლ ნოსელს – საკვირველმოქმედსა და გრიგოლ ღვთისმეტყველს – ნაზიანზელს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ლექსიკოგრაფმა სწორედ ამათგან ერთ-ერთის ცხოვრებაში მიაგნო "სამორინოს".

გრიგოლ ნოსელი 394 წელს გარდაიცვალა, გრიგოლ ნაზიანზელი კი 389-390 წლებში. ისტორიკოსები (პირველ ყოვლისა, ინგლისელი ჩ. მერეი) მიიჩნევენ, რომ ჭადრაკი VI საუკუნეებში გამოიგონეს. თუ ამ შეხედულებას დავეთანხმებით, კვლევისათვის არც ერთი ზემოხსენებული გრიგოლი არ გა-

მოგვადგება. მაგრამ თუ დავუჯერებთ საბჭოთა მკვლევრების (ი. მაიზელისს, ზ. ხოჯაევს, ა. დიუმელს), რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჭადრაკი II საუკუნის პირმშოა, მაშინ ორივე გრიგოლის ცხოვრება საგანგებო შესწავლის ღირსია. კიდევ უფრო ღრმად რომ ჩავწვდეთ, შესაძლოა გაირკვეს, რომ ქარველები ჭადრაკს გავეცანით არა VII-VIII საუკუნეებში, როგორც ამას ჩვენ ვფიქრობთ,არამედ 300-400 წლით ადრე.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. აბრამიშვილმა სცადა გამოეკვლია, სახელდობრ, რომელი გრიგოლის ცხოვრება აქვს მხედველობაში სულხან-საბა ორბელიანს. მან ერთმანეთს შეაჯერა ლიტერატურული წყაროები, რომლებითაც უსარგებლიათ ორბელიანსა და დ. ჩუბინაშვილს (რუსულ-ქართული ლექსიკონი. სანკტ-პეტერბურგი, 1887-1890 წწ.) და შენიშნა, რომ დ. ჩუბინაშვილი მარტო გრიგოლ ნოსელს ასახელებს.

"ჩემი აზრით, – წერდა 1962 წელს ა. აბრამიშვილი გაზეთ "ახალგაზრდა კომუნისტში", – ტერმინი "ჭადრაკი" საბას ამოღლია გრიგოლ ნოსელის "ცხოვრება და შესხმა ბასილი დიდისა და სხვანი სწავლანიდან". თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ გამოდის, რომ საქართველოში X-XI საუკუნეებში სიტყვა "ჭადრაკი" და მისი ფუნქცია უკვე დამკვიდრებული ყოფილა".

მეცნიერის მოსაზრება ყურადსაღებია. გრიგოლ ნოსელის ზემოხსენებული ნაშრომი აუცილებლად უნდა შევისწავლოთ.

სწორედ გრიგოლის ვინაობის დაუდგენლობამ აკითხვინა ჭადრაკის მკვლევარს ა. მოკაციანს "ეს გრიგოლი სომხური ეკლესიის ცნობილი მოღვაწე ხომ არ არისო?" ("შახმატნი სლოვარი", მოსკოვი, 1964 წ.).

ეს საკითხი ალბათ დააინტერესებთ ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალისტებს და ისტორიკოსებს. იმედი გვაქვს, ისინი შეეცდებიან დაადგინონ, რომელ გრიგოლს ახსენებს სულხან-საბა ორბელიანი და ამით დიდ სამსახურს გაუწევენ ქართულ საჭადრაკო კულტურას.

აქვე უნდა გავამხილო, როცა ამ წერილს ვწერდი, კარგად ვიცოდი, რომ არც ერთ გრიგოლს არ შეეძლო ჭადრაკი სცოდნოდა. მათ დროს არ არსებობდა ეს თამაში. იგი ორი საუკუნის შემდეგ გაჩნდა ინდოეთში. წერილი კი დავწერე ჩემი მეგობრის, გაზეთ "ლელოს" რედაქტორის მარადდაუვიწყარი მიხეილ კაკაბაძის რჩევით, იმის იმედით, რომ წერილს გამოეხმაურებოდნენ ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები ან ისტორიკოსები, რომლებიც ნათელს

მოჰფენდნენ ქართული ჭადრაკის ზოგ საკითხს მაინც. ასეც მოხდა.

წერილის დაბეჭდვიდან არ გასულა დიდი დრო, რომ "ლელოს" რედაქციაში შემოვიდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომელთა სარგის ცაიშვილის (შემდგომ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი) და გურამ კარტოზიას (შემდგომ ცნობილი ენათმეცნიერი) წერილი სათაურით "ჭადრაკი ძველ ქართულ მწერლობაში". იგი "ლელოს" 1966 წლის 25 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა.

მცირე შესავლის შემდეგ ს. ცაიშვილი და გ. კარტოზია წერდნენ:

"ა. აბრამიშვილისა და თ. გიორგაძის წერილებში აღნიშნულია, რომ საბას ლექსიკონში მითითებული გრიგოლი ან გრიგოლ ნოსელი უნდა იყოს, ან გრიგოლ ნაზიანზელი. სხვა გრიგოლი თითქმის გამორიცხულია. რის საფუძველზე გამოაქვთ ასეთი დასკვნა? საქმე ის არის, რომ "სიტყვის კონის" 1949 წლის გამოცემას ბოლოში ერთვის საბას მიერ გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, სადაც მართლაც ეს ორი გრიგოლია ნახსენები. მაგრამ ლიტერატურის ეს ნუსხა საბას კი არ ეკუთვნის, როგორც ამას ა. აბრამიშვილი და თ. გიორგაძე მიიჩნევენ, არამედ აღნიშნული გამოცემის რედაქტორს (ს. იორდანიშვილს). ნუსხა სრული არ არის, მასში ბევრი ისეთი ძეგლი არ შესულა, რომელიც საბას ლექსიკონში აქვს გამოყენებული. სხვათა შორის, არც "გრიგოლის ცხოვრება" არის შეტანილი; აქ მხოლოდ გრიგოლ ნოსელი და გრიგოლ ღვთისმეტყველი (ე. ი. ნაზიანზელი) არიან დასახელებულნი.

შემდეგ. საბას "გრიგოლის ცხოვრება" აქვს დამოწმებული. რა შუაშია აქ გრიგოლ ნოსელის "ბასილის ცხოვრება"? თხზულების სახელწოდებიდან ჩანს, რომ გრიგოლი აღნიშნული "ცხოვრების" ავტორი კი არ არის, არამედ მთავარი მოქმედი პირია. საბას გრიგოლ ნოსელის თხზულება რომ ჰქონოდა მხედველობაში, ბასილის ცხოვრებას დაწერდა და არა გრიგოლისას. რომ გავიზიაროთ ა. აბრამიშვილის შეხედულება, საბას მიერ დამოწმებული სხვა თხზულებების — კვიპრიანეს ცხოვრების, ეკატერინეს ცხოვრების, წმ. ნინოს ცხოვრების, წმ. შიოს ცხოვრების ავტორებად შესაბამისად კვიპრიანე, ეკატერინე, წმ. ნინო და წმ. შიო უნდა მივიჩნიოთ. რა თქმა უნდა, ეს ასე არაა.

როგორც ვხედავთ, "გრიგოლის ცხოვრების" მიკუთვნება გრიგოლ ნოსელისადმი მეტად ნებისმიერსა და დაუსაბუთებელ ვარაუდს წარ-

მოადგენს. მაგრამ დავუშვათ, რომ გრიგოლ ნოსელის, ე.ი. IV საუკუნის ბიზანტიელი მოღვაწის თხზულებაში მოხსენიებული ჭადრაკი, განა ეს იმას მოასწავებს, რომ ქართველებმაც IV საუკუნეში ვიცოდით ეს თამაში? განა გრიგოლ ნოსელის თხზულებები მაშინვე ითარგმნებოდა ქართულად? სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ა. აბრამიშვილს ასე შორს მიმავალი დასკვნები არ გამოუყვანია. "თუ ეს მოსაზრება სწორია (ე.ი. გრიგოლ ნოსელის ავტორობა), – წერს იგი, – მაშინ გამოდის, რომ საქართველოში X-XI საუკუნეებში სიტყვა "ჭადრაკი და მისი ფუნქცია უკვე დამკვიდრებული ყოფილა".

ასეთია ჩვენი შენიშვნები ზემო აღნიშნულ წერილზე. ჩვენ სულაც არა ვართ წინააღმდეგი, რომ ვეძებოთ ქართულ მწერლობაში ჭადრაკის მოხსენიების უძველესი კვალი".

როგორც ვიმედოვნებდით, შემდეგ ს. ცაიშვილი და გ. კარტოზია გვაწვდიან უაღრესად საინტერესო ცნობებს იმის თაობაზე თუ როგორ აისახა ჭადრაკი ძველ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

აი, მათი წერილი მცირე შემოკლებით:

ქართულ საჭადრაკო ლიტერატურაში გაბატონებულია აზრი, თითქოს ჭადრაკი პირველად "ცისრამიანსა" და "ამირანდარეჯანიანში", ე.ი. XII საუკუნის ძეგლებში, გვხვდება, მომდევნო ხანებში კი XVII საუკუნემდე იგი არ იხსენიებაო. ეს ზუსტი არ არის. სინამდვილეში ჭადრაკი უფრო ადრე, XI საუკუნის ძეგლში გვხვდება და შემდეგშიც XVII საუკუნემდე, კერძოდ, XV საუკუნის ხელნაწერშიც დასტურდება. გრიგოლ ნოსელის არა, მაგრამ მისი უფროსი ძმის ბასილი დიდის თხზულების "ექუსთა დღეთა" ქართულ თარგმანში, რომელიც XI საუკუნის ცნობილ ქართველ საეკლესიო მოღვაწეს გიორგი ათონელს (1009-1065) ეკუთვნის, ვკითხულობთ: "რამეთუ უკუეთუ განგიტევნე თქუენ და დავჰხსნა შესაკრებელი ესე, რომელნიმე **ჭადრაგთა** მიმართ წარვიდნენ და რომელთამე ტაბლით მღერისა მიისწრაფონ". ეს ნიშნავს: " თქვენ რომ გაგიშვათ და დავშალო ეს კრება, ზოგი ჭადრაკისაკენ გასწევს (წავა) და ზოგი ტაბლით სათამაშოდ (ე. ი. კამათლის სათამაშოდ) გაეშურება".

აღნიშნული თხზულება 1947 წელს გამოსცა მ. კახაძემ. ჩვენთვის საინტერესო სიტყვა ლექსიკონშიც აქვს გატანილი ავტორს და ახსნილი აქვს, როგორც "ჭადრაკი, სათამაშო, კუბის ფორმის ძვლები, რომელსაც ექვსსავე მხარეს აქვს ქულები (очки)". ბერძნულ შესატყვისად მითითებულია: "კუბოს". მოყვანილ

ნაწყვეტში ორგვარი სათამაშოა დასახელებული: ჭადრაკი და ტაბლის მღერა. ბერძნულ დედანში კი მხოლოდ ერთი, კამათლებით თამაშია აღნიშნული. მ. კახაძემ გაარკვია, რომ გიორგი ათონელი თავისუფლად ექცევა სათარგმნელ ძეგლს, ზოგან ამოკლებს, ზოგან კი ავრცობს, უმატებს ტექსტს. კონკრეტულად, აღნიშნულ ტექსტში მ. კახაძეს მიაჩნდა, რომ ბერძნული კამათლით თამაშის ქართული შესატყვისია ჭადრაკი, **ტაბლით მღერა** კი მთარგმნელის მიერ დამატებულია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბერძნულ ტექსტში მითითებულ კამათლებით თამაშს ქართულად სწორედ ტაბლით მღერა შეესატყვისება. მთარგმნელის მიერ შეტანილ დამატებას კი სწორედ ჭადრაკი წარმოადგენს. იმავე ძეგლის სხვა ადგილას (რამდენიმე სტრიქონის შემდეგ) სწორედ **ტაბლით მღერა** არის გამოყენებული კამათლით თამაშის აღსანიშნავად: "და რომელი ტაბლით არა იმღეროდეს..."

ეს რომ ასე უნდა იყოს, ამას თითქოს შემდეგი ფაქტი მოწმობს.

გიორგი მთაწმინდელის თარგმანის გარდა არსებობს ამ თხზულების უფრო ადრინდელი თარგმანიც. პროფ. ილ. აბულაძემ 1964 წელს ორი იერუსალიმური ხელნაწერის (№44, XII-XIII ს. და №74. XIII-XVI ს.) მიხედვით გამოსცა ბასილი დიდის "ექუსთა დღეთას" უძველესი ქართული რედაქცია, რომელიც მკვლევარის აზრით, VIII-IX საუკუნეს განეკუთვნება.

ამ უძველეს რედაქციაში აღნიშნულ ადგილზე **ჭადრაკი** არ გვხვდება. გამოცემაში ეს ადგილი №74 ხელნაწერის მიხედვითაა დაბეჭდილი და ასე იკითხება: "უკუეთუ განუტევო მე კრებული ესე, რომელნიმე მათგანნი წარვიდენ ტაბლისა ამისგან საღმრთოისა სიმღერად..." (121, 31). ეს ნიშნავს: "რომ გავუშვა მე ეს კრებული, ზოგი მათგანი წავა ამ საღმრთო სუფრიდან სათამაშოდ". აქ, როგორც ვხედავთ, ტაბლიდან სათამაშოდ წასვლაზეა ლაპარაკი. მაგრამ უფრო ძველ ხელნაწერში (№44) **ტაბლით სიმღერა** გვაქვს: "რომელნიმე მათგანნი წარვიდენ ტაბლით სიმღერად". ჩვენ ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი ტექსტი უფრო ადრინდელ ვითარებას ასახავს. ბერძნულ დედანშიც ხომ კამათლებით თამაშზე ("ტაბლით მღერაზე") არის ლაპარაკი.

როგორც ჩანს, №74 ხელნაწერის გადამწერს ფრაზაში "წავიდნენ ტაბლით სიმღერად" ტაბლით გამოსვლითის მნიშვნელობით (ტაბლიდან) გაუგია და იმავე მნიშვნელობის ფორმით "ტაბლისაგან" (სუფრიდან) შეუცვლია და მსაზღვრელი სიტყვაც ("საღმრთოისა") დაუმატებია.

გამოდის, რომ ბერძნული დედ-

ნის კამათლებით თამაშს ქართული თარგმანის უძველეს რედაქციაში **ტაბლით სიმღერა** შეესატყვისება. XI საუკუნის (გიორგი ათონელისეულ) თარგმანში კი ორი ტერმინი **გვაქვს: ჭადრაგი** და **ტაბლით მღერა**. ილ. აბულაძემ გაარკვია, რომ გ. ათონელს ხელით ჰქონია "ექუსია დღეთას" უძველესი ქართული თარგმანი და უხელმძღვანელებია იმით, თუ გავიხსენებთ გ. ათონელის მთარგმენლობითი მეთოდის თავისებურებას (ტექსტის შემოკლება ან გავრცობა), უნდა ვიფიქროთ, რომ მას **ტაბლით მღერისათვის** სხვა ტერმინიც, უფრო სწორად, სხვა სათამაშოს აღმნიშვნელი სიტყვა – ჭადრაგი დაუმატებია. ჭადრაგი ტაბლით მღერისაგან განსხვავებული სათამაშო ჩანს და სრულიადაც არ არის მოულოდნელი მასში შუასაუკუნეების შატრანგი (შატრანჯი) ვიგულვოთ, ე. ი. თანამედროვე ჭადრაკის წინაპარი, თამაში, რომელშიც გადამწყვეტია არა კამათელი, არამედ მოთამაშის ნება, აზრი.

ქართულ საჭადრაკო ლიტერატურაში შეუმჩნეველი დარჩა ჭადრაკის მოხსენიება XV საუკუნის ისეთ საინტერესო ძეგლშიც, როგორიცაა "სამკურნალო წიგნი კარაბადინი", რომლის ავტორია XV საუკუნის მოღვაწე ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი. ამავე საუკუნეს განეკუთვნება თხზულების ხელნაწერიც. ძველი 1959 წელს გამოსცა მ. შენგელიამ. აქ ერთგან ვკითხულობთ: "ნუენსა კაცი იყო მეტად ხელ წმიდა ხელის უფალი, **ერთი ჭანდრიკი** ესეთი შექმნა და მისი როკი ტყეისა და ერთობ ყველაზე აწონეს და ერთისა ქრთლისა წონა იყო, მეტი არა" 94,25;. გამომცემელს ლექსიკონში **ჭანდრიკი** ჭადრაკად აქვს განმარტებული.

მოყვანილ ნაწყვეტში ყურადღებას იქცევს თავისებური ფორმა **ჭანდრიკი** და სიტყვა **როკი**, რაც ჭადრაკის რაღაც ნაწილს აღნიშნავს.

ჭანდრიკში დ-ს წინ ნ თანხმოვანია განვითარებული. ანალოგიური ვითარება ქართულ მეტყველებაში სხვა სიტყვაშიც შეიძლება დავადასტუროთ. მაგალითად, სიტყვა **ჭადარი** რიგ კილოში **ჭანდარის** სახით გვხვდება.

უფრო საინტერესოა სიტყვის მეორე მარცვალში ა ხმოვნის შეცვლა ი ხმოვნით (ჭანდრიკი). ამ მოვლენაში ხელნაწერის ორთოგრაფიული თავისებურება, უფრო სწორად, გადამწერის სპეციფიკური შეცდომა ჩანს. ძეგლში ხშირია მსგავსი შემთხვევები სხვა სიტყვებშიც. გვაქვს ზაფრინი, ისკილი, ქუეყანი (გვ. 96, 98, 99, 92...), ზაფრანი, ასკილი, ქუეყანა-ს ნაცვლად და სხვა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება შევეცადოთ მეორე საჭა-

დრაკო ტერმინის **როკის** მნიშვნელობის გარკვევასაც. ხომ არაა აქაც ბოლოკიდური ი ხმოვანი ა-ს ნაცვალი და **როკა** ხომ არ უნდა გვქონოდა? როკაში კი ძნელი არ არის **რუკა** დავინახოთ, საჭადრაკო დაფის ქართული სახელწოდება. ო და უ ხმოვანთა გრაფიკული მონაცვლეობა ძველი და საშუალო ქართული ენის ძეგლებში საკმაოდ ცნობილი ფაქტია. სამკურნალო წიგნშიც იშვიათი როდია ასეთი რამ. აქ ვადასტურებთ ასეთ ფორმებს: თო, უკეთო, რამეთო (გვ. 69, 71, 77, 79, 84) ნაცვლად თუ, რამეთუ, უკეთუ ფორმებისა. ასევე პარალელურად გვხვდება ო და უ ასო სხვა ტერმინებშიც: ლობა – ლუბა, კოსტი – კუსტი და ა. შ.

საინტერესოა, რომ საჭადრაკო ტერმინი **შამათი** გვხვდება "ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთ დანართ სტროფში, ე.წ. ინდო-ხატაელთა ამბავში: "ღმერთმან მოსრნა მტერნი ჩვენნი, ვერ დაგვცემენ ყოლ შამათსა". აღნიშნული სტროფი (ისევე, როგორც ინდო-ხატაელთა მთელი ეპიზოდი) 1937 წლიდან 1966 წლამდე შედიოდა "ვეფხისტყაოსნის" ძირითად ტექსტში.

როგორც ცნობილია, ინდო-ხატაელთა ეპიზოდი "ვეფხისტყაოსნის" ინტერპოლაციათა შორის ყველაზე ადრინდელია, ყოველ შემთხვევაში, XVII საუკუნემდელია. ასე რომ, საჭადრაკო ტერმინი (შამათი) კიდევ ერთ მეჩვიდმეტესაუკუნემდელ ტექსტშიც დასტურდება.

რაც შეეხება XVII და XVIII საუკუნეებს, ჭადრაკის ფიგურები და სათამაშო ტერმინები უხვად გვხვდება ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში. საჭადრაკო ლიტერატურაში ჩვეულებრივ არჩილის, საბას, თეიმურაზ მეორისა და ბესიკის ნაწერებზე მიუთითებენ, მაშინ, როცა საჭადრაკო ტერმინოლოგია გვხვდება, აგრეთვე, თეიმურაზ პირველის, ნოდარ ციციშვილის, ს. თანიაშვილის, ი. ტფილელის, ვახტანგ მეექვსისა და ძველი ქართველი მწერლობის სხვა წარმომადგენელთა ნაწერებშიც.

მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს:

ჭირთაგან ნააზატები სევდას ვერ **დაეშამათა** (თეიმურაზ I, ლეილმიჯნუნიანი, გვ. 264, 4); **ეტლმა კუს** სძლია. მბრუნავმან, ჟამი არს აწ **შამათისად** (ნოდარ ციციშვილი. შვიდი მთიები, 1766,4). ამარ ყველა, **ჭადრაკითა** რა აჯობოს, მოიმდერვა (ს. თანიაშვილი, გალექსილი ამირანდარეჯანიანი, 1882,2); ვის სწადდის, **ჭადრაკს** იმღერდეს, ნარდის და ან-უ ქოსისა (იქვე 1299,1); **შამათს** უქმდით იქ ნადირსა, ვით **ჭადრაკში მეფეს ქიშად** (იქვე 1788, №3); გამსინჯველსა და მცოდნესთან უცოდრად რად **ვიქიშები**? (ვახტანგ VI, სიბრძნე მალაღობელი, 224,4):

"ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთ დანართ თავში, ე.წ. ტარიელის მეორე ანდერძში, რომელიც XVII საუკუნის პოეტს იოსებ ტფილელს ("დიდმოურავიანის" ავტორს) ეკუთვნის, ეკითხულობთ: ვერც ხვარაზმშამ ძეთ ჩემთ რამე გამოჰპაროს **შამათ-ქიში**; ზოგნი ნარდსა და **ჭადრაკსა** ზედა იმღეროდიან (ბათმგულიჯანიანი, 200,4); რად არ ასწავლი **ჭადრაკსა**, ხელთ ლაზიერის ჭერასა? (დ. საკაძე, 196,65,2) და ა.შ.

XVII-XVIII საუკუნის ქართული ლიტერატურის ძეგლებში (მხედველობაში არა გვაქვს თეიმურაზ მეორისა და ბესიკის ზმები, არც საბას "სიტყვის კონა") ვადასტურებთ ჭადრაკის ფიგურების ყველა სახელწოდებას და საჭადრაკო ტერმინებს (ჭადრაკი, მეფე, ლაზიერი, ეტლი, კუ, მხედარი, პაიკი, ქიშ, შამათი, რუკა).

გარდა ამისა, გვხვდება ზოგიერთი საინტერესო ცნობა თამაშის წესების შესახებ. მაგალითად, ს. თანიაშვილის გალექსილ "ამირანდარეჯანიანში" ვკითხულობთ: არ ძალ-უც **მეფის შამათი** უმეშველოდ მარტო **მხედარსა** (636,4). დღევანდელი სიტყვით ეს იმას ნიშნავს, რომ, როცა მეფის წინააღმდეგ დარჩენილია მეფე და მხედარი, მოგება არ შეიძლება, ყაიმია.

ვახტანგ მეექვსის მიერ თარგმნილი "ქილილა და დამანას" საბასეულ რედაქციაში ვკითხულობთ: ნახე, **პაიკი** ექვისის **რუკის** წავლით **გალაზიერდების** და მას მაღალს კიბეზედ ავა (საბა, II,1,86,16-17). ამ პატარა ნაწყვეტით ვგებულობთ, რომ XVIII საუკუნის დასაწყისისათვის უკვე მოქმედებდა პაიკის ლაზიერად გაყვანის წესი. ჩანს, რომ ლაზიერი უკვე ძლიერ ფიგურას წარმოადგენდა (როგორც ცნობილია, ადრე ლაზიერი ყველაზე სუსტი ფიგურა იყო). ამავე დროს ირკვევა, რომ **რუკა** საჭადრაკო დაფასთან ერთად უჯრის აღმნიშვნელი იყო.

ქართული მწერლობა საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ, თუ როგორ მოჰყვება ცხრა საუკუნის მანძილზე ქართველობას ჭადრაკი, როგორ განუყრელად იყო დაკავშირებული ეს კეთილშობილი თამაში ჩვენი ერის ყოფასთან. ქართული ლიტერატურის მკვლევრებისა და ქართული ჭადრაკის ისტორიკოსთა ვალია გამოამზეურონ ძველ ქართულ ძეგლებში ჭადრაკის ყოველგვარი კვალი და ფართო საზოგადოებრიობისათვის მისაწვდომი გახადონ იგი.

დიდი მადლიერების გრძნობით უნდა ვაღიარო, რომ ს. ცაიშვილისა და გ. კარტოზიას წერილმა თვალნათლივ დამანახა ქართული ჭადრაკის მდიდარი წარსული და მიბიძგა კვლევის გაგრძელებისკენ.

ჭადრაკი ძველ ქართულ მწერლობაში

ჩვენმა ხალხმა ჭადრაკი რომ შეისისხლხორცა და თავისი ყოფაცხოვრების თანამგზავრად აქცია, ეს ქართულ მწერლობაშიც აისახა. სწორედ ლიტერატურული ნაწარმოებებია იმის საბუთი, რომ ჭადარკს საქართველოში მდიდარი წარსული და დიდი პატივი ჰქონდა.

ჭადრაკი პირველ ყოვლისა, ლხინის, გართობის და თავის შექცევის შესანიშნავი საშუალება გახლდათ. სწორედ ჭადრაკით თავისშექცევაზეა ლაპარაკი ბასილი დიდის თხზულებაში "ექუსთა დღეთა", რომელიც XI საუკუნის ცნობილმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ და მთარგნელმა გიორგი ათონელმა (1009-1065 წწ.) თარგმნა. ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლებიდან ჭადრაკი პირველად სწორედ აქ არის მოხსენიებული.

შემდეგშიც ჭადრაკი დროსტარებისა და ლხინის სამკაული იყო. XII საუკუნეში მოსე ხონელის "ამირანდარეჯნიანის" მეცხრე კარში ("სეფედავლე დარისპანიძისა ამბავი") აღწერილია დიდებულთა ერთი მოლხენა. მწერალი გვიამბობს, რომ სტუმრები ერთობოდნენ ნადირობით, ჯირითით, მშვილდისრის სროლით, შინ დარჩენილთ კი "დაიდვეს ნადიმი და იმღერიან მოშაინი და იქმოდიანაჯაბათა, ჰხედნიან რაინდნი ცხენთა, ზოგნი ჭადრაკთა იმღერიან, ზოგნი ღუინოსა სმიდიან."

ეს იყო ბრწყინვალე პერიოდი ქართველი ერის ცხოვრებაში (XII საუკუნე), როცა ჰყვაოდა ეკონომიკა, ლიტერატურა, ხელოვნება და ბუნებრივია, ყურადღების მიღმა არც ჭადრაკი დარჩა.

საინტერესოა, რომ ჭადრაკი არც ერთხელ არ არის ნახსენები შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანში", მით უმეტეს, რომ მან თავისი გმირები ჭადრაკის სამშობლო ინდოეთი შემოატარა, ბევრი გასართობით გაართო, მაგრამ ჭადრაკი არასოდეს ათამაშა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არის გამოძახილი XI საუკუნეში ბიზანტიის ეკლესიის მიერ ჭადრაკის აკრძალვისა ქრისტიანულ სამყაროში.

მონღოლთა შემოსევამ დიდი დაღი დაასვა ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებას. ქართველები თითქოს ოთხი საუკუნე იარაღით ხელში იბრძოდნენ თავისუფლებისათვის. მათ ამ დროს ჭადრაკისათვის არ ეცალათ, თუმცა მისადმი სიყვარული მაინც არ განელებულა.

ამ შავბნელი პერიოდის მან-

ძალზე მხოლოდ ერთხელ გვხვდება ჭადრაკის ხსენება: XV საუკუნის მწერლის ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის თხზულებაში "სამკურნალო წიგნი კარაბადინი".

როცა ხალხი მძიმე უღლისაგან გათავისუფლდა, როცა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებასა და კულტურაში რენესანსის პერიოდი დაიწყო (XVII-XVIII სს.), ჭადრაკს კვლავ გაუჩნდნენ ქომაგები. ამ თამაშის საქებრად მგოსნები მადლიან სიტყვას არ იშურებდნენ.

უპირველესად ეს ითქმის მეფე-პოეტ თეიმურაზ II-ის შესახებ. მან დაწერა ზმა ჭადრაკზე — "ყუმარზე ზმა ლექსად თქმული მეფის თეიმურაზ მეორისაგან: განჯაფისა. ჭადრაკისა და ნარდისა" (იხ."მატიანე" II, გვ. 8). ამ ლექსში ჩამოთვლილია ჭადრაკის ყველა ქართული ტერმინი, რაც პირველია ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში. მეფე-პოეტს სხვა ლექსებიც აქვს ჭადრაკზე.

ზმა ჭადრაკზე დაუწერია ბესიკსაც, თუმცა, როგორც მ. საყვარელიძე შენიშნავს, ზოგიერთი ხელნაწერი, მასაც თეიმურაზ მეფეს მიაკუთვნებს. აი, ეს ზმაც:

ნიჭად რა კირად მე ფეხნი
შევჰსდგენ ღონითა;
ჟილ ბლაზი ერის მეტ ლიზღვით
და მხედ არ იყოს ჰხოსნითა;
დიაცურ კუდის კაპაი კიღედ ვერ
განვლის ფონითა;
იჭ იში ითქმის, აქ ვაშა, მათი
რიდი მაქვს წონითა.

აქაც ჩამოთვლილია ტერმინები: ჭადრაკი, მეფე, ლაზიერი, ეტლი, მხედარი, კუ, პაიკი, ქიში და შამათი.

ჭადრაკი ადამიანის ერთ-ერთ დამამშვენებელ ზნეობად მიაჩნდა იმერეთისა და კახეთის მეფეს არჩილს (1647-1713 წწ.). მისი აზრით, ადამიანს ღირსებას ჰმატებს კარგი ბურთაობის, ცხენოსნობის, მშვილდოსნობის, მოჭადრაკეობისა თუ მომღერლის უნარი.

ჭადრაკის მღერა ნარდისა და
სხვა რაც რამე ყუმარი,
ხარდიოდა და ჩალიჩი, სევდის
დასადუმარი,
ხტომა, ქვის გდება, რკინობა,
მოგვერდიც ფანდიც რამ არი,
იგ კახსა ბევრჯერ უკუჰყრის,
ვინც კარგი ხუმარი არი.

— წერს მეფე არჩილი თავის ნაწარმოებში "საქართველოს ზნეობანი". როგორც ცნობილია, თვით მგოსანი ყველა ამ ზნეობის მეხოტბე იყო და მიმდევარიც. ამას მოწმობს სამშობლოდან მოსკოვს გადახვეწილი მეფის სევდიანი ლექსები: აი, ერთი მათგანის ნაწყვეტი:

მახსოვს ლხინი და თამაში,
დღე და ღამე წარითვით მღერა,
მხეცთა სვრა და ნადირობა,
თავი ლაღად მომეღერა,
ბურთაობა, მინდორობა, კვლავ
ნადიმი, ჭადრაკ მღერა,
უხვაობა და გასაცემა, სრულ
ვითა ვთქვა მომეღერა.

ჭადარკს დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ერის განმადიდებელი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725 წწ.). გავიხსენოთ თუნდაც მისი ერთი არაკი:

ერთ დასჯილ მოხუცს, რომელიც ოქროს ჯაჭვით დაებათ დილეგში, შვილმა სულიერი იარების მოსაშუშებელად სხვა გასართობთან ერთად ჭადრაკიც მიუტანა. მოხუცს ჰქონდა "ერთგან ტაბლა, ყოვლით სანოვაგით სავსე, ერთგან ღვინო და ერთგან ჭადრაკი და ნარდი. რომელსაც იგი ბერიკაცი მოინებებდა, იმას იქმოდა: სმასა, ჭამასა, ძილსა და შექცევასა."

ჭადრაკი რომ "სათამაშო კარგი და გამოსაცდელი არის", ამას აღნიშნავდა ბატონიშვილი იოანე (1772-1830 წწ.) თავის "კალმასობაში".

მწერლებისა და პოეტების აღიარებამ კიდევ უფრო გაუთქვა სახელი ჭადრაკს. ეს თამაში თითქმის ყოველ ოჯახში დამკვიდრდა. უფრო შეძლებულნი ცნობილ ოსტატებს უკვეთდნენ ფიგურებს.

ჭადრაკის კარგი თამაში ადვილი რომ არ იყო, ეს ჩვენმა მამა-პაპამაც იცოდა. ქართველი ხალხი ყოველ დროში დიდის პატივით ეპყრობოდა ამ თამაშში დახელოვნებულ ოსტატებს.

ჯერ კიდევ "ვისრამიანში" ჭადრაკის კარგი თამაში ადამიანის ერთ-ერთ საუკეთესო ღირსებათაა მიჩნეული. ავტორი წერს, რომ მისი ნაწარმოების გმირი რამინი იყო "ტანად საზომიერი; ერთი მისებრი არცა მხატვართაგან დაისახებოდა; ძილად და გულად ვითა ლომი; სიფიცხლად ვეფხვისგანაცა უფიცხესი; ცხენოსანი, მონადირე, მონავარდე, მოჭადრაკე მხიარული."

ძლიერ მოჭადრაკეს მეფის კარზეც შეესვლებოდა. სულხან-საბა ორბელიანი "სიბრძნე სიცრუისა"-ში გვიამბობს: ქოსამ "დაიწყო ამხანაგებში ჭადრაკის მღერა და ასეთი არავინ გამოჩნდა, მისთვის ეჯობნა. ესმა ვაზირსა, დია უყვარდა ჭადრაკის მღერა და კარგადაც იცოდა. მიიყვანა ვაზირმან, მღერა დაუწყო, მასცა აჯობა. მის ქოსის ქებამ მეფემდის მიაწია. მიაყვანინა მეფემან, ვაზირსა და მას ჭადრაკი ამღერა. აჯობა ვაზირსა, და დიდად შეუვიდა მეფესა. გამოხდა ხანი. მის ვაზირსა ვაზირობა წაართვა და ქოსას მისცა."

საინტერესოა, რომ არც ერთ მწერალს არ აუწერია მოჭადრაკეთა ბრძოლა, არ უთქვამს რა ძნელია იცოდე ძლიერი თამაში, არც ჭადრაკის მოყვარულზე დასცდენია სიტყვა.

ამ მხრივ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მეფე-პოეტი თეიმურაზ II, რომელიც "დღისა და ღამის გაბაასებაში" წერს:

ნარდიია და განჯაფია,
ბანქოი ბეკრ ფულს მოიგებენ,
ვინც აჯობებს, გამოარიმევს,
მოგებულს წინ დაიდებენ,
ყუმარბაზნი ხალისიი დღალვას
აღარ გაიგებენ,
ორი-სამი დღე მოუბას, ყუმარს
აღარ აიღებენ,
ჭადრაკს ითამაშებენ ისე
თეთრზედა ქვირადა,
მას კაი ცოდნა, უფუფი უნდა,
არვის სჭირს ხშირადა,
რომელსაც უზმენ შამათსა მას
მიაჩნია ჭირადა,
აჯობებს, თუმცა ძმა იყოს,
ეწყინოს გასაკვირათა.

მეფე – პოეტი გვამცნობს, რომ ნარდს, განჯაფასა და ბანქოს ფულზე ხალისით და ხშირადაც თამაშობენ, ზოგჯერ ორ-სამ დღესაც გადააბამენ ხოლმე. პოეტის სიტყვით, ჭადრაკში პაექრობა იშვიათად ეწყობა, რადგან ეს თამაში ცოდნას, დაფიქრებასა და გამოცდილებას მოითხოვს, რისი უნარიც ბევრს როდი აქვს. მოჭადრაკესთვის წაგება დიდად საწყენია, პარტიას არავის დაუთმობს, თუნდაც ძმა იყოს მისი და გულდაწყვეტილი დარჩესო.

ამ ლექსში საუცხოოდ ჩანს, რომ საქართველოში ჭადრაკი აზარტული თამაში არ ყოფილა. ეს უაღრესად საინტერესო ფაქტია.

ცნობილია, რომ ჩატურანგას ბედზე (კამათლით) თამაშობდნენ მოჭადრაკეს ბევრი არ მოეთხოვებოდა: რასაც კამათელი უბრძანებდა, ის უნდა ეთამაშა. კამათელმა ჭადრაკიც აზარტულ თამაშად აქცია ოვით ინდოეთში. მემატიანე გვაუწყებს, რომ X საუკუნეში რაჯა მანუმ აკრძალა ჭადრაკი, როგორც აზარტული თამაში.

მკვლევარმა გ. ჯაფარიძემ დაადგინა, რომ შუა საუკუნეებში მუსლიმანურ ქვეყნებში ბევრი აზარტული თამაში იცოდნენ (ხარდა, ყომარი). სარწმუნოება კამათელს კრძალავდა, მაგრამ ჭადრაკის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. ეს იმით აიხსნება, რომ ამ პერიოდისათვის ჭადრაკში გამარჯვების ბედი უკვე გონიერებაზე, მხედველობასა და გამოცდილებაზე იყო დამოკიდებული. კამათლით აღარავინ თამაშობდა. აქვე საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში ჭადრაკს აზარტული თამაშის სახე მთელი მისი არსებობის მანძილზე არასოდეს ჰქონია.

ალბათ გახსოვთ აკაკი წერეთლის "ჩემი თავგადასავალი", დიდი მგოსნის მამა როსტომ წერეთელი მეგობრებმა რუს პოლკოვნიკთან ჭადრაკში საასპარეზოდ რომ მიიწვიეს.

აკაკი სხარტი იუმორით გვიამბობს, როგორ უგებდა მამამისი მეტოქეს, რომელიც სულ "აშიბკა, აშიბკას" გაიძახოდა. როსტომმა რომელმაც რუსული არ იცოდა,

პოლკოვნიკს უთხრა: "ტყუილად ნუ ფიქრობ რომ მოიგო! სანამ ეს ვიღაც "აშიბკა" გადაგკიდებია, მაგას თავიდან ვერ მოიშორებო!". ბოლოს, როცა მეტოქეს სერიოზული წყენა შენიშნა, როსტომმა ვეღარ მოითმინა თურმე: "ნარდი, ჭადრაკი და სათამაშოები სასიამოვნოდ და დროს გასატარებლად გამიგონია ჩვენშიო, ხუმრობაც შეშვენის და მეც ჩემი ქვეყნის ჩვეულებაზე ვდგევარ, და თქვენში თუ საწყენი და გასაჯავრებელი ყოფილა, ჩემთან რა გინდა, ისევ თქვენებთან გეთამაშაო!"

ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ქართველი კაცის დამოკიდებულება ჭადრაკისადმი, რომელიც უხსოვარი დროიდან დღემდე არ შეცვლილა.

ქართულმა მწერლობამ შეითვისა ჭადრაკის ტერმინები, მარჯვედ იშველიებდა მათ აზრის მკაფიოდ გამოსახატავად. ამიტომაა, რომ ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში უხვად შეხვდებით ჭადრაკის ტერმინებს, მათგან წარმოებულ სიტყვებს.

მეცნიერები დიდხანს ვერ მიხვდნენ, რას ნიშნავს XVII საუკუნის ერთ-ერთ შესანიშნავ ძეგლში — ნ. ციციშვილის "ბარამგურიანის" 24-ე თავში ნათქვამი:

ერანს გაგზავნა უასუსნი
ცნობად ამბისა მათისად.
იცმნა, მან სპანი ჩინელთა
ნუ'ხლითა წლისა, ათისად.
თქვა: „ბედმან მოგვცა მტერთ
ძლევა ერანს თურქთა და
თათისად.
და ეტლმან კუს სძლია
მბრუნავმან, ჟამი არს ან
შამათისად.

როცა ამ სტროფის ბოლო სტრიქონს ჭადრაკის ტერმინები მიუყენეს, მკვლევრებმა სწორედ ის ამოიკითხეს, რაც ნ. ციციშვილს ჰქონდა ჩაფიქრებული.

ჩინეთის მეფეს განზრახული ჰქონდა ბარამის სამეფოს — ერანის დაპყრობა. ხელსაყრელი შემთხვევაც მიეცა: ბარამმა დაივიწყა თავისი მოვალეობა, ქეიფსა და დროსტარებას მიჰყო ხელი. ჩინეთის მეფე საომრად მოემზადა. ამ სტროფში ავტორი ჭადრაკის ტერმინებით აღწერს მომავალი ბრძოლის სურათს. ეტლი ჩინეთის ჯარია, კუ — ერანისა და ბარამი შამათდება.

ჭადრაკის ტერმინები უფრო ხშირად აღორძინების ხანის ლიტერატურაში გვხვდება, როგორც ამას ნ. ციციშვილის თხზულება მოწმობს, აი კიდევ ერთი მაგალითი.

პოეტმა ს. თანიაშვილმა გალექსა "ამირანდარეჯანიანი" და ჭადრაკის ტერმინებიც მოიხმარა.

ვნადირობდით მხიარულად,
ამოდ გვქონდა ნიჭი ნიშად
იქ მოსრული ჩვენგან მხეცი
ასრე იდვა ვითა ქვიშად.
შამათს უქმდით იქ ნადირსა
ვით ჭადრაკში მეფეს ქიშად.

იქვე პოემაში არის ასეთი ადგილიც:

ვის სწადდის. ჭადრაკს იმღერდ ის
ნარდის ანუ ქოსისა.

სხვათა შორის, ს. თანიაშვილი თავად ჭადრაკის მცოდნე ყოფილა. ეს ჩანს მისი პოემის ერთი ადგილიდან, სადაც თამაშის წესია ახსნილი: "არ ძალუც მეფის შამათი უმეშვლოდ მარტო მხედარისა". ეს ნიშნავს, რომ მარტო მხედარს (რა თქმა უნდა, იგულისხმება ორივე მეფე — თეთრიც და შავიც) არ შეუძლია მეფის დაშამათება.

თამაშის წესი მოცემულია ვახტანგ VI მიერ თარგმნილ "ქილილა და დამანას" საბასეულ რედაქციაში. "ნახე, პაიკი ექვსის რუკის წასვლით გალაზიერდების და მას მაღალს კიბეზედ ავა". აქ აღწერილია პაიკის ლაზიერად გასვლა.

უფრო ხშირია ჭადრაკის ტერმინების გამოყენება მერმინდელ ლიტერატურაში, როცა თამაშმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა. მწერლობამ ძვირფასი სამსახური გაუწია ჭადრაკის პოპულარობას მისი სიბრძნის ხოტბითა და განდიდებით.

1970 წ.

მ. ს-ძე და მისი „ჭადრაკი"

1. პირველი წიგნი

1926 წელს თბილისში გამომცემლობა "შრომამ" დასტამბა პირველი საჭადრაკო წიგნი ქართულ ენაზე – მ. ს-ძის "ჭადრაკი". ეს იყო დიდი ისტორიული მოვლენა.

ჩვენში ჭადრაკს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მას დიდი პატივით იხსენებს ძველი ქართული კლასიკური ლიტერატურის ძეგლები. ჭადრაკის უძველეს ფიგურებს მიაგნეს არქეოლოგებმა, შეიქმნა ჭადრაკის ქართული ტერმინოლოგია და ფიგურების ეროვნული გამოსახულება, ჭადრაკს თაყვანს სცემდნენ გამოჩენილი მოღვაწენი, დიდგვაროვანი ოჯახების ასულები კი თავს იწონებდნენ თამაშის ცოდნით და ძვირფასად ნაკეთები ჭადრაკი მზითევში მიჰქონდათ. ყოველივე ამის მიუხედავად, ჩვენს მამა-პაპათ ერთი საჭადრაკო წიგნიც არ შეუქმნიათ. არადა იგი უნდა დაწერილიყო. ძლიერი მოჭადრაკეები იმ შორეულ წარსულშიც იქნებოდნენ. აქ არ შევუდგებით ამის მიზეზების გარკვევას. ფაქტია, რომ მხოლოდ XX საუკუნის დამდეგს დაიწერა პირველი ქართული საჭადრაკო წიგნი.

რას წარმოადგენს ეს "ჭადრაკი"? რა მიზანს ისახავს ავტორი და მიაღწია თუ არა საწადელს?



მ. ს-ძის "ჭადრაკი" არის მოკლე სახელმძღვანელო. მასში ვკითხულობთ: "უცხო ენებზე ჭადრაკის შესახებ დიდძალი ლიტერატურა არსებობს. სახელმძღვანელოებისა და დამხმარე წიგნების გარდა იწერება სპეციალური გამოკვლევები და შრომები. ქართულ ენაზე კი უბრალო პირველდაწყებითი სახელმძღვანელოც არ მოიპოვებოდა". ამ სტრიქონების დამწერის მიზანი იყო ეს ნაკლი შეევსო და ჭადრაკის ქართველ მოყვარულთათვის მიეწოდებინა ელემენტარული მოკლე სახელმძღვანელო".

წიგნის თაკფურცელზე ავტორს ეპიგრაფად მოყვანილი აქვს ძველი ხალხური ქართული თქმა:

ნარდია ბედია, ჭადრაკი ჭკუა;

ბანქო ცუდია, განჯაფა ტყუა.

წიგნი შედგება შემდეგი თავებისაგან: I.შესავალი, II. საერთო ნაწილი, III. თამაშის ბოლო, IV. დებიუტი და შუა თამაში, V. გამოჩენილი მსოფლიო მოჭადრაკენი და მათი პარტიები, VI. ჭადრაკი საქართველოში. ბოლოსიტყვაობა. წიგნში 194 გვერდია და 89 დიაგრამა. გამოცემულია ორიათასიანი ტირაჟით.

მ. ს-ძე გვაცნობებს, რომ სახელმძღვანელოს შედგენისას მასალად გამოუყენებია საუკეთესო სახელმძღვანელოები. უფრო კი უსარგებლია კაპაბლანკას, ლასკერის, ბერგერის, ბახმანის და ლევენფიშის წიგნებით. აქვე გვაფრთხილებს: "ავტორის პრეტენზიები იმაზე შორს არ მიდიოდა, რომ სულ ელემენტარული ცნობები მიეწოდებინა მათთვის, ვისაც საშუალება არა აქვს უცხო ენაზე დაწერილი წიგნი გამოიყენოს."

ჩვენც ამ მხრიდან გავეცანით წიგნს.

"შესავალში" ვკითხულობთ ჭადრაკის რაობასა და სარგებლობაზე. აგრეთვე, ლეგენდას ამ ბრძნული თამაშის წარმოშობაზე.

"საერთო ნაწილი" მთლიანად თამაშის დაწყებითი ცოდნისადმია მიძღვნილი. აქ ლაპარაკია დაფასა და ფიგურებზე, მათ მოძრაობის წესებზე, პარტიის ჩაწერის ტექნიკაზე და თამაშის საერთო წესებზე. სხვათა შორის, ავტორი იმასაც ხსნის, თუ როგორ თავისებურად იწერენ პარტიას ფრანგები, ამერიკელები და ინგლისელები. ეს იმ დროს ნამდვილად აუცილებელი გახლდათ, რაკი საბჭოთა ქვეყანასთან შედარებით უცხოეთში უფრო მეტი საჭადრაკო წიგნი გამოდიოდა.

ამ თავში პატარა ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე ჭადრაკის თამაშის განვითარების საკითხს. რა თქმა უნდა, ეს ნაამბობი უადვილებს მკითხველს ჭადრაკის ევოლუციის გაგებას, მის სვლას პროგრესის გზაზე.

უკვე "საერთო ნაწილში" უხვად ვხვდებიო ავტორისეულ საჭადრაკო ტერმინებს, რომლებიც უთუოდ საყურადღებოა. მაგალითად, პარტიის (ეს სიტყვა ჩვენს ჭადრაკში რუსულიდან შემოვა) მაგივრად იგი ხმარობს ხელს ("პირველი სვლიდან ვიდრე შამათამდე, ე. ი. უკანასკნელ სვლამდე, თამაშს ხელი ანუ ერთი პარტია ეწოდება".

III თავის ("თამაშის ბოლო") დასაწყისში ვკითხულობთ:

"ჩვეულებრივად ენდშპილის შესწავლიდან იწყებენ ხოლმე, შემდეგ დებიუტზე გადადიან და ბოლოს

შუა თამაშს იხილავენ. ჩვენც ამ წესს დავიცავთ, მით უმეტეს, რომ ფიგურის ძალა და სუსტი მხარე უფრო ენდშპილშია თვალსაჩინო".

ამ თავში განხილულია ენდშპილის ყველა სახეობა. მოცემულია მათი თამაშის ელემენტარული წესები. ახსნილია ოპოზიცია, ცუგცვანგი. გულდასმითაა გაანალიზებული შამათი ლაზიერით, ეტლით, ორი კუთი, კუთი და მხედრით. აქ შეიმჩნევა ავტორის მიერ ლასკერისა და კაპაბლანკას სახელმძღვანელოებით სარგებლობა.

ყურადსაღებია "ენდშპილის მთავარი პრინციპები", სადაც საუბარია ენდშპილში მეფისა და პაიკის მნიშვნელობის ზრდაზე, სხვა ფიგურების მოქმედუნარიანობის გარდაქმნაზე.

IV თავი ("დებიუტი და შუა თამაში") ზოგადია. აქ ყველაზე მეტად იგრძნობა , რომ ავტორი არ არის დახელოვნებული მოჭადრაკე. სხვათა შორის, ამას იგი არ მალავს. საქმე ისაა, რომ მ. ს-ძეს გაუჭირდა უხვი მასალის დაკონკრეტება, ამიტომ დებიუტების უბრალო ჩამოთვლით დაკმაყოფილდა. მართალია, იგი ამბობს, "ვცდილობდი წიგნი სახალისო საკითხავი ყოფილიყო, ამიტომ იგი არ დამიტვირთავს მძიმე და მოსაწყენი მასალით. დებიუტის ნაირნაირი ვარიანტების მაგივრად საუკეთესო მოჭადრაკეების მიერ გათამაშებული დებიუტების მოყვანა ვამჯობინე", მაგრამ მოყვანილი სადებიუტო სვლები, რა თქმა უნდა, არ დააკმაყოფილებს შემსწავლელს, რაკი სრულებით არ არის ახსნილი ამა თუ იმ სადებიუტო სისტემის არსი.

კიდევ უფრო სუსტადაა მოცემული შუა თამაში. არც აქ არ არის პოზიციური და კომბინაციური ბრძოლის პრინციპების განმარტება. ახსნილია მხოლოდ რამდენიმე ტაქტიკური მუქარა და მათი თვალსაჩინოების მიზნით მაგალითებია მოტანილი.

საინტერესოდ გაუაზრებია მ. ს-ძეს V თავი — "გამოჩენილი მსოფლიო მოჭადრაკენი და მათი პარტიები." თხრობა იწყება ყველაზე უძველესი პარტიის წარმოჩენით. შემდეგ ვეცნობით დილარამას შამათს და შუა საუკუნეების მოჭადრაკეებს. უფრო დაწვრილებითაა მოთხრობილი ფრანგ ფილიდორსა და XIX საუკუნის მოჭადრაკეებზე — ფრანგებზე დეშაპელსა და ლაბურდონეზე, გერმანელ ანდერსენსა და ამერიკელ მორფიზე, მსოფლიოს პირველ ჩემპიონ სტეინიცსა და ავტორისდროინდელ გამოჩენილ მოჭადრაკეებზე — ლასკერსა და კაპაბლანკაზე. ამ თავს აგვირგვინებს ქვეთავი "ჭადრაკი საბჭოთა კავშირში", სადაც საუბარია საჭადრაკო ცხოვრების მძლავრ მაჯისცემაზე.

ჩანს, ავტორს ამ თავისთვის

მასალის შესაკრებად ბევრითად და სიყვარულით უმუშავია. ლიტერატურული ნაწილი დიდი ინტერესით იკითხება, მაგრამ მოყვანილი პარტიები, თუმცა გულდასმით შერჩეული, ახალბედისთვის გაუგებარია, რაკი სრულებით არ არის მინიშნებული ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპები, კომბინაციების განმარტებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

სახელმძღვანელოს VI თავი — "ჭადრაკი საქართველოში" ღრმაშინაარსიანია. ავტორი პირველი მკვლევარია, რომელმაც თვალი გააყოლა ჩვენში ჭადრაკის წარსულს. მან ბევრ საკითხს მიაქცია ყურადღება. განსაკუთრებული სიღრმით შეისწავლა ქართული საჭადრაკო ტერმინები, გაანალიზა ისინი და შეეცადა კიდეც აეხსნა მათი ნაწილი. ავტორს არც ანდრია დადიანის შემოქმედება გამორჩენია და არც თავისდროინდელი მოჭადრაკეები ხარლამპი სირბილაძე, ვიქტორ გოგლიძე, ვახტანგ ერისთავი და სხვანი.

წიგნს დართული აქვს ბოლოსიტყვაობა. იგი შუქს ჰფენს ავტორის ვინაობას, რომელიც უაღრესად მოკრძალებული და კეთილშობილი პიროვნება ჩანს, და გვაცნობს სახელმძღვანელოზე მისი მუშაობის პროცესს.

ეჭვმიუტანელია, რომ სახელმძღვანელომ ხელი შეუწყო ჭადრაკის გავრცელებას საქართველოში. იგი ისეთი მხურვალე სიყვარულით თუ მონდომებითაა შექმნილი, რომ ავტორი შთამომავლობის დიდ მაძღლობას იმსახურებს.

მაგრამ ვინაა მ. ს-ძე? რატომ დაიმალა იგი ამ ინიციალების მიღმა?

2. ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ Მ. Ს-ᲫᲔ?

"ჭადრაკის" ავტორი მ. ს-ძის ვინაობის დადგენაში დამეხმარა თვით წიგნის ბოლოსიტყვა, რომელშიც შემდეგი ამოვიკითხე: "მადლობას ვუძღვნი პროფ. ალექს. ცაგარელს, ი. გრიშაშვილს, ვ. ბერიძეს, დოც. ნ. იოსელიანს, შალვა დადიანს, პეტ. მირიანაშვილს და ლ. მეტრეველს, რომელთაც მასალის მოწოდებითა და რჩევა-დარიგებით დახმარება გამიწიეს ამ სახელმძღვანელოს შედგენაში".

50-იანი წლების დამლევი იყო. შალვა დადიანს ვეწვიე. როცა ზემომოყვანილი სიტყვები გავახსენე, გაიღიმა და მითხრა:

— ეს ხომ ჩვენი მიშაა, მიხეილ საყვარელიძე. არ გაგიგონიათ? კარგი მოქართულე იყო, ჟურნალისტიც ჩინებული. იცით, მოჭადრაკე არა ვარ, მაგრამ ამ თამაშს დიდ პატივს ვცემ. ღმერთმანი აღარ მახსოვს სახელდობრ რით დავეხმარე მიხეილს. იქნებ იმ საუბრით, რამაც მას ამ წიგნის შექმნა უკარნახა.

იმ ხანებში პოეტი-აკადემიკოსი ილია ჭავჭავაძე. ის იყო იწურებოდა ჩვენი საუბარი, რომ პოეტმა თვითონ მითხრა:

— ჰო, მართლა, კიდევ ერთი წიგნი უნდა მქონდეს. იგი მიხეილ საყვარელიძემ მისახსოვრა. ხომ იცით ვინაა მიხეილი? 1926 წელს ქართულ ენაზე ჭადრაკის პირველი მოკლე სახელმძღვანელო გამოსცა. მახსოვს მეც წავახალისე ამ წიგნის დასაწერად.

მერე სახალხო პოეტმა თვით წიგნი გამოიტანა. მას ასეთი ავტორისეული წარწერა ჰქონდა: "სოსოს ბიბლიოთეკას მიეცეს და მიემატოს. მიშა. 16.IX. 1926 წ. ქ. ტფილისი".

გულმოდგინე ძიებამ ბოლოს მიხეილ საყვარელიძის ოჯახში მიმიყვანა.

მასპინძლებად დამიხვდნენ მიხეილის მეუღლე მარიამი, ქალიშვილი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ნუნუ და მისი მეუღლე, დოცენტი (შემდგომ პროფესორი) ივანე გიგინეიშვილი. მათ ბევრი რამ საინტერესო მიამბეს მიხეილის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ და ფოტოსურათიც მისახსოვრეს.

— აი, ყველაზე უტყუარი საბუთი

მიხეილ საყვარელიძე

იმისა, რომ მამაა ჭადრაკის სახელმძღვანელოს ავტორი, — მითხრა ქალბატონმა ნუნუმ და წიგნის გამოცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულების ასლი მაჩვენა.

ხელშეკრულებას მიხეილთან ერთად ხელს აწერდა მწერალი შ. აფხაიძე. თავის დროზე სწორედ მან მიამბო მიხეილის შრომისმოყვარეობაზე და ჭადრაკისადმი მის დიდ სიყვარულზე, მაგრამ არ უთქვამს, რომ თვითონ იყო სახელმძღვანელოს გამოცემის აქტიური მონაწილე.

მიხეილ საყვარელიძე დაიბადა თელავში 1892 წლის 2 იანვარს, მოსამსახურის ოჯახში. იგი მერვე შვილი გახლდათ. მისი წინაპარი საყვარელიძეები იმერეთიდან გად-

მოსახლეობელან კახეთში XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

1913 წელს მიხეილმა თბილისის ქართული გიმნაზია დააგთავრა და სწავლა განაგრძო ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაშინ იქ ბევრი ქართველი ეწაფებოდა ცოდნას.

მიხეილი ბევრს კითხულობდა. განსაკუთრებით აღელვებდა ქართველი ერის მდიდარი წარსული, ლიტერატურა და ენა. აქვე ეზიარა ჭადრაკსაც. სტუდენტობის პერიოდში მიხეილი ქართულ გაზეთებში თანამშრომლობდა. 1913-1917 წლებში ხშირად ჩამოდიოდა სამშობლოში, რადგან "სახალხო გაზეთის" და "სახალხო ფურცლის" რედაქციების წევრი იყო.

საბოლოოდ მ. საყვარელიძე საქართველოში თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა და მუშაობა განაგრძო გაზეთ "სახალხო საქმეში". იმ დროს ამ გაზეთში მუშაობდნენ ნიჭიერი ჟურნალისტები ქრისტეფორე რაჭველიშვილი, არჩილ ჯაჯანაშვილი, არისტო ჭუმბაძე და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მიხეილი კვლავ ჟურნალისტისა და პედაგოგის საქმიანობას ეწევა. იგი ასწავლის ქართულ ლიტერატურას და ენას. ბუნებრივია, რომ მიხეილი კალმის მქონე ფელეტონისტი და ჟურნალისტი აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი ახლოსაა ლიტერატურისა და კულტურის მოღვაწეებთან.

მწერალმა სერგო კლდიაშვილმა მიამბო: "დავით კლდიაშვილი დიდ პატივს სცემდა ჟურნალისტ მიხეილ საყვარელიძეს, რომელმაც პირველმა გამოსცა ქართულად ჭადრაკის მოკლე სახელმძღვანელო. მიხეილმა იცოდა, რომ დავითი ჭადრაკის ტრფიალი იყო, ამიტომ მისთვის სამახსოვრო წარწერით უბოძებია თავისი წიგნი".

მ. საყვარელიძეს სხვადასხვა დროს უმუშავია გაზეთების "კომუნისტისა" და "კოლექტივიზაციის" რედაქციებში. იგი იყო წევრი ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიისა, რომელიც მუშაობდა ჯერ თბილისის უნივერსიტეტთან, ხოლო შემდეგ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტთან, მონაწილეობდა რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენაში (ეს ლექსიკონი შემდეგ თბილისის უნივერსიტეტმა გამოსცა).

1925-1928 წლებში მიხეილი პედაგოგიური მუშაობის პარალელურად საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა თბილისის განათლების განყოფილებაში.

ძ. საყვარელიძის კიბეები, მოწაფეები ღრმა პატივისცემით იხსენებდნენ მას. მიხეილის ნამოწაფარმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა შ. ბებიაშვილმა მიამბო:

— ბატონი მიხეილი ქართული ლიტერატურისა და ენისადმი დიდ სიყვარულს გვინერგავდა. მან შესანიშნავი თხრობა იცოდა. მინახავს ჭადრაკის თამაშით გართულიც, მაგრამ ამ თამაშზე ჩვენთან არასოდეს უბაასია. მაშინ ჭადრაკს არ ჰქონდა დიდი გავრცელება. ფაქტად ისიც კმარა, მიხეილის სახელმძღვანელო გამოცემიდან სამი წლის შემდეგაც იყიდებოდა მაღაზიებში, თუმცა წიგნის ტირაჟი მხოლოდ 2 ათასი ცალი იყო.

მიხეილს უყვარდა მეგობრებთან პაექრობა. იგი ახლოს იცნობდა ძველ თბილისელ მოჭადრაკეს ხარლამპი სირბილაძეს, ახალგაზრდა ვიქტორ გოგლიძეს და სხვებს, მაგრამ მათთან თამაშს ერიდებოდა. ხშირად მისი მეტოქეები ყიფილან ვასო ეგნატაშვილი, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, გერონტი ქიქოძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, სამსონ ფირცხალავა, არისტო ჭუმბაძე და სხვები.

საყვარელიძეების ოჯახში ინახება ვ. ეგნატაშვილის ხელით შედგენილი ცხრილი მისი და მიხეილის მატჩებისა. 1927 წლის 19 ნოემბერს მეგობრებს 10 მატჩის თამაში გადაუწყვეტიათ. მაგრამ მხოლოდ ხუთი უთამაშიათ. აქედან ორი მიხეილს მოუგია, ორი ყაიმით დამთავრებულა. ხოლო ბოლო მატჩი შეწყვეტილა, როცა ანგარიში იყო 4:1 ვასოს სასარგებლოდ.

როგორი იყო ბატონი მიხეილი? აი, როგორი ახსოვს იგი ქრისტეფორე რაჭველიშვილის ვაჟს პროფესორ ბაადურ რაჭველიშვილს:

— ძია მიშა და მამაჩემი სიყრმის მეგობრები იყვნენ. ახლაც თვალწინ მიდგას მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი. მას შავი წვერ-ულვაში ამშვენებდა. მუდამ ფაქიზად ჩაცმული დადიოდა. ძია მიშა და მისი მეგობრები ყოველ ნინაობას იკრიბებოდნენ. მახსოვს, ამ დღესასწაულს რამდენჯერმე ბატონი კონსტანტინე გამსახურდიაც დაესწრო თავის მშვენიერ წითელ ჩოხაში გამოწყობილი. ტიციან ტაბიძეც მოდიოდა. სხვებიც. თამადა მამაჩემი იყო. ზომიერი პურობა გახლდათ. ლექსების კითხვაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ისიც მახსოვს ერთმანეთის უზომო ქება მათთვის მიუღებელი იყო. ამ "წესს" სუფრის ყველა წევრი იცავდა. საუბრობდნენ ეროვნულ პრობლემებზე, მწერლობაზე, პოეზიაზე... ისმოდა მხოლოდ თავანკარა ქართული...

მიხეილ საყვარელიძის სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდა 1937 წლის დეკემბერში. ოჯახში ამ დარდს

შეეწირა მიხეილის ვაჟი დიმიტრი (ტატო) საყვარელიძე. მას უკურნებელი სენი შეეყარა და მოუსწრაფა სიცოცხლე. 1956 წელს მიხეილ საყვარელიძე რეაბილიტირებულ იქნა.

"ჭადრაკის" ბოლოსიტყვაში მ. საყვარელიძე ამბობს: "სახელმძღვანელოს ავტორი არ ეკუთვნის ძლიერ მოჭადრაკეთა რიცხვს." ჩანს, მას მოჭადრაკეობაზე დიდი პრეტენზია არ ჰქონია.

შ. აფხაიძემ გაიხსენა:

— როცა ვკითხეთ, რატომ არ სურდა წიგნზე თავისი გვარი მიეწერა, მიხეილმა ჩვეული თავმდაბლობით გვიპასუხა: "მე რა მოჭადრაკე ვარ. მერე რა, რომ სახელმძღვანელო დავწერე. ბოლოს და ბოლოს მთავარი ხელმოწერა როდია: ჩემი ოცნებაა ყველა ქართველი თამაშობდეს ჭადრაკს. იქნებ მაშინ ჩვენში გამოჩნდნენ ოსტატები".

მ. საყვარელიძის ოცნებამ ფრთები შეისხა. ამაში, რა თქმა უნდა, მისი წვლილიცაა.

3. როდის გაჩნდა ჭადრაკი საქართველოში?

ბუნებრივია, ისეთი ერუდირებული პიროვნება, როგორიც მიხეილ საყვარელიძე იყო, ჭადრაკზე პირველი ქართული წიგნის შექმნისას აუცილებლად ჩაუფიქრდებოდა საკითხს: როდის გაჩნდა ჭადრაკი საქართველოში?

მას, როგორც ქართული კულტურისა და ჩვენი ერის წარსულის კარგ მცოდნეს, ბევრი უფიქრია და უძებნია ამ საკითხის დასადგენი მასალა, მაგრამ ამაოდ. "საამისოდ ლიტერატურული საბუთები არ მოიპოვება. ამ საკითხში მხოლოდ ვარაუდით შეიძლება ვიხელმძღვანელოთ, — წერს ბატონი მიხეილი და შემდგომ განაგრძობს. — ჩვენის ფიქრით, ის კი უეჭველი უნდა იყოს, რომ ჭადრაკი ჩვენში გაცილებით უფრო ადრე უნდა შემოსულიყო, ვიდრე ევროპის ქვეყნებში." ეს, რა თქმა უნდა, უცილობელი ჭეშმარიტებაა.

საინტერესოა, როგორ ასაბუთებს მიხეილ საყვარელიძე თავის შეხედულებას.

"ჯერ ერთი, ჭადრაკი აღმოსავლეთის შექმნილია. მის მეორე სამშობლოდ სპარსეთი უნდა ჩაითვალოს. VII საუკუნის პირველ ნახევარში ჭადრაკი საყოველთაოდ გავრცელებული თამაში იყო სპარსეთში. ცხადია, ინდოეთიდან იგი უფრო ადრე შევიდოდა იქ. ხოლო სპარსეთთან საქართველო საუკუნეების განმავლობაში, ვიდრე არაბების შემოსევამდე, უმჭიდროესად იყო დაკავშირებული და მის გავლენას ძალუმად განიცდიდა. წარმოუდგენელია, რომ სპარსელების ლაშქარს ცეცხლსა და მახვილთან ერთად ჭადრაკის

რუკაც (დაფა. — თ. გ.) არ შემოუტანიათ ჩვენ ქვეყანაში".

ბატონი მიხეილი თავიდანვე გრძნობს, რომ ამ აზრს მტკიცე საბუთი არ აქვს და იქვე დასძენს: "ყოველ შემთხვევაში, თუ ჭადრაკი საქართველოში უშუალოდ სპარსეთიდან არაა შემოსული, არაბების შემოსევისა და მათი ხანგრძლივი ბატონობის დროს კი იგი უეჭველად გავრცელებული თამაშობა იქნებოდა".

რა შეიძლება ითქვას ყოველივე ამის შესახებ? სპარსეთთან ძველი საქართველოს სიახლოვე, რა თქმა უნდა. იმის საბუთი არ არის, რომ ჩვენმა მამა-პაპამ ჭადრაკი მაინცდამაინც სპარსელებისაგან გაიცნო. სწორედ დაუჯერებელია, რომ ცეცხლსა და მახვილთან ერთად დამპყრობლებს საქართველოში ჭადრაკიც შემოეტანათ, თუმცა ქართულ საჭადრაკო ტერმინოლოგიაში არის სპარსული კვალი. ეს მაშინ, როცა არაბებმა მთლიანად გადაიღეს სპარსული ტერმინები.

მართებულად მიგვაჩნია ის აზრი, რომ ქართველებმა ჭადრაკის თამაში არაბების შემოსევამდე, VII საუკუნის პირველ ნახევარში იცოდნენ. თავად არაბებმა ჭადრაკი სპარსეთის დაპყრობის შემდეგ გაიცნეს და მერე, IX-X საუკუნეებში ევროპაში გაავრცელეს იგი.

მაშ ვინ გაგვაცნო ქართველებს ეს თამაში? გამორიცხული არ არის, რომ ჭადრაკის ჭაშნიკი სპარსელებმა აგვაღებინეს, ოღონდ არა შემოსევისა და დარბევის დროს, არამედ, მაშინ, როცა მშვიდობიანი ურთიერთობა გვქონდა მათთან.

მაგრამ რატომ არ შეიძლება, რომ ჭადრაკი ჩვენში, ვთქვათ, ინდოელ ვაჭრებს შემოეტანათ? მით უმეტეს, რომ ქართულ საჭადრაკო ტერმინოლოგიაში იგრძნობა ინდური გავლენა. მაგალითად, ჩვენს ჭადრაკში, ისევე როგორც ინდოეთში, არის მხედარი და არა ცხენი, როგორც სპარსულ, არაბულ, რუსულ და სხვათა ტერმინოლოგიაში. ეტლს (ინდური რატჰა) ადრე ორივე ენაში ორი მნიშვნელობა ჰქონია — წმინდა საჭადრაკო და ასტროლოგიური. 1945 წელს, არმაზის გათხრების დროს არქეოლოგმა გ. ლომთათიძემ იპოვა ჭადრაკის სათამაშო კამათელი, რომლითაც X საუკუნემდე ინდოეთში თამაშობდნენ.

მიხეილ საყვარელიძის მსჯელობა გვაძლევს უფლებას წამოვაყენოთ ეს ჰიპოთეზა, რომელიც, ჩვენი აზრით, უფრო შეეფერება სინამდვილეს.

რაკი თავისი მოსაზრებები საკმაოდ სარწმუნოდ არ მიაჩნდა, "ჭადრაკის" ავტორმა საქართველოში ჭადრაკის ღრმა წარსულის დასაბუთებისათვის სხვა გზებს დაუწყო ძებნა. მან ფოლკლორს მიმართა.

"ჭადრაკს ჩვენში დიდი ხნის ისტორია რომ უნდა ჰქონდეს, ამას შემდეგი გარემოებაც გვაფიქრებინებს: ჭადრაკის ზოგიერთი ტერმინი ხალხის სალაპარაკო ენაშია გადასული და ქართველი ადამიანის ფსიქიკაშია ჩაქსოვილი".

მას მაგალითად მოჰყავს სიტყვა "შამათი" და მისგან ნაწარმოები გამოთქმები: "ღმერთმა დაგაშამათოს", "გზები დაგეშამათოს", "დაშამათებული ადამიანი", ან კიდევ – "ჩვენი საქმე ჭადრაკულია", ე. ი. რთული, დახლართულია.

მათდა საყურადღებოდ, ვისი აზრითაც ქართველებმა ეს სიტყვა ჭადრაკის გაცნობამდე იცოდნენ, მიხეილ საყვარელიძე ამბობს: "სიტყვაში შამათი თავისთავად შახმატს ნიშნავს, ქართულად იგი გამოითქმის "შაჰმათი", რაიცა ორი სიტყვის შეერთებას წარმოადგენს – "შაჰი" (მეფე) და "მათი" (სიკვდილი). შემდგომში ასო "ჰაე" ამოვარდნილა და დარჩა "შამათი".

საინტერესოა, რომ სპარსელები, არაბები და ინდოელები, ვისგანაც ჩვენ შეგვეძლო ეს თამაში გვესწავლა, ჭადრაკს "შახმატს" კი არა შატრანჯს უწოდებდნენ და ახლაც უწოდებენ. ჩანს, შამათს სხვა ახსნაც უნდა ჰქონდეს.

ჩვენში ჭადრაკის უძველესი წარსულის დასასაბუთებლად მიხეილ საყვარელიძეს მოჰყავს შესანიშნავი ხალხური თქმა – "ნარდი ბედია, ჭადრაკი ჭკუა; ბანქო ცუდია, განკაფა ტყუა."

საინტერესოა ხალხური ლექსიც, რომელიც ავტორს მოჰყავს თავის სახელმძღვანელოში. ამ ლექსში ორი მოპირდაპირის ბრძოლაა გალექსილი. "დილარამას შამათის" ლეგენდის მსგავსად, ერთმა მოთამაშემ თურმე მთელი ქონება წააგო; ბოლო ხელი თავის ცოლზე უთამაშია და წაუგია; ამაზე ხალხური ლექსი ამბობს:

პაიკი ნინ გასწიე
კუთი მხედარს დაეცი;
ფუ შენს ვაჟკაცობასა,
ჭადრაკში ცოლი გაეცი.

სწორეა მიხეილ საყვარელიძის დასკვნა: "საკმაო დრო უნდოდა იმას, რომ ჭადრაკის ტერმინები ისე დაახლოებულიყო ქართველი ერის სულთან და გონებასთან, რომ ჩვეულებრივ სალაპარაკო სიტყვებად ქცეულიყო და ხალხურ ლექსებშიც გადასულიყო".

4. ჭადრაკის საყვარელიძისეული ტერმინები

ჭადრაკის ქართული ტერმინები მაშინ გაჩნდა, როცა ჩვენი წინაპრები ამ თამაშს ეზიარნენ. ზოგიერთ ფიგურას (კუ, მხედარი, ეტლი), მისი შინაარსის შესაბამისად, ქართული სახელი მოენახა, უმრავლესო-

ბას კი აღმოსავლეთში გავრცელებული ტერმინები შერჩა.

ჭადრაკის ქართული ტერმინები თითქმის სრული სახით პირველად წარმოგვიდგინა მეფე-პოეტმა თეიმურაზ მეორემ ლექსში "ყუმარზე ზმა ლექსად თქმული მეფის თეიმურაზ მეორისაგან: განჯაფისა, ჭადრაკისა და ნარდისა" (იხ. "მატიანე", I,გვ.8).

მიხეილ საყვარელიძემ დიდი გულისყურით გააანალიზა თეიმურაზისეული ტერმინები და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მათ, რომლებიც სადავოდ მიიჩნია.

"ქართულ ტერმინებში საკვლევად უდავო და გამორკვეულია შემდეგი სახელები: მეფე, ლაზიერი, მხედარი, კუ, პაიკი, რუკა, ქიში და შამათი, — წერს ბატონი მიხეილი. — სრული უფლებით შეგვიძლია ამავე ჯგუფს მივაკუთვნოთ ეტლიც, მაგრამ თუ იგი ცალკე გამოვყავით, იმიტომ, რომ ცოტა ოდნავ ეჭვის აღმძვრელია მისი თავდაპირველი სახელი. სადავო ტერმინად შეიძლება ჩაითვალოს ფათა, როქი (ან ზანდრაბეგი), ფრე (ან ყაიმი), უჯრა (ან ასპარეზი)".

ავტორი ანალიზს "ჭადრაკი"-თ იწყებს, მაგრამ არ განმარტავს, საიდან წარმოიშვა ეს სიტყვა. იგი სჯერდება იმ ცნობის მოყვანას, რომ ძველად ქართველებს ჭადრაკი "მღერად" (თამაში) მიაჩნდათ (აკადემიკოს გ. ახვლედიანის აზრით, ტერმინი "ჭადრაკი" ქართული ვარიანტია ინდური "ჩატურანგასა", რაც ჭადრაკის თამაშის პირვანდელი სახეა).

მ. საყვარელიძეს საჭიროდ უცვნია ტერმინი "რუკას" განმარტება.

რუკა იგივე ჭადრაკის დაფაა. იქნებ სწორია მკვლევარი, რომ ეს ტერმინი უნდა ვიხმაროთ ქართველებმა? დაფა ხომ რუსულიდან არის გადმოღებული. ამ აზრს მიხეილი ასე ასაბუთებს:

"საბა ამბობს: "რუკა — შეწყობილი. გინა მობმული", ხოლო დ. ჩუბინაშვილი წერს: "რუკა, გამოხატულება რისამე, მაგ. ღეოღრაფიული ქარტისა, ან წერილი, რუკა მეჭადრაკისა რუკად შექმნილი, ნ. ი. მიჯრით მობმული კუბო კუბოდ, ვითარცა ჭადრაკის სახედ."

მივყვეთ იმ ტერმინებს, რომლებმაც დაეჭვა მკვლევარი.

როგორც ზემოთ ვწერდით, მან ცალკე გამოყო "ეტლი". ჩვენი ფიქრით, — ამბობს იგი, — წინათ მას სხვა სახელი უნდა ჰრქმეოდა. ამას გვაფიქრებინებს "ვისრამიანის" ერთი ადგილი, საცა ნათქვამია: "წავიდა იგი ჟამი და დღე, ოდეს ერთმან კუმან ორი შარუხი დასცაო".

შარუხი კაცის სახელად რომ მივიჩნიოთ (ასე მოიქცნენ ი. ჭავჭავაძე, ალ. სარაჯიშვილი და პ. უმიკაშვილი) წინადადება მართლაც

გაუგებარი იქნებოდა. მაგრამ თუ ეს სიტყვა ეტლს აღნიშნავს, მაშინ წინადადებაც გამართულია".

მ. საყვარელიძის აზრით, შარუხი რომ იგივე ეტლია, ამას თეიმურაზის ლექსიც მოწმობს, თუმცა იქ რუხია ნახსენები. მკვლევარი აღიარებს, რომ არ ესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა.

ჭადრაკის ისტორიკოსმა მ. ვადბოლსკიმ დაადგინა, რომ ტერმინი "რუხი" აღმოსავლეთის ხალხების ჭადრაკში მხოლოდ X საუკუნეში დამკვიდრდა. იგი პირველად ფირდოუსის პოემა "შაჰ-ნამეში" გვხვდება. საბჭოთა არქეოლოგებმა ფერგანის სამარხებში იპოვეს სპილოს ძვლისგან დამზადებული ჭადრაკის ფიგურა ლეგენდარული ფრინველის – რუხის გამოსახულებით, რომელიც VIII საუკუნით დაათარიღეს.

როგორც ჩანს, "ვისრამიანის" თარგმნის დროს ჩვენშიც "ეტლის" მაგიერ "რუხი" იყო დამკვიდრებული.

საინტერესოა, როდის და რატომ დაუბრუნდნენ ქართველები ეტლს, მაშინ, როცა აღმოსავლეთის ხალხების (ტაჯიკები, უზბეკები, თურქმენები, ირანელები, არაბები, ინდოელები) ჭადრაკში "რუხი" დღემდეა შემორჩენილი.

მ. საყვარელიძე ცდება, როცა ფიქრობს, თითქოს თეიმურაზ მეორესთან "რუხი" "როქს" ნიშნავს. თავის შეხედულებას იგი ასე ხსნის: "თეიმურაზი ჩამოთვლის ყველა ფიგურასა და პაიკს და ამას შემდეგ ასახელებს რუხს. მერე კი გადადის "ქიშსა" და "შამათზე".

როგორც ჩანს, პოეტმა უბრალოდ არ მოიხსენია როქი, რომელსაც მაშინ ქართულად ზანდრაბეგი ერქვა. ალბათ ეს სიტყვა მძიმედ მიიჩნია ლექსისთვის.

თუ არსებობდა ზანდრაბეგი, მაშ საიდან გაჩნდა როქი? იგი მ. საყვარელიძემ შემოიღო.

"რახან რუხის მნიშვნელობა აშკარა არაა, ამიტომ ჩვენ იგი ტერმინებში არ შევიტანეთ და ვამჯობინეთ სიტყვა როქი, ე. ი. ავიღეთ რუსულ-ფრანგულ-გერმანული სიტყვის ("როკ-ირონკა) ძირი "როქი", რომელიც სპარსელებში და არაბებში ეტლს ნიშნავს, – წერს ბატონი მიხეილი. – ამ სიტყვაზე იმიტომ შევჩერდით, რომ იგი უფრო მოსხლეტილია, უფრო მკვეთრია და მოკლე, ვიდრე ზანდრაბეგი, რომელიც საბას და შემდეგ მის მიხედვით დ. ჩუბინაშვილს ჩვენებურ როქად აქვთ განმარტებული. საბა ამბობს: "ზანდრაბეგი ჭადრაკის მეფის მხედრული გადასმა�ა" (იგულისხმება მეფის გადახტომა ეტლზე). რასაკვირველია, ამის მიხედვით სრული უფლება გვქონდა როქის ნაცვლად ზანდრაბეგი გვეხმარა, მაგრამ თუ

ეს არ ვქენით უფრო იმიტომ, რომ იგი სხვა წყაროში არსად შეგვხვდა და თანაც ძალიან დაშორებულია სხვა ერების (ევროპისა და აღმოსავლეთის) სიტყვა როკ-ეროვკას, როქი კი უფრო სხარტიცაა და თავის თავდაპირველ სიტყვასაც ენათესავება".

მ. საყვარელიძემ შემოიღო სხვა ქართული ტერმინებიც: "ფათა" და "ფრე", მაგრამ ვერც ერთმა ფეხი ვერ მოიკიდა. მისი თქმით, ესენი სადავო ტერმინები აღმოჩნდა.

"პატის" მაგიერ ბატონი მიხეილი "ფათას" წერდა. "ჩემი ფიქრით, — ამბობდა იგი. — ფათა აღმოსავლური სიტყვაა, ჭადრაკთან ერთად იგი ევროპაში შესულა და "პატად" ქცეულა. ამ მოსაზრებით "პატის" ცნების გამოსახატავად "ფათა "ვიხმარეთ".

მ. საყვარელიძეს არც "ყაიმი" აეჭვებდა, მაგრამ უპირატესობა ფრეს მისცა და აი, რატომ: "სიტყვა ფრე კოჭაობის თამაშიდან ავიღეთ. როდესაც ორივე მხარე ჰყრის კოჭებს და ორივეს ან ჭიკი, ან თოხანი ერთი და იმავე ყრაზე დაუჯდებათ, იტყვიან ხოლმე: ეს "ფრეა"-ო და ხელახლად ჰყრიან".

სხვათა შორის, ბატონი მიხეილი სახელმძღვანელოში ჭადრაკის ფიგურებს კოჭებს უწოდებს, გათამაშებულ პარტიას — ხელს. ხალხმა არც ეს ტერმინები მიიღო.

სამაგიეროდ, ფართოდ გავრცელდა მის მიერ შემოღებული ტერმინი "უჯრა".

5. „ხმლების გალესილ პირებზე..."

"ჩვენში ძლიერი მოჭადრაკეები იქნებოდნენ და ალბათ მრავალი საშედეგრო პარტიებიც იქნებოდა შექმნილი. სამწუხაროდ, ახლა ყველა ეს დაკარგულად უნდა ჩაითვალოს", — წერს მიხეილ საყვარელიძე "ჭადრაკში". ამ სიტყვების შემდეგ, რა თქმა უნდა, იგი სიამაყის გრძნობით ლაპარაკობს სასიქადულო ქართველ მოჭადრაკე ანდრია დადიანზე და მის შემოქმედებაზე.

როგორც ჩანს, ბატონ მიხეილს ხელთ ჰქონდა ა. დადიანის პარტიების დაბოლოებათა კრებული, რომელიც 1903 წელს კიევში დაისტამბა ცნობილი რუსი მოჭადრაკის ე. შიფერსის წინასიტყვაობით და რედაქციით.

მთელ წერილში სწორედ ამ წიგნზეა ლაპარაკი.

ჩვენ არ შევუდგებით ამ, ასე ვთქვათ, რეცენზიის რეცენზირებას. მ. საყვარელიძე დაბოლოებათა კრებულს საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევს, თუმცა შეცდომებზეც მიუთითებს.

ყურადსაღებია ის ამბები, ბატონ მიხეილს ა. დადიანის ნაცნობებისაგან რომ მოუსმენია.

"ანდრია დადიანის ნაცნობების სიტყვით, — ვკითხულობთ წიგნში. — იგი ძალიან დაუდგრომელი და მოუსვენარი ხასიათის ყოფილა — ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა. ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს: ხან პეტერბურგში ცხოვრობდა, ხან ოდესაში, ხან ევროპის სხვადასხვა ქალაქში.

სამხედრო სამსახურისათვის თავი რომ დაუნებებია, სამეგრელოში, სოფელ აბასთუმანში დასახლებულა, მაგრამ იქიდანაც მალე წასულა, გაუყიდია თავისი მამული და კიევს დასახლებულა, სადაც სიკვდილსაც უსწვრია მისთვის. თავისი ხასიათით მეტად უცნაური ყოფილა. ზოგჯერ გადამეტებულ ყაირათიანობას და მომჭირნეობას იჩენდა, ზოგჯერ კი უსაზღვრო დარდიმანდობასა და ხელგაშლილობას".

ჩანს, ბატონმა მიხეილმა ვერ შეძლო ანდრიას სპორტული ბიოგრაფიის აღდგენა. იქნებ არც უცდია. ამიტომ მან ისიც ვერ შეიტყო, როდის გარდაიცვალა დადიანი და სადაა დაკრძალული. იგი წერს: "მისი (დადიანის. — თ. გ.) ნაცნობების ფიქრით, იგი 1905-6 წელში უნდა გარდაცვლილიყო კიევში, საცა დაკრძალულია". სინამდვილეში ანდრია 60 წლის ასაკში გარდაიცვალა კიევში 1910 წელს. მისი ნეშტი მარტვილის საგვარეულო მონასტერშია დაკრძალული.

ა. დადიანის შესახებ ბატონ მიხეილისათის ძვირფასი ცნობა მიუწოდებია გამოჩენილ ქართველ ორიენტალისტს, პროფესორ ა. ცაგარელს, რომელიც პეტერბურგიდან იცნობდა დადიანს.

"პროფ. ალექსანდრე ცაგარელის სიტყვიერი გადმოცემით, დადიანს ეხერხებოდა აგრეთვე "თვალხუჭულა" თამაში რამდენიმე პარტნიორთან. ცაგარელმა თქვა, რომ თვითონ ვნახე ათ მოთამაშეს ეთამაშა პეტერბურგში "თვალხუჭულა" პარტია და ყველას მოუგო".

ა. დადიანის თამაშის დახასიათების მიზნით, წიგნში მოჰყავს მისი რამდენიმე პარტიის დაბოლოება.

მ. საყვარელიძეს დადიანის პარტიები, ისევე, როგორც ყველა პარტია თავის სახელმძღვანელოში, უკომენტაროდ მოჰყავს. სამაგიეროდ, მან მთელი თავისი ჟურნალიტური ოსტატობა მოიშველია, რათა ლიტერატურული ხერხებით, მხატვრულად აღეწერა შესანიშნავი ქართული მოჭადრაკის თამაში და მიზანსაც მიაღწია (ეს ქებათა-ქება იხ. "მატიანე" II, გვ. 8-9).

1969 წ.

ხარლამპი სირბილაძის ნაკვალევზე

50-იან წლებში კიდევ ერთხელ დიდი გულისყურით გადავიკითხე მ. ს-ძის "ჭადრაკი" (მოკლე სახელმძღვანელო), რომელიც 1926 წელს თბილისში ორიათასიანი ტირაჟით დასტამბა გამომცემლობა "შრომამ". ეს არის პირველი ქართული წიგნი ჭადრაკზე. მისი ავტორი იმდენად თავმდაბალი და უპრეტენზიო ადამიანი იყო, რომ არ ისურვა თავისი სახელისა და გვარის გამომზეურება — მხოლოდ ინიციალებით დაკმაყოფილდა, მაგრამ იმდროინდელი საზოგადოება კარგად იცნობდა ჟურნალისტ მიხეილ საყვარელიძეს, როგორც ჭადრაკის დიდ თაყვანისმცემელს.

ჩემი ყურადღება მიიქცია მონაკვეთმა "ჭადრაკი საქართველოში", რომელიც მთავრდება მცირე ქვეთავით "თანამედროვე ქართველი მოჭადრაკენი". აქ მოხსენიებულნი არიან იმდროინდელი თბილისელი მოჭადრაკეები.

სამწუხაროდ, ქართულ ჭადრაკს არასოდეს ჰყოლია მემატიანე. ამიტომ, ახლო წარსულის ძლიერი მოჭადრაკეების სახელებიც არ შემოგვრჩა, თუმცა ისინი უნდა ყოფილიყვნენ. ქართველი კაცი ხომ მუდამ გამორჩეულად აფასებდა მათ. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც სულხან-საბა ორბელიანის "სიბრძნე-სიცრუისა".

მ. საყვარელიძეს მოხსენიებული ჰყავს: ხარლამპი სირბილაძე, ვიქტორ გოგლიძე, ვახტანგ ერისთავი და ალექსანდრე კავკასიძე. უფრო დაწვრილებით გვესაუბრება ხარლამპი სირბილაძის შესახებ. აი, რას წერს იგი:

"თანამედროვე ქართველ მოჭადრაკეებში პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ხარლამპი სირბილაძე, რომელიც თავის დროს უდიდეს მოთამაშედ ითვლებოდა. პეტერბურგში სტუდენტად ყოფნის დროს ისწავლა მან ჭადრაკის თამაში და მალე სახელი გაითქვა, როგორც უძლიერესმა მოთამაშემ. 1890-იანებში სირბილაძე თამაშობდა რესტორან "დომინიკში", საცა საუკეთესო მოჭადრაკენი იყრიდნენ თავს. სირბილაძე აქ ეთამაშებოდა ცნობილ შიფერსს, ალაპინს, ოტოს, მიტროპოლსკის და სხვათ და უმეტეს შემთხვევაში უგებდა ხოლმე. მას მოუხდა აგრეთვე თამაში გამოჩენილ ჩიგორინთან. ჩიგორინმა თანაბარი თამაში არ მოისურვა და ფორად მხედარი მისცა. სირბილაძემ ეს ხელი მოიგო. მეორე შეხვედრაზეც ჩიგორინმა თანაბარი თამაში არ ინდომა; მხარეები ამის გამო ვერ შეთანხმდნენ და მათი შეჯიბრება აღარ გამართულა. 1920 წელს ტფილისში გაიმართა ტურნირი.

ხარლამპი სირბილაძე

მონაწილეობა მიიღო 25 კაცმა. სირბილაძემ ამ ტურნირზე პირველი ჯილდო აიღო, პეტერბურგში ყოფნის დროს სირბილაძეს ურჩევდნენ ჭადრაკს გაჰყოლოდა, დიდი მომავალს აღუთქვამდნენ. მან არ მოისურვა ჭადრაკი პროფესიად გაეხადა. სამწუხაროდ, სირბილაძის არც ერთი პარტია ჩაწერილი არაა. სირბილაძე დღეს თბილისში ცხოვრობს. მოხუცებულობამ (იგი 64 წლისაა) მის ძალაზე გავლენა მოახდინა. იგი დღესაც თამაშობს, თუმცა საჯარო ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობას არ იღებს".

ადვილი შესამჩნევია, რომ მ. საყვარელიძე ძალიან მოკლედ გადმოგვცემს ქართველი მოჭადრაკის სპორტულ ბიოგრაფიას. ის, რომ ხარლამპის დაუმარცხებია იმდროინდელი რუსეთის უძლიერესი ოსტატები ემანუილ შიფერსი (ანდრია დადიანის მეგობარი) და სიმონ ალაპინი, ცოტას რიდი ნიშნავს. არც ისაა პატარა ამბავი, რომ თვით მიხეილ ჩიგორინს შესჭიდებია. დიდი რუსი მოჭადრაკე ყველას რიდი უყადრებდა თავს. მასთან ზედმეტი ფიგურითაც გამარჯვება თავმოსაწონი გახლდათ. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ ხარლამპი სირბილაძე რესტორან "დომინიკში" შეტად მიღებული კაცი იყო. ეს რესტორანი რუსეთის ჭადრაკის ისტორიაში ცნობილია, როგორც XIX საუკუნის მეორე ნახევრის უძლიერესი მოჭადრაკეების თავშესაყარი ადგილი. მას აკითხავდნენ ცნობილი რუსი მოჭადრაკეები, ოსტატები, რომლებიც არ თაკილობდნენ ნიძლავზე თამაშს. შემთხვევით რიდი ურჩევდნენ მეგობრები ხარლამპის ჭადრაკს გაჰყოლოდა.

პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ხარლამპი სირბილაძეს თბილისში დაბრუნების შემდეგაც არ დავიწყებია ჭადრაკი. თამაშობდა ამხანაგ-მეგობრებში,

ერთხელ ტურნირშიც მიუღია მონაწილეობა.

დამაინტერესა ხარლამპი სირბილაძის ვინაობამ, მისმა საჭადრაკო მოღვაწეობამ და გადავწყვიტე დაწვრილებით მომეძებნა მასზე მასალები. სიტყვა ხარლამპის თაობაზე. პირველად, რა თქმა უნდა, ჩვენს სასიქადულო ოსტატს ვიქტორ გოგლიძეს ჩამოვუგდე. მან მითხრა:

— ვიცნობდი სირბილაძეს. ერთხელ ორი პარტიაც ვეთამაშე: პირველი მომიგო, მეორე მე მოვუგე. იგი ძველი ყაიდის მოჭადრაკე იყო. უყვარდა ნიძლავზე თამაში, ამიტომ ჩვენს ტურნირებს თავს არიდებდა, შემდეგ თითქმის არ შევხვედრივარ. იგი უფრო ჭადრაკის მოყვარულ მწერლებში ტრიალებდა.

ერთხელ თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმში შევხვდი საქართველოს სახალხო არტისტს და გამოჩენილ მწერალს შალვა დადიანს. საუბარში ხარლამპი ვუხსენე. ვკითხე, თუ იცნობდით-მეთქი.

— როგორ არა.

— ალბათ კიდეც გითამაშიათ მასთან?

— არა, გამბედაობა არ მეყო. 20-იან წლებში ხარლამპი ჩემი ხშირი სტუმარი იყო, მაგრამ მხოლოდ სუფრასთან, ჭადრაკის დაფასთან მიწვევას ვერ ვბედავდი...

აი, რა მიამბო იმდროინდელმა ძლიერმა მოჭადრაკემ, ქართველმა შექსპიროლოგმა ვახტანგ ერისთავმა:

— მაშინ ჩვენში პირველობდა უძლეველი ფალავანი, მოხუცი ხარლამპი სირბილაძე, სასამართლოს მოხელე. განცვიფრებას იწვევდა მისი თამაშის სტილი. საკვირველი სისწრაფით ერკვეოდა ურთულეს პოზიციებში. თავის მოპირდაპირეებს იშვიათად აძლევდა ნებას პარტია ენდშპილამდე მიეყვანათ. პარტიის ბედი ღრმად გააზრებული იერიშის შედეგად უკვე შუა თამაშში წყდებოდა. მის თამაშში შერწყმული იყო პოზიციის ღრმა გაგება და ეფექტიანი კომბინაციის ნიჭი. არაერთხელ დავსწრებივარ მის თამაშს და ახლა ძალიან ვნანობ, რომ არც ერთი მისი პარტია არ ჩამიწერია. რამდენადაც ვიცი, მისი საჭადრაკო შემოქმედების არც ერთი ნიმუში არ შემორჩენილა. ხარლამპი ხშირად კაფე "ფინჯან ჩაიში" თამაშობდა. აქ ვრცელი დარბაზის ერთი კუთხე 10 საჭადრაკო მაგიდას ეკავა. მაგიდები მუდამ დაკავებული იყო. კაფეში სხვადასხვა ჯურის ხალხი ბუზივით ირეოდა. უკრავდა სიმებიანი ორკესტრი. იყო ჟრიამული და ყაყანი. და ამ ყურთასმენის წამღებ ხმაურში მოჭადრაკეები თავდავიწყებით ებრძოდნენ ერთმანეთს. ხშირად ფულზე თამაშობდნენ. ბევრჯერ მომხდარა, რომ სხვა ქალაქებიდან ჩამოსულ მოჭადრაკეებს, რომლებიც

პირადად არ იცნობდნენ ხარლამპი სირბილაძეს. მასთან ფულზე თამაში მოუნდომებიათ, ალბათ, იოლი მოგების იმედით. ის, რა თქმა უნდა, უარს არ ეუბნებოდა. ბევრი, ძალიან ბევრი ქედმაღალი მოარჯულა ჩვენმა ჭადრაკის ფალავანმა. ხარლამპი სირბილაძე დარბაისელი, სიტყვაძვირი კაცი იყო: არ მახსოვს, დამარცხებული მოპირდაპირე გაეკენწლა, როგორც ეს ზოგიერთებს სჩვევიათ."

ვისაც კი ვეკითხებოდი, მას ყველა იხსენებდა, როგორც ძლიერ მოჭადრაკეს, მაგრამ მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. აღარ ჩნდებოდა იქ, სადაც ჭადრაკის მოყვარულები იკრიბებოდნენ.

ერთხელ გაზეთ "ლელოს" რედაქციაში მომაკითხა ხანდაზმულმა, 81 წლის ლუკა სტურუამ, ჩვენი ცნობილი დიდოსტატის ზურაბ სტურუას ბაბუამ. თან ძველი ფოტოებიც მომიტანა. ბატონი ლუკა აქტიურად მონაწილეობდა 30-იანი წლების თბილისის საჭადრაკო ცხოვრებაში. საუბარში სტუმარს ვკითხე ხარლამპის თუ შეხვედრიხართ-მეთქი. ძალიან გაეხარდა, გაუკვირდა: თქვენ საიდან იცნობთო. როცა ჩემი ძიების შესახებ ვუამბე, გაიხსენა:

— ჭადრაკით სერიოზულად სწორედ ხარლამპის რჩევით დავინტერესდი. მაშინ საგარეჯოში ვცხოვრობდი და ჩემი მეგობარი, ხარლამპის ძმა დიმიტრი რკინიგზის სადგურის უფროსად მუშაობდა. ერთხელაც მას ხარლამპი ეწვია. ჭადრაკმა სწრაფად დაგვაახლოვა. თამაში მომიწონა და კარგი მომავალი მიწინასწარმეტყველა, ოღონდ თეორიაში უნდა იმეცადინოო. მეც ასე მოვიქეცი. მერე ხარლამპი აღარ შემხვედრია, დავკარგე მისი კვალი.

მაგრამ მე მაინტერესებდა ხარლამპი სირბილაძის ცხოვრება (დაბადება-გარდაცვალების წლები), საჭადრაკო შეხვედრები, პარტიები, სახე. ძიების გაგრძელების ერთადერთ გზად მიმაჩნდა მისი ნათესავ-მეგობრების მიკვლევა. ამ მიზნით ჯერ "ლელოში", მერე გაზეთ "თბილისში" გამოვაქვეყნე წერილები სირბილაძის შესახებ. ბოლოს საზოგადოებას მივმართე ცისფერი ეკრანიდან — ვესაუბრე სატელევიზიო საჭადრაკო ჟურნალ "სამორინეს" მსმენელებს.

მეორე დღეს უცნობმა მანდილოსანმა დარეკა: ხარლამპის რძლის ბიძაშვილი ვარო, მითხრა, უკანასკნელი წლები ხარლამპიმ სოხუმში გაატარა, იქ ცხოვრობს მისი რძალი და შვილიშვილი, დაწვრილებით ყველაფერს დაგიზუსტებთ და მალე შეგატყობინებთო. გავიხარე, მაგრამ გადიოდა დღეები, თვეები, წლები... სოხუმელ მეგობრებსაც ვთხოვე შემწეობა, მაგრამ კვალი დავკარგე.

და აი, ერთხელაც, 1979 წლის მიწურულს რედაქციაში დამირეკა ცნობილმა კინორეჟისორმა ომარ გვასალიამ. მითხრა, თქვენთვის საინტერესო რამ მაქვს ხარლამპი სირბილაძეზეო. მეორე დღეს ომარ გვასალია "ლელოს" რედაქციაში მოვიდა.

— თქვენ რომ ტელეფონით მანდილოსანი გამოგეხმაურათ, დედაჩემი იყო — ჰენრიეტა ყიფიანი, — მითხრა მან და განაგრძო, — მაშინ დედა თავს შეუძლოდ გრძნობდა, მერე კიდევ უფრო მიეძალა ავადმყოფობა. ძალიან წუხდა, დანაპირები რომ ვერ შეგისრულათ. წერილზე პასუხი რომ ვერ მიიღო სოხუმიდან, მე დამავალა გამეგო რაიმე. როგორც კი სოხუმში ჩასვლის შესაძლებლობა მომეცა, მაშინვე სირბილაძეების ოჯახს მივაკითხე. ხარლამპის რძალი ნინო ციციშვილი გარდაცვლილიყო. შინ მისი ვაჟი ზურაბი დამიხვდა რუსეთიდან ახალდაბრუნებული. როცა ვუამბე, რისთვისაც ვესტუმრე, გამიყვანა ერთ-ერთ ოთახში, რომლის კუთხეში ძველი, ფერგადასული ქაღალდები ეწყო. ეს უნდა იყოს ბაბუას ხელნაწერებიო. გადავათვალიერე, ერთი სქელტანიანი რვეული ამოვარჩიე და თქვენ წამოგიღეთ.

ეს იყო ხარლამპი სირბილაძის სახელმძღვანელოს ხელნაწერი. ასეთ სიურპრიზს არ მოველოდი. დიდი



მადლობა გადავუხადე ბატონ ომარს და მაშინვე შევუდექი კითხვას.

გარეკანს აწერია: "ხ. სირბილაძე. ჭადრაკის შესასწავლი სახელმძღვანელო შედგენილი ჭადრაკის ტეორიის უკანასკნელი დროის მიღწევების მიხედვით. 1935 წ. ქ. ტბილისი". აქვე ავტორს თავისი ფოტოსურათი დაუკრავს.

ხარლამპის თავიდანვე დაუნომრავს რვეული. ალბათ 223 გვერდის შევსებას აპირებდა, მაგრამ წერა 144-ე გვერდზე შეუწყვეტია. მანამდე ორჯერ ორ-ორი გვერდია გამოტოვებული. ჩანს, წიგნი დაუმთავრებელია. შინაარსიც ამას ადასტურებს.

აი, ნაშრომის შინაარსი: ნაწილი პირველი. წინასიტყვაობა, ჭადრაკის მოკლე ისტორია, ჭადრაკის თამაშის საერთო წესები. ნაწილი მეორე. ლაზიერის

პაიკის და ლაზიერის დებიუტები. ნაწილი მესამე. მეოცის პაიკის დებიუტები და პარტიები მათი თეორიის საილუსტრაციოდ. ნაწილი მეოთხე. ვამოსენილი მოჭადრაკეების პარტიები. მოყვანილი სახელმძღვანელოში თეორიის ასახსნელად. ნაწილი მეხუთე. თამაშის, პარტიების ბოლოები (ენდშპილი).

ხარლამპის მხოლოდ პირველი სამი ნაწილი დაუმთავრებია. დაუწერია ორი თავიც: "ბავშვების საკარჯიშო პარტიები" (მოჰყავს სამი მოკლე პარტია) და "ჭადრაკის მთელი მსოფლიოს ლიტერატურის შესანიშნავი პარტიები" (მოჰყავს ა. ანდერსენის უჭკნობი და უკვდავი პარტიები, აგრეთვე ა. ნიმცოვიჩის ორი პარტია ფ. მარშალთან და აიტსთან), მაგრამ აღარ დაუმთავრებია.

პირველი ორი ნაწილის მიხედვით ვეცნობით ხარლამპი სირბილაძის საჭადრაკო ასრებს, შეხედულებებს.

წინასიტყვაობაში იგი საუბრობს ჭადრაკის ადგილის შესახებ კაცობრიობის ცხოვრებაში. ამბობს, ჭადრაკი ამდიდრებს ადამიანებს, მაგრამ მასთან ურთიერთობაში აუცილებელია ზომიერება, რადგან ზედმეტი გატაცება ზიანის მომტანიაო. თავისი შეხედულების დასტურად მოჰყავს 20-იან წლებში ცნობილი რუსი ავტორის ბარონოვის დაკვირვებების შედეგები. ბარონოვი აქებს და ადიდებს ჭადრაკის ღირსებებს, რომელიც წვრთნის გონებას, ადამიანის მოსაზრებულობას, ნებისყოფას, ანვეკვს მსჯელობას და სხვა. სირბილაძე ამბობს, რომ მომავალში ადამიანი ჭადრაკს კიდევ ბევრ სხვა ღირსებას მიუნახავსო.

"ზედმეტი არ იქნება წინასიტყვაობაში ასეთ საკითხსაც შევეხოთ: როგორ უნდა იყოს დალაგებული მასალა სახელმძღვანელოში", — წერს ავტორი. იგი დიდ ყურადღებას აქცევს დებიუტის შესწავლას. ამიტომაც სახელმძღვანელოში დიდი ადგილი აქვს დათმობილი "მეფის პაიკის და ლაზიერის დებიუტებს". უკანასკნელ დრომდე, შენიშნავს სირბილაძე, მოდაში იყო მეფის პაიკების დებიუტები, გამბიტები. მოჭადრაკეებმა მხოლოდ ახლა მიაქციეს ყურადღება ლაზიერის პაიკის დებიუტებს. ამიტომ სახელმძღვანელოში ამ დებიუტებს უპირატესობა უნდა მიეცესო. აქვე სირბილაძე ურჩევს ახალბედას თანდათან კარგად დაეუფლოს დებიუტებს.

წინასიტყვაობის ბოლოს სირბილაძე ლაპარაკობს ჭადრაკის პროფესიად არჩევაზე. "ხშირად ხდება შეცდომა. ახალგაზრდა კაცი, გატაცებული ჭადრაკის თამაშით, ყველაფერს ანებებს თავს და ხდება პროფესიონალი.

ეს არ არის მისაბაძი. ჯერ უნდა იცოდე კარგად, თუ რა ნიჭის კაცი ხარ და ღირს თუ არა შენი ნიჭის კაცისათვის ჭადრაკის სპეცად გახდომა. ხშირია შეცდო-

მა. ახალგაზრდა კაცი, რაღაც მიზეზით დარწმუნებული, რომ არა თუ პირველ ადგილს დაიკავებს, ახლაც დიდი მოჭადრაკეა, პროფესიონალი ხდება, მაგრამ საბოლოოდ საშუალო მოჭადრაკე აღმოჩნდება, მაშასადამე, მან დრო დაკარგა".

შემდეგ სირბილაძე ძუნწად მოგვითხრობს ჭადრაკის ისტორიაზე, გაკვრით საუბრობს თამაშის წარმოშობაზე.აღნიშნავს, რომ არსებობს გამოკვლევები, რომელთა თანახმად, ჭადრაკს დაახლოებით მესამე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე თამაშობდნენო, მერე აღწერს ჭადრაკის გავრცელების გზას ინდოეთიდან ევროპაში. მსოფლიო ჩემპიონების საგმირო საქმეებს მხოლოდ ერთ გვერდს უთმობს, არც ერთი მატჩის ანგარიში არ მოჰყავს. ამ ნაწილს იგი ასე ამთავრებს: "ამჟამად მსოფლიო ჩემპიონის სახელს ატარებს ალექსანდრე ალიოხინი, რომელმაც დაამარცხა კაპაბლანკა 1927 წელს და მას აქეთ იცავს ჩემპიონობას".

აგრეთვე ძალიან მოკლედ, ორიოდე სიტყვით აქვს ახსნილი ფიგურების მოძრაობის წესები. ოდნავ მეტია ნათქვამი თამაშის საერთო წესებზე. "ეს წესები სასტიკადაა დასაცავი, რომ თამაშმა არ დაკარგოს თავისი მიმზიდველობა და მნიშვნელობა", დაასკვნის ავტორი.

ქვეთავში "ჭადრაკის თამაში" სირბილაძე მსჯელობს ჭადრაკის არსზე. ამბობს, დებიუტების სწავლა აუცილებელია, რადგან მათი ცოდნა აადვილებს თამაშს. ხელს უწყობს შუა თამაშის გაგებას და ბრძოლის სწორი გზის არჩევას. "აქ მხოლოდ ასეთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: საჭადრაკო პარტია არის ბოლოს და ბოლოს მოთამაშეების გეგმების განხორციელება. ეს გეგმები ერთიმეორისაგან გამომდინარეობს და ერთმანეთთანაა დაკავშირებული". ამიტომ მკითხველს მოუწოდებს კარგად დაეუფლოს დებიუტებს. ავტორი დებიუტებს სამ ნაწილად ჰყოფს: ლაზიერის პაიკების, მეფის პაიკების დებიუტებად და იმ დებიუტად, რომელიც ცენტრალური პაიკის მოძრაობით იწყება. "ასეთია მაგალითად, ფიანკეტო ლაზიერის და მეფის, რეტის დებიუტები და სხვ.". დასასრულ, სირბილაძე დებიუტში პაიკის შეწირვის თეორიაზე მსჯელობს.

ხელნაწერის მეორე ნაწილი მთლიანად ლაზიერის პაიკის დებიუტებს ეძღვნება. ავტორი არჩევს ლაზიერის გამბიტის თეორიაში კარგად ცნობილ დაცვის შვიდ სისტემას. ბოლოს საილუსტრაციოდ მოჰყავს რამდენიმე პარტია. მესამე ნაწილში გარჩეულია დებიუტები, რომელბიც მეფის პაიკის წინსვლით იწყება. თვალსაჩინოებისათვის აქაც გამოჩენილ ოსტატთა პარტიებია მოყვანილი.

რა შეიძლება ითქვას ხარლამპი სირბილაძის სახელმძღვანელოზე?

როგორც ჩანს, ეს წიგნი 20-იანი

წლების დამლევს იწერებოდა. სწორედ მაშინ მოუბრუნდნენ მოჭადრაკეები ლაზიერის პაიკის დებიუტებს. დიდოსტატმა ე. ბოგოლიუბოვმა გამოსცა წიგნი სათაურით "d2-d4", რაც ამ დაწყებას რეკლამას უკეთებდა. დიდი მოწონება ჰქონდა დიდოსტატ ა. ნიმცოვიჩის წიგნებს "ჩემი სისტემა" და "ჩემი სისტემა პრაქტიკაში". ალბათ ამიტომ ხარლამპის უხვად მოჰყავს ა. ნიმცოვიჩის პარტიები. საბჭოთა მოჭადრაკეების მხოლოდ ერთი პარტიაა (ილინ-ჟენევსკი — რობლინი) მოხსენიებული. ეს იმიტომ, რომ 30-იან წლებამდე საბჭოთა კავშირს არ ჰყავდა მსოფლიო მნიშვნელობის ოსტატები. დასანანია, რომ სირბილაძეს არ მოჰყავს თავისი ან რომელიმე ქართველი მოჭადრაკის პარტიები.

საერთოდ, ძნელია საუბარი დაუმთავრებელ ნაშრომზე. მთავარი ისაა, რომ თუმცა არასრულად, მაგრამ მაინც გავეცანით ხარლამპი სირბილაძის საჭადრაკო შეხედულებებს. მის ხელნაწერში არაფერია ნათქვამი ენდშპილზე, შუათამაშზე, კომბინაციებზე და სხვ.

ცხადია, ხელნაწერმა ვერ დააკმაყოფილა ჩემი ცნობისმოყვარეობა. კვლავ გაურკვეველი დარჩა ხარლამპის ბიოგრაფიის მთავარი მომენტები.

აი, რა მიამბო ომარ გვასალიამ:

— ხარლამპის ერთი ვაჟი ჰყავდა — ვახტანგი, რომელიც აგრეთვე იურისტი ყოფილა და ადრე გარდაიცვალა. იგი 1937 წელს რეპრესირებული იყო. მისი ახალგაზრდა ქვრივი ბავშვით და მამამთილი, ესე იგი ხარლამპი, სოხუმში დასახლდნენ. საჭიროა სოხუმში ჩახვიდეთ, გაეცნოთ მის ხელნაწერებს, წიგნებს, იქნებ რაიმეს უფრო საგულისხმოს მიაგნოთ.

სოხუმში მხოლოდ 1980 წლის დეკემბერში ჩავედი. მთელი წელი ვერ მოვიცალე, სიმართლე რომ ვთქვა, არც ვჩქარობდი. მინდოდა ისე ჩავსულიყავი, რომ დიდი დრო მქონოდა ხარლამპი სირბილაძის ხელნაწერების საგულდაგულოდ გასაცნობად. თურმე მწარედ ვცდებოდი.

დიდხანს არ მიძებნია გულიას ქუჩის მე-8 ნომერი, სადაც სირბილაძეები ცხოვრობდნენ. პატარა ეზოში ჩვეულებრივი ერთსართულიანი სახლი იდგა.

გამოიხედა რუსის მანდილოსანმა. მისვლის მიზეზი რომ ვუთხარი, ნაღვლიანად გაიღიმა.

— სირბილაძეები აქ აღარ ცხოვრობენ, — თქვა, — ქალბატონი ნინოს გარდაცვალების შემდეგ ზურაბმა სახლი ჩვენ მოგვყიდა. ამბობენ, დონბასში გადასახლდაო. უფრო მეტს გიამბობთ მისი მეგობარი ხარაზი, რომლის ჯიხური

ჩვენი ქუჩის ბოლოში, აფთიაქის გვერდით დგასო.

ხარაზი მაშინვე მოვძებნე. ბერძენი აღმოჩნდა. მისგან მართლაც ბევრი რამ შევიტყვე.

— ბოლო დროს ზურაბი ბევრს სვამდა. ამიტომ ჰყიდდა ბაბუამისის ძვირფასი ბიბლიოთეკის წიგნებს. ერთხელაც, სახლი რომ უნდა გაეყიდა, ნაგვის მანქანა მოიყვანა და დიდძალი ხელნაწერები და ქაღალდები გაატანა, რაშიც ოცი მანეთი გადაიხადა. მერე სახლიც გაყიდა და დრანდაში დაიდო ბინა. მაგრამ იქაც არ გაჩერებულა დიდხანს. უკრაინაში წავიდა, მგონი დონბასში, სადაც მანამდე ცხოვრობდა.

რა უნდა მეღონა. უნდა გამეგრძელებინა კვლევა-ძიება, მაგრამ რომელ გზას უნდა დავდგომოდი. ბევრი რამ არ ვიცოდი ხარლამპი სირბილაძის შესახებ, კერძოდ, სად დაიბადა, როგორ ოჯახში, ვინ ასწავლა ჭადრაკი, ვისთან პაექრობდა, სად მსახურობდა, როდის გარდაიცვალა და სხვ.

პირველ ყოვლისა, დახმარებისთვის მივმართე "ლელოს". მკითხველებს: დიდი იმედი მაქვს-მეთქი თქვენი, ვინც წაიკითხა ჩემი წერილები და დაინტერესდა ხარლამპი სირბილაძის ცხოვრება-მოღვაწეობით, გთხოვთ ამომიდგეთ მხარში ამ ქართველი მოჭადრაკის გამქრალი კვალის საძიებლად. ნუ დავუკარგავთ-მეთქი ქართულ ჭადრაკს ამ ღირსეულ რაინდს.

როცა იმედი გადამეწურა და მეგონა, რომ უკვე ველარაფერს მივაკვლევდი იმაზე მეტს, რაც "ლელოში" დავწერე ხარლამპი სირბილაძის შესახებ, სწორედ მაშინ გამიღიმა ბედმა. შემთხვევით როდი ვამბობ ბედმაო. ხომ შეიძლება ამალია დიმიტრის ასულ სირბილაძე-ნიჟარაძისას არ წაეკითხა ბიძამისზე გამოქვეყნებული წერილები და არაფერი სცოდნოდა ჩვენს კვლევა-ძიებაზე.

— არ დაგიმალავთ, ოთხი მცირეწლოვანი შვილის დედა და მოსამსახურე ქალი ადრე იშვიათად ვკითხულობდი "ლელოს", — გულახდილად გვითხრა ქალბატონმა ამალიამ. — ახლა სხვა საქმეა. ჩემი უფროსი ვაჟი მალხაზი, გურჯაანის დეპოს ზეინკალი, დაუსწრებლად სწავლობს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ფეხბურთის სპეციალობაზე და ამიტომ სპორტული პრესა ყველას გვაინტერესებს.

როგორც კი გაზეთში დასრულდა ხარლამპი სირბილაძისადმი მიძღვნილი წერილების ბეჭდვა, ამალია სირბილაძემ მაშინვე მოაშურა რედაქციას ძველი ფოტოებით და საბუთებით. იგი ჩამოვიდა გურჯაანიდან, სადაც ცხოვრობს და ექთნად მუშაობს რკინიგზის პოლიკლინიკაში.

— ვიცოდი, რომ ხარლამპი ბიძიას დავიწყება არ ეწერა. ის საოცრად კეთილშობილი კაცი იყო, — მღელვარებას ვერ მალავს დარბაისელი მანდილოსანი. — მიხარია, რომ შესაძლებლობა მეძლევა პატივი მივაგო მის ნათელ ხსოვნას და თქვენც დაგეხმაროთ.

ქალბატონმა ამალიამ დაწვრილებით მიამბო ყველაფერი, რაც სირბილაძის, მისი ოჯახის შესახებ იცოდა. გაიხსენა თავისი მშობლები — დიმიტრი სირბილაძე და ბარბარე მაჩაიძე, რომელთაც გულითადი მეგობრობა აკავშირებდათ ხარლამპისთან. ხარლამპი რომ გარდაიცვალა, ჩვენი სტუმარი 9 წლის ყოფილა, ამიტომ ბევრი რამ მის შესახებ დედის ნაამბობიდან იცოდა.

— პაპაჩემი ვასო სირბილაძე ქუთაისის მაზრის სოფელ გურნიდან იყო, — გვიამბობს ამალია სირბილაძე. — მას და სხირტლაძის ქალს სამი შვილი ჰყავდათ — ხარლამპი, ევგენია და დიმიტრი. ხარლამპი მამაჩემზე ცხრა წლით უფროსი იყოო, ამბობდა დედა. აი, მამის დაბადების მოწმობა, სადაც წერია, რომ დაიბადა 1871 წელს, მაშასადამე, ხარლამპი 1862 წელსაა დაბადებული.

მართლაც, ამ საბუთის მონაცემს ზუსტად ემთხვევა მ. საყვარელიძის წიგნში ("ჭადრაკი") მოყვანილი ცნობა, რომ 1926 წელს ხარლამპი 64 წლისა იყო.

— როცა ბავშვები წამოიზარდნენ, პაპა ქუთაისში დასახლდა. ნადიაკვნარმა მაზრის მწერლად დაიწყო მუშაობა. ამან საშუალება მისცა შვილებისათვის კარგი განათლება მიეცა. ბიჭები პეტერბურგში გაგზავნა სასწავლებლად. ხარლამპიმ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მთელი კურსი მოისმინა. მამაჩემმა კი გზათა (რკინიგზის ტრანსპორტის) ინსტიტუტის დამთავრების დიპლომი მიიღო. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ხარლამპი ჯერ ქუთაისში მსახურობდა "მიროვოი სუდიად", მერე თბილისში უმაღლეს სასამართლოში. ხარლამპი ადრე დაქვრივდა. მისი ერთადერთი ვაჟის, პატარა ვახტანგის აღზრდაში პაპა ეხმარებოდა, რადგან ცოლი აღარ შეურთავს. ვახტანგიმ ჩინებული იურიდიული განათლება მიიღო, უცხო ენებიც იცოდა. იგი 1937 წლის რეპრესიებმა იმსხვერპლა. მისი შვილი ზურაბი, როლის კვალსაც თქვენ სოხუმში ეძებდით, თითქმის ჩემი კბილაა. როცა თბილისში ჩამომიყვანდნენ, ერთად ვთამაშობდით.

მამაჩემი ჯერ საგარეჯოს, მერე გურჯაანის რკინიგზის სადგურის უფროსად მსახურობდა. ხარლამპი ბიძია შვებულებას მუდამ ჩვენთან ატარებდა. ძმებს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, სწორედ იმ დროს მინახავს ხარლამპი ჭადრაკის

დაფასთან. გურჯაანში მისი უცვლელი მეტოქე იყო ექიმი კოლია ჯუღელი, ჩვენი სახელგანთქმული ტანმოვარჯიშე ქალის მზია ჯუღელის მამა. მზიას დედაც ექიმი გახლდათ, სტომატოლოგი. ეს სათნო მანდილოსანი მოთმინებით, საათობით ელოდებოდა ხოლმე ჭადრაკის თამაშით გატაცებულ მეუღლეს.

და ქალბატონმა ამალიამ მაჩვენა ფოტოსურათი, სადაც პატარა მზია დედასთან ერთად იყო გადაღებული.

— ოჯახში რელიკვიად შემოგვრჩა ხარლამპის ნაქონი ჭადრაკის არასრული კომპლექტი. მისი წიგნები, ხელნაწერებიც გვქონდა. დასანანია, რომ ვერ მოვუარე.

ჩამოგიტანეთ ერთი ძველი სურათი, რომელიც 1908 წელს უნდა იყოს გადაღებული კრასნოვოდსკში (თურქმენეთი), სადაც მამაჩემი ერთხანს სადგურის უფროსად მუშაობდა. ჩანს, ეს სურათი მასთან მამის, ძმისა და ძმისშვილის სტუმრობის დროსაა გადაღებული. ხარლამპის სხვა ფოტო არ შემომრჩენია.

1937 წელს, ვახტანგის დაღუპვის შემდეგ, ხარლამპი მუდამ გულჩათხრობილი, მოწყენილი დაიარებოდა. სევდამ სიცოცხლე მოუსწრაფა. გარდაიცვალა 1939 წელს, შემოდგომაზე. ეს დღე კარგად მახსოვს. დაკრძალვის დღეს ბევრი ხალხი შეიკრიბა კუკიის სასაფლაოზე. ამის

სურათზე: მარცხნიდან — ხარლამპი ხირბილაძე, მისი ვაჟი ვახტანგი, მამა — ვასო და ძმა დიმიტრი.

შემდეგ მისი რძალი და შვილიშვილი სოხუმში გადასახლდნენ.

სამწუხაროდ, ხარლამპიზე, როგორც მოჭადრაკეზე, ვერაფერს ვიტყვი, რადგან თავად არ მოვსწრებივარ. დედა მიამბობდა, რომ ხარლამპი სიკეთით სავსე დარბაისელი კაცი იყო. საუბრობდა მადლიანი ქართულით, უყვარდა სტუმრები, მოლხენა. მისი მეგობრები იყვნენ ქართული ლიტერატურისა და თეატრის თვალსაჩინო მოღვაწენი. თურმე ძალიან დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ქვეყნის საჭადრაკო ცხოვრებას, მუდამ რაღაცას ჭრიდა და იწერდა ჟურნალ-გაზეთებიდან, თავადაც წერდა. ეს ის ნაწერებია ალბათ, თქვენ რომ აღარ დაგხვდათ სოხუმში. იქნებ მიაგნოთ კიდეც ხარლამპის პარტიებს, ეპისტოლარულ მემკვიდრეობას, თქვენ ხომ ჩემს სტუმრობასაც არ ელოდით.

როგორ წარმოვიდგენდი, თუ სამ ათეულ წელს (1953-1983 წწ.) გაგრძელდებოდა ჩემი ძიება და მხოლოდ ამის შემდეგ მივაკვლევდი ქართველი მოჭადრაკის ხარლამპი სირბილაძის ცხოვრების ასავალ-დასავალს. ამჯერად დიდი სამსახური გამიწია ქალბატონმა ამალია სირბილაძემ. დიდი მადლობა მას.

ამ მონათხრობით არ ამოიწურება ჩვენი კვლევა-ძიება. მოჭადრაკის სახეს ქმნიან მისი ნათამაშები პარტიები, აზრები, ანალიზები. სამწუხაროდ, სირბილაძის პარტიების ჩანაწერებს ჯერ ვერ მივაკვლიეთ. იქნებ ისინი სადმე ინახება? მათი მიგნება და გამომზეურება უდავოდ გაამდიდრებს ქართული ჭადრაკის წარსულს.

1983 წ.

ქართული საჭადრაკო პრესის ისტორიისთვის

ქართული საჭადრაკო პრესის წარსულსა და აწმყოს აქამდე არ მიუქცევია ჩვენი ჟურნალისტიკის ისტორიის ყურადღება. ალბათ დადგა დრო მივხედოთ მას. გთავაზობთ მოკლე მიმოხილვას.

საჭადრაკო პრესა – ესაა გაზეთები, სპეციალური ბიულეტენები, ჟურნალები და წიგნები (რეპორტაჟები, ცნობარები, ლექსიკონები და სხვ.). ყველაფერი ეს ჩვენში მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა. მანამდე, XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან ქართულ გაზეთებში მხოლოდ საჭადრაკო ინფორმაცია იბეჭდებოდა, ისიც ძალიან იშვიათად.

საინტერესოა, რომ XIX საუკუნის ქართულ გაზეთებში საჭადრაკო ინფორმაცია მხოლოდ 1830, 1873 და 1893 წლებში დაისტამბა. გავეცნოთ მათ.

პირველი ინფორმაცია დაიბეჭდა თბილისის პირველ გაზეთში "ტიფლისკიე ვედომოსტი"-ში (1830 წ., №2), სადაც ვკითხულობთ: ახალი წლის წინ ბევრ ოჯახში ქალები ჭადრაკით ერთობიანო. ეს ინფორმაცია მოწოდებული იყო როგორც სიურპრიზი.

მეორე ინფორმაცია გამოაქვეყნა გაზეთმა "დროებამ" (1873 წ.). იგი პარიზიდან გამოეგზავნა გაზეთის საკუთარ კორესპონდენტს, ცნობილ ჟურნალისტ დ. მიქელაძეს (მეველე) მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოებისთვის ეუწყებინა ანდრია დადიანის გამარჯვების შესახებ დიდოსტატ ს. როზენტალის ერთდროული თამაშის სეანსში.

საინტერესოა, რომ დ. მიქელაძე კორესპონდენციას ასე ამთავრებს: "მე სხვებივით არ ვფიქრობ, რომ ჭადრაკის თამაში საზრახისი საქმე იყოს, მაგრამ ბევრად უფრო სასიამოვნო იქნებოდა, რომ რაიმე სამშობლოს სასარგებლო მოქმედებით გაითქომდნენ სახელს ჩვენი თავადები".

ამ სიტყვებში ნათლად ჩანს მაღალი ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ჭადრაკისადმი. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ მაშინ მამა-პაპათა თამაში ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ აღიარებული საზოგადოების მიერ.

1893 წლის შემოდგომაზე რამდენიმე ინფორმაცია დაისტამბა ილია ჭავჭავაძის "ივერიაში". იმხანად პეტერბურგში მიმდინარეობდა მსოფილო ჩემპიონობის პრეტენდენტების მ. ჩიგორინისა (რუსეთი) და ზ. ტარაშის (გერმანია) მატჩი. სპორტული სამყარო დიდი ინტერესით

ადევნებდა თვალს ამ შეხვედრას. "ივერიაც" რეგულარულად აშუქებდა ამ ორთაბრძოლის მსვლელობას.

მატჩი რომ დამთავრდა (9:9), "ივერიაში" (1893 წ., №239) გამოქვეყნდა ხელმოუწერელი ვრცელი შემაჯამებელი წერილი. იგრძნობოდა, რომ მისი ავტორი ჭადრაკში კარგად გათვითცნობიერებული კაცი იყო.

აი, ეს წერილი:

"პეტერბურგში, როგორც უწყიან მკითხველებმა, ამჟამად დიდი საერთაშორისო, რუსეთ-გერმანიის ბრძოლაა ფიცარზედ. მთელი ევროპა და ამერიკა ღიდის გაუაციცებით აღევნებს თვალს ამ ბრძოლას. საბღვარგარეთ 300-მდე მოჭადრაკის გაბეთი და ყურნალი იბეჭდება, რომელთაც დაწერილებით მისდით დეპეშები ამ ბრძოლის შესახებ. ნიუ-იორკიდან და ჩიკაგოდან საგანგებოდ ამ ჭადრაკის ბრძოლის გამო ორი კორესპონდენტია ჩამოსული. ეს მშვიდობიანი ბრძოლა ჭადრაკის კლუბში სწარმოებს. ამ კლუბის წევრთა შორის ბევრი მოიპოვება შეძლებული, გამოჩენილი და შესანიშნავი კაცი. თვით კლუბის სადგომი სუფთად და ლამაზთანად არის მოწყობილი. ბრძოლის დროს კლუბში დიდძალი საზოგადოება იყრის თავს, მაგრამ ყველანი მეტად მართებულად იქცევიან, ანდა სიჩუმეს არაურით არღვევენ.. კედლებზე მიკრულია დაბეჭდილი განცხადებანი, რომელნიც საზოგადოებას უმორჩილესად სთხოვენ ხმადაბლა ბაასს და ლაპარაკს.

თვით მებრძოლნი, ჩიგორინი და ტარაში ცალკე ოთახში იმყოფებიან, სადაც გარეშე კაცთ აკრძალული აქვთ. ამ ჭადრაკის წმიდათ-წმიდაში, მოთამაშეთა გარდა იმყოფებიან მხოლოდ ამორჩეული მოსამართლენი. საზოგადოებას კი მაინც შეუძლია თვალყური აღევნოს იმათს თამაშობას. ღარბაზში რამდენიმე ღიდი ფიცარია ჭადრაკისა და ჭადრაკის კაცები ზედ მაგიერებით არის მიმაგრებული, ყოველი ნაბიჯაშეი, ამ ფიცარზედაც აღნიშნება ხოლმე. საბოგადოება ღიდი გაუაციცებით ღასჩერებია ამ ფიცრებს. ყველა მაოგანი იმის სჯაშია, ენახოთ ესლა რომელი "ჭადრაკის შეუე", რომელი ჭადრაკის კაცს ღასძლევს და აღგილს შეუცელისო.

ტარაში მუდმივი მაცხოვრებელია ნიურნბერგისა. ხელობით ექიმია და ფორტეპიანოზედ დაკვრაც კარგად იცის. ტარაში შუახნის კაცია, ჩუმი და ჩაფიქრებული. ჩიგორინი ორმოც წელს გაღაცილებულია, პირსმელი, შავგვრემანი სახე აქვს, წვერულვაშით შემკული. მისი ღრმა თვალები გონიერად, ფიქრიანად და მტკიცედ გამოიხედებიან. ჩიგორინის ამბები მართალა, რომ იშვიათი ამბაეია. სამსახური დაიწყო ღეპარტამენტის ერთ პაწია მოხელეს თანამდებობაზედ, შემდეგ თავი ღაანება სამსახურს და ჭადრაკის მეტს აღარ მიპკარებია. ეხლა ჭადრაკიეეა მისი სახსარი საცხოვრებელ საბრდოს მოსაპოვებლად. მხოლოდ თავისი ნიჭის წყალობით არსებობს. ეს შეიძლება ბევრს ცოტა ეუცხოეოს და იკითხოს, ჭადრაკის ფიცარმა რა ღუმაპური უნდა მისცეს ადამიანსო? ჯერ ერთი, ჩიგორინს საბღვარგარეთ იბარებენ ხოლმე. როგორც შესანიშნავ მოჭადრაკეს. ორჯერ იყო კუნძულ კუბაზედ, მთელს ქვეყანაში ცნობილს პავანის კლუბს ღიდი შეძლება აქვს, ჩიგორინს ხარჯს მისი ღამბარებელი ჭადრაკის საბოგადოებანი აძლევენ. პავანის კლუბი კიდევ ჩიგორინს აძლევს 500 მანეთსა საცხოვრებლად, და ამას გარდა 20 მანეთი ყოველ წაგებაზე ეძლევა, 50 მანეთი მოგებაზედ. ამის გარეშე ჩიგორინს მცირეოდენი წილი უწევს იმ სანაძლეოში, რომელსაც იმის გამო იჭერენ.

ჩიგორინისა და ტარაშის ეხლანდელი გამკლავების გამო ორასი თუმანია სანაძლეოდ ღადებული. ტარაში თავის მხრით თითოს არის ჩამოსული ფულს. ჩიგორინის ნაწილი კლუბის წევრთ შეუგროვებიათ თავისთა შორის. ჯერჯერობით ბევი უცხოეთიდან ჩამოსულს ულიმის. ორივე მოჭადრაკენი ღიდად ხელმძიმედ თამა-

შობენ და ღიღი მოთმინება უნდა ქქონდეს კაცსა, რომ იმათ აღეკვნოს თავალ-ყური

თითო თამაშობას 5-7 საათს უნდებიან. საქმის მცოდნენი ამბობენ, რომ ეკვნი კიდეე სწრაფად თამაშობენ და საბუთად მოიყვანეთ ამბავი სტეინიცის, რომელსაც ერთის თამაშობისთვის სამი ღღე მოუნდომებია – 51 საათი.

ჩიგორინს უსაყვედურებენ "გულისყურის მოდუნებას" და უცნაური შეცდომის ჩადენას. ტარაშის გამარჯვება ჩიგორინს საშინლად უხდენს გუნებას როდესაც დაატყობს სოლმე თავს, რომ აღარა ეშველება რა, უცბად წამოიწევს და ხმამაღლა გარკვევით ამბობს: ჩემს თავს ღამარცხებულად ვსთვლი.

ამის შემდეგ კლუბში ღიღი მოწყენა ჩამოვარდება ხოლმე. თავჩაქინდრული კლუბის წევრნი არყის დასალევად გადიან. გერმანელების სიხარულს საზღვარი არა აქვს.

როგორც გუშინ ვაუწყეთ მკითხველებს, ჩიგორინისა და ტარაშის გამკლავებამ ვერც ერთი ვერ გაამარჯვა და ვერც მეორე, რადგან თანასწორად მოიგეს".

ასე საინტერესოდ ჭადრაკსა და მოჭადრაკეთა შესახებ არაფერი დაწერილა XIX საუკუნის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ბუნებრივია, დავინტერესდეთ თუ ვინაა ამ წერილის ავტორი. მკვლევრების (ვ. სიდამონიძე) აზრით, იგი ილია ჭავჭავაძე უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ ყველამ კარგად ვიცით ჭადრაკისადმი მისი დამოკიდებულება. ასეთი წერილი ამდიდრებს ქართულ საჭადრაკო ჟურნალისტიკას.

ყოველდღიური ქართული გაზეთების ფურცლებზე ჭადრაკი მხოლოდ XX საუკუნის 20-იან წლებში გამოჩნდა. რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ინფორმაციები სხვადასხვა ტურნირის მიმდინარეობის თაობაზე.

მაგრამ მოსკოვის პირველი (1925 წ.) საერთაშორისო ტურნირის შემდეგ საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა ჭადრაკისადმი ინტერესი და ლტოლვა. მას მოჰყვა ის, რომ გაზეთებმა შემოიღეს "ჭადრაკის კუთხე", რომლებშიც მასალა ცნობილი მოჭადრაკეების რედაქციით იბეჭდებოდა. "კუთხეში" სადღეისო ინფორმაციასთან ერთად იყო ოსტატთა პარტიები შენიშვნებით, უცხოელი და ადგილობრივი ავტორების ამოცანები და ეტიუდები, მათ ამომხსნელთა კონკურსების შედეგები და პასუხები შეკითხვებზე.

20-30-იან წლებში ამ კუთხეებს უძღვებოდნენ: ვ. გოგლიძე ("კომუნისტი"), გ. ლევენფიში, ნ. სოროკინი ("ზარია ვოსტოკა"), კ. ღამბარაშვილი ("ახალგაზრდა კომუნისტი"), ა. ფალავანდიშვილი ("მუშა", "ფიზკულტურელი"), ი. მალუნცევი ("მოლოდიო სტალინეცი"), ი. კალანდაძე ("განათლების მუშაკი") და სხვ.

ზოგი გაზეთი ჭადრაკის ისტორიის საკითხებზეც წერდა. მაგალითად, ა. ფალავანდიშვილმა ჭადრაკის სწავლებაც შემოიღო. ვრცელ წერილებს აქვეყნებდა. მაშინ საჭადრაკო ლიტერატურის "შიმშილი" იგრძნობოდა, რადგან არ არსებობდა სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, თუ მხედველობაში არ

მივიღებთ მ. საყვარელიძის მოკლე სახელმძღვანელოს "ჭადრაკს".

1936 წლის 27 ოქტომბერს "ახალგაზრდა კომუნისტში" კ. ღამბარაშვილმა დააყენა საკითხი ქართულ ენაზე ჭადრაკის გაზეთის გამოცემის თაობაზე. მაგალითად მოჰყავდა უკრაინა, სადაც იმავე წლის 5 ოქტომბერს გამოვიდა გაზეთი "შახისტი" (№1) უკრაინულ ენაზე. აღნიშნავდა, თუ როგორი უნდა იყოს ქართული გაზეთი – მასობრივი, ფართო ინფორმაციის შემცველი, მკითხველის საჭადრაკო კვალიფიკაციის ამამაღლებელი, საჭადრაკო კომპოზიციის ცოდნის გამავრცელებელი და სხვ.

ამის გამოხმაურებად შეიძლება მივიჩნიოთ 1938 წლის გაზეთ "ფიზკულტურელის" ორგვერდიანი დამატება "ჭადრაკი და შაში". დამატება ორ კვირაში ერთხელ უნდა გამოსულიყო, მაგრამ ოთხი ნომრის შემდეგ "სული განუტევა". შეწყვეტის მიზეზები უცნობია.

რაც შეეხება სახელმძღვანელოს, 1940 წელს გამოვიდა ა. ებრალიძის მიერ თარგმნილი მ. ეივეს "ჭადრაკის ლექციების კურსი".

მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც გაზეთებში "ჭადრაკის კუთხე" არსებობდა. იგი ჰქონდათ "კომუნისტს" (ვ. გოგლიძე, გ. გამრეკელი), "ზარია ვოსტოკას" (ნ. სოროკინი), "ახალგაზრდა კომუნისტს" (გ. მახარაძე, გ. გამრეკელი), "თბილისს" (გ. ნადარეიშვილი), "ლელოს" (თენ. გიორგაძე, ვ. ნეიძე), "სოფლის ცხოვრებას" (თენ. გიორგაძე), "მოლოდიოჟ გრუზიი"-ას (ვ. კალანდაძე), "ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი" (ი. აკობია) და სხვ. 90-იან წლებში "საქართველოს რესპუბლიკაში" ჭადრაკს უძღვებოდნენ შ. ინწკირველი და ვ. კალანდაძე, "ახალგაზრდა ივერიელში" და "სვობოდნაია გრუზიაში" – თენ. გიორგაძე, "ლელოში" – გ. გამრეკელი.

ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა "სოფლის ცხოვრების" "საჭადრაკო კლუბი", რომელიც 1960 წლის 22 სექტემბერს გაიხსნა. ორმოცი წლის არსებობის მანძილზე კლუბში 648 გამოშვება დაიბეჭდა.

უთუოდ კარგი საქმე გააკეთეს "ჭადრაკის კუთხეებმა", მაგრამ საჭადრაკო ჟურნალისტიკას ყველაზე მეტად პროფესიული გაზეთის არსებობა აინტერესებდა. ეს რომ ხელეწიფებოდა ქართველ ჟურნალისტებს, თვალნათლივ დაანახა საზოგადოებას ცნობილმა სპორტულმა ჟურნალისტმა, იმდროინდელი "ლელოს" რედაქტორმა მიხეილ კაკაბაძემ, როცა "ლელოს" 1951 წლის 23 მაისის ნომერი მთლიანად ჭადრაკს დაუთმო. ეს უპრეცენდენტო იყო. მაგრამ ჭადრაკის გაზეთი მხოლოდ 1984 წლის 26 ივლისს "დაიბადა", როგორც "ლელოს" საჭადრაკო

დამატება სახელწოდებით "მერანი".

მანამდე, 1971 წელს გამომცემლობა "განათლებამ" (დირექტორი ხუტა ბერულავა) შემოიღო მეთოდური ბიულეტენი "ჭადრაკი" (რედაქტორი გ. ნადარეიშვილი), რომელსაც მოჭადრაკეებმა "ალმანახი" შეარქვეს. 1971-1976 წლებში ჟურნალის თერთმეტი ნომერი გამოვიდა. იგი კარგ ქაღალდზე იბეჭდებოდა. სავსე იყო აქტუალური მასალებით საჭადრაკო ცხოვრებიდან. ჟურნალის ოთხ წამყვან განყოფილებას უძღვებოდნენ ბ. გურგენიძე, ე. გუფელდი, თენ. გიორგაძე და ვ. ნეიძე.

"მერანის" დაარსებას დიდი ამაგი დასდეს იმდროინდელმა მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ და "ლელოს" რედაქტორმა ა. გოგელიამ. საქართველოს სპორტკომიტეტის ბრძანებით გაზეთის რედაქტორობა ამ სტრიქონების ავტორს დაევალა. მაგრამ ზემდგომი ხელმძღვანელობის სურვილით, რომ ჩემპიონი ქალიც გამოჩენილიყო "ტიტრებში", აღინიშნებოდა თითქოს იგი მთავარი რედაქტორი იყო. სხვათა შორის, ეს "ტრადიცია" მერეც (1987 წ.) გრძელდებოდა რედაქციიდან ჩემი წამოსვლის შემდეგ. მაია იხსენიებოდა რედაქტორად, თუმცა სინამდვილეში გაზეთს რედაქტორობდნენ ჟურნალისტები არჩილ გოგოლაშვილი და დავით ჭელიძე.

დიდ საქმეს ეწეოდა "მერანი". ჭადრაკის პოპულარიზაციის პარალელურად, იგი ისტორიას უნახავდა საშვილიშვილო მოვლენების მასალებს (ქალთა მსოფლიო პირველობა, სსრ კავშირის ჩემპიონატები და ბევრი სხვ.).

"მერანმა" 1990 წელს შეწყვიტა გამოსვლა. კიდევ ერთი წელი აცოცხლა იგი ცნობილმა ჟურნალისტმა გიგლა გობეჩიამ, როგორც დამოუკიდებელი გაზეთი, მაგრამ უსახსრობამ მასაც ხელი ააღებინა გამოცემაზე.

1994 წელს გ. გობეჩიამ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთან ერთად სცადა "მერანის" აღდგენა, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ ერთი ნომრის გამოცემა შეძლო.

როგორც 1980 წელს "კომუნისტში", ისე 1996 წელს "საქართველოს რესპუბლიკაში" ჭადრაკის გაზეთის გამოშვების თაობაზე დააყენა საკითხი ჟურნალისტმა გ. მახარაძემ. ამას მოჰყვა ის, რომ 1996 წელს "საქართველოს რესპუბლიკამ" (მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე) დააარსა დამატება "ლაზიერი" (რედაქტორი დავით გურგენიძე). დღემდე დამატების 40-ზე მეტი ნომერი გამოვიდა.

ერთი პერიოდი ჭადრაკის ჟურნალიც გვქონდა. 1997 წელს იგი დააარსა გამომცემლობა "დედაენამ" (დირექტორი ვალერი მესხიშვილი) სახელწოდებით "ჭადრაკის სამყარო" (მთავარი რედაქტორი თენ. გიორგაძე). ცხრა ნომრის შემდეგ ჟურნალის გამოსვლა შეჩერდა უსახსრობის გამო. 1999 წელს მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა "დედაენისა" და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მონდომებით, მაგრამ უფულობა კვლავ "სწვდა ყელში" გამომცემლებს და ისევ შეჩერდა ჟურნალის გამოცემა.

1992 წელს გორში გამოდიოდა პირველი ქართული ჟურნალი საჭადრაკო კომპოზიციაში — "შამათი" (მთ. რედაქტორი ვაჟა დადიანიძე). მხოლოდ ოთხი ნომერი დაიბეჭდა. იმავე წელს ჟურნალი დაიხურა უფულობის გამო.

1992-1999 წლებში თბილისში გამოდიოდა (თვეში ერთხელ, ტირაჟი 300 ეგზ.) საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების საჭადრაკო ასოციაციის გაზეთი "გამბიტი" (მთ. რედაქტორი ა. წილოსანი), რომელიც სტუდენტთა სპორტულ, მათ შორის მოჭადრაკეთა, ცხოვრებას აშუქებდა. 2000 წლიდან "გამბიტი" ჟურნალად გადაკეთდა (გამოდის ორ თვეში ერთხელ).

ქართულ საჭადრაკო პრესის დამსახურებას მიეკუთვნება 1956-1986 წლებში სპეციალური საჭადრაკო ბიულეტენების გამოცემა თბილისში სსრ კავშირის ჩემპიონატების, მსოფლიო პირველობის მატჩების და სხვა დიდი ტურნირების დროს. იგი 17-ჯერ გამოიცემოდა.

ბიულეტენები რუსულ ენაზე გამოდიოდა ტურნირის დროს 10-20 ნომერი თითოეული 15 ათასი ეგზ. ტირაჟით. ბიულეტენების რედაქტორები სხვადასხვა დროს იყვნენ მ. კაკაბაძე, თენ. გიორგაძე, გ. ბედინეიშვილი და ა. ფირცხალავა.

საჭადრაკო პრესას მიეკუთვნება აგრეთვე ჩვენში დიდი ტურნირების დროს თბილისის ჭადრაკის სასახლის მიერ გამოცემული პროგრამები (დაიბეჭდა 30-ზე მეტი ბროშურა საერთო ტირაჟით 60 ათასამდე ეგზ.). ამ გამოცემებზე დაწვრილებითაა ნაამბობი თენ. გიორგაძის წიგნში "საჭადარკო ლიტერატურა საქართველოში" (თბილისი, 1991 წ.).

აი, ასეთია მოკლედ საქართველოს საჭადრაკო პრესის წარსული და აწმყო. რა თქმა უნდა, იგი შემდგომ სერიოზულ შესწავლას მოითხოვს.

მოგონებები

ვიქტორ გოგლიძე

ვიქტორ გოგლიძე (1905-1964) იყო პირველი ქართველი ოსტატი, მრავალი ტურნირის პრიზიორი, მთავარი მსაჯი, 1936-1953 წლებში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე. 1957 წელს მისი თაოსნობით თბილისში, პირველად საბჭოთა კავშირში, ბავშვთა სპეციალიზებული საჭადრაკო სკოლა გაიხსნა.

ვიქტორ გოგლიძე პირველად ვნახე 1935 წელს მოსკოვში, პირადად კი თბილისში 1940 წლის შემოდგომაზე გავიცანი.

1935 წლის გაზაფხულზე მოსკოვში დიდი საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობდა. ტურნირს შნოსა და ლაზათს აძლევდა კორიფეების ე. ლასკერის, ხ.რ. კაპაბლანკას, მ. ბოტვინიკის, ს. ფლორის და სხვების მონაწილეობა. ამ რჩეულთა შორის ვიქტორ გოგლიძეც იყო. მთელი მოსკოვი ამ ტურნირზე ლაპარაკობდა.

ამ დროს ვცხოვრობდი მოსკოვში. მამა ფოლადის ინსტიტუტს ამთავრებდა. მე უკვე ვიცოდი ჭადრაკის თამაში. წინა წელს, 9 წლისამ დავაჭაშნიკე იგი. ძალიან რომ მომეწონა, მამამ ჭადრაკის კომპლექტი მიყიდა (მაშინ იგი საკმაოდ ძვირი ღირდა, ისიც სტუდენტური ოჯახისათვის). მთელ დღეებს სტუდქალაქის თანატოლებს ვეპაექრებოდი. ბიჭებმა "ჩვენი გოგლიძე" შემარქვეს.

ერთხელაც მამას ვთხოვე წავეყვანე ტურნირზე და გამეცნო ის "ვიღაც" გოგლიძე. სურვილი ამისრულა. პუშკინის სახელობის მოსკოვის სახვითი ხელოვნების მუზეუმი, რომლის დარბაზებში მოჭადრაკეები თამაშობდნენ, მაყურებლებით პირთამდე სავსე დაგვიხვდა. თურმე იმ დღეს დასკვნითი ტურის შეხვედრები მიმდინარეობდა.

ჩემით დავიწყე გოგლიძის ძებნა. რაკი პირადად არასოდეს მენახა, მაგიდებზე მიკრულ წარწერებს ვკითხულობდი — ლილიენტალი, შტალბერგი, ბოტვინიკი, რაგოზინი... და აი, გოგლიძე. გამიხარდა, რომ ჩე-

ბით მიკავენი. ბავიდას ბრგე. გრუზა-ქოჩრიანი, შავვარემანი ვაუკაცი უჯდა. მომეწონა. ვიქტორი ისე იყო გატაცებული ბრძოლით, რომ ერთხელაც არ ამდგარა. დიდხანს ვუცადეთ მე და მამამ პარტიის დამთავრებას, მაგრამ ამაოდ. გვიან იყო, ბავშვებს არ აჩერებდნენ დარბაზში, ჩვენც წამოვედით შინ. გული დამწყდა, რომ ბიჭებთან ვერ დავიტრაბახებდი, გოგლიძე გავიცანი-მეთქი.

1940 წლის შემოდგომიდან თბილისში ვცხოვრობდი. ჭადრაკის კლუბში მიცნობდნენ, როგორც თანატოლებში საქართველოს ჩემპიონს. ეს ტიტული იმ ზაფხულს მოვიპოვე. ჩემპიონატში ზესტაფონის სახელით ვთამაშობდი, რაკი რაიონის მოსწავლეთა შორის ჩემპიონი ვიყავი. ჰოდა, როგორც ჩემპიონი, კლუბის დირექტორმა, სათნო მანდილოსანმა და ჩინებულმა მოჭადრაკემ ვარვარა ზარგარიანმა "გოგლიძის სკოლაში" ჩამწერა.

აღნიშნულ დღეს პირველ მეცადინეობაზე შევიკრიბეთ ტარიელ ვადაჭკორია, ანდრო ლეკიშვილი, იური ტკაჩენკო და სხვები. დღესაც თვალწინ მიდგას ახოვანი მუქლურჯ კოსტუმსა და თეთრ პერანგში გამოწყობილი ვიქტორი. მან სია ამოიკითხა და ყველას გაგვეცნო.

სხვათა შორის, უკვე მეორე თუ მესამე მეცადინეობაზე ვიქტორმა "ლექციის" წაკითხვა დამავალა – "ტარაშის დაცვა". გამიკვირდა. ჩანს, ვიღაცამ "დამაბეზღა", ჭადრაკის წიგნების კითხვა უყვარსო. უკვე მაშინ ვაგროვებდი წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, ბუკინისტებთანაც ვყიდულობდი.

მაგრამ მალე მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და "გოგლიძის სკოლა" დაიხურა.

***

1941 წლის აპრილიდან, საქართველოს IV ჩემპიონატის შემდეგ, ვიქტორი აღარ მონაწილეობდა ტურნირებში. იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა. იმის დროც არ ჰქონდა, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის სხდომები გაემართა, როგორც თავმჯდომარეს. ომისშემდგომ წლებში მან მხოლოდ სამჯერ მოიცალა ჭადრაკისათვის: 1946 წელს უმთავარმსაჯა საქართველოს VII ჩემპიონატს, პაულ კერესის მონაწილეობით რომ გაიმართა. 1949 წელს – სსრ კავშირის XVII ჩემპიონატს მოსკოვში, ხოლო 1950 წელს საბჭოთა მოჭადრაკეთა დელეგაციის თავკაცი იყო ბუდაპეშტში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირზე.

1953 წელს საბჭოთა კავშირში მომხდარი დიდი ფერისცვალება ვიქტორსაც შეეხო. იგი უმუშევარი დარჩა. სამუშაო რომ არავინ შესთავაზა, ჭადრაკს დაუბრუნდა.

ვიქტორ გოგლიძე სსრ კავშირის XXIV ჩემპიონატის (თბილისი, 1956 წლის ნოემბერ-დეკემბერი) მონაწილეებსა და მსაჯებს შორის მარცხნიდან – ხუდადან – გ. ბანერიანი, ვ. ანდერშანი, ი. ოუსტინენი, ა. ალოდიანი (მსაჯი), ე. ბეტრიანიანი, ვ. გოგლიძე (ანა), ვ. ბი (მსაჯი), ს. ფეტისანი, ბ. ბაურენფეიგ, ნ. ერეკეიანი, ს. ხალილბეილი, დგანან – ვ. ჩერ ხოვი, ა. ხარსანიშვილი, ი. კაკაბაძე (ორივე – მსაჯები), ლ. ალექსანდროვი, ფ. ბეიფელდი, ვ. ნუტაევი, ა. ბუხლაევი, ი. კოტკოვი, მ. ტალი, ა. კობლენცი

1954-1955 წლებში ვიქტორი ტურნირებში მონაწილეობს. 1954 წელს რიგაში "დინამოს" ღირსებას იცავდა სპორტსაზოგადოებათა საკავშირო გუნდურ პირველობაში. 1955 წელს ჯერ საქართველოს XVI ჩემპიონატში, მერე საკავშირო ზონალურ ტურნირში ითამაშა. აი, ამ ბოლო ორ ტურნირში ჩვენ პირველად და უკანასკნელად შევხვდით ერთმანეთს პირისპირ.

ვიქტორი ბუნებით ამაყი, პატივმოყვარე კაცი იყო. ამიტომ ეწყინა ჩემთან წაგება საქართველოს ჩემპიონატში. პოზიცია თანაბარი, საყაიმო აქვონდა, ყაიმი რომ შეკთავაზე. წინადადება არ მიიღო. მერე არაზუსტად ითამაშა და უპაიკოდ დარჩა. პარტია რომ დავამთავრეთ, მისაყვედურა: ყაიმი რომ არ შემოგეთავაზებინა, არ შევცდებოდიო. ზონალურ ტურნირში სწრაფად დავმარცხდი. მეფის გამბიტში ზედმეტად გაბედული ვიყავი. წაგებამოგებას არ გაუფუჭებია ჩვენი კეთილი ურთიერთობა.

***

ამის მერე ვიქტორი აღარ მონაწილეობდა ტურნირში. ბოლო საპასუხისმგებლო პარტია მან ითამაშა 1959 წელს მოსკოვში სსრ კავ-

შირის ხალხია სპარტაკიადაზე. როცა ფინალური ტურნირის ერთ მატჩში ალექსანდრე ბლაგიძე შეცვალა. ეს პარტია მან წააგო. რასაც მტკივნეულად განიცდიდა. თავს კიცხავდა. რატომ ვითამაშეო.

საერთოდ, ვიქტორ გოგლიძე პროფესიულად არ მისდევდა ჭადრაკს. ცხოვრება იყო ისეთი. პროფესიონალი მოჭადრაკე, მით უმეტეს ოჯახიანი, თავს ვერ გაიტანდა. ამიტომ ვიქტორი მოყვარულის, ოღონდ დიდი მოყვარულის დონეზე იყო გატაცებული ჭადრაკით.

სალო ფლორს, ვიქტორის დიდ მეგობარს, უთქვამს ჩემთვის:

– ვიქტორს ჰქონდა დიდოსტატის მონაცემები, საკუთარ კარიერაზე რომ ეზრუნა, მაგრამ ცხოვრება ბოჭავდა და მისი მზიური ტალანტი ვერ გამობრწყინდა.

ვიქტორი სი. მოვნებით თამაშობდა მსუბუქ პარტიებს. ასე იკმაყოფილებდა ჭადრაკის ჟინს. მინახავს მისი პაექრობა პაულ კერესთან თბილისში 1946 წელს.

***

1957 წელს ვიქტორმა მუშაობა დაიწყო. მისი თაოსნობით თბილისში, პირველად საბჭოთა კავშირში, გაიხსნა ბავშვთა სპეციალიზებული საჭადრაკო სკოლა. ყველა დიდი მოწონებით შეხვდა ამ კეთილ საქმეს. ვახტანგ ქარსელაძემ, რომელიც პიონერთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტს თავკაცობდა, 20 მოწაფე გადასცა. სკოლაში, რომელიც "დინამოს" ბაზაზე შეიქმნა, ვიქტორმა მწვრთნელებად თავისი მეგობრები – ჰენრიხ კასპარიანი, მიხეილ შიშოვი, პავლე ხიზანიშვილი და სხვები მიიწვია. ჩვენ მას "გოგლიძის აკადემია" შევარქვით. ეს "აკადემია" დღესაც არსებობს და ვიქტორ გოგლიძის სახელს ატარებს.

მახსენდება, იმ დროს ნონა გაფრინდაშვილი უმწვრთნელოდ დარჩა. ვიქტორმა წესების დარღვევით ნონასათვის "ერთმოწაფიანი ჯგუფი" გახსნა და მწვრთნელობა მიხეილ შიშოვს დაავალა. ვიქტორს სწამდა, რომ ნონას უთუოდ დიდი მომავალი ექნებოდა.

***

ვიქტორმა გარდაცვალებამდე (22.9.1964) იმუშავა ამ სკოლის დირექტორად. იმ წლებში ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. მიყვარდა მასთან მისვლა: იხსენებდა ძველ მოჭადრაკეებს, შეხვედრებს კორიფეებთან... შინ რომ ვბრუნდებოდი, ყველაფერს ვიწერდი. მერე ამ ჩანაწერების მიხედვით შევადგინე წიგნი "ცხოვრება ვიქტორ გოგლიძისა" (1985 წ.). ახლა კი ამ მოგონებებს ვწერ.

მაინტერესებდა, როგორ გახდა იგი პირველი ქართველი ოსტატი. ერთხელაც ვთხოვე ვიქტორს ეამბნა

ამის თაობაზე.

— თბილისში ნამდვილი საჭადრაკო ბუმი იყო, როცა საცხოვრებლად ჩამოვედი. იდგა 1925 წლის ზაფხული. ცხადია, მეც ჩავები საერთო ფერხულში. ფართო საზოგადოებრიობა დაინტერესდა ჭადრაკით. ეს იყო მოსკოვის პირველი დიდი საერთაშორისო ტურნირის გამოძახილი. — მიამბობდა ვიქტორი.

იმ წლებში (1926-1928 წწ.) თბილისისა და საქართველოს ჩემპიონატებს დაედო სათავე. იმრავლა სტუმარ-მოჭადრაკემ რუსეთიდან. მათთან პაექრობაში დავწინაურდი. გამიჩნდნენ გულშემატკივრები. ყველაზე მეტად მქომაგობდა ცნობილი პოეტი პაოლო იაშვილი. მას ძალიან უყვარდა ჭადრაკი. როგორც თავად უთქვამს: 1914 წელს პეტერბურგში გამოჩენილ დიდოსტატთა ტურნირს დასწრებია ტიციან ტაბიძესთან, კოლაუ ნადირაძესთან და ვალერიან გაფრინდაშვილთან ერთად. იგი ოცნებობდა ქართველებს ჩვენი ოსტატი გვყოლოდა. თვალი მე დამადგა. მაგულიანებდა, მაგრძნობინებდა თავის დაინტერესებას.

1928 წელს პაოლომ მომიწყო მატჩი ცნობილ მოსკოველ ოსტატ ნიკოლოზ გრიგორიევთან სპორტის ოსტატის წოდებაზე. მართალი რომ ვთქვა, სათამაშოდ მზად არ ვიყავი. მატჩის ორგანიზაცია სწრაფად მოხდა, მაგრამ უარის თქმა არ შემეძლო, რადგან დიდ ზრუნვასა და სიყვარულს ვგრძნობდი. ვთამაშობდით მწერალთა სახლში, რაც, ცხადია, პაოლომ გაახერხა. აურაცხელი მაყურებელი გვყავდა. რაც შემეძლო, მოვინდომე. ბოლო მეათე პარტია რომ მომეგო, პაოლოს გავახარებდი და ოსტატიც გავხდებოდი, მაგრამ დავმარცხდი. თუმცა, როგორც თავად გრიგორიევმა თქვა, პარტია ყაიმით უნდა დამთავრებულიყო. წარუმატებლობამ როდი გაუტეხა გული პაოლოს, პირიქით, აქეთ მამშვიდებდა. მეტი იმუშავე და აუცილებლად კიდევ ერთ მატჩს მოგიწყობო.

1929 წელს თბილისში დაიდო ბინა ცნობილმა მოსკოველმა ოსტატმა ვლადიმერ ნენაროკოვმა, რომელსაც სამი პარტია ჰქონდა მოგებული იმდროინდელ მსოფლიო ჩემპიონ ალიოხინთან. იმ წელს ნენაროკოვმა თბილისის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მისი თანხმობა რომ მიიღო ჩემთან მატჩის თამაშზე, პაოლომ საკავშირო ფედერაციაში დააჩქარა ნებართვა და 1930 წლის გაზაფხულზე შევხვდი ნენაროკოვს.

რა თქმა უნდა, ბრძოლაში კარგად მომზადებული ჩავები და შევძელი გამარჯვება — 7:4. პაოლოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მან საგანგებო წვეულება მოაწყო სასტუმრო "პალასის" (ახლანდელი ხელოვნების მუზეუმი) რესტორან-

ში, სადაც მოწინავე საზოგადოება ბიწვია. საზეიმო სუფრას დაესწრნენ ლადო გუდიაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ტიციან ტაბიძე, ვიქტორ დოლიძე, სანდრო ახმეტელი და სხვები. საბწუხაროდ, ყველა არ მახსოვს. ამ შეხვედრას ჩემი ორი მეგობარი ესწრებოდა საშა ფალავანდიშვილი და სოსო ბეგიაშვილი. როგორ შემიძლია იმის დავიწყება, რაც პაოლომ გამიკეთა.

პაოლო არც მერე მაკლებდა ყურადღებას. 1934 წელს ავსტრიელი ოსტატის ჰანს კმოხის მონაწილეობით ტურნირში რომ გავიმარჯვე, პაოლოს ამის აღსანიშნავი სუფრის თამადობა ვთხოვე. ეშმაკურად გამიღიმა და დამთანხმდა. თურმე სიურპრიზი ჰქონდა ჩაფიქრებული. მისმა ოქროპირობამ ყველა მოხიბლა. როცა ავსტრიელ სტუმარს (მისი სადღეგრძელო ფრანგულად წარმოთქვა) მადლობა უთხრა ტურნირში მონაწილეობისათვის, მერე ტორტი მიართვა კრემისგან ჩამოსხმული პოზიციით. არც ეს დაგავიწყდება კაცს. ბოლოს ისეთი ლექსი მიძღვნა, რომ ერთად შეადუღაბა პოეზია და ჭადრაკი. ალბათ გახსოვთ მისი ბოლო სტრიქონები:

არავის არ სძინავს ისე
აბნეულად
როგორც რომ ლექსის და
ჭადრაკის ოსტატებს!

ქართველ მოჭადრაკეებს ყოველთვის გვქონდა ბრალი, პოეტები, მეცნიერები, მსახიობები... ყველას, ვისაც სწამდა ჭადრაკის სიბრძნე, ეამაყებოდა თავისი ერის შვილის წარმატებები.

***

უფრო ახლოს გავიცანი ვიქტორი 1959 წლის ზაფხულს, როცა იგი მწვრთნელად გვახლდა საქართველოს ნაკრებ გუნდს რიგის ყურის ავარაკზე და სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაზე. მან შესანიშნავად შეკრა ნაკრები საწვრთნელ მეცადინეობებსა და მერე თვით სპარტაკიადაზე. ყველამ იგრძნო მისი ორგანიზატორული ნიჭი, საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობა, დისციპლინა და მიზნისკენ შეუდრეკელი ლტოლვა.

ჩვენი ნაკრები არ იყო განებივრებული ოსტატების რაოდენობით. მიუხედავად ამისა, ვიქტორმა თავისი რწმენით და თავგამოდებული ზრუნვით ისე "აგვათამაშა", რომ საქართველოს გუნდმა მეოთხე-მეხუთე ადგილები გაიყო დიდოსტატებისაგან შემდგარ რუსეთის ნაკრებთან. ეს უთუოდ დიდი წარმატება იყო.

ამ სპარტაკიადაზე მე ცუდად არ ვთამაშობდი. მაგრამ ვიქტორის "ბრალია" რომ მაშინ ოსტატი ვერ გავხდი. ბოლო ტურში ყაიმი მყოფნიდა, სპორტის ოსტატის ნორმა

რომ შემესრულებინა, მაგრამ ვიქტორმა არ მირჩია მოვლაპარაკებოდი ჩემს მეტოქე დიდოსტატ იგორ ბონდარევსკის, რომელსაც ვიცნობდი. "სამართლიანად, თავად უნდა მოიპოვო მოსაპოვებელი. რად გინდა დამადლებული ნახევარი ქულა, რომელიც სინდისის ქენჯნას დაგაწყებინებს", — მითხრა ვიქტორმა. ძნელია ასეთი გადამწყვეტი პარტიის თამაში, ისიც ძლიერ მეტოქესთან. ცხადია, ორდღიანი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც დავმარცხდი.

მოსკოვიდან რომ დავბრუნდით, ჩვენი ჭადრაკის ფედერაციის საგანგებო სხდომაზე, რომელიც სპარტაკიადის შედეგებს მიეძღვნა, ვიქტორმა საანგარიშო მოხსენებაში ვრცლად გააშუქა გუნდის და მისი თითოეული წევრის გამოსვლა. განსაკუთრებით აქო მოჭადრაკე ქალები:

— ჩემი აზრით, უკვე მომწიფდა ნონას გამოსვლა საერთაშორისო სარბიელზე. მას კი ამის არავითარი გამოცდილება არა აქვს. მოსკოვს ხომ არ უნდა ვუცადოთ როდის გაიღებს მოწყალებას და ასეთ ტურნირს გაგვიმართავს. დროა, ჩვენი მთავრობის წინაშე დავაყენოთ ქალთა საერთაშორისო ტურნირის გამართვის საკითხი, — ასე დაასკვნა თავის გამოსვლაში ვიქტორმა.

მას პირველმა ვახტანგ ქარსელაძემ დაუჭირა მხარი. სხვებიც გამოეხმაურნენ. ჭადრაკის ფედერაციის იმდროინდელმა თავკაცმა, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ჯაბუამ მოჭადრაკეთა სურვილი მალე აქცია საქმედ. უკვე 1960 წლის მაისში თბილისმა უმასპინძლა საქართველოს ქალთა პირველ საერთაშორისო ტურნირს, რომელიც მერე ტრადიციული გახდა.

***

ბავშვობაში გოგლიძის სკოლაში სწავლა რომ დავიწყე, პირველი, რამაც გამაკვირვა, ის იყო, რომ ვიქტორი რუსულად გვესაუბრებოდა. მაშინ არ ვიცოდი, რომ იგი დაიბადა და გაიზარდა უზბეკეთში. თბილისში მხოლოდ 1925 წლის ივლისში ჩამოვიდა. არც მერე მსმენია მისი ქართული. ოჯახშიც რუსულად ლაპარაკობდნენ. ვიქტორი განიცდიდა, რომ ქართული არ იცოდა. მას ყველაფერი ესმოდა, მაგრამ ცუდი მეტყველება სირცხვილად მიაჩნდა. ამიტომ რუსულად საუბრობდა. ერთხელ შემხვდა გახარებული.

— პედაგოგიური ინსტიტუტიდან მოვდივარ. როგორც იქნა ვოვა ქართულ სექტორზე გადავიყვანე, ოღონდ ერთი კურსით უკან დასწიეს. მართალია, წელს დაკარგავს, სამაგიეროდ მშობლიურ ენას დაეუფლება. ჩემსავით აღარ აღმოჩნდება ხოლმე უხერხულ მდგომარეობაში,

— მიამბობდა ვიქტორი.

იგი თავის ვაჟზე ვლადიმერ გოგლიძეზე მესაუბრებოდა. მისი ვარაუდი სწორი იყო. მათემატიკოსი და ჩოგბურთის ოსტატი ვოვა გოგლიძე კარგი მექართულე შეიქნა. ტელევიზიითაც გამოსულა როგორც საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

ჩვენ უკვე მეგობრები ვიყავით, ვიქტორი უხერხულ მდგომარეობაში რომ აღმოჩნდა ქართულის გამო.

ვიღაცამ მიუტანა ამბავი, რომ თითქოს "ლელოში" გამომექვეყნებინოს საკუთარი თავის საქებარი წერილი. ეს იყო ვიქტორის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარეობის დროს. გაბრაზებულა, მაგრამ ჩემთვის არაფერი უთქვამს. თავად პატიოსანი, სამართლიანი და თავის არგამომჩენი კაცი იყო, სხვებშიც მოსწონდა ეს თვისებები. ერთხელ შემახსენა ამ წერილის ამბავი. ვიცოდი, რომ იგი იშვიათად კითხულობდა ქართულ გაზეთებს, მათ შორის "ლელოსაც". ამიტომ ვთხოვე მოვიტან იმ გაზეთს ("ლელო", 27.2.1953), ერთად წავიკითხოთ და სიმართლესაც შეიტყობთ-მეთქი. მოვიტანე. წერილში ვაანალიზებდი ჩემს ერთ-ერთ პარტიას კრიტიკული მომენტიდან. მკითხველს ვუამბობდი, როგორ მივაგენი თამაშის სწორ გეგმას. ამაში საძრახისი არაფერი იყო... ვიქტორმა ისლა თქვა: გამაბრიყვესო. საშინლად ნაწყენი დარჩა. მერე უკვე სიტყვაზე არავის უჯერებდა.

***

განსაკუთრებით მიყვარდა ვიქტორის ნაამბობის მოსმენა დიდ მოჭადრაკეებზე. ყველაზე მეტად იგი კაპაბლანკას, მის შემოქმედებას აღმერთებდა. კუბელი დიდოსტატის ნათელი და ლოგიკური სტილი მაშინ ბევრს აჯადოებდა, თუმცა მერეც ჰყავდა მიმდევრები — ტიგრან პეტროსიანი, ანატოლი კარპოვი, რობერტ ფიშერი...

წარმოიდგინეთ, რა ბედნიერი იყო ვიქტორი, როცა თავის კერპთან ერთად მოსკოვის 1935 წლის დიდ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. უყვარდა ამ ტურნირზე საუბარი.

ერთხელ კაპაბლანკასთან მის შეხვედრაზე ვკითხე:

— არ დაგიმალავ, ვღელავდი, ვიღაცამ გამცა — თქვენი თაყვანისმცემელიაო. ეს რომ გავიგე, შევწუხდი. როგორ ვითამაშო. რას იფიქრებს-მეთქი, — მიამბობდა ვიქტორი.

შეხვედრისთვის ვიქტორი საგულდაგულოდ მოემზადა. მას ქომაგობდნენ მეგობრები პაოლო იაშვილი და საშა ფალავანდიშვილი, რომლებიც საგანგებოდ ჩამოვიდნენ მოსკოვში. სეკუნდანტობას კი უწევდა თბილისელი ნიკოლოზ სორო-

კინი.

— სათამაშოდ იმედიანად წავედი, თუმცა შინაგანად ჯერ დაწყნარებული არ ვიყავი, — განაგრძო ვიქტორმა. — მაგრამ ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა. ალბათ ნანახი გაქვს პარტია. შევძელი იერიშის უვნებელყოფა და თანაბარ ენდშპილში გადავედი. კაპაბლანკამ თავად შემომთავაზა ყაიმი. შედეგით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. სხვათა შორის, კაპაბლანკა სვლაზე რომ ფიქრობდა, ვაკვირდებოდი მის ლამაზ სახეს. იგი ძალიან სიმპათიური იყო. ფიგურებს მშვიდად გადააადგილებდა ხოლმე. ჩემი სვლის მოლოდინში დგებოდა და დინჯად სეირნობდა სცენაზე.

ჟურნალისტებთან საუბარში კაპაბლანკამ ასე შეაქო ვიქტორი: ბედნიერია ის ქვეყანა, რომელსაც ასეთი მოჭადრაკე ჰყავსო! ერთხელ ვიქტორს შევახსენე ეს სიტყვები. გამიღიმა და მითხრა: — განა არ იცი ზრდილობიანი კაცის ამბავი. რაღაც ხომ უნდა ეთქვა. ამიტომაც გადააჭარბა!

ამ განმარტებაში იკითხება თავად მოკრძალებული ვიქტორი.

იმ დღესაც კიროვის პარკში შევედით. ახალი ნაწვიმარი იყო. ირგვლივ მაისის სურნელი ტრიალებდა. ვგრძნობდი, ამჯერადაც საინტერესო ამბავი უნდა მომესმინა, არც მოვტყუვდი.

— მარინე ამერიკიდან დაბრუნდა, — თქვა ვიქტორმა როგორც კი გრძელ სკამზე ჩამოვჯექით. მერე ცოტა ხანს სდუმდა. ასე იცოდა, სანამ საუბარს გააგრძელებდა. ბოლო წლებში მას გული ღალატობდა. განსაკუთრებით ცუდად იყო უამინდობის დროს. — გასტროლებით ძალიან კმაყოფილია. საუცხოოდ მიუღია მუსიკალურ საზოგადოებას. კონცერტების პროგრამებიც ჩამოიტანა.

მშობლისთვის კარგი შვილი საამაყოა. ვიქტორიც ამაყობდა. მისი მარინე, საქვეყნოდ სახელგანთქმული პიანისტი, პარიზის ჟან ტიბოსა და მარგარიტა ლონგეს, აგრეთვე მოსკოვის პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატია. მარინე გოგლიძე-მდივანის მუსიკალობასა და ვირტუოზულ ტექნიკას ევროპისა და ამერიკის მუსიკის ქომაგნი და მესვეურნიც მოუხიბლავს.

— ძალზე საინტერესოა ერთი პროგრამა, — განაგრძო ვიქტორმა. — იქ წერია, რომ კონცერტი ნიუ-იორკში 22 ნოემბერს გაიმართებაო. მაგრამ ამ დღეს პრეზიდენტი ჯონ კენედი მოკლეს დალასში და, რასაკვირველია, კონცერტისთვის არავის ეცალა. იგი გადადეს. მარინემ თქვა, რომ იმ საღამოს ნიუ-იორკი, ეს მრავალმილიონიანი ქალაქი, ფუტკრების სკას ჰგავდა. ხმაურობ-

და. ბორგავდა...

ვიქტორს ვკითხე. მარინეს მუსიკალური ნიჭი ვისგან დაჰყვა-მეთქი. მან შემომხედა, მერე გაიღიმა.

— შენ იცი რაიმე?

— რა უნდა ვიცოდე?

— ახალგაზრდობაში მე სასულე ორკესტრში ვუკრავდი. მუსიკა ბავშვობიდან მიყვარდა. ტაშკენტიდან თბილისში რომ ჩამოვედი, ვისწავლე დაკვრა, ჟელტუხინის ორკესტრში ჩავეწერე. ტუჩები სულ გადმობრუნებული მქონდა, — თქვა ვიქტორმა. ორივეს სიცილი წაგვსკდა.

როგორც ყოველთვის, ამ ბოლო დროს, ახლაც სამ საათზე მეტ ხანს ვისხედით. ვტკბებოდით აყვავებული ბუნებით და ვმასლაათობდით. ვიქტორი გარდასულ ამბებს იხსენებდა. საუბარი მოსკოვის 1935 წლის საერთაშორისო ტურნირზე გადავიტანე.

— კაპაბლანკაზე ადრე მიამბეთ, მაგრამ ლასკერზე რომ არაფერი გითქვამთ?

ღვაწლმოსილი ოსტატი გახალისდა.

— დამიჯერე, ლასკერს ბადალი არ ჰყავდა ჭადრაკის ისტორიაში. ტურნირში იგი 67 წლისა თამაშობდა. თავი ყოჩაღად ეჭირა. სიგარას არ იცილებდა. იშვითად თუ ვინმეს დაელაპარაკებოდა. მთელი არსებით ბრძოლაში იყო ჩაბმული. ტურის შემდეგ საათიანი შესვენება გვქონდა, მერე კიდევ ორ საათს ვთამაშობდით, მისთვის გამოყოფილ პატარა ოთახში ლასკერი ისვენებდა ტახტზე წამოწოლილი. იქვე მისი ერთგული მეუღლე მარტა მოკალათდებოდა. მანამდე ეს დარბაისელი მანდილოსანი ქმრის ახლოს სცენაზე ქსოვით ირთობდა თავს.

— თუ გისაუბრიათ ლასკერთან?

— მხოლოდ ჩვენი პარტიის შემდეგ. საყაიმო პოზიციაში ეტლი დავუსვი. შეცდომას მაშინვე მივხვდი. ლასკერმა კი კარგა ხანს იფიქრა და ისე გააკეთა სვლა. მე არ ვიცოდი გერმანული, მან ხელით მანიშნა რატომ იჩქარეო.

— ასე უბრალოდ რომ წააგეთ, ალბათ გული დაგწყდათ.

— რა თქმა უნდა, მაგრამ არ მიჯავრია. ის ამბავი, რომ ლასკერს ვეთამაშე, ჩემთვის, ახალგაზრდა ოსტატისთვის, ძალიან ბევრს ნიშნავდა.

მოგონებებით გართულ ვიქტორს კიდევ რამდენიმე კითხვა მივეცი. იგი ხალისიანად ლაპარაკობდა.

— ყველაზე ძნელი პარტია ვისთან გქონდათ?

— ვერა მენჩიკთან.

— ვითომ ასეთი ძლიერი მეტოქე იყო?

— იმ დროს ქუხდა მისი სახელი. მენჩიკს დამარცხებული ჰყავდა დიდოსტატები მაქს ეივე, აკიბა რუბინშტეინი, საველი ტარტაკოვერი,

გარი გოლომბეკი და სხვები. მართალია, მოსკოვის ტურნირში ვერა ცუდად გამოდიოდა, მაგრამ მაინც მეშინოდა წაგების. თავმოყვარეობა შემელახებოდა. ალბათ გაგონილი გაქვს, ინდოელმა დიდოსტატმა სულტან-ხანმა მენჩიკთან რომ წაააგო, ორ წელიწადს სამშობლოში დაბრუნებისა ეშინოდა.

— თქვენც ხომ არ გეშინოდათ?

— არა, მაგრამ არ მინდოდა ჩემი მეგობრების, პოეტ პაოლო იაშვილისა და საშა ფალავანდიშვილის საქირქილო გავმხდარიყავი. ისინი ხომ მოსკოვში მახლდნენ. ერთი სიტყვით, ძალიან მოვინდომე და ნირწამხდარ ვერას მეფეს ფარხმალი დავაყრევინე უკვე მეცხრამეტე სვლაზე.

საუბარმა გაგვიტაცა. მოსაღამოვდა. პარკში ხალხმა დაიწყო მოსვლა. ავდექით და ხეივანს გავყევით. შინ ვაცილებდი. იგი ახლოს ცხოვრობდა.

— ბატონო ვიქტორ, ადრე თქვენ ბრძანეთ, აი ამ ხევში კარგი ჭადრაკის კლუბი აიგებაო, ყური მოვკარი, მგონი იწყებენ მშენებლობას.

— გახსოვს, ადრე რომ ვნახეთ ვაკეში ტოპოგრაფიული ტექნიკუმის უკან კლუბისათვის შემოთავაზებული ადგილი, დავიწუნე. მითხრეს, აქ მეწყერი იცისო, — მიპასუხა ვიქტორმა და დასძინა, — თუ აქ ააშენეს, დიდებული რამ გამოვა. იგი დაამშვენებს აქაურობას.

გამოთხოვებისას ვიქტორმა თქვა:

— დღევანდელმა საუბარმა ბევრი რამ გამახსენა. ალბათ დროა ხელი მოვკიდო მოგონებების წერას. ახლა ვერ ვარ კარგად. როგორც კი მოვმჯობინდები, მუშაობას შევუდგები.

მაგრამ ავადმყოფობამ იმძლავრა და იმავე შემოდგომით ისე წავიდა ამ ქვეყნიდან ეს ამაგდარი კაცი, რომ ბევრი სურვილი აუსრულებელი დარჩა.

***

ვიქტორ გოგლიძე გარდაიცვალა 59 წლის ასაკში 1964 წლის 22 სექტემბერს. ამ დროს სოხუმში ვიყავი, ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირს ვესწრებოდი როგორც "ლელოს" კორესპონდენტი. დამირეკა ჩემმა მეუღლემ და ვიქტორის გარდაცვალება მაცნობა. 26-ში დილით მე და სალო ფლორი გადმოვფრინდით თბილისში. ვიქტორი დასვენებული იყო ჭადრაკის კლუბში (რუსთაველის პრ., 48), საიდანაც 26 სექტემბერს დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე. მანამდე სამგლოვიარო მიტინგი გაიმართა. გამოსათხოვარი სიტყვა უთხრეს გიორგი მერკვილაძემ, საშა ფალავანდიშვილმა (მალე ისიც გარდაიცვალა — 18 ოქტომბერს)... ყველა აღნიშნავდა ვიქტორის დიდ დამსახურებას ქვეყნისა და ქართული ჭადრაკის წინაშე.

არჩილ ებრალიძე

არჩილ ებრალიძე (1908-1960) იყო მეორე ქართველი სპორტის ოსტატი. მან ქართულად აამეტყველა ე. ლასკერის, ხ.რ. კაპაბლანკას და მ. ეივეს სახელმძღვანელოები. იყო მეცხრე მსოფლიო ჩემპიონის ტიგრან პეტროსიანის მასწავლებელი.

არჩილი მრავალმხრივ ნიჭიერი კაცი იყო. ჭადრაკს რომ თავი დავანებოთ, იცოდა ხატვა, ძერწვა (20-იან წლებში მხატვრობას სწავლობდა თბილისის, მერე მოსკოვის სამხატვრო აკადემიაში. სხვათა შორის, იაკობ ნიკოლაძის მოწაფე იყო), ეხერხებოდა წერა, თარგმნა. ამასთან ცნობილი ინჟინერი იყო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დარგში. მაგრამ მან სამოღვაწეოდ ჭადრაკი აირჩია. ამის საბაბიც ჰქონდა. 20 წლისამ საქართველოს პირველ ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა, რაც კარგი მომავლის საწინდარი იყო. მერე კიდევ ბერჯერ ისახელა თავი. 1937 წელს სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალშიც ითამაშა. 1941 წელს მესამედ გაიმარჯვა საქართველოს ჩემპიონატში, ისე რომ პარტია არ წაუგია, და სპორტის ოსტატის წოდება მიიღო.

აი, ამ დროიდან ვიცნობდი არჩილს. თავიდანვე მის მიმართ სიმპათიით ვიყავი განწყობილი.

* * *

დიდმა მსოფლიო ომმა ცხოვრება გაუმრუდა არჩილს. ფრონტიდან რომ დაბრუნდა, დიდ გასაჭირში აღმოჩნდა. დავით ბრონშტეინს უამბია ჩემთვის:

— იმხანად თბილისში კიევიდან ლტოლვილი ვიყავი. ძალიან დამეხმარნენ უსახლკარო, 16 წლის ყმაწვილს ვიქტორ გოგლიძე და საშა ფალავანდიშვილი. თავშესაფარი და ლუკმა პური გამიჩინეს. მაშინ გავიცანი არჩილი.

1941 წლის ნოემბერში თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე სნეგოვი. მან სპორტის ოსტატების ცხოვრების პირობების გაცნობა მოინდომა.

ცუდად ჩაცმულ არჩილს რომ შეხედა, სნეგოვმა უთხრა:

— შენ კინტოს მაგონებო!

ეს რომ არჩილმა გაიგონა, მაშინვე დერეფანში გამოვარდა, დამავლო ხელი და ძალით შემათრია კაბინეტში. შეცბუნებული გავჩერდი. ძალიან საწყალი შეხედულება მქონდა. თეთრი შარვალი, კედები და "ტელეგრეიკა" მეცვა. არჩილმა სნეგოვის წინ დამაყენა და სარკასტული ღიმილით წარმადგინა:

— აი, თბილისელი კინტო!

სნეგოვი მიხვდა თავის უტაქტობას, მართალია, გულიანად იცინა, მაგრამ არჩილს მაინც ბოდიში მოუხადა.

მაშინ ყველას გვიჭირდა. მე და არჩილი ფიზკულტურის ტექნიკუმის სასადილოს მიგვამაგრეს. დღეში 40 გრამ შაქარს გვაძლევდნენ. არჩილი არ ჭამდა მას. ინახავდა. 400 გრამი რომ დააგროვა, თავის პატარა არჩილს წაუღო, თუმცა ცოლთან გაყრილი იყო.

არჩილი მერეც მიუსაფარი იყო, რაკი ოჯახი ვერ შეინარჩუნა. მას მეუღლედ ჰყავდა თბილისელი მოჭადრაკე, ინჟინერი ნინა ბერსკაია. აქვე აღვნიშნავ, რომ თვითონ არჩილი შესანიშნავ ოჯახში აღიზარდა. მამამისი სილოვანი ფოთში ცნობილი მოღვაწე იყო, მისი ძმები რაჟდენი და სტალინური პრემიის ლაურეატი სევერიანე — გამოჩენილი ინჟინრები. ხოლო და თამარი დიდებული ქანდილოსანი, კარგი ოჯახის დიასახლისი.

* * *

არჩილი თავისებური, ორიგინალური და გულისხმიერი კაცი იყო. იუმორის დიდი გრძნობით დაჯილდოებული.

1946 წელს იგი პრაქტიკულ ჭადრაკს დაუბრუნდა. მაშინვე ითამაშა საქართველოს VII ჩემპიონატში, რომელშიც უკონკურსოდ ესტონელი დიდოსტატი პაულ კერესი მონაწილეობდა. მხოლოდ არჩილმა და მისმა მოწაფემ ტიგრან პეტროსიანმა შეძლეს დიდოსტატთან შეხვედრის ყაიმით დამთავრება. დანარჩენებმა წავაგეთ.

დიდი ბრძოლა გაჩაღდა ჩემპიონის ტიტულისათვის. ფინიშზე არჩილს ჩემპიონობის რეალური შანსი მიეცა. მას აუცილებლად უნდა დაემარცხებინა დასკვნით ტურში შოთა ცინცაძე, რომ მიზნისთვის მიეღწია. შოთა არ აპირებდა ქულის დათმობას, უნდა ვითამაშოო.

თავიდან ცინცაძემ პერსპექტიული პოზიცია მიიღო, მაგრამ ფიქრმოყვარული მძაფრ ცაიტნოტში აღმოჩნდა და მოულოდნელად წააგო. არჩილი მეოთხედ გახდა საქართველოს ჩემპიონი. პეტროსიანმა მეორე ადგილი დაიკავა.

გულისხმიერი არჩილი რატომ-

ღაც ფიქრობდა, რომ ცინცაძემ ქულა მისცა და საჭიროდ მიაჩნდა "ვალის" დროული დაბრუნება. ერთხელ რომ ვერ მოახერხა (ცინცაძემ რის ვალიო, რა ვალიო), მაშინ საქართველოს 1947 წლის ჩემპიონატში "ვალის" გასტუმრების უცნაურ ხერხს მიმართა: ცინცაძის პირველი სვლის საპასუხოდ საათნახევარი იფიქრა და... პარტია დათმო! გაოცებულებს თავისი საქციელი ასე "აგვიხსნა": რაც არ უნდა მეთამაშა, ყველა სვლა მაინც აგებდაო!?

მსგავსი, პარტიაში პირველ სვლაზე კაცი რომ დანებებულიყო, არ ახსოვს დიდი ტურნირების ისტორიას, ამიტომაც ეს ამბავი ლეგენდად მოედო მთელ მსოფლიოს.

***

1942-1944 წლებში არჩილი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტში მუშაობდა. მის მოწაფეთა შორის იყვნენ ტიგრან პეტროსიანი, ალექსანდრე ბუსლაევი, ვიქტორ ბრავინსკი და სხვები.

იგი უშურველად გადაცემდა ცოდნას ყმაწვილებს. აწყობდა ტურნირებს.

— ჩვენ რომ ტურნირში ვთამაშობდით, არჩილი განმარტოვდებოდა და პარტიებს არჩევდა, — იხსენებდა ტიგრან პეტროსიანი. — ერთხელ ვოხოვე დავესწრები თქვენს მეცადინეობას. ხმას არ ამოვიღებ-მეოქი. სიმართლე გითხრა, ბევრი რამ ვისწავლე მისგან. მან გამიღვიძა სიყვარული პოზიციური თამაშისადმი. გამაცნო კაპაბლანკა და ნიმცოვიჩი. თავის თანამოაზრე გამხადა. მას ვუმადლი ჩემს მიღწევებს.

საინტერესოა, როცა პეტროსიანი მსოფლიო პირველობის პრეტენდენტი შეიქნა, არჩილი იტყოდა ხოლმე:

— რას ვიფიქრებდი, რომ ტიგრანი ბუსლაევს აჯობებდა!

ბოლოს ოსტატი და შეგირდი დაფასთან შეხვდნენ ერთმანეთს 1949 წელს თბილისში სსრ კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალში. პარტია ყაიმით დამთავრდა.

***

არასოდეს დამავიწყდება არჩილის გონებამახვილი სიტყვა თუ საქმე.

ეს მოხდა მოსკოვში სსრ კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალში. დილით ტური რომ დაიწყო, არჩილი უკვე ნასვამი იყო. მისმა მეტოქემ ეს ამბავი მთავარ მსაჯს, საერთაშორისო არბიტრს ლევ გარკუნოვს აცნობა.

— არაფრით არ შეიძლება მთვრალი იყოს, — თქვა გარკუნოვმა. იგი მეგობრობდა არჩილს და ყოველ საღამოს ერთად სვამდნენ. ამიტომ

თვლიდა, რომ არჩილი უმისოდ არ დალევდა.

როგორც კი არჩილს შეხვდა, გარკუნოვი მიხვდა, რომ ცდებოდა.

— არჩილ, შენ მთვრალი ხარ და თამაშს თავი უნდა დაანებო, მერე გათამაშებ, ახლა დაისვენე.

არჩილმა ამოხედა, როგორც იცოდა, ღიმილით უთხრა:

— ლიოვა, შენ თვითონ ხარ მთვრალი და ამიტომ გეჩვენება თითქოს მე ვიყო ნასვამი!

გარკუნოვს გაეცინა. მოეწონა მეგობრის კვიმატი სიტყვა, მაგრამ კიდევ კარგა ხანი დასჭირდა, რომ მეგობარი დასასვენებლად გაეყვანა.

მან არ იცოდა, რომ დილით ადრე არჩილს მიაკითხეს თბილისელმა მეგობრებმა და ხაშზე წაიყვანეს იგი.

ერთხელ, მკაცრი ზამთრის წინ, არჩილმა სახლმმართველობას მიაკითხა შეშის შესაძენად. უთხრეს:

— მისამართი შეგეშალათ. ჩვენ სარემონტო კანტორა ვართ!

— მერე თქვენ რას აკეთებთ, რა გევალებათ?

— ვერ ხვდები? ჩვენ ბინებს ვარემონტებთ, ვღებავთ, ვლესავთ...

გაზაფხულზე არჩილი განცხადებით მივიდა სარემონტო კანტორაში. იატაკის შეკეთებას ითხოვდა. თურმე ზამთარში პარკეტი უწვავს.

კანტორის უფროსებმა ბევრი იცინეს და ახალი იატაკის დაგებას დაპირდნენ. მართლაც დაუგეს, ოღონდ არა პარკეტი, არამედ მთლიანი, გრძელი ფიცრები, რომ მას აღარ შესძლებოდა იატაკის აყრა.

— მაჯობეს ამ ოხრებმა, — იცინოდა არჩილი.

***

ორი შემთხვევა ჩვენი ურთიერთობიდან.

1947 წელს დიდოსტატმა ვასილ სმისლოვმა ახალგაზრდა თბილისელ პირველთანრიგოსნებს ერთდროული თამაშის სეანსი (საათებით) გაგვიმართა. შევამჩნიე, რომ თამაშის დროს სმისლოვი ღიღინებდა. მაშინ არ ვიცოდი, რომ იგი მომღერლობას აპირებდა. რატომღაც ვიფიქრე, ალბათ ღიღინი ძალას მატებს-მეთქი. და მეც იგი "შეიარაღებაზე" ავიღე.

საქართველოს 1952 წლის ჩემპიონატში არჩილთან შეხვედრისას მივმართე ამ ჩემს "საიდუმლო იარაღს". როცა გამიჭირდა, ვუმატე ღიღინს, მაგრამ პოზიცია მაინც არ გამიუმჯობესდა. არჩილმა ახალი იდეა გამოიყენა კარო-კანის დაცვაში და დამაჯერებლად მომიგო.

პარტიის დამთავრებისას ვკითხე:

— სად იყო ჩემი მთავარი შეცდომა?

მან ეშმაკურად გამიღიმა და მითხრა:

— ყველაფერი ღიღინის ბრალია.

მოღიღინე შუდამ წააგებს!

შეც გაშეცინა. ეს იყო და ეს. არჩილმა გადამაჩვია ღიღინს. მერე თუ რომელიმე მეტოქე დაიწყებდა ღიღინს, გამახსენდებოდა არჩილის სიტყვები და მეტი მონდომებით ვთამაშობდი, რომ "უვიცი" დამესაჯა.

40-იან წლებში გაითვალისწინა რა იმდროინდელი პოლიგრაფიის სიძნელეები (უცხო ენის შრიფტების ნაკლებობა ან არქონა), არჩილი ქართული ასოებით აღნიშნავდა დაფის ნოტაციას. ამას კი ზოგი ფიგურის ქართული ტერმინის შეცვლა მოჰყვა. მაგალითად, ეტლის მაგიერ შემოიღო ტურა, მხედრის მაგიერ – რაში. ამავე დროს დიაგრამებზე ფიგურების წყობაც შეცვალა. შავ ფიგურებს ყირამალა აწყობდა. ეს სიახლენი არ მოეწონათ ჭადრაკის ფედერაციის თავკაცებს და დამავალეს ამ საკითხის შესწავლა.

შევისწავლე. მაგრამ ვერაფრით დავაჯერე არჩილი, რომ ნოტაციის ტერმინების შეცვლა და დიაგრამაზე შავი ფიგურების ყირამალა ბეჭდვა ჭადრაკის ტრადიციებს ეწინააღმდეგებოდა. იგი აშკარად ჯიუტობდა.

ფედერაციამ ჩემი მოხსენებითი ბარათი რომ გააცნო, არჩილმა თქვა ახსნა-განმარტებით წერილს მოვიტანო.

ფედერაციის პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე მართლაც მოიტანა წერილი. ამ სხდომას საქართველოს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ალიოშა ფარულავაც ესწრებოდა. სწორედ მან წაიკითხა არჩილის წერილი, მაგრამ... ერთ ადგილას რომ ამოიკითხა – "მართალი არ არის თენგიზ გიორგაძე, რომელიც ჰგავს ლასკერს, ხოლო ეს უკანასკნელი მაიმუნსო", შეწყვიტა კითხვა. აღარ გავაგრძელებ, არასერიოზული წერილიაო. არჩილი კი გააფრთხილა: დღეის იქით არ ვნახო თქვენი "სიახლენი" პრესაშიო!

მართლაც, შემდგომ არჩილი აღარ დაბრუნებია თავის "სიახლეებს". ჩვენც შევრიგდით. 1959 წელს მისი თხოვნით რედაქტორობა გავუწიე მის მიერ თარგმნილ იური ავერბახის წიგნს "როგორ ამოვხსნათ საჭადრაკო ეტიუდი".

* * *

ეს იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა.

1960 წლის აგვისტოს დამდეგს შევხვდი არჩილს ახლანდელ თავისუფლების მოედანზე. არჩილი თავისი განუყრელი ხელჯოხით, ჩიბუხით და პორტფელით იყო. დამინახა თუ არა, მაშინვე ჩემსკენ წამოვიდა.

– შინ უნდა წამომყვე. აქვე, მაჩაბლის ქუჩაზე ვცხოვრობ, – მომახალა ისე, რომ არ მომსალმებია. გაკვირვება რომ შემამჩნია,

ამიერკავკასიის, მოსკოვისა და ლენინგრადის ოსტატთა მაგნ-ტურნირის (17 ოქტომბერი – 4 ნოემბერი, 1933 წ., თბილისი) მონაწილენი: მარცხნიდან – სხედან – ნ. სოროკინი, ვ. ალატორცევი, ვ. გოგლიძე; დგანან – ჰ. კასპარიანი, მ. მაკოგონოვი, არნილ ებრალიძე, დ. სამუშია (ტურნირის ორგანიზატორი), ვ. მაკოგონოვი, ლ. სავიცკი.

მითხრა, – ბევრი აღარ დამრჩენია ამქვეყნად ყოფნა, მინდა იცოდე სად ვცხოვრობდი, რომ მერე დაწეროო.

ეს ისე სევდიანი თხოვნა-ბრძანებით იყო ნათქვამი, რომ უარი არ გამოვიდოდა. გავყევი. გზაში მდუმარედ ვიარეთ, ერთმანეთისთვის ხმა არ გაგვიცია. ჩვენ ჩვენსას ვფიქრობდით. იმხანად არჩილი არავის მეგობრობდა. ყველას გაურბოდა. ამიტომ არავინ იცოდა, როგორ ცხოვრობდა, რა უჭირდა, რა ულხინდა. ხანდახან თუ გამოჩნდებოდა პრესაში მისი თარგმანები. უფრო ხშირად ნასვამი იყო.

ასე სიტყვაუთქმელად შევედით მაჩაბლის ქუჩის მე-15 ნომრის სახლის ეზოში. მეორე სართულზე რომ ავედით, რიკულებიანი აივანი გავიარეთ, არჩილი ფიცრით ნაჭედ კარებთან შეჩერდა.

– აი, აქ ვცხოვრობ, – მითხრა და გასაღების ძებნა დაიწყო ჯიბეში. მივიხედ-მოვიხედე. კარები ორი მეტრის სიმაღლის იქნებოდა, ჭერი კი ხუთ მეტრს აღწევდა. ქურდს ადვილად შეეძლო გადასვლა. კარებზე დიდ ბოქლომს თვალი რომ მოვკარი, გამეღიმა. რა საჭიროა-მეთქი, ისიც ამხელა ბოქლომი, თუ ქურდი ოთახში ადვილად გადაძვრებოდა.

შეკვდით ოთახში. იგი გრძელი და ვიწრო იყო. ალბათ ზამთარში ძალიან ცივი, რკინის საწოლზე მხოლოდ ლეიბი და ერთი ბალიში იდო. საბანი არ ჩანდა. საწოლის თავზე დამაგრებულ თარიზე რამდენიმე წიგნი იდო. მარცხენა კედელზე გაკრული ჰქონდა ღვინის, პარფიუმერიის სარეკლამო აფიშები, მარჯვენაზე – ჭადრაკის წიგნებიდან ამოჭრილი დიაგრამები და თავისი დახატული მოჭადრაკეების კარიკატურები. არჩილს ხომ ხატვა ეხერხებოდა. კარიკატურებს შორის ვიქტორ გოგლიძის გვერდით ჩემი თავიც ვიცანი.

– ესენი ვინაა, – ვკითხე გაღიმებულმა.

– ვინც მეჯავრება!

– მერე რად მომიწვიეთ, თუ ასეა?

– ისტორიას სჭირდება!

მოვიკითხე ჭადრაკი. მაშინ აივანზე გამიყვანა და საკმაოდ გრძელ სამზარეულოში შემიძღვა. მივიდა რუსულ ღუმელთან, გამოაღო კარი და წაიბურტყუნა:

– აი, აქაო. შევიხედე, მაგრამ ნაცრის მეტი არაფერი ჩანდა. მაშინ თქვა: – აქ დაკწვი, თავი რომ მომაბეზრაო.

მაშინვე გამოვტრიალდი. უსიამოვნო შთაბეჭდილებებით დამძიმებულმა პირდაპირ ქუჩას მივაშურე. არჩილი კიბემდე გამომყვა. უსიტყვოდ დავშორდით ერთმანეთს.

მალე სოფელში გავემგზავრე. "ლელოს" 20 აგვისტოს ნომერში არჩილ ებრალიძის გარდაცვალების ამბავი ამოვიკითხე. გული მეტკინა. თბილისში რომ დავბრუნდი, გავიგე – მეტეხის ციხის ქიმიდან გადმოვარდაო. იმასაც ამბობდნენ, თავი მოიკლაო. ვინ იცის, შეიძლება მართალიცაა. მაშინ არჩილი 52 წლის იყო. ახლობლებმა ვერის სასაფლაოზე მიუჩინეს მას სამუდამო სასუფეველი.

ვახტანგ ქარსელაძე

ვახტანგ ქარსელაძე (1919-1966) ქალთა ქართული საჭადრაკო სკოლის მესაძირკვლე იყო. მინიჭებული ჰქონდა სსრ კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, აგრეთვე საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

ჩვენი გაცნობა არ იყო ჩვეულებრივი. 1941 წლის აპრილში თბილისის ძველ საჭადრაკო კლუბში (რუსთაველის 48) საქართველოს IV ჩემპიონატი მიმდინარეობდა. ეს ჩემპიონატი განსაკუთრებული იყო, რადგან ჩვენს უძლიერეს მოჭადრაკეებთან ერთად, მართალია, უკონკურსოდ, პირველად მონაწილეობდნენ ცნობილი ოსტატები ვ. მიკანასი (ლიტვა), ვ. მაკოგონოვი (აზერბაიჯანი) და ჰ. კასპარიანი (სომხეთი). ცხადია, ნორჩ მოჭადრაკეს დასწრების დიდი სურვილი მქონდა, მაგრამ ბილეთი ძვირი ღირდა. დედამ მაინც მომცა ფული. იმ საღამოს ბედნიერი ვიყავი, რომ ცნობილი მოჭადრაკეების პარტიებს დავესწრებოდი.

მაშინ ტურები საღამოს შვიდ საათზე იწყებოდა. სამი საათის დაწყებული არ იყო თამაში, რომ მომესმა:

— ყმაწვილო, დატოვე დარბაზი!

მოვიხედე. ვიღაც უცნობი, მოკრივის აღნაგობის ახალგაზრდა იდგა. მას პირველად ვხედავდი, თუმცა, თითქმის ერთი წელი კლუბში დავდიოდი.

— რატომ, რა დავაშავე? — ვცადე თავის დაცვა.

— ბრძანებაა: 10 საათის შემდეგ ბავშვები შინ უნდა იყვნენ. აიბარგე, მეორედ არ მომიყვანო. — დამემუქრა კიდეც.

რა ძალა მქონდა. სხვებიც ასე გაყარეს. გულგასიებულმა ვიკითხე ვინაა-მეთქი ის კაცი, მითხრეს: ჩემპიონატის მთავარი მსაჯი ვახტანგ ქარსელაძეაო. თავმოყვარეობა ისე შემელახა (საქართველოს ჩემპიონი ვიყავი ჭაბუკებში!), რომ მერე ტურნირს აღარ გავკარებივარ.

მალე სამამულო ომი დაიწყო. ახალგაზრდებმა, მათ შორის ვახტანგ ქარსელაძემ, ფრონტს მიაშურეს. მინელდა საჭადრაკო ცხოვრება თბილისში.

1946 წლის მარტში საყოველთაო ყურადღება მიიქცია საქართველოს VII ჩემპიონატმა. ეს გამოიწვია მასში მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთი აღიარებული პრეტენდენტის, დიდოსტატ პაულ კერესის მონაწილეობამ. იგი ჩვენმა ჭადრაკის მესვეურებმა მიიწვიეს. მასვე "მოაყოლეს" ოსტატები: ვ. მიკენასი და ე. ზაგორიანსკი (მოსკოვი). ჩვენგან თითქმის ყველა გამოცდილი და მზარდი მოჭადრაკე ჩაება ბრძოლაში. "სადირიჟორო პულტთან" დადგა ვიქტორ გოგლიძე. ამ დროს იგი პრაქტიკულად აღარ თამაშობდა ტურნირებში.

აი, ამ დიდ ტურნირში, ზედ სტარტზე პერსონალურად დაუშვეს ომგადახდილი, ის-ისაა თბილისში დაბრუნებული ვახტანგ ქარსელაძე. არავის პროტესტი არ გამოუხატავს. ვახტანგს ყველა სცემდა პატივს.

ეს არ იყო ის ქოჩრიანი ვახტანგი, მე რომ მახსოვდა. ახლა მელოტი, დაღარული სახით, თითქოს მოტეხილი მეჩვენა. რა თქმა უნდა, გავიცანით ერთმანეთი. არ დავუმალე, საიდან ვიცნობდი მას. მერე, როცა ჩემგან რაიმე ეწყინებოდა, მეტყოდა ხოლმე, — სამაგიეროს მიხდიო.

აქედან დაიწყო ჩვენი მეგობრობა. იგი არასოდეს შებღალულა, თუმცა ზოგჯერ მძაფრადაც ვკამათობდით.

ბარემ აქვე გავიხსენებ იმდროინდელ ერთ ამბავს. ვახტანგი მოკრძალებული კაცი იყო. ჩემპიონატში უჭირდა თამაში. აშკარად აკლდა პრაქტიკა. პარტიას პარტიაზე აგებდა და რცხვენოდა. ამიტომ ხუმრობდა: — ტურნირის მენჩიკი ვარო! მას მხედველობაში ჰქონდა ლეგენდარული ვერა მენჩიკის წარუმატებელი თამაში მოსკოვის 1935 წლის საერთაშორისო ტურნირში. საკუთარ თავზე ვახტანგის ქილიკს ყველანი გაგებით, ღიმილით ვხვდებოდით.

***

1947 წელს ვახტანგი სამუშაოდ მოვიდა პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ჭადრაკის კაბინეტში, სადაც მე ვმასწავლებლობდი. ჩვენ შევეწყვეთ ერთმანეთს.

ომამდე ვახტანგი თბილისის უნივერსიტეტში მათემატიკას ეუფლებოდა. ნაომარმა აღარ ისურვა სწავლის გაგრძელება, თუმცა შეეძლო მეხუთე კურსზე დამჯდარიყო. ახლა სხვა რამ მაწუხებსო, მეტყოდა ხოლმე. კითხულობდა ბევრ ისტორიულ, პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ ლიტერატურას. ერთხელაც გული გამიხსნა:

— დიდი დაკვირვებით იმ დასკვნამდე მივედი, რომ ქართველი ქალი მუდამ გამოირჩეოდა ნიჭით, საღი

გონებით, რაინდული სულით, მამულიშვილობითა და დიდი შრომისმოყვარეობით. სწორედ იმ თვისებებით, რაც ჭადრაკში წარმატებებს სჭირდება. ამიტომ ჩემი ოცნებაა მოვძებნო ნიჭიერი გოგონები, ვაზიარო ჭადრაკის სიბრძნეს და გავუღვიძო გამარჯვების წყურვილი. არ შეიძლება ამან სასურველი შედეგი არ გამოიღოს. მზად ვარ გავება ამ მძიმე უღელში, რადგან მჯერა, რომ ჩემსას მივაღწევ.

დახმარება აღვუთქვი. მალე ვახტანგს გაუჩნდნენ მოწაფეები: ელისო კაკაბაძე, ლეილა ნაჭყებია, მანანა ტოგონიძე, ლიანა ხაჭაპურიძე და სხვები. თავდადებულმა შრომა-გარჯამ არ დაახანა სასურველი შედეგებიც: ელისო კაკაბაძე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ფინალში გავიდა, ხოლო მანანა ტოგონიძე გოგონათა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. სხვა წარმატებებიც იყო...

***

ვახტანგი მთელი სიცოცხლე ეძებდა და აკვალიანებდა ნიჭიერ გოგონებს. არც ჭაბუკები ავიწყდებოდა. მისმა მოწაფეებმა რომან ჯინჯიხაშვილმა, იური ჩიქოვანმა, დავით ჯანოევმა, ალიკო ბოკუჩავამ და სხვებმა მრავალჯერ ასახელეს იგი.

როგორ მუშაობდა ვახტანგი? მას არ დაუწერია წიგნი, არც მეთოდური წერილები. არ უყვარდა წერა. ამიტომ გაგიზიარებთ, რაც თავად მინახავს და მისგან გამიგონია.

ვახტანგი ნამდვილი ფანატიკოსი იყო. მას უზომოდ უყვარდა ბავშვები და თავისი საქმე. ისე ესაუბრებოდა ბავშვებს, რომ აუცილებლად თანამოაზრედ გაიხდიდა, შეაყვარებდა ჭადრაკს. მხოლოდ დიდმა სიყვარულმა იცის დიდი მიღწევები, იტყოდა ხოლმე. საინტერესოდ უამბობდა, თუნდაც ერთ მოწაფეს ჭადრაკის და მისი ჩემპიონების ისტორიას, პოპულარულად უხსნიდა თამაშის საიდუმლოებას და, რაც მთავარია, ათამაშებდა ტურნირში. უყვარდა თქმა: სწავლას თამაში უხდებაო! ამიტომ, როცა არ უნდა მისულიყავით სასახლეში, ყოველთვის შეესწრებოდით რომელიმე ტურნირს.

ვახტანგს მუდამ ჰყავდა მოწაფეები. ყველა მისკენ მიილტვოდა. ზოგჯერ იმდენი იყვნენ, რომ "თავის მოსაფხანი" დრო არ რჩებოდა. ბავშვებსაც ძალიან უყვარდათ ვახტანგ მასწავლებელი. მეცადინეობას არ გააცდენდნენ.

***

ვახტანგი ჭეშმარიტი ქართველი იყო. უყვარდა მეგობრები, მათთან მოლხენა, სიმღერა. მხოლოდ სუფრასთან თუ გაიხსენებდა ომში

ვ. ქარსელაძისა და ბ. გიორგაძის შეხვედრა საქართველოს VIII ჩემპიონატში (თბილისი, 24 აპრილი 1947 წ.)

განცდილ და გადამხდარ ამბებს. თითქმის ოთხი წელი ტყვეობაში გაატარა.

ერთად მუშაობისას, ხშირად, ხელფასს რომ ავიღებდით, ვახტანგი მე და ბიჭიკო (ნოდარ) ჩხეიძეს (სასახლის დრამწრის ხელმძღვანელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი), "სალდატსკი ბაზარში" წაგვიყვანდა. სადღაც "ჯურღმულში", ღვინის ვეება კასრის თავზე გაშლიდა სუფრას. ძეხვს, ყველს, წიწაკის მწნილს, პურს და ხელადა "საფერავს" მოატანინებდა. თამადად თავად დადგებოდა და საუბრის თემასაც თავად შეარჩევდა. ასე გვიანობამდე ვისხედით და ვკამათობდით ხოლმე ომის, საქართველოს ისტორიის, მწერლობის და, ცხადია, თეატრისა და ჭადრაკის საკითხებზე.

ამ დაუვიწყარ სერობას "ჩემი უნივერსიტეტები" შევარქვი. ვახტანგი მეუბნებოდა, შენ ზედმეტად "წესიერი კაცი" ხარ, გაკლია ქართული სუფრის მადლიო — რაკი მოსკოვში ნაცხოვრები ვიყავი და რუსულ სკოლაში ვსწავლობდი. აი, ასე "შაქართველებდა" იგი.

***

1950 წლის ბოლოს პიონერთა სასახლეში მუშაობას თავი დავანებე. სწავლა უნდა დამემთავრებინა თბილისის უნივერსიტეტში, მაგრამ მე და ვახტანგი მაინც ხშირად

ვხვდებოდით ერთმანეთს. ერთად ვმონაწილეობდით თბილისისა და საქართველოს ჩემპიონატებში.

— იცი რა ნიჭიერი გოგონა აღმოვაჩინე ბათუმში: ზუგდიდელი 12 წლის ნონა გაფრინდაშვილი, მომავალი მსოფლიო ჩემპიონი! — მომახარა ვახტანგმა ერთმანეთს რომ შევხვდით ლენინგრადში, სსრ კავშირის გუნდურ პირველობაზე. ეს იყო 1953 წლის აგვისტო.

1954 წლის ივლისში სასახლეში დაიწყო საქართველოს გოგონათა პირველობა, რომელშიც ნონაც მონაწილეობდა. ვახტანგმა დამირეკა ტელეფონით, მოდი ნონას გაგაცნობო. დარბაზში რომ შევედი, შორიდან ბაფთიანი გოგონა დამანახა.

— აი ისაა, რომ გიამბობდი, მომავალი მსოფლიო ჩემპიონი!

გამეღიმა. ვიცოდი როგორ უყვარდა ვახტანგს ბავშვები, ყველა ჩემპიონებად ჰყავდა წარმოდგენილი. ჩანს, რაღაც იგრძნო და სევდიანად მითხრა: — არ გჯერა ხომ? მართალი იყო. ანდა, რატომ უნდა დამეჯერა, როცა იმ დროს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობის კანდიდატიც არ გვყავდა.

მივედი ნონას მაგიდასთან. დავაკვირდი მის რამდენიმე სვლას. სერიოზული მოჭადრაკის შთაბეჭდილება დამრჩა. ეს რომ ვახტანგს ვუთხარი, გახარებულმა ნიშნის მოგებით მითხრა:

— ხომ გეუბნებოდიო!

კიდევ ერთი წელი ელოდა ვახტანგი ნონას თბილისში გადმოსვლას. ნონას ოჯახს მეტი ქალიშვილი არ ჰყავდა. ამიტომ ეძნელებოდათ მისი გაშვება. ბოლოს იგი დეიდამ ჩამოიყვანა თბილისში. მერე ხშირად მინახავს ვახტანგი და ნონა მეცადინეობის დროს. ზოგჯერ გვიანობამდე რჩებოდნენ. ვახტანგმა დაღლა არ იცოდა, გატაცებულს ჭამაც ავიწყდებოდა, ნონაც მარჯვე აღმოჩნდა. ამიტომ უკვე 1956 წელს შეუპოვარმა გოგონამ ქვეყანა აალაპარაკა. მან მოიგო თბილისისა და საქართველოს ჩემპიონატები და მოიპოვა სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის საგზურიც.

ვახტანგს ღვაწლი დაუფასდა: იმავე წელს მას, ერთ-ერთ პირველს, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭეს.

***

ნონასა და ვახტანგის თანამშრომლობა ორ წელს გაგრძელდა. 1957 წლიდან ნონა მასთან აღარ მეცადინეობდა. ამიტომაც, იმავე წლის სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალში ნონა წარუმატებლად გამოვიდა.

რა იყო მათი დაშორების მიზეზი? 1956 წლის ზაფხულში ბორჯომში მოსწავლე მოჭადრაკეთა შეჯიბრებაზე ვახტანგი რამდენჯერმე ნას-

ვამი ყოფილა (ამას თვითონაც არ უარყოფდა), რაც, ცხადია, არ მოსწონდა ნონას მეურვეს, დეიდის მეუღლეს, ბატონ დიმიტრი ჯაბუას. ამის ნიადაგზე ისინი წალაპარაკდნენ კიდეც. ბიძამ მაშინვე წამოიყვანა ნონა თბილისში და ვახტანგს აღარ გააკარა.

ვახტანგს მაინც ჰქონდა ნონას დაბრუნების იმედი, მაგრამ ამაოდ. დეიდამ იგი ვიქტორ გოგლიძეს მიუყვანა ახალგახსნილ ბავშვთა სპეციალიზებულ საჭადრაკო სკოლაში. აქ კი ნონას გამოცდილი ოსტატი და მწვრთნელი მიხეილ შიშოვი მიუჩინეს. ახალმა მწვრთნელმა ბევრი რამ მისცა ნონას. როგორც იცით, სწორედ შიშოვის ხელში მოიპოვა ნონამ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

ვახტანგი მტკივნეულად, ემოციურად განიცდიდა, როგორც თავად ამბობდა, "ნონას დაკარგვას". შემდგომ ნონამ ვახტანგის მიმართ მრავალჯერ გამოხატა მადლიერების გრძნობა. 1962 წელს მსოფლიო ჩემპიონი რომ გახდა, იგი ზეიმზე მიიწვია ზუგდიდსა და ქუთაისში. სხვათა შორის, თბილისში რომ ვბრუნდებოდით, ქუთაისის ვაგზალზე ვახტანგს ბროლის დოქი გაუტყდა, რომელიც მასპინძლებმა აჩუქეს. მას სახეზე ცივმა ოფლმა დაასხა. შეწუხდა და ნაღვლიანად წარმოთქვა: — აი, ასეთი ბედი მაქვსო!



1946-1947 წლებში ვახტანგ ქარსელაძე თბილისის უნივერსიტეტის ჭადრაკის კლუბს ხელმძღვანელობდა. აი, უნივერსიტეტის იმდროინდელი გუნდი — (მარცხნიდან) სხედან — ვახტანგ ქარსელაძე, გიორგი განეულიძე, თენგიზ გიორგაძე; დგანან — გიორგი მანჯავიძე (შემდგომ მათემატიკის დოქტორი, პროფესორი), ტარიელ ვადაჭკორია და მელბარ გაგუა (შემდგომ მათემატიკის დოქტორი, პროფესორი). ბათუმი, 1946 წლის 19 ივლისი.

***

ვახტანგს ძალიან უყვარდა თავისი მოწაფეები. მათთვის არაფერს იშურებდა. მახსენდება ერთი ამბავი.

ეს მოხდა 1961 წლის მაისში. საქართველოს ნაკრები საერთაშორისო მატჩს ვთამაშობდით ბუქარესტში. ვახტანგი, როგორც გუნდის მწვრთნელი, არავის გვაკლებდა ყურადღებას, მაგრამ თავის მოწაფეებს კრუხივით დასტრიალებდა თავს.

ერთ საღამოს სასტუმრო "ამბასა-

დორის" რესტორანში ვვახშმობთ (ამ სასტუმროში ვცხოვრობდით). უკრავს ორკესტრი. ერთ მაგიდას ვუსხედვართ ნონა, მანანა ტოგონიძე და მე.

— წაიკითხეთ ეს დეპეშა, — ეუბნება ნონა. — მანანას დაბადების ღღეს ულოცავენ მშობლები.

რომ წავიკითხე, ჩუმად მიმანიშნა ეაგიდის ქვეშ დამალულ ბოთლებზე.

— ორი ბოთლი "ხვანჭკარა" გვაქვს. რა მოხდება, ყველამ რომ ოითო ჭიქით ადღეგრძელოს მანანა. ვახტანგი ხომ არ გაგვიბრაზდება?

— არა მგონია, ხვალ დასვენების დღე გვაქვს.

მაშინვე გადავეცი ვახტანგს ნონას ნათქვამი. შეწუხდა, რომ თავად პირველს არ გაახსენდა მანანას იუბილე.

ვახშამი გაგვიგრძელდა. რესტორანში მხოლოდ მუსიკოსები დარჩნენ. ესტრადის მომღერალმა, რომელსაც უკვე ვიცნობდით, დაყოვნების მიზეზი გვკითხა. როცა ვუთხარით, თვალები გაუბრწყინდა. ამოიღო პასპორტი და გვიჩვენა, რომ თვითონაც ამ დღეს იყო დაბადებული. მაშინვე მუსიკოსებს საკრავები მოამართვინა. ვახტანგმა "თბილისოს" და კიდევ რამდენიმე ქართული სიმღერის მელოდია მიაწოდა და მომღერალმა ქართული პოპულარული სიმღერების სახელდახელო კონცერტი გაგვიმართა.

მომღერლის გულითადობამ აღტაცებაში მოიყვანა ვახტანგი. ქართული კონიაკების "ალბომი" ჩამოატანინა რომან ჯინჯიხაშვილს ნომრიდან და მადლობის ნიშნად მომღერალს გადასცა. ეს "ალბომი" მას მასპინძელ მოჭადრაკეთა თავკაცისთვის ჰქონდა წამოღებული. ამიტომ ყველა გაგვაოცა მისმა გულუხვობამ.

მეორე დღეს ვახტანგმა მითხრა:

— ვიცი ზოგიერთს გაუკვირდა ჩემი გუშინდელი საქციელი. მაგრამ სრულებით არ ვნანობ: იმ კაცმა გამილამაზა ჩემი მანანას დღეობაო!

***

გავიდა წლები. ვახტანგი განაგრძობდა ნიჭიერი გოგო-ბიჭების ძებნას. ჭაბუკებმაც ასახელეს იგი. ამათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ალეკო ბოკუჩავა, მიუხედავად ამისა, ვახტანგი კვლავაც ოცნებობდა სადედოფლო მოჭადრაკეზე.

ერთხელ ვახტანგმა "ლელოში", სადაც ვმუშაობდი, თავისი მოწაფის ნათამაშები პარტია მომიტანა.

— ნახე, არ შეიძლება არ მოგეწონოს, — მითხრა და ჭადრაკი გაშალა. — იგი ჩემმა მოწაფემ, 13 წლის ნანა ალექსანდრიამ ითამაშა. დაიმახსოვრე ეს სახელი. იგი ნონასავით ნიჭიერია და მალე გაითქვამს სახელსო!

რომ გამელიმა, მაშინვე შემეკითხა:

– არც ახლა გჯერა?

როგორ არა-მეთქი. დავუჯერე და "ლელოში" (I.V. 1963) გამოვაქვეყნე წერილი "იცნობდეთ ამ გოგონას".

ვახტანგი იმჯერადაც მართალი აღმოჩნდა. ნანამ მალე გაახარა თავისი ღვაწლმოსილი მწვრთნელი. ჯერ (1965 წ.) საქართველოს, მერე (1966 წ.) საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. შემდეგ კიდევ ორჯერ (1968, 1969 წწ.) მოიპოვა საბჭოთა ჩემპიონის ოქროს მედალი, მონაწილეობდა ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირში.

იმ ხანებში ვახტანგს უკურნებელმა სენმა დარია ხელი. გარეთ აღარ გამოდიოდა. მაგრამ, როცა უთხრეს, რომ ნანას არ უშვებენ საქართველოს ვაჟთა 1966 წლის ჩემპიონატში, მაშინვე ადგა და ჭადრაკის ფედერაციის სხდომაზე მოვიდა. მან ემოციური გამოსვლით ყველას დაუმტკიცა, რომ ნიჭიერი გოგონას ზრდის უტყუარი გზა ვაჟთა ტურნირებში მონაწილეობაა. ამიტომ მოითხოვა ნანას დაშვება ჩემპიონატში.

ზაფხულში ავადმყოფობამ ვახტანგი სარეცელს მიაჯაჭვა. გრძნობდა მოახლოებულ აღსასრულს. სასთუმალთან მუდამ ჰქონდა ჭადრაკის წიგნები, ახალი გაზეთები. ვახტანგს თავს ეკლებოდა მისი დიდბუნებოვანი მეუღლე და მეგობარი ქალბატონი თამარ ბერაძე.

ხშირად ვნახულობდი ვახტანგს. ამ დროს ნანა კიევში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში თამაშობდა. ვახტანგი გაფაციცებით ადევნებდა თვალს მის ბრძოლას. ერთხელ მითხრა:

– მაღელვებს ნანას მომავალი. დარწმუნებული ვარ, იგი შეხვდება ნონას მსოფლიო პირველობის მატჩში. ვაი, რომ მე ვერ მოვესწრები. არადა, როგორ მინდა ვიხილო იგი!

ამ დროს ვახტანგის თვალებში იმედის სხივი კიაფობდა. მას გულწრფელად სჯეროდა, რომ ეს სასწაულებრივი შეხვედრა შედგებოდა.

აღსრულდა უჩვეულო წინასწარმეტყველება, მაგრამ ვახტანგის გარდაცვალებიდან – ცხრა წლის შემდეგ, 1975 წელს. ამ ისტორიულმა მატჩმა მსოფლიო ააღაპარაკა. ყველამ გაიგო ვახტანგ ქარსელაძის სახელი და ქართული ჭადრაკის სადიდებლად გაწეული მისი ღვაწლის შესახებ. მალე ამ ორთაბრძოლას ქართველ მოჭადრაკე ქალთა რამდენიმე შეხვედრა მოჰყვა მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის. მაგრამ ახლა უკვე ახალი თაობის წარმომადგენელთა, ვახტანგის "საჭადრაკო შვილიშვილებს" შორის.

* * *

იქნებ ვინმე ფიქრობს, რომ ვახ-

ტანგ ქარსელაძის წარმატებითი სამწვრთნელო მოღვაწეობა ია-ვარდით იყო მოფენილი. სამწუხაროდ, ეს ასე არ იყო.

ვახტანგს სიცოცხლეს უმწარებდნენ მისი მოწაფეების მიღწევებით დაბოლმილი, შურიანი ადამიანები. რას არ უგონებდნენ. ბევრჯერ მინახავს იგი ნერვებაშლილი, აფორიაქებული, მაშინ, როცა ყველაზე ბედნიერი უნდა ყოფილიყო. ბოლოს მაინც ვერ აიტანა მოზღვავებული ვნებათაღელვა, რომელმაც მოუსწრაფა სიცოცხლე.

მაგრამ ვახტანგის ღვაწლი და კვალი არასოდეს გაქრება. იგი სამუდამოდ დარჩა ქართული ჭადრაკის მატიანეში. მასზე დაიწერა წიგნი, გადაიღეს ფილმები.

1983 წელს ჟურნალისტმა ვიქტორ ვასილევმა გამოსცა წიგნი "მოზღვავებული სიკეთე". იგი შესწორებული სახით მეორედ დაიბეჭდა 1990 წელს. 1986 წელს დოკუმენტური ფილმების სტუდიამ "მემატიანე" ჩემი და მანუჩარ ყიფიანის სცენარით გადაიღო ერთნაწილიანი ფილმი "ტალანტების პოვნის ნიჭი" (რეჟისორი მ. ყიფიანი). ხოლო 1987 წელს ეკრანზე გამოვიდა მხატვრული ფილმი "ფარანი ქარში" ("ქართული ფილმი", რეჟისორი ნოდარ ომიაძე). მე ამ სურათის კონსულტანტი გახლდით.

ისიც უნდა ითქვას, რომ სასახლის ჭადრაკის კაბინეტს ვახტანგ ქარსელაძის სახელი მიენიჭა. კაბინეტი ოლიმპიური რეზერვების მომზადების სკოლად გარდაიქმნა. მას ვახტანგის აღზრდილები ნანა ალექსანდრია (დირექტორი), ალეკო ბოკუჩავა (მწვრთნელი) და სხვები უძღვებიან. ამ სკოლაში კვლავაც იზრდებიან ნიჭიერი მოჭადრაკეები: დიდოსტატი ლაშა ჯანჯღავა, საერთაშორისო ოსტატები ნათია ჯანჯღავა, მირანდა ხორავა და სხვები.

ცხოვრება გრძელდება. ვახტანგის მიერ აგორებული ტალღა დღესაც გვიმრავლებს საქვეყნოდ თავმოსაწონ, გახმაურებულ წარმატებებს.

მაქს ეივე

მაქს ეივე (1901-1981) იყო მეხუთე მსოფლიო ჩემპიონი (1935-1937), ფიდე-ს პრეზიდენტი (1970-1978), თეორეტიკოსი, ჟურნალისტი, მათემატიკის დოქტორი, პროფესორი.

— ძალიან მაინტერესებდა საქართველოს გაცნობა, რადგან მისი ქება ბევრჯერ მსმენოდა. ნონა ჩემპიონი რომ გახდა, მაშინ კი მტკიცედ გადავწყვიტე თქვენთან ჩამოსვლა, — გვიამბობდა ფიდე-ს პრეზიდენტი, მსოფლიოს ექსჩემპიონი, პროფესორი მაქს ეივე საუზმის დროს სასტუმრო "ინტურისტის" რესტორანში. ჰოლანდიელ სტუმარს თან ახლდნენ მეუღლე, ამსტერდამის გამოთვლითი ცენტრის ხელმძღვანელი, საერთაშორისო ოსტატი მიურინგი მეუღლითურთ და ძველი მეგობარი, დიდოსტატი სალო ფლორი. ყველანი მცხეთაში ვაპირებდით გამგზავრებას, მაგრამ ადგომას არავინ ჩქარობდა.

— თბილისსაც უნდა გაეცნო. მართალია, ნონა აქ არ დაბადებულა, მაგრამ სამაგიეროდ "დავიბადე" მე. ისიც სად.იცი? აი, ამ სახლში, ახლა რომ ვსაუზმობთ, — ჩვეულებისამებრ ხუმრობდა სალო ფლორი, თუმცა, სიმართლეს კი ამბობდა. 1942 წელს ჩეხოსლოვაკიის მკვიდრმა სალო ფლორმა თბილისში მიიღო საბჭოთა მოქალაქის პასპორტი.

— მაშინ ქართულიც გეცოდინება, — აჰყვა ეივე მეგობარს.

— აბა, როგორ გგონია? ყველა აუცილებელი სიტყვა ვიცი. პირველად ვისწავლე სიტყვა "გმადლობთ", რომელიც მუდამ საჭიროა სტუმართმოყვარე ქართველებთან ურთიერთობაში.

იდგა 1968 წლის 16 აგვისტოს მშვენიერი, არცთუ ცხელი დღე. დილის თერთმეტი საათი იქნებოდა, ორი "ვოლგით" მცხეთისკენ რომ გავწიეთ.

მაქს ეივემ სურვილი გამოთქვა დუშეთსაც სწვეოდა, სადაც ამ დროს საქართველოს ქალთა ჩემპიონატი მიმდინარეობდა. არც იმის წინააღმდეგი იყო, რომ დუშელებს ერთდროული თამაშის სეანსში შეხვედროდა: მე და სალო ალტერნატი-

ულ სეანსს გავმართავთო. ეს ამბავი დუშელებს ვაცნობეთ და ისინიც თადარიგს შეუდგნენ.

მცხეთამდე სტუმრებს ჯვრის მონასტერი დავათვალიერებინეთ. ზღაპრული გადასახედიაო, თქვა ეივემ, როცა არაგვისა და მტკვრის შესართავს მოავლო თვალი. ფიქრმორეული კარგა ხანს გაჰყურებდა იქაურობას.

მცხეთაში სტუმრებს სვეტიცხოველი ვაჩვენეთ. ვუამბეთ ტაძრის ისტორია, ლეგენდა მისი ამშენებლის ტრაგიკულ ბედზე.

ვჩქარობდით — დუშეთში უკვე გვიცდიდნენ. მაგრამ, როცა ეივეს ვუთხარი, რომ მცხეთაში ცხოვრობს ყვავილების მესაიდუმლე მიხეილ მამულაშვილი, ესიამოვნა და გვთხოვა, ვეწვიოთო. არც გაგვკვირვებია: ჰოლანდია ხომ ცნობილია, როგორც ყვავილების ქვეყანა. ალბათ არ არია ჰოლანდიელი, ყვავილები რომ არ უყვარდეს.

გაცნობისას მიხეილ მამულაშვილი, რომელსაც მიხეილ ბოტვინიკმა ჯერ კიდევ 1961 წელს "ყვავილების დიდოსტატი" უწოდა, ჰოლანდიურად გამოელაპარაკა მაქს ეივეს. მიიპატიჟა. ბაღიც თვითონ დაათვალიერებინა. სტუმარი გამხიარულდა. მერე ორივენი დიდი ბუჩქის ძირში ჩამოსხდნენ. ჩვენც იქვე მოვკალათდით. სტუმარ-მასპინძელმა საუბარი გააბეს.

— ჰოლანდიური საიდან იცით? — ჰკითხა ეივემ.

— 60 წლის წინათ ამსტერდამში გახლდით, თითქმის წელიწადი ყვავილების მოყვანასა და მოვლის საიდუმლოებას ვეწაფებოდი, — უპასუხა მიხეილმა. — ბევრი რამ ვისწავლე, მაგრამ არ დამცალდა — უსახსრობის გამო იძულებული გავხდი შინ წამოვსულიყავი. ღატაკი, ხელმოკლე ოჯახის შვილი ვიყავი. აბა, ვინ დამეხმარებოდა... თქვენში ყვავილები ძალიან უყვარდათ.

— ახლაც ძალიან უყვართ.

— ალბათ ჭადრაკიც, — შენიშნა ღიმილით მიხეილმა. მან უკვე იცოდა, ვინ იყო მისი სტუმარი.

სამახსოვროდ სტუმარ-მასპინძელს ფოტო გადავუღე. გამოთხოვებისას მიხეილ მამულაშვილმა მაქს ეივეს თანმხლებ მანდილოსნებს ლამაზი ყვავილები მიართვა.

...დუშეთში დიდძალ ხალხს მოეყარა თავი ფიდე-ს პრეზიდენტის შესახვედრად. არამცთუ ახლომახლო სოფლებიდან, შატილიდანაც კი ჩამოსულიყვნენ ჭადრაკის მოყვარულები.

მოჭადრაკე ქალები სტუმრებს დაბის ცენტრალურ მოედანზე შეხვდნენ (იხ. ფოტო. "მატიანე", I. გვ. 99). მონაწილეთა შორის იყო ნანა ალექსანდრია. იმ დროს უკვე მსოფლიო პირველობის ერთ-ერთი პრეტენდენტი. რა თქმა უნდა, იგი პირველი წარუდგინეს პრეზიდენტს.

— ნანა, გენაცვალე, გვიამბე რაიმე თქვენს ტურნირზე და ეივეს ვუთარგმნი, — სთხოვა სალო ფლორმა ალექსანდრიას.

გოგონამ ეშმაკურად გაუღიმა ცნობილ ჟურნალისტს და ჰოლანდიელ სტუმარს... ინგლისურად დაუწყო მოკრძალებული საუბარი. მოულოდნელობისაგან ფლორი სახტად დარჩა, და, როგორც ყოველთვის, ხუმრობა მოიშველია.

— მაშ, უმუშევარი დამტოვე?

მასპინძლებს ბაღში, ალვის ხეების ჩრდილში გაეშალათ მაგიდები ერთდროული თამაშის სეანსისათვის. მონაწილენი უკვე იქ დაგვხვდნენ.

მაქს ეივესა და სალო ფლორის სეანსებმა კარგა ხანს გასტანა. ჭადრაკის მოყვარულები შეუპოვრად თამაშობდნენ. ბოლოს სტუმრებმა გაიმარჯვეს.

დუშელებმა სტუმრები სადილად ჟინვალში მიიწვიეს. მაქს ეივე დიდად გამხიარულდა. პურობას ალამაზებდა საინტერესო ამბების გახსენება, თხრობა, ხუმრობა. რატომღაც ფლორი ჩქარობდა თბილისში დაბრუნებას და სტუმარსაც აჩქარებდა.

— ვიყოთ კიდევ.. ძალიან მომწონს ეს ზვიადი მთები და ეს პურადი დუშელები, — ამბობდა მაქს ეივე.

ფლორმა ვეღარ გაბედა მეგობრისთვის საყვედური ეთქვა, ეშინოდა, ნანა გაიგონებს და სხვებსაც ეტყვისო. ამიტომ ეივეს გერმანულად გადაულაპარაკა რაღაც. ეივემ უარის ნიშნად თავი გაიქნია.

ცნობილმა საჭადრაკო ჟურნალისტმა გივი გამრეკელმა მაშინვე გვითარგმნა ფლორის სიტყვები. მერე მაქს ეივეს მიმართა:

— პატივცემულო დოქტორო, მასპინძლებმა მთხოვეს გადმოგცეთ: ცოტა ხანს კიდევ დარჩით, თუ ძალიან არ გეჩქარებათო.

— დავრჩები, რასაკვირველია. მართალია, სალოს ეჩქარება, მაგრამ მაინც მომიცდის.

ფლორმა სიცილი ვერ შეიკავა:

— ქართული სტუმართმოყვარეობა ყველას მოაჯადოებს. მე კი მართლაც დამაშამათეთ. ეს უკვე მეორედ. სხვა ენა მე არ ვიცი, რომ მაქსს საიდუმლოდ ვუთხრა რამე. მაჯობეთ, ვრჩები!

ბინდი ეფინებოდა არემარეს, როცა მადლიერი ჰოლანდიელი სტუმარი დუშელებს გამოეთხოვა. იგი მეტად კმაყოფილი ბრუნდებოდა თბილისში.

უკვე გვიან იყო. დილით სოხუმს აპირებდა გამგზავრებას, მაგრამ მაინც გვთხოვა, ფუნიკულიორზე ავიდეთო. ნათურებით გაჩირაღდნებული თბილისი თვალს იტაცებდა.

— თბილისი კეიპტაუნს მაგონებს: მასაც ასეთი ფუნიკულიორი აქვს, — გვითხრა სტუმარმა. როცა ისევ ჭადრაკზე ჩამოვარდა სიტყვა, ეივეს ვუთხარი, რომ ზუგდიდის მუზეუმში ინახება მსოფლიო ჩემპიონების ვ.

ჯვრის მონასტერთან (16 აგვისტო 1968 წ.) მარჯვნიდან – მ. ეივე, მისი მეუღლე, ქალბატონი კორა, ს. ფლორი და თენ. გიორგაძე.

სტეინიცისა და ე. ლასკერის წერილები ცნობილი ქართველი მოჭადრაკის და მეცენატის ანდრია დადიანისადმი.

–სწორედ ამ ქალაქის ნახვა მაინტერესებს. ზუგდიდი ხომ ნონას მშობლიური ქალაქია, – თქვა ეივემ.

– მასპინძლებს სთხოვეთ, ის წერილები გაჩვენონ.

მაქს ეივეს მართლაც უნახავს ის წერილები და დიდად კმაყოფილი დარჩენილა. ამის შესახებ მან გაზეთ "სოვეტსკი სპორტის" ფურცლებზეც დაბეჭდა.

საქართველოში მაქს ეივე შორეულ აღმოსავლეთსა და ციმბირში მოგზაურობის შემდეგ ჩამოვიდა. იქ მას ახლდა მიხეილ ბოტვინიკი. სწორედ ეს უამბო მან ტელემაყურებლებს თბილისში ჩამოსვლის პირველსავე საღამოს. სხვათა შორის, ამ გადაცემაში ეივემ ისიც თქვა, რომ მას ვერა მენჩიკთან სამი პარტია აქვს წაგებული და არა ორი, როგორც წერდნენ. დუშეთში მოგზაურობისას მე და ფლორი ამაოდ ვიგონებდით , სად და როდის წააგო მან მესამე პარტია. როცა ეს ეივეს ვკითხეთ, თავადაც ვერ გაიხსენა.

მაქს ეივეს სხვა დროსაც შევხვედრივარ. მაოცებდა ამ მაღალი, ხმელ-ხმელი კაცის ენერგია და ცნობისმოყვარეობა, ყველაფრისადმი დაუოკებელი ინტერესი. ბოლოს ეივე 1978 წლის აგვისტოს ბიჭვინთაში, გაფრინდაშვილი – ჩიბურდანიძის მატჩის საზეიმო გახსნაზე ვნახე. საუბარში სიამოვნებით გაიხსენა დუშეთში სტუმრობა.

მიხეილ ბოტვინიკი

მიხეილ ბოტვინიკი (1911-1995) იყო მეექვსე მსოფლიო ჩემპიონი (1948-1957, 1958-1960, 1961-1963), სსრ კავშირის 1931, 1933, 1941, 1944, 1945, 1952 წლების ჩემპიონი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მრავალი წიგნის ავტორი.

მიხეილ ბოტვინიკი 1961 წლის 5 სექტემბერს გავიცანი, როცა პირველად ჩამოვიდა თბილისში სალო ფლორთან ერთად. ათიოდე ქართველი მოჭადრაკე ვიქტორ გოვლიძის თავკაცობით დავხვდით მათ წითელ ხიდთან. ყველამ გულითადად მივულოცეთ ბოტვინიკს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაბრუნება მ. ტალთან მატჩ-რევანშში.

ძვირფასმა სტუმარმა ხუთ დღეს დაჰყო თბილისში. ცხოვრობდა კრწანისის სამთავრობო აგარაკზე. ივი პირველად იყო ჩვენს დედაქალაქში და მოისურვა მისი გაცნობა. მან გულდასმით მოინახულა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი მთაწმინდაზე, ფუნიკულიორი, იყო მცხეთაში, სადაც გაიცნო ცნობილი მეყვავილე მიხეილ მამულაშვილი, დაათვალიერა სვეტიცხოველი და ჯვრის მონასტერი, აგრეთვე ახალაგებული სპორტის სასახლე თბილისში. ტელევიზიითაც გამოვიდა ფლორთან ერთად.

– აღფრთოვანებული ვარ თბილისის ღირსშესანიშნაობებით. საამაყოა თქვენი ხელოვნება, კულტურული მემკვიდრეობა. ამიტომ არ მიკვირს, რომ მოჭადრაკეთა საიმედო თაობა გეზრდებათ, – უთხრა მან მსმენელებს ტელე-ინტერვიუში.

ბოტვინიკის სტუმრობისას უკვე მზად იყო თბილისის ჭადრაკის სასახლის პროექტი, მაგრამ ვერ დაეწყოთ მშენებლობა საკავშირო მთავრობის ნებართვის გარეშე. მაშინ აკრძალული იყო მსგავსი მშენებლობა. ეს რომ ბოტვინიკს უამბეს, მან ჭადრაკის მესვეურებს დახმარება აღუთქვა და დანაპირებიც შეასრულა. 1964 წელს მშენებლობა დაიწყო.

დიდი ინტერესი გამოიწვია ბოტვინიკის ერთდროული თამაშის სეანსმა (საათებით) 8 ახალგაზრდა

ძოჭადრაკესთან, რომელიც 9 სექტემბერს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა. სეანსს დიდძალი მაყურებელი დაესწრო. პარტიებს სადემონსტრაციო დაფებზე უჩვენებდნენ.

10 სექტემბერს ბოტვინიკმა ლექცია ("ჩემი მატჩ-რევანში მ. ტალთან") წაიკითხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და იმავე საღამოს ფლორთან ერთად სოხუმს გაემგზავრა. ფედერაციის პრეზიდიუმის დავალებით გ. გაჩეჩილაძემ, კ. ციციშვილმა და მე სტუმრები გავაცილეთ ჯერ სოხუმში, სადაც მათ ორი დღე დაჰყვეს (წაიკითხეს ლექციები, გამართეს ერთდროული თამაშის სეანსები), მერე ადლერიდან მოსკოვში.

1963 წლის ზაფხულს, ტიგრან პეტროსიანთან მსოფლიოს პირველობის მატჩის წაგების შემდეგ, ბოტვინიკმა ზღვაზე დასვენება შემომთავაზა. ამ დროს უკვე ახლო ურთიერთობა გვქონდა. სასწრაფოდ მოვამზადე საგზურები, მაგრამ ბოტვინიკი მხოლოდ ოქტომბრის დამდეგს ჩამოვიდა თბილისში. ამჯერად ოჯახიც გავაცანი. ორიოდე დღეში გავემგზავრეთ აფხაზეთში.

ქუთაისელი მეგობრების თხოვნით ბოტვინიკი ორ დღეს დარჩა ქუთაისში. მასპინძლებმა სტუმარს დაათვალიერებინეს გელათი, ბაგრატის ტაძარი, შეახვედრეს ქუთაიური მოჭადრაკეები ერთდროული თამაშის სეანსში (÷14-1=5) და ბოლოს სამახსოვრო სადილით გაუმასპინძლდნენ წყალტუბოში.

დასასვენებლად მოვეწყვეთ აგარაკ ლესელიძეში, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბაზაზე, სადაც ორი კვირა დავრჩით. ვბანაობდით, ვაწყობდით "ტურისტულ ლაშქრობებს" (ბოტვინიკს უყვარდა მთაში სიარული), ვაკითხავდით მეგობრებს (სადილად გვიწვევდნენ), მაგრამ მეტ დროს ვსაუბრობდით. მიხო (ბოტვინიკს მოსწონდა ეს კახური სახელი და მთხოვდა ასე მომმართეო) დაწვრილებით მიამბობდა თავის განვლილ ცხოვრებაზე, მშობლებზე, ოჯახზე, ჭადრაკის კორიფეებსა და მეცნიერულ მუშაობაზე. ამ დროს იგი საჭადრაკო პროგრამა "პიონერს" ამუშავებდა კომპიუტერული მანქანისათვის.

ჩემთან ნაამბობი შემდგომ ბოტვინიკმა ცალკე მოგონებათა წიგნად გამოსცა — "აღთქმული მიზნისაკენ", რომელიც მერე ქართულადაც გამოქვეყნდა 1982 წელს. ამიტომ ბოტვინიკის ნაამბობს არ შევეხები. მხოლოდ სამ შემთხვევას გავიხსენებ.

ბოტვინიკი მარწმუნებდა, რომ ნიჩბის მოსმა აკაჟებს ორგანიზმს და ზღვაში ნავით გასეირნებას მთხოვ-

და. ცურვა არ ვიცოდი და, რა დასამალია, მეშინოდა. მაგრამ ბოლოს მაინც "გამტეხა". ვფიქრობდი, ალბათ თავად იცის ცურვა, ასე დაჟინებით რომ მთხოვს.

როგორც კი ნავში ჩავსხედით, ბოტვინიკმა მარდად მოუსვა ნიჩბებს და მალე ნაპირიდან საკმაოდ შორს ვიყავით. შიშნაკრავმა გავბედე და ვკითხე:

— მიხო, თქვენ ცურვა თუ იცით?

— არა, მაგრამ თქვენი იმედით ვარ!

ჩემი ამბავი რომ ვუთხარი, ჩანს, თავადაც შეშინდა და ნაპირისკენ მოუჩქარა, ცხადია, ძალიან ფრთხილად. სამშვიდობოზე რომ გამოვედით, ბევრი ვიცინეთ და შევთანხმდით ცურვა გვესწავლა. დარჩენილ დღეებს ცურვის სწავლით ვიწყებდით, მაგრამ ამაოდ. მერე საქილიკოდ გვქონდა ჩვენი ცურვა.

ერთხელ შინ, სოხუმში სადილად მიგვიწვია აფხაზეთის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარემ რეფო კაკიაშვილმა. მან დაგვახვედრა თავისი მეგობარი, იმდროინდელი აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ჭადრაკის დიდი ტრფიალი იური ჭანბა (გამოჩენილი აფხაზი მწერლის სიმონ ჭანბას ვაჟი). ვიდრე სუფრა გაიშლებოდა, მასპინძელმა შემოგვთავაზა ამოსახსნელად პაულ კერესის ოთხსვლიანი ამოცანა. თან დასძინა: თავად კერესმა მაჩვენა ჩემსას სტუმრობისასო და ეს პოზიცია გააწყო:



შამათი ოთხ სვლაში

ამოცანა პირველმა ამოვხსენი. მოწონების ნიშნად ბოტვინიკმა გამიღიმა. მერე მითხრა:

— არ მიკვირს, რომ დამასწარით. ჩვევად მაქვს, ვიდრე სვლების ძებნას დავიწყებ, ამოცანის თემას ვეძებ. ამას კი დრო სჭირდება. ჭადრაკსაც ასე "მძიმედ" ვთამაშობ. ამიტომ არ მიყვარს მსუბუქი პარტიების თამაში.

აქვე უნდა ვთქვა, რომ მე და ბოტვინიკს ერთხელაც არ გვითამაშია მსუბუქი პარტია, თუმცა სხვების პარტიებს ვაანალიზებდით ხოლმე.

ალბათ ამიტომაც ბედნიერად ვგრძნობდი თავს, რომ ამოხსნაში თვით ბოტვინიკს "ვაჯობე"!

აი, ამოხსნაც: 1. ♗g5 ♖f7 2. ♗f4 ♘c6 3. ♗d2. თავიდან 1. ♗d2-ს მოჰყვებოდა 1. ...♖c7. კარგი არც 1. ♗f4 იყო, რადგან

შავები 1. ...Ф17-ს ითამაშებდნენ. ამიტომ თეთრები აიძულებენ შავებს ჯერ ეტლით დაიკავონ f7 უჯრა, რომ მერე მხედარს არ შეეძლოს იქ მისვლა.

ბოტვინიკი თითქმის არ სვამდა ღვინოს, მაგრამ თუ მოეწონებოდა, ზომიერებას იცავდა. მას ძალიან აინტერესებდა ქართული სუფრის ადათ-წესები, ყველაფერს კითხულობდა. თუ როგორ იცოდა ყოველივე ეს გამოჩნდა ერთ სუფრაზე, რომელიც თაყვანისმცემლებმა გაგრის რესტორან "გაგრიფშში" გაუშალეს.

სუფრას 10-12 კაცი ვუსხედით. გულთბილ საუბარსა და სადღეგრძელოებში ვატარებდით დროს. ბოტვინიკს მოსწონდა ღვინო "ფსოუ", ოდნავ ტკბილი, საამო. ერთხელაც მან თამადას "უსაყვედურა": მშობლების სადღეგრძელო დააგვიანეთო, მეორედ "შენიშვნა" მისცა: ხშირად დგებით სადღეგრძელოს სათქმელად. მალე მოგეკიდებათ ღვინოო! დიდი მოჭადრაკის ასეთი აქტიურობა ამხიარულდება თანამეინახეებს, მოსწონდათ იგი.

მერეც გრძელდებოდა ჩვენი, ბოტვინიკისა და ჩემი მეგობრობა. ვხვდებოდით, წერილებს ვწერდით ერთმანეთს. 1964 წელს ბოტვინიკი გაგრაში ისვენებდა. სოხუმში პრეტენდენტ ქალთა ტურნირი რომ დაიწყო, რამდენიმეჯერ ჩემს სანახავად ჩამოვიდა. სხვათა შორის, მაშინ გავაცანი მას ჩვენი ცნობილი ეტიუდისტი გია ნადარეიშვილი, რომელთანაც შემდგომ დიდი მეგობრობა აკავშირებდა. ვყოფილვარ ბოტვინიკის ოჯახის სტუმარიც მოსკოვში. წესად გვქონდა, საახალწლოდ ნობათის, ახალი წიგნების გაგზავნა სამახსოვრო წარწერით. ასე გრძელდებოდა წლების მანძილზე.

ერთხელაც ჩვენს შორის "შავმა კატამ" გაირბინა. იქნებ არც ღირდეს ამის გახსენება, მაგრამ მან გაბზარა ჩვენი აწყობილი მეგობრობა.

ახალი, 1969 წელი რომ დადგა, უკან დამიბრუნდა ბოტვინიკთან გაგზავნილი საახალწლო ნობათი. გავეცდი. ჩემს რაიმე "დანაშაულს" ვერ ვგრძნობდი. ჩვენმა საერთო მოსკოველმა მეგობრებმა დამამშვიდეს: დაელოდე, თავად გამოასწორებს ურთიერთობას. მსგავსი საქციელი მის ხასიათშიაო.

1968 წლის შემოდგომაზე ტალინში დანიშნული იყო მსოფლიო პირველობის მატჩი ნონა გაფრინდაშვილსა და ალა კუშნირს შორის. მაგრამ იგი კუშნირმა ჩაშალა. მოიმიზეზა: ამ დროს ტალინში ხშირად წვიმსო!? ამ უპრეცედენტო ამბავს მწვავედ გამოეხმაურე "ლელოში" (10 ოქტომბერი 1968 წ.). იგი სხვა ჟურნალისტებმაც დაგმეს.

ჩვენს გამოხმაურებას მოჰყვა

საქართველოს კომპარტიის ცკ-ას პირველი მდივნის სახელზე ვრცელი წერილი მ. ბოტვინიკის, ა. კოტოვის, გ. ვოლდბერგისა და ლ. შამკოვიჩის ხელმოწერით. ისინი ამართლებდნენ კუშნირის ჭირვეულობას, იცავდნენ "ნიჭიერ საბჭოთა სპორტსმენს". ეს ამბავი რომ შევიტყვე, მივხვდი რამ გაანაწყენა ჩემი მეგობარი. რა თქმა უდა, მან იცოდა, რომ მე "ლელოში" ვმუშაობდი და წერილის ავტორი ვიქნებოდი.

არ გავაგრძელებ საუბარს ამ უსიამოვნო ფაქტზე. ვიტყვი მხოლოდ: ფიდე-ს პრეზიდენტმა მაქს ეივემ, რომელსაც ნონამ მიმართა დახმარებისათვის, დანიშნა მატჩი 1969 წლის აპრილ-მაისში თბილისსა და მოსკოვში. ეს შეხვედრაც ნონამ დამაჯერებლად მოიგო (8,5:4,5) და მესამედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

ჩანს, ბოტვინიკი მიხვდა, რომ შეცდა კუშნირის მხარდაჭერით. 1971 წლის ზაფხულში თბილისში რომ ჩამოვიდა, ტელევიზიაში მიწვევისას მასპინძლებს განუცხადა: გამოვალ თუ გადაცემას თენგიზ გიორგაძე გაუძღვებაო. ეს შერიგებას ნიშნავდა.

ჩვენ მერეც ვხვდებოდით ერთმანეთს. გავიხსენებ ერთ მათგანს, რომელიც კურიოზით აღინიშნა.

ეს მოხდა 1972 წლის გაზაფხულზე მოსკოვში, პირველ საკავშირო საჭადრაკო ოლიმპიადაზე, სადაც მსაჯად ვიყავი მიწვეული. არმიის სპორტული კლუბის დარბაზში ათასამდე ოლიმპიადის მონაწილე მორიგი ტურის დაწყებას ელოდებოდა. ამ დროს დარბაზში ბოტვინიკი შემოვიდა. დამინახა თუ არა ჩემსკენ წამოვიდა. გულთბილ მისალმებასა და მოკითხვას, ხანმოკლე საუბარი მოჰყვა. ვკითხე ისიც: თუ აგრძელებთ-მეთქი "ძუნძულით" რბენას ტანის გასაკაჟებლად. არაო, მიპასუხა ღიმილით. ახლა 150-ჯერ ვხტუნავ ადგილზეო. როგორ-მეთქი. აი ასე: და ერთი-ორჯერ ახტადახტა. მოუწონე სიახლე. დავემშვიდობეთ თუ არა ერთმანეთს, რამდენიმე ნაცნობი მომვარდა. რა უთხარი ისეთი ამ ბრძენ კაცს, რომ შენს წინ ხტუნვა დაიწყოო. ეს სურათი რომ წარმოვიდგინე, მეც გულიანად გამეცინა. ამ სასაცილო შემთხვევას ხშირად ვიხსენებ ხოლმე.

ბოტვინიკი 1975 წელსაც იყო თბილისში. იგი დაესწრო საჭადრაკო კომპოზიტორთა XVIII კონგრესს და სიტყვა წარმოთქვა. ბოლოს ჩვენი სტუმარი 1982 წელს იყო. იგი ლექციის წასაკითხად მიიწვია ჭადრაკის სასახლესთან არსებულმა საქართველოს ჭადრაკის კულტურის სახალხო უნივერსიტეტმა.

ყვავილების მესიდუმლე მიხეილ მამულაშვილთან (მცხეთა, 7 სექტემბერი 1961 წ.): მარჯვნიდან – მ. მამულაშვილი, მ. ბოტვინიკი, თენ. გიორგაძე და გ. გაჩეჩილაძე.

მიხეილ ბოტვინიკი მუდამ კეთილად იყო განწყობილი საქართველოს მოჭადრაკეების მიმართ. მაგრამ, სამწუხაროდ თბილისში გამართულ დიდ ტურნირებში ერთხელაც არ მიუღია მონაწილეობა.

მიხეილ ტალი

მიხეილ ტალი (1936-1992) იყო მერვე მსოფლიო ჩემპიონი (1960-1961), სსრ კავშირის ჩემპიონი (1957, 1958, 1967, 1972, 1974, 1978), პირველი არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონი ბლიცის თამაშში (1988), 21 საერთაშორისო ტურნირის პირველი პრიზიორი, ჟურნალ „შახს" - ის მთავარი რედაქტორი (1960-1970).

1968 წლის ნოემბერში გორის გ. ერისთავის სახელობის დრამატული თეატრი ვ. ქარსელაძის პირველ მემორიალს მასპინძლობდა. ტურნირში ნონა გაფრინდაშვილი, მიხეილ ტალი, ეფიმ გელერი, ედუარდ გუფელდი, ბუხუტი გურგენიძე და სხვები მონაწილეობდნენ. მე მთავარი მსაჯი გახლდით.

ერთხელ, სასტუმრო "ქართლში", სადაც ყველანი ვცხოვრობდით, მიხეილ ტალმა ცალკე გამიხმო და ტანჯული კაცის გამომეტყველებით მთხოვა:

— უნდა დამეხმაროთ. ლამის შემჭამა თირკმლის ტკივილმა. ხომ ნახეთ გუშინ როგორ ვთამაშობდი?

— რა არის საჭირო?

— მიშოვეთ მორფის რამდენიმე ამპულა. გამითავდა. აფთიაქში არ მაძლევენ!

სახტად დავრჩი. გონებაში გამიელვა: ნუთუ ტალი ნარკომანია, როგორც ამბობენ? მაშინ ჩვენში მხოლოდ იწყებოდა ბრძოლა ნარკომანიის წინააღმდეგ. ამიტომ ტურნირის ერთ-ერთ ორგანიზატორს, გორის თავკაცს შალვა ბერიანიძეს მივაკითხე და დახმარება ვთხოვე.

— ნადვილად იცი, რომ ნარკომანი არ არის? მაშინ დავეხმაროთ სტუმარს, — მითხრა ბატონმა შალვამ და გამაგზავნა იქ, სადაც რამდენიმე ამპულა მომცეს.

ტალი გამხიარულდა და ტურნირი წარმატებით დაასრულა: პირველობა არავის დაუთმო, თუმცა, მის თამაშში წინანდელი ნაპერწკალი არ იგრძნობოდა.

იმ ხანებში ტალი აქტიურად მონაწილეობდა მსოფლიოს საჭადრაკო ცხოვრებაში. მაგრამ ყოველთვის მზად იყო ჩვენს ტურნირებშიც ეთამაშა. ამიტომ 1969 წლის დამდეგს შევუთვალეთ მას, რომ დეკემბერში ვიწვევთ ვიქტორ გოგლიძის პირველ მემორიალში საასპარეზოდ.

მიხეილ ტალი თბილისში ცოტა აღრე, ნოემბერში ჩამოვიდა.

— ისევ მაწუხებს თირკმელი. გადავწყვიტე, ოპერაცია თქვენთან გავიკეთო, — გვითხრა შეხვედრისას.

ეს რომ გავიგონე, გორი გამახსენდა. ამ დროს უკვე ვიცოდი, რომ იგი ვაჟკაცურად არ იმჩნევდა ტკივილებს. ამიტომაც ვერაფერს შეამჩნევდით, მით უმეტეს, რომ ტკივილგამაყუჩებლებს ღებულობდა.

ქართული ჭადრაკის მესვეურნი — არჩილ ჭირაქაძე, გიგლა გაჩეჩილაძე და სხვები მაშინვე დატრიალდნენ. შეეხმიანენ აკადემიკოს გ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ სოკრატ არშბას. შესანიშნავმა დასტაქარმა მაშინვე მიიწვია ტალი საოპერაციოდ.

— რა კარგია, მემორიალამდე მოვმჯობინდები და თამაშსაც შევძლებ, — ამბობდა გახარებული მსოფლიოს ექსჩემპიონი.

ტალს ყურადღება და მზრუნველობა არ აკლდა. ინსტიტუტმა სწრაფად მოამზადა იგი საოპერაციოდ. ბატონმა სოკრატ არშბამ არ დააკლო თავისი ხელოვნება. ტალის სანახავად საავადმყოფოში რომ მივედი, დერეფანში მისი მეუღლე ლარისა შემხვდა.

— ოპერაციამ ჩინებულად ჩაიარა, მიშა კარგადაა, მაგრამ რატომღაც გისოსებიან პალატაში მოათავსეს!

— შემომჩივლა ლარისამ.

მერე ტალის მკურნალმა ექიმმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ნოდარ ბეროძემ მიამბო:

— ამ პალატაში ბატონმა სოკრატმა შეგნებულად მოათავსა. გვითხრა: ნარკოტიკს არ მივცემ (აღარ დასჭირდება), თუ იგი ნარკომანია. კედლებზე დაიწყებს "სიარულს". ამიტომ თავის დაზღვევა ჯობიაო. იხუმრა კიდეც: ახლა მორფის მიღებას სჯობს მორფის პარტიები არჩიოს!

ბატონ სოკრატს მხედველობაში ჰყავდა XIX საუკუნის გენიალური ამერიკელი მოჭადრაკე პოლ მორფი.

... ტალი უკვე ყოჩაღად გრძნობდა თავს, როცა ბატონმა სოკრატმა იგი მატჩში "გამოიწვია". ეს ისტორიული შეხვედრა - "ლელოს" ფოტოკორესპონდენტმა მიხეილ ზარგარიანმა ფირზე აღბეჭდა.

მალე მიხეილ ტალი საავადმყოფოდან გამოწერეს და კვირაძალზე, 17 დეკემბერს ვ. გოგლიძის მემორიალში ჩაება. თამაშობდა დიდი აღმაფრენით. აი, მაგალითიც:

სიცილიური დაცვა

ტალი-სუეტინი

თბილისი, 1970 წ.

1. e4 c5 2. ♘f3 e6 3. d4 c×d4 4. ♘×d4 a6 5 ♗d3 ♘e7 6. ♘c3

♘bc6 7. ♘b3 ♘g6 8. 0-0 b5 9. ♗e3 d6 10. f4 ♗e7 11. ♕h5 ♗f6 12. ♖ad1 ♗×c3 13. b×c3 ♗d7 14. ♘d4 ♕c7 15. ♖d2 ♘ge7 16. f5 e×f5 17. e×f5 ♘e5



18. ♘e6! ♗×e6 19. f×e6 g6 20. ♕×e5! d×e5 21. e×f7+ შავები დანებდნენ.

საბოლოოდ, ტალმა პირველი-მეორე ადგილები გაიყო ბუხუტი გურგენიძესთან, რომელსაც ამ მიღწევისათვის საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭა.

— ყველას, ყველას უღრმესი მადლობა, თქვენიანად მიგულეთ, — ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა ტალი. შემოდგომაზე ისევ გვეწვია. ახლა უკვე ფოთში საქართველოს 1970 წლის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად.

საქართველოში უყვარდათ მიხეილ ტალი, მისი რაინდული ბუნება და კომბინაციური გენია. სწორედ ეს აახლოვებდა მას ქართველი კაცის სულთან. ყველა გრძნობდა ტალის ჯადოსნურ ნიჭიერებას, რაც მის თამაშში იკითხებოდა.

პირველად ტალი ჩამოვიდა თბილისში 1956 წლის შემოდგომაზე სსრ კავშირის 24-ე ჩემპიონატის ნახევარფინალში მონაწილეობის მისაღებად. სწორედ ამ ტურნირში პირველად შევხვდით ერთმანეთს ჭადრაკის დაფასთან. ამ პარტიაში მთელი სიგრძე-სიგანით ვიგრძენი ტალის შემოქმედებითი აღმაფრენა. მხოლოდ 17 სვლა გაუძლო ჩემმა გვირგვინოსანმა მის იერიშს. კორიფეებთან (ტ. პეტროსიანი, ვ. კორჩნოი) ჭიდილში ფინალის საგზურის მოპოვებამ ტალი ააგულიანა, რომ მომდევნო ოთხ წელიწადში იგი ორგზის სსრ კავშირის ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი გახდა და ბოლოს თვით მიხეილ ბოტვინიკს "მეფის ტახტი" დაათმობინა!

რიგელ "ჯადოქარს", "შავ ჯიქს", როგორც ტალს უწოდებდნენ, უამრავი გულშემატკივარი ჰყავდა თბილისში. ამიტომ მუდამ მათკენ მიუწევდა გული. თბილისში ტალს მონაწილეობა მიუღია: 1959 წელს სსრ კავშირის 26-ე ჩემპიონატში, 1965 წელს პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში ბ. სპასკისთან, 1978 წელს სსრ კავშირის 46-ე ჩემპიონატსა და 1986 წელს ვ. გოგლიძის VII მემორიალში, იმ ტურნირების გამოკლებით, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

მიხეილ ტალი ბოჰემის ბუნებისა იყო. თავს არ უვლიდა. არც სმაზე

მ. ტალის მატჩი პროფესორ სოკრატ არშბასთან. „მსაჯი" ნოდარ ბერიაძე.

ამბობდა უარს. სხვათა შორის, ვ. გოგლიძის VII მემორიალის დამთავრების შემდეგ მე და ტალი ტელეჟურნალ "სამორინეში" გამოვედით. გადაცემა გაგვიგრძელდა. უკვე ღამე იყო და სავახშმოდ შინ მივიწვიე. საინტერესო ამბების თხრობაში მან ისე დაცალა ლიტრა ჭაჭა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

ბოლოს ტალი გვეწვია თბილისში 1989 წლის ივლისში იმის იმედით, რომ მისი მეგობარი მკურნალები კვლავ ფეხზე დააყენებდნენ. უსაშველოდ აწუხებდა ერთადერთი თირკმელი. ოპერაცია აღარ შეიძლებოდა. მას ექსტრასენსმა მაგული გორდელაძემ დაუამა ტკივილები. მაგრამ ტალი უკვე განწირული იყო. ეს იცოდა და მაინც არ ეშვებოდა ტურნირებში მონაწილეობას. ამჯერად ჩვენს ჭადრაკის სასახლეში მონაწილეობა მიიღო ტ. პეტროსიანის დაბადების 60-წლისთავისადმი მიძღვნილ ბლიცტურნირში და, ცხადია, გაიმარჯვა.

ტალს თავდავიწყებამდე უყვარდა ჭადრაკი. ნამდვილი ფანატიკოსი იყო. მხოლოდ მას შეეძლო გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე გაპარულიყო საავადმყოფოდან და მოსკოვის ღია პირველობაში (ბლიცის თამაშში) მიეღო მონაწილეობა.

ტალი გარდაიცვალა 1992 წლის 28 ივნისს მოსკოვში, ხოლო 2 ივლისს დაკრძალეს რიგაში.

მიხეილ ტალმა ღრმა კვალი დატოვა ჭადრაკის ისტორიაში. მას არ უწერია დავიწყება!

ტიგრან პეტროსიანი

ტიგრან პეტროსიანი (1929-1984) მეცხრე მსოფლიო ჩემპიონი (1963-1969), სსრ კავშირის 1959, 1961, 1969, 1975 წლების ჩემპიონი, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, ჟურნალისტი იყო. იგი დაიბადა თბილისში, საიდანაც დაიწყო მისი გზა დიდებისაკენ.

ჩვენ 1944 წლის დიდთოვლიან ზამთარში (დეკემბერი) გავიცანით ერთმანეთი. მანამდე იგი მყავდა ნანახი თბილისის შრომის სასახლეში, სადაც საქართველოს ვაჟთა V ჩემპიონატი მიმდინარეობდა. თავიდანვე თვალში მოუვედით ერთმანეთს და დავმეგობრდით. იმ დროს სამამულო ომი მძვინვარებდა. ღარიბად ვცხოვრობდით, ცუდად ვიკვებებოდით. ტიგრანს უკიდურესობამდე გაცვეთილი პალტო ეცვა, მე "ტელაგრეიკა", ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანაში მიღებული (ორი წელი მონტიორად ვმუშაობდი იქ). მაგრამ დუხჭირ ცხოვრებას ნაკლებად განვიცდიდით. ახალგაზრდები ვიყავით. ჭადრაკი გვასულდგმულებდა.

ჩვენ უფრო მეტად საჭადრაკო ლიტერატურამ დაგვაახლოვა. მე ბევრი წიგნი და ჟურნალ-გაზეთი მქონდა. მათ ომამდეც ვაგროვებდი. ვყიდულობდი ბუკინისტებთან საუზმეზე დაზოგილი ფულით. ჩემი წიგნები რომ ნახა, ტიგრანი მაშვრალივით დაეწაფა მათ. სკოლას აცდენდა. დილას რომ მოვიდოდა, საღამომდე რჩებოდა. კითხულობდა, ვიდრე ინსტიტუტში ვიყავი (ვსწავლობდი თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტში). შინ რომ დავბრუნდებოდი, ვიდრე ღარიბულ შეჭამადს დავამზადებდი, წაკითხულს მიამბობდა. ამ დროს ისეთი ანთებული თვალები ჰქონდა, ძნელი არ იყო მისი საჭადრაკო მომავლის გამოცნობა.

ტიგრანსაც კარგი წიგნები ჰქონდა. ისინი თიოქმის ზეპირად იცოდა. უშეცდომოდ შეეძლო ეთქვა რომელ გვერდზე რა ეწერა. არონ ნიმცოვიჩის "ჩემი სისტემა" და "ჩემი სისტემა პრაქტიკაში" ლექსიკით ჰქონდა ნასწავლი. მეუბნებოდა: ამ წიგნების დებულებები ჩემს სულს ესალბუნებაო. უკვე მაშინ ტიგრანი ცდილობდა პოზიციურად ეთამაშა,

რომლის დაუფლებაში ხელს უწყობდა მეცადინეობა არჩილ ებრალიძესთან პიონერთა სასახლეში. ქართველი ოსტატი პოზიციური სტილის გულმხურვალე მქადაგებელი იყო.

***

შეგობრები სანჩიკს ეძახდნენ. მე — ტიგრანს. ის ჩემზე ოთხი წლით უმცროსი იყო, მაგრამ ეს არ იგრძნობოდა ჩვენს ურთიერთობაში. იგი ისე გონივრულად საუბრობდა ჭადრაკზე, რომ თავს მოგაწონებდათ. ჭადრაკი მისთვის სიცოცხლის სტიმული, ცხოვრების მიზანი იყო.

ძალიან რომ დავახლოვდით, მიამბო თავისი თავგადასავალი. 1942 წელს გარდაეცვალა დედა, (მამა ჩვენს გაცნობამდე ცოტა ადრე). ცხოვრობდა მამიდასთან ერთ ციცქნა ოთახში რუსთაველის პროსპექტზე, ოფიცერთა სახლის საბილიარდოს შესასვლელში. ჰყავდა დაძმა, მაგრამ ისინი სხვა ნათესავებმა შეიკედლეს. მოხუცი მამიდა ოფიცერთა სახლის მეეზოვედ მუშაობდა. პროსპექტს ხვეტავდა ოფიცერთა სახლიდან "ბორჯომის" მაღაზიამდე. ზოგჯერ ტიგრანი ეხმარებოდა. მერე, როცა საქართველოს ჩემპიონი გახდა (1945 წ.) და ხალხი სცნობდა მას, ტიგრანი უთენია დგებოდა მამიდის შესაცვლელად. ეუხერხულებოდა, არავის დაენახა. მიამბო ისიც, ობლად რომ დარჩა. ზამთარში შუაღამეს დგებოდა ნავთის რიგის დასაკავებლად. რომელსაც მერე ჰყიდდა და პურის ფული შინ მიჰქონდა. ოფიცერთა სახლის კინომექანიკოსის თანაშემწედაც უმუშავია.

გაჭირვებაში ტიგრანი მალე დავაჟკაცდა. მიზანსწრაფი გახდა. მთელ დროს ჭადრაკს ანდომებდა. ჭადრაკზე ფიქრმა, მის სამყაროში ყოფნამ, ტურნირებში მონაწილეობამ თუ საჭადრაკო წიგნების კითხვამ გაუმძაფრა ჭადრაკისადმი სიყვარული. მერე მსოფლიო ჩემპიონი პეტროსიანი დაწერს, რომ უჭადრაკოდ ჭადრაკის წიგნების კითხვა დიდად ავითარებს მოჭადრაკის ტექნიკას, ფანტაზიასა და აზროვნებას. ჭაბუკი ტიგრანი მაოცებდა ყმაწვილისათვის შეუფერებელი სიდიაჯით, სულგრძელობითა და სერიოზულობით. ხშირად მომისმენია ცნობილი ოსტატების, მაგალითად, პეტრე რომანოვსკის ანალიზების მისეული კრიტიკა.

***

შეჯიბრება რომ იწყებოდა, ტიგრანი ასე გეგმავდა თავის გამოსვლას: პრიზს რომ დავეუფლო, ამდენი პარტია უნდა მოვიგო, ამდენი ყაიმით დავამთავრო. იმ დროს პრიზი ჰაერივით სჭირდებოდა. იგი აღწევდა მიზანს, მაგრამ, ჩემი აზრით,

აღარიბებდა საკუთარ შემოქმედებას. საქმე ისაა, რომ ხშირად ურიგდებოდა ყაიმს, ოღონდ უპრიზოდ არ დარჩენილიყო. მერე ეს ჩვეად გადაექცა და ხელსაც უშლიდა, როცა დიდოსტატი გახდა. ამ ყაიმებს სხვა ახსნაც აქვს: იგი არასოდეს არ ღალატობდა ჭადრაკის ლოგიკას. მისთვის მეტოქის ვინაობას მნიშვნელობა არ ჰქონდა. აკეთებდა იმას, რასაც რეალური პოზიცია უკარნახებდა. ამიტომაც ძალიან ცოტას აგებდა. ფრთხილიც იყო. გრძნობებს არ აჰყვებოდა. მუდამ ახსოვდა დასახული მიზანი.

საქართველოს ვაჟთა 1945 წლის ჩემპიონატის მონაწილეებს გამოგვიცხადეს, რომ გამარჯვებული... პალტოთი დაჯილდოვდებაო. ტიგრანი ახლოს იყო მიზანთან, ერთმანეთს რომ შევხვდით. თამაშისთვის ერთად ვემზადებოდით. ამჯერად გადავწყვიტეთ ნამდვილად გვეთამაშა. ვითამაშეთ და მე მოვიგე. კარო-კანის დაცვაში ტიგრანმა ვერ მოიგერია ჩემი იერიში.

აი, ეს პარტია:

თენ. გიორგაძე – ტ. პეტროსიანი
31 დეკემბერი 1945 წ.

1. e4 c6 2. ♘c3 d5 3. ♘f3 ♗g4 4. h3 ♗xf3 5. ♕xf3 e6 6. d4 dxe4 7. ♘xe4 ♕xd4 8. ♗d3 ♘f6 9. 0-0 ♘xe4 10. ♗xe4 ♘d7 11. ♗e3 ♕f6 12. ♗xc6+ bxc6 13. ♕xc6 ♕d8 14. ♖ad1 ♖c8 15. ♕a4 ♗c5 16. ♖d3 ♗xe3 17. fxe3 ♖c7 18. ♖fd1 ♕c8 19. c4 ♔e7 20. ♕b5 ♘c5 21. ♖d4 ♕b7 22. ♕a5 ♕b6 23. ♕e1 ♕xb2 24. ♕g3 ♕b6 25. ♕g5+. შავები დანებდნენ.

მესამე დღეს ჩვეულებისამებრ შინ მომაკითხა.

– დეიდა ნინო, თენგიზმა პალტო დამაკარგვინა, – შესჩივლა დედაჩემს.

დედამ გაკვირვებით შემომხედა. მან არ იცოდა, რომ ჩემპიონს პალტოთი აჯილდოვებდნენ. დედამ დაამშვიდა ტიგრანი. მერე შენ მოიგებო. ახლა კი ბოლომდე იბრძოლე. იქნებ ისევ შენ გაიმარჯვოო.

მყისვე გავშალეთ ჭადრაკი. ვნახეთ მისი იმდღევანდელი მეტოქის ნიკოლოზ სოროკინის რამდენიმე პარტია. მოვძებნეთ სადებიუტო ვარიანტი. იმედი გაგვიმართლდა: ტიგრანმა შთამბეჭდავად გაიმარჯვა და პალტოც მას დარჩა.

არ მინდა მკითხველს ეგონოს, თითქოს მაშინ ვჯობდი ტიგრანს თამაშში. მართალია, 1947 წელს ჩვენი სავარჯიშო მინი-მატჩი ყაიმით (2:2) დასრულდა, მაგრამ მერე ერთხელაც ვერ დავაჩოქე მისი მეფე. ბოლოს 1956 წელს შევხვდით ერთმანეთს საბჭოთა კავშირის 24-ე ჩემპიონატის ნახევარფინალში.

ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა ჩვენს შეხვედრას საქართველოს 1946

წლის ჩემპიონატში. ტურნირში პაულ კერესი, ვლადას მიკენასი, მოსკოველი ოსტატი ევგენი ზაგორიანსკი და საქართველოს ყველა ცნობილი მოჭადრაკე მონაწილეობდა. მთავარი მსაჯი ვიქტორ გოგლიძე იყო. როცა მე და ტიგრანი შევხვდით ერთმანეთს, იგი ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. რატომღაც ზოგს ეგონა, რომ მე გავიმეორებდი შარშანდელ შედეგს, მით უმეტეს, რომ პარტია ჩემი უპირატესობით გადაიდო. მაგრამ წავაგე. რადგან მცდარი კომბინაცია წამოვიწყე. ამჯერად ტიგრანი გაერკვა პოზიციაში და ზუსტად ითამაშა. ხმა გამივრცელეს განგებ წააგოო. ახლაც ის უნდა გავიმეორო, რასაც მაშინ ვამბობდი: ტიგრანმა მაჯობა. ის იყო შეუპოვარი, სულგრძელი და ოპტიმისტი. მე არ ვისურვე ყაიმი, რომელსაც ტიგრანი თამაშის განახლებისას მთავაზობდა.

* * *

ბავშვობაში ტიგრანს ყურს დააკლდა. 1946 წლის ზაფხულში საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის დავალებით თბილისის ჭადრაკის კლუბის დირექტორმა, შესანიშნავმა მოჭადრაკემ და მანდილოსანმა ვარვარა ზარგარიანმა ტიგრანი მოსკოვში ჩაიყვანა და ლარინგოლოგებს მიუყვანა. ექიმებმა გულდასმით შეამოწმეს ტიგრანი და სასტიკი განაჩენი გამოუტანეს: მკურნალობა უიმედოა, არაფერი ეშველებაო.

ტიგრანი ბედს შეურიგდა. არასოდეს დაუჩივლია სიყრუე. სიარულის დროს ცდილობდა იმ მხარეს ამოგდგომოდა, საიდანაც ესმოდა.

ერთხელ გულახდილ საუბარში თქვა:

— არც ისე ცუდია ცალ ყურში რომ არ მესმის.

— როგორ? — ვიკითხე გაკვირვებულმა.

— დიდ ტურნირებზე მაყურებელი რომ ხმაურობს, არაფერი მესმის. სხვებს კი გვარიანად აწუხებს!

სმენადობა რომ გაუუარესდა, ტიგრანმა სმენის საგანგებო აპარატი შეიძინა.

ტიგრანი ძალიან მუსიკალური იყო. მუდამ ღიღინებდა ნაცნობ მელოდიებს. უყვარდა კლასიკური ძუსიკა: ჩაიკოვსკი და ცნობილი ოპერების არიები. იგი არამ ხაჩატურიანს მეგობრობდა. მოსკოვში შინ რომ ვესტუმრებოდი, ყოველთვის რაიმე ახალ მუსიკას ან მომღერალს მომასმენინებდა. დაიტრაბახებდა კიდეც: ჩემს ისედაც მდიდარ კოლექციას ესა და ეს ახალი ფირფიტა შევმატეო.

1950 წლიდან ტიგრანი მოსკოვში ცხოვრობდა. ჩვენ ვაგრძელებდით მეგობრობას. როცა მოსკოვში მოვხვდებოდი, რა თქმა უნდა, ვხვდებოდით ერთმანეთს. ასე გრძელდე-

ბოდა, ვიდრე იგი წავიდოდა ამ ქვეყნიდან (გარდაიცვალა 1984 წლის 13 აგვისტოს).

***

1960 წლის დამდეგს ლენინგრადიდან ვბრუნდებოდი, სადაც ბუხუტი გურგენიძეს მწვრთნელად ვახლდი სსრ კავშირის 27-ე ჩემპიონატზე. მოსკოვში ტიგრანი მოვინახულე.

ტიგრანი მუდამ სწავლობდა. მაშინაც, როცა საქვეყნოდ აღიარებული დიდოსტატი იყო. ვიცოდი, რაიმე ახალს მოვისმენდი. მთელი საღამო დავრჩი მასთან. ბევრი ვისაუბრეთ. მაჩვენა ახალშეძენილი წიგნები.

— ამ ბოლო დროს აკიბა რუბინშტეინის პარტიების კრებულებს ვაგროვებ. ჩვენში მსგავსი არაფერი გამოდის. საზღვარგარეთ ბუკინისტებისაგან ვიძენ მათ, — მიამბობდა ტიგრანი.

— კი მაგრამ რად გჭირდება უკვე აღიარებულ დიდოსტატს. შენ ახლა რუბინშტეინზე ნაკლებად როდი თამაშობ?

— ჩემი აზრით, მასზე ღრმა პოზიციური სტილის მოჭადრაკე არავინ ყოფილა. მინდა ვეზიარო მის საიდუმლოებას, — მიპასუხა ტიგრანმა და კარადიდან გამოიღო შვეიცარიაში შეძენილი რუბინშტეინის პარტიების კრებული.

— აი, ნახე როგორ თამაშობდა, — თქვა და იქვე 1907 წელს ნათამაშევი როტლევი-რუბინშტეინის პარტიის ულამაზესი კომბინაციური ფინალი მაჩვენა. ვიცი, შენ გიყვარს ასეთი პარტიები.

აი, ეს ფინალი:



22. ...♖:c3!! 23. g×h4 (თუ 23. ♗×c3, მაშინ 23. ...♗×e4+ მოგებით) 24. ...♖d2!! 25. ♕×d2 ♗×e4+ 26. ♕g2 ♖h3!! როტლევი დანებდა.

ჩვენება რომ დაამთავრა, ვკითხე:

— განა კაპაბლანკას ნაკლები პარტიები აქვს?

— ის სულ სხვაა. რუბინშტეინს მეტი სიღრმე ახასიათებს.

— ლასკერი როგორიღაა, თუ გიფიქრია?

— როგორ არა, ლასკერი ძნელი გასაგებია. ის მრავალფეროვანი შემოქმედია. მისი შესწავლა ჯერ არ დამიწყია. აუცილებელი კი არის.

მაშინ ტიგრანი ბევრს მუშაობდა

კლასიკური მემკვიდრეობის ათვისებაზე. სწუხდა, რომ კლასიკოსების პარტიების კრებული თითქმის არ ისტამბებოდა. მათი გაცნობა აუცილებელია, დიდოსტატი რომ გახდეო. აკიბა რუბინშტეინის ცხოვრება-შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნი ჩვენში მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გამოიცა, პარტიების კრებული კი ჯერაც არ არსებობს.

***

ერთხელ სიმდიდრეზე ჩამოვარდა საუბარი. ტიგრანი ცუდად არ ცხოვრობდა. კარგი დიდი ბინა ჰქონდა მოსკოვის ცენტრში. მახლობლად, სოფელ რაზდორში კი, დიდებული აგარაკი.

— ჩემზე ამბობენ, მდიდარიაო. ვიქნებოდი კიდეც, ეშმაკობა რომ შემეძლოს. გაჭირვებაში, ლუკმა პურის ნატვრაში გაზრდილს, მცირედიც მაკმაყოფილებს, — თქვა ტიგრანმა და განაგრძო, — აი, ერთი მაგალითი როგორ "გამიფრინდა" სიმდიდრე. 1954 წელს სამხრეთ ამერიკაში ვიყავი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ამხანაგური მატჩების სათამაშოდ. მონტევიდეოში პირველი შეხვედრის შემდეგ ნაკრების წევრები მერიაში მიგვიწვიეს. საღამო რომ მთავრდებოდა, ვიღაც დარბაისელი კაცი მომიახლოვდა ლამაზი კოლოფით ხელში. მითხრა: მიიღეთ ეს საჩუქარი სომხური დიასპორისაგან ჩვენი დიდი პატივისცემის ნიშნადო. კოლოფს რომ თავი ავხადე, თვალები ამიჭრელდა. რამდენიმე ათეული ათასის ოქროულობა იდო. უძვირფასესმა ძღვენმა შემაშინა, არ ვიყავი ამას ჩვეული. ჩვენს დელეგაციაში სუკ-ის კაციც იყო. მან თავი გადამიქნია და უარი ვთქვი საჩუქრის მიღებაზე. რაღაც მოვიმიზეზე. მაგრამ სომხები არ დაიბნენ. მეორე დღეს მსგავს მიღებაზე გუნდის ყველა წევრს გადასცეს საჩუქრები. მან, ვინც მე გადმომცა ცეროდენა კოლოფი საჩუქრით, სომხურად მითხრა: თქვენი ოქროულობა ნაკრების თხუთმეტივე წევრს გავუყავითო! რაღა მეთქვა?

***

1962 წლის სექტემბერ-ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა მსოფლიო პირველობის მატჩი ელისაბედ ბიკოვასა და ნონა გაფრინდაშვილს შორის. ტიგრანი ესწრებოდა შეხვედრებს. იგი ნონას ქომაგობდა. ეს არც იყო გასაკვირი. მანამდე ერთად ემზადებოდნენ აგარაკ მოზჟინკაში (მოსკოვის ოლქი) ნონა — ბიკოვასთან შესახვედრად, ტიგრანი — ბოტვინიკთან. აქ ისინი დამეგობრდნენ.

ნონამ რომ გაიმარჯვა, ტიგრანი იმავე დილით (17 ოქტომბერს) მოვიდა სასტუმრო "მოსკოვში",

სადაც ჩვენი დელეგაცია ცხოვრობდა, მიულოცა ნონას მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება და პირველმა სთხოვა... ავტოგრაფი.

დღისით ისევ შევხვდი ტიგრანს. ვთხოვე გაეზიარებინა თავისი შეხედულება ნონას გამარჯვების მნიშვნელობაზე. მისი ნათქვამი შევიტანე კიდეც მატჩისადმი მიძღვნილ ჩემს წიგნში "გზა მწვერვალისაკენ" (თბილისი, 1963 წ.). აი, რა თქვა ტიგრანმა:

გამარჯვება ორმხრივად შეიძლება შეფასდეს. პირველი, ქალთა ჭადრაკის ისტორიის თვალსაზრისით. ის, რომ ჩემპიონი 21 წლისაა, იმის სრული გარანტიაა, რომ ქალთა ჭადრაკი განვითარების სწორი გზით მიემართება. ისტორიულად ეს ასეც უნდა იყოს. ახალგაზრდამ და ნამდვილად უნიჭიერესმა უნდა იდოს თავს მსოფლიო ჩემპიონის მძიმე უღელი. რაც შეეხება მეორე მოსაზრებას, საქმე ისაა, რომ ამ ბოლო დროს ჭადრაკი ახალგაზრდობის თამაშად გადაიქცა. გიკვირს, ხომ? არსებობს შეხედულება, რომ მოჭადრაკეები "მწიფდებიან" 30 წლისთვის, ხოლო ჩემპიონობას ცოტა უფრო გვიან აღწევენ. მაგრამ მიხეილ ტალის, ბორის სპასკის, რობერტ ფიშერის და ნონა გაფრინდაშვილის მაგალითი საფუძვლიანად არღვევს ამ თეორიას. მათ საჭადრაკო მწვერვალებს 25 წლის ასაკამდე მიაღწიეს. ეს ის სიახლეა, რაც თანამედროვე ჭადრაკში შეიმჩნევა.

***

1963 წლის გაზაფხულზე ბოტვინიკ-პეტროსიანის მატჩის დღეებში მე და საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელი ჭადრაკში გიორგი გაჩეჩილაძე მოსკოვში ჩავედით. იმავე საღამოს დავესწარით თამაშს ესტრადის თეატრში, სადაც ორთაბრძოლა მიმდინარეობდა. პარტიის დამთავრების შემდეგ შევხვდით ტიგრანს.

— აუცილებლად მეწვიეთ შინ, ძალიან გამეხარდება. გავიხსენოთ თბილისი და მეგობრები. — გვითხრა გულწრფელად. ჩვენც კარგი დრო შევარჩიეთ სტუმრობისათვის. იმ დღეს ტიგრანმა მეშვიდე პარტია მოიგო და, ცხადია, კარგ გუნებაზე დაბრუნდა შინ.

დასვენების დღეს ვესტუმრეთ ტიგრანს. გულგაშლილად მიგვიღეს. ქალბატონმა რონამ სუფრა გაგვიშალა: ხილი, ნამცხვარი, ჩაი, კონიაკი... რა თქმა უნდა, ჩვენც არ მივსულვართ უნობათოდ. გაიბა მეგობრული საუბარი.

ვეება ფირსაკრავზე, რომელიც ტიგრანმა ჯილდოდ მიიღო კიურასაოზე პრეტენდენტთა ტურნირში გამარჯვებისათვის, მასპინძელმა რობერტინო ლორეტი აამღერა.

— უმუსიკოდ ერთი წუთი არ

პაექრობა ბილიარდში მეუღლესთან, ქალბატონ რონასთან.

შემიძლია, — გვითხრა ტიგრანმა და ღიმილით განაგრძო, — გაგანდობთ, რომ ბოტვინიკთან სათამაშოდ წასვლის წინ მუსიკალურ "დაჭურვას" ვღებულობ. მუდამ ვუკრავ პეტრე ჩაიკოვსკის მეხუთე სიმფონიის ფინალს. ძლიერი რამაა.

მასპინძლის კარგი გუნება-განწყობილება ჩვენც გადმოგვედო. გავიხსენეთ 18-20 წლის წინანდელი ამბები. ტიგრანმა მოიგონა თბილისელი ტოლ-ამხანაგები.

— მძიმე ბავშვობა მქონდა, — სევდიანად ყვებოდა იგი. — ადრე დავრჩი მამიდის ამარა. ომის წლები იდგა. მხოლოდ ჭადრაკი იყო ჩემი მანუგეშებელი. ამიტომ მუდამ კეთილი გრძნობით ვიხსენებ თბილისის პიონერთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტს და იმდროინდელ მის ხელმძღვანელს არჩილ ებრალიძეს. მან დიდი ამაგი დამდო, შემაყვარა ჭადრაკი.

პეტროსიანი დაფიქრდა. თვალწინ წარმომიდგა ორიოდე წლის წინ გარდაცვლილი არჩილ ებრალიძე. რამდენი სიყვარული ჩააქსოვა მან ქართული ჭადრაკის სამსახურს. სხვას რომ თავი დავანებოთ, ებრალიძემ აამეტყველა ქართულად ემანუილ ლასკერის, ხოსე რაულ კაპაბლანკასა და მაქს ეივეს სახელმძღვანელოები.

— არჩილი კარგი ადამიანი იყო. ჭადრაკზე იმდენს არ მელაპარაკებოდა, რამდენადაც უფლებას მა-

ძლევდა დავსწრებოდი მის საკუთარ მეცადინეობას. უყვარდა კაპაბლანკას პარტიების გარჩევა. ტკბებოდა მათი ნახვით. მეც თავისი "სარწმუნოების" გამხადა. მაშინდელი შთაბეჭდილებები დღემდე მომყვა. საინტერესოა, თბილისის პიონეროთა სასახლე რომ არ ყოფილიყო, ვიქნებოდი კი დღეს ის, რაც ვარ?

ამ კითხვას მოჰყვა ახალი გახსენება-მოგონებები. მაგრამ ყველა ვერიდებოდით საუბარს ბოტვინიკთან მატჩის ირგვლივ. ბოლოს მაინც გავბედე, რაკი ტიგრანი ლიდერობდა მატჩში, ვთხოვე:

— ორიოდე სიტყვით მაინც აგვიხსენი რატომ წააგე პირველი პარტია. თითქოს უპირატესობა შენ გქონდა.

ტიგრანმა გაიღიმა. არ მინდოდა მატჩზე საუბარი, მაგრამ მაინც გიპასუხებო.

— პარტია მოულოდნელად მოძალებულმა მოგონებებმა წამაგებინეს. ბოტვინიკი მორიგ სვლაზე რომ ფიქრობდა, დარბაზისაკენ გავიხედე. იგი პირთამდე სავსე იყო. თეატრში 1500 მაყურებელი ეტევა. გავოცდი. ავღელდი. თავში ასეთი აზრები მიტრიალებდა: ნუთუ ეს მე ვარ ტიგრანი, თბილისელი ბიჭუნა, ობლობაში გაზრდილი და ახლა თვით ბოტვინიკს ვეცილები მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. ეს ხალხი ჩემს საქმაგოდ მოსულა და დავკარგე თამაშის გეზი. ვგრძნობდი, რომ "ვიძირებოდი". მიხვდით, რა დამემართა? მეტს გეტყვით. მომდევნო სამ პარტიაში ვცდილობდი შევჩვეოდი იმ აზრს, რომ მე ვარ ის ტიგრანი, ბედმა ასე მაღლა რომ ამტყორცნა და სწრაფად ვთანხმდებოდი ყაიმზე, რაც ალბათ ბევრს აკვირვებდა. ზოგი იმასაც ამბობდა, რომ ბოტვინიკმა დააშინაო. ახლა, როგორც თავად ნახეთ, დაჯერებულად ვთამაშობ.

ამ ნაამბობმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ამ ამბავს ვერც ერთი მიმომხილველი ვერ მიხვდებოდა.

— ამბობენ, მეხუთე პარტიაში კონფლიქტი გქონდათ? — შევაპარე კითხვა.

— მართალია, მაგრამ მშვიდობით დასრულდა. ბოტვინიკი დააეჭვა გადადებულ პარტიაში ჩემი ჩაწერილი სვლის სისწორემ. კალიგრაფიამ შეიყვანა შეცდომაში. მოიხმეს ექსპერტები, მაგრამ კრიმინალი ვერ ნახეს.

ის იყო დამშვიდობებას ვაპირებდით, ტიგრანმა ერთ წუთს მომიტევეთო. გავიდა მეზობელ ოთახში.

— ეს საფრანგეთში შევიძინე კიურასაოდან რომ ვბრუნდებოდი, — გვეუბნება ტიგრანი და ხსნის ფრანგულ კონიაკს. — "ენისელს" ვერ უნდა ჯობდეს. მინდა გამომშვიდობებისას შევსვათ.

— მერე შენთვის სმა შეიძლება?

— არა, მაგრამ ძალიან ვისიამოვნე თქვენთან საუბრით, ცოტა არ მაწყენს!

იმავე შემოდგომაზე მიხეილ ბოტვინიკს შევხვდი. როცა ვუამბე, თუ რა მოხდა პეტროსიანთან მისი მატჩის სტარტზე, ძალიან გაუკვირდა. მითხრა:

— ვერაფრით მივხვდი, რატომ მიისწრაფოდა პეტროსიანი ყაიმისაკენ პირველი პარტიის წაგების შემდეგ. ბუნებრივია, უნდა ებრძოლა რევანშისათვის. ის კი თურმე... ეს მტანჯავდა. ვწუხვარ, რომ ვერ ჩავწვდი მის ტაქტიკურ საიდუმლოებას. ალბათ ამან იმოქმედა კიდეც ჩემს შემდგომ თამაშზე.

შეგახსენებთ, რომ ტიგრან პეტროსიანმა სძლია ბოტვინიკს (12,5:9,5) და მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონად მოევლინა.

***

მე და ტიგრანს მიწერ-მოწერაც გვქონდა, თუმცა იშვიათად ვწერდით წერილებს. არქივში მისი სამი წერილი აღმოვაჩინე. სამივე 1966 წელსაა გამოგზავნილი. ერთში იგი მთხოვს მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც ამხნევებდა მას ბორის სპასკისთან პირველი მატჩის დროს და ბოლოს გაიზიარა გამარჯვების სიხარული.

საყურადღებოა მისი ერთი წერილი (2.10.1966), რომელიც ვახტანგ ქარსელაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამომიგზავნა. იგი მწერს:

"ძალიან მეცოდება ვახტანგი. ვფიქრობ (ვიტყვი რამდენადმე ხატოვნად), ასეთი კაცის დაკარგვა უფრო მძიმეა საჭადრაკო სამყაროსათვის, ვიდრე რამდენიმე დიდოსტატის გაქრობა, რომლებიც ძალიან გამრავლდნენ. სრულიად შემთხვევით ვიყავი "სპორტში" (იგულისხმება გაზეთი "სოვეტსკი სპორტის" რედაქცია. თ.გ.), როცა ვახტანგის გარდაცვალების ცნობა მიიღეს. მაშინვე გამოვგზავნე სამძიმრის დეპეშა გიორგი სიხარულიძის სახელზე. ნუთუ იგი სადმე დაყოვნდა. რაც შეეხება ჩვენს ფედერაციას, მათი მხრიდან უკვე კარგა ხანია არაფერი მაკვირვებს. მათ არ მომილოცეს მატჩის დამთავრების შემდეგ...

ასე რომ, მათ ერთნაირი დამოკიდებულება აქვთ ცოცხალისა და მკვდრის მიმართ და მაინც დასანანია, რომ ჩვენი საჭადრაკო ორგანიზაციის სათავეში ასეთი ხალხია".

***

1969 წელს, როცა მოსკოვში გაგრძელდა მსოფლიო პირველობის მატჩი ნონა გაფრინდაშვილსა და ალა კუშნირს შორის, ტიგრანს თავისი გასაჭირი ჰქონდა. ბორის სპასკისთან ორთაბრძოლაში იცავ-

ადღეგრძელებს ნონა გაფრინდაშვილს (მოსკოვი, 21 მაისი 1969 წ.).

და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. ცხადია, ამ მატჩსაც ვესწრებოდი, მაგრამ არარეგულარულად, რადგან ორივე ერთდროულად და სხვადასხვა ადგილას მიმდინარეობდა.

ტიგრანის თხოვნით ერთ-ერთ დასვენების დღეს ნონა, გიორგი გაჩეჩილაძე და მე ვესტუმრეთ მას სუხანოვოში (მოსკოვის მახლობლად), სადაც მატჩის დროს ცხოვრობდა. მასპინძელმა თავიდანვე გვთხოვა არ შევხებოდით მატჩს სპასკისთან. ამიტომ უფრო ნონას პაექრობაზე ვსაუბრობდით. ნონას უკვე განაღდებული ჰქონდა ჩემპიონის ტიტული. ერთი ყაიმიც საკმარისი იყო მატჩისთვის წერტილის დასასმელად.

გამოთხოვებისას ტიგრანი დაგვპირდა, რომ აუცილებლად დავესწრებიო ჭადრაკის დედოფლად ნონას კურთხევას. მას სიტყვა არ გაუტე-

ხავს. თუმცა მატჩში უმძიმესი მდგომარეობა ჰქონდა. იგი მეუღლითურთ მოვიდა მოსკოვში საქართველოს მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლობაში, სადაც ვზეიმობდით ნონას გამარჯვებას.

ტიგრანმა ასე მიმართა შეკრებილთ:

— ვისაც გამოუცდია, მხოლოდ მან იცის, რა ძნელია მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაცვა. თითოეულ მატჩს სიცოცხლის სამი წელი მიაქვს, მით უფრო სასახელოა ნონას გამარჯვება. მან თითქოს იოლად დაამარცხა კუშნირი. ეს ილუზიაა, რასაც, ანგარიში ქმნის. ნონამ ბრძოლას ჯანმრთელობა, ნერვები და გონებრივი ენერგია შეალია, არაფერს ვამბობ იმ აურრზაურზე, კუშნირმა მატჩის დაწყებამდე რომ ატეხა. ნონამ დიდი მოთმინებით, ქრისტიანული სულგრძელობით აიტანა იგი (კუშნირმა თავისი ჭირვეულობით ჩაშალა ეს მატჩი, რომელიც 1968 წელს უნდა გამართულიყო. თ.გ.). ეულოცავ ჩემპიონს, თბილისელებს და ქართველ ხალხს დიდ გამარჯვებას: ნონას სახელი მუდამ დაამშვენებს ჭადრაკის ისტორიას და ქართული სპორტის მატიანეს!

***

1972 წლის მარტს მოსკოვში საბჭოთა კავშირის პირველ საჭადრაკო ოლიმპიადაზე ხშირად ვხვდებოდი ტიგრანს, მაგრამ ერთხელაც ვერ ვისაუბრეთ. ორივე ძალიან დაკავებული ვიყავით. ის თამაშობდა მოსკოვის გუნდში, მე — ვმსაჯობდი.

— პირველსავე დასვენების დღეს აუცილებლად უნდა მესტუმრო აგარაკზე, რაზდორში. გავიხსენოთ ჭაბუკობა, მეგობრები, ვისაუბროთ, — შემომთავაზა ტიგრანმა. ასეც მოვიქეცი.

სოფელი რაზდორი ნახევარი საათის სავალზეა მოსკოვიდან ელექტრომატარებლით. ტიგრანი დამხვდა სადგურში თავისი ქეფოთი (ასე ერქვა მის ვეებერთელა ნაგაზს, მწყემსებმა რომ გამოუგზავნეს სომხეთიდან).

მასპინძელს მოვუწონე სახლკარი. იგი შუაგულ ტყეში იყო. აივნიდან ლამაზი ხედები იტაცებდა თვალს.

— უმეტესდ აქ ვარ, — მიამბობდა ტიგრანი, — სიწყნარეა. სუფთა ჰაერი, ლამაზი ბუნება. ამ სიმყუდროვეში ვისვენებ და ვემზადები შეჯიბრებისთვის. ახლაც, როცა წიგნები მაქვს გაშლილი, ვემზადები სარაევოს ტურნირში მონაწილეობისათვის. ცხადია, მოსკოვის ოლიმპიადის შემდეგ.

ის დღე საუბარში გავლიეთ. ტიგრანმა ბევრი რამ მიამბო, გამიზიარა საყურადღებო აზრები, შეხედულებები. გავიხსენებ ზოგიერთს, რო-

მელიც მაშინ აქტუალურად ჟღერდა, დღესაც რომ ყავლი არ გასვლია.

***

იმ დროს ჭადრაკის სამყაროს ყურადღების ცენტრში გახლდათ რობერტ ფიშერისა და ბორის სპასკის შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის. ამიტომ ვთხოვე ტიგრანს ეამბა ფიშერზე. მასთან მატჩზე (იგი ტიგრანმა წააგო – 2,5:6,5), აგრეთვე ფიშერ-სპასკის მომავალ შეხვედრაზე.

– როგორია ფიშერი? გარეგნულად ელეგანტური. კარგად, გემოვნებით აცვია. გრძნობ, რომ გულსა და გონებაში ერთი აზრი უტრიალებს: გახდეს მსოფლიო ჩემპიონი. ფიშერი ყველაფერს გაურბის, რაც ხელს შეუშლის მიზნის მიღწევაში. არასოდეს აჰყვება წუთიერ გრძნობას. უყვარს სიმყუდროვე, განმარტოება. ბევრს მუშაობდა ჩვენი მატჩის დროსაც.

ადრე ფიშერი ჭირვეული არ იყო: არც განათებას უჩიოდა, არც დარბაზში ხმაურს, არც დიდ მოთხოვნებს უყენებდა ორგანიზატორებს. რამ შეცვალა? ალბათ იმ აზრმა, რომ სურს ჭადრაკი ხელოვნების სხვა აღიარებული დარგების გვერდით დააყენოს. ჭადრაკის თამაში მძიმე შრომაა. ამიტომ მოჭადრაკეს შესაფერისი პირობები სჭირდება, დიდი ანაზღაურებაც. ამბობს: თუ მუსიკის მოყვარული ფულს იხდის დიდ ოსტატთა მოსასმენად, რატომ ჭადრაკის გულშემატკივარმა არ უნდა გადაიხადოს დიდოსტატთა თამაშის ნახვაში? ჭადრაკის თაყვანისმცემელი ხომ ისეთივე კმაყოფილებას იღებს, როგორც მუსიკის ქომაგი. სხვათა შორის, ამაში არავინ ამტყუნებს ფიშერს. ალბათ ყველას ახსოვს, რომ დიდ სიღარიბეში გარდაიცვალა სტეინიცი. საერთოდ, ბევრ დიდ მოჭადრაკეს სიბერეში ლუკმა პური საძიებელი ჰქონდა. ფიშერი ახლავე ზრუნავს, რომ მოხუცებულობა უზრუნველყოფილი ჰქონდეს.

ჩემი და ფიშერის მატჩს საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით შეხვდა. არგენტინელებმა ყველაფერი იღონეს, რომ მატჩი ბუენოს-აირესში გამართულიყო. ეს უფრო მეტად იქ მცხოვრებმა სომხებმა მოინდომეს. მათ ფიშერიც დაიყოლიეს. როგორც შევიტყვე, ამ თანხმობისთვის მან 10 ათასი დოლარი მიიღო. ჩემთვის იქ თამაში ძნელი იყო დროში განსხვავების გამო. არა, ეს როდი ამცირებს ფიშერის გამარჯვებას. ჩემი აზრით, ევროპაში რომ გვეთამაშა, მატჩი უფრო დაძაბული იქნებოდა.

მართალია, ბრძოლა უფრო საინტერესო იყო მეშვიდე პარტიამდე. ესე იგი, ვიდრე ძალა მყოფნიდა. მეშვიდე პარტიისათვის უკვე აღარ ვვარგოდი. ფიშერი ადვილად და ულმობლად უმასპინძლდებოდა ჩემს

მეფეს. მანამდე ბრძოლა თანაბარი იყო. პატარა უპირატესობაც მქონდა. ძალიან დამღალა მეექვსე პარტიამ. ჯერ თამაშმა, მერე ღამით გადადებული პარტიის ანალიზმა. რა თქმა უნდა, შევცდი, რომ წაგების შემდეგ შესვენება არ მოვითხოვე. ამ დროისათვის ფიშერი უკვე დარწმუნებული იყო საკუთარ შესაძლებლობებში, რაც მატჩის სტარტზე აშკარად აკლდა. მე კი ეს უპირატესობა ვერ გამოვიყენე, ვერც პირველ პარტიაში, სადაც დებიუტიდან უკეთესი მდგომარეობა მივიღე და ვერც მესამე პარტიაში, რომელშიც პოზიციის სამჯერ გამეორება გამომრჩა. სხვათა შორის, მესამე პარტიის შემდეგ, ფიშერს ცოტა ფერი მოუვიდა. იგრძნო, რომ "დარტყმის სიზუსტე" დავკარგე. მანამდე შესამჩნევად ღელავდა, ნერვიულობდა.

საიდუმლო როდია, რომ ჩვენს მატჩში გამარჯვებისათვის ფიშერმა შვიდი ათას ხუთასი დოლარი მიიღო, მე — ოთხი ათას ხუთასი. ძალიან დიდი საპრიზო ფონდი შეიქმნა სპასკი-ფიშერის მატჩისათვის. იუგოსლავიისა და ისლანდიის ჭადრაკის ფედერაციები გამარჯვებულს დაახლოებით ოთხმოცდაათ ათასს ჰპირდებიან, დამარცხებულს კი — ორმოცდაათ ათასამდე დოლარს. ამბობენ ფიშერი მეტს თხოულობსო.

ახლა ფიშერი ბევრისთვის მისაბაძი დიდოსტატია. არცაა გასაკვირი. მისი რეკლამაა შეიამბეჭდავი წარმატებები. სწორედ ამიტომ აინტერესებს მთელ მსოფლიოს მისი მომავალი მატჩი სპასკისთან. ამერიკის პატარა ქალაქ ლას-ვეგასის ერთი სასტუმროს პატრონმა ფიდეს შეუთვალა: სპასკისა და ფიშერს 175 ათას დოლარს მივართმევ, თუ მატჩს ჩემს სასტუმროში ითამაშებენ. მეტ თანხასაც იძლევიან.

სპასკი თუ ფიშერი? ეს კითხვა დღეს ყველას აღელვებს. პროგნოზები არ მიყვარს. ვიცი, ძნელი მატჩი იქნება, პარტიები უთუოდ საინტერესო და მიმზიდველი. ბევრი რამ სტარტზე გადაწყდება.

პეტროსიანი მართალი აღმოჩნდა: სპასკი — ფიშერის მატჩი (რეიკიავიკი, ივლის-აგვისტო, 1972 წ.) თავიდანვე დაიმუხტა ფიშერის ჭირვეულობის გამო. ჯერ დააგვიანა ჩასვლა ისლანდიაში, მერე არ გამოცხადდა მეორე პარტიის სათამაშოდ (პირველი წააგო, მეორეში წაგება ჩაეთვალა). ბოლოს, როგორც იქნა, "დასვეს" სათამაშოდ. ფიშერმა მოიგო მატჩი 12,5:8,5, მაგრამ შემდეგ ოცი წლით გაქრა საჭადრაკო სარბიელიდან...

მზე რომ ჩავიდა, ტიგრანმა, მისმა ვაჟმა ვართანმა და ქეფომ გამომაცილეს სადგურში. იმ ღამეს გვიანობამდე არ დამეძინა.

***

ტ. პეტროსიანი და მაია ჩიბურდანიძე (თბილისი, 4 დეკემბერი 1973 წ.)

***

1973 წლის ოქტომბერში თბილისმა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ტრადიციულ გუნდურ შეხვედრას უმასპინძლა. ამ შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილე გახლდით და ყოველ დღეს ვხვდებოდი ტიგრანს.

ერთხელ მეუბნება:

— ალბათ გიკვირს, რატომ არ ვეშვები მონაწილეობას ამ ტრადიციულ შეხვედრაში. 1956 წლიდან არც ერთი მატჩი არ გამიცდენია. სიმართლე რომ გითხრა, ამჯერად არ ვაპირებდი თამაშს. ახალგაზრდობამ მოსინჯოს-მეთქი ძალა. მაგრამ ერთმა გარემოებამ ჩამომიყვანა თბილისში, — გაიღიმა და შეთქმულივით განაგრძო, — მაიას გაცნობა მინდოდა. ხომ იცი როგორ მიზიდავს ახალი ტალანტი. მთელი წელია მესმის ამ გოგონას წარმატებების შესახებ. ვნახე მისი რამდენიმე პარტია. გაოცებული ვარ. საიდან აქვს ამდენი მოთმინება, ვარიანტების გათვლის ტექნიკა? ახლა საშუალება მომეცა ახლოს დავუკვირდე მის თამაშს.

ერთხელ მთხოვა მეამბნა მისთვის ყველაფერი, რაც ვიცოდი მაიაზე, მის ოჯახზე. რა თქმა უნდა, დავაკმაყოფილე მისი ცნობისმოყვარეობა.

ვხედავდი ტიგრანი ხშირად ესაუბრებოდა მაიას. აღტაცებული იყო მისი თამაშით იუგოსლავიის ჩემპიონ ვლასტა კალხბრენერთან მიკრომატჩში, რომელიც მაიამ "მშრალი" ანგარიშით (4:0) მოიგო.

— მახარებს მაიას გაცნობა. კარგი გოგონა ყოფილა. ზრდილი, თავა-

ზიანი... მას დიდი ტალანტი აქვს. ალბათ შეხვდება ნონას, — თქვა ტიგრანმა თბილისიდან გამგზავრებისას.

გავიდა ხუთი წელი. 1978 წლის ზაფხულში რიგაში მაია მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბის ტრადიციულ, მე-19 საერთაშორისო ტურნირში. იგი ასე ემზადებოდა ნონასთან მსოფლიო პირველობის მატჩისთვის. შეჯიბრებაში ტიგრან პეტროსიანიც მონაწილეობდა.

ეს იყო მაიას და ტიგრან პეტროსიანის პირველი და უკანასკნელი სატურნირო შეხვედრა.

— ცხადია, ვღელავდი, — მიამბობდა მაია. — მაგრამ თავს ბედნიერად ვგრძნობდი.

მაიამ ძველინდური დაცვა გაითამაშა და ბრძოლა უკიდურესობამდე გამწვავდა. ტიგრანმა ჯერ დაუსუსტა მაიას პოზიცია, მერე მთლიანად დაურღვია იგი და გაიმარჯვა.

— დიდი პატივით მოვეკიდე მაიას, როგორც მეტოქეს, — იხსენებდა ტიგრანი. — შენ იცი ყველასთან ასე ვთამაშობ, მაგრამ მაიასთან უფრო ფხიზლად ვიყავი. არ მავიწყდებოდა, რომ სამუელ რეშევსკი სამ დღეს ამაოდ დაშვრა მაიასთან შეხვედრაში და საწადელს მაინც ვერ მიაღწია, თუმცა ზედმეტი პაიკი ჰქონდა. სხვათა შორის, მაშინ ვიგრძენი, რომ ნონას ძნელი მატჩი ელოდა.

***

ტიგრანმა იცოდა ქართული. ყველაფერი ესმოდა. შეკითხვაზე მოკლედ მპასუხობდა. მოსკოვში რომ შევხვდებოდით, მთხოვდა ქართულად ილაპარაკე, არ მინდა დამავიწყდესო. თავს იწონებდა ქართულის ცოდნით.

ერთხელ მიამბო:

— 1954 წლის ზაფხულში საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ნიუ-იორკში ჩავედით ამხანაგური მატჩის სათამაშოდ. აეროპორტში პირადობის ანკეტები შეგვავსებინეს. ერთი ასეთი კითხვა იყო: რამდენი ენა იცით? მე დავწერე: ვიცი რუსული, სომხური, ქართული, ინგლისური და სერბო-ხორვატიული. მეორე დღეს ერთმა გაზეთმა დაწერა: პეტროსიანი პოლიგლოტიც ყოფილაო. მესიამოვნა.

თბილისში ყოფნისას ტიგრანი ცდილობდა ქართულად ესაუბრა. საჭირო სიტყვა თუ არ გაახსენდებოდა, რუსულად იტყოდა და მაშინვე ქართულ შესატყვის ითხოვდა.

1959 წელს თბილისში საბჭოთა კავშირის ვაჟთა 26-ე ჩემპიონატის

ღღეებში ტიგრანს ვოხოვე რადიოში გამოსვლა.

— გამოვალ, მაგრამ რომელ ენაზე უნდა ვილაპარაკო?

— რა თქმა უნდა, რუსულად.

— რატომ რუსულად, ქართულად არ შეიძლება?

— როგორ არა, სასიამოვნო იქნება, მაგრამ შეძლებ?

— რასაც გეტყვი შენ, ქართულად დამიწერე და წავიკითხავ!

ასეც მოვიქეცით. ბარე ათჯერ გადაიკითხა ტიგრანმა სათქმელი და მიესალმა მსმენელებს შეუმცდარი ქართულით.

ბოლოს, 1982 წელს რომ იყო თბილისში, საქართველოს ჭადრაკის კულტურის სახალხო უნივერსიტეტის მოწვევით ლექცია წაიკითხა, შესამჩნევად უჭირდა ქართულად ლაპარაკი. ბევრი სიტყვა აღარ ახსოვდა. ეს პრაქტიკის უქონლობის შედეგია, ენას ვარჯიში სჭირდება, მე კი მოკლებული ვარ ამას მოსკოვში, — თქვა მოკრძალებული ღიმილით.



1982 წლის სექტემბერში ტ. პეტროსიანმა, თბილისის ჭადრაკის სახახლეში, საქართველოს ჭადრაკის კულტურის სახალხო უნივერსიტეტის სტუდენტებს წაუკითხა ლექცია: "ხარისხის პოზიციური შეწირვა". ეს იყო მისი უკანასკნელი სტუმრობა თბილისში.

ლექციის შემდეგ ტ. პეტროსიანი შეხვდა ძველ თბილისელ მეგობრებს, რაც ფირზე აღბეჭდა ცნობილმა ფოტოკორესპონდენტმა თამაზ ქიქავამ. სურათზე მარცხნიდან – საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის თმდრეთინდელი წევრი კ. ცოცოშვილი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. კაზარიანი, ჭადრაკის კულტურის სახალხო უნივერსიტეტის პროფესორი ლ. შათაშვილი, ხბორეის ოსტატი ი. ლიმაია, ტ. პეტროსიანი და თბილისის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის თმდრეთინდელი თავმჯდომარე ხ. ხარეკ

პაულ კერესი

პაულ კერესი (1916-1975) იყო მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი (1938-1973), სსრ კავშირის (1947, 1950, 1951) ჩემპიონი, თეორეტიკოსი, ლიტერატორი და საჭადრაკო კომპოზიტორი.

გამოჩენილმა ესტონელმა დიდოსტატმა პაულ კერესმა ღრმა კვალი დაამჩნია ჭადრაკს თავისი შემოქმედებით, პარტიებით, წიგნებით. იგი იყო პირველი დიდოსტატი, რომელმაც საქართველოს ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. სწორედ მაშინ დაუმეგობრდა იგი ქართველ მოჭადრაკეებს და ეს კეთილგანწყობა მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა.

ქვეყანა აალაპარაკა 22 წლის პაულ კერესის და 24 წლის ამერიკელი როიბენ ფაინის გამარჯვებამ ამსტერდამის 1938 წლის ავროტურნირში. ახალგაზრდა დიდოსტატებმა ჩამოიტოვეს იმდროინდელი ყველა უძლიერესი მოჭადრაკე — მსოფლიო ჩემპიონი ა. ალიოხინი, მსოფლიოს ექსჩემპიონები ხ.რ. კაპაბლანკა და მ. ეივე, აღიარებული დიდოსტატები მ. ბოტვინიკი, ს. რეშევსკი და ს. ფლორი. მე სწორედ იმ დროს ვისწავლე ჭადრაკის ნოტაცია და გაფაციცებით ვადევნებდი თვალს ჟურნალ "შახმატი ვ სსსრ"-სა და ყოველკვირეულ გაზეთ "64"-ში დაბეჭდილ პარტიებს, დიდოსტატთა თამაშს. ცალკე ალიოხინი იჩემებდა, პაულ კერესი მაინცდამაინც ჩემი სტილით თამაშობსო და ცალკე კაპაბლანკა. ნიჭიერი დიდოსტატი მაშინვე მსოფლიო ჩემპიონობის ერთერთ პრეტენდენტად აღიარეს. მაგრამ შემდგომში ბედმა ერთხელაც არ გაუღიმა: ისე წავიდა ამ წუთისოფლიდან, რომ მსოფლიო ჩემპიონს მატჩში არ შეხვედრია.

...და აი, 1946 წლის დამდეგს შევიტყვე, რომ საქართველოს VI ჩემპიონატში უკონკურსოდ ითამაშებდა პაულ კერესი. უსაზღვრო იყო სიხარული: ჩემს კერპს პირისპირ უნდა შევხვედროდი, ამაზე ხომ ოცნებაც არ შემეძლო.

ჩემპიონატი მარტის პირველ

რიცხვებში დაიწყო გაზეთ "კომუნისტის" რედაქციის კლუბში. მონაწილეებს ჩვენი სახელგანთქმული მეტოქე მთავარმა მსაჯმა ვიქტორ გოგლიძემ გაგვაცნო. თავად კი მას მოსკოვ-ლენინგრადის 1939 წლის საერთაშორისო ტურნირიდან იცნობდა.

30 წლის პაულ კერესი მომხიბლავი გარეგნობის იყო, მაღალი, ელეგანტური. უკან გადავარცხნილი თმა, ცისფერი თვალები და დინჯი მიხრა-მოხრა ჰქონდა. ალბათ ხოსე კაპაბლანკას გარდა ვერავინ შეეცილებოდა მას მამაკაცურ სილამაზეში. შემთხვევითი როდი იყო, რომ უცხოელი ჟურნალისტები პაულ კერესს მსოფლიოს ულამაზეს მოჭადრაკედ აღიარებდნენ.

ჩვენი შეხვედრა ჩემპიონატის სტარტზე შედგა. შავებით ვთამაშობდი და ესპანური პარტია ავირჩიე.ვღელავდი, წინაღამით თვალი ვერ მოვხუჭე. გასაგებიცაა: ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა დიდოსტატთან. მალე შევცდი, უფიგურად დავრჩი და ფარ-ხმალიც დავყარე.

— კიდევ შეიძლებოდა ბრძოლა, ფიგურა რომ არ წაგეგოთ, — დამამშვიდა მეტოქემ. ამ მარცხის გამო გული არ დამწყვეტია.

ტურნირის დროს პაულ კერესი რამდენიმეჯერ გამომელაპარაკა. ერთხელ, მოსკოველ ოსტატს ე. ზაგორიანსკის რომ ვხვდებოდი, მხარზე ხელი გადამხვია, გვერდზე გამიხმო და მითხრა:

— ყოჩაღ, ახალგაზრდამ სწორედ ასე უნდა ითამაშოს. იერიში მეც მიყვარს.

საქმე ისაა, რომ ჩემს გამოცდილ მეტოქეს მეფის გამბიტი ვეთამაშე და ინიციატივას დავეუფლე. ზაგორიანსკი ოფლში იწურებოდა, რომ სწორი გაგრძელება მოენახა. კერესის შექებამ ამამჩატა გამოუცდელი ახალგაზრდა, პარტიაზე ნაკლებად ვფიქრობდი. უკეთესი პოზიცია მქონდა, მაგრამ... დავმარცხდი. მერე, დარცხვენილი, თვალს ვარიდებდი დიდოსტატს.

24 მარტის ტურზე პაულ კერესი ოდნავ დაგვიანებით, მოწყენილი შემოვიდა დარბაზში. უხალისოდაც თამაშობდა. გოგლიძემ გვითხრა, პორტუგალიაში მოულოდნელად გარდაიცვალა მსოფლიო ჩემპიონი ალიოხინი და ამას სტუმარი ძალიან ნაღვლობსო.

ორიოდე დღის შემდეგ შევესწარი ვიქტორ გოგლიძესთან კერესის საუბარს. მან ალიოხინზე ასე ილაპარაკა:

— ომის პერიოდში ალიოხინს რამდენიმე ტურნირში ექვსი პარტია ვეთამაშე. სამი მეფის გამბიტით დავიწყე და წავაგე. თითქმის ყველგან პირველ პრიზს ის დაეუფლა.

საქართველოს 1946 წლის ჩემპიონატი. მარცხნიდან: პაულ კერესი, ირაკლი ლოლაძე (მსაჯი), ვლადიმერ მიკენახი, პეტრიან დოდბაშვილი (სამეურნეო მუშაკი), შოთა ცინცაძე და ვახტანგ ქარსელაძე ანალიზებენ პარტიას.

მატერიალური გაჭირვებისა და მძიმე ნერვული ატმოსფეროს მიუხედავად, ძლიერად თამაშობდა. უძლეველი მოჭადრაკე დავკარგეთ. ამიერიდან როგორ მოეწყობა მსოფლიო პირველობის გათამაშება, არავინ იცის.

რა თქმა უნდა, ჩვენს ჩემპიონატში პაულ კერესმა პირველი ადგილი დაიკავა, 17 პარტია მოიგო, მხოლოდ არჩილ ებრალიძესა და 16 წლის ტიგრან პეტროსიანს შეუთანხმდა ყაიმზე. არჩილთან უარესი პოზიცია ჰქონდა, ეტლების ენდშპილში ორი პაიკი აკლდა, მაგრამ ეტიუდური მანევრებით ყაიმს მიაღწია. პეტროსიანთან ვერაფერს გახდა და ამაოდ ელოდა გამოუცდელი ყმაწვილის შეცდომას.

გამოთხოვებისას პაულ კერესმა გაზეთ "კომუნისტში" ქებით მოიხსენია ტიგრან პეტროსიანი, ალექსანდრე ბლაგიძე. მეც შემაქო, მაგრამ ეს სტუმრის ქათინაური უფრო იყო.

შემდგომშიც ბევრჯერ შევხვედრივარ პაულ კერესს.

1959 წელს საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრების წევრები რიგის ზღვისპირეთში ვისვენებდით და საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის ვემზადებოდით. მეცადინეობა რომ დავამთავრეთ, პაულ კერესის მიწვევით ესტონეთში, აგარაკ ოტეპი-

აში გავეშგზავრეთ მასპინძლებთან ამხანაგური მატჩის სათამაშოდ. 200-კილომეტრიანი გზა ისეთი თავგადასავლებით გავიარეთ, რომ ბოლოს ათიოდე კილომეტრზე სამყოფი ბენზინი ძლივს დაგვრჩა.

ესტონელი მოჭადრაკეები გულთბილად შეგვხვდნენ. დავბინავდით სასტუმროში. ორწრიანი მატჩიც ვითამაშეთ.

უკან წამოსვლისას გამოირკვა, რომ, ფაქტობრივად, უბენზინოდ დავრჩით, რადგან მძღოლმაც ვერსად იშოვა. შეწუხდნენ მასპინძლები. პაულ კერესმა თქვა, რამეს მოვახერხებო, მაგრამ ვიქტორ გოგლიძემ დაამშვიდა – დიდ გზაზე გავალთ და ვინმეს გამოვართმევთო.

დაიძრა თუ არა ავტობუსი, წვიმამაც დასცხო. ამ დროს შევამჩნიე, რომ ვიღაც ქალი ხელით გვანიშნებდა გაჩერდითო. მოვიხედეთ, ჩვენსკენ მორბოდა ფეხშიშველი პაულ კერესი. შარვლის ტოტები აეკეცა, ხელში სავსე "კანისტრა" ეჭირა – თურმე თავისი მანქანიდან უკანასკნელი ბენზინი გადმოუწურავს...

კიდევ ერთი დაუვიწყარი შეხვედრა მქონდა პაულ კერესთან 1963 წლის ოქტომბერში. ამ დროს მიხეილ ბოტვინიკთან ერთად აგარაკ ლესელიძეში ვისვენებდი. ერთ დღეს გამომიარა სოხუმელმა მეგობარმა, აფხაზეთის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარემ რეფო კაკიაშვილმა და მთხოვა გავყოლოდი ადლერში ესტონელი დიდოსტატის დასახვედრად. პაულ კერესი სოხუმის საჭადრაკო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა. გზაში სტუმარი ხალისიანად გვიამბობდა სანტა-მონიკას (აშშ) საერთაშორისო ტურნირის ამბებს.

ბოლოს პაულ კერესს 1974 წლის ნოემბერში შევხვდი მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, სადაც მე და ცნობილი სპორტული კომენტატორი კოტე მახარაძე ერთად ვიყავით.

– იქნებ წლეულს მაინც მიიღოთ მონაწილეობა ვიქტორ გოგლიძის მემორიალში, მუდამ დაპირებით გვისტუმრებთ, – ვუთხარი პაულ კერესს.

ჩვეულებისამებრ გაიღიმა და თქვა:

– ახლა ნამდვილად არა მცალია, ბერლინში მიმეჩქარება. ჩემი წიგნების გამოცემის საქმე მაქვს მოსაგვარებელი, მგონი, უნდა ვითამაშო კიდეც ორიოდე პარტია. თბილისში გაისად გეწვევით. ვალდებულიც ვარ, ერთხელ მაინც მივიღო მონაწილეობა ჩემი მეგობრის ხსოვნის ტურნირში.

1975 წლის ივნისში პაულ კერესი მოულოდნელად გარდაიცვალა. იგი, როგორც ვიქტორ გოგლიძე, 59 წლის წავიდა ამ ქვეყნიდან. ესტონელმა ხალხმა ზღვა ცრემლით დაიტირა სანაქებო თანამემამულე.

სალო ფლორი

სალო ფლორი (1908-1983). იყო საერთაშორისო დიდოსტატი და საერთაშორისო არბიტრი, მსოფლიო ჩემპიონის სახელის მაძიებელი — პრეტენდენტი (1938 წ.) და ბრწყინვალე ჟურნალისტი.

აღარ მახსოვს პირველად როდის შემოვიდა ჩემს მეხსიერებაში სალო ფლორი. ასე მგონია, ჩემი ბავშვობიდან ვიცნობ. ჭადრაკის ჟურნალ-გაზეთების კითხვა რომ დავიწყე, ხშირად ვხვდებოდი მის წერილებს, პარტიებსა და კომენტარებს. ძალიან საინტერესოდ და მიმზიდველად წერდა. პირადად, 1959 წელს შევხვდი თბილისში, საბჭოთა კავშირის ვაჟთა XXVI ჩემპიონატის დღეებში. მაშინ ჩემპიონატის პრესცენტრს ვხელმძღვანელობდი და ჩვენ ხშირი, საქმიანი ურთიერთობა გვქონდა. მერეც ვხვდებოდით ერთმანეთს და დავმეგობრდით.

ფლორი პატარა, ყოველთვის კოხტად ჩაცმული, სიმპათიური კაცი იყო. მშობლებმა მას სოლომონი დაარქვეს, მაგრამ მეგობრებმა მოფერებით სალო შეარქვეს, რაც სამუდამოდ შერჩა. ბუნებით კეთილმა სალომ გულიანი სიცილი იცოდა. ხუმრობა უყვარდა. მუდამ საქირქილოს, კვიმატს ეძებდა, მაგრამ უწყინარი იუმორი ჰქონდა. ეს მის საგაზეთო წერილებშიც იგრძნობოდა.

30-იან წლებში ფლორი დიდად პოპულარული დიდოსტატი იყო. მას გაუმარჯვია ჰასტინგსის საშობაო ტურნირებში. ერთ-ერთში თვით ა. ალიოხინს ავჯობა. საინტერესოა, რომ ფლორს დაუმარცხებია ე. ლასკერი, ხ. კაპაბლანკა, მ.ეივე, მაგრამ ალიოხინისთვის არასოდეს მოუგია. 1935 წელს მ. ბოტვინიკთან პირველი-მეორე ადგილები გაყო მოსკოვის დიდ საერთაშორისო ტურნირში: მას მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადებშიც მიუღია მონაწილეობა, როგორც ჩეხოსლოვაკიის გუნდის თავკაცს (მაშინ ამ ქვეყნის მოქალაქე გახლდათ). 1939 წელს ფლორი უნდა შეხვედროდა ალიოხინს მატჩში მსოფლიო ჩემპიონის

სახელისათვის. მაგრამ იგი არ შედგა მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო. მაშინ სალი უკვე საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა.

50-იან წლებში ფლორმა ფაქტობრივად თავი დაანება ტურნირებში თამაშს. ინტენსიურად თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში. იმ დროიდან მიჰყავდა განყოფილება პოპულარულ ჟურნალ "ოგონიოკში". იგი წერდა საქმის ღრმა ცოდნით, გონებამახვილურად, მსუბუქი იუმორით. პარალელურად დიდ ტურნირებში მსაჯობდა.

ფლორი მეგობრობდა ა. ალიოხინთან, მ. ეივესთან, მ. ბოტვინიკთან და ვ. გოგლიძესთან, რაც მისგან ვიცოდი. იგი ბევრს წერდა ალიოხინზე. იხსენებდა მისი ცხოვრებიდან ზოგჯერ სიცილის, ზოგჯერ სევდის მომგვრელ შემთხვევებს.

ერთხელ ჩემთან სტუმრად რომ იყო, ვკითხე: რატომ არაფერს წერთ-მეთქი ალიოხინის პირად ცხოვრებაზე, რაც ყველას აინტერესებს, თქვენ ხომ ყველაფერი იცით?

— არ მიყვარს საუბარი სხვის პირად ცხოვრებაზე, მაგრამ რაკი გაინტერესებთ, რაიმეს გავიხსენებ, — თქვა სალომ. — მაგალითად, იცით, რამდენი ცოლი ჰყავდა ალიოხინს? ოთხი. ცხადია, არაერთდროულად. პირველი იტალიელი კომუნისტი, კომინტერნის წევრი იყო. იგი 1921 წელს შეირთო მოსკოვში. ალიოხინს ოცნებად ჰქონდა თამაში საზღვარგარეთის ტურნირებში. ჰოდა, ცოლმა ევროპაში რომ გაიყვანა, მაშინვე გაცილდა მას. მეორე ცოლი შვეიცარიელი იყო. მასთან ალიოხინს შეეძინა ვაჟი — ალექსანდრე, მაგრამ დიდხანს არც მას გაუჩერდა. მესამე ცოლად მასზე ასაკით უფროსი, რუსი გენერლის ქვრივი ჰყავდა. მეოთხედ მდიდარი ამერიკელი ქალი. ომი რომ დაიწყო, ალიოხინი არგენტინაში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში მონაწილეობდა, როგორც საფრანგეთის ნაკრების ლიდერი. ფაშისტებმა საფრანგეთი რომ დაიპყრეს, ალიოხინის ცოლი განსაცდელში აღმოჩნდა. ამიტომ ალიოხინი იძულებული იყო საფრანგეთში დაბრუნებულიყო. მან რის ვაი-ვაგლახით შეძლო ამერიკაში ცოლის გამგზავრება. თავად კი ფაშისტების მძევლად დარჩა. როგორც იცით, ომის მიწურულს პორტუგალიაში შეძლო გადასვლა, სადაც მოულოდნელად გარდაიცვალა. ამბობენ ვახშმობისას ყელში ხორცი გაეჩხირაო.

შესაძლოა, არ იცით, რომ ალიოხინის დედა, რუსეთში სიმდიდრით ცნობილი "ტრიოხგორნაია მანუფაქტურის" პატრონის ასული, ალკოჰოლიზმით იყო ავად. იგი 1925 წელს გარდაიცვალა ბადენ-ბადენის ნარკოლოგიურ კლინიკაში. ჩანს, ალიოხინს შთამომავლობით უყვარ-

და სმა. მაგრამ დიდი ნებისყოფის ძალისხმევით, როცა საჭიროდ მიჩნდა, შორს ეჭირა თავი მაცდუნებელი სასმელისაგან. საერთოდ, ალიოხინი ბედნიერი არ იყო, მას საშინელი ნოსტალგია აწუხებდა სამშობლოს დაკარგვის გამო.

მცირე ფიქრიანი დუმილის შემდეგ ფლორმა განაგრძო:

— კარგი ურთიერთობა მქონდა კაპაბლანკასთან. იგი მიმზიდველი, სიმპათიური კაცი იყო, ნამდვილი ჯენტლმენი. ძალიან მოსწონდათ ქალებს. თავად კი ბალერინებს ეტრფოდა. ალბათ გაგიგიათ, ბოტვინიკმა თავისი ახალშერთული მეუღლე რომ გააცნო, კაპაბლანკამ მოუწონა არჩევანი. ახალგაზრდა გაიანე ისედაც მშვენიერი, ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის ერთ-ერთი წამყვანი ბალერინა იყო. თავად კაპაბლანკას პირველი ცოლი ამერიკელი ჰყავდა, მეორე, რომელიც მინახავს, რუსი თავადის ასული ოლგა ჩაგადაევა იყო.

ფლორი წამით გაჩერდა. ღიმილით ჩაილაპარაკა: რა სულ ცოლებზე ვლაპარაკობ. მერე რაღაც გაახსენდა:

— არანაკლებ საინტერესოა სხვა ამბები. მაგალითად, როგორ გავებუტე კაპაბლანკას. მოსკოვის 1935 წლის საერთაშორისო ტურნირის ჩვენს შეხვედრაში უპირატესობა რომ ვერ გამოვიყენე, პარტია თანაბარ პაიკია ენდშპილში გადავიდა. კაპაბლანკამ ყაიმი შემომთავაზა. მაგრამ უარით ვუპასუხე. ფიქრი განვაგრძე. ბოლოს რომ დავრწმუნდი, ყაიმი გარდაუვალია, წინადადება მივიღე. კაპაბლანკამ ღიმილით მითხრა: — წიგნები უნდა იკითხოთ, რომ იცოდეთ ასეთი ენდშპილები საყაიმოა. ახალგაზრდა ვიყავი და მეწყინა ასეთი დამოძღვრება, მით უმეტეს ვიცოდი, რომ თავად არ უყვარდა წიგნებში ჩახედვა. ჩვენში დარჩეს.მაგრამ კაპაბლანკა მართალი იყო. უწიგნური ვიყავი. წარმატებებს ისედაც ვაღწევდი. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შევურიგდი კაპაბლანკას. მან ეს არც შეიმჩნია, თითქოს არ იცოდა ჩემი გაბუტება.

სალო ფლორსა და ვიქტორ გოგლიძეს დიდი მეგობრობა ჰქონდათ.

— ჩვენ გავიცანით ერთმანეთი 1935 წელს მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში, — მიამბობდა ფლორი. — სამამულო ომის დროს, 1942 წელს ვიქტორმა თბილისში მომიწვია საქართველოს მოჭადრაკეთა მატჩ-ტურნირში სათამაშოდ. ქვეყანა დიდ განსაცდელში იყო. ტურნირს მორალურად უნდა გაემხნევებინა ხალხი და გაეცოფებინა კავკასიონზე მომდგარი ფაშისტები. შეჯიბრება რომ დამთავრდა (იგი ფლორმა მოიგო. — თ.გ.), ვიქტორმა თავის ოჯახში შემიკედლა. სამოთ-

სსრ კავშირის XXVI ნემპიონატი. ს. ფლორი, თენ. გიორგაძე და ტ. პეტროსიანი (თბილისი, 8 თებერვალი 1959 წ.).

ახიან ბინაში ერთი ოთახი დამითმო, სადაც თითქმის ორი წელი ვიცხოვრე. მაგრამ ყოველივე ამას წინ ღიმილისმომგვრელი შემთხვევა უძღოდა.

ტურნირის დროს სასტუმრო "ინტურისტში" ვცხოვრობდი. ძალიან მინდოდა საბჭოთა მოქალაქე გავმხდარიყავი. ამას მკარნახობდა მადლიერების გრძნობა იმ ქვეყნისადმი, რომელმაც შემიფარა, ფაშისტების უღელს გადამარჩინა. დახმარება ვიქტორს ვთხოვე. საბჭოთა პასპორტი რომ მივიღე, გახარებული დავბრუნდი სასტუმროში, ცოტა ხანში პორტიემ მომაკითხა.

— ნომერი უნდა გაათავისუფლოთო, — მითხრა მან.

— რატომ? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— ჩვენთან ცხოვრების უფლება მხოლოდ უცხოელებს აქვთ, თქვენ კი საბჭოთა მოქალაქე ბრძანდებით!

დავიბენი. გონს რომ მოვეგე, ვიქტორს დავურეკე. მან იცინა, მერე დამამშვიდა: ჩემთან გადმოდი საცხოვრებლადო.

მხოლოდ ნამდვილ მეგობარს შეეძლო ასე მომქცეოდა!

ფლორმა საინტერესოდ იცოდა ამბის თხრობა. ლექციების კითხვით თითქმის მთელი საბჭოთა კავშირი ჰქონდა მოვლილი. ჩვენთანაც — ქუთაისში, წყალტუბოში, სოხუმში, დუშეთშიც კი იყო ნამყოფი. დუშეთში მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მაქს ეივეს ახლდა 1968 წლის 16 აგვისტოს. მათ დუშელებს ალტერნატიული ერთდროული თამაშის სეანსი გაუმართეს.

ფლორს არ უყვარდა ტელევიზიით გამოსვლა. მიზეზი ის იყო, რომ არ იცოდა გამართული რუსული ლაპარაკი. მიუხედავად ამისა, ერთხელ მისგან მაინც ავიღე ტელეინტერვიუ. ეს მოხდა 1961 წელს, როცა იგი თბილისში ჩამოყვა ბოტვინიკს. ტელევიზიაში ორივე მივიწვიე.

ფლორი ხუმრობის ხასიათზე იყო. შუა საუბარში ამას ვკითხე: რატომ არ წერთ-მეთქი მოგონებებს, თქვენ ხომ ახლოს იცნობდით ჭადრაკის კორიფეებს. მან გაოცებული კაცის სახე მიიღო.

— რომელ მოგონებებზე ბრძანებთ? წელან არა თქვით სალო ფლორი 1942 წელს "დაიბადაო"? 19 წლის ყმაწვილმა რა მოგონებები უნდა დავწერო? — ხუმრობდა ფლორი.

მე დავიბენი. სახეზე ალმურმა გადამკრა. პასუხი ვერ მოვახერხე.

ბოტვინიკმა გაჭირვება შემატყო და მომეშველა.

— შენ ვერ გაიგე, სალო. თენგიზი გთხოვს დაწერო მემუარები იმის შესახებ, რაც შენს დაბადებამდე გინახავს!

სამივეს მხიარულად გაგვეცინა.

აი, ასეთი იყო სალო ფლორი. მან უწყინარი ხუმრობა იცოდა, მაგრამ ერთხელ თვითონ "შეეწირა" თავის ოხუნჯობას.

— 1935 წლის მოსკოვის დიდ ტურნირში წარუმატებლად თამაშობდა ვერა მენჩიკი, — მიყვებოდა ფლორი. — თითქმის ყველასთან აგებდა. ამის შემყურემ ვიხუმრე მეგობრებთან: მალე მსოფლიო ჩემპიონი გავხდები-მეთქი. როგორო, გაიკვირვა ყველამ. სადაცაა ალიოხინ — ეივეს მატჩი დაიწყება. მას ეივე მოიგებს. მერე მენჩიკი ეივეს დაამარცხებს. როგორც იცით, ვერამ უკვე ორჯერ დააყრევინა მას ფარ-ხმალი. მერე მე მოვუგებ მენჩიკს და ჩემპი-

ონად მოგევლინებით. ყველამ "მომიწონა" მისნობა, მაგრამ გავწბილდი, ვერაფრით ვერ მოვერიე ვერას. გაჯიქდა. მაინცდამაინც ჩემთან იქცა კერკეტ კაკლად. ბოლოს შევურიგდი ყაიმს და ბოტვინიკმა პირველი პრიზი გამიყო. ფული ფულად დავკარგე. თავიც "შევირცხვინე".

როგორც ჟურნალისტი, ფლორი ბევრს წერდა. საოცარია, რომ მას საბჭოთა კავშირში ერთი წიგნიც არ გამოუცია, საზღვარგარეთ კი ხუთიექვსი დაბეჭდა. მხოლოდ ფლორის გარდაცვალების შემდეგ მისმა მეუღლემ ტატიანა ესენინამ, პოეტ სერგეი ესენინის ნათესავმა, შეკრიბა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ფლორის სტატიები, წერილები და ცალკე წიგნად გამოსცა.

ცხადია, მაინტერესებდა, როგორ მუშაობდა ჟურნალისტი ფლორი.

იგი არ წერდა ხელით, ყოველთვის თან დაჰქონდა მინიატურული საბეჭდი მანქანა და იქვე პრესცენტრში ბეჭდავდა ხოლმე. ხუმრობას რომ მოიგონებდა, მსმენელზე ამოწმებდა მას. თუ მოუწონებდნენ, წერილში გამოიყენებდა.

სალო ფლორი დიდად აფასებდა ნონა გაფრინდაშვილის მოღვაწეობასა და შემოქმედებას. სწორედ ფლორმა უწოდა "უკვდავი პარტია" ნონას მოგებულ პარტიას ოსტატ რუდოლფ სერვატთან (დორტმუნდი, 1974 წ.) (იხ. "მატიანე", II, გვ. 270).

მაგრამ ერთხელ შეეშალა ნონასთან დაკავშირებით, რასაც მერე ნანობდა.

1972 წლის ზაფხულში, რიგაში ფლორი ესწრებოდა ნონასა და ალა კუშნირის მსოფლიო პირველობის მატჩს. ორთაბრძოლის მსვლელობას იგი გაზეთ "სოვეტსკი სპორტში" აშუქებდა.

ერთხელ ნონამ განაწყენებული კილოთი იხუმრა:

— მე ვლიდერობ მატჩში, მაგრამ ფლორის ინფორმაციების მიხედვით ჯერ ერთი პარტიაც არ მომიგია!

ყველამ გაიცინეთ, მაგრამ ვერ მივხვდით რისი თქმა სურდა მას. მაშინ თვითონ გაგვიმარტა:

— როცა კუშნირი იგებს, ფლორი წერს: გაიმარჯვა კუშნირმა, როცა მე ვიგებ — კუშნირი დამარცხდაო!

ეს რომ სალოს გადავეცი, სახე შეეცვალა. მიხვდა, რა შეცდომა მოუვიდა.

1983 წლის ივლისში გავლით ვიყავი მოსკოვში. ჩვეულებისამებრ ტელეფონით დავურეკე ფლორს, მოვიკითხე.

— ოქტომბერში საქართველოში ჩამოსვლას ვაპირებ. ალბათ "ძველ თბილისელს" თბილისელები აღმინიშნავენ დაბადებიდან 75 წლისთავს, — მითხრა სალომ.

მაგრამ რამდენიმე დღეში მოულოდნელად შეწყდა სალო ფლორის გულისცემა.

ელისაბედ ბიკოვა

ელისაბედ ბიკოვა (1913-1986) ქალთა შორის მესამე მსოფლიო ჩემპიონი (1953-1956, 1958-1962) იყო.

ქართველების მეხსიერებაში ელისაბედ ბიკოვა დარჩა როგორც დიდი მოჭადრაკე, რომელსაც ნონამ ჭადრაკის დედოფლის ტახტი დაათმობინა.

როდის და სად გავიცანი ბიკოვა, არ მახსოვს. ჩვენ ვხვდებოდით ერთმანეთს სხვადასხვა ტურნირზე, მოსკოვში საბჭოთა კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომებზე, მაგრამ კარგად მახსოვს ჩვენი ერთ-ერთი პირველი შეხვედრა. ეს მოხდა 1953 წელს აგვისტოში ლენინგრადში. მაშინ ბიკოვა მსოფლიო პირველობის მატჩს თამაშობდა ლუდმილა რუდენკოსთან. მე და ჩემი მეუღლე შევხვდით მას და მის მწვრთნელ, ოსტატ მიხეილ იუდოვიჩს ზამთრის სასახლის მოედანზე. ცოტა ვისაუბრეთ მატჩის პერიპეტიებზე. შეხვედრის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, ამიტომ ბიკოვამ გაბედულად მიგვიწვია მატჩის საზეიმო დახურვაზე. ჩვენც მივედით და საზეიმოდ მივულოცეთ მას მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. იმ დღეს რომ იყო ბიკოვა, მერე ასეთი მხიარული და ბედნიერი აღარასოდეს მინახავს.

ბიკოვასთან მრავალი შეხვედრიდან შემექმნა მისი ჩემეული პორტრეტი: იგი იყო ძომცრო ტანის, სანდომიანი, მოუსვენარი, ოდნავ ეჭვიანი, ჯიუტი, მაგრამ სიტყვის პატრონი, ერთგული მეგობარი და სამართლიანი. მასთან ურთიერთობაში მკაცრად იგრძნობოდა ჭადრაკისადმი მისი დიდი სიყვარული. იგი გატაცებული იყო ქალთა ჭადრაკის ისტორიის შექმნით. ბევრს მუშაობდა. ღრმად შეისწავლა პირველი მსოფლიო ჩემპიონის ვერა მენჩიკის ცხოვრება – მოღვაწეობა და წიგნიც გამოსცა.

***

ცხოვრებაში ბიკოვამ თვითდამკვიდრების დიდი გზა განვლო, ვიდრე საერთო აღიარებას და პატივისცემას მოიპოვებდა. ერთხელ გულახდილად მიამბო:

– მძიმე ბავშვობა მქონდა. 12 წლისამ მივატოვე მშობლიური

სოფელი ბოგოლიუბოვო. ვლადიმირის ოლქში რომ არის და უფროს ძმას შეკვეკედლე მოსკოვში. ვსწავლობდი, ჭადრაკს რომ მაზიარეს, ბევრს ვმეცადინეობდი. მომწონდა მოჭადრაკის ცხოვრება. მსიამოვნებდა პარტიების ანალიზი, ჭეშმარიტების მიგნება და, ცხადია, გამარჯვება! თანდათან ჭადრაკმა შეავსო ჩემი ცხოვრება. ოჯახის შექმნა რომ არ გამომივიდა, მარტოსული დავრჩი. ჭადრაკი კი ჩემს სალოცავ ხატად იქცა.

დიდმა ბუნებრივმა ნიჭმა და თავგადაკლულმა მეცადინეობამ, მტკიცე ხასიათმა და მიზნისკენ დაუოკებელმა ლტოლვამ ბიკოვას ჯერ საბჭოთა კავშირის, მერე მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოუტანა. მას დიდ პატივს მიაგებდა ჭადრაკის სამყარო.

მიხეილ იუდოვიჩს უთქვამს ჩემთვის: — ლიზა ჯობდა თამაშით რუდენკოს და რუბცოვას. უფრო ღრმად აზროვნებდა და შეუპოვარიც იყო. ამიტომ ნონამდე მსოფლიო ჩემპიონებიდან მხოლოდ მას იწვევდნენ საზღვარგარეთ საასპარეზოდ.

***

ელისაბედ ბიკოვას უყვარდა ახალგაზრდა მოჭადრაკეები. იგი ინტერესით ადევნებდა თვალს მათ მიღწევებს და პირველმა დაასახელა ნონა გაფრინდაშვილი ჭადრაკის დედოფლის ტიტლის რეალურ მემკვიდრედ.

1959 წლის ივლისში ნონას გამაყოლეს კიევში, სადაც მას სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდების ტრადიციულ მატჩში უნდა მიეღო მონაწილეობა. ჩვენ ბულდურიდან (რიგის ზღვისპირა აგარაკი) ჩავფრინდით, სადაც საქართველოს ნაკრები სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის ემზადებოდა.

მატჩის ყველა მონაწილე სასტუმრო "უკრაინაში" ვცხოვრობდით. ერთ საღამოს ბიკოვამ მე და ნონა ფინჯან ჩაიზე მიგვიწვია. იქ დაგვხვდა ცნობილი იუგოსლავიელი მოჭადრაკე ვერიცა ნედელკოვიჩი. ბიკოვამ ქებით გაიხსენა ნონასთან შეხვედრა ტაშკენტში სპორტსაზოგადოებათა პირველობაზე.

იუგოსლავიელი სტუმრის წასვლის შემდეგ, საუბარი უფრო გულითადი შეიქნა, პირდაპირ ვკითხე მასპინძელს:

— ახალგაზრდებიდან მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტად ვის დაასახელებდით?

ბიკოვა ოდნავ დაფიქრდა, გაულიმა ნონას და თქვა:

— ნონა გაფრინდაშვილს. არ ვხუმრობ. მაგრამ ვერ ვიტყვი, როდის შევხვდებით ერთმანეთს. მანამდე კი შევეცდები შევინარჩუნო მსოფლიო ჩემპიონობა. ჩვენი მატჩი ძალიან საინტერესო იქნება!



ელისაბედ ბიკოვასა და ნონა გაფრინდაშვილის შეხვედრა. მოსკოვი. 1962 წ.

რა თქმა უნდა, მასპინძლის სიტყვები გვეამა.

ბიკოვამ შეასრულა დანაპირები – მატჩში კირა ზვორიკინასთან შეინარჩუნა ტიტული. ნონამაც იმედი გაამართლა: წარმატებით დაძლია ჯერ შესარჩევი ეტაპი (სსრ კავშირის ქალთა 1960 წლის ჩემპიონატი), მერე პრეტენდენტთა ტურნირი (1961 წ., ვრნიაჩკა-ბანია) და ბიკოვასთან მატჩის თამაშის უფლება მოიპოვა.

ეს რომ მოხდა, ბიკოვას ვთხოვე "ლელოსთვის" წერილი. მან ასეთი შინაარსის დეპეშა გამომიგზავნა: "სამწუხაროდ, პრეტენდენტთა ტურნირის შესახებ გაზეთისათვის სტატიის დაწერა არ შემიძლია, ძალიან ცოტა ცნობები მომეპოვება. ნონა გაფრინდაშვილი უდავოდ ძალზე ნიჭიერი მოჭადრაკეა და იუგოსლავიაში მისი გამარჯვება სავსებით დამსახურებულია. სულით და გულით ვულოცავ ნონას დიდ წარმატებას".

1961 წლის ნოემბერს, მოსკოვში ნონას დასახვედრად ჩავედი.

აეროპორტში წასვლამდე შინ ვეწვიე ბიკოვას. მას ხილთან ერთად "ხვანჭკარა" მივართვი. არ მომწამლავსო? – მკითხა ღიმილით. მივხვდი, რასაც გულისხმობდა.

პრეტენდენტთა ტურნირზე საუბარს რომ მოვრჩით, ვუთხარი:

– თქვენ წინასწარმეტყველი ყოფილხართ.

– როგორ გეკადრებათ! კიევში ჩემთვის რომ არ გეკითხათ, ვერ "გამოვიცნობდი" ჩემს ახალ მეტოქეს. თქვენ თავად ბრძანდებით წინასწარმეტყველი!

მასპინძელს ჩემი სიამოვნება სურდა. სხვათა შორის, 1962 წლის სექტემბერში ბიკოვა – გაფრინდაშვილის მატჩის კენჭისყრის მერე გამართულ ბანკეტზე, რომელსაც არ დავსწრებივარ, ბიკოვას იგივე უთქვამს დამსწრეთათვის. მაინც ვერ მივხვდი, მე რატომ "მაბრალებდა" მისნობას.

– გამიხარდა ნონას გამარჯვება, – განაგრძო საუბარი ბიკოვამ. – მაგრამ, გამოგიტყდებით, არ მეგონა ეს თუ ასე მოხდებოდა. მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის თამაშის "რიგი" ახლა ვალენტინა ბორისენკოს ეკუთვნოდა.

– რატომ?

– საქმე ისაა, რომ 1949-1950 წლის მსოფლიო პირველობის ტურნირში მონაწილე ოთხ საბჭოთა მოჭადრაკიდან სამნი – რუდენკო, რუბცოვა და მე უკვე ვიყავით მსოფლიო ჩემპიონები, ხოლო ახლა ვალიას ჯერი იყო!

ბიკოვამ ეშმაკურად გამიღიმა, მეც ვიხუმრე:

– მართალი ბრძანდებით, მაგრამ ქართველებს რიგში დგომა არ გვიყვარს. ნონაც ქართველია და "ურიგოდ გაძვრა!"

– არა, არა, ნონა ღირსეული პრეტენდენტია. თუმცა "რიგი" დაარღვია. – იცინის ბიკოვა.

ჩვენ მეგობრებად დავრჩით მარად.

* * *

მატჩის დღეებში (1962 წლის სექტემბერ-ოქტომბერი) ხშირად, თიოქმის ყოველდღე ვხვდებოდი ბიკოვას. კიდევაც ვსაუბრობდით, თუმცა სხვადასხვა ბანაკში ვიყავით.

ერთხელ ერთად ვბრუნდებოდით სასტუმრო "მოსკოვში", სადაც ყველანი ვცხოვრობდით.

– თუ გცალიათ, ცოტა ხნით ჩემთან შემოიარეთ, პატარა საქმე მაქვს, – მთხოვა კვიმატი ღიმილით.

– თბილისიდან ტელეფონის ზარს ველოდები, მერე შემოგივლით. მაინც რა საქმეა? – ბიკოვამ სიცილი ველარ შეიკავა.

– საქართველოდან ამანათი მივიღე. ფოროოხლის სუნი ასდის. მწერენ შეგერგოთო. ჯერ მატჩი არ დამთავრებულა, იქნებ ნონას გულშემატკივრები რაიმეს მიპირებენ. ამიტომ თქვენ "გაგიმეტებთ", გახსენით იგი.

დავამშვიდე, კეთილი გულითაა გამოგზავნილი-მეთქი. აი, ასეთი ეჭვიანი იყო ბიკოვა. მატჩი რომ დამთავრდა, მან საქართველოში სტუმრად მოწვევის რამდენიმე ბარათი მიიღო.

– არ ვიცოდი ქართველების ასეთი გულკეთილობა, თორემ ფორთოხალს შევექცეოდი და იქნებ ნონას ასეთი დიდი ანგარიშით არ დავემარცხებინე. – ამბობდა იგი.

ელისაბედ ბიკოვა ულიოკავს ნონას სამგზის მსოფლიო ჩემპიონობას (მოსკოვი, 20 მაისი 1969 წ.).

***

დღემდე მაოცებს ელისაბედ ბიკოვას ფოკუსები კარტით. საოცარ რამეებს აკეთებდა. ბევრჯერ დავკვირვებივარ, არ მომატყუოს-მეთქი, მაგრამ მაინც გაწბილებული დავრჩენილვარ. ფოკუსებს სიამოვნებით გვიმეორებდა, მაგრამ ერთხელ მეტად უსერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მატჩის დროს თბილისელი კინოდოკუმენტალისტები რეჟისორ ოთარ ჭიაურელის ხელმძღვანელობით იღებდნენ მოკლემეტრაჟიან ფილმს "ჩვენი ნონა". საჭირო იყო ბიკოვას გადაღება. იგი უარზე იდგა. ვერ გაჭრა ვერავითარმა მუდარამ.

დახმარება მთხოვეს.

სამჯერ მაინც ვესაუბრე ბიკოვას ამ ფილმის ისტორიულ მნიშვნელობაზე. მაინც ჯიუტობდა. ჯერ მატჩი არ დამთავრებულაო. ბოლოს დამთანხმდა.

ოპერატორმა ალექსანდრე სემიონოვმა აპარატურა რომ მოამზადა, და ფირის მოტანას ელოდებოდა, ბიკოვამ შესთავაზა მას ფოკუსის ჩვენება. სემიონოვი სიამოვნებით დათანხმდა, რაკი ჭირვეული "მსახიობი" გაღიმებული დაინახა, სანაძლეო წკიპურტი იყოსო, უთხრა ელისაბედმა.

ეს ხდება სასტუმრო "მოსკოვის" მსოფლიო ჩემპიონის ნომერში. სემიონოვმა ვერც ერთი ფოკუსი ვერ ამოიცნო. წაგებულს საკმაოდ ბევრი წკიპურტი დაუგროვდა. და აი, სასჯელის მისაღებად მან შუბლი მიუშვირა გამარჯვებულ ოინბაზს.

პირველი ისეთი მაგარი წკიპურტი გამოუვიდა ბიკოვას, რომ სემიონოვს შუბლზე კოპი ამოებურცა. ბიკოვა შეცბა, ძალიან შეწუხდა. მაშინვე "დაზარალებულს" შაურიანი მიადო კოპზე.

თვალწინ სასაცილო სცენა გადაგვეშალა: ბიკოვა ეხვევა სემიონოვს და პატიებას თხოვს, სემიონოვი კი კმაყოფილი იღიმება და მადლობას უხდის, რაკი იცის, რომ ბიკოვა აღარ გაჯიუტდება გადაღების დროს. ყველანი ვიცინოდით.

რა თქმა უნდა, მერე სემიონოვმა ყველაფერი გადაიღო, როგორც სურდა. შესანიშნავი კადრები გამოუვიდა.

* * *

მატჩი რომ დამთავრდა, ბიკოვა არ აპირებდა სიტყვის თქმას საზეიმო დახურვაზე. არაფერი მაქვს სათქმელიო. ყველას გვწყინდა მისი უარი.

კიდევ ერთხელ ვცადე მისი თანხმობის მიღება. შევახსენე, რომ დამარცხებული მსოფლიო ჩემპიონებიდან მხოლოდ ვილჰელმ სტეინიცი მოიქცა ვაჟკაცურად, როცა ახალ ჩემპიონს ვაშას სამჯერ შეძახილით მიულოცა "ჭადრაკის მეფის" ტახტზე ასვლა. ეს ეჭაშნიკა ბიკოვას, დამპირდა, გამოვალო.

ბიკოვამ გულში ჩამწვდომი სიტყვებით მიმართა საზოგადოებას, როცა ასე დაიწყო:

— ძნელია მსოფლიო ჩემპიონობის დაკარგვა. მაგრამ სევდას მინელებს იმის შეგნება, რომ ჩემპიონობა გადავაბარე ჭეშმარიტად ნიჭიერ ახალგაზრდას, რომელიც, ვფიქრობ, ღირსეულად ატარებს მას.

მერე ნონას საჩუქრად მიართვა თავისი ახალი წიგნი "ვერა მენჩიკი" საგულისხმო წარწერით: "ნონა გაფრინდაშვილს — მსოფლიოს პირველი ჩემპიონის დიდებული ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებელს. საუკეთესო სურვილებით. ელისაბედ ბიკოვა. 1962 წლის 18 ოქტომბერი".

* * *

მერეც მქონდა ელისაბედ ბიკოვასთან საქმიანი ურთიერთობა. იგი მსოფლიოს ქალთა საჭადრაკო მოძრაობის ისტორიის საკითხებზე მუშაობდა. მიზიარებდა აღმოჩენებს, მიგზავნიდა სტატიებს, რომელთაც "ლელოში" ვბეჭდავდით.

კიდევ ხშირი შეხვედრა გვქონდა ნონასა და ალა კუშნირის მეორე მატჩის დროს, 1969 წლის მაისში მოსკოვში. ბიკოვა ყველა პარტიას ესწრებოდა და გულწრფელად ქომაგობდა ნონას.

სწორედ მაშინ მითხრა ის, რაც არასოდეს დამავიწყდება:

— ნონას ისეთი განუმეორებელი ნიჭი აღმოაჩნდა, რომ იგი ვერა მენჩიკსაც ჩამოიტოვებს. აგვამაღლებს ქალებს. შარავანდედით შეგვმოსავს, ხოლო ქართულ ჭადრაკს მარადიულ დიდებას მოუტანს!

ალექსანდრე ბუსლაევი

ალექსანდრე ბუსლაევი (1929-1980) თბილისელი ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი და ერუ-დირებული ჟურნალისტი იყო.

იწურებოდა 1979 წელი. ერთ დღეს დილაადრიანად საშა "ლელო-ში" გამომეცხადა. ამ დროს თბი-ლისში საბჭოთა კავშირის ქალთა 34-ე ჩემპიონატი მიმდინარეობდა. ვიფიქრე, ალბათ მასალა მომიტანა სპეციალიზებულ ტენინისათვის, რომელსაც ვრედაქტორობდი. მარტო რომ დავრ-ჩით, ნაღვლიანად მითხრა:

— ვიცი, მალე მოვკვდები. ერთი თხოვნა მაქვს: ნეკროლოგს რომ დაწერ, მინდა მასში მოათავსო ჩემი პარტია ბორისენკოსთან. იგი ძალიან მომწონს.

მოულოდნელობისაგან დავიბენი. მერე გავბრაზდი. წადი-მეთქი და მეტი აღარ მოხვიდე ამნაირი სისულე-ლეებით.

ვიცოდი, რომ გული აწუხებდა, მაგრამ როგორ ვიფიქრებდი, საკუ-თარ ბედს თუ ასე გამოიცნობდა. ის იყო ვიზეიმეთ ძველით ახალი წელი, რომ 15 იანვარს საშა გარდაიცვალა.

ისე მეწყინა, ველარ დავწერე "ლელოში" ნეკროლოგი. ყველას სახელით ოთარ ნოზაძე გამოემშვი-დობა. მოგვიანებით, წერილი გავაგზა-ვნე ჟურნალ "შახმატი ვ სსსრ"-ში საშას პარტიით გ. ბორისენკოსთან.

ალექსანდრე ბუსლაევი შესანიშ-ნავი მოჭადრაკე იყო. თამაშს არჩილ ებრალიძესთან სწავლობდა. მწვრთ-ნელი მასზე დიდ იმედებს ამყარებ-და. არც მალავდა. მისი მეორე მოწაფე ტიგრან პეტროსიანი მსოფ-ლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი რომ გახდა, ამბობდა: — მე კი ამას ბუსლაევისგან მოველოდიო!

თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავ-რების შემდეგ საშა (ზოგი მას შურიკს ეძახდა) სხვადასხვა გაზეთში მუშაობდა. მერე თითქმის ყველა რუსულ გაზეთში თანამშრომლობ-და. წერდა სპორტზე საინტერესოდ, ობიექტურად და საქმის ცოდნით.

ერთხელ საშა ჟურნალისტის სამართლიანობას შეეწირა. მან ვერ

დამალა თავისი აღშფოთება ესტონელი მსაჯის საარის არაობიექტური საქციელის გამო, როცა მსაჯმა ობილისის დინამოელებს ერთ-ერთი მატჩი წააგებინა.

თავისი გრძნობები რეპორტაჟის სათაურში გამოხატა – "საარს გააქვს გოლი!" ვიღაცას იკი არ მოეწონა და საშა დაითხოვეს სამსახურიდან. მერე ვესუმრებოდით მას: საარმა მართლაც გაიტანა გოლი, მაგრამ შენს კარშიო!

საშა საინტერესო მოსაუბრეც იყო. არტისტულად ყვებოდა სხვადასხვა ისტორიას. ქართულიც იცოდა, მთაწმინდაზე იყო გაზრდილი. ქართულად ტელევიზიითაც გამოსულა.

ვიცნობდი საშას მშობლებს. იგი დედისერთა იყო. მამაც ჩინებული მოსაუბრე ჰყავდა, დედა ეროვნებით გერმანელი. საქართველოში პირველად თურმე ბაბუამისი ჩამოსულა. თელავში რუსულს ასწავლიდა.

ვიდრე პრაქტიკულ თამაშს თავს დავანებებდი (1963 წ.), ჩვენ ერთხანს ვმეტოქეობდით. საშა მუდამ მონაწილეობდა შეჯიბრებებში. უთამაშია თითქმის ყველა დიდ ტურნირში, რომელიც თბილისში გამართულა. იყო საქართველოს ჩემპიონიც (1954 წ.). სხვათა შორის, მას ორჯერ (1956, 1970 წწ.) ჰყავს დამარცხებული მისეილ ტალი.

საშა მწვრთნელადაც მუშაობდა. არავის დაამადლებდა დახმარებას.

ჩემს კეთილ საშას ერთი სისუსტე სჭირდა – სმა უყვარდა, მაგრამ მხოლოდ მეგობრებთან. ამასთან დაკავშირებით, მინდა გავიხსენო მისი ერთი სასაცილო თავგადასავალი.

1951 წლის ზაფხულში მე და საშას, თბილისის უნივერსიტეტის ბოლოსწინა კურსის სტუდენტებს საძხედრო შეკრება უნდა გაგვევლო გორში. თითქმის იმავე დროს ბაქოში სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატის ნახევარფინალი ეწყობოდა და ჩვენ, საქართველოს ნაკრების წევრებს, მასში მონაწილეობა უნდა მიგვეღო. საჭირო იყო შეკრებიდან ცოტა ადრე გათავისუფლება. ამ თხოვნით რექტორს ნიკო კეცხოველს მივაკითხეთ.

ბატონმა ნიკომ კარგად მიგვიღო, მოგვისმინა. მერე სეიფიდან რაღაც ქაღალდი გამოიღო და საშას ჰკითხა:

– შენ ხომ არა ხარ ის ბუსლაევი, ვისზედაც ეს წერილი მივიღე მილიციიდან?

საშას სახე დაენისლა. დასტურის ნიშნად თავი დახარა.

– მაშ ასე, – თქვა ბატონმა ნიკომ მცირე დუმილის შემდეგ, – სასჯელად მიიღე ჩემგან: ბოლომდე დარჩები შეკრებაზე!

გარეთ გამოვედით თუ არა, ვეცი საშას, მითხარი-მეთქი რა გადაგხდა თავს.

– ბევრი არაფერი – მიპასუხა ტკივილიანი ღიმილით და განაგრ-



სურათი გადაღებულია საქართველოსა და რუმინეთის გუნდების საერთაშორისო მატჩის დროს (ხინაი, რუმინეთი, მაისი, 1961 წ.). მარცხნიდან – ბ. გურგენიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ე. კაკაბაძე, მ. პავლოვი (რუმინეთი), ა. ბუსლეევი და მ. ტოგონიძე.

ძო, – შარშან, საქართველოს პირველობა რომ დამთავრდა, პავლე მორჩილაძე გავაცილე რკინიგზის სადგურზე. ბათუმის ბილეთი უკვე აღებული ჰქონდა. "ზემელიდან" სადგურამდე, რაც "ზაკუსოჩნაია" იყო ყველგან შევიარეთ და თითო ას-ასი გრამი გადავკარით. პავლე რომ გავაცილე, იმავე გზით, ოღონდ ახლა ქუჩის მარცხენა მხარეზე "ზაკუსოჩნოებში" მარტომ ას-ასი დავლიე. ჰოდა პლეხანოვის პროსპექტისა და მარჯანიშვილის ქუჩის კუთხის "ზაკუსოჩნაიას" მაგიერ ისე შევედი მაღაზიაში, რომ არავის დავუნახივარ. რატომღაც მოვხვდი საწყობში და ჩამეძინა. დილით მაღაზია რომ გააღეს, ქურდად მიმიღეს და მილიციას გამოუძახეს... მილიციამ თითქოს მომიწონა ოინი, მაგრამ მაინც დამაბეზღა.

საშას კარგი ოჯახი ჰქონდა. ქალ-ვაჟი ჰყავდა, მან ნაადრევად დატოვა ეს წუთისოფელი. ჩვენ კი ჭადრაკის სიყვარული და კეთილი მოგონებები დაგვიტოვა.

წერილები

დაკარგული საუნჯე

ორიოდე სიტყვა ჩიბურდანიძე – სე ცზიუნის მატჩის შედეგებზე

ცნობილი ჭეშმარიტებაა: ჩემპიონის ტიტულის დაცვა უფრო ძნელია, ვიდრე მისი მოპოვება. მსოფლიო პირველობის ისტორიაში ტიტულის დაბრუნების შემთხვევა თითებზე დაითვლება. იგი თითოჯერ შეძლეს ელისაბედ ბიკოვამ და ალექსანდრე ალიოხინმა, ორჯერ – მიხეილ ბოტვინიკმა. ეს არის და ეს. ამიტომ ჩემპიონი თავიდანვე ისე უნდა განეწყოს, თითქოს პირველად იბრძვის გვირგვინისათვის. ეს რომ შეძლოს, საგულდაგულოდ უნდა მოემზადოს თავგამოდებული პაექრობისათვის, ხშირად მიიღოს მონაწილეობა უძლიერესი შემადგენლობის ტურნირებში, იბრძოლოს მხოლოდ პირველი ადგილისათვის, როგორც ამას გარი კასპაროვი აკეთებს. ყოველივე ეს არ სჭირდება პრეტენდენტობის მაძიებელს, რადგან იგი ბრძოლის პროცესში, ზონალურ და საზონათშორისო ტურნირებში, პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირში თავისთავად ემზადება ჩემპიონთან შესახვედრად. მას ყველა შეჯიბრებაში სჭირდება დიდი ძალისხმევა, გადამწყვეტ მომენტში რისკიანი თამაში პრეტენდენტი რომ გახდეს, სრულყოს ოსტატობა, მოემზადოს ბრძოლისათვის მატჩის ექსტრემალურ პირობებში.

ამ თვალსაზრისით რომ გადავხედოთ მაია ჩიბურდანიძისა და სე ცზიუნის მატჩს, მრავალ კითხვას ნათელი მოეფინება.

ვიდრე მატჩის შედეგების ანალიზს შევუდგებოდეთ, შეგახსენებთ მის მსვლელობას:

ჩიბურდანიძე – სე ცზიუნი (მანილა, სექტემბერი – ოქტომბერი, 1991 წ.): ½:½, 1:1, 1:2, 2:2, 3:2, 3½:2½, 4:3, 4:4, 4½:4½, 5:5, 5:6, 5½:6½, 5½:7½, 6:8, 6½:8½ (+2 -4=9).

როგორ არ ჰგავს ეს "კარდიოგრამა" მაიას მატჩებს ნონა გაფრინდაშვილთან, ნანა ალექსანდრიასთან, ირინა ლევიტინასთან, ელენე ახმილოვსკაიასთან და ნანა იოსელიანთან. განსაკუთრებით კი ფინიშზე.

ფილიპინებზე გამგზავრების წინ მაიას ვესაუბრე. არ დაგიმალავთ, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ იგი არ იყო მზად ძნელი, ნერვული ორთაბრძოლისათვის. მისი თქმით, არ ჰქონდა ნანახი თებერვლის (ალისა მარინასთან მატჩის) შემდეგ სე ცზიუნის ნათამაშები პარტიები, არ

იცოდა პრეტენდენტის ბოლოდროინდელი გამოსვლების შედეგები, მისი მწვრთნელების ვინაობა. არც ის, თუ ვინ იქნებოდა მატჩის მთავარი არბიტრი, სააპელაციო ჟიურის თავმჯდომარე. ყოველივე ამან გულში შიში დამისადგურა. ეს იმიტომ, რომ მოწმე ვარ თუ ადრე როგორ გულმოდგინებით ემზადებოდა ხოლმე მაია საბრძოლველად, როგორი გატაცებით სწავლობდა მეტოქის შემოქმედებას, თამაშის ავ-კარგს. მაშინ ყველაფერი იცოდა, რაც მომავალ მატჩს შეეხებოდა. ამჯერად ეს ვერ დავინახე მაიას მომზადებაში. ამიტომ, დიდად გამაკვირვა საქართველოს ტელევიზიით მისი მწვრთნელის, დიდოსტატ გენადი კუზმინის განცხადებამ: მაია კარგადაა მომზადებული და იგი მატჩს მოიგებსო.

მატჩის მსვლელობისას, როგორც სარკეში, გამოჩნდა მაიას თამაშის ხარვეზები, მოუმზადებლობა დიდი ბრძოლისათვის.

მატჩი რომ დაიწყო, მეორე პარტიაში მაია სწრაფად (ცამეტ სვლაში) დაუზავდა მეტოქეს. მსგავსი რამ არ მომხდარა მსოფლიო პირველობის მატჩებში. ყაიმმა კი არ გამაკვირვა, არამედ სტარტზე ჩემპიონის მშვიდობისმოყვარეობამ, მწვავე ბრძოლისაგან თავის არიდებამ.

მესამე პარტიაში მაია შეცდა იერიშის მოგერიებისას და დამარცხდა. ეს ვის არ მოსვლია, მით უმეტეს, რომ მაია საერთოდ მძიმედ შედის ფორმაში. ჩანს, იწყინა ჩემპიონმა, მოიკრიბა ძალ-ღონე და მომდევნო ორ პარტიაში პირდაპირ გაანადგურა ჩინელი დიდოსტატი. მისი გამარჯვება იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ სე ცზიუნის მრჩეველებმა "ტაიმ-აუტი" ააღებინეს თავის შეგირდს. ამ წარმატებამ იმედი ჩაგვისახა ჩემპიონის ქომაგებს, მაგრამ თამაში რომ განახლდა, მაიამ ერთი პარტიაც ვერ მოიგო.

რა მოხდა, რამ დააკარგვინა "დარტყმის ძალა", შესამჩნევად მოადუნა მისი თამაში და მან ვერ შეინარჩუნა უპირატესობა, წააგო მერვე პარტია და ანგარიშიც გათანაბრდა? ჩანს, იგი დაიღალა. იქნებ სე ცზიუნის შეუპოვრობამ რწმენა შეურყია.

კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა ფინიშის ზღურბლზე. ესე იგი,მეათე პარტიის შემდეგ (5:5). დასკვნით ექვს პარტიაში უნდა გადაწყვეტილიყო ჩემპიონობის ბედი. სწორედ ამ დროს იყო საჭირო ძალთა მობილიზება, შეუპოვარი თამაში. მაიამ ვერ გაართვა თავი სიძნელეებს, ვერ მოერია საკუთარ თავს, თუმცა, უნდა ვიფიქროთ, მოემზადა დასკვნითი შეხვედრებისათვის. მან წააგო მეთერთმეტე პარტია, მერე მეცამეტე პარტია და უმძიმესი ამოცანის წინაშე აღმოჩნდა. დასკვნით სამ პარტიაში ორ-ნახევარი ქულა უნდა დაეგროვებინა, რომ კვლავ ჩემპიონი ყოფილიყო. მან იმედიანად დაიწყო მეთოთხმეტე პარტია, პერსპექტიუ-

ლი პოზიციაც მიიღო, მაგრამ რთულ ენდშპილში გულსატკენი შეცდომა მოუვიდა და უფიგურად დარჩა (ორ პაიკში). მართალია, შემდეგ ყაიმს მიაღწია, მაგრამ ცხადი იყო, რომ ჭადრაკის ქალღმერთმა კაისამ მას ზურგი შეაქცია. იგი ველარ შემოაბრუნებდა მატჩის ჩარხს.

აქვე უნდა ითქვას, რომ სე ცზიუნი შესაშური მონდომებით იბრძოდა. მატჩისწინა პრეს-კონფერენციაზე მან თქვა: მე და მაიას გამარჯვების თანაბარი შანსი გვაქვსო. ამიტომ ცდილობდა მაქსიმალურად გამოეყენებინა თავისი შესაძლებლობები. გამოიყენა კიდეც, მით უმეტეს, რომ მაია არ იყო ის მაია, მსოფლიო რომ იცნობდა.

მაიას წარუმატებელი ფინიში (5-დან 1½ ქულა) არ უნდა იყოს მოულოდნელი, თუ თვალს გადავავლებთ ბოლო სამი წლის მანძილზე ფინიშზე მისი თამაშის ტაქტიკას. იგი ხშირად არიდებდა თავს ბრძოლას გადამწყვეტ შეხვედრებში. მაგალითად, 1988 და 1990 წლების მსოფლიოს ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადებზე, სადაც იგი საბჭოთა ნაკრებს თავკაცობდა, დიდი სპორტული მნიშვნელობის მატჩებში, მას როგორც ლიდერს, თანაგუნდელებისათვის გამარჯვებისაკენ სწრაფვის მაგალითი უნდა ეჩვენებინა. იგი კი ორივე შემთხვევაში ოციოდე სვლაში დაუზავდა მეტოქეს, როცა დაფა ჯერ კიდევ სავსე იყო ფიგურებით. რა თქმა უნდა, ნაკრები დაზარალდა და საბოლოოდ მხოლოდ ვერცხლის მედლები დაიმსახურა. მაიას კიდეც უსაყვედურა გარი კასპაროვმა, ჩემპიონს მეტი მოეთხოვებაო.

სხვათა შორის, 1990 წლის ოლიმპიადაზე ნოვი-სადში (იუგოსლავია) მაიამ თავი აარიდა შეხვედრას ჩინეთის ნაკრებთან, რომლის ლიდერი პრეტენდენტობის კანდიდატი სე ცზიუნი იყო. ეს მაშინ ყველამ შეამჩნია. ამის გამო ერთმა ჩინელმა ჟურნალისტმა მაია დამოძღვრა ასეთი ჩინური ანდაზით: "ვისაც ვეფხვის ბოკვერის მოპარვა სურს, უნდა გაბედოს ვეფხვის ბუნაგში შეძრომა". მართლაც, ოლიმპიადაზე მაია სე ცზიუნს რომ შეხვედროდა, ვინ იცის, იქნებ სხვა სტრატეგია აერჩია მანილის მატჩში.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება მატჩის ირგვლივ, მით უმეტეს მაშინ, როცა ყველა გათამაშებული პარტია გამოქვეყნდება, მაგრამ უფრო საინტერესო იქნება თავად მაიას ნაამბობი, მისი შეფასებები. მაშინ მეტი სინათლე მოეფინება "მანილის ტრაგედიას".

გაზეთი "ახალგაზრდა ივერიელი", 9.XI. 1991 წ.

მალე, 1991 წლის 13 ნოემბრის "ლელოში" გამოქვეყნდა ინტერვიუ მაიასთან — "ახალ ჩემპიონს არ გაუმარჯვია, მე წავაგე მატჩი". მან გულახდილად ახსნა თუ რამ განაპირობა მატჩის წაგება.

პირველი. ის, რომ ფიდე-ს პრეზიდენტმა ფ. კამპომანესმა (ფილიპინები) ყველაფერი იღონა, რომ მატჩი ფილიპინებზე, მანილაში გამართულიყო. ეს იყო ის "საიდუმლო სვლა", რომელიც თურმე ჰქონდა მას მომზადებული, თუ მაია და სე ცზიუნი ვერ შეთანხმდებოდნენ მატჩის მასპინძლის საკითხში. ის, რომ ვერ შეთანხმდებოდნენ დიდი ხნით ადრე იცოდნენ ჩინეთის ჭადრაკის მესვეურებმა.

მეორე. "უჩვეულო და თითქმის აუტანელმა ბუნებრივმა კლიმატმა, მატჩის რეგლამენტმა, შეჯიბრების პირობებმა, საერთო ატმოსფერომ, რომელიც აშკარად ჩინელ მოჭადრაკეს უწევდა კარგ სამსახურს".

კონკრეტულად: "ნესტიანმა ჰავამ, სიცხემ, მთელი ორმოცი დღე კონდიციონერიან ბინაში გამოგვკეტა. ყველა აღიარებდა, რომ ასეთ პირობებში გონებრივად მომუშავეს დიდი დრო ესაჭიროება სრული აკლიმატიზაციისათვის.". ..."იცით, ისეთი დაჩლუნგებული არასოდეს ვყოფილვარ, როგორც ამ მატჩში".

"ვთამაშობდით ჰოლში, იმავე სასტუმროში, სადაც ვცხოვრობდით. მაყურებელს ოთხი-ხუთი მეტრით ვიყავით დაშორებული, სცენაც არ იყო. დარბაზში ჩინელები ჭარბობდნენ"...

"გაგვაოცა უჩვეულო რეგლამენტმა. ტაიმ-აუტი შეცვლილა იმით, რომ შეიძლებოდა მხოლოდ პარტიის გადადება. ფაქტობრივად, ყოველ მეორე დღეს ვთამაშობდით. მსოფლიო პირველობის ყველა მატჩში კვირაში სამი პარტია თამაშდებოდა, მეშვიდე დღე – დასვენება და სამსამი ტაიმ-აუტი იყო. ახლა კი... ეს რეგლამენტი არ ყოფილა ჩემთან შეთანხმებული. ცხადია, პროტესტი გამოვთქვი, მაგრამ პრეზიდენტმა მიპასუხა და საბუთიც მაჩვენა – ორი თვის წინ ეს რეგლამენტი საკავშირო ფედერაციას და სპორტსახკომს გავუგზავნეთ. თუ თანახმა არ იყავით, რატომ არ გვაცნობეთო. გამოდის, მოსკოვმა დამალა რეგლამენტის პირობები. ვისთან გინდა გაარკვიო სამართალი. ამგვარი უსიამოვნებით დაიწყო მატჩი".

მესამე, სე ცზიუნის შესანიშნავმა მომზადებამ და ბრძოლისუნარიანობამ.

"იგი ჩინებულად იცნობდა ჩემს პარტიებს. გამაოცა იმან, რომ ათითორმეტი პარტია სრულიად ახალი სისტემით გავითამაშე და უცხო არც ეს გამოდგა მეტოქისათვის. დავიწყებდი თამაშს, ხუთ წუთში მიპასუხებდა ჩემს ჩანაფიქრზე. იღებდა მშვენიერ პოზიციას და ჩემი შრომა წყალში იყრებოდა... ჩვენი სპეციალისტები მეუბნებოდნენ პარტიებს პირველი თანრიგოსნის დონეზე ვთამაშობდი. ეს საბოლოო შედეგშიც აისახა. სხვათა შორის, ჩვენი მატჩის წინ სე ცზიუნს მანილაში არასახარბიელოდ ამა-

შია ვაჟთა ტურნირში. მაგრამ, მთავარი ხომ "აკლიმატიზაცია" იყო".

შეკითხვაზე – თუ იცნობდით სე ცზიუნის პარტიებს? მაიამ უპასუხა: "ყველა პარტია ძნელი მოსაპოვებელია. შვეიცარიიდანაც კი გამოვიწერე ზოგიერთი. აზია, მით უფრო ჩინეთი, ცხადია, ხელს არ გვიმართავდა ამ საქმეში".

ბოლოს მაიამ თქვა: "ძალიან მინდოდა შემენარჩუნებინა ჩემპიონობა, მაგრამ, იმ მიზეზების გამო, რომელთა შესახებაც უკვე ვისაუბრეთ, თვით მეტოქის შესანიშნავი საჭადრაკო თვისებების, გნებავთ, ნიჭიერებისა და ჩემი სისუსტის გამო, მატჩის გადარჩენა ვერ შევძელი".

ჩინელმა მაყურებლებმა დარბაზში ხომ არ მოახდინეს თქვენზე ზემოქმედება? "არ მინდა ეს დავიჯერო. ასეთი რამ საბუთად მხოლოდ იმან შეიძლება მოიშველიოს და თქვას, ვინც მარცხის გასამართლებლად რაიმე უსუსურ მიზეზს ეძებს. მე არ ვეძებ ასეთ მიზეზებს".

●

ჟურნალი "ეხო პლანეტი" (1991 წ., №47) წერდა: "სე ცზიუნს შემთხვევით არ გაუმარჯვია. იგი დიდი მუყაითობით ემზადებოდა ორთაბრძოლისათვის. კარგად იცოდა ვისთან უწევდა პაექრობა. ემზადებოდა ორი მიმართულებით: წმინდა ჭადრაკის თვალსაზრისით და ჯანმრთელობა-ფსიქოლოგიის გაკაჟების მხრივ.

რამდენიმე ათეულმა ახალგაზრდა ოსტატმა,სე ცზიუნის მწვრთნელის ხელმძღვანელობით, გააკეთა მაიას მიერ ბოლო 8 წლის მანძილზე ნათამაშები 219 პარტიის ანალიზი, რომლის საშუალებით შექმნა 16 "სინთეზირებული პარტიის" მოდელი (ე.ი. იმდენი პარტიისა რამდენიც მატჩში უნდა გათამაშებულიყო). ამ პარტიებში გათვალისწინებული იყო მაიას თამაშის ძლიერი მხარეები, რომლებსაც ოთხი ოსტატი ვაჟი დაეუფლა. სწორედ მათთან შეხვედრებში სე ცზიუნი იძენდა მომავალი მატჩისათვის გამოცდილებას, სადებიუტო ცოდნას.

თითქმის ნახევარი წელი სე ცზიუნს დიდი დატვირთით ამეცადინებდა მსოფლიოში გამოჩენილი ფსიქოთერაპევტი, პროფესორი ჟენ იუიხენი, რომელიც მანილაშიც ახლდა მას. აქ იგი ურჩევდა მენიუს, სამოსს, ოთახის ტემპერატურას და სეირნობის მარშრუტს. მაია რომ დაწინაურდა, მან სე ცზიუნს "ტაიმაუტი" ააღებინა და ფსიქოლოგიურად ისე მოამზადა, რომ ჩინელმა დიდოსტატმა საოცარი სიმსუბუქით ჩაატარა ფინიში და გაიმარჯვა".

ცხადია, მაიამ ეს და ბევრი სხვაც არ იცოდა, სე ცზიუნის მომზადებიდან. ამიტომაც უკვირდა მისი ზედმეტად დაჯერებული თამაში. ამ გარემოებამ გაბზარა ისედაც ცუდ სპორტულ ფორმაში მყოფი მაია.

საქართველოს საჩუქარი - მსოფლიოს

1997 წლის სექტემბერს ქ. კიშინიოვში ფიდე-ს 68-ე კონგრესს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ვაჟა შუბლაძემ შესთავაზა "ნონა გაფრინდაშვილის სახელობის საერთაშორისო თასის" დაწესება მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებისათვის. იგი გადაეცემა იმ ქვეყანას, რომლის ქალთა და ვაჟთა გუნდები ოლიმპიადაზე ქულათა საერთო ჯამით პირველ ადგილს დაიკავებენ.

კონგრესმენებმა მოიწონეს თასის იდეა და თვით თასიც, მაგრამ მისი შემოღების წინააღმდეგნიც აღმოჩნდნენ. მათ აფიქრებდათ ნონას სახელის მიკუთვნება. უხერხულად მიაჩნდათ ცოცხალი მოღვაწის სახელის დარქმევა. ამიტომ ფიდე-ს პრეზიდენტის კირსან ილუმჟინოვის რჩევით ვაჟა შუბლაძემ თავად მიმართა კონგრესმენებს:

— თუ თასი მოგწონთ, მაგრამ გეუხერხულათ მისი ცოცხალი მოღვაწის სახელი, არის გამოსავალი, — თქვა აღელვებით ბატონმა ვაჟამ. — დავამტკიცოთ თასის შემოღება და დაველოდოთ... ნონას სიკვდილს, მერე რომ მისი სახელი დავარქვათ!

დარბაზი ააღელვა ბოლო სიტყვებმა, მით უმეტეს, რომ იმ დღეებში ყველამ ნახა ტელევიზიით პრინცესა დიანას დაკრძალვა. კონგრესმენებმა ტაშით დაადასტურეს ნონას სახელობის თასის შემოღება. ეს ისტორიული მოვლენა იყო.

ასე გაუჩნდა ტრადიციულ საჭადრაკო ოლიმპიადას მესამე გარდამავალი თასი. პირველი შემოიღო ფიდე-მ 1927 წელს ლონდონში ვაჟთა პირველ საჭადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებული გუნდისათვის. იგი ინგლისელი საჭადრაკო მოღვაწის ფრედერიკ ჰამელტონ-რასელის სახელს ატარებს. მეორე თასი ლეგენდარული ვერა მენჩიკის სახელობისაა. იგი 1957 წელს დაწესდა ქ. ემენში (ჰოლანდია) ქალთა პირველი საჭადრაკო ოლიმპიადის დროს გამარჯვებული გუნდისათვის. სწორედ ეს თასი ზედიზედ სამჯერ (1992, 1994, 1996 წწ.) მოიპოვა საქართველოს ოლიმპიურმა ნაკრებმა.

ნონას თასი 54 სმ სიმაღლისაა. იწონის 3 კგ და 100 გრ. ნაკეთებია ხელით. ნაწილობრივ ოქროს ფრაგმენტებით და ვიტრაჟული მინანქარით. აქვს ნონას ოქროს ბარელიეფური პორტრეტი. თასის ქვედა ნაწილი წარმოადგენს წაკვეთილ კონუსს, რომელზეც გამარჯვებული ქვეყნის სახელი ამოიტვიფრება. თასის ავტორია მოქანდაკე ირაკლი მეგრელიშვილი.

ნონას თასის შემოღება მოიწონა საქართველოს მთავრობამ 1997 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე.

აი, რა თქვა თასის შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ:

— მიმაჩნია, რომ ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენაა და არა მარტო ერთი ან ორი თაობისათვის. სპორტის ყველა სახეობას ჩვენ თაყვანს ვცემთ, მაგრამ ჭადრაკი სპორტის განსაკუთრებული სახეობაა. ჭადრაკი ცოტა სხვა არის. იგი დაკავშირებულია ადამიანის ინტელექტთან, აზროვნების უმაღლეს დონესთან. როგორც ამბობენ, ხელოვნებასთან, მათემატიკასთან, მეცნიერებასთან. ამ რთულ სფეროში ჩვენი თანამემამულის , მართლაც ლეგენდარული ადამიანის აღიარება და მისი სახელობის თასის დაწესება, ისტორიული მოვლენაა, განსაკუთრებით არც ისე მრავალრიცხოვანი ერისათვის, როგორიც ქართველი ერია. დამეთანხმებით, უფრო მაღალ შეფასებას ვერავინ მისცემდა მის გმირულ გზას და გმირობას. მინდა მადლობა ვუთხრა ყველას იმის გამო, რომ უკეთესს, უფრო ლამაზს და ღირსეულს, მსოფლიო მასშტაბით მნიშვნელოვან საჩუქარს, ვერავინ მოიფიქრებდა და გააკეთებდა. ყველა ჩვენგანის, გადაუჭარბებლად რომ ვთქვა, საქართველოს სახელით, კიდევ ერთხელ მინდა მივულოცო ქალბატონ ნონას მისი, როგორც თანამედროვეობის უდიდესი მოჭადრაკის სახელის კიდევ ერთი აღიარება და სამუდამო უკვდავყოფა.

ნონას თასი პირველად გათამაშდა 1998 წელს ქ. ელისტაში (ყალმუხეთი) ვაჟთა 33-ე და ქალთა მე-18 საჭადრაკო ოლიმპიადაში. თასის პირველი მფლობელი რუსეთის ფედერაცია გახდა.

„ოსკარის" ქართველი ლაურეატები



ჭადრაკის "ოსკარი" შემოიღო აიპე-მ (საჭადრაკო ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაცია) 1968 წელს, როგორც მოჭადრაკეთა უმაღლესი საერთაშორისო ჯილდო წლის საუკეთესო შედეგებისათვის. კონკურში ჯილდოზე წარადგენდნენ ასოციაციის წევრი-ჟურნალისტები (საქართველოდან აიპე-ს წევრები იყვნენ თენგიზ გიორგაძე და ედუარდ გუფელდი).

ამ თავმოსაწონი ჯილდოს იდეა დაიბადა 1967 წელს კუნძულ მალიორკას ქალაქ პალმეში (ესპანეთი) დიდი საერთაშორისო ტურნირის დროს. ჟურნალისტებმა პირველად სცადეს დაესახელებინათ წლის საუკეთესო მოჭადრაკე (იგი დანიელი ბ. ლარსენი აღმოჩნდა). ეს ამბავი ისე მოეწონათ მათ, რომ მომდევნო წელს გამართეს კონკურსი უძლიერესის გამოსავლენად და "ოსკარიც" დააწესეს.

ჯილდოს სახელს კონკურსის მესვეურნი (აიპე-ს პრეზიდენტი ესპანელი ჯორჯ პუიგი) კინემატოგრაფისტებს დაესესხნენ. "ოსკარი" შემოიღო ამერიკის კინოაკადემიამ კინოვარსკვლავების დასაჯილდოებლად. პრემიის სახელი კი ასე გაჩნდა: ერთ-ერთ ამერიკელ კინოვარსკვლავ ქალს ისე მოეწონა ერთი ქანდაკება, რომ გაოცებით შესძახა: ღმერთო, როგორ ჰგავს ჩემს პაპა ოსკარსო. ჯილდოსაც ეს სახელი შერჩა.

ჭადრაკის "ოსკარმა" საძღერ შეიცვალა თავისი გარეგნობა. 1973 წლამდე ივი პატარა ცხენზე ამხედრებული მამაკაცის ქანდაკება გახლდათ. ზოგი მას მიგელ სერვანტესის ერთ-ერთ გმირს სანჩო პანსას ამგვანებდა. მერე ეს ქანდაკება მადრიდის სიმბოლომ – დათუნიამ შეცვალა. 1974 წლიდან, ვიდრე აიპე-ს "ოსკარი" გაუქმდებოდა, ივი გახლდათ ბარსელონას სიმბოლო – ახალგაზრდა ქოლგიანი ქალის ვერცხლის პატარა ქანდაკება.

უდავოა, რომ "ოსკარმა" დიდება შემატა უპირველეს დიდოსტატებს, გაამრავალფეროვნა საჭადრაკო ცხოვრება.

აი, ვინ იყვნენ "ოსკარის" ლაურეატები: ბ. ლარსენი (1967 წ.), ბ. სპასკი (1968, 1969 წწ.), რ. ფიშერი (1970, 1971, 1972 წწ.), ა. კარპოვი (1973-1977, 1979-1981, 1984 წწ.), ვ. კორჩნოი (1978 წ.), გ. კასპაროვი (1982-1983, 1985-1988 წწ.).

ქალთათვის ჭადრაკის "ოსკარი" შემოიღეს 1982 წელს ფიდე-ს პრეზიდენტის ფ. კამპომანესის (ფილიპინები) ძალისხმევით. ეს გახლდათ ქალთა ჭადრაკის კიდევ ერთი დიდი აღიარება.

პირველი "ოსკარი" გადაეცა ნონა გაფრინდაშვილს, რომელმაც იმ წელს მრავალი შთამბეჭდავი გამარჯვება იზეიმა. 1983 წლის "ოსკარი" შვედ პია კრამლინგს გადაეცა. მერე ზედიზედ ოთხ "ოსკარს" (1984, 1985, 1986, 1987 წწ.) მაია ჩიბურდანიძე დაეუფლა. 1988 წლის ჯილდო მიიღო იუდით პოლგარმა.

1989 წლიდან ჯ. პუიგის გარდაცვალების შემდეგ, "ოსკარი" აღარავისთვის მიუნიჭებიათ.

1995 წელს მოსკოვის ჟურნალ-

მა "64 – შახმატნოე ობოზრენიემ" განაახლა 'ოსკარის" ჯილდო მხოლოდ ვაჟთათვის. შეცვალა .მისი გამოსახულება ძველი რუსული ნავის სახით. ამჯერად "ოსკარის" კანდიდატების დასასახელებლად მიიწვია მთელი მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის, სპეციალიზებული გამოცემების წარმომადგენლები და საჭადრაკო ჟურნალისტები 35 ქვეყნიდან.

აი, ვინ დაჯილდოვდა ახალი "ოსკარით": 1995, 1996 წლებში გ. კასპაროვი, 1997, 1998 წლებში – ვ. ანანდი (ინდოეთი) 1999 და 2000 წლებში – გ. კასპაროვი.

რეიტინგის მშრალი ციფრების ეიღმა

ჭადრაკის მესვეურნი დიდხანს ეძებდნენ მოჭადრაკის ძალის განმსაზღვრელ სისტემას, რომლის საშუალებით გაადვილდებოდა საერთაშორისო საჭადრაკო ცხოვრების მრავალი საკითხის მოგვარება.

1970 წელს ფიდე-მ შემოიღო მოჭადრაკის ინდივიდუალური კოეფიციენტი, რომლის გამოანგარიშებას საფუძვლად დაედო ამერიკელი მეცნიერის არპად ელოს (1903-1991 წწ.) სისტემა.

ფიზიკის პროფესორი ა. ელო ამერიკის შეერთებული შტატების ჭადრაკის ფედარაციის ერთ-ერთი დამაარსებელია. 1935-1937 წლებში იგი ფედერაციის პრეზიდენტიც იყო. 1970-1982 წლებში ა. ელო ფიდე-ს საკვალიფიკაციო კომისიის მდივნად მუშაობდა და ენერგიულად ამკვიდრებდა ცხოვრებაში თავის შექმნილ ინდივიდუალური კოეფიციენტების საერთაშორისო სისტემას.

ა. ელოს სისტემით გამოანგარიშებული თითოეული მოჭადრაკის რეიტინგი (ქართულად-შეფასება) არის მისი ძალის ციფრობრივი გამოსახულება, რომელიც იცვლება (იზრდება ან მცირდება) ყოველი შეჯიბრების შედეგების შესაბამისად.

სისტემამ გაამართლა. ახლა ფიდე რეიტინგების მიხედვით ანიჭებს საერთაშორისო დიდოსტატისა და ოსტატის წოდებებს, ორგანიზატორები აკომპლექტებენ გუნდებს, სხვადასხვა რანგის ტურნირების შემადგენლობას და სხვა.

ფიდე წელიწადში ორჯერ - 1 იანვრისათვის და 1 ივლისისათვის აქვეყნებს "შახმატნი ინფორმატორში" (გამოდის 1967 წლიდან ბელგრადში) რამდენიმე ათასი მოჭადრაკის რეიტინგებს. ჟურნალი "64-შახმატნოე ობოზრენიე", რომელიც 1980 წლიდან გამოდის მოსკოვში, 1981 წლიდან სისტემატურად ბეჭდავს მხოლოდ პირველი 100 ვაჟისა და 50 ქალის (ხან მეტის ან ნაკლების) რეიტინგებს, რაც აადვილებს მსოფლიო საჭადრაკო ელიტის წარმომადგენელთა დასახელებას.

სწორედ ამ თვალსაზრისით დავინტერესდით ქართველი მოჭადრაკეების საერთაშორისო რეიტინგებით. მშრალი ციფრების მიღმა კარგად ჩანს საქართველოს მოჭადრაკეების, განსაკუთრებით დიდოსტატი ქალების, მოწინავე ადგილი XX საუკუნის ჭადრაკში.

გთავაზობთ საქართველოს მოჭადრაკეების ბოლო 20 წლის საერთა-

შორისი რეიტინგებსა და მსოფლიოში უძლიერესთა შორის მათ ადგილებს.

1981 წ.

I

ვაჟები – 59

50. თამ. გიორგაძე 2530

ქალები – 20

1. მ. ჩიბურდანიძე 2425
2. ნ. იოსელიანი 2345
5. ნ გაფრინდა-შვილი 2300
6. ნ. ალექსანდრია 2295
7. ნ. გურიელი 2290

II

ვაჟები – 100

57. თამ. გიორგაძე 2515
63. ბ გურგენიძე 2490
80. ე. უბილავა 2445
98. ზ. აზმაიფარა-შვილი 2390

ქალები – 50

1. მ. ჩიბურდანიძე 2405
2. ნ. ალექსანდრია 2335
4. ნ. იოსელიანი 2305
5. ნ გაფრინდა-შვილი 2300
6. ნ. გურიელი 2285

1982 წ.

I

ვაჟები – 101

77. თამ. გიორგაძე 2500
89. ბ. გურგენიძე 2495

ქალები – 31

1. მ. ჩიბურდანიძე 2390
2 ნ. ალექსანდრია 2380
4. ნ. იოსელიანი 2305
5. ნ. გაფრინდა-შვილი 2300
18. ნ გურიელი 2230

II

ვაჟები – 101

84. ბ. გურგენიძე 2500
90. თამ. გიორგაძე 2495

ქალები – 31

1. მ. ჩიბურდანიძე 2385
2. ნ. ალექსანდრია 2370
4. ნ. გაფრინდა-შვილი 2325
5. ნ. იოსელიანი 2325
14. ნ. გურიელი 2230
29. თ. ხმიადა-შვილი 2180

1983 წ.

I

ვაჟები – 99

92. თამ. გიორგაძე 2495
93. ბ. გურგენიძე 2495

ქალები – 28

1. ნ. ალექსანდრია 2355
2. ნ. გაფრინდა-შვილი 2355
4. მ. ჩიბურდანიძე 2355
5. ნ. იოსელიანი 2295
15. ნ. გურიელი 2230
27 თ. ხმიადა-შვილი 2190

II

ვაჟები – 101

84 თამ. გიორგაძე 2495

ქალები – 48

1. მ. ჩიბურდანიძე 2390
2. ნ. ალექსანდრია 2355
4. ნ. გაფრინდა-შვილი 2325
6. ნ. იოსელიანი 2290
18. ნ. გურიელი 2225
43. თ. ხმიადა-შვილი 2160
45. მ. წერეთელი 2155

1984 წ.

I

ვაჟები – 98

85. თამ. გიორგაძე 2495

ქალები – 49

2. მ. ჩიბურდანიძე 2385
3. ნ. ალექსანდრია 2370
4. ნ. გაფრინდა-შვილი 2330
6. ნ. იოსელიანი 2290
18. ნ. გურიელი 2225
42. მ. წერეთელი 2155
46. თ. ხმიადა-შვილი 2140

II

ვაჟები – 102

87. თამ. გიორგაძე 2500

ქალები – 50

3. მ. ჩიბურდანიძე 2375
4. ნ. გაფრინდა-შვილი 2335
8. ნ. გურიელი 2290
9. ნ. იოსელიანი 2290
10. ნ. ალექსანდრია 2275
44. მ. წერეთელი 2155

1985 წ.

I

ვაჟები – 108

91 თამ. გიორგაძე 2500

ქალები – 45

2 მ. ჩიბურდანიძე 2400
5. ნ. გაფრინდა-
შვილი 2325
8 ნ ალექსანდრია 2275
9. ნ. გურიელი 2275
10. ნ. იოსელიანი 2275

II

ვაჟები – 106

88. თამ. გიორგაძე 2505

ქალები – 49

1. მ. ჩიბურდანიძე 2450
4. ნ. გაფრინდა-
შვილი 2420
6. ნ. იოსელიანი 2300
8. ნ. ალექსანდრია 2275
11. ნ. გურიელი 2265

1986 წ.

I

ვაჟები – 103

84. ე. უბილავა 2515
95. თამ. გიორგაძე 2505

ქალები – 48

1. მ. ჩიბურდანიძე 2455
4. ნ. გაფრინდა-
შვილი 2350
6. ნ. ალექსანდრია 2310
7. ნ. იოსელიანი 2310
13. ნ. გურიელი 2250

II

ვაჟები – 97

84. ე. უბილავა 2515
92. თამ. გიორგაძე 2505

ქალები – 52

2. მ. ჩიბურდანიძე 2435
4. ნ. გაფრინდა-
შვილი 2350
6. ნ. იოსელიანი 2325
9. ნ. ალექსანდრია 2290
4. ნ. გურიელი 2275
26. ქ. არახამია 2215
52. მ. წერეთელი 2155

1987 წ.

I

ვაჟები – 100

(ჩვენი არავინ არის)

ქალები – 50

1. მ. ჩიბურდანიძე 2325
3. ნ. გაფრინდა-
შვილი 2315
6. ნ. იოსელიანი 2305
9. ნ. ალექსანდრია 2300
11. ნ. გურიელი 2295
13. ქ. არახამია 2295

II

ვაჟები – 106

63. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2540

ქალები – 51

1. მ. ჩიბურდანიძე 2550
2. ნ. გაფრინდა-
შვილი 2495
4. ნ. იოსელიანი 2450
8. ნ. ალექსანდრია 2410
9. ნ. გურიელი 2385
12. ქ. არახამია 2375

1988 წ.

I

ვაჟები – 113

65. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2540

ქალები – 51

1. მ. ჩიბურდანიძე 2560
2. ნ. გაფრინდა-
შვილი 2485
4. ნ. იოსელიანი 2455
6. ქ. არახამია 2420
7. ნ. ალექსანდრია 2415
12. ნ. გურიელი 2380

II

ვაჟები – 104

67. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2540

ქალები – 54

1. მ. ჩიბურდანიძე 2555
2. ნ. იოსელიანი 2495
4. ნ. გაფრინდა-
შვილი 2455
7. ნ. ალექსანდრია 2405
8. ქ. არახამია 2405
14. ნ. გურიელი 2365

1989 წ.

I

ვაჟები – 108

51. ზ. აზმაიფარა-
შვილი • 2560

ქალები – 50

2. მ. ჩიბურდანიძე 2520
4. ნ. იოსელიანი 2480
6. ნ. გაფრინდა-
შვილი 2435
9. ქ. არახამია 2395

10. ნ. ალექსანდრია 2375
16. ნ. გურიელი 2350
36. ქ. კახიანი 2295

II

ვაქები – 105
38. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2575

ქალები – 51
3. მ. ჩიბურდანიძე 2495
5. ნ. იოსელიანი 2470
6. ნ. გაფრინდა-
შვილი 2435
8. ქ. არახამია 2405
10. ნ. ალექსანდრია 2375
16. ნ. გურიელი 2355
26. ქ. კახიანი 2330

1990 წ.

I

ვაქები – 106
16. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2610

ქალები – 52
3. ნ. იოსელიანი 2475
5. მ. ჩიბურდანიძე 2470
6. ნ. გაფრინდა-
შვილი 2435
11. ქ. არახამია 2385
15. ქ. კახიანი 2365
17. ნ. ალექსანდრია 2360
23. ნ. გურიელი 2340

II

ვაქები – 109
46. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2575

ქალები – 51
4. მ. ჩიბურდანიძე 2500
5. ნ. იოსელიანი 2480
6. ნ. გაფრინდა-
შვილი 2435
10. ქ. არახამია 2380
19. ნ. გურიელი 2360
25. ნ. ალექსანდრია 2345
31. ქ. კახიანი 2330

1991 წ.

I

ვაქები – 102
41. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2585

ქალები – 50
3. მ. ჩიბურდანიძე 2485
4. ნ. იოსელიანი 2470
7. ნ. გაფრინდა-
შვილი 2450
8. ქ. არახამია 2440
18. ნ. გურიელი 2370
25. ქ. კახიანი 2345
27. ნ. ალექსანდრია 2335

II

ვაქები – 104
21. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2615
87. ე. უბილავა 2555

ქალები – 50
3. მ. ჩიბურდანიძე 2495
5. ქ. არახამია 2475
7. ნ. იოსელიანი 2445
10. ნ. გაფრინდა-
შვილი 2425
20. ნ. გურიელი 2365
21. ქ. კახიანი 2360
33. ნ. ალექსანდრია 2310

1992 წ.

I

ვაქები – 102
30. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2610
89. ე. უბილავა 2560

ქალები – 50
4. მ. ჩიბურდანიძე 2485
6. ნ. გაფრინდა-
შვილი 2450
7. ქ. არახამია 2445
8. ნ. იოსელიანი 2445
20. ქ. კახიანი 2375
21. ნ. გურიელი 2375
43. ნ. ალექსანდრია 2310

II

ვაქები – 46
29. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2620

ქალები – 31
4. მ. ჩიბურდანიძე 2505
7. ნ. იოსელიანი 2445
8. ქ. არახამია 2435
9. ნ. გაფრინდა-
შვილი 2435
20. ნ. გურიელი 2375
27. ქ. კახიანი 2360

1993 წ.

I

ვაქები – 101
11. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2655
94. ზ. სტურუა 2565

ქალები – 49
4. მ. ჩიბურდანიძე 2510
6. ნ. იოსელიანი 2460

8. ქ. არახამია 2440
10. ქ. კახიანი 2420
24. ნ. გაფრინდა-
შვილი 2375
28. ნ. გურიელი 2365

II

ვაჟები – 104

23. აზმაიფარა-
შვილი 2630

ქალები – 49

4. მ. ჩიბურდანიძე 2510
6. ნ. იოსელიანი 2470
7. ქ. არახამია 2440
12. ქ. კახიანი 2410
20. ნ. გაფრინდა-
შვილი 2375
27. ნ. გურიელი 2355
44. ნ. ხურციძე 2325

1994 წ.

I

ვაჟები – 108

26. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2625

ქალები – 53

3. მ. ჩიბურდანიძე 2520
6. ქ. არახამია 2485
9. ნ. იოსელიანი 2435
20. ნ. გურიელი 2390
25. ნ. გაფრინდა-
შვილი 2365

II

ვაჟები – 103

30. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2625

ქალები – 57

5. მ. ჩიბურდანიძე 2505
7. ქ. არახამია 2450
11. ნ. იოსელიანი 2435
19. ნ. გაფრინდა-
შვილი 2390
55. ნ. ხურციძე 2320

1995 წ.

I

ვაჟები – 104

44. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2610
68. გ. გიორგაძე 2590

ქალები – 50

5. მ. ჩიბურდანიძე 2520
8. ნ. იოსელიანი 2465
16. ქ. არახამია 2400
20. ნ. გაფრინდა-
შვილი 2390
29. ნ. გურიელი 2370
40. ნ. ალექსანდრია 2350

II

ვაჟები – 106

12. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2620
54. გ. გიორგაძე 2605

ქალები – 50

5. მ. ჩიბურდანიძე 2500
7. ნ. იოსელიანი 2475
12. ქ. არახამია 2420
20. ნ. გაფრინდა-
შვილი 2390
33. ნ. გურიელი 2360
41. ნ. ალექსანდრია 2350

1996 წ.

I

ვაჟები – 109

17. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2660
72. გ. გიორგაძე 2590

ქალები – 50

5. მ. ჩიბურდანიძე 2515
7. ნ. იოსელიანი 2485
8. ქ. არახამია 2480
23. ნ. გაფრინდა-
შვილი 2380
31. ნ. ხურციძე 2365
34. ნ. გურიელი 2360

II

ვაჟები – 102

14. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2670
98. გ. გიორგაძე 2580

ქალები – 50

4. მ. ჩიბურდანიძე 2540
6. ნ. იოსელიანი 2500
11. ქ. არახამია 2455
19. ნ. ხურციძე 2395
22. ნ. გაფრინდა-
შვილი 2385
31. ნ. გურიელი 2370

1997 წ.

I

ვაჟები – 108

22. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2650
71. გ. გიორგაძე 2595

შენიშვნა: ქ. კახიანი 1994 წლიდან გერმანიის სახელით გამოდის. იგი ყოველ წელს "ორმოცდაათთა" შორისაა.

ქალები – 54

4. მ. ჩიბურდანიძე 2535
5. ნ. იოსელიანი 2510
8. ქ. არახამია 2490
13. ნ. ხურციძე 2430
29. მ. ლომინეი-
შვილი 2385
35. ნ. გურიელი 2375
49. ნ. ეძგვერაძე 2355

II

ვაჟები – 103

29. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2645
44. გ. გიორგაძე 2625
100. ზ. სტურუა 2585

ქალები – 53

3. მ. ჩიბურდანიძე 2525
5. ნ. იოსელიანი 2520
14. ქ. არახამია 2430
17. ნ. ხურციძე 2415
40. ნ. გურიელი 2370
49. ნ. გაფრინდა-
შვილი 2355

1998 წ.

I

ვაჟები – 103

27. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2650
65. გ. გიორგაძე 2605
87. ზ. სტურუა 2595

ქალები – 53

4. მ. ჩიბურდანიძე 2535
8. ნ. იოსელიანი 2490
13. ქ. არახამია 2440
30. ნ. ხურციძე 2390
33. ნ. გურიელი 2385

II

ვაჟები – 100

24. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2655
59. გ. გიორგაძე 2610
87. ზ. სტურუა 2600

ქალები – 53

4. მ. ჩიბურდანიძე 2525
8. ნ. იოსელიანი 2495
18. დ. დარჩია 2445
23. ქ. არახამია 2420
46. ნ. ხურციძე 2375
53. ნ. გურიელი 2365

1999 წ.

I

ვაჟები – 100

15. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2681
52. გ. გიორგაძე 2616
72. ზ. სტურუა 2605

ქალები – 50

3. მ. ჩიბურდანიძე 2553
8. ნ. იოსელიანი 2493
16. დ. დარჩია 2445
20. ქ. არახამია 2431
30. ნ. ხურციძე 2405
41. მ. ლომინეი-
შვილი 2375
43. ნ. გურიელი 2374
49. ნ. გაფრინდა-
შვილი 2365

II

ვაჟები – 100

14. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2681
76. გ. გიორგაძე 2602
77. ზ. სტურუა 2602

ქალები – 52

3. მ. ჩიბურდანიძე 2551
5. ნ. იოსელიანი 2504
11. ნ. ხურციძე 2472
21. ქ. არახამია 2431
40. მ. ლომინეი-
შვილი 2387
42. რ. გოლეთიანი 2386
45. დ. დარჩია 2383

2000 წ.

I

ვაჟები – 100

18. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2673
85. გ. გიორგაძე 2599
95. ზ. სტურუა 2594

ქალები – 50

2. მ. ჩიბურდანიძე 2545
10. ნ. იოსელიანი 2484
15. ნ. ხურციძე 2464
34. ქ. არახამია 2403
44. ნ. გაფრინდა-
შვილი 2383

II

ვაჟები – 100

19. ზ. აზმაიფარა-
შვილი 2673
98. გ. გიორგაძე 2599
99. ზ. სტურუა 2594

ქალები – 50

3. მ. ჩიბურდანიძე 2545
14. ნ. იოსელიანი 2476
29. ნ. ხურციძე 2418
35. ქ. არახამია 2405
42. ნ. გაფრინდა-
შვილი 2390

ამ რეიტინგ-ლისტებთან გაცნობა ბევრ საინტერესოს გვამცნობს. მაგალითად იმას, რომ 80-იან წლებშიც ჩვენს დიდოსტატ ქალებს მყარი ადგილი ეკავათ მსოფლიო საჭადრაკო ელიტაში. იმდროინდელი მსოფლიო ჩემპიონი მ. ჩიბურდანიძე მოჭადრაკე ქალთა აღიარებული ლიდერი იყო. იგი წარმატებით იცავდა ჩემპიონის ტიტულს.

ზურაბ აზმაიფარაშვილი

მაგრამ ბუნებაში მუდმივი არაფერია. 1989 წლიდან მ. ჩიბურდანიძეს სერიოზული მეტოქეები გაუჩნდა დები იუდით და ჟუჟა პოლგარების, სე ცზიუნის და პია კრამლინგის სახით. ზოგჯერ ჩემპიონს ლიდერობის დათმობა უხდებოდა, მაგრამ ყოველთვის იყო პირველ ხუთეულში.

აღსანიშნავია, რომ ზ. აზმაიფარაშვილი ერთადერთი ქართველი მოჭადრაკეა, რომელიც თავისი რეიტინგით ძალიან დაუახლოვდა "ამა ქვეყნის ძლიერთ". 1993 წელს იგი მეთერთმეტე მოჭადრაკე იყო მსოფლიოში. შემდგომ თითქმის ყოველთვის პირველ ოცეულშია. ეს ბევრისმეტყველია. ამიტომ იყო, რომ იგი სამჯერ (1997, 1999, 2000 წწ.) მიიწვიეს ახალი ნოკაუტ-სისტემით გათამაშებულ მსოფლიო პირველობაში.

ბოლო წლებში უძლიერესთა ასეულში დამკვიდრდნენ გ. გიორგაძე და ზ. სტურუა.

მაღალი რეიტინგი ახარებს მოჭადრაკეს, მაგრამ ადვილი როდია მისი შენარჩუნება. ამიტომ მას დიდი ძალისხმევა სჭირდება. ზოგჯერ ესეც არ კმარა. მაგალითად, 1984 წელს მ. ჩიბურდანიძემ გაიმარჯვა მსოფლიო პირველობის მატჩში ი. ლევიტინასთან, მაგრამ რეიტინგ-ლისტში მხოლოდ მეორე იყო. იგივე მოხდა 1986 წელს, როცა ე. ახმილოვსკაიას სძლია. ამჯერადაც რეიტინგ-ლისტში მეორე იყო. აქედან დასკვნა: საჭიროა გამარჯვება უმაღლესი კატეგორიის ტურნირებში, როგორც ამას მსოფლიო ექსჩემპიონი გ. კასპაროვი აღწევს. ამიტომაც მისი რეიტინგი 2800-ს აღემატება, რასაც სხვამ ჯერჯერობით ვერ მიაღწია.

კიდევ მრავალი დასკვნის გაკეთება შეიძლება. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ საქართველო ნამდვილად ნიჭიერი მოჭადრაკეების ქვეყანაა და მას დიდი მომავალი აქვს XXI საუკუნეში.

მას ოცნება გზას უნათებდა

1998 წლის დეკემბრის დამდეგს ქალაქ კრისხენჰენში ვეტერან მოჭადრაკე ქალთა IV მსოფლიო ჩემპიონატში პირველობას ერთმანეთს სხვადასხვა ქვეყნის 24 დიდოსტატი და ოსტატი ეცილებოდა. ქართველ მოჭადრაკეებს დიდოსტატი თამარ ხმიადაშვილი წარმოადგენდა. ქალბატონი თამარი წინა სამივე (1995, 1996, 1997 წწ.) ჩემპიონატში მონაწილეობდა, მაგრამ ყოველთვის მხოლოდ მეორე ადგილზე გამოდიოდა. მას უსწრებდნენ ნ. გაფრინდაშვილი, ტ. ზატულოვსკაია და ვ. კოზლოვსკაია. მართალია, ამჯერადაც ცნობილი დიდოსტატები თამაშობდნენ, მაგრამ თამარი ურყევი იყო მიზნის მიღწევაში. სტარტზე რომ დაწინაურდა, ბოლომდე არავის დაუთმო ლიდერობა. მან 8 მეტოქეს ფარ-ხმალი დააყრევინა, სამს დაუზავდა და 9½ ქულით პირველი ადგილი და მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

ეს გახლდათ თამარ ხმიადაშვილის ოცდაათწლიანი საჭადრაკო მოღვაწეობის ყველაზე დიდი, შთამბეჭდავი და დამსახურებული გამარჯვება!

მერე თამარი გვიამბობდა:

— ამ ჩემპიონატში განსაკუთრებული სიხარული მომიტანა გამარჯვებამ შარშანდელ ჩემპიონ ტატიანა ზატულოვსკაიასთან შეხვედრაში, რომელიც ამჯერად მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა.

თამარ ხმიადაშვილი

ვერცხლის მედალი პოლონელმა დიდოსტატმა ქალმა ქ. ერენსკარაძევსკამ (9 ქულა) მოიპოვა, ბრინჯაოსი — მოსკოველმა დიდოსტატმა ე. ფათალიბეკოვამ (8½).

თამარ ხმიადაშვილი (უწინ იგი ხუგაშვილის გვარით თამაშობდა) ცნობილი მოჭადრაკეა. მისი სპორტული ბიოგრაფია თელავში დაიწყო კახეთში ცნობილი მწვრთნელის გიორგი ელიოზიშვილის ხელმძღვანელობით. საქართველოს საჭადრაკო ცხოვრებაში თამარი 1961 წლიდან მონაწილეობს. მაშინ ყმაწვილ-

ია. 16 წლის თელაველმა მოჭადრაკემ საქართველოს ქალთა მეორე საერთაშორისო ტურნირში არცთუ ცუდად ითამაშა. მერე თამარმა მრავალი თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა. სამჯერ გაიმარჯვა საქართველოს (1972, 1975, 1978 წწ.) ჩემპიონატში. 1981 წელს ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა სსრ კავშირი 41-ე ჩემპიონატში, რომელშიც, სხვათა შორის, პირველი-მეორე ადგილები ნ. გაფრინდაშვილმა და ნ. იოსელიანმა გაიყვეს.

ყველა ეს თვალსაჩინო მიღწევა გაითვალისწინა ფიდე-ს 67-ე კონგრესმა და თამარს საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიანიჭა. რა თქმა უნდა, ამ დიდმა აღიარებამ ააგულიანა და წაახალისა ვეტერან მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონობისათვის ბრძოლაში.

ღვაწლმოსილი მოჭადრაკე მრავალი წელია მწვრთნელის კეთილშობილ საქმიანობას ეწევა. მისი ღვაწლი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდების მიკუთვნებით აღინიშნა. ახლახან იგი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთან არსებულ ბავშვთა საჭადრაკო სკოლის დირექტორად დაინიშნა.

ბოლო დრომდე ქალბატონი თამარი ამეცადინებდა ნორჩ თელაველ მოჭადრაკეებს ანა მათნაძესა და ლელა ჯავახიშვილს, რომლებიც მას გ. ელიოზიშვილმა გადასცა. ეს გოგონები მერე საერთაშორისო ოსტატები, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები გახდნენ თანატოლთა შორის.

თამარ ხმიადაშვილმა ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი (გერმანული ენის სპეციალობით) დაამთავრა. 1972 წლიდან იგი თბილისის ჭადრაკის სასახლეში მუშაობს.

– ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ შევძელი ჩემი ოცნების ასრულება – გავხდი დიდოსტატი და მსოფლიო ჩემპიონი, – ამბობდა თამარი, როცა დიდ მიღწევას ვულოცავდით.

თამარ ხმიადაშვილმა ვეტერან მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს V ჩემპიონატშიც (ქ. გლადენბახი, გერმანია, 1999 წ.) ისახელა თავი. მან დაუმარცხებლად განვლო შეჯიბრება – შვიდი პარტია მოიგო, ოთხი ყაიმი დაამთავრა და მეორედ დაეუფლა ჩემპიონის ოქროს მედალს. ვერცხლის მედალი კი ტატიანა ზატულოვსკაიას ხვდა წილად.

VI ჩემპიონატში (ქალაქი როვი, პოლონეთი, 2000 წ.) თამარ ხმიადაშვილს ვერცხლის მედალი ხვდა წილად, თუმცა 9 ქულით 11-დან პირველი-მეორე ადგილები გაიყო ე. ფათალიბეკოვასთან (რუსეთი), მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილმა უპირატესობა ახალ ჩემპიონს მისცა.

„ლედი სენიორების წინააღმდეგ"

მაია ნიბურდანიძე

ასე ჰქვია მიმზიდველ მატჩ-ტურნირს, რომელმაც 1992 წლიდან დაიმკვიდრა ადგილი საერთაშორისო საჭადრაკო ცხოვრებაში. ამ ტურნირების ორგანიზატორია "მსოფლიო ექსჩემპიონის მაქს ეივეს ასოციაცია", რომელსაც ცნობილი ჰოლანდიელი მეცენატი იოპ ვან ოსტერომი თავკაცობს.

ორიოდე სიტყვა ი. ვან ოსტერომზე. იგი ახალგაზრდობაში დაინტერესებულა ჭადრაკით. 1955 წელს მონაწილეობა მიუღია ჭაბუკთა მსოფლიო პირველობაში. მერე მსხვილ ბიზნესში მოღვაწეობდა, მაგრამ საყვარელი თამაში არასოდეს მიუტოვებია. მონაწილეობდა მიწერ-მოწერით მსოფლიო პირველობებში და, როგორც ამბობენ, ამ თამაშში დიდოსტატიც გამხდარა.1991 წელს გულუხვმა მილიონერმა თავისი მეგობრის მაქს ეივეს ასოციაცია დააარსა და მისი სახელით, მაგრამ საკუთარი ხარჯით, შემოიღო ორი მნიშვნელოვანი ტურნირი – "ლედი სენიორების წინააღმდეგ" და ეგრეთ წოდებული "ამბერის მელოდიები". ეს უკანასკნელი გახლავთ ატრაქციონის ფორმის საერთაშორისო ტურნირი სწრაფ ჭადრაკსა და დაფაზე დაუხედავად ("თვალხუჭულა") თამაშში, რომელიც ი.ვან ოსტერომის უფროსი ქალიშვილის ამბერას სახელს ატარებს. ორივე ტურნირი უკვე ტრადიციული გახდა.

აღსანიშნავია ი. ვან ოსტერომის ასეთი გულუხვობაც. 1993 წელს მონტე-კარლოში (მონაკო), სადაც იგი ცხოვრობს, მისი მიწვევით მოეწყო მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის მატჩი სე ცზიუნსა და ნ. იოსელიანს შორის, ხოლო 1995 წელს მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი ჟ. პოლგარსა და ნ. იოსელიანს შორის, რომელიც, როგორც იცით, ქართველი დიდოსტატის გამარჯვებით დასრულდა.

"ლედი სენიორების წინააღმდეგ" მატჩ-ტურნირში, როგორც წესი, წარსულისა და აწმყოს გამოჩენილი

დიდოსტატები მონაწილეობენ – 6 ლედი და ამდენივე გამოცდილებით დაბრძენებული, ოლიმპიურად მშვიდი სენიორი (ზოგჯერ ხუთ-ხუთი თამაშობდნენ). მათ შეხვედრაში, როგორც დიდოსტატი მ. ტაიმანოვი აღნიშნავს, "გამძაფრებით მოწმდება კორიფეთა სტრატეგიული აზროვნების კლასიკა თანამედროვე დინამიური სტილის თამაშით". შეჯიბრება ეწყობა შევენინგენის სისტემით ორ წრედ, სადაც ქალბატონები მხოლოდ სენიორებს ხვდებიან, და არა ერთმანეთს.

ამ ტრადიციულ ტურნირს კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს. ყოველ მათგანს მუსიკალურ-ფოლკლორული ჩარჩო გააჩნია. ორგანიზატორების სურვილით თითოეულ ტურნირს შერქმეული აქვს მისი მასპინძელი ქვეყნის ეროვნული წყვილთა ცეკვის სახელი. ამიტომ შეჯიბრების საზეიმო გახსნა ყოველთვის ქორეოგრაფიული წარმოდგენით იწყება. ასე რომ, აქამდე გამართულ ყველა ტურნირს თავისი სახელი აქვს (მათ ქვემოთ მოვიყვანთ).

ასოციაციის მიწვევით ტურნირში სისტემატურად მონაწილეობდნენ ქართველი დიდოსტატები მ. ჩიბურდანიძე, ნ. იოსელიანი და ქ. არახამია მსოფლიოს სხვა გამოჩენილ მოჭადრაკე ქალებთან ერთად.

სენიორთა გუნდში მუდამ იყვნენ წარსულის კორიფეები – მსოფლიოს ექსჩემპიონები ვ. სმისლოვი და ბ. სპასკი, ყოფილი პრეტენდენტები ბ. ლარსენი, ვ. კორჩნოი, ე. გელერი, ლ. პორტიში, მ. ტაიმანოვი, ვ. ჰორტი, ბ. ივკოვი და სხვ.

გთავაზობთ ქალთა ყველა ტურნირში ადგილების საბოლოო განაწილებას და თითოეული ქართველი დიდოსტატის შეხვედრების შედეგებს "ამა ქვეყნის ძლიერებთან".

I. 1992 წ. არუბა-ტურნირი (არუბა, ანტალიის კუნძულები).

I. ი. პოლგარი 7½, II. ჟ. პოლგარი (ორივე – უნგრეთი) 6½, III. პ. კრამლინგი (შვეცია) 6, IV. ა. გალიამოვა (რუსეთი) 5.

V–VI. მ. ჩიბურდანიძე 4 (½ ½ – ლ. პოლუგაევკსი, 0½ – ვ. სმისლოვი, ½ 0 – ე. გელერი, **½ ½** – ბ. ივკოვი, 0 ½ – ო. პანო, ½ 0 – ვ. ულმანი),

V–VI. ქ. არახამია 4 (00 – პოლუგაევსკი, ½ ½ – სმისლოვი, 0½ – გელერი, 10 – ივკოვი, 00 – პანო, 1½ – ულმანი).

II. 1993 წ., ვალს-ტურნირი (ვენა, ავსტრია).

I. მ. ჩიბურდანიძე 9 (11 – ლარსენი, 1½ – ივკოვი, 1½ – ფ. ოლაფსონი, 10 – სმისლოვი, 10 – გელერი, 11 – ა. დიუკშტეინი),

II. ჟ.პოლგარი 7½, III. სე ცზიუნი 7, IV. ს. პოლგარი 6,

V. ქ. არახამია 5½ (1½ –

ქეთევან არახამია

გელერი, 1½ – ოლაფსონი, 10 – ივკოვი, 10 – დიუკშტეინი, ½ 0 – სმისლოვი, 00 – ლარსენი).

VI. ა. გალიამოვა 5½.

III. 1994 წ., პალადინ-ტურნირი (მონაკო).

I-II. ი. პოლგარი 7½, სე ცზიუნი 7½, III. ჟ. პოლგარი 7.

IV. ნ. იოსელიანი 6½ (10 – სმისლოვი, 00 – ჰორტი, ½ ½ – სპასკი, 1½ – პორტიში, ½ ½ – ივკოვი, 1 1 – ლარსენი),

V. მ. ჩიბურდანიძე 5½ (0 ½ – სმისლოვი, 0 ½ – ჰორტი, ½ ½ – სპასკი, ½ 0 – პორტიში, 1 ½ – ივკოვი, ½ 1 – ლარსენი).

VI. ქ. არახამია 3 (00 – სმისლოვი, 10 – ჰორტი, 0 ½ – სპასკი, 0½ – პორტიში, ½ ½ – ივკოვი, 00 – ლარსენი).

IV. 1995 წ., პოლკა-ტურნირი (პრაღა, ჩეხეთი).

I-II. ვ. კრამლინგი 6½, ი. პოლგარი 6½, III. სე ცზიუნი 5, IV. ჟ. პოლგარი 4½.

V. ნ. იოსელიანი 4 (1 ½ – პორტიში, ½0 – სმისლოვი, 10 – ჰორტი, 0½ – სპასკი, 0½ – კორჩნოი).

V. 1996 წ., ფოქსტროტ-ტურნირი (ლონდონი, ინგლისი).

I. ქ. არახამია 6½ (11 – ტაიმანოვი, 1½ – სმისლოვი, 1½ – ჰორტი, ½½ – სპასკი, ½0 – პორტიში),

II. ვ. კრამლინგი 5 ½, III. სე ცზიუნი 4 ½,

IV. ნ. იოსელიანი 4 (1 ½ – ტაიმანოვი, ½ ½ – სმისლოვი, ½ ½ – სპასკი, 0 ½ – პორტიში, 0 0 – ჰორტი),

V – ს. პოლგარი 2,

VI. 1997 წ., ხესტდანს-ტურნირი (კოპენჰაგენი, დანია).

I. ქ. არახამია 5½ (11 – სმისლოვი, 01 – პორტიში, 0 ½ – ჰორტი, ½ 1 – სპასკი, ½ 0 – ტაიმანოვი),

II-III. ვ. კრამლინგი, სე ცზიუნი – 5-5, IV. ჟუ ჩენი 4,

V. ნ. იოსელიანი 3½ (0 ½ – სმისლოვი, 0 ½ – ჰორტი, ½ 1 – სპასკი, ½ 0 – ტაიმანოვი, 0 ½ – პორტიში).

ნანა იოსელიანი

VII. 1998 წ., კანკან-ტურნირი (როკაბრიუნი, საფრანგეთი).

I. მ. ჩიბურდანიძე 7 ½ (0 ½ – კორჩნოი, ½ ½ – სპასკი, 1 0 – ჰორტი, 1 ½ – პორტიში, 1 ½ – სმისლოვი, 1 1 – ტაიმანოვი),

II. ჟუ ჩენი 7, III. პ. კრამლინგი 6½,

IV-V. ნ. იოსელიანი 5½ (0 ½ – კორჩნოი, ½ ½ – სპასკი, 0 1 – ჰორტი, ½ ½ – პორტიში, ½ 0 – სმისლოვი, ½ 1 – ტაიმანოვი)

IV-V. სე ცზიუნი 5½,

VI. ქ. არახამია 4 (00 – კორჩნოი, 00 – სპასკი, ½ 0 – ჰორტი, ½ 1 – პორტიში, ½ 0 – სმისლოვი, ½ 1 – ტაიმანოვი).

VIII. 1999 წ., ფლამენკო-ტურნირი (მარბელა, ესპანეთი).

I-II. მ. ჩიბურდანიძე 4½ (½ ½ – კორჩნოი, 0 ½ – ჰორტი, 0 ½ – პორტიში, 1 ½ – სმისლოვი, ½ ½ – სპასკი)

I-II. სე ცზიუნი 4½, III-IV. პ. კრამლინგი, ჟუ ჩენი 4-4, V. ა. გალიამოვა 2½.

IX. 2000 წ. შუფლაფლერ-ტურნირი (მიუნხენი, გერმანია).

I. ნ. იოსელიანი 6½ (11 – ტაიმანოვი, 11 – ბოუმაისტერი, ½½ – სმისლოვი, ½½ – ჰორტი, ½0 – კორჩნოი), II. სე ცზიუნი 6½, III. გალიამოვა 6, IV. ჟუ ჩენი 5, V. ს. პოლგარი 3.

აი, მატჩების შედეგები: ქალბატონებმა მოიგეს მეორე (40½:31½), მესამე (37:33), მეოთხე (26½:23½), მეცხრე (27:23) მატჩები, წააგეს პირველი (33:39), მეხუთე (22½:27½), მეექვსე (23:27) და მერვე (19½:30½) შეხვედრები, ხოლო მეშვიდე მატჩი ყაიმით (36:36) დაამთავრეს.

მიუნხენის ტურნირის დამთავრებისას ი. ვან ოსტერომმა გამოაცხადა, რომ X ტურნირის (2001 წ.) შემდეგ "ლედი და სენიორების" შეჯიბრება აღარ გაიმართება და მის მაგიერ რაიმე ახალს მოვიგონებო.

უდავოა, რომ ი. ვან ოსტერომის ტურნირები ქართული ჭადრაკის უახლესი ისტორიის საინტერესო ფურცლებად დარჩება.

დიდოსტატთა ოჯახი

ეს ერთადერთი დიდოსტატთა ოჯახია საქართველოში. ზურაბ სტურუა და ნინო გურიელი, მსოფლიოში ცნობილი საერთაშორისო დიდოსტატები, თანამედროვე ჭადრაკის ელიტაში შედიან.

ნინო ორგზის, ხოლო ზურაბი ხუთგზის საქართველოს ჩემპიონია. ორივე მრავალჯერ მონაწილეობდა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში, როგორც საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი. ქალთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში ნინოც იყო, სამჯერ (1992, 1994, 1996 წ.) ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

ნინო გურიელი 1979 წლიდან, 18 წლის რომ იყო, თავგამოდებით იბრძვის მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის უფლებისათვის. მაგრამ როგორღაც ბედი არ სწყალობს, თუმცა რამდენჯერ ახლოს იყო მიზანთან. ამჯერად სახელოვანი დიდოსტატი პერსონალურად მიიწვიეს 2000 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ახალი, ე. წ. ნოკაუტ-სისტემით გაიმართება.

ზურაბ სტურუასათვის უფრო ძნელია მსოფლიო ჩემპიონატში მოხვედრა, რადგან ჩვენს განსწავლულ დროში საკმაოზე მეტია ტიტულის ღირსეული მაძიებელი.

როგორც ხედავთ, დიდოსტატთა ოჯახშიც არის საზრუნავი პრობლემები. ნინო და ზურაბი პროფესიონალები არიან. ეს კი მათ ბევრს ავალებს. საჭიროა ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე ყოფნა.

ზურაბი და ნინო ბავშვობიდან იცნობენ ერთმანეთს. ერთად მონაწილეობდნენ იუნიორთა შეჯიბრებებში.

— არ მიფიქრია ზურაბთან ოჯახის შექმნა, — გვიამბობს ნინო, — მაგრამ 1986 წლის შემდეგ, რაც ზურაბი ჩემი სეკუნდანტი იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, ჩვენ ახლოს გავიცანით ერთმანეთი და ჩვენი ურთიერთობაც შესამჩნევად დათბა. 1987 წლის 10 დეკემბერს გავაერთიანეთ ჩვენი მომავალი.

ნინო ღიმილით შენიშნავს:

— ჩემი აზრით, ზურაბი არ ნანობს, რომ ცოლი მოჭადრაკე ჰყავს. სხვათა შორის, ჩვენი ქორწინების შემდეგ გახდა იგი დიდოსტატი. ახლა ჩვენ ერთად ვმონაწილეობთ საერთაშორისო ტურნირებში. ასე რომ, ერთად ვმოგზაურობთ სხვადასხვა ქვეყანაში.

90-იან წლებში დიდოსტატთა ტანდემი რამდენჯერმე წარმატებით მონაწილეობდა საერთაშორისო ოპენ-ტურნირში. მაგალითად, ბილში (შვეიცარია) ზურაბმა ორჯერ მოიგო პირველი პრიზი, ხოლო ნინომ

ზურაბ სტურუა და ნინო ბურჯანაძე

აგრეთვე პირველი, ოღონდ ქალთა შორის.

— ალბათ ეხმარებით ერთმანეთს? — ვკითხე ნინოს.

— რა თქმა უნდა. იყო ერთი შემთხვევა, როცა ქულით "დავეხმარე" ზურაბს, მაგრამ მან ვერ "გაამართლა" იმედები. ახლა თანაბრად ვიბრძვით. ჩვენი შეხვედრის წინ, როგორც წესი, საგულდაგულოდ ვემზადებით.

ნინო ცოცხალი, ხალისიანი ბუნების ადამიანია. მზრუნველი და ყურადღებიანი. ეს მათ ოჯახს, ოთხოთახიან ბინასაც ამჩნევია.

— ძალიან მიყვარს შინ ყოფნა, ოჯახური მყუდროება. იმ შეჭირვებულ წლებში მე და ზურაბს არ გვიფიქრია საცხოვრებლად საზღვარგარეთ გამგზავრება. თუმცა გვქონდა ამის შესაძლებლობა. ჩვენიანებთან ერთად ვიტანდით სიძნელეებს, — გვიამბობს ნინო. — მე მყავს შშობლები, ორი და და 17 წლის ქალიშვილი სოფიკო, რომელიც, მართალია, ჭადრაკს არ თამაშობს, მაგრამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს. მიმაჩნია, რომ ჭადრაკი ქალისათვის ძალიან დიდი დატვირთვაა. ზურაბსაც ჰყავს შშობლები, ძმა. ალბათ იცით, რომ ზურაბის ბაბუა — ლუკა სტურუა თავის დროზე ცნობილი მოჭადრაკე და ორგანიზატორი იყო. სამწუხაროდ, მას ვერ მოვესწარი. თვითონ ზურაბი ძალიან მოკრძალებული, კეთილი და ყურადღებიანი მეუღლეა.

დიდოსტატთა ოჯახში სრული ჰარმონიაა. ჭადრაკი ალამაზებს მას. ნინოს მიაჩნია, რომ მას ჯერ არ

უოქკამს საბოლოო სიტყვა ჭადრაკში. არც ზურაბსო.

ზურაბი და ნინო საინტერესო, შემოქმედი მოჭადრაკეები არიან. გურიელი ყოველთვის იერიშის, კომბინაციის ძიებაშია. სტურუა პოზიციურ თამაშს ამჯობინებს. მას ღრმად ესმის პოზიცია, მისი ნიუანსები, მაგრამ მის მახვილ თვალს არ გამორჩება, თუნდაც შენიღბული კომბინაციური იდეა. შემთხვევითი როდია, რომ ზურაბმა სამჯერ დაიმსახურა სპეციალური პრიზი "ლამაზი თამაშისათვის". ერთმა მათგანმა სომხეთის პრეზიდენტის პრიზი მსოფლიოს 32-ე საჭადრაკო ოლიმპიადაზე ერევანში.

აი, ისიც:

კარო-კანის დაცვა
სტურუა – კუტიროვი
ერევანი, 1996 წ.

1. e4 c6 2. d4 d5 3. e×d5 c×d5 4. c4 ♘f6 5. ♘c3 e6 6. ♘f3 ♗e7 7. c×d5 ♘×d5 8. ♗d3 ♘c6 9. 0-0 0-0 10. ♖e1 ♘f6 11. a3 b6 12. ♗c2 ♗a6 13. ♗g5 ♖c8 14. ♕d2 ♗c4 15. ♕f4! ♗d5 16. ♕h4 g6

მეორე შესაძლებლობა იყო 16. ...h6 და არ შეიძლება 17. ♗×h6!?, 17. ...♗×f3!-ის გამო.

17. ♘×d5 ♘×d5 18. ♖ad1 ♕d6

ცუდი იყო 18. ...♘×d4 19. ♖×d4 ♖×c2 20. ♖×d5-ის გამო.

19 ♗b3 f6?!



20. ♕g4! თეთრებმა შავების "აქილევსის ქუსლს" მიაგნეს – e6 პაიკს.

20. ...♔f7 21. ♗h6 ♖fe8? სწორი იყო 21. ...♖fd8

22. ♖×e6!! ♕×e6 23. ♖e1!

კომბინაციის ლამაზი ხორცშესხმა: შამათი ორი კუთი 23. ...♕×g4??-ის შემთხვევაში.

23 ...♕d6. არ შეიძლება 23. ...f5 24. ♖×e6 f×g4 25. ♗×d5 ♖ed8 26. ♖×c6+ ♖×d5 27. ♖×c8 g×f3 28. g×f3 ♖×d4 29. ♖c7 უპირატესობით.

24. ♗f4! ♕d8? აგებს დაუყოვნებლივ. თამაშს ახანგრძლივებდა 24. ...h5

25. ♕e6+ ♔g7 26. ♗×d5 g5 27. ♕f7+ შავები დანებდნენ.

სახელოვან დიდოსტატებს წინ გრძელი და საინტერესო ცხოვრების გზა აქვთ გასავლელი. კიდევ მრავალჯერ გაახარებენ თავიანთ გულშემატკივრებს. ვუსურვოთ მათ სიკეთე და, რა თქმა უნდა, ახალი დიდი სპორტული მიღწევები!

დიდოსტატის ბაბუის ნაამბობი

1976 წლის საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატისა და ვ. ქარსელაძის IV მემორიალის დღეებში ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა სიმპათიურმა მოხუცმა, რომელსაც ძალიან ხშირად ვხედავდი დარბაზში. იგი ახალგაზრდა მოჭადრაკის ზურაბ სტურუას ბაბუა აღმოჩნდა – 81 წლის ლუკა სტურუა, რომელიც შვილიშვილს ქომაგობდა.

ბატონი ლუკა ერთობ საინტერესო მოსაუბრეც აღმოჩნდა – სიამოვნებით გაიხსენა გარდასული ამბები და ძველი ფოტოსურათიც მისახსოვრა.

– ჭადრაკი ხარლამპი სირბილაძემ შემაყვარა. მაშინ იგი სახელგანთქმული მოჭადრაკე იყო. ერთხელ ისიც კი მითხრა, ჭადრაკით დიდი დაინტერესება რომ შემატყო, თუ შენ არა, შენი შვილი მაინც გახდება მოჭადრაკეო. შვილმა არა, მაგრამ შვილიშვილმა კი ნამდვილად გამახარა!

ბატონმა ლუკამ გაიღიმა და განაგრძო:

– ხარლამპი გავიცანი 1925 წელს გურჯაანში, სადაც მაშინ ვცხოვრობდი და რკინიგზაზე ვმუშაობდი. ხარლამპი ხშირად აკ-



მარცხნიდან: აკაკი ფირცხალავა, ვართან აღამალიანი, გრიგოლ ფხაკაძე (ზესტაფონი), ვლადიმერ ხორელაშვილი და ლუკა სტურუა (თბილისი, 1935 წ.).

ითხავდა თავის უმცროს ძმას დიმიტრის, რომელიც ჩვენი სადგურის უფროსის მოადგილე გახლდათ. მეზობლები რომ შეეიკრიბებოდით, ხარლამპი თავისი ცხოვრების საინტერესო ამბებს გვიამბობდა. აუცილებლად გაიხსენებდა შეხვედრას მიხეილ ჩიგორინთან. ალბათ გაგიგონიათ: ჩიგორინი უმხედროდ ეთამაშა მას და წააგო. მაგრამ მერე აღარ ისურვა თამაში თანაბარზე, თუნდაც გადიდებულ ნიძლავზე. ჩვენი შეხვედრისას ხარლამპი უკვე ხანდაზმული იყო. ვექილად მუშაობდა თბილისში.

მინდოდა სხვებიც ზიარებოდნენ მამა-პაპის თამაშს. ამიტომ 1928 წელს გურჯაანის კულტურის სახლში ჭადრაკის შემსწავლელთა წრე გავხსენი. ეს რომ ვიქტორ გოგლიძემ შეიტყო, ჭადრაკის 30 კომპლექტი მაჩუქა თავისი დაფებით. რამდენიმე წიგნიც მომცა: თამაში ამის მიხედვით ასწავლეო. ჭადრაკმა ბევრი გურჯაანელი დააინტერესა.

– 1935 წლის ზაფხულში თბილისში გამომაგზავნეს, მონაწილეობა რომ მიმეღო რესპუბლიკურ შეჯიბრებაში. 64 მოჭადრაკე რვა ქვეჯგუფში დაგვანაწილეს. მართალია, ტურნირში ხელი მომეცარა, მაგრამ კმაყოფილი ვიყავი, რომ გავიცანი ბევრი ძლიერი მოჭადრაკე – არჩილ ებრალიძე, აკაკი ფირცხალავა, კოტე ღამბარაშვილი, ვალოდია ხოტელაშვილი, ვართან აღამალიანი, გიორგი ტარსაიძე, გამოჩენილი თვალის ექიმის მიხეილ ტარსაიძის ვაჟი და სხვები. შემდეგ მათ გურჯაანში ვიწვევდით ერთდროული თამაშის სეანსების გასამართავად.

ბატონმა ლუკამ ასე დაასრულა საუბარი:

– 1938 წელს თბილისში დავიდე ბინა. ბატონმა ვიქტორმა გამაცნო ჭადრაკის დაუღალავი პროპაგანდისტი და ტურნირების ორგანიზატორი დანიილ კრასნოკუტსკი და მეც საჭადრაკო ცხოვრების ფერხულში ჩავები. კრასნოკუტსკისთან ერთად ვმსაჯობდი ტურნირებს, გუნდურ შეჯიბრებებს, ყველგან, სადაც მიმავლენდნენ – ვანში, საგარეჯოში, თელავში... მერე ადიგენის რაიონის სოფელ აბასთუმანში გადავედი საცხოვრებლად და ჭადრაკს ჩამოვცილდი, მაგრამ მუდამ გულით მიყვარდა იგი. გავიხარე, როცა ჩემს შვილიშვილს ზურაბს ჭადრაკის ნიჭი აღმოაჩნდა. ახლა, როგორც ხედავთ, ისევ დავუბრუნდი ჭადრაკს, როგორც გულშემატკივარი.

ბატონმა ლუკა სტურუამ 85 წელი იცოცხლა. სამწუხაროდ, იგი ვერ მოესწრო საამაყო შვილიშვილის დიდ აღზევებას – მისთვის საერთაშორისო დიდოსტატის წოდების მინიჭებას.

ჭადრაკის პოეზიის ქურუმი

ველიმირ კალანდაძის დაბადების 65 წლისთავის გამო

მას იცნობს ჭადრაკის სამყარო. მსოფლიოს საჭადრაკო პრესაში ხშირად ისტამბება მისი ეტიუდები და ამოცანები, რომლებიც აზრის სიღრმით, მდიდარი ფანტაზიით და შესრულების უზადო ტექნიკით გამოირჩევიან. მრავალი ასეთი ნაშრომი ჭეშმარიტ პოეტურ ქმნილებად აღიქმევა.

ერთი ასეთი ეტიუდი სპეციალისტთა ჟიურიმ — გამოჩენილი ინგლისელი საჭადრაკო კომპოზიტორის, ჟურნალ "ენდჰეიმის" მთავარი რედაქტორის ჯ. როიკროფტის თავმჯდომარეობით — 1990 წლის საუკეთესო ეტიუდად გამოაცხადა.

აი, ისიც:

ვ. კალანდაძე

ქურ. "მეცნიერება და ტექნიკა"

თბილისი, 1990 წ.



თეთრები იგებენ

კონკურსის ჟიური აღნიშნავდა: "ეფექტური თამაში ჯერ ეტლების, შემდეგ კი ლაზიერების დაბოლოებაში ლამაზი შამათით გვირგვინდება. ენდშპილის შეცვლის ეს რთული მაგალითი საუცხოო ქმნილებად მოგვევლინა".

1. ♖f3+ ♔e8 2. ♖f7! ♖a8 3. ♔g7! ♖c8 4. ♔f6 d3 5. ♖e7+ ♔f8 6. ♖h7 ♔g8 7. ♖d7 d2 8. ♖d8+ ♔h7 9. ♖×c8 d1♕ 10. ♖h8+ ♔×h8 11. c8♕+ ♔h7 12. ♕h3+ ♕h5 (12. ...♔g8 13. ♕e6+ შამათით) 13. ♕d7+ ♔h6 14. ♕g7++.

ვ. კალანდაძე ყმაწვილკაცობიდან ეტრფის კომპოზიციას. 50-იან წლებში იგი აქვეყნებდა "ლელოში" მამასთან — ცნობილ საჭადრაკო კომპოზიტორ იოსებ კალანდაძესთან — ერთად შეთხზულ ამოცანებს. მერე დამოუკიდებლად მიიკვლევდა გზას შემოქმედების მწვერვალებისკენ. წარმატებით მონაწილეობდა კონკურსებში (იხ. "მატიანე", I, გვ. 238-253).

ამ წლებში ნიჭიერმა შემოქმედმა დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი და რამდენიმე წელიწადი სპეციალობით იმუშავა სამეცნიერო დაწესებულებებში. ბოლოს მაინც ჭადრაკმა გაბდაძალა. ჩანს, კომპოზიცია მისი მოწოდება გახლდათ.

1979 წელს მას სპორტის ოსტატის, 1984 წელს საერთაშორისო ოსტატის წოდება მიეკუთვნა საჭადრაკო კომპოზიციაში.

ცალკე აღსანიშნავია ვ. კალანდაძის თანამშრომლობა და თანაავტორობა კოლეგა-კომპოზიტორებთან. მაგალითად, მისმა და დ. გურგენიძის ერთობლივმა ეტიუდმა 1977 წელს ისრაელის ოლიმპიური კონკურსის ოქროს მედალი დაიმსახურა (იხ. "მატიანე", II, გვ. 322), რომელიც, სხვათა შორის, მას მხოლოდ 20 წლის შემდეგ გადაეცა ზოგის შურისა და ბეზღობის გამო.

ინგლისელი საჭადრაკო კომპოზიტორი ჯონ როიკროფტი (მარცხნივ) და ვლადიმერ კალანდაძე (თბილისი, 1975 წ.)

ნიჭიერ შემოქმედს იტაცებს პრაქტიკული ჭადრაკიც. მას მონაწილეობა მიუღია საქართველოს ჩემპიონატის სახეცვარფინალშიც. ღვაწლმოსილ ოსტატს მიაჩნია, რომ დიდი პრაქტიკული ძალა მაღალხარისხოვანი ეტიუდის შექმნის წინაპირობაა.

და კიდევ. ვ. კალანდაძეს კალამი უჭრის. მან სამი წიგნი გამოსცა: "100 ეტიუდი" (1972 წ.), "საეტიუდო იდეები ეტლების დაბოლოებაში" (1978 წ.) და "მარადიული მოძრაობა" (1994 წ.).

მას წლების მანძილზე მიჰყავდა საჭადრაკო განყოფილება გაზეთებში — "მოლოდიოჟ გრუზიი" და "საქართველოს რესპუბლიკა". იგი დღესაც აქტიურად თანამშრომლობს ჟურნალ-გაზეთებში.

უკვე რამდენიმე წელია ნიჭიერი კომპოზიტორი ჭადრაკს ასწავლის პატარებს სპორტსაზოგადოება "შევარდენის" ბავშვთა საჭადრაკო სკოლაში.

ვ. კალანდაძის დიდ გატაცებას კომპოზიციით იზიარებს მისი ოჯახი — მეუღლე რუსუდანი და პირმშო მარიკა. ამიტომაც თავდადებული შემოქმედი სიყვარულით განაგრძობს მუშაობას ჭადრაკის პოეზიის ზღაპრულ სამყაროში. ღმერთმა ბევრი შეაძლებინოს!

საიდუმლო მაინც დარჩა

ნათქვამია: სიკეთე და ღვაწლი არასოდეს იკარგება.

მხოლოდ 80 წლის შემდეგ, 1973 წელს შევიტყვეთ, რომ ივანე ტყეშელაშვილის ორთოდოქსული ამოცანა იყო ქართული პრობლემისტის პირველი ნაწარმოები, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა.

ი. ტყეშელაშვილი
"შახმატნი ჟურნალ"
სანკტ-პეტერბურგი, 1893 წ.



შამათი ორ სვლაში

(ამოხსნა: 1. ♕g1).

მაგრამ თვით ავტორის ცხოვრება-მოღვაწეობა მხოლოდ 1995 წელს გახდა ცნობილი. იგი გამოაქვეყნა ქართული ფარმაცევტიკის წარსულის მკვლევარმა, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატმა კოტე ცხადაძემ გაზეთ "წამალთმცოდნეობის გონების კარში" (№3, ნოემბერი, 1995 წ.).

ამ ამბავს ქართული საჭადრაკო

ივანე ტყეშელაშვილი

კომპოზიციის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქმე ისაა, რომ საქართველოში საჭადრაკო კომპოზიციის საამოცანო ნაწარმოებთა ათვლა ივანე ტყეშელაშვილის ამოცანით იწყება. მართალია, მანამდე (1892 წ.) ანდრია დადიანმა გამოაქვეყნა თავისი ამოცანა ჟურნალ "ჩესს მანსლში" (ინგლისი), მაგრამ იგი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე კომპოზიციის თეორიის მკაცრ მოთხოვნებს. ი. ტყეშელაშვილის ამოცანა კი კლასიკურს მიეკუთვნება.

ვინ იყო ივანე ტყეშელაშვილი, ჰქონდა თუ არა მას შედგენილი სხვა ამოცანებიც?

ივანე სოფრომის ძე ტყეშელაშვილი დაიბადა 1864 წლის 1 აგვისტოს ქუთაისში, მაღლაკელი ხის

მოხელის ოჯახში. 1885 წელს დააბოლოვა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. მუშაობდა ობილისში აივაზოვის თავისუფალ აფთიაქში. უმაღლესი განათლების მისაღებად მოსკოვს გაემგზავრა. აფთიაქარის პრაქტიკული გამოცდილების შეძენის პარალელურად, წარმატებით ჩააბარა გამოცდები მოსკოვის უნივერსიტეტში და ფარმაცევტის დამხმარის წოდება მიიღო. ცოდნის გაღრმავების მიზნით ივანე ტყეშელაშვილმა პეტერბურგს მიაშურა. აქაც გამოიჩინა თავი მუყაითობითა და საქმისადმი ერთგულებით. ეს კიდეც დაუფასდა: 1891 წელს ფარმაცევტთა დამხმარე საზოგადოებამ გამოუყო მას სპეციალური სტიპენდია უმაღლესი ფარმაცევტული განათლების მისაღებად. ნიჭიერი ყმაწვილი მაშინვე დაბრუნდა მოსკოვის უნივერსიტეტში და დაამთავრა იგი პროვიზორის დიპლომით. 1899 წლის 28 აპრილს ივანე ტყეშელაშვილმა დაიცვა სამაგისტრო (საკანდიდატო) დისერტაცია. ასე გახდა ფარმაცევტიკაში პირველი ქართველი მაგისტრი.

ივანე ტყეშელაშვილმა დიდი სახელი და პატივი მოიხვეჭა 1901 წელს, როცა მოსკოვში ფარმაცევტულმა საზოგადოებამ მისი თაოსნობით დიდი ზეიმით აღნიშნა რუსეთში პირველი თავისუფალი აფთიაქის გახსნის 200 წლისთავი. ივანემ ისტორიულ მასალებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში მიაკვლია.

დიდი წამალთმცოდნე მრავალმხრივ ნიჭიერი კაცი იყო. იგი მოღვაწეობდა როგორც მოგზაური, ეთნოგრაფი, ბოტანიკოსი, ჩინებული ფოტოგრაფი, კინოსცენარების ავტორი და ჟურნალისტი, გამოსცემდა წიგნებს, აინტერესებდა პოლიტიკა, ლიტერატურა, მეგობრობდა პირველ ქართველ მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძესთან, დიდ ქართველ კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილთან. ყველაფერს, რასაც მან ხელი მოჰკიდა, თავისი კვალი დაამჩნია. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ჯერ სათანადოდ არ არის შესწავლილი და დაფასებული, ისე, როგორც მისი მასწავლებლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ჭადრაკიც ივანე ტყეშელაშვილის ერთ-ერთი გატაცება გახლდათ. არ შეიძლება, რომ მას მხოლოდ ერთი ამოცანა შეედგინა. უთუოდ სხვა ამოცანებიც ექნებოდა, მაგრამ მათ ჯერ ვერ მიაგნეს. ალბათ, ამ საიდუმლოებასაც აეხდება ფარდა.

ივანე ტყეშელაშვილმა ცხოვრების გზა ტრაგიკულად დაასრულა 78 წლის ასაკში, 1942 წელს თბილისში, როცა იგი, როგორც ეჭვმიტანილი, სუკ-ის აგენტებმა დააპატიმრეს.

მონაწილეობა საჭადრაკო ოლიმპიადებში

თანამედროვე საერთაშორისო საჭადრაკო ცხოვრების ეშხი და ლაზათია მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადები. აქ მთელი სიცხადით ჩანს სხვადასხვა ქვეყანაში ჭადრაკის განვითარების დონე, ვლინდებიან პერსპექტიული მოჭადრაკეები და განიჭვრიტება ბრძნული თამაშის ხვალინდელი დღე.

მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა ფიდე-ს პირმშოა. იგი შემოღებული იყო 1924 წელს პარიზში ფიდე-ს დამფუძნებელ კონგრესზე. პირველი (ვაჟთა) ოლიმპიადა, რომელსაც მაშინ "ერთა ტურნირს" უწოდებდნენ, მხოლოდ 1927 წელს გაიმართა ლონდონში. დღემდე მოჭადრაკეთა ეს დიდი ფორუმი 34-ჯერ ჩატარდა. თითოეულ მათგანში მრავალი ქვეყანა მონაწილეობდა.

საქართველო მხოლოდ 1992 წლიდან ასპარეზობს ოლიმპიადაში, მას შემდეგ, რაც იგი დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო გახდა. ასე რომ, ჩვენი ვაჟთა გუნდი პირველად XXX ოლიმპიადაში მონაწილეობდა, სადაც VIII ადგილი დაიკავა. XXXI ოლიმპიადაში,1994 წელს X ადგილზე იყო (იხ. "მატიანე", I, გვ. 182, 315).

მსოფლიოს ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადა ფიდე-მ 1957 წელს შემოიღო. იგი ფიდე-ს მესვეურებს თვით ცხოვრებამ, მოჭადრაკე ქალთა შთამბეჭდავმა თამაშმა და მიღწევებმა უკარნახა. დღემდე ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადა 19-ჯერ გაიმართა.

ქართველი მოჭადრაკეები II ოლიმპიადიდან ჩაებნენ ამ პრესტიჟულ ფერხულში, როგორც სსრ კავშირის ნაკრების წევრები. ისინი ჩემპიონებიც ხდებოდნენ (იხ. "მატიანე", I, გვ. 175-182, 315).

საქართველოს გუნდმა პირველად XV ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა. ამ და XVI, XVII ოლიმპიადებში გამარჯვებით მან სამგზის მოიპოვა ვერა მენჩიკის სახელობის გარდამავალი თასი, ხოლო გუნდის წევრებმა ოლიმპიადის ჩემპიონის ოქროს მედლები.

1998 წელს ოლიმპიადაზე ელისტაში პირველად გათამაშდა ახალშემოღებული "ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასი". მაშინ და 2000 წლის ოლიმპიადაზე სტამბულში თასი რუსეთის მოჭადრაკეებმა მოიპოვეს.

გთავაზობთ საქართველოს ქალთა და ვაჟთა გუნდების გამოსვლებს 1996-2000 წლების ოლიმპიადებში.

XVII ოლიმპიადა. ერევანი. 15.9.-2.10. 1996 წ. მონაწილეობდა 74 გუნდი.

შეჯიბრება მოეწყო შვეიცარიული სისტემით 14 ტურად.

1. საქართველო 30 ქულა 42-დან, 2. ჩინეთი 28½, 3. რუსეთი 28½...

	სომხეთი-2	ესპანეთი	კუბა	რუსეთი	უკრაინა	ჩინეთი	ბულგარეთი	უნგრეთი	პოლონეთი	რუმინეთი	ინგლისი	ისრაელი	გერმანია	ყაზახეთი	ქულები
1. მ. ჩიბურდანიძე	1	1	●	½	1	½	½	1	1	½	½	½	●	½	8½
2. ნ. იოსელიანი	1	1	1	1	½	½	1	1	1	½	½	●	½	½	10
3. ქ. არახამია	●	1	1	½	●	1	1	●	●	½	½	1	1	½	8
4. ნ. გურიელი	0	●	1	●	0	●	●	1	½	●	●	½	½	●	3½

თავიანთ დაფებზე მცირე ოქროს მედლები მიიღეს ნანა იოსელიანმა და ქეთევან არახამიამ.

გუნდის კაპიტანი ნ. ალექსანდრია.

XVIII ოლიმპიადა. ელისტა (ყალმუხეთი). 26.9.-13.10. 1998 წ. მონაწილეობდა 72 გუნდი. შვეიცარიული სისტემით 13 ტურად.

1. ჩინეთი 29 39-დან, 2. რუსეთი-1 27, 3. საქართველო 27.

	ფინეთი	ლიტვა	ვიეტნამი	ვენესუელა	ბოსნია-ჰერცოგოვინა	პოლონეთი	რუმინეთი-1	ჩეხეთი	ესტონეთი	ჩინეთი	რუმინეთი	უკრაინა	იუგოსლავია	ქულები
1. მ. ჩიბურდანიძე	1	½	●	1	1	1	1	½	1	1	½	½	½	9½
2. ნ. იოსელიანი	½	1	0	1	1	½	●	1	1	½	½	½	½	8
3. ქ. არახამია	●	1	0	1	1	½	0	1	1	½	1	●	1	8
4. ნ. ხურციძე	½	●	0	●	●	●	0	●	●	●	●	1	●	1½

მცირე ვერცხლის მედალი გადაეცა მ. ჩიბურდანიძეს.

გუნდის კაპიტანი ნ. გაფრინდაშვილი.

ამ ოლიმპიადაშიც საქართველოს გუნდი მთავარი ფავორიტი გახლდათ. ამიტომ დიდ სენსაციად აღიქვა ყველამ მესამე ტურში მისი სასტიკი დამარცხება (0:3) ვიეტნამის მოჭადრაკეებთან. ეს იყო მოულოდნელი წაფორხილება. შემდგომ ჩვენი დიდოსტატები, მართალია, თავდადებულად იბრძოდნენ, მაგრამ ჩინელებს ველარ დაეწიენ. კოეფიციენტთა ცხრილით რუსეთის ნაკრებიც მათზე წინ აღმოჩნდა.

ნინო ხურციძე

XIX ოლიმპიადა. სტამბული (თურქეთი). 28.10-13.11. 2000 წ. მონაწილეობდა 85 გუნდი. შვეიცარიული სისტემით 14 ტურად.

1. ჩინეთი 32 42-დან, 2. საქართველო 31, 3. რუსეთი 28½.

	ფინეთი	ინდოეთი	აზერბაიჯანი	რუსეთი	იუგოსლავია	ჩინეთი	ჰოლანდია	ჩეხეთი	სომხეთი	რუმინეთი	უკრაინა	უნგრეთი	ყაზახეთი	კუბა	ქულები
1. მ. ჩიბურდანიძე	1	●	1	1	0	½	0	●	●	½	½	½	½	●	5½
2. ნ. იოსელიანი	●	0	1	½	1	½	1	1	½	½	●	1	1	1	9
3. ნ. ხურციძე	1	1	1	1	1	½	1	½	1	●	½	½	1	1	11
4. ნ. გურიელი	1	½	●	●	●	●	●	1	1	1	0	●	●	1	5½

მეორე დაფაზე მცირე ბრინჯაოს მედალი მიიღო ნ. იოსელიანმა, მესამე დაფაზე მცირე ოქროს მედალი – ნ. ხურციძემ.

გუნდის კაპიტანი დ. გურგენიძე.

XXXII ოლიმპიადა. ერევანი. 15.9-2.10. 1996 წ. მონაწილეობდა 74 გუნდი. შვეიცარიული სისტემით 14 ტურად.

1. რუსეთი 38½ 56-დან, 2. უკრაინა 35, 3. აშშ 34, ... 8. საქართველო 33.

	ახალი ზელანდია	ავსტრალია	მაკედონია	ბოლონეთი	კუბა	ინგლისი	არგენტინა	ჩინეთი	ესპანეთი	ისლანდია	სომხეთი-1	უნგრეთი	უზბეკეთი	აშშ	ქულები
1. ზ. აზმაიფარაშვილი	●	●	1	1	0	½	1	½	½	1	½	½	1	0	7½
2. გ. გიორგაძე	●	●	½	½	1	1	½	1	½	1	½	0	1	1	8½
3. ზ. სტურუა	1	½	1	½	½	●	1	½	0	●	½	1	0	●	6½
4. გ. ზაიჩიკი	1	½	0	●	●	0	●	½	●	½	½	½	1	½	5
5. ლ. ჯანჯღავა	1	0	●	●	●	0	●	●	●	●	●	●	●	●	1
6. ხ. სუპატაშვილი	1	1	●	1	½	●	½	●	½	0	●	●	●	0	4½

მეორე დაფაზე მცირე ბრინჯაოს მედალი მიიღო გ. გიორგაძემ.
გუნდის კაპიტანი დ. გურგენიძე

XXXIII ოლიმპიადა. ელისტა (ყალმუხეთი). 28.9.-13.10. 1998 წ. მონაწილეობდა 110 გუნდი. შვეიცარიული სისტემით 13 ტურად.

1. რუსეთი-1 35½ 52-დან, 2. აშშ 34½ 3. უკრაინა 32½ ... 7. საქართველო 31½

	ლუქსემბურგი	კუბა	უზბეკეთი	რუმინეთი	ყირგიზეთი	აშშ	ბელორუსია	ხორვატია	ისლანდია	კანადა	შვეცია	ლატვია	აზერბაიჯანი	ქულები
1. ზ. აზმაიფარაშვილი	1	1	1	●	●	½	0	1	1	½	1	●	1	8
2. გ. გიორგაძე	●	½	0	½	1	0	●	½	0	½	●	½	1	4½
3. ზ. სტურუა	1	1	1	●	1	½	0	●	1	1	0	●	1	7½
4. გ.ბაღათუროვი	1	●	0	½	●	●	½	0	●	1	1	0	1	5
5. ხ. სუპატაშვილი	½	●	●	½	1	½	●	½	½	●	0	½	●	4
6. ლ. ჯანჯღავა	●	½	●	0	1	●	½	●	●	●	●	½	●	2½

პირველ დაფაზე მცირე ბრინჯაოს მედალი მიიღო ზ. აზმაიფარაშვილმა, მესამე დაფაზე მცირე ვერცხლის მედალი — ზ. სტურუამ.

გუნდის კაპიტანი ნ. გურიელი.

XXXIV ოლიმპიადა. სტამბული (თურქეთი). 28.10-13.11. 2000 წ. მონაწილეობდა 128 გუნდი. შვეიცარიული სისტემით 14 ტურად.

1. რუსეთი 38 56-დან, 2. გერმანია 37, 3. უკრაინა 35½, ... 6. საქართველო 34.

	მსოფ. უსინათ. ნაკრები	კანადა	ლიტვა	შვეცია	მაკედონია	თურქეთი-2	ჰოლანდია	აზერბაიჯანი	ჩინეთი	ინდოეთი	ესპანეთი	ფილიპინები	ბულგარეთი	რუსეთი	ქულები
1. ზ. აზმაიფარაშვილი	1	●	½	½	●	1	0	1	●	½	½	●	½	½	6
2. გ. გიორგაძე	●	½	½	●	½	1	0	1	½	●	½	½	●	½	5½
3. ზ. სტურუა	●	½	0	●	1	1	½	1	1	½	1	½	●	½	7½
4. გ. ყაჭეიშვილი	1	0	●	½	0	1	0	●	0	●	½	1	●	½	4½
5. თ. გელაშვილი	1	1	●	½	½	●	●	0	●	½	●	1	1	●	5½
6. ბ. ჯობავა	1	●	1	0	●	●	●	●	1	0	●	1	1	●	5

გუნდის კაპიტანი კ. ჩიგოგიძე.

ოლიმპიადების მსაჯთა კოლეგიის წევრები იყვნენ საქართველოდან: ერევანში — ე. მელიქსეთ-ბეგი (მსაჯი-სენიორი), თენ. გიორგაძე (მსაჯი), ო. ალხანიშვილი, ვ. ვეფხვიშვილი, ლ. ნაჭყებია, გ. ფამილიანტი, რ. ქარქაშაშვილი, ა. ჩაიკოვსკაია, ზ. ჩაჩუა, ლ. წეროძე, დ. ჯაფარიძე (ყველა-მსაჯის ასისტენტი), ელისტაში — თენ. გიორგაძე, ვ. ვეფხვიშვილი, ე. მელიქსეთ-ბეგი (სამივე — მსაჯი), სტამბულში — ნ. ალექსანდრია, ე. მელიქსეთ-ბეგი (ორივე — მსაჯი).

●

სტამბულის ოლიმპიადის დღეებში გაიმართა ფიდე-ს 71-ე კონგრესი, რომელმაც ფიდე-ს საპატიო წევრად აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე აირჩია, ხოლო ევროპის საჭადრაკო კავშირის ასაბლეამ გამგეობის წევრად შავი ზღვის აუზის ქვეყნების საჭადრაკო ასოციაციის (შეიქმნა 1999 წ. ბათუმში) პრეზიდენტი ზ. აზმაიფარაშვილი

ძვირფასი რელიკვია

ბევრს ალბათ აღარ ახსოვს, რომ 1981 წლის 31 ოქტომბერს ნ. ჩიბურდანიძისა და ნ. ალექსანდრიას შორის მსოფიოს პირველობის მატჩის საზეიმო დახურვაზე ჭადრაკის სასახლეში თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორმა, მოქანდაკემ

შოთა ციციშვილმა საქართველოს ჭადარკის ფედერაციის თავმჯდომარეს გ. ბედინეიშვილს გადასცა ძვირფასი საჩუქარი – ვერცხლით გაწყობილ-მოჩუქურთმებული დიდი ბროლის თასი.

სიტყვით გამოსულმა შოთა ციციშვილმა განმარტა:

– თასის შექმნის იდეა 1962 წელს დამებადა, როცა ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მერე სარბიელზე ჩვენი ძლიერი დიდოსტატი ქალები რომ გამოჩნდნენ, ჩემს ჩანაფიქრს ხორცი შევასხი და ახლა ვუძღვნი მას, როგორც თასზეა ამოტვიფრული – "ქართველ ქალებს – მსოფლიო ჩემპიონებს ჭადრაკში". თასზე უკვე ამოკვეთილია ნონას და მაიას გვარები, მათი გამარჯვების წლები. საგანგებოდ დავტოვე კიდევ ექვსი მატჩის შედეგების აღსანიშნავი ადგილი, ესე იგი 2000 წლამდე. ღრმად მწამს, რომ ჩემპიონი ისევ მაია, ან სხვა ქართველი მოჭადრაკე იქნება.

ქალღმერთმა კაისამ სხვაგვარად განსაჯა. მართალია, მაია კიდევ სამჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, მაგრამ შემდეგ ჭადრაკის დედოფლის ტახტს სხვა დაეუფლა.

ეს თასი ქართული ჭადრაკის ერთ-ერთი ძვირფასი რელიკვიაა. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო, დღეს იგი ერთ-ერთი თბილისელი მოქალაქის პირადი საკუთრებაა.

რეცენზია თუ პასკვილი?

შარშან "ცისკრის" მე-6 ნომერში დაისტამბა შ. ინწკირველის რეცენზია ჩვენს წიგნზე "ჭადრაკის ანბანი". გაგვაოცა წერილის შეურაცხმყოფელმა ტონმა, სურვილმა, რადაც არ უნდა დაჯდეს, ლაფში ამოსვაროს, გაათახსიროს სახელმძღვანელო, რომელიც მეორე ათეული წელია შეძლებისამებრ ემსახურება ქართველ ჭადრაკის მოყვარულებს. როგორც ჩანს, ავტორმა წერილიც იმისათვის დაწერა, რომ წიგნისათვის ინკვიზიტორული განაჩენი გამოეტანა: "გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ წიგნში თითქმის არ არსებობს როგორც საჭადრაკო, ისე ჭადრაკის სწავლების მეთოდიკის თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად დაწერილი გვერდები" და "ის ყოვლად გამოუსადეგარია დამწყები მოჭადრაკისათვის და შეიძლება მხოლოდ ზიანი მიაყენოს მოჭადრაკის ჩამოყალიბებას". როგორც ხედავთ, რეცენზენტმა უმძიმესი ბრალდება წამოგვიყენა, დანაშაულიც დაგვწამა. რა თქმა უნდა, ასეთი რეცენზია პასუხს მოითხოვს.

ჯერ თვით წიგნის შესახებ. რეცენზენტმა შეგნებულად გვერდი აუარა მის შინაარსს, თუნდაც თავების ჩამოთვლით, რადგან ეს არ იყო მისთვის ხელსაყრელი. ბევრს ველარ მოიტყუებდა.

"ჭადრაკის ანბანი" ორჯერ გამოიცა (1965 და 1974 წწ.) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის რეკომენდაციით.

სახელმძღვანელოს თორმეტ თავში განხილულია ჭადრაკის თეორიის (ენდშპილის, მიტელშპილის, დებიუტის) ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, მოთხრობილია ჭადრაკის და მისი განვითარების ისტორია, ახსნილია საჭადრაკო კომპოზიციის ბუნება და მოკლედ ნაამბობია საქართველოში ჭადრაკის წარსულსა და აწმყოზე. სახელმძღვანელო აგებულია, როგორც ეს წინათქმაშია აღნიშნული, თამაშის პრაქტიკული სწავლების პრინციპ-

ით. ამიტომ მასში ბევრია სასწავლო-საილუსტრაციო მაგალითი, რომლებიც უპირატესად ამოღებულია საბჭოთა მოჭადრაკეების, მათ შორის ქართველი ოსტატების პრაქტიკიდან.

წიგნში მოცემულია ჭადრაკის ის ელემენტარული ცოდნა, რითაც აუცილებლად უნდა შეიარაღდეს დამწყები მოჭადრაკე, თუ სურს შემდგომში დაოსტატება. ამიტომ სახელმძღვანელოში მოცემულია მხოლოდ დადებითი, პოზიტიური ცოდნა. ყველა თეორიული დებულება განმარტებულია მკაფიო მაგალითებით ოსტატთა პრაქტიკიდან, შემდეგ დასტამბულია სამაგალითო პარტიები და ბოლოს, ცოდნის გასამტკიცებლად, დამოუკიდებელი საანალიზო პოზიციები. თითქმის ყველა მაგალითი, პარტია, პოზიცია, ამოცანა და ეტიუდი (ისინი 500-ზე მეტია) წარმოადგენს სხვადასხვა დროის ცნობილ მოჭადრაკეთა შემოქმედების საუცხოო ნიმუშს.

წიგნში დამწყებ მოჭადრაკედ იგულისხმება მკითხველი, დამოუკიდებლად რომ შეუძლია გაიგოს წაკითხული. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, მაშინ დამწყების მაგიერ ნორჩ მოჭადრაკეს მოვიხსენიებდით. ბავშვს თამაშს მწვრთნელი ასწავლის. სწორედ ამიტომ "ჭადრაკის ანბანი" მწვრთნელებს დამხმარე სახელმძღვანელოდ შევთავაზეთ.

სქელტანიანი, მრავალსაკითხიანი სახელმძღვანელო არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან, უზუსტობებისაგან. ეს ორივე გამოცემის წინათქმაში აღვნიშნეთ.

რეცენზენტს წიგნში არაფერი მოეწონა. თხუთმეტთაბახიან სახელმძღვანელოში მან ვერ დაინახა რაიმე ნათელი, მისაღები. ვერც ის, რომ პირველად ქართულ ენაზე ერთი ყდის ქვეშაა მოქცეული საქვეყნოდ აღიარებული დიდოსტატებისა და ოსტატების ბრწყინვალე პარტიები, რომელთა უბრალო გაცნობაც დიდად სასარგებლოა. რეცენზენტი გვედავება თეორიულ განსაზღვრებში, მასალის დალაგებაში, სწავლების მეთოდიკის, ისტორიისა და მსაჯობის საკითხებში. მისი განხილვის, კრიტიკის ძირითადი მეთოდია ლიტონი და სუბიექტური განცხადებები, დაუსაბუთებლად დებულებისა თუ განსაზღვრის უსწოროდ, შეცდომად გამოცხადება, სიყალბე და ცილისწამება.

ჩვენ არ გამოვეკიდებით რეცენზიაში აღძრულ ყველა საკითხს. ეს ძალიან შორს წაგვიყვანს. შევეხებით მხოლოდ რამდენიმეს, რომელთა განხილვაში კარგად ჩანს რეცენზენტის კრიტიკის დამახასიათებელი ხერხები.

რეცენზენტი ბევრგან გვსაყვედურობს სწავლის მეთოდიკის გამო. მას მიაჩნია, რომ ხშირად ვცოდავთ

ამ საკითხში და საერთოდ ამ მხრივ სახელმძღვანელოში არც ერთი ახსნა-განმარტება გამართული არ არის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით. თავად კი არსად გვიზიარებს თავის შეხედულებას. მაგრამ მისი გაგება ძნელი როდია თვით რეცენზიის მიხედვით.

შ. ინწკირველის მეთოდოლოგიური აზროვნების მკაფიო მაგალითია შემდეგი ფაქტი. იგი გვიკიჟინებს, რომ წიგნში "არასაკმარისად არის გაშუქებული" ეტიუდისტ გ. ნადარეიშვილის შემოქმედება. ჯერ არავის სმენია, რომ დამწყებთათვის ჭადრაკის სახელმძღვანელოში გარჩეული ყოფილიყოს ეტიუდისტის შემოქმედება. წიგნში არის ცალკე თავი "საჭადრაკო კომპოზიცია", რომლის არსებობა რეცენზენტმა არ მოიხსენია. ამ თავში განმარტებულია ამოცანისა და ეტიუდის არსი, ახსნილია ტერმინები, საილუსტრაციოდ მოყვანილია საქართველოს პრობლემისტებისა და ეტიუდისტების, მათ შორის გ. ნადარეიშვილის შემოქმედების ნიმუშები. მეტი რა უნდა იყოს თამაშის ელემენტარულ სახელმძღვანელოში კომპოზიციის შესახებ? სხვათა შორის, რეცენზენტი იმასაც გვსაყვედურობს, თითქოს სხვებთან შედარებით გ. ნადარეიშვილს ქებადიდება დავაკელით. რეცენზენტი არაკომპეტენტურია ქართული ჭადრაკის ისტორიის საკითხებში. პატარა წერილში, რომელშიც მიმოხილულია საქართველოში ჭადრაკის მდიდარი წარსული და აწმყო, ყველას თავისი დამსახურებისამებრ მიეზღო. ნაამაგარი არც ჩვენს ცნობილ ეტიუდისტს დავუკარგეთ.

ზოგჯერ რეცენზენტი პირდაპირ მიგვითითებს სწავლების თითქოსდა მეთოდურ შეცდომაზე. მაგალითად, ცუგცვანგის ახსნასთან დაკავშირებით.

თავში "შამათი ეტლით" დიაგრამაზე აღბეჭდილია შამათის პოზიცია. მერე განმარტებულია, რომ შამათი ქიშებისა და ოპოზიციის დახმარებით მიიღება. იქვეა ასეთი შენიშვნა: "ეტლით დაშამათებაში დიდია ცუგცვანგის როლი". მაგრამ სიტყვა ცუგცვანგის მნიშვნელობა ამ ადგილას არ არის განმარტებული. მისი ბუნება და შინაარსი ახსნილია ორიოდე სტრიქონის შემდეგ. როცა დაფაზე ცუგცვანგის პოზიცია შეიქმნა. რეცენზენტის აზრით, ცუგცვანგის მსგავსი გაცნობა თურმე ლოგიკას მოკლებული ყოფილა. რატომ? ამას არ გვეუბნება. მას ცუგცვანგის ჩვენი განმარტებაც არ მოსწონს. მაგრამ აქაც ლიტონი განცხადებით კმაყოფილდება.

მაგრამ ზოგჯერ გვაცნობს თავის შეხედულებას ისეთნაირად, თითქოს იგი ერთადერთი და სწორი ყოფილ-

იყოს. აი, მაგალითად: მისი აზრით, გამხოლოებული პაიკის ახსნა აუცილებლად უნდა დაგვეწყო ცენტრალური d4 პაიკის შემცველი პოზიციის გარჩევა-ანალიზით. რაკი ასე არ მოვიქეცით, მყისვე გამოგვიტანა განაჩენი – "ავტორი ვერ ერკვევა საჭადრაკო თეორიის ნიუანსებში". ჩვენ ახსნილი გვაქვს საერთოდ გამხოლოებული პაიკის ბუნება, რადგან ასეთი პაიკი არაცენტრალურიც შეიძლება იყოს. შემდეგ კი საილუსტრაციოდ სხვა მაგალითებთან ერთად, მოვიყვანეთ მ. ბოტვინიკის ერთ-ერთი პარტიიდან გამხოლოებული d4 პაიკის ტიპური შემთხვევა.

რეცენზენტი გვიწუნებს თავების – "პოზიციური თამაში" და "კომბინაციური თამაში" ასეთი თანმიმდევრობით დალაგებას. ეს გავაკეთეთ პ. რომანოვსკის ორტომეულის "მიტელშპილის" მიხედვით. რა არის ამაში ცუდი? ასე მოიქცნენ, მაგალითად, ა. კობლენცი და გ. ლისიცინი თავიანთ სახელმძღვანელოებში.

რეცენზენტს მოჰყავს რ. რეტის ცნობილი სიტყვები ("ჯერ უნდა ვისწავლოთ კომბინირება, ვიდრე მოვსინჯავდეთ პოზიციურ თამაშს"). მაგრამ სხვა გამოჩენილ სპეციალისტებს (პ. რომანოვსკის, ა. კობლენცს, გ. ლისიცინს) მიაჩნიათ, რომ თუმცა ყველა დამწყებ მოჭადრაკეს ხიბლავს ტაქტიკური, კომბინაციური თამაში, ეს სრულებით არ უშლის მას ხელს იცოდეს პოზიციის შეფასების დეტალები, პირიქით, მათი ცოდნა კომბინაციას მიანიშნებს. როგორც ხედავთ, ამ შემთხვევაშიც რეცენზენტს სურს თავს მოგახვიოს მაინცდამაინც ის შეხედულება, რომელსაც იგი იზიარებს.

როცა რეცენზენტს არ შეუძლია შემოგვთავაზოს საკუთარი გაგება-განსაზღვრა, ავტორიტეტების შრომებიდან მოჰყავს ციტატები და მათ ჩვენსას უპირისპირებს. თუ აზრები დაემთხვა, მაშინ გვსაყვედურობს – ცუდი ქართული პერიფრაზიაო, თუ არ დაემთხვა, მაშინ ჩვენს განსაზღვრას უზუსტოდ, შეცდომად აცხადებს. მაგალითად გამოდგება სწორი კომბინაციის კანონზომიერების ჩვენი განმარტების კრიტიკა.

ჯერ რეცენზენტს მოჰყავს ჩვენი განსაზღვრა ("საჭიროა აღინიშნოს, რომ კომბინაციური თამაში პოზიციურის გაგრძელებაა. ყველა სწორი კომბინაცია კანონზომიერია. მას ამზადებს წინა პოზიციური თამაში. შემთხვევითი კომბინაცია არ არსებობს"), მერე აკეთებს ისტორიულ ექსკურსს მ. ეივესა და ი. ბონდარევსკის შრომებიდან. საბოლოოდ მასაც გამოჰყავს, რომ შემთხვევითი კომბინაცია არ არსებობს და იგი ყოველთვის კანონზომიერია. მაგრამ

ჩვენი განსაზღვრა მაინც ყალბად მიაჩნია. რატომ? ამას არ ამბობს. მკითხველი თავად უნდა მიხვდეს, როგორც ჩანს, მას არ მოსწონს ჩვენი გამოთქმა — კომბინაციას "ამზადებს წინა პოზიციური თამაში". ალბათ უნდა დაგვეწერა, როგორც ი. ბონდარევსკის აქვს: "მოტივები შეიძლება სხვადასხვა გზით შეიქმნას — გეგმიანად ან ერთბაშად" (თარგმანი ყველგან ჩვენია. თ. გ.), განა ორივე განსაზღვრაში არ იგულისხმება კომბინაციის წინამორბედი თამაში?! კომბინაცია კომბინაციიდან არასოდეს წარმოიშვება.

აი, კიდევ ერთი მაგალითი. ეტლების მრავალპაიკიან ენდშპილში უპირატესობის რეალიზების გზად რეკომენდაციას ვუწევთ მარტივ (ერთპაიკიან) ენდშპილამდე დაყვანის მეთოდს, სადაც მოგების თეორიული პოზიციები არსებობს. რეცენზენტი ამ რჩევა-დარიგებას შეცდომად მიიჩნევს. მოჰყავს ი. ავერბახის, ვ. სმისლოვისა და გ. ლევენფიშის სიტყვები, რომ გამარტივებული ეტლების ენდშპილში მატულობს დამცველი მხარის წაგებისაგან დაღწევის შანსი. რა თქმა უნდა, ეს ასეა, თუ უპირატესობის მქონე მოჭადრაკე პაიკების გაცვლით თამაშს თეორიულ საყაიმო პოზიციამდე დაიყვანს. რომელი ჭკუათმყოფელი მოჭადრაკე გადაიყვანს მრავალპაიკიანი ეტლების ენდშპილს მარტივში, თუ გამარჯვების ნათელ გზას ვერ ხედავს. რეცენზენტს თავად მოჰყავს ვ. სმისლოვისა და გ. ლევენფიშის მონოგრაფიიდან ამონაწერი, რომ ეტლების მარტივ ენდშპილამდე დაყვანა, რომლის შეფასება ზუსტად შეიძლება, მნიშვნელოვანი ტაქტიკური ხერხია, რომელიც საჭიროა მოხერხებულად გამოვიყენოთ. სწორედ ეს აზრი გვქონდა მხედველობაში, როცა დამწყებ მოჭადრაკეს უპირატესობის რეალიზაციის გზას ვთავაზობდით. იგი გამართლებულია მეთოდოლოგიის თვალსაზრისითაც.

საქვეყნოდ გავრცელებული ჭეშმარიტებაა, რომ ენდშპილებს შორის ყველაზე რთულია ეტლების ენდშპილი, რადგან ჯერ კიდევ ბევრი პოზიცია არ არის ღრმად შესწავლილი და დამცველ მხარეს ყაიმის მიღწევის დიდი შანსი აქვს. რეცენზენტი არ იზიარებს ამ შეხედულებას (ეს მისი საქმეა), მაგრამ, როგორც სჩვევია, არაფერს ამბობს, რომელი ენდშპილია, მისი აზრით, ყველაზე რთული.

რეცენზენტი გვსაყვედურობს, რომ "კომბინაციური თამაში" ძირითადად აღებულია ი. ბონდარევსკისა და გ. ლისიცინის (და სხვა ავტორთა) ნაშრომებიდან ისე, რომ მათი ხსენებაც არ არის". რეცენზენტს მხედველობაში აქვს კომბინაციის იდეების დასახელება. მას უნდა ვუთხრათ,

რომ ამ დასახელებათა ნაილიას (გ. ლისიცინს) აღარავინ ახსენებს, რადგან ისინი საყოველთაოდაა გავრცელებული. თვით ი. ბონდარევსკიმ არ მოიხსენია იგი, თუმცა თითქმის მთლიანად გაიმეორა გ. ლისიცინის შემოღებული დასახელებები. რაც შეეხება იმას, რომ სახელმძღვანელოს არა აქვს დართული გამოყენებული ლიტერატურის სია, გამომცემლობამ არ ჩათვალა იგი საჭიროდ. ასეთი სია არა აქვს ი. ბონდარევსკის, ა. კობლენცის, პ. რომანოვსკის და სხვათა წიგნებს. თურმე ჩვენ უნდა გვქონოდა.

რეცენზენტი ცილს გვწამებს, რომ წიგნი კომპილაციაა, ამასთან, უბადრუკიც. მაგრამ, როგორც სჩანს, თავს არ იწუხებს ამის დამტკიცებით. ჩვენი სახელმძღვანელო აგებულია ათობით სხვა წიგნის გათვალისწინებით და არა გადმოღებით. ამას ადვილად მიხვდებოდა, რომ შეეჯერებინა ისინი ერთმანეთისათვის. მან ისიც ვერ შეამჩნია, ანდა შეგნებულად არ დაინახა, რომ, მაგალითად, ჩვენს წიგნში "ენდშპილი" თეორიული ნაწილის თავშია გამოტანილი კაპაბლანკას რჩევით. წიგნში ბევრი სხვაცაა განსხვავებული ცნობილი სახელმძღვანელოებისაგან, რასაც აუცილებლად შეამჩნევდა კეთილმოსურნე რეცენზენტი და თავის ობიექტურ შეფასებას მისცემდა.

ცილისწამებაა ისიც, თითქოს გადმოგვექართულებინოს ადგილები (ყველა წიგნში რომ ერთნაირად წერია) ი. ბონდარევსკის, გ. ლისიცინის, ი. მაიზელისის და სხვათა წიგნებიდან და საკუთრად წარმოგვედგინოს. ასეთი ბრალდებაც დაუსაბუთებლადაა წამოყენებული. რეცენზენტი იმასაც ამბობს, თითქოს წიგნში არის "იაფფასიანი ფრაზები, ფსევდო-ჟურნალისტური წყალი", "პარტიების კომენტარებში შიგადაშიგ ჩართულია ავტორისეული ბუნდოვანი და მცდარი მოსაზრებანი", მაგრამ მას სრულებით არ აინტერესებს ყოველივე ამის დასაბუთება.

რეცენზენტს ბევრი რამ არ მოსწონს თავში "დებიუტი".

ყოველი დებიუტის შემდეგ იგი შენიშნავს: "გამოტოვებულია ბევრი დებიუტი", მაგრამ არ ასახელებს რომელი. სახელმძღვანელოში დებიუტებს მხოლოდ ერთი თავი ეძღვნება. ამიტომაც (პრაქტიკული სწავლების პრინციპით) არ შეგვიტანია თანამედროვე პრაქტიკაში თითქმის მივიწყებული რამდენიმე სადებიუტო სისტემა. სწორედ ასე მოიქცა, მაგალითად, ი. როხლინიც თავის წიგნში "შახმატი" (1959 წ.).

"საერთოდ დებიუტების შესწავლა გამბიტებით მიუღებელია", წერს რეცენზენტი, როცა გვიწუნებს იტალიურ პარტიამდე ევანსის გამბიტის ახსნას. ეს მისი სუბიექტური აზრია,

რაც, რა თქმა უნდა, სხვებისათვის სავალდებულო არ არის. მაგალითად, ა. კობლენცი დებიუტების ახსნას მეფის გამბიტით იწყებს ("შკოლა შახმატნოი იგრი", 1962 წ.).

რეცენზენტს ვერ გაუგია რას ნიშნავს წინადადება: რეტის დებიუტში "ფიგურების განვითარება საკუთარ ბანაკში". ჭადრაკი რომ გაეშალა და რამდენიმე სვლა გაეკეთებინა, მიხვდებოდა, რომ თეთრი ფიგურების განვითარება არ სცილდება პირველ სამ ჰორიზონტალს. ეს სწორედ იმ ამონაწერის შინაარსია, რაც იქვე თავად მოჰყავს ა. სოკოლსკის წიგნიდან.

გვისაყვედურებს, რომ ფრანგული დაცვის შინაარსი არასწორად გვაქვს ახსნილი. მაგრამ როგორ უნდა იყოს, თავად, როგორც მუდამ-ჟამს, არაფერს ამბობს.

რეცენზენტისათვის არც სიყალბეა უცხო. ორი მხედრის დაცვის განხილვისას მან თავად შექმნა უაზრობა და მერე, როგორც დონ კიხოტმა, შეუტია ქარის წისქვილებს.

სახელმძღვანელოში მოცემულია ორი მხედრის დაცვაში თეთრებით და შავებით თამაშის ტაქტიკა. თეთრებისათვის ნათქვამია: "კონტრთამაშს შავები იწყებენ e4 პაიკზე თავდასხმით. ამ დებიუტის არჩევისას მზად უნდა იყოთ პაიკის შეწირვისათვის". შავებს ვურჩევთ: "ორი მხედრის დაცვაში შავების ტაქტიკა ასეთია: ისინი იღებენ შეწირულ პაიკს, შემდეგ კი უკან აბრუნებენ მდგომარეობის გასათანაბრებლად". რეცენზენტმა თეთრებისათვის განკუთვნილ ნათქვამში მოხსნა პირველი წინადადება, რითაც უაზრობა შექმნა და თითქოსდა "აღმოჩენაზე" ქირქილებს — "ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო".

სხვათა შორის, რეცენზენტი მაშინაც ქირქილებს, როცა თავად ვერ ერკვევა საკითხში და უცოდინარობას ჩვენ გვიკიჟინებს.

მოძრავი ცენტრის განსაზღვრაში მას თურმე არ გაუგონია "პაიკების შეუფერხებელი წინსვლა". ჩანს, არ წაუკითხავს ბ. ბარანოვის წიგნი — "შტურმ კოროლევსკოი კრეპოსტი" (1971 წ.). მე-7 გვერდზე წერია: "მოძრავს ისეთ ცენტრს უწოდებენ, როცა ცენტრალური პაიკები (ერთი ან ორი) თავის გზაზე არ ხვდებიან წინააღმდეგობას და შეუძლიათ წინსვლით შექმნან გადამწყვეტი შეტევის წინაპირობა". როგორც ხედავთ, აქ არ არის საუბარი პაიკთა რიცხობრივ უპირატესობაზე, რასაც რეცენზენტი მოითხოვს.

ყველაზე ხშირად სპეციალისტები ცვლიან თავიანთ აზრს სადებიუტო ვარიანტების შეფასებაში. ამიტომ დამწყებ მოჭადრაკეს ვურჩიეთ უკრიტიკოდ არ მიიღოს ავტორიტეტის რეკომენდაციაც, შეეცადოს ანალიზით საკუთარი შეხედულება

შეიმუშაოს იმ ვარიანტებზე, რომელთა გამოყენებას აპირებს. ეს შეგონება არ მოსწონს რეცენზენტს. "ეს იმას ნიშნავს, დედა ენის შემსწავლელ ბავშვს მოთხოვოთ კრიტიკულად მიუდგეს და საკუთარი შეხედულება შეიმუშაოს, მაგალითად, რუსთაველის შემოქმედებაზე".

ე. ლასკერი "ჭადრაკის თამაშის სახელმძღვანელოში" (1937 წ.) წერს: "ვისაც სურს გამოიმუშაოს ჭადრაკში დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, იგი აუცილებლად უნდა გათავისუფლდეს უკრიტიკოდ გადაღებისა და მოუფიქრებლად, სხვების მიერ გამოყენებული ვარიანტებისა და წესების გამოყენების ჩვევისაგან". ი. მაიზელსის "შახმატის" (1960 წ.) შესავალში ე. ლასკერი ამბობს: "მე მაინც მეტი შევიძინე გამოცდილებიდან, განსაკუთრებით წაგებებისაგან, ვიდრე რომელიმე წიგნის ან რომელიმე ოსტატის ავტორიტეტის ბრმად დაჯერებით".

ვის უფრო დაეჯერება: ჩვენს რეცენზენტს თუ ლასკერს?

არც ის მოსწონს, რომ ხშირად ვიმეორებთ სიტყვას "ფხიზლად". დიახ, დამწყები მოჭადრაკე მუდამ ფხიზლად უნდა იყოს კრიტიკულ მომენტში. საჭიროა ეს მას ბევრჯერ შევახსენოთ. ჩვენ ასე მიგვაჩნია. რეცენზენტიც ფხიზლად რომ მოჰკიდებოდა კრიტიკას, ბევრი ლაფსუსი არ გაეპარებოდა.

შ. ინწკირველი სრულებით არაკომპეტენტურია მსაჯობის საკითხებში. ამიტომაც მისი შენიშვნები ვერ უძლებენ კრიტიკას.

იგი წერს: ქვეთავში "თამაშის სავალდებულო წესები" — ავტორის ხელი შეეხო საჭადრაკო კოდექსაც! მაგ. მე-4 პუნქტი (გვ.13) რებუსია — ყოველ შემთხვევაში დამწყებთათვის მაინც, ხოლო მე-6 პუნქტი კი უხეში შეცდომაა. მკითხველს შევახსენებთ, რომ გიორგაძეს საერთაშორისო არბიტრის წოდება აქვს!"

იბადება კითხვა: ვინ უნდა ისაუბროს საჭადრაკო კოდექსის შესახებ, თუ არა უმაღლესი სამსაჯო თანრიგის მქონე კაცმა? ალბათ, არც იმის უფლება მქონდა, რომ გამოვეცი წიგნი "ვიდრე ჭადრაკს მიუსხდებით" (1974 წ.), რომელშიც სსრ კავშირის საჭადრაკო კოდექსია განმარტებული. მთავარი მაინც ისაა, სწორედ ხსნის თუ არა მსაჯი კოდექსის მუხლებს.

რეცენზენტი ამ ბრალდებაში არ ღალატობს თავის სტილს. ისე ამბობს რებუსია, შეცდომაა, რომ არ განმარტავს შეცდომის რაობას, არ მოჰყავს სწორი განსაზღვრა. ამიტომ ნურც ამჯერად დავუჯერებთ მას.

"თამაშის სავალდებულო წესების" მე-4 პუნქტში ვკითხულობთ: "როქის გაკეთებისას ჯერ უნდა გადაადგილდეს მეფე, შემდეგ კი

ეტლი. თუ დაირღვა ეს თანმიმდევრობა, რაც თამაშის წესების დარღვევას ნიშნავს, მაშინ (ორი გაფრთხილების შემდეგ) მეფესა და ეტლს აბრუნებენ საწყის მდგომარეობაში და ეტლით აკეთებენ საჯარიმო სვლას. თუ ეტლით სვლა შეუძლებელია, მაშინ დანაშაული დაუსჯელი რჩება".

რა არის აქ გაურკვეველი, რებუსი? მარტივად ახსნილია როქის წესი. რა თქმა უნდა, იგი ჩამოყალიბებულია "სსრ კავშირის საჭადრაკო კოდექსის" მოთხოვნათა შესაბამისად. კოდექსის მე-8 (მოსკოვი, 1959 წ.) და მე-9 (მოსკოვი, 1969 წ.) გამოცემების მე-10 მუხლში წერია: "თუ როქი ეტლის სვლითაა დაწყებული, მაშინ დამნაშავეს შენიშვნა მიეცემა", ხოლო ლ. გარკუნოვისა და ი. ზრაჟევსკის "სუდეისტვო შახმატნიხ სორევნოვანიი" (მოსკოვი, 1959 წ.) მოცემულია ამ მუხლის შემდეგი განმარტება: "რაც შეეხება შეცდომას, რომელიც როქის გაკეთების თანმიმდევრობასთანაა დაკავშირებული (იგი ეტლის მოძრაობითაა დაწყებული), მაშინ ეს შეცდომა უნდა განიხილებოდეს როგორც თავის ფიგურისათვის ხელის მოკიდება და ამ საფუძველზე უნდა მოვითხოვოთ სვლა ეტლით".

ასეთი იყო როქის წესი, როცა "ჭადრაკის ანბანი" დაიწერა. 1977 წლიდან ამ წესში შეტანილია კორექტივი: თუ შეუძლებელია როქი, მაშინ ხელშეხებული ეტლით საჯარიმო სვლა უნდა გაკეთდეს (ლ. აბრამოვი, ი. ზრაჟევსკი, ი. კარახანი "ორგანიზაცია ი სუდეისტვო შახმატნიხ სორევნოვანიი", მოსკოვი, 1977 წ.).

ახლა გავეცნოთ მე-6 პუნქტს. "თუ პარტიის მსვლელობის დროს გამოაშკარავდა საწყის მდგომარეობაში ფიგურების არასწორი განლაგება, აღმოჩნდა, რომ მეფე ქიშის ქვეშ ყოფილა დატოვებული, მაშინ პარტია უნდა გათამაშდეს იმ პოზიციიდან, სადაც შეცდომა იქნა დაშვებული".

სადაა აქ უხეში შეცდომა? ეს პუნქტი აგებულია კოდექსის მე-9 გამოცემის მე-13 მუხლის შესაბამისად. აი, რა წერია ამ მუხლში ჩვენთვის საინტერესო საკითხზე: "თუ დადგინდა, რომ პარტიის დასაწყისში ფიგურები არასწორად იყვნენ განლაგებული, მაშინ პარტია თავიდან უნდა გათამაშდეს. თუ პარტიაში გაკეთდა სვლა, რომელიც ეწინააღმდეგება 7-11 მუხლებში მოცემულ წესებს, მაშინ პარტია გადათამაშდება იმ მომენტიდან, სადაც ეს სვლა გაკეთდა". ოღონდ საჭიროა ითქვას, რომ ქიშის ქვეშ მეფის დატოვება, რომელზეც ლაპარაკია მე-6 პუნქტში, თამაშის წესის დარღვევის კერძო შემთხვევაა.

საინტერესოა, რაში დაინახა

რეცენზენტმა უხეში შეცდომა, რომ მკაცრი მსჯავრი გამოუტანა ამ პუნქტს?

კიდევ შეიძლებოდა საუბარი შ. ინწკირველის პრეტენზიების თაობაზე. მაგრამ მოყვანილიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, როგორი ტენდენციური და სუბიექტური, ღვარძლიანი და შეცდომებით სავსე რეცენზია დაწერა მან.

ამ სიტყვების შემდეგ არ გვინდა მკითხველს დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს ვამტკიცებდეთ, რომ სახელმძღვანელო უნაკლო იყოს. წიგნის მეორე გამოცემაშიც საგანგებოდ ვწერდით: "სახელმძღვანელო არ არის დაზღვეული ხარვეზებისაგან. ავტორი მადლობით მიიღებს შენიშვნებს". "ჭადრაკის ანბანს", სამწუხაროდ, კიდევ აღმოაჩნდა ნაკლოვანებები (ერთ-ორს რეცენზენტიც წააწყდა), რომლებიც შემდგომ გამოცემაში უნდა გასწორდეს. საჭიროა, მაგალითად, უფრო ვრცლად გაშუქდეს შორეული ოპოზიციის, შესაბამისი უჯრების თეორიის საკითხი, გაიმართოს ზოგი წინადადება, დაზუსტდეს ზოგი განსაზღვრა, ცნობა და სხვ.

და ბოლოს, რატომ სდუმდა შ. ინწკირველი 13 წლის განმავლობაში, თუ იცოდა, რომ "ჭადრაკის ანბანს" შეეძლო ზიანი მიეყენებინა ახალგაზრდა მოჭადრაკეთათვის? სწორედ ამ უკანასკნელ წლებში საქართველოში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა დაწინაურდა და ბევრ მათგანს (მათი სიტყვით) "ჭადრაკის ანბანიც" წაუკითხავს. ალბათ ღმერთს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ისინი არ დაზარალდნენ. მაშ, რამ ააღებინა კალამი რეცენზენტს?

ჟურნალი "ცისკარი", №7. 1978 წ.

■ 1983 წელს საქართველოს განათლების სამინისტროს რეკომენდაციით გამომცემლობა "განათლებამ" მესამედ გამოსცა "ჭადრაკის ანბანი", გასწორებული და შევსებული 40 000 ეგზ. ტირაჟით. 1999 წელს გამომცემლობა "დედაენამ" მეოთხედ დასტამბა იგი სათაურით "ჭადრაკი" (ჭადრაკის თეორიის სწავლების მეთოდები და საჭადრაკო აზრის განვითარების ისტორია). წიგნის სატიტულო გვერდზე აღნიშნულია, რომ იგი "საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ დამწყები კლასების მწვრთნელ-პედაგოგებისათვის".

მომავლის ჭადრაკი

1997 წელს ამერიკულმა კომპიუტერ – "დიპ-ბლიუმის" მიერ მსოფლიო ჩემპიონის – გარი კასპაროვის დამარცხებამ ჭადრაკის სამყარო ააფორიაქა. ადრე თუ გვიან, ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ამას წინასწარმეტყველებდნენ მეცნიერები, თვით მიხეილ ბოტვინიკიც, რომელიც კომპიუტერის პროგრამირების დარგში მუშაობდა. მიუხედავად ამისა, მოჭადრაკეებს მაინც უჭირთ ამ აზრთან შერიგება. ამიტომ ეძებენ ჭადარკის "გადარჩენის" გზებს.

სხვათა შორის, ცხოვრებამ მაინც შეარიგა ერთმანეთს მოჭადრაკეები და მოთამაშე კომპიუტერები, ახლა მრავლად რომ გაჩნდა დასავლეთში. მაგალითად, გასულ ზაფხულს მაია ჩიბურდანიძეს ქ. ლიპშტადის (გერმანია) საერთაშორისო ტურნირში კონკურენცია მოუწია ძლიერ გერმანულ კომპიუტერ "პ კონნერთან". საბოლოოდ პირველობა კომპიუტერმა დაისაკუთრა და მაიასაც მოუგო (მაია მეორე ადგილზე დარჩა). ალბათ, ამიტომაც გარი კასპაროვი პრინციპულ უარს აცხადებს თამაშზე იმ ტურნირებში, სადაც მონაწილეთა შორის ძლიერი კომპიუტერია.

ჯერჯერობით ცნობილია ჭადრაკის თამაშის გართულების

რობერტ ფიშერი

ორი წინადადება. ორივე არსებული სადებიუტო სისტემის გაუქმებას გულისხმობს. ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში კომპიუტერი ველარ შეძლებს თავისი ვეებერთელა ძალის გამოყენებას.

ერთი წინადადების ავტორია მსოფლიო ექსჩემპიონი, დიდოსტატი რობერტ ფიშერი, მეორესი – ჩვენი თანამემამულე, ახალგაზრდა კასპელი ინჟინერ-გამომგონებელი, პირველთანრიგოსანი გელა გურასპაშვილი.

გავეცნოთ ორივე წინადადებას:

ამერიკელ დიდოსტატს ბევრი არაფერი მოუგონია. მისი აზრით, მამაპაპურმა ჭადარკმა ამოწურა საკუთარი თავი. იგი რაღაც-რაღაცის შეკეთებას მოითხოვს, მით უმეტეს, რომ კომპიუტერიზაციის ეპოქამ ჩვენს ყოველდღიურ ცხ-

ოვრებას. მათ შორის ჭადარკსაც, მრავალი გადასაწყვეტი პრობლემა შეუქმნა. ერთ-ერთია ის, რომ სავალდებულოა პარტია დამთავრდეს იმავე დღეს. მის გადადებას აზრი არა აქვს. კომპიუტერის მქონე მოჭადრაკე ადვილად გადაწყვეტს მის ბედს.

ფიშერი ამბობს, რომ მისი ჭადრაკი ხსნის შექმნილ პრობლემებს. კომპიუტერი მას ვერაფერს დააკლებს. ამიტომ "ფიშერის ჭადრაკს" თვით ავტორი ფართო პროპაგანდას უწევს — აწყობს ტურნირებს, მატჩებს, რომ თავისი სიმართლე დაამტკიცოს. ფიდე-ს პრეზიდენტს კ. ილიუმჟინოვს პირდაპირ უთხრა: ჭადრაკში მხოლოდ მაშინ დავბრუნდები, როცა მსოფლიო პირველობა ჩემი ჭადრაკით გაიმართებაო.

როგორია "ფიშერის ჭადრაკი"? აი, ისიც:



როგორც ხედავთ, ფიშერმა უბრალოდ შეცვალა (გადაადგილა) თეთრი და შავი ფიგურების საწყისი განლაგება. ცხადია, დაირღვა შესავალი თამაშის (დებიუტის) ჰარმონია. ამან არარად აქცია სადებიუტო წიგნები, მონოგრაფიები. "ფიშერის ჭადრაკში" ფიგურების განლაგების 15 ნაირსახეობა არსებობს, რაც ამრავალფეროვნებს თამაშს, თუმცა არის შეზღუდვაც: თავიდან თეთრი და შავი ფიგურების განლაგება აუცილებლად სიმეტრიული უნდა იყოს.

ახლა გავეცნოთ დიდოსტატ დავით ბრონშტეინის მიერ გათამაშებულ პარტიას "ფიშერის ჭადრაკით", მისივე შენიშვნებით.

ბრონშტეინი - დოუვენი
ჭ. ეინდჰოვენი, 1996 წ.

საწყისი პოზიცია (იგი დიაგრამაზეა) რომ შევაფასე, გადავწყვიტე რომ ჩემი მთავარი ამოცანაა არ დავუშვა შავების ძლიერი სვლები — e5 და c5.

1. d4 d5 2. ♘d3 ♘d6 3. g3!

შავებმა d5 პაიკი უნდა დაიცვან.

3. ... e6 4. ♗b4!

არ მომწონდა e1-ზე კუს განლაგება. სიმეტრიულ პოზიციაში ზარალდება ჩამორჩენილი მხარე.

4. ... a5?! 5. ♗×d6! c×d6 6. a4 ♕a6 7. ♘d2 ♘d7 8. b3 ♘f6 9. c4

თითქოს შეიქმნა ლაზიერის გამბიტი თეთრებისათვის სასარგებლო რედაქციით. ლაზიერის ფრთაზე აქტიური თამაშით შევაფერხე კუ h8-ის "გაცოცხლება".

9. ... ♗d7 10. e3!

კუ რომ გავცვალე, ახლა თავისუფლად ვაწყობ ჩემს პაიკებს შავ უჯრებზე.

10....0-0

ადრე მეტოქის როქს არ დაუსვამს ჩემს წინაშე ისეთი პრობლემები, როგორც ახლა. ვიცოდი, რომ ფიშერის წესებით აქ ათამდე როქის გაკეთება შეიძლებოდა, მაგრამ სახელდობრ რომლების? თითქოს შავებმა ჩვეულებრივი როქი გააკეთეს — მეფე g8-ზე დასვეს, ეტლი f8-ზე. ხომ შეიძლება მათ რაღაც დაარღვიეს? მაგრამ მეტოქის სახე შეულწეველი იყო... აქ ჩემმა თავმოყვარეობამ იმძლავრა. მეამაყებოდა, ჰაოტური საწყისი პოზიციიდან ათ სვლაში საკუთარი კლასიკური პოზიცია მივიღე და დარწმუნებული ვიყავი, რომ შევძლებდი მის მოგებას. ამიტომ "სხვა როქით" რომ არ გამეფუჭებინა თამაში, განვაგრძე ჩემს მიერ მრავალჯერ შემოწმებული წესით — მეფით ერთი უჯრით წინ!

11. ♔e2! g6 12. ♖gc1 ♖fe8

ლამაზი იერიშის დასაწყისი. იგი არ იქნებოდა, მეფე რომ g1-ზე ყოფილიყო.

13. ♕a3 e5!?

იწყება ბრძოლა ცენტრისთვის.

14. d×e5 d×e5 15. b4!?

თეთრები იწყებენ იერიშს ლაზიერის ფრთაზე.

15. ... e4!?

შავები თავად უტევენ. სხვა შემთხვევაში თეთრები უპირატესობას ინარჩუნებდნენ: 15. ...a×b4 16. ♘×b4 ♕×a4 17. ♕×a4 ♗×a4 18. ♘×d5; ან 15. ...d×c4 16. ♘×c4 a×b4 17. ♖×b4 მუქარით ♘c5 იერიშით.

16. ♘c5 ♗g4+ 17. ♔e1 ♕d6 18. c×d5 ♕×d5 19. b×a5 ♕h5 20. h4 ♗f5

მაცდუნებელ 20. ... g5!? მოჰყვებოდა 21. ♘c×e4 g×h4 22. ♖b5.

21. ♘×b7 ♕g4 22. ♗g2 ♘h5! 23. ♘f1 (მუქარით ♘h2) 23. ... ♗e6 24. a6 ♗e5 25. ♘h2 ♕f5 26. ♘d6 ♗×d6 27. ♕×d6 ♕a5+

ჩემი ფიგურები თითქოს თამაშგარეშე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. შავები წამით ეუფლებიან ინიციატივას.

28. ♔f1 ♖×b1 29. ♖×b1 ♖d8 30. ♖b8 ♗c8 31. ♖×c8

ფიშერს უყვარს ასეთი შეწირვები.

31. ...♖×c8 32. ♗×e4 ♕×a4 33. ♗b7 ♖c2!?

შავებმა მიაგნეს თეთრების სისუსტეს - f2 უჯრას.

34. ♕b8+

ეს ქიში ზუსტ გაანგარიშებას მოითხოვდა.

34. ...♔g7 35. a7! ♘×g3+ 36. ♔g2 ♘f5 37. a8♕ ♘×e3+ 38. ♔f3 ♖×f2+ 39. ♔×f2 ♘d1+ 40.

ᲭᲒᲘ ᲬᲮᲘᲠᲘ 41. ᲐᲓᲘᲡᲘ. შავები დანებდნენ.

პარტია მომეწონა და ამავე დღეს გავუგზავნე ფიშერს ბუენოს-აირესში იმედით, რომ იგი მასაც მოეწონებოდა.

დავით ბრონშტეინის აზრით, "ფიშერის ჭადრაკს" მომავალი აქვს, ოღონდ მასში ერთი შესწორება უნდა გაკეთდეს: საწყის პოზიციაში აუცილებელი არ უნდა იყოს თეთრი და შავი ფიგურების სიმეტრიული განლაგება.

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ 40 წლის წინათ თვით ბრონშტეინს გამოუქთვამს ასეთი ჭადრაკის შექმნის იდეა, ე. ი. ფიგურების ნებისმიერი განლაგებით. სხვათა შორის, "ბრონშტეინის ჭადრაკით" მატჩიც კი ითამაშეს ამერიკელმა დიდოსტატებმა პალ ბენკომ და არტურ ბისჰაიერმა 1978 წელს. იგი ბისჰაერმა მოიგო – 3½:2½.

"ფიშერის ჭადრაკით" მრავალი დიდოსტატი (ა. კარპოვი, ა. იუსუპოვი და სხვა) დაინტერესდა. ცნობილი გახდა, რომ კომპიუტერმა "ფიშერის ჭადრაკში" მატჩი მოუგო ა. იუსუპოვს.

ახლა გავეცნოთ გელა გურასპაშვილის "თავისუფალ ჭადრაკს", როგორც მას ინგლისელებმა შეარქვეს.

გ. გურასპაშვილი საერთოდ აუქმებს დებიუტს. ამიტომ მის ჭადრაკს თავიდან "უდებიუტო" ეწოდებოდა.

გელა გურასპაშვილი

"თავისუფალ ჭადრაკში" თამაში ცარიელ დაფაზე იწყება. თითოეული სვლით მეტოქეები აწყობენ ფიგურებსა და პაიკებს სასურველ უჯრებზე, ოღონდ თავისგან პირველ ოთხ ჰორიზონტალზე. როქი კეთდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მეფე და ეტლი თავიანთ ადგილებზე აღმოჩნდებიან, როგორც ეს კლასიკურ ჭადრაკშია.

როგორც ხედავთ, ფიგურებისა და პაიკების გაწყობას 16 სვლა სჭირდება, ე. ი. იმდენი რამდენი ფიგურაცაა. მე-17 სვლაზე თეთრები ჩვეულებრივად აგრძელებენ თამაშს.

ასეთი მარტივია "თავისუფალი ჭადრაკის" თამაშის წესები.

მაგრამ განსაკუთრებით ძნელია შესავალი თამაში, სადაც აღარ არსებობს კონკრეტული სადებიუტო სისტემები. ყოველ პარტიაში მოჭადრაკემ თვითონ უნდა მოიგონოს თავისი საწყისი პოზიცია.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ეს ურთულესი შემოქმედებითი პროცესია. დიდოსტატ ბ. გურგენიძის აზრით, ფიგურების გაწყობას დაფაზე მოსაფიქრებელი დროის "ლომის წილი" უნდა დაეთმოს.

როგორც ირკვევა, "თავისუფალი ჭადრაკი" თავის თავში გულისხმობს "ფიშერის ჭადრაკს", "ბრონშტეინის ჭადრაკს" და "კლასიკურ ჭადრაკსაც". ყველა მათგანი "თავისუფალი ჭადრაკის" კერძო შემთხვევაა.

გთავაზობთ "თავისუფალი ჭადრაკით" გათამაშებულ პარტიას.

გ. ჯაჭეიშვილი – ლ. ჯანჯღავა
მატჩი. 28 თებერვალი 1998 წ.

1. ♔b1 ♔a8 (იმ დროის წესით პირველი სვლა აუცილებლად მეფით უნდა გაკეთებულიყო) 2. a2 e5 3. b2 d5 4. c2 c5 5. d3 f5 6. ♖e1 ♗g7 7. ♗h1 g6 8. h3 h5 9. e4 a7 10. f4 b7 11. ♖f1 ♘c6 12. ♕g1 ♗g8 13. g3 ♘b5 14. ♘b3 ♖b6 15. ♘c1 ♖a6 16. ♗f2 ♕h8



17. a4 ♖×a4 18. ♗×c5 e×f4 19. e5 ♗×e5 20. ♖×e5 ♕×e5 21. ♗×b6 a×b6 22. g×f4 ♕d6 23. ♕×b6 ♖b4 24. ♕e3 ♗f7 25. ♕d2 d4 26. ♖e1 ♘c7 27. ♗×c6 b×c6 28. ♘a5 ♘d5 29. ♘1b3 ♘b6 30. ♘×c6 ♖×b3 31. ♖e7 ♕×c6 32. ♕a5+ ♔b8 33. ♖×f7 ♕h1+ 34. ♔a2 ♖a3+ 35. b×a3 ♕d5+ 36. ♕×d5 ♘×d5 37. ♖g7 ♘×f4 38. h4. შავები დანებდნენ.

"თავისუფალი ჭადრაკი" ჯერ კიდევ დახვეწისა და სრულყოფის სტადიაშია. პრაქტიკის მეოხებით ბევრი რამ გასწორდა და გაუმჯობესდა.

მაგალითად, დიდოსტატმა დ. ბრონშტეინმა გააკრიტიკა წესი, რომლის მიხედვით თამაშს მეფეები იწყებდნენ. ჟურნალ "შახმატი ვ როსსიი"-ში (1999 წ., №1-3) წერდა: "ჟურნალში წავიკითხე თენგიზ გიორგაძის სტატია "უდებიუტო ჭადრაკის" შესახებ, რომელსაც საქართველოში თამაშობენ. ის ჩემსას ჰგავს, მაგრამ ძალიან გავვოცდი, რომ პირველ სვლაზე მეფე უნდა დაისვას დაფაზე. ეს კლავს თვით იდეას! მეფე ბოლოს უნდა შედიოდეს თამაშში. მე მისთვის დავტოვებდი a1 ან h1 უჯრებს და მეტოქეს ბოლომდე არ ეცოდინებოდა, სად დავსვამ მას". გონიერი წინადადება მიღებულ იქნა.

და კიდევ. გ. გურასპაშვილის

აზრით, კომპიუტერი ვერ მოერევა "თავისუფალ ჭადრაკს". თუმცა დღეს-დღეობით იგი წამში ექვს-ნახევარ სვლას ითვლის. ეს, როცა პოზიცია ფიქსირებულია, როგორც "ფიშერის ჭადრაკში". მაგრამ "თავისუფალ ჭადრაკში", სადაც ფიგურები არ ალაგია, არ არსებობს ფიქსირებული პოზიცია წამში ორ მილიარდ ოპერაციიანი მანქანისთვისაც კი დათვლა დიდ პრობლემას წარმოადგენს.

"თავისუფალ ჭადრაკში" სვლათა ალბათობა ფანტასტიურად დიდია. მაგალითად, კლასიკურ ჭადრაკთან შედარებით დაახლოებით 10^{24}, რაც მოჭადრაკეს საშუალებას აძლევს უფრო გამოავლინოს თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობები, ოპტიმალურად გამოიყენოს ლოგიკური აზროვნების და იმპროვიზაციის უნარი, რათა შეაჩეროს კომპიუტერული ანექსია ჭადრაკში.

უთუოდ "თავისუფალ ჭადრაკს" დიდი მომავალი აქვს. მან საყოველთაოდ ფეხი რომ მოიკიდოს, საჭიროა ტურნირების მოწყობა. გათამაშებულ პარტიებში რელიეფურად გამოჩნდება ამ ჭადრაკის ავკარგი, ღირსება და აზროვნების თავისუფლება, რაც ხელს შეუწყობს მის დამკვიდრებას ცხოვრებაში.

გელა გურასპაშვილის "თავისუფალი ჭადრაკი" საქართველოში თითქმის ორი ათეული წელია ცნობილი. როცა მას იდეა გაუჩნდა (1978 წ.), საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის იმდროინდელ თავმჯდომარეს გ. ბედინეიშვილს მიაკითხა. მას თანადგომა აღუთქვეს.

1991 წელს გ. გურასპაშვილმა გამართა პირველი საექსპერიმენტო ტურნირი "თავისუფალ ჭადრაკში". იგი ზ. აზმაიფარაშვილმა მოიგო. მასთან ერთად ახალი თამაში დააჭაშნიკეს ნ. გაფრინდაშვილმა, ნ. ალექსანდრიამ, გ. ზაიჩიკმა, ლ. ჯანჯღავამ და სხვ.

კიდევ ერთი ასეთი ტურნირი მოეწყო 1995 წელს. ამჯერად დიდოსტატებიდან მხოლოდ ბ. გურგენიძემ და ლ. ჯანჯღავამ მიიღეს მონაწილეობა. გაიმარჯვა ლ. ჯანჯღავამ.

1998 წელს ექსპერიმენტულ მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს დიდოსტატები გ. ყაჭეიშვილი და ლ. ჯანჯღავა. შეხვედრა მოიგო გ. ყაჭეიშვილმა (4:2).

საინტერესოა, რომ 1996 წელს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ სთხოვა ფიდე-ს "თამაშის წესების" კომისიას თავისი შეფასება მიეცა "თავისუფალი ჭადრაკისთვის". მაგრამ კომისიამ თავი შეიკავა. ჩანს, კონსერვატორ ფუნქციონერებს გაუჭირდათ "განაჩენის" გამოტანა. ასეა, როცა ახალი იწალდავს გზას.

გამოყენებული ლიტერატურა

წიგნები

ივ. ჯავახიშვილი "ქართველი ერის ისტორია", თბილისი, 1948-1949.

კ. კეკელიძე "ძველი ქართული მწერლობის ისტორია", I, II, თბილისი, 1948. 1952.

სულხან-საბა ორბელიანის "სიტყვის კონა", თბილისი, 1949.

მ. საყვარელიძე "ჭადრაკი", თბილისი, 1926.

თენ. გიორგაძე "ქართული ჭადრაკის მატიანე", I, II, თბილისი, 1995, 1997, "ჭადრაკს გამიჯნურებულნი", თბილისი, 1967, "ჭადრაკი ძველ საქართველოში", თბილისი, 1970, "თამაშობს ანდრია დადიანი", თბილისი, 1972, "ადამიანს ჭადრაკი სჭირდება", თბილისი, 1979, "ცხოვრება ვიქტორ გოგლიძისა", თბილისი, 1985, "ჩვენი ნონა", თბილისი, 1992, "ჭადრაკის გზაჯვარედინებზე", თბილისი, 1992.

М Ботвинник "Статьи, воспоминания", Москва, 1987.

Словарь шахматиста, Москва, 1929.

Словарь шахматиста, Москва, 1964.

Шахматы. Энциклопедический словарь. Москва, 1990.

ჟურნალები

"მნათობი", თბილისი, 1966.

"ცისკარი", თბილისი, 1977, 1978.

"ჭადრაკი", თბილისი, 1971-1976.

"ჭადრაკის სამყარო", თბილისი, 1997-1999.

Шахматный листок, Петроград, 1922-1931.

Шахмать. в СССР, Ленинград, Москва, 1931-1991.

64-Шахматное обозрение. Москва, 1968-2000.

"Альбом ФИДЕ", Белград, 1971-1995.

გაზეთები

"დროება", თბილისი, 1866-1885.

"ივერია", თბილისი, 1977-1996.

"კომუნისტი", თბილისი, 1920-1991.

"Заря Востока", Тбилиси, 1921-1991.

"ახალგაზრდა კომუნისტი", თბილისი, 1925-1991.

"საქართველოს ფიზკულტურელი", თბილისი, 1935-1938.

"ფიზკულტურელი", თბილისი, 1938-1939.

"სოფლის ცხოვრება", თბილისი, 1960-2000.

"ლელო", თბილისი, 1949-2000.

"მერანი", თბილისი, 1984-1991.

"ლაზიერი", თბილისი, 1996-2000.

სარჩევი

წინასიტყვაობა 3
ღვაწლის დაფასება 5
XX საუკუნის საუკეთესონი 6
თავი I. საქართველოს მოჭადრაკეთა გვარდია 7
თავი II. ჭადრაკის ფედერაციის თავკაცები 11
თავი III. რეგიონების ჭადრაკის ისტორიიდან 14
აჭარა 14
აფხაზეთი 19
გურია 23
სამეგრელო 25
იმერეთი 35
შიდა ქართლი 51
ქვემო ქართლი 54
კახეთი 57
სამცხე-ჯავახეთი 61
თავი IV. ჭადრაკის დიდი ტრფიალნი 63
ილია ჭავჭავაძე ..... –
აკაკი წერეთელი 67
გალაკტიონ ტაბიძე 72
პაოლო იაშვილი 75
ლევან გოთუა 79
ნოდარ დუმბაძე 82
ილია ვეკუა 85
გიორგი ნიკოლაძე 86
გიორგი ახვლედიანი 90
აკაკი შანიძე 92
ნიკო კეცხოველი 95
კოტე მარჯანიშვილი 98
იაკობ ნიკოლაძე 99
ვასო გოძიაშვილი 102
პიერ კობახიძე 104
ზურაბ ანჯაფარიძე 109
სერგო ქობულაძე 112

თავი V. წარსულის ფურცლები ..... 11[illegible]
ერთი კონფლიქტის ისტორია,
ანუ რა შეუძლია უკეთურობას ..... –
ლეგენდად შემორჩა ხსოვნას 122
ტრადიციის სათავესთან 125
იმედიანი გარიჟრაჟი 128
იმ შორეულ წლებში 130
ის დაუვიწყარი ორი დღე ..... 13[illegible]
პირველი საერთაშორისო 138
თავი VI. ამაგდარნი 140
მოძღვარი ..... –
ნაღდი მწვრთნელი 142
დავით მასწავლებელი 144
ლამაზი თამაშის ოსტატი 147
დაუოკებელი ქსენია გოგიავა 149
ქართული სილამაზის მოჭადრაკე 152
სასახლის დიასახლისი 154
თავგამოდებული მოღვაწე 157
ბოლომდე ჭადრაკის ერთგული 159
ანდრია დადიანის ქომაგი 161
მაძიებელი სულის მკვლევარი 164
ჭეშმარიტი პროფესიონალი 167
უანგარო გულშემატკივარი 169
თავი VII. კომპოზიციის მედროშენი 171
პირველი მსოფლიო ჩემპიონი ..... –
ჩვენი დიდი პრობლემისტი 174
საჭადრაკო საქართველოს რაინდი 177
ფართო ინტერესების შემოქმედი 180
თავი VIII. თანამემამულენი საზღვარგარეთ 182
ქართველი მოჭადრაკე შვეციიდან ..... –
სამი ქვეყნის ჩემპიონი 186
გერმანელთა საამაყო რძალი 188
თავი IX. მეგობრული შარჟები 190
თავი X. პრობლემები, გამოკვლევები, ძიებანი 198
ნაპოვნია ქართული ჭადრაკი ..... –

ჭადრაკის უძველესი ქართული ფიგურები 200
ქართული მხატვრული ჭადრაკი 203
შევქმნათ სასაჩუქრო ქართული ჭადრაკი 205
კავშირი ასტროლოგიასთან 208
რომელი გრიგოლის ცხოვრება? 211
ჭადრაკი ძველ ქართულ მწერლობაში 219
მ.ს-ძე და მისი "ჭადრაკი" 225
ხარლამპი სირბილაძის ნაკვალევზე 239
ქართული საჭადრაკო პრესის ისტორიისთვის 251
თავი XI. მოგონებები 257
ვიქტორ გოგლიძე ..... –
არჩილ ებრალიძე 268
ვახტანგ ქარსელაძე 275
მაქს ეივე 284
მიხეილ ბოტვინიკი 288
მიხეილ ტალი 294
ტიგრან პეტროსიანი 298
პაულ კერესი 315
სალო ფლორი 319
ელისაბედ ბიკოვა 325
ალექსანდრე ბუსლაევი 331
თავი XII. წერილები 334
დაკარგული საუნჯე ..... –
საქართველოს საჩუქარი – მსოფლიოს 339
"ოსკარის" ქართველი ლაურეატები 341
რეიტინგის მშრალი ციფრების მიღმა 343
მას ოცნება გზას უნათებდა 350
"ლედი სენიორების წინააღმდეგ" 352
დიდოსტატთა ოჯახი 356
დიდოსტატის ბაბუის ნაამბობი 359
ჭადრაკის პოეზიის ქურუმი 361
საიდუმლო მაინც დარჩა 363
მონაწილეობა საჭადრაკო ოლიმპიადებში 365
ძვირფასი რელიქვია 370
რეცენზია თუ პასკვილი? 371
მომავლის ჭადრაკი 381
გამოყენებული ლიტერატურა 387

Гиоргадзе Тенгиз Шалвович

"Летопись грузинских шахмат" (на грузинском языке)

Тбилиси, 2000 г.

Этой книгой заканчивается издание трехтомника по истории шахмат Грузии VII-XX веков. Первая книга, вышедшая в 1995 году, была посвящена вопросам истории и соревновании, вторая, изданная в 1997 году _ творчеству грузинских гроссмейстеров и мастеров. Третья книга содержит статьи, очерки, исследования и воспоминания (В. Гоглидзе, М. Эйве, М. Ботвинник, М. Таль, Т. Петросян, П. Керес, С. Флор, Е. Быкова и др.). В книге впервые публикуются исследования из истории шахмат в регионах Грузии и грузинской шахматной прессы.

Tengiz Giorgadze

"Georgian Chess Chronicle" (in Georgian Langnage)

Tbilisi, 2000.

This edition is the final of three-volume about chess history in Georgia VII-XX c. The firsd book was published in 1995 and was dedicated to the issues of history and competition. The second book was published in 1997 and was dedicated to creative works of Georgian grand-masters and masters. The third one contauns articles, essays, research works and memoirs (V. Goglidze, M. Ave, M. Botvinik. M. Tall, T. Petrosjan, P. Keres, S. Flor, E. Bikoba e tc). Research works on chess history of Georgia and Georgian chess press are published for the first time.

გამომცემლობის რედაქტორი
მხატვარი **ანტონ დუმბაძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **მაია ნეფარიძე**
კორექტორი **ლეილა ნაჭყებია**

შეკვეთა № 240 ტირაჟი 500 ეგზ.

ფასი სახელშეკრულებო

საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება“.
თბილისი, 380060. დ. გამრეკელის ქ. №19